# ಶ್ರೀಮದ್ ಭಾಗವತ ಮಹಾಪುರಾಣ

## ಶ್ರೀಮದ್ ಭಾಗವತ ಮಹಾಪುರಾಣ

## ಕನ್ನಡ

დ. ჯანელიძისა და ბ. სილაგაძის მონოგრაფიები ორი დამოუკიდებელი ნაშრომია, რომლებიც გაერთიანებულია ერთი სათაურით — „ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში". ამ შრომების მიზანია აღმოსავლური და ევროპული წყაროების გამოყენება-დაყრდნობით ქართველ მკითხველს მიაწოდოს ცნობები XIII—XVIII საუკუნეების ეგვიპტისა და XVIII—XIX ს-ის ერაყის ქართველ მამლუქთა სამხედრო-პოლიტიკურ ისტორიასა და მათ ბრძოლებზე საერთო მტრის — ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ.

ლევი ჯანელიძე

# ილიას ცხოვრების ისტორიული ნარკვევები

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

ეს შრომა ქართველი ხალხის წარსულ წამებასა და ბედშაობაზე ღაღადებს, თუმცა მისი თემა უშუალოდ საქართველო არ არის. აქ ლაპარაკია გატაცებული და უცხოეთში გაყიდული ქართველების ბედ-იღბალზე, რომლებმაც მწერალ კონდრატე თათარიშვილს (უიარაღო) შთააგონეს მოთხრობა „მამელუკის“ დაწერა.

შრომის მიზანია გააშუქოს ეგვიპტის მამლუქთა სამხედრო-პოლიტიკური ისტორია XVIII ს-ის მეორე ნახევარში, სახელდობრ — ის ორი ოჯახუება, რომლებიც ხსენებულ ეპოქაში მოაწყვეს ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ. ამავე დროს შეეცადეთ გაგვერკვია ეგვიპტის ადგილი XVIII ს-ის მეორე ნახევრის მსოფლიო პოლიტიკაში. ორივე საკითხი ძირითადად რუსული, ფრანგული და ინგლისური წყაროების საფუძველზეა შესწავლილი და მოშველიებულია ზოგიერთი აღმოსავლური წყაროს რუსული და ფრანგული პუბლიკაციები.

მამლუქებს საუკუნეთა განმავლობაში მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დაკარგულ სამშობლოსთან. ეს მამლუქთა ისტორიას, გარკვეული აზრით, საქართველოს ისტორიის ნაწილად ხდის და, ამდენად, მამლუქთა საბრძოლო წარსულის კვლევა-ძიება აქტუალურ და სავსებით გამართლებულ საქმედაა მიჩნეული.

ეგვიპტის მამლუქები საუკუნეთა განმავლობაში ამ ქვეყნის პოლიტიკური მედროშეები იყვნენ და მტკიცედ დარაჯობდნენ მის უშიშროებას. მას შემდეგ, რაც ეგვიპტე ოსმალეთმა დაიპყრო, მამლუქები გამოდიან ანტიოსმალური გამათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლებად. ამ თვალთახედვით მამლუქების ისტორია გვიანი შუა საუკუნეების ეგვიპტელი ხალხის ცხოვრებისაგან განუყოფელია და მამლუქების ისტორიის გადმოცემა, თავისთავად, ნიშნავს ეგვიპტელი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობის გადმოცემასაც. ამიტომ

ვფიქრობთ, რომ ეს შრომა მცირე წვლილს მაინც შეიტანს ეგვიპტის სახალხო-გამათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის შესწავლაში და კვლევა-ძიებაც სავსებით გამართლებულად ჩაითვლება.

მართალია, როგორც მონოგრაფია, ეს შრომა პირველია ქართულ ენაზე, მაგრამ მისი დაწერა გააადვილა სტატიებმა, რომლებიც ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნდა.

საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ წყაროების ხასიათმა განაპირობა აღმოსავლური ტერმინების ხმარების ის წესი, რომელიც ამ შრომაშია გამოყენებული.

თავი პირველი

## ეგვიპტის მამლუქი სულთნების გამგებლობისა და დაცემის მოკლე ისტორია
## (1250—1517 წწ.)

ევროპულ საისტორიო ლიტერატურაში არსებობს ვერსია, რომ სალადინის[1] ერთ-ერთმა მემკვიდრემ 1230 წელს ჩერქეზეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში იყიდა 12 ათასამდე ახალგაზრდა კაცი — ჩერქეზი, მეგრელი, აფხაზი და ამ მონებისაგან ეგვიპტეში მამლუქთა არმია შეადგინა[2]. მაგრამ ჩვენი დროის არაბი ავტორები მუჰამედ ჰამზა-ულეიში და რაშიდ ალ-ბარავი, საერთოდ, მამლუქთა, როგორც საომარი ძალის, ისტორიის დასაწყისს უფრო შორეულ ეპოქას მიაკუთვნებენ. ისინი წერენ: „სალადინი ტრადიციას მიჰყვებოდა და მამლუქების გამოყენებას განაგრძობდა. მის მომდევნო მმართველებს არ დაურღვევიათ ეს ტრადიცია და მამლუქებიც მუდამ მთელი ჯარის უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ"[3]. უკანასკნელი დებულება სიზუსტესაა მოკლებული. როგორც ქვემოთ დავინახავთ, XIII—XIV სს. ეგვიპტეში წმინდა მამლუქური ნაწილის ხვედრითი წონა არმიაში მაინცდამაინც ძალიან დიდი არ ყოფილა.

კ. მარქსი აღნიშნავს, რომ 1250 წელს სულთან თურან-შაჰის მკვლელებმა — ჩერქეზებმა, მეგრელებმა, თურქმანებმა, ყივჩაღებმა და სხვებმა, რომლებიც შავი ზღვისპირეთელი ნაყიდი მონები იყვნენ, ძალაუფლება ნომინალურად დედოფალ შაჯარ ადურს გადასცეს, ნამდვილი ძალაუფლებით კი წარმოშო-

---

[1] სალადინი — ეგვიპტის სულთანი (სიტყვასიტყვით არაბ. „სულთანი" ნიშნავს „მბრძანებელს" და „ძალაუფლებას") 1171 წლიდან 1193 წლამდე; გამოჩენილი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე, ევროპელი ჯვაროსნების რისხვა.

[2] Volney C. F. Voyage en syrie et en Egypte... t. I, Paris. 1787, გვ. 94; Larusse P. Le grand dictionnaire universelle. t. X, გვ. 1038.

[3] Рашид ал-Барави и Мухаммад Хамза Улейш. Экономическое развитие Египта в новое время. М., 1954, გვ. 12—13.

ბით თურქმანი აიბეკი აღჭურვეს. მაგრამ, ეგვიპტის გვარდიამ სულთნად სალადინის შთამომავალი ნასირ-იუსუფი გამოაცხადა, რის გამოც გაჩაღდა ომი ეგვიპტის მამლუქებსა და სირიელებს შორის. თურან-შაჰის მკვლელობიდან რამდენიმე თვის შემდეგ, დედოფალი შაჯარ ადური ჩამოაგდეს და ეგვიპტის მბრძანებლად გამოცხადდა აიუბიდების (სალადინის დინასტიის სახელწოდებაა) ერთ-ერთი წარმომადგენელი. რამდენიმე წლის შემდეგ იგი მამლუქებმა ჩამოაგდეს, რასაც საყოველთაო არეულობა მოჰყვა. ქვეყნის მართვას მამლუქი წინამძღოლების დივანი ანუ საბჭო შეუდგა. ბოლოს, ეგვიპტის მბრძანებლად თავი გამოაცხადა აიბეკმა[1].

აქედან იწყება ეგვიპტის ისტორიაში ე. წ. „ბაჰრელი" მამლუქების მმართველობის პერიოდი[2].

დედოფალი შაჯარ ადური, რომელმაც ხელთ იგდო ძალაუფლება თურან-შაჰის მკვლელობის შემდეგ, ამ უკანასკნელის დედინაცვალი იყო[3] და გერის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში უშუალოდ მონაწილეობდა[4].

მამლუქი სულთნების გამგებლობამ ეგვიპტეში, საერთოდ, დაახლოებით 267 წელიწადს გასტანა. აქედან, 257 წლის მონაკვეთზე, მათმა ორმა დინასტიამ („ბაჰრელები" და „ბურჯელები") ორმოცდაშვიდი სულთანი გამოიცვალა[5]. მაგრამ, საერთოდ, მამლუქი სულთნების საბოლოო ხვედრი ალესილი ცული, თოფის ტყვია, საწამლავი, საჯარო მოკვდინება, ანდა ფარული მკვლელობა ყოფილა[6].

ჯერ კიდევ ზუსტად არ არის დადგენილი ეგვიპტეში მამლუქი სულთნების გამგებლობის დაწყების თარიღი. ასახელებენ როგორც 1250, ისე 1251 და 1254 წლებს. ერთი აზრი არც იმის შესახებ არსებობს, თუ როდის შეცვალეს „ბაჰრელების" დინასტია ე. წ. „ბურჯელებმა". ზოგი ავტორი 1382 წელს ასახელებს, ზოგიც — 1389 წელს. ამ უკანასკნელ თარიღს ემხრობიან რაშიდ ალ-ბარავი, მუჰამედ ჰამზა-ულეიში და საბჭოთა ორიენტალისტები: პეტროვსკი და მატვეევი[7].

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ტერმინზე — „ჩერქეზული დინასტია". ამ

---

[1] Архив Маркса и Энгельса. Под ред. В. Адоратского. Том V. 1938. გვ. 214—215.

[2] Рашид ал-Баравн и М. Х. Улейш. დასახ. შრომა, გვ. 12—13.

Hammer. Histoire de l'Empire Ottoman, t. IV, Paris, 1836, traduit de l'Allemand, გვ. 266.

არაბ. „ბაჰრი" ნიშნავს ზღვას. არაბებმა ნილოსსაც „ბაჰრი" უწოდეს მისი სიდიდის გამო. კუნძული არ-რაუდა, რომელსაც გარს უვლის ნილოსი, იყო მამლუქების ერთი ნაწილის ადგილსამყოფელი. აქედან წარმოდგა დინასტიის აღმნიშვნელი ტერმინიც.

[3] The Encyclopedia Britanica. XIII გამ., IX, გვ. 99—100.

[4] Архив Маркса и Энгельса, დასახ. ტომი„ გვ. 214—215.

[5] Volney, დასახ. წიგნი, ტ. I, 1787 წ. გამოცემა, გვ. 95—96.

[6] იქვე.

[7] Н. Петровский и В. Матвеев. Египет—сын тысячелетий, 1959, стр. 185—199; Р. ал- Баравн и М. Х. Улейш. დასახ. შრომა, გვ. 13.

ტერმინის ქვეშ უცილობლად ჩერქეზული წარმოშობის მამლუქები როდი იგულისხმებიან. დასავლეთ ევროპელი და აღმოსავლეთელი ავტორებისათვის წარსულში სიტყვა ჩერქეზეთი ეთნიკური ცნება კი არ იყო, არამედ — გეოგრაფიული, იგი აღნიშნავდა ხალხთა მთელ ჯგუფს. ჩერქეზეთს, როგორც ტოპონიმიკურ ტერმინს, წარსულის ბევრი ისტორიკოსი და მოგზაური „საქართველოს" მნიშვნელობითაც ხმარობდა. ვხედებით ისეთ გასაოცარ ანომალიასაც, როცა, მაგალითად, ზოგიერთი ფრანგი ავტორი ქართლ-კახეთის მეფეს, ერეკლე მეორეს, აცხადებს ჩერქეზეთის ან ყაბარდო-ბალყარეთის პრინცად. რა თქმა უნდა, აქ შენიშვნით სრულიადაც არ გვინდა მდგომარეობა ისე წარმოვადგინოთ, თითქოს ეგვიპტეში ჩერქეზული წარმოშობის მამლუქები არ ყოფილიყვნენ. უეჭველია იყვნენ, მხოლოდ საჭიროა ტერმინების ხმარების ამა თუ იმ წესმა შეცდომაში არ შეგვიყვანოს და არ ვიგულისხმოთ ჩერქეზი იქ, სადაც ის საგულისხმებელი არ არის და, პირიქით — ქართველობა არ მივაწეროთ იმათ, ვინც არ იყო ქართველი. მართალია, ზოგიერთი მკვლევარი ჩერქეზ სულთნად კანსუხ ეზ-ზაჰირს (1498—1500 წწ.) აცხადებს, მაგრამ ცნობილი ევროპელი ავტორი დე ლა პორტი კატეგორიულად ირწმუნება, რომ ამ სულთანმა ქართულის გარდა სხვა ენა არ იცოდა[1]. „ჩერქეზი", მამლუქთა ხანის ეგვიპტისათვის, ნიშნავდა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში მოსახლე ყოველ ეროვნებას. ის ადგილები, საიდანაც ეგვიპტეში უხსოვარი დროიდან მიჰყავდათ მამლუქები, არამაჰმადიან ლუიზინიანისათვისაც კი რაღაც ეთნიკურ-ტერიტორიულ მთლიანობას წარმოადგენდა. თავის წიგნში ლუიზინიანი მამლუქების შესახებ სრული გარკვეულობით აცხადებს: „ეს მონები წარმოშობით ყველანი ივერიიდან არიან, რომელსაც ჩვეულებრივ საქართველოს, ჩერქეზეთს ან აფხაზეთს და სამეგრელოს უწოდებენ"[2].

ზოგიერთი ევროპელი ავტორი მამლუქთა პოლიტიკურ ბატონობაში მხოლოდ უარყოფითს ხედავს. „ისტორიაში არ მოიძებნება ისეთი არისტოკრატიის სხვა მაგალითი, როგორც მამლუქები იყვნენ. ეს არისტოკრატია ძალიან მოუფიქრებლად შექმნა სალადინის ერთ-ერთმა მემკვიდრემ, რომელსაც მიზნად ჰქონდა ხელთ ჰყოლოდა ერთგული და მრისხანე ჯარი. ხსენებული მმართველი ძალე აღმოჩნდა მთელ აზიაში ყველაზე უშიშარი და უაღრესად ბრძოლისმოყვარე ჯარისკაცთა კორპუსის პატრონი. ბავშვობის ასაკშივე მონების სახით გატაცებული ეს მეომრები ამ ქვეყანასთან არავითარი პატრიოტული ტრადიციებით და ოჯახური ურთიერთობით არ იყვნენ დაკავშირებულნი და უცქერდნენ მას, როგორც დაპყრობილ მხარეს. მათი ერთადერთი საზრუნავი ის იყო, რომ უმოწყალოდ ეძარცვათ ეს ქვეყანა და ეგემნათ ათასნაირი სიტკბოება და სიმდიდრე. მათი ველური ბატონობის დრო ისტორიაში წარმოადგენდა გაუთავე-

[1] გ. ბეი-მამიკონიანი, ქართველი მამლუკები ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლაში, „მნათობი", 1957, № 9, გვ. 129.

[2] იქვე.

ბელ ანარქიას, რომელსაც კვებავდა პირადი პატივმოყვარეობა და ჯაშან-ფარად ჰქონდა სისხლიანი და სასტიკი ძალადობა"[1].

ა. კლოტ-ბეის ასეთი შეხედულება, რომ მამლუქთა ერთადერთი საზრუნავი თითქოს მხოლოდ ძარცვა-გლეჯა იყო, ეწინააღმდეგება ისტორიულ ფაქტებს. XV ს-ის არაბი ისტორიკოსის ტაკი-ედინ-აჰმად-მაკრიზის ვრცელი ნაშრომი აღსავსეა იმის მაგალითებით, თუ როგორი გმირობით იგერიებდნენ ეგვიპტის მამლუქები თათარ-მონღოლთა შემოსევებს და რა ღირსეულად დაიცვეს ეს ქვეყანა ამ უკანასკნელთა ბატონობისაგან[2]. ეგვიპტის მამლუქთა იმავე დამსახურებას ხაზგასმით აღნიშნავენ ჩვენი დროის არაბი ავტორებიც[3]. მაკრიზი ვრცლად ჩერდება ეგვიპტის ხუროთმოძღვრების აყვავებასა და საირიგაციო ტექნიკის მიღწევებზე. მამლუქი სულთნების გამგებლობის ხანაში.

მოკლედ შევჩერდეთ ეგვიპტის მამლუქი სულთნების პოლიტიკურ ისტორიაზე.

ტახტზე ქალის ასვლამ (მხედველობაშია შადჯარ ადურის მიერ ძალაუფლების დაპყრობა) მთელს მუსულმანურ სამყაროში მღელვარება გამოიწვია. დედოფალმა შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასახსნელად ქმრად შეირთო აიბეკი და სულთნის ტიტულიც მას გადასცა. პოლიტიკური უშიშროების გამო, აიბეკმა თავდაპირველად ვერ გაბედა სულთნად თავი აშკარად გამოეცხადებინა, ვინაიდან ანგარიშს უწევდა სალადინის დიდ ავტორიტეტს. ამ ავტორიტეტის არსებობის პირობებში მამლუქისათვის (ყოფილი ტყვე კაცისათვის) ადვილი საქმე როდი იყო, ერთბაშად და უცერემონიოდ დაპატრონებოდა ძლევამოსილი აიუბიდების ტახტს; ამიტომ აიბეკმა ტახტზე თავის გვერდით დაისვა სალადინის საგვარეულოს ნაშიერი მალიკ-ალ-აშრაფი, რომელიც ამ „საპატიო" ტყვეობაში მოკვდა (1252 თუ 1254 წელს)[4]. რამდენიმე ხნის შემდეგ, აიბეკმა, როგორც აღვნიშნეთ, თავი აშკარად და გაბედულად ეგვიპტის სულთნად გამოაცხადა, სირიაში დაამარცხა აიუბიდების წარმომადგენელი მალიკ-ალ-ნასირი, მასთან ზავი შეკრა და შემდეგ ეგვიპტეში წარმატებით ჩააქრო მამლუქთა ერთი ნაწილის ამბოხება. დამარცხებული მეამბოხენი მან იძულებული გახადა აბასიდების საგვარეულოს უკანასკნელ ხალიფასთან[5] ერთად თავი ბაღდადისათვის შეეფარებინათ.

1257 წლის 10 აპრილს, მამლუქი სულთანი აიბეკი მისმა ცოლმა შადჯარ

---

[1] Клот-Бей. Египет в прежнем и нынешнем своем состоянии. Перевод с французского, СПБ, 1843, ნაწ. 1, გვ. 35—36 (რომაული ნუმერაციით).

[2] Makrizi. Histoire Des Sultans Mamlouks De l'Egypte. t. I, ნაწ. I, Paris. 1840. გვ. 101—102 და t. II, ნაწ. I, Paris. 1842, გვ. 36—39 etc.

[3] Рал-Барави и М. Х. Улейш. დასახ. შრომა, გვ. 12—13.

[4] Makrizi, დასახ. შრომა, ტ. I, ნაწ. I, პარიზი, 1840, გვ. 1—73, შდრ. Th. Enc. Brit., მითითებული ტომი და გვერდები.

[5] „ქალიფი" ანუ „ხალიფი" არაბული „ხალიფასაგან" წარმოდგება. სიტყვასიტყვით ნიშნავს ალაჰის „მემკვიდრეს", „წარმომადგენელს" დედამიწაზე.

ადურმა მოკლა, რადგანაც აიბეკმა უღალატა და სხვა დედოფლის ხელი ითხოვა. მაგრამ, აიბეკის მომხრეებმა ბელადის სიკვდილისათვის შური დაუყოვნებლივ იძიეს და ტახტზე აიყვანეს აიბეკის არასრულწლოვანი ვაჟიშვილი მალიკ ალ-მანსური, რომელსაც ქვეყნის საჭესთან დგომა დიდხანს არ დასცლია — იგი ჩამოაგდო მისივე გვარდიის უფროსმა კოტუზმა იმ საბაბით, რომ მონღოლთა შეტევის რეალური საფრთხე ეგვიპტის სათავეში ძლიერ პიროვნებას მოითხოვდა.

1260 წელს მონღოლმა ჰულაგუმ გაანადგურა ალ-ნასირის სამეფო სირიაში. მონღოლი ტომების ამ გამოჩენილმა ბელადმა ირანში დააარსა ე. წ. ილხანების სამეფო და, როგორც უკვე ითქვა, საბოლოო ლახვარი ჩასცა ბაღდადის ხალიფატს.

ეგვიპტის მბრძანებელი კოტუზი 1260 წელს შეიჭრა სირიაში და 3 სექტემბერს აინჯალუდთან (დამასკოს ახლოს) დაამარცხა ჰულაგუს ერთ-ერთი სარდალი. ამ გამარჯვებას მოჰყვა სირიის ყველა ქალაქის აჯანყება მონღოლების წინააღმდეგ და ეგვიპტის სულთანი მთელი სირიის ბატონ-პატრონი გახდა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ქალაქებს, რომლებიც ევროპელ ჯვაროსნებს ეკავათ).

კოტუზი ერთი წელიც არ მჯდარა სულთნის ტახტზე, იგი მოკლა მისმა ხელქვეითმა სარდალმა ბაიბარსმა ანუ ბიბარმა 1260 წლის 23 ოქტომბერს. ბაიბარსი განაწყენებული ყოფილა იმით, რომ კოტუზს მისთვის ალეპოს გამგებლის თანამდებობა ჩამოურთმევია. იძია რა სასტიკად შური, ბაიბარსი, მალიკ ალ-ზაჰირის[1] ტიტულით, ეგვიპტის სულთნის ტახტს დაეუფლა. ამ დროისათვის ბაიბარსს გააჩნდა გარკვეული საბრძოლო დამსახურება ეგვიპტის ისტორიაში: თავი გამოიჩინა იმ ბრძოლაში, რომელიც საფრანგეთის მეფის ლუი მეცხრის დამარცხებით და დატყვევებით დამთავრდა და მიიღო მონაწილეობა აიუბიდი თურან-შაჰის მკვლელობაში, რითაც ამაგი დასდო ეგვიპტეში მამლუქი სულთნების გაბატონების საქმეს.

სულთანმა ბაიბარსმა სახელი გაითქვა, როგორც „ბაჰრელთა“ დინასტიის ერთ-ერთმა უბრწყინვალესმა წარმომადგენელმა. მან ეგვიპტე აქცია მუსულმანური მსოფლიოს ცენტრად იმით, რომ ფორმალურად აღადგინა აბასიდების ხალიფატი. ბაიბარსმა აღიარა ვინმე აბულკაზიმ ახმედის პრეტენზიები, რომელიც თავისთავს აცხადებდა აბასიდების ოცდამეთხუთმეტე ხალიფას — ზაჰირის შვილად. ბიბარმა იგი დაამკვიდრა კაიროში, როგორც მუსულმან მართლმორწმუნეთა სულიერი ბელადი და ალ-მოსტანსირ ბილაჰის[2] ტიტული მისცა. მოსტანსირმა თავის მხრივ სულთნის ტიტული „უბოძა“ ბიბარს და მიმართა ქადაგებით, რომლითაც განუმარტავდა მოვალეობას და მუსულმანური მსოფლიოს ისტორიაში მაშინდელი პასუხსაგები მო-

[1] ზოგიერთი ევროპელი ავტორის ტრანსკრიპციით „მალიქ აზ-ზაჰირი“.

[2] ამ ტიტულში შემავალი სიტყვები ქართულად ნიშნავს: „ის, ვინც ღვთისაგან შველას მოელის“.

მენტის მნიშვნელობას[1]. ბაიბარსმა მოინდომა ბაღდადის ხალიფატის (იგივე — აბასიდების) აღდგენა, მოსტანსირს ჯარი გაატანა ერაყის დასაპყრობად, მაგრამ ეს ჯარი დასახული მიზნის მისაღწევად საკმარისი არ აღმოჩნდა. მოსტანსირი ნამდვილ გახალიფებას ვერ მოესწრო, ბრძოლის ველზე დამარცხდა და მოკლულ იქნა ისე, რომ ბაღდადამდე ვერც ჩააღწია.

მალე აბასიდების სხვა შთამომავალმა კაიროში მიიღო ხალიფას ტიტული და თავისთავს უწოდა „ალ პაკიმ ბი-ამრილაჰ“ („ის, ვინც საქმეებს წყვეტს ღვთის ბრძანებათა შესაბამისად“). მის შვილს, რომელიც ეგვიპტეში დარჩა და მოკლებული იყო ძალაუფლებასა და გავლენას, ეს ტიტული მემკვიდრეობით გადაეცა. ბაიბარსი განუხრელად მფარველობდა აბასიდების საგვარეულოს და მისი ქომაგობით ბაღდადის ხალიფატი სიმბოლურად არსებობას მაინც განაგრძობდა.

თუ მუსულმანი ავტორების ცნობებს ვირწმუნებთ, ბაიბარსმა მთელი ეგვიპტე სარწყავი არხებით დაფარა, განაახლა ალექსანდრიის გალავანი და ამ ნავსადგურის სასარგებლოდ ყოველთვიური ფულადი გადასახადი დააწესა. ქ. რაშიდის ახლოს კოშკი აღმართა. იმ კოშკიდან შეიძლებოდა თვალყურის დევნება ყველაფრისათვის, რაც ზღვაზე ხდებოდა. სულთანმა ქ. დამიეტასთან ნილოსის შესართავი ქვით ამოკეტა და მტრის დიდ ხომალდებს ეგვიპტის სიღრმეში შეღწევის საშუალება მოუსპო. მანვე აღადგინა სირიაში მონღოლთა მიერ დანგრეული ყველა ციხე-სიმაგრე, გააფართოვა და საომარი მასალებით აღჭურვა ისინი, შიგ მამლუქები და სხვა ჯარები ჩააყენა და იქაურობა აურაცხელი ხორაგით აავსო. მარცვლეულის უდიდესი მარაგი დამასკოს გაგზავნა და სირიის კანტონებშიც დაარიგა, მიწის მუშებსაც არსებობის ძვირფასი სახსარი გაუჩინა. დამასკოში მართლმსაჯულების სახლი და იქვე, აინჯალუდის ახლოს, „გამარჯვების მეჩეთად“ წოდებული დიდების მონუმენტი ააგებინა. ყველა შარაგზაზე საფოსტო და საგუშაგო პუნქტები დააწესა. ამ საშუალებით ეგვიპტის დედაქალაქიდან, სადაც სულთანს რეზიდენცია ჰქონდა, დამასკომდე ცნობა ოთხ დღეში მიდიოდა.

იგივე დაჰერ-ბიბარი[2] ანუ არაბულად—მალიქ აზ-ზაჰირ ბაიბარსი, ეგვიპტის სამხედრო-საზღვაო ფლოტსაც მფარველობდა. დამიეტისა და ალექსანდრიის რეიდებზე აურაცხელი გალერი იდგა. მამლუქი სულთანი პირადად ამოწმებდა სამხედრო-საზღვაო არსენალს და წესრიგში მოჰყავდა. ბაიბარსი ნადირობად გასულიც კი (გართობის ეს სახეობა სულთნის გატაცება იყო) სახელმწიფო საქმეებს წყვეტდა.

ბაიბარსის ხაზინაში აურაცხელი სიმდიდრე იდო. მართალია, მაკრიზს სამართლიანი მმართველის ნიმუშად მიაჩნია იგი, მაგრამ იმოწმებს ისეთ მასა-

---

[1] ხალიფი იყო მუსულმანთა სასულიერო მბრძანებელი, ხოლო სულთანი საერო მბრძანებლად ითვლებოდა.

[2] ასე უწოდებენ მას ევროპელი ავტორები.

ლებს, რომლებიც ნათლად გვიჩვენებს იმ სასტიკ ექსპლოატაციას, რასაც ხალხი ბაიბარსის დროს განიცდიდა. ხსენებული არაბი ავტორი, მაგალითად, წერს, რომ ერთ შემთხვევაში ბაიბარსმა ბეგარა-გადასახადების სახით მოსახლეობას გამოართვა 95 ათასი ვერცხლის მონეტა და ამდენივე ათასი თოფი აბრეშუმის ქსოვილი. იემენურ ხალათებს, ვენეციურ ფართალს და ყირმიზის (წითელი) მაუდს ხომ ძნელად ვინმე აღნუსხავდა. მსგავსი რამე, შენიშნავს ბაიბარსის არაბი მეხოტბე ისტორიკოსი, დიდ ხელმწიფეთა საუნჯეს ძვირად უნახავს.

მამლუქმა სულთნებმა ეგვიპტის საზღვრებიც განზე ბარაქიანად გასწიეს და ბევრ მეზობელ ქვეყანასაც მფარველობის ხელი დასდეს. 1275 წელს ბაიბარსმა ნუბიის მეფეს მიაღებინა ფიცი, რომლითაც აღიარებული იყო ეგვიპტისადმი ნუბიის წარსული ქვეშევრდომობის კანონიერება და მომავალში ამ ქვეშევრდომობის განგრძობის აუცილებლობა.

ბაიბარსმა დიდი ენერგია მოახმარა ჯვაროსნებთან ბრძოლას, მათ წაართვა ქალაქები საფადი, კეისარია, ანტიოქია და სხვები; შეიპრა მცირე სომხეთში, შეიპყრო ლეონ მესამე (მეფობდა მცირე სომხეთში 1269—1288 წლებში) და ეგვიპტეში სამ წელიწადს ჰყავდა ტყვედ. განთავისუფლების შემდეგ ლეონ მესამე შეუთანხმდა მონღოლებს და გადაწყვიტა მათი დახმარებით მამლუქთა საფრთხის ლიკვიდაცია მოეხდინა, მაგრამ 1274 წელს მამლუქებმა მძაფრი დარტყმით აიძულეს იგი მთებში გაქცეულიყო. მალე ლეონმა კავშირი შეკრა ირანთან და მოახერხა მდგომარეობის გამოსწორება. ლეონ მესამისა და მისი მოკავშირის ჯარებმა ქ. ამაზიამდე[1] მიაღწიეს. მათი მარში ერთმა დიდმა დამარცხებამ შეწყვიტა. ლეონ მესამემ თავისი დამარცხებული ჯარის ნაშთები სამშობლოში ჩაიყვანა. ეგვიპტის მამლუქებმა კი, რომლებიც მოქანცული იყვნენ წინანდელი ბრძოლებით, ძალაუნებურად საშუალება მისცეს ლეონს სიცოცხლის მიწურულამდე მშვიდობიანად ემეფა[2].

ბაიბარსი ეომებოდა სელჯუკებსაც[3].

ბაიბარსის სიკვდილის წინ მის ძალაუფლებას აღიარებდა თითქმის მთელი სირია (ფრანგთა ხელში დარჩენილი რამდენიმე ქალაქის გამოკლებით), მთელი არაბეთი (იემენს გარდა). მას ხარკს უხდიდნენ ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ემირებიც, მისი სახელი შორს იყო გასული. მრავალ ქვეყანასთან ჰქონდა ურთიერთობა. მაკრიზის თქმით, ბაიბარსს კავშირი ჰქონდა საქართველოსთან. სახელდობრ, 1264 წელს ეგვიპტეში ჩავიდა საქართველოს მეფის საჩუქრებით

---

[1] ქალაქი, სადაც 1555 წელს დაიდო ისტორიული ზავი ოსმალეთსა და ირანს შორის. ამ ზავით „ბაბრმა და ფოცხვერმა" გაელენის ზონებად გაიყვეს საქართველო.

[2] L a r o u s s e, დასახ. ენც., ტ. X, გვ. 588—589.

[3] საერთო თურქული წარმოშობის ხალხის—ე. წ. ოგუზების (თურქმენები) ერთ-ერთი ტომის, სახელად იბგუს, ბელადი იყო ვინმე სელჯუკი.

დატვირთული ელჩი[1]. ბაიბარსი იყო პირველი სულთანი, რომელმაც ცნო მუსულმანთა კანონ-რჯულის ე. წ. ოთხი სკოლის[2] თანასწორუფლებიანობა — თვითონ ნიშნავდა იმათ მოხელეებს ეგვიპტესა და სირიაში. ამან ბაიბარსს საშუალება მისცა ერთ-ერთი მათგანის დასტური ყოველთვის ჰქონოდა, როცა დანარჩენი სამი სკოლა მის ამა თუ იმ ღონისძიებას ან ჩანაფიქრს ოპოზიციაში ჩაუდგებოდა[3].

ბაიბარსმა დააწესა მუსულმანთა საღვთო ქალაქ მექაში ყოველწლიურად საჩუქრების გაგზავნა.

მუსულმანი ავტორების ცნობით, ბაიბარსმა სასახლის კარის ადმინისტრაცია მონღოლთა იმპერიის დამაარსებლის ჩინგიზ-ხანის მაგალითისამებრ მოაწყო. შემოიღო შემდეგი თანამდებობანი: 1. შეიარაღებულ ძალთა მეთაური (ემირეთ სილაჰი), 2. კანონის მთავარი მოხელე ანუ სასახლის მინისტრი (კადიოლხუდათი), 3. სახელმწიფო მდივანი (დივითდარიეთი), 4. კამერჰერი (ჰაჯიბიეთი), 5. სასახლის დიდი მარშალი (უსტადარიეთი), 6. მეჯინიბეთუხუცესი (ემირახორი), 7. გარდერობის მცველი (ჯამდარი), 8. ბაზიერთუხუცესი (ემირ სუმკარი), 9. მეპურპლეთუხუცესი (ხაზნედარი), 10. პირადი მდივანი (კიატიბოსირი) და სხვ.

ბაიბარსის დროსვე არსებობდა გენერალისიმუსის ანუ ემიროლ კებირის თანამდებობა[4].

ჩამოთვლილი თანამდებობების შემოღება გამოწვეული იყო ხელისუფლების ფუნქციათა გართულებით, რომელიც ეგვიპტის საერთაშორისო ხვედრითი წონის გაზრდამ დააჩქარა.

ბაიბარსამდე არსებობდა მამლუქთა ბიუროკრატიული აპარატი. მის დროს ეს აპარატი განმტკიცდა და გართულდა.

უზენაეს სახელმწიფო ფუნქციებს ასრულებდნენ ბეგები ანუ ამირები[5]. ბეგთაგან თითოეულს ჰქონდა სამლოცველი, სადაც ინსტრუმენტებზე უკრავდა და გალობდა სამხედრო მუსიკოსების გუნდი.

ბეგების შემდეგ მოდიოდა ოცდაოთხი მმართველი — თორმეტი ეგვიპტისა

---

[1] Makrizi, დასახ. შრომა, ტ. I, ნაწ. II, პ. 1840, გვ. 18.

[2] ე. წ. ოთხი მართლმორწმუნე სექტა მუსულმანური რელიგიისა. ისინი დააარსეს იმამებმა ებუ-ჰანიფემ, შაფიიმ, მალიკმა და ჰანბელმა. VIII საუკუნეში შექმნილი ეს ოთხი ლეგალური სკოლა მუსულმანური კანონმდებლობისა, ასე თუ ისე, ყველა ყურანიდან და არაბისტანის ძველი ტრადიციებიდან გამოდიოდა, მხოლოდ სხვადასხვანაირ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ერთსაც და მეორესაც. ჰანიფიტების ასპარეზია: ოსმალეთი, ცენტრ. აზია, ჩრდ. ინდოეთი; შაფიიტებისა — ქვემო ეგვიპტე, სირია, სამხრეთ ინდოეთი, მალაის არქიპელაგი; მალიკიტებისა — ზემო ეგვიპტე, ჩრდ. აფრ., დას. ეგვიპტე; ჰანბელისტებისა — ცენტრ. არაბისტანი (ე. წ. ვაჰაბისტები).

[3] The Enc. Brit, XIII გამ., ტ. მე-9, 1926, გვ. 99—100.

[4] Hammer, დასახ. შრომა, ტ. IV, პ., 1836, გვ. 469—470 („კომენტარები") შდრ. იქვე, გვ. 274—275. ჰამერის განმარტებით „ემიროლ კებირი" სიტყვასიტყვით ნიშნავს „დიდ პრინცს — არმიების გენერალისიმუსს".

[5] ამირა და ემირი ჩვენს წიგნში ერთნაირი მნიშვნელობით იხმარება.

და თორმეტიც — სირიისა. პროვინციათა ოცდაოთხ მმართველს ნაიბები ერქვა (ჰამერის აზრით, ნაიბი და კაშიფი იდენტური ცნებებია, „კაშიფი“ უფრო მოგვიანებით იხმარებოდა[1]. კაშიფი იგივეა, რაც „ქაშიფი“ და „ქეშიბი“).

დივანის ანუ საბჭოს სხდომაზე, რომლის მოწვევაც სულთნის თავმჯდომარეობით ხდებოდა, მარჯვენა მხარეს სხდებოდნენ მსაჯულები, ჯარების ინსპექტორები და ე. წ. საზოგადოებრივი გადასახადების ამკრეფი პირნი, ხოლო სახელმწიფო დივანი და მამლუქი ემირები მარცხენა მხარეს იკავებდნენ; დივანის მოწვევა ხდებოდა სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

მკაცრად იყო განსაზღვრული თანამდებობის პირთა ჩაცმულობა, რომელიც ყველა დეტალში შეესატყვისებოდა მოხელის ჩინს. ბეგებს[2] ეცვათ მდიდრული ტანისამოსი, რომელსაც ლაპლაპი გაუდიოდა; ეხურათ უზარმაზარი დოლბანდის ჭუდები, რომელიც თავისებური გრძელი ქამრით იკვრებოდა. ამ შეკვრასაც განსხვავებული წესები ჰქონდა იმის და კვალობაზე, თუ რამდენად საპატიო ადგილი ეჭირა ბეგს. ცხენზემჯდომ სულთანს აბრეშუმის სამზეური ჭოლგა ეჩრდილებოდა. თავსაბურავზე ოქროთი იყო ამოქარგული ეგვიპტის მამლუქი მბრძანებლის ტიტულები.

მაღალი თანამდებობის მამლუქებს მოკლესახელოებიანი ხალათები ეცვათ, რათა ხელს მტრის პოსაგერიებლად, ანდა იერიშის მისატანად საკმარისი თავისუფლება ჰქონოდა. რიგით მამლუქებს, პირიქით, გრძელსახელოებიანი ტანსამოსი ეცვათ, რადგანაც უდიერობად ითვლებოდა, რომ ისინი თავიანთ ბატონებს შიშველი მკლავებით ჩვენებოდნენ.

მამლუქთა სულთნების ჯარი სამი სხვადასხვა კორპუსისაგან შედგებოდა: 1. მამლუქები ანუ საკუთრივ მონები, რომლებიც კავკასიიდან იყვნენ მოტაცებულები, 2. ჯელბანი ანუ სიტყვასიტყვით — „ტყვეობაში გაწვრთნილნი“ (ისინი მეტწილად აბისინიიდან ჩამოჰყავდათ), 3. კარანისი ანუ კორსანი — სხვადასხვა ეროვნების დაქირავებული ხალხი. საკუთრივ მამლუქების რიცხვი დაახლოებით 13000 უდრიდა[3].

ბაიბარსი გარდაიცვალა 1277 წლის პირველ ივლისს. ორი წლის შემდეგ მისი ვაჟიშვილი ტახტიდან ჩამოაგდო და სულთნის კვერთხი იპყრა მამლუქმა კალაუნმა. 1280 წლის 26 აპრილს ამ სულთანმა სასტიკად დაამარცხა აჯანყებული სირიელები და სირიის მიწა-წყალზე ეგვიპტელი მამლუქების ბატონობა აღადგინა. ახლა სირიელებმა დახმარებისათვის მონღოლებს მიმართეს. ეგვიპტესა და ირანის ილხანების სახელმწიფოს შორის ხელახლა დიდი ომი ატყდა.

---

[1] Hammer, დასახ. შრომა, ტ. IV, პარიზი, 1836, გვ. 447 („კომენტარები“). მათ იდენტურობაზე მიუთითებს მაკრიზიც. იხ. Makrizi, დასახ. შრ. ტ. I, ნაწ. II, პ., 1840, გვ. 97. („კომენტარები“), კაშიფის ჩვეულებრივი მნიშვნელობა „მაზრის უფროსი“ იყო.

[2] „ბეგი“ თურქულად „ბატონს“ ნიშნავს. ჰამერის სიტყვით, მას თათრები წარმოთქვამენ „ბეკ“-ად, ოსმალები — „ბეგ“-ად, ეგვიპტელები „ბაი“-დ. Hammer, დასახ. შრომა, ტ. IV, პ., 1836, გვ. 460 („კომენტარები“), შდრ. Larousse, დასახ. ენციკლ., ტ. II, გვ. 664.

[3] Hammer, დასახ. შრომა, ტ. IV, პ., 1836, გვ. 271—273.

1281 წელს ჭ. ჰომსის ახლოს მოხდა კალაუნის ჯარების შერკინება მანგუ-თემურის არმიასთან. მონღოლებს ოთხმოცათასიანი მხედრობა ჰყავდათ და რიცხობრივად ეგვიპტელებს სჭარბობდნენ. მამლუქი სულთნის კალაუნის სპა მოიცავდა ქურთებს და თურქმენებს, ეგვიპტისა და სირიის ემირები ხომ თავისთავად იგულისხმებიან. ავანგარდში იდგა ჰოზამ-ედინ-ტორონტაი ნაიბ ას-სალტანი (ასე ერქვა ვიცე-მეფესაც და ქალაქის გამგებელსაც)[1], გარს თავისი მომხრეები ეხვია. იქვე, შორიახლო, სხვა ამირებიც და სულთნის მამლუქებიც იდგნენ. სულთანი დროშებთან იმყოფებოდა. მისი რაზმი (ე. წ. ჰალკა)[2] ოთხი ათას ცხენოსანს მოითვლიდა. ეს იყო მისი არმიის მთავარი ძალა. სულთნის მამლუქები რიცხვით რვაასნი იყვნენ. ბრძოლა დაიწყო დილის ოთხ საათზე და, როგორც გადმოგვცემენ, საღამომდე გასტანა. მონღოლთა მარცხენა ფრთა სწრაფად და გაბედულად ეკვეთა ეგვიპტელთა მარჯვენა ფრთას. უკანასკნელმა იმარჯვა, გატეხა მტერი და მიაგდო ცენტრზე, სადაც მონღოლთა სარდალი მანგუ-თემური იდგა, მეორე მხარეზე თათართა მარჯვენა ფრთამ დაქსაქსა და გააქცია მუსულმანთა მარცხენა ფრთა; გამარჯვებულნი დაეღენენ გაქცეულთ და ჰომსის კედლებამდე მიჰყვნენ. ქალაქის კარები რომ დაკეტილი დახვდათ, მონღოლები ეკვეთნენ ყველას, ვინც ქალაქგარეთ აღმოჩნდა და საშინელი მუსრი გაავლეს. მოსახლეობა თათართა უკუგდებას ფიქრობდა.

მუსულმანთა (ეგვიპტელები) მარცხენა ფრთამ არ იცოდა, რომ მათ მეორე ფრთას გაემარჯვნა, არც მონღოლთა გამარჯვებულმა მარჯვენა ფრთამ უწყოდა თავისიანების, მარცხენა ფრთის, დამარცხება—მონღოლების ამ ძლევამოსილმა ფრთამ მარცხენა ფრთაც გამარჯვებულად იგულვა, ჩამოიქვეითა, ცხენები საბალახოდ გაუშვა ჰომსის მინდვრებზე, უწესრიგო ღრეობას მიეცა და, სადაც კი მოიხელთა, მტრის კარვებისა და საგანძურების ძარცვა-გლეჯა გააჩაღა, სავსებით დაიმედებულმა იმით, რომ მონღოლთა სხვა ნაწილებიც ასევე გამარჯვებულნი შეუერთდებოდნენ მას. მცირე ხნის შემდეგ, ზოგიერთი ბანაკიდან გავიდა, მაგრამ მალე დაბრუნდა და მანგუ-თემურის გაქცევის ამბავი მოიტანა. მონღოლები გამოერკვნენ, ცხენებზე შესხდნენ და გაჰყვნენ მტრის მიერ დევნილი წინამძღოლის კვალს.

ეგვიპტელთა მარჯვენა ფრთა, რომელმაც მოპირდაპირე გატეხა და გააქცია,

---

[1] Makrizi, დასახ. შრომა, ტ. II, ნაწ. II, ბ., 1845, გვ. 114.

[2] ჭატრმერის განმარტებით, ჰალკა ანუ ჰალკაჰი საერთოდ წარმოადგენდა ცხენოსანთა კორპუსს. მასში ჯაიბარსის დროს ოთხი ათასი ცხენოსანი შედიოდა. (Makrizi, დასახ. შრომა, ტ. I, ნაწ. II, ბ., 1840, გვ. 2. ჭატრმერის შენიშვნები). ჭატრმერს მოჰყავს ჰალკას ხუთი მნიშვნელობა: 1. წრე, ჯუფი, საკრებულო (ტერმინის თავდაპირველი შინაარსი), 2. სავაჭრო კრება, 3. კრებების დარბაზი, 4. სკოლის, ანდა აკადემიის მსგავსი რამ, 5. ჯარის რაზმი, რომელიც გარს ერტყა პრინცს და შეადგენდა მის პირად გვარდიას. კჰალილ დაჰერის ცნობით, ოღესღაც ამ გვარდიაში მეომართა რიცხვი 24000-მდე ადიოდა (იქვე, ტ. I, ნაწ. II, გვ. 197—202). „დივან ალინშაში" წერია: „ჰალკას მეომრებს მხოლოდ ის საქმე შეეხებათ, რომელიც სულთნის პირად საჭიროებასთან არის დაკავშირებული. ჰალკაში ერთხანს 12000 მეომარი შედიოდა, მაგრამ შემდეგში ეს რიცხვი ძალზე შემცირდა (იქვე, ტ. I, ნაწ. II, გვ. 197—202).

მონღოლთა ცენტრში შეიჭრა. გადმოცემის მიხედვით, ამირა-იზ-ადინ-აიდე-მურ-ალჰაჯმა გაითამაშა გაქცეულის როლი, წარუდგა მონღოლებს და ითხოვა მანგუ-თემურთან მიმიყვანეთო. როგორც კი წარუდგინეს, მამლუქი ამირა ეკ-ეეთა მანგუ-თემურს და ცხენიდან ჩამოაგდო. მონღოლები მაშინვე ჩამოქვეით-დნენ, რომ თავიანთი ბელადი წამოეყენებინათ. ამასობაში ეგვიპტელებმა დრო იხელთეს და მტერს შეუტიეს. დაჭრილი მანგუ-თემური და მთელი მისი არმია გაიქცა. ერთმა ნაწილმა გეზი აიღო სალამიაჰისა და უდაბნოსაკენ, მეორემ ალე-პოსა და ევფრატის სანაპიროებს მიაშურა.

მაგრამ მონღოლთა მარჯვენა ფრთა, რომელმაც მტრის მარცხენა ფრთას ძლია, ჰომსის კედლებთან დაბრუნდა. სულთანმა კალაუნმა ბრძანა დროშების გაშლა და დაფ-ნაღარის ახმაურება. მას ათასი კაციღა შერჩენოდა თავის გარ-შემო. მონღოლებმა, ჩაიარეს რა მის ცხვირწინ, იერიშის მიტანა ვერ გაბედეს. მამლუქმა სულთანმა აცალა მათ წინ წასვლა, შემდეგ გრიგალ-ქარივით ეძგერა და აიძულა სამარცხვინოდ გაქცეულიყვნენ. ეგვიპტელებმა სრული გამარჯვება მოიპოვეს. მონღოლებმა ბრძოლის ველზე უთვალავი მოკლული დატოვეს.

მონღოლებმა გაქცევის დროს უფრო მეტი დაკარგეს, ვიდრე ბრძოლაში. ბევრი მათგანი ევფრატის ნაპირებზე დაიმალა. კალაუნმა ბრძანა—ცეცხლი წაუკიდეთ მდინარის სანაპიროებსო. ბევრი მონღოლი ცეცხლის ალში დაიღუ-პა, გზაშიც ბლომად დაიხოცა, როცა სალამიაჰიდან გარბოდნენ. მამლუქი ამი-რა ტორონტაი თავს დაესხა მანგუ-თემურის ჯარის ერთ-ერთ ჯგუფს და დაატ-ყვევა[1].

ამრიგად, კალაუნის მთავარსარდლობით მამლუქთა ჯარმა სასტიკი ლახ-ვარი ჩასცა მონღოლებს ახლო აღმოსავლეთში. შემდეგში ნიკუდაზ აჰმადის—ირანის ილხანების რიგით მესამე მბრძანებლის—მოქცევამ ისლამის რჯულზე და აქედან დაწყებულმა შინაურმა არეულობამ, მონღოლთა იმპერიის დასავლეთ ნაწილში, გამოიწვია კონფლიქტის შეწყვეტა, თუმცა ილხანები ამის შემდეგაც განაგრძობდნენ აგიტაციას ევროპაში მახლობელი აღმოსავლეთის ასპარეზზე ჯვაროსანთა ბატონობის აღდგენის სასარგებლოდ[2].

კალაუნმა დიდი სამხედრო ექსპედიციების ჩაუტარებლად თავის სამფლო-ბელოებში ძალაუფლება იმდენად განამტკიცა, რომ მის მიერ გაცემული პას-პორტებით ვაჭრებს შეეძლოთ მშვიდობიანი გადასვლა ეგვიპტიდან სირიასა და ინდოეთში. სიკვდილის წინა ხანებში კალაუნი გეგმავდა ფრანგ ჯვაროსანთა სრულ განდევნას სირიის მიწა-წყლიდან. მაგრამ ვერ შეისრულა ეს საწადელი, ისე გარდაიცვალა 1290 წლის 10 ნოემბერს[3].

კალაუნის დროს პირველად იქნა გაგონილი სახელი ე. წ. ბურჯელი მამლუ-ქებისა. ეს სახელი წარმოდგა კაიროს ციტადელის არაბული სახელწოდებიდან

[1] Makrizi, დასახ. შრომა. ტ. II, ნაწ., I, ბ., 1842, გვ. 36—39.

[2] The Enc. Brit. XIII გამ., ტ. IX, 1926, გვ. 99—100.

[3] M a k r i z i, დასახ. შრომა, ტ. II, ნაწ. I, ბ., 1842, გვ. I—III.

(„ბურჯი"). ამ ციტადელში კალაუნს ჰყავდა დაბანაკებული მამლუქთა ერთი ნაწილი (სახელდობრ—3700 მეომარი თორმეტი ათასიდან). კალაუნმა შემოიღო პრაქტიკა, რომელსაც შემდეგში ხშირად მისდევდნენ მამლუქი სულთნები: სახელმწიფო თანამდებობებზე მხოლოდ და მხოლოდ მუსულმანთა წამოყენება. მაგრამ, მამლუქი სულთნები ცხოვრებამ იმაშიც დაარწმუნა, რომ მათ არ შეეძლოთ ფონს გასულიყვნენ ებრაელი და ქრისტიანი ფინანსისტების დაუხმარებლად[1].

კალაუნმა კლინიკურ გამოკვლევათა ჩასატარებლად დააარსა ჰოსპიტალი. მანამდე არცერთ სხვა სულთანს არ უფიქრია ასეთი ფართო მასშტაბით კლინიკური კვლევა-ძიების მოწყობა.

კალაუნის შვილმა მალიკ ალ-აშრაფ სალაჰ ალ-დინმა 1291 წლის 18 მაისს აიღო აკრას (აკა) ციხე-სიმაგრე. მას მიჰყვა სიდონი, ჰაიფა, ბეირუთი და სხვები, რის შედეგადაც მალიკ ალ-აშრაფ სალაჰ ალ-დინმა დაასრულა სირიიდან ჯვაროსნების განდევნა. მანვე მოაწყო ექსპედიცია მცირე სომხეთის წინააღმდეგ[2].

ამის შემდეგ მალე გაჩაღდა ბრძოლა სულთნის ფავორიტ ვაზირსა და ვიცე-მეფე ბაიდარას შორის. მინისტრების ეს კონფლიქტი დასრულდა იმით, რომ ბაიდარამ 1293 წლის 12 დეკემბერს მოკლა სულთანი და თვითონ ავიდა ტახტზე. მაგრამ დაუყოვნებლივ ჩამოაგდეს მოკლული სულთნის მომხრეებმა. ამ უკანასკნელთ სულთნად გამოაცხადეს კალაუნის ყველაზე უმცროსი შვილი მუჰამედ მალიკ ალ-ნასირი, რომელიც ტახტიდან ორჯერ ჩამოაგდეს.

პირველად იგი შეცვალა კალაუნის სხვა შვილმა ალ-მალიკ ენ-ნასირ მუჰამედმა, რომელიც მხოლოდ ცხრა წლისა იყო და ქვეყნის საჭესთან რეგენტი კეტბუგა მოექცა. კეტბუგამ კალაუნის მაგალითს მიბაძა და მალე სულთნის ტიტულიც მიითვისა.

ცოტა ხნის შემდეგ ტახტზე მოუხმეს კალაუნის განდევნილ შვილს მუჰამედ მალიკ ალ-ნასირს. მან მონღოლების წინააღმდეგ ორი ექსპედიცია ჩაატარა და მეორე ექსპედიციის დროს დამასკოს ახლოს გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა. ბრძოლა სამ დღეს გრძელდებოდა. მტრის მძლეველმა მამლუქმა სულთანმა კაიროში შესვლის ტრიუმფალური პროცესია მოაწყო. წინ მიუძღვებოდა 1600 ტყვე, რომელთაგან თითოეულს ხელში მოკლული ამხანაგის თავი ეჭირა. პროცესიის სხვა მონაწილეებს შუბებზე წამოცმული ათასამდე მონღოლის თავი მოჰქონდათ[3].

ხუთმა წელმა რომ განვლო, სულთანი მუჰამედ ალ-ნასირი იძულებული გახდა ნებაყოფლობით აეღო ხელი ძალაუფლებაზე, რადგანაც ვერ გაუმკლავ-

---

[1] The Enc. Brit. XIII გამ., ტ. IX, გვ. 99—100.

[2] M a k r i z i, დასახ. შრომა, ტ. II, ნაწ. I, პ., 1842, გვ. 112—157.

[3] The Enc. Brit., IX ვამოცემა. შდრ. Makrizi, ტ. II, ნ. II, გვ. 1—20.

და ორ ძლიერ ამირას—ბაიბარსს და სილარს—და ხელმეორედ მიაშურა წინანდელ თავშესაფარს — კარაკს[1].

მუჰამედ ალ-ნასირის დროს ეგვიპტეში დაიწყო ქრისტიანთა და ებრაელთა სასტიკი დევნა. მათ უბრძანეს ეტარებინათ ლურჯი და ყვითელი თავსაბურავები („ტურბანები"), აუკრძალეს ცხენზე და სახედარზე ჯდომა, სახელმწიფო თანამდებობათა დაკავება; აიკლეს და დაარბიეს ეკლესიები და სინაგოგები. ფანატიზმის ეს ლანქერი დაახლოებით ერთ წელიწადს მძვინვარებდა. ასეთი პოლიტიკის მიზეზად მამლუქებმა გამოიყენეს ქრისტიანი ქვეყნების კავშირი ილხანების სამეფოსთან. შემდგომ ხანებში მამლუქმა სულთნებმა აღადგინეს დანგრეული ეკლესიები და სინაგოგები.

მუჰამედ მალიკ ალ-ნასირი უცხოეთში მეორედ რომ გადაიხვეწა, როგორც ხელისუფლების საქეს ძალით ჩამოშორებული, სულთნად გამოცხადებულ იქნა ალ-მალიკ ალ-მუდაფარი. მაგრამ, დროთა განმავლობაში გადახვეწილმა მუჰამედ მალიკ ალ-ნასირმა მხნეობა დაიბრუნა, შეჰყარა არმია, გაეშურა დამასკოსაკენ, სადაც მაშინვე აღიარეს უზენაეს მბრძანებლად, შემდეგ წავიდა კაიროსაკენ და ეგვიპტის სატახტოში უბრძოლველად შევიდა. უზურპატორი ალ-მუდაფარი მისი მოახლეებისთანავე გაიქცა. ხალხს არ უყვარდა ეს უზურპატორი, ციხეში მიიტანა მის თავშესაფარზე და ჩაჰქოლა. მუჰამედ მალიკ-ალ-ნასირი მესამედ ავიდა ეგვიპტის ტახტზე.

XIV საუკუნის პირველ ნახევარში მალიკ ალ-ნასირი შეიჭრა ნუბიაში, რათა იქ საჭესთან თავისი მარიონეტი დაესვა. მალიკ ალ-ნასირი სიუზერენად ცნო ჩრდილოეთმა აფრიკამ, არაბულმა ერაყმა და მცირე აზიამ, თუმცა მას არ აღმოაჩნდა ძალა საბოლოოდ დაეპყრო რომელიმე ეს ქვეყანა. მანვე აიღო მედინა, რომელსაც მანამ დამოუკიდებელი შერიფები განაგებდნენ და მუსულმანთა ეს საღვთო ქალაქი თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა. მალიკ-ალ-ნასირი საერთაშორისო ურთიერთობის ფართო ასპარეზზე გამოვიდა. ამ მხრივ მას ვერც ერთი მისი წინამორბედი ვერ შეედრებოდა, ურთიერთობა ჰქონდა ბულგარეთთან, ინდოეთთან, აბისინიის მფლობელებთან, რომის პაპთან, არაგონიისა და საფრანგეთის მეფეებთან.

1319 წელს მუჰამედ მალიკ ალ-ნასირმა ცოლად შეირთო ოქროს ურდოს[2] გამგებლის უზბეკ-ხანის ქალიშვილი.

როგორც ითქვა, მუჰამედ მალიკ ალ-ნასირი მცირე აზიაშიც შეიჭრა.

1305—1308 წლებში მცირე სომხეთის ტახტზე ლეონ მეოთხე იჯდა. თავდაპირველად მან შეძლო თავისი სამეფოდან „სარაცინების" განდევნა, მაგრამ

---

[1] ეს ქალაქი ვოლნეის განმარტებით დამასკოდან 86 მილზე მდებარეობდა. რანგით ითვლებოდა სირიის 11 ცენტრად.

[2] „ოქროს ურდო" ერქვა ბათო ყაენის ლაშქრობათა (1236—1242 წწ.) შედეგად დაარსებულ სახელმწიფოს, რომლის საზღვრებში შედიოდა ვოლგისა და დნეპრის ქვემო დინების აუზები, ყირიმის ნახევარკუნძული, კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროები და სხვ.

შემდეგ ეგვიპტელთა და სხვათა გამუდმებულმა შესევებმა ლეონ მეოთხე აიძულეს შეკავშირებოდა მონღოლთა იმპერატორ ალგიაპტუ ხოდაბენდეს. მათ ერთობლივ გამოსვლას ხელი შეუშალა ლეონ მეოთხის უეცარმა სიკვდილმა. ერთნი ამტკიცებენ — იგი მოკლეს თვით ხოდაბენდეს ბრძანებით; ეს იმპერატორი გაჯავრებული იყო, რომ ლეონ მეოთხემ 1308 წელს, როცა მის სატახტოს მონღოლი მოკავშირე ეწვია, დააგვიანა საპატიო სტუმართან შესახვედრად გასვლაო. მეორენი ლეონის მკვლელობას მიაწერენ მონღოლთა სარდალს ბილარგუს. მესამენი ფიქრობენ, რომ სომხების მეფე მოკლეს სომხურ-რომაული ეკლესიის უნიის მტრებმა.

ლეონ მეხუთე, რომელიც მცირე სომხეთის ტახტზე იჯდა 1320—1342 წლებში, სულ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მოეგერიებინა მამლუქთა ჯარები. მართალია. ერთხელ — ე. წ. ლაიასოს ველზე გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ შემდეგ დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა.

1374 წელს ეგვიპტის მამლუქი სულთნის ჯარები შეიჭრნენ კილიკიაში. ამ დროს იქ მეფობდა ე. წ. ლუზინანთა საგვარეულოს წარმომადგენელი ლეონ მეექვსე. მცირე სომხეთი მამლუქთა მიერ დაპყრობილ იქნა ჯერ კიდევ 1371 წელს, როცა გამარჯვებულებმა დასწვეს კილიკიის სატახტო სისი და ლეონ მეექვსე აიძულეს მთებში გაქცეულიყო, მაშინ გავრცელდა ხმები, რომ იგი მკვდარია. მისმა ცოლმა ეს დაიჯერა და გადაწყვიტა მისთხოვებოდა ბრაუნშვეიგის პრინცს ოტონს. სწორედ იმ დროს, როცა ეს საქმე დასასრულს უახლოვდებოდა, ლეონ მეექვსე მოულოდნელად ქ. ტარსში გამოჩნდა. მან მამლუქ სულთანს საზავო მოლაპარაკება გაუმართა. მაგრამ გამარჯვებაში წინასწარ დარწმუნებულმა სულთანმა ზავი მედიდურად უარჰყო. ქ. საბანში ჩაკეტილმა ლეონ მეექვსემ ცხრა თვეს გაუძლო მამლუქთა ჯარების ალყას, შემდეგ კი დანებდა. მამლუქებმა იგი წაიყვანეს და ჯერ იერუსალიმში ჰყავდათ ოჯახიანად დატყვევებული, შემდეგ კი კაიროს ტუსაღი გახდა. გათავისუფლეს კასტილიის მეფის ხუან პირველის ჩარევის შედეგად. ლეონ მეექვსემ თავი შეაფარა საფრანგეთის მეფეს შარლ მეექვსეს, რომელმაც სენტდენის ახლოს მიუჩინა რეზიდენცია და 12000 ლივრის ოდენობით პენსიაც დაუნიშნა. ლეონ მეექვსე ევროპის ყველა მონარქს ეხვეწებოდა—მოხმარებოდნენ სომხეთის ქრისტიანული სამეფოს აღდგენაში. მართალია, ამ საქმეში ეერავინ უშველა, მაგრამ ლეონს ევროპაში პატივისცემა არ მოკლებია. კილიკიის დამოუკიდებელ სამეფოს ეგვიპტის მამლუქებმა ბოლო მოუღეს 1375 წელს. მამლუქი სულთანი მუჰამედ მალიკ ალ-ნასერი დიდ ყურადღებას აქცევდა მესაქონლეობას და სოფლის მეურნეობის განვითარებას. მის მიერ გაჭრილმა ახალმა არხმა (ფუაჰიდან ალექსანდრიამდე) ეგვიპტეს დამატებით შესძინა მიწათმოქმედებისათვის გამოსაყენებელი 100 ათასი ფედანი[1] ფართობი. მუჰამედ მალიკ ალ-ნასირმა უდიდესი გემოვნებით მორთო კაირო. მის მაგალითს მიბაძეს ალეპოს, დამასკოს და სხვა

[1] ფედანი უდრის 0,42 ჰექტარს.

დიდი ქალაქების გამგებლებმა. მაკრიზთან დაცული მასალებიდან ირკვევა მამლუქი სულთნებისა და ამირების ცხოველი დაინტერესება ხუროთმოძღვრების განვითარებით და ამ სფეროში საერთაშორისო პრესტიჟის მოხვეჭით. მაკრიზს მოაქვს ამირა ბაიაზარის საინტერესო მაგალითი. ამირას უარი უთქვამს სულთნის ტახტზე, როცა მისი დაკავების რეალური შემთხვევა მისცემია და უზარმაზარი თანხები და ენერგია შეუწირავს ხუროთმოძღვრების შედევრების შესაქმნელად. მისი ბრძანებით აგებული საოცრად ლამაზი და მდიდრული სასახლე ფრანგმა ღამპყრობლებმა თავიანთი ელჩების რეზიდენციად ამოირჩიეს. ერთხელ მამლუქ სულთანს ბაიაზარისათვის უკითხავს — ამდენ ფულს რომ ხუროთმოძღვრებაში ხარჯავ, რას უტოვებ რელიგიის დამცველებს და თურქებსო? ამირას უპასუხნია — ღვთის მოწყალებასო და დაუმატებია — სასახლე ავაშენე იმისათვის, რომ ამ ცნობამ მიაღწიოს მტრის ქვეყნებს და იქ თქვან — ერთმა მამლუქმა ასეთი რამ გააკეთაო.

მუჰამედ მალიკ ალ-ნასირი თავისი სასულთნოს სამხედრო ძლიერებაზეც ზრუნავდა. განსაკუთრებით მაღალ ფასებში ყიდულობდა მამლუქებს[1].

ამ ფაქტთან დაკავშირებით, ინტერესს იწვევს გვიანი ხანის ცნობა, რომელიც ეკუთვნის რუსეთის ელჩს ვ. ტამარას და 1802 წლის 16/28 იანვრით არის დათარიღებული: „არსად ისე ძვირი არ ღირდნენ ქართველი ტყვეები, როგორც ეგვიპტეში"[2] (ცხადია, რუსეთის ელჩს მხედველობაში აქვს მეტ-ნაკლებად შორეული წარსულიც. მაკრიზის ცნობებიდან ჩანს, რომ საერთოდ კავკასიელი და, კერძოდ — ქართველი ტყვეების მაღალ ფასებში შესყიდვის პრაქტიკა XIII—XIV საუკუნეებშივე დაწყებულა და ამ მხრივ ერთ-ერთი მაგალითის მიმცემი ლეგენდარული კალაუნის შვილი მუჰამედ მალიკ ალ-ნასირი ყოფილა).

საყურადღებოა, რომ 1315 წელს ეგვიპტის 24 პროვინციიდან ათის შემოსავალი ხმარდებოდა მამლუქ სულთანს, ხოლო თოთხმეტისა — ამირებსა და არმიას. საინტერესოა ისიც, რომ მუჰამედ მალიკ ალ-ნასირმა აღკვეთა საგადასახადო პოლიტიკის გატარებაში არსებული თვითნებობანი და ქრისტიანებს გადასახადების ტვირთი შეუმსუბუქა[3].

1382 წელს ძალაუფლება ხელთ იგდო ბარკუკმა, რომელმაც ეგვიპტეში დასაბამი მისცა მამლუქთა ახალ დინასტიას.

ბარკუკი სულთნობას შეუდგა მალიკ-ალ-ზაჰირის ტიტულით. მან ტახტიდან გადააყენა გარდაცვლილი სულთნის მალიკ-ალ-მანსურის მცირეწლოვანი ძმა ჰაჯი. მაგრამ მოკლე ხანში ჰაჯის ძალაუფლება რესტავრირებულ იქნა როცა დამასკოს გამგებელმა იელბოღამ კაირო აიღო და ბარკუკი ეგვიპტიდან გააძევა. ჰაჯი იელბოღას მეურვეობით სულთნობდა.

---

[1] The Enc. Brit. XIII, გამ., ტ. IX, გვ. 101.

[2] Внешняя политика России XIX и XX века. I. М., 1960, გვ. 70. «Нигде так дорого не платились невольники тех наций (ზემო ტექსტში დასახელებულია საქართველო და სამეგრელო — დ. ჯ.), как в Египте».

[3] The Enc. Brit., XIII გამ., ტ. XI, გვ. 101.

ბარკუკმა, რომელიც კარაკში იყო გაძევებული, მოახერხა მომხრეთა პარტიის შედგენა. 1390 წ. იანვარში შაჰაბთან დაამარცხა და დაატყვევა სულთანი ჰაჯი და კაიროში ქვეყნის საჭეს ხელახლა დაეუფლა, როგორც მამლუქთა ახალი დინასტიის დამაარსებელი სულთანი[1].

XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე მახლობელ აღმოსავლეთს თავს დაატყდა უდიდესი განსაცდელი. მას შემოესია მრისხანე შუააზიელი დამპყრობი თემურ-ლენგი.

თემურ-ლენგის მიერ დევნილმა აზერბაიჯანის პრინცმა აჰმედ ჯელაირმა თავშესაფარი სულთან ბარკუკთან პოვა. თემურმა ბარკუკს მისი გაცემა მოსთხოვა. მამლუქმა სულთანმა თემურის ელჩი სიკვდილით დასაჯა[2].

ბარკუკი თემურ-ლენგს მამაცურად შეებრძოლა და ტახტი დაუბრუნა ბაღდადის ხალიფას, რომელიც თემურ-ლენგის დარტყმას გაქცეოდა და თავი ეგვიპტისათვის შეეფარებინა.

მძვინვარე თემურ-ლენგმა ხმლით აკუწა ქ. ედესის[3] მოსახლეობა. ასეთივე ბედი ემუქრებოდა ალეპოელებსაც, რომ მათ არ მიშველებოდა ზემოხსენებული მამლუქი სულთანი. ოსმალეთის ხვანთქარმა ბაიაზეთ პირველმა მამლუქ ბარკუკთან თავდაცვითი კავშირი გააფორმა. ბარკუკ სულთანი გარდაიცვალა უეცრად. სამარეში ხალხის სიყვარულით გარემოსილი ჩავიდა. განათლების მფარველობისა და სიბრძნისათვის მას შეიხი უწოდეს. იყო ენერგიული, ფრთხილი და გამჭრიახი ხელისუფალი, გააჩნდა ისეთივე სამხედრო ტალანტი, როგორიც ბაიბარსს, მაგრამ მოკლებული იყო იმავე ბაიბარსისათვის დამახასიათებელ სიმკაცრეს. ეგვიპტის ხაზინა საესე დატოვა და მატერიალური დოვლათით სახელმწიფო უზრუნველყოფილი აღმოჩნდა.

1400 წლის 30 ოქტომბერს, როცა ბარკუკის ახალგაზრდა ვაჟი ალ-მალიკ ენ ნასერ აბუსაადატ ფარაგი მეფობდა, თემურ-ლენგმა ალეპოს ახლოს დაამარცხა სირიის ამირები და ქალაქსა და მის ციტადელს დაეუფლა. XV ს. პირველ წლებში თემურის ჯარებმა ხელთ იგდეს მთელი ჩრდილოეთი სირია. მოკავშირე ბაიაზეთის დამარცხებითა და დატყვევებით დამფრთხალმა ფარაგმა, მას შემდეგ, რაც ეგვიპტეში თავი მოუყარა მთელ ძალებს, თემურ-ლენგს ელჩი აახლა და ზავი დაიდო. ფარაგმა თავისი ტერიტორიის ნაწილი დათმო მრისხანე მტრის სასარგებლოდ.

თემურ-ლენგის სიკვდილმა (1405 წ. თებერვალი) სირიაში მამლუქი სულთნების ძალაუფლების აღდგენა გამოიწვია. მაგრამ, შემდეგ, სირია იქცა ყველა იმათ ბუდედ, ვინც იბრძოდა ეგვიპტის სულთნების ჩამოსაგდებად. როგორც უკმაყოფილო და ურჩი ვასალი.

---

[1] The Enc. Brit. XIII გამ., ტ. IX, გვ. 101—102.

[2] Hammer, დასახ. შრომა, ტ. IV, ბ., 1836, გვ. 268.

[3] ედესი — მესოპოტამიის უმდიდრესი ქალაქი, მეორენაირად — ორფა. განთქმულია ფილოსოფოსთა ედესის სკოლა. ედეს ანტიოქ VIII თავისი სახელი უწოდა. 1637 წელს დაიპყრეს თურქებმა, ამ ქალაქში 50.000 კაცი ცხოვრობდა (XIX ს.).

1405 წელს, როცა ფარაგი თემურის მიერ დაპყრობილი მიწების დასაბრუნებლად ემზადებოდა, ჩამოაგდეს მამლუქებმა. ხალხმა დაიჯერა ფარაგის სიკვდილი. სულთნად მისი ძმა გამოცხადდა, უკანასკნელმა მალიკ-ალ-მანსურის ტიტული მიიღო. ორ თუ სამ თვეში ისიც ჩამოაგდეს და ფარაგმა სულთნის კვერთხი დაიბრუნა. 1412 წ. ხელახლა იქნა დეტრონიზებული. არის ცნობები, ეგვიპტელთა უკმაყოფილება გამოიწვია იმით, რომ მონეტებზე თავისი სახე ამოკვეთაო.

ერთ-ერთი სირიელი ლიდერის ამირ შაიხ-ალ მაჰმუდის ჩაგონებით და მისივე ჯარების მხარდაჭერით ეგვიპტის სულთნად თავი თამამად გამოაცხადა აბასიდმა ხალიფამ ელ-მუსტაიინ ბილაჰმა. ამ უკანასკნელმა „საღვთო საქმისაკენ“ მოწოდებით ბევრი მომხრე გაიჩინა, გაასამართლა ალ-მალიკ-ენ-ნასირ აბუსაადატ ფარაგი, ბრალად დასდო მას უდანაშაულო ადამიანების სიკვდილით დასჯა. ელ-მალიკ ენ-ნასირ აბუსაადატ ფარაგის ცხედარი დაუმარხავად დატოვეს. აბულ მაჰასინი ფარაგს ახასიათებს, როგორც ექსტრავაგანტურ, სასტიკ და გარყვნილ მეფეს.

ალ-მაჰმუდმა ეგვიპტის ტახტიდან ჩამოაგდო აბასიდი სულთანიც და თვითონ იკისრა სულთნობა. მან სირია ჩააბარა თავის კოლეგა ნევრუზს, მაგრამ მალე მათ შორის კონფლიქტი წარმოიშვა. ნევრუზი დამარცხდა და სიცოცხლე მოუსწრაფა გამარჯვებულმა.

ალ-მაჰმუდმა, როგორც ეგვიპტის სულთანმა, სირიაში სამი ძლევამოსილი ლაშქრობა ჩაატარა, პირველი ლაშქრობის დროს ვერაგულად გატეხა მიცემული სიტყვა და დახოცა დამასკოს მმართველი და მისი გარნიზონი. შემდეგ მცირე აზიაში ილაშქრა და იძულებული გახადა თურქმანთა სამეფოები ეცნოთ მისი სიუზერენობა. კაიროში რომ დაბრუნდა, თურქმანები ხელახლა აუჯანყდნენ. მათ წინააღმდეგ სულთანმა გაგზავნა შვილი იბრაჰიმი. ამ უკანასკნელმა ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა და თავისი გამარჯვებებით შური აღუძრა მამამისს. არის ცნობა, რომ სულთანმა შვილი მოწამლა. მაგრამ მალე მტარვალი მამაც მოკვდა (1421 წ. 13 იანვარი).

ალ-მაჰმუდი მარტო ძლევამოსილი ლაშქრობებითა და მტარვალობით როდია ცნობილი. მან სახელი მოიხვეჭა, როგორც საზოგადო საქმისათვის ზრუნველმა და სწავლა-განათლების დიდმა მეცენატმა. კაიროში ბაბ-ზუვეილასთან ააგო ულამაზესი მეჩეთები, რომელთაც თვალწარმტაცი მინარეთები აშენებდა.

1422 წ. 1 აპრილს სულთნად გამოცხადდა მალიკ ალ-აშრაფი. მან ფლოტი გაგზავნა კვიპროსის წინააღმდეგ, რომელიც თავს ესხმოდა ეგვიპტის სანაპიროებს. მამლუქი სულთნის ფლოტმა დაწვა ლიმაზოლი, 1425 წლის 4 აგვისტოს აიღო ფამაგუსტა, მაგრამ ვერ მოახერხა კუნძული ეგვიპტისათვის შემოეერთებინა 1426 წელს ეგვიპტიდან კვიპროსში სხვა ექსპედიცია გაიგზავნა. ამ ექსპედიციამ დაატყვევა კვიპროსის მეფე. ეს უკანასკნელი გაათავისუფლეს 200.000

დინარის საფასურად იმ პირობით, რომ კვიპროსზე ეგვიპტის სიუზერენიტეტს აღიარებდა და მამლუქ სულთანს ყოველწლიურ ხარკსაც გადაუხდიდა.

მეორე ფაქტი, რომელმაც მალიქ ალ-აშრაფს კიდევ უფრო გაუთქვა სახელი ევროპაში, იყო მისი როლი სავოიის სასახლის კარსა და კვიპროსს შორის ატეხილ უთანხმოებაში.

მალიქ ალ-აშრაფმა უცხოელ ვაჭართაგან ფულის გამოძალვაში ყველა წინამორბედს აჯობა. ამან გამოიწვია ვენეციელთა სამხედრო-საზღვაო დემონსტრაცია, რის მეოხებითაც დოჟმა მიაღწია ეგვიპტეში ვენეციელთათვის უკეთესი სავაჭრო პირობების უზრუნველყოფას.

ხსენებულმა სულთანმა ძალიან დიდი ყურადღება დაუთმო ლაშქრობებს მცირე აზიაში, სადაც ხშირად ხდებოდა აჯანყებები. მანვე სიცოცხლე გაუმწარა თემურ-ლენგის შვილს შაჰროხს, ჰქონდა ომები ამიდის პრინცთან და ა. შ.

მამლუქ ამირ კოშკადამის დროს ეგვიპტე-ოსმალეთის დამოკიდებულება ეფრო გაწვავდა (იგი, როგორც გამონაკლისი მამლუქ სულთანთა შორის, წარმოშობით ბერძენი მონა იყო). ხვანთქარი და მამლუქი სულთანი ამ დროს ერთმანეთს ყარამანიაზე (მცირე აზიის პროვინცია) ბატონობას ეცილებოდნენ. აქ ერთმანეთს მათი კანდიდატები და პარტიები ებრძოდნენ. მაგრამ ამირ კოშკადამის დროს აშკარა ომს ადგილი არ ჰქონია.

კოშკადამი გარდაიცვალა 1467 წ. 9 ოქტომბერს და მამლუქებმა სულთნად აირჩიეს ათაბაგი იელბაი, რომელიც ქვეყანას მალიქ ალ-ზაჰირის ტიტულით განაგებდა.

საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია ათაბაგი[1] ალ-აშრაფი კაიტ-ბეი, რომელიც სულთნის ტახტზე 1468 წ. 31 იანვარს ავიდა. იგი აგრეთვე ოსმალეთთან ომების ორგანიზატორიც იყო.

სტამბოლის კმლების — მუჰამედ მეორის წარმატებებმა ალ-აშრაფ კაიტ-ბეის აფიქრებინა უარი ეთქვა ტახტზე, მაგრამ ამირების დაჟინებული მოთხოვნით ეს გადათქვა და საომრად მოემზადა. მან აიღო ტარსუსი და ადანეჰი[2], შეავიწროვა ოსმალი პილიგრიმები, ხელთ იგდო ინდოეთის ელჩი, რომელიც საჩუქრებით დატვირთული სტამბოლს მიემგზავრებოდა. მუჰამედ მეორის მეჯვიდრის, ბაიაზეთის საყვედურებს დევნილი თურჩი პრინცისათვის თავშესაფარის მიცემის თაობაზე ალ-აშრაფ კაიტ-ბეიმ უპასუხა ძლევამოსილი ლაშქრობით ოსმალეთის აზიელი სარდლის ალა-ელ-დოვლეჰის წინააღმდეგ. ამასობაში ხვანთქრის ჯარებმა ეგვიპტეს წაართვეს ტარსუსი და ადანეჰი.

მამლუქმა სულთანმა ყველა ომის წარმოება მიანდო ამირა ალ-ეზბეკის. ამირამ ზემოხსენებული ორი ქალაქი დაიბრუნა, დაამარცხა მის წინააღმდეგ გაგზავნილი ოსმალთა დიდი არმია და ყარამანიის ანექსია მოახდინა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოხდა სისხლისმღვრელი ბრძოლა ტარსუსთან.

---

[1] სიტყვა „ათაბაგი" ნიშნავს „პრინცის მამას", ანდა „პრინცის მეურვეს".

[2] სომხური სახელწოდება — კილიკიის ქალაქები მცირე აზიაში.

იგი ორ დღეს გაგრძელდა. მართალია, პირველი დღე მამლუქთათვის ცუდად გათავდა, მაგრამ ღამით ამირა ალ-ეზბეკიმ ძალები გადააჯგუფა და მეორე დღეს ოსმალების ჯარი გაანადგურა. ამ გამარჯვებას მოჰყვა ხანგრძლივი დიპლომატიური მოლაპარაკება. ალ-აშრაფ კაიტ-ბეიმ დათმო სადავო ქალაქები ტარსუსი და ადანეჰი. ჰამერის გადმოცემით, კაიტ-ბეიმ ოსმალეთის არმიებს ზედიზედ სამი დამარცხება აგემა, შემდეგ საქმეში ტუნისის პრინცი ჩაერია და ზავიც დაიდო; ამის შემდეგ ოსმალეთ-ეგვიპტის მშვიდობიანმა ურთიერთობამ ოცდახუთ წელიწადს გასტანა[1].

კაიტ-ბეი 1499 წელს გარდაიცვალა.

რამდენიმე ხნის შემდეგ (ერთი ცნობით — 1501 წლის 20 აპრილს, ხოლო მეორეთი — 1504—1505 წლებში) მამლუქებმა ტახტზე აიყვანეს კანსუჰ ალ-ჰავრი[2]. ისტორიაში იგი აღიარებულია შედარებით სამართლიან სულთნად, ძლიერ უყვარდა მეცნიერება და უნარიანი მმართველიც ყოფილა. მის დროს ადგილი ჰქონდა ეგვიპტისა და პორტუგალიის სამხედრო-საზღვაო კონფლიქტს. პორტუგალიის ფლოტი უშლიდა ხელს ინდოეთიდან მექაში მლოცველების ჩასვლას და ეგვიპტე-ინდოეთის აღებ-მიცემობის განვითარებას. კანსუჰს მიეწერება ეგვიპტის მძლავრი ფლოტის შექმნა, რომელიც პორტუგალიის სამხედრო-საზღვაო ძალებს ცვალებადი წარმატებით ებრძოდა[3].

1514 წელს კანსუჰ ალ-ჰავრიმ თავშესაფარი მისცა ოსმალეთის ხვანთქრის სელიმ პირველის მამას კარკუდს, რომელმაც მას ძნელბედობაში მფარველობა და შემწეობა სთხოვა. ეს ფაქტი სელიმ პირველმა ეგვიპტის წინააღმდეგ დიდი და სისხლისმღვრელი ომის საბაბად გამოიყენა. არსებობდა მეორე საბაბიც. სელიმ პირველმა მამლუქ სულთანს ბრალად დასდო სირიაზე გზის მიჩემა ვენეციაში მიმავალი სპარსეთის ელჩისათვის, რომელსაც დავალებული ჰქონდა ანტიოსმალური კოალიციის შედგენა.

1515 წელს დაიწყო ოსმალეთ-ეგვიპტის დიდი ომი, რომელმაც საქმე მიიყვანა მამლუქი სულთნების ბატონობის დასასრულამდე[4]. 1515 წელს, მაისის თვეში, სელიმ პირველი საომარი დეკლარაციით გამოვიდა[5].

ისტორიული მნიშვნელობის ეს ომი დაემთხვა საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარ ისეთ ძირფესვიან ცვლილებას, როგორიც იყო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და სავაჭრო გზების გადანაცვლება ხმელთაშუა ზღვის აუზიდან კეთილი იმედის კონცხის მიმართულებით, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ეგვიპტის სავაჭრო-ეკონომიურ მდგომარეობაზე. მეორეს მხრივ, ოსმალე-

---

[1] Hamer. დასახ. შრ., ტ. IV, ბ., 1836, გვ. 269—270.

[2] ჰამერის წიგნის ფრანგ. თარგმანში: „Kanssou-Ghawri" (იხ. ტ. IV, 1836, გვ. 264.).

[3] არაბული სამყაროსათვის ზღვაოსნობის მნიშვნელობისა და ეგვიპტე-ინდოეთის ვაჭრობის შესახებ იხ. Шумовский Т. Арабы и Море. 1964, стр. 116—143, 158.

[4] The Enc. Brit., XIII გამ., ტ. მე-9, გვ. 102—103.

[5] იქვე, ტ. მე-8, გვ. 72—73.

თი — ეგვიპტის მთავარი მოწინააღმდეგე — მაშინ ძალთა გაფურჩქვნის ხანაში შედიოდა და, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდ საერთაშორისო გამზიდაობას იჩენდა“.

მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთის ხვანთქრის სელიმ პირველის წინაშე სერიოზული ამოცანა იდგა. იმდროინდელ ეგვიპტეს მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალები ჰყავდა. ამ ძალების მასშტაბზე წარმოდგენას გვაძლევს ეგვიპტის მამლუქთა ცხენოსანი ჯარების რეესტრი, რომელიც XVII საუკუნის ერთ-ერთ არაბულ წყაროში[1] მოიპოვება:

| | |
|---|---|
| 1. ჯონდი ალ-ჰალკა ანუ სულთნის გვარდია . . . . . | 24000 |
| 2. სულთნის მამლუქები . . . . . | 10000 |
| 3. ეგვიპტის ამირთა მამლუქები . . . . . | 8000 |
| 4. დამასკოს ჟანდარმერია და დამასკოს ამირთა მამლუქები . | 15000 |
| 5. ალეპოს ჟანდარმერია და ალეპოს ამირთა მამლუქები . | 8000 |
| 6. ტრიპოლის ჟანდარმერია და ტრიპოლის ამირთა მამლუქები | 5000 |
| 7. საფადის ჟანდარმერია და საფადის ამირთა მამლუქები . | 2000 |
| 8. სირიის ციხე-კოშკთა გარნიზონები და მათივე მამლუქები . | 60000 |
| 9. მამლუქთა ქვეშევრდომი არაბების ცხენოსნები . . | 91000 |
| 10. სირიისა და დიარბექირის მიწა-წყალზე გაფანტული თურქმანები, რომლებიც აღრიცხვაზე ჰყავდათ მამლუქებს . . | 215000 |
| 11. ქურთების ცხენოსნები, რომლებიც მამლუქებს ემორჩილებოდნენ . . . . . | 20000 |
| 12. ე. წ. ეგვიპტის მილიცია, რომელიც ამ ქვეყნის ოცდაცამეტიათას[2] სოფელს გამოჰყავდა . . . . . | 66000 |
| სულ ყველა (ერთად აღებული) . . . . . | 526000 |

ცხადია, ეგვიპტის სულთნის ხელში უზარმაზარი ძალა იყო, მაგრამ საქმე წაახდინა შინაგანმა უთანხმოებამ. ახლა ვნახოთ, თუ რას ემყარება ჩვენი დასკვნა და როგორ განვითარდა მოვლენები.

ჰამერი წერს, რომ შეიტყო რა სელიმის მოძრაობა ალეპოს მიმართულებით, მამლუქმა სულთანმა 50 ათასი მეომარი ალეპომდე მიიყვანა და სელიმ პირველის ელჩებიც მიიღო. ისინი მან დილეგებში ჩაჰყარა, მაგრამ სელიმის მოახლოება რომ შეიტყო, გაათავისუფლა და გაუშვა. თანაც მათ ასეთი დავალება მისცა: თქვენი ბატონი და სპარსეთის შაჰი შეარიგეთო. 1516 წ. 18 აგვისტოს, როცა სელიმის ჯარმა ქ. მერზებანს მიაღწია, მას გამოეცხადა ქ. აინტაბის გამგებელი იუნისბეგი და, როგორც მამლუქთა მოღალატემ, მტერს სამსახური შესთავაზა: შენს ჯარს აინტაბიდან ალეპომდე მეგზურობას გავუწევ[3].

---

[1] Volney. Oeuvres completes De Volney. 1837. გვ. 176 (ვრცელი ფრაგმენტები ორი არაბული წყაროდან).

[2] ეს ცნობა შესაძლოა გაზვიადებულიც იყოს.

[3] Hammer, დასახ. შრომა, ტ. IV, ბ., 1836, გვ. 264.

სელიმ პირველმა ტყუილ-უბრალოდ როდი მიუსია ალეპოს მრავალრიცხოვანი სპა: მაშინ სირიისა და ირანის საზღვრებზე განლაგებული ეგვიპტელთა ჯარი სერიოზულ ძალას წარმოადგენდა. მამლუქმა სულთანმა სელიმს ელჩები წარუგზავნა. ჩემერზინის სიტყვით, ეს მან უფრო ჩვეულებისა და წესისათვის გააკეთა, ვიდრე ნამდვილი მოლაპარაკებისათვის[1]. ჰამერის გადმოცემით, მამლუქი სულთნის მთავარ ელჩს მოგოლბაი ერქვა. სელიმმა მას არ მოუსმინა, რწმუნებათა სიგელების წარდგენაც არ დააცალა, სიკვდილი გადაუწყვიტა მასაც მის ამალასაც. ელჩი სიკვდილისაგან იხსნა სელიმის ვაზირმა იუნის-ფაშამ. რომელიც ხვანთქარს შეევედრა — ნუ გავთელავთ საერთაშორისო სამართლის ნორმებსო. ხვანთქარმა დაუჯერა ნაწილობრივად: საელჩოს ათ წევრს თავები წარკვეთა, მთავარ ელჩს კი წვერ-ულვაში მოპარსა, საღამური ქუდი დაახურა, შესვა კოჭლ და ქეციან სახედარზე და მამლუქი სულთნის ბანაკისაკენ გააბრუნა[2]. ეს იყო საყოველთაოდ მიღებული წესების უხეში დარღვევა.

1516 წლის აგვისტოში 80 წელიწადს მიღწეული მამლუქი სულთანი კანსუჰგჰაური ოსმალეთის სპას მერჯიდაბიკთან შეხვდა. მამლუქთა ჯარი მოისრა. მათი სულთანიც ბრძოლის ველზე დაეცა. მერჯიდაბიკთან მომხდარი კატასტროფა მნიშვნელოვნად შეაპირობა შინაურმა ღალატმა.

სელიმ პირველმა ქ. ალეპოში ხელთ იგდო უზარმაზარი დავლა — ერთი მილიონი დუკატი და სამი ათასზე მეტი აბრეშუმის ტანსაცმელი, ფოცხვერ-სიასამურის ბეწვეულები და ა. შ[3].

ალეპოს შემდეგ დაეცა სირიის სხვა ქალაქებიც: მალატია, დივრანი, ბეჰნი და სხვები. ალეპოში სელიმ პირველმა საზეიმოდ გამოაცხადა თავი მექას და მედინას მფარველად, რაც მისთვის მოასწავებდა უდიდესი მნიშვნელობის პრეროგატივის მოპოვებას. შემდეგ სელიმი გაჰყვა თემურ-ლენგის მარშრუტს და ქ. ჰამა აიღო. მალე მიადგა სირიის სატახტო ქალაქ დამასკოს. აქ მას ლიბანის მთიელები (ე. წ. დრუზები) და არაბი ამირები გამოეგებნენ. დამასკოში სელიმ პირველმა რამდენიმე თვე გაატარა[4].

იქიდან ხვანთქრის მეწინავე რაზმი სირია-ეგვიპტის მომიჯნავე ქალაქის — ღაზას მიმართულებით წავიდა. ამასობაში ეგვიპტის სულთნად ამირა თუმან-ბეი აირჩიეს (მამლუქ კანსუჰის ძმისშვილი). თუმან-ბეის არჩევა ეგვიპტის სულთნად 1516 წლის 17 ოქტომბერს მოხდა[5].

---

[1] Чемерзин А., Турция, ея Могущество и распадение. Исторические и военные очерки. СПБ 1878. გვ. 193—202 (სელიმის ლაშქრობის ვრცელი აღწერა).

[2] Hammer, დასახ. შრომა, ტ. IV, ბ., 1836, გვ. 264—265.

[3] იქვე, გვ. 279.

[4] Чемерзин, დასახ. შრომა, გვ. 196—198.

[5] The Enc. Brit., ტ. VIII, გვ. 72—73

ძნელი ლაშქრობის განსახორციელებლად და მეომართა გულის გასამხნევებლად. სელიმ პირველმა ორი მილიონი აბჰრი დაარიგა[1].

დიდი ვაზირი სინან-ფაშა, რომელიც ოსმალთა მეწინავე რაზმს სარდლობდა, მამლუქებს ღაზის ახლოს შეხვდა. ეგვიპტის სპამ ამჯერადაც სასტიკი მარცხი იწვნია. ოსმალებმა ღაზა დაიკავეს და მისი მოსახლეობა გაქცევით. მეორე ღამეს დერვიშის ტანისამოსში გამოწყობილმა სელიმ პირველმა მიაშურა იერუსალიმს, მისი ყველა ღირსშესანიშნაობა დაათვალიერა და ჰებრონში აბრამის აკლდამასთან მუხლი მოიდრიკა. დაბრუნდა რა თავის ბანაკში, იმავე ხვანთქარმა საფედის, ტიბერიადის, ნაბლუსის და იერუსალიმის კლიტეები ჩაიბარა და არაბი შეიხები მიიღო. მთავარ შეიხს სელიმ პირველმა გადასცა დროშა და დაფი, როგორც უზენაესი ღირსების ნიშნები.

სელიმის არმია ისევ დაიძრა წინ. ათ დღეს გაგრძელდა მისი მარში არაბეთის ტრამალებში. ამ გადასვლის დროს ოსმალთა ჯარებს ბედუინთა თავდასხმები მოსვენებას არ აძლევდა. ბედუინები თუმან-ბეისაგან გულუხვად ჯილდოვდებოდნენ ყოველი მოკლული ოსმალოს თავისათვის. მიაღწია რა კამკას, სელიმმა კარვები ეგვიპტელთა ახლოს დასცა. აქ მას გამოეცხადა მოღალატე მამლუქი ღაზალი ბერდი, რომელმაც თუმან-ბეის არტილერიის გადამალვა ურჩია. ახლა მან სელიმს გაუმხილა გადამალული არტილერიის ადგილი და საქმე გაუადვილა. ბრძოლა დაიწყო მამლუქთა რჩეული მხედრობის იერიშით. როგორც ჩემერზინი ამტკიცებს, მოიერიშეებს თუმან-ბეის ძმა წინამძღოლობდა. მისი მიზანი ოსმალთა ცენტრის მოშლა იყო. აქ ხვანთქარი იდგა. სელიმი მომაკვდინებელ ხიფათს გადაურჩა მხოლოდ იმით, რომ მამლუქებმა ხვანთქრად მისი დიდი ვაზირი სინან-ფაშა მიიღეს. თუმან-ბეის ცხენოსნებმა ცენტრში მტრის რიგები მოთქერეს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა; ოსმალებმა, რომელთაც ღაზალი ბერდის ღალატის წყალობით, შეტყობილი ჰქონდათ თუმან-ბეის სამხედრო ეშმაკობა, მის უქმად მდგარ არტილერიას კარგა დიდი მანძილით აუარეს გვერდი იმ დროს, როცა სელიმის ზარბაზნები უმოწყალოდ მუსრავდნენ მამლუქებს. უკანასკნელთა მხედრობა განადგურდა და მოკლულთა და დაჭრილთა სახით 25 ათასი მეომარი დაკარგა[2].

თუმან-ბეიმ, აზუსტებს და აკონკრეტებს სხვა წყარო, მოღალატე ღაზალი ბერდის რჩევით, ზარბაზნები სოფელ რიდანიასთან დამალა. როგორც სეადედინი წერს, ეს ზარბაზნები ადილიეს ქვიშაში ჩაფლეს.

ღაზალი ბერდიმ თავისი თანამონაწილე კაირ-ბეის მეშვეობით სელიმ პირველს შეატყობინა, რომ, თუ იგი დაუყოვნებლივ გვერდს აუქცევდა მუკატამის მთას და პირდაპირ რიდანიაზე წავიდოდა, საშიში არაფერი ჰქონდა — ქვიშაში ჩამარხულ ზარბაზნები მის ჯარს ვერაფერს დააკლებდა. როცა სელიმმა ამ გამცემლობის წყალობით თავი დააღწია ეგვიპტელთა ზარბაზნების რისხვას, თუ-

[1] Hammer, დასახ. შრომა, გვ. 301.

[2] Чемеранин А, დასახ. შრომა, გვ. 197.

ჰან-ბეი მიხვდა, რომ ღაზალი ბერდმა იგი მოატყუა, რომ ზარბაზნების გადამალვის ტაქტიკა გამცემლობა იყო და სხვა არაფერი, მაგრამ სულთნის გამორკვევა გვიანი შეიქნა. ვერც დასაჯა გამცემი, რადგანაც ეშინოდა ბრძოლის დროს ჯარში პანიკას არ ეჩინა თავი.

ბრძოლა 1517 წლის 22 იანვარს დაიწყო. ოსმალეთის არმიის მარჯვენა ფრთაზე იდგა დიდი ვაზირი ანატოლიის ჯარებით, ე. წ. „თეთრბატკნიანთა“[1] პრინცების შთამომავალი და რამაზან-ოღლის დინასტიის უკანასკნელი ნაშიერი. ამ უკანასკნელს ახლდა ქალაქ ადანას კონტინგენტი. მარცხენა ფრთაზე რუმელიის ჯარებს სარდლობდა იუნის-ფაშა. ცენტრში თვითონ სელიმ პირველი ჩადგა.

დაიწყო ბრძოლა თუ არა, ფოლადით შეჯავშნილ ცხენოსანთა (ბეგთროსნები ანუ კირასირები) ერთი კორპუსი მამლუქების მარცხენა ფრთას ელვის სისწრაფით მოწყდა და სელიმ პირველის ბაირაღებს მიაშურა. ეს იყო მამლუქთა რჩეული კავალერია, რომელსაც წინ მიუძღოდნენ თუმან-ბეი და მისი ორი საუკეთესო სარდალი ალან-ბეი და კურტ-ბაი. სამივემ დაიფიცა — ან ცოცხლად შეეპყრათ ოსმალეთის ხვანთქარი, ანდა მკვდარი მაინც ეგდოთ იგი ხელთ. მათ წილად ხვდა გარკვეული წარმატება. ეკვეთნენ იმ ჯგუფს, სადაც იდგა დიდი ვეზირი სინან-ფაშა, რომელიც სელიმის პიროვნებად მიიღეს. სინან-ფაშას იქითაქეთ უდგნენ მაჰმუდ-ბეგ რამაზანოღლი და ალი ხაზნადარი, თუმან-ბეიმ, რომელსაც თავის ულუფად ხვანთქარი ამოერჩია, პირდაპირ დიდ ვაზირს მიაშურა, ალან-ბეის იერიში უნდა მიეტანა მაჰმუდ-ბეგზე, ხოლო კურტბაის ხელთ უნდა ეგდო ალი ხაზნადარი. სამი მამლუქი გმირი სულთანი და მისი ორი თანამოსანგრე—ისეთი გაუგონარი გამბედაობით ეკვეთნენ ოსმალთა რიგებს, რომ მტერმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოასწრო. მოიერიშე სამეულმა თავიანთი შუბებით ნაკუწ-ნაკუწ აქციეს სამივე ოსმალო დიდკაცი. ამის შემდეგ ჭურნები შეატრიალეს და მამლუქთა ძირითად ლაშქარს შეუერთდნენ. ალან-ბეი მტრის ტყვიას მძიმედ დაეჭრა.

მაგრამ, ასეთ ზღაპრულ მამაცობასაც არ შეეძლო ღაზალი-ბერდის ღალატსა და ოსმალეთის არტილერიას გამკლავებოდა. მინდორი მოკლული მამლუქების უამრავმა ცხედარმა დაფარა. სელიმ პირველმა საბრძოლო ბანაკი ადილიედან კაიროს პირდაპირ ვუსტანიეს კუნძულზე გადაიტანა, შემდეგ სელიმმა ეგვიპტის სატახტოში გარნიზონი შეგზავნა, თვითონ კი შიგ არ შეჰყოლია (ეს 1517 წლის 26 იანვარს მოხდა).

---

[1] XV საუკუნეში მცირე აზიის თურქმენთა ორი ტომი—ე. წ. „თეთრბატკნიანთა“ და „შავბატკნიანთა“ — ებრძოდა ერთმანეთს სპარსეთსა და შუამდინარეთზე გაბატონებისათვის. პირველს ეკავა დიარბექირის, ხოლო მეორეს — ვანის ტბის მხარე. XV ს. შუახანებში გაიმარჯვეს „თეთრბატკნიანებმა“. მათი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო უზუნჰასანი, რომელმაც დაამარცხა და მოკლა „შავბატკნიანთა“ ბელადი ჯაჰან-შახი. უზუნ-ჰასანი გარდაიცვალა 1477 თუ 1478 წელს.

29 იანვარს მამლუქთა სულთანი თუმან-ბეი ღამის საფარველით კაიროში შეიპარა და ოსმალეთის გარნიზონი სულ ერთიანად ამოჟლიტა. სელიმ პირველმა ბრძანება გასცა ბეგლერბეგ მუსტაფა-ფაშას, იანიჩართა აღა აიასს და მის მედროშე ამირას (ამირალემი) ფერჰადს ხელმეორედ აეღოთ კაირო. საამისოდ მათ ხვანთქარმა საუკეთესო ჯარები ჩააბარა. რიდანიასთან მოპოვებული გამარჯვებიდან რვა დღის შემდეგ ოსმალები ხელახლა შევიდნენ კაიროში, მაგრამ ყველა ქუჩა სანგარ-რედუტად, ხოლო ყველა შენობა ციხე-სიმაგრედ ქცეული დახვდათ. მამლუქებმა გმირული წინააღმდეგობა გასწიეს.

სამი დღე-ღამის ბრძოლების შემდეგ, სელიმ პირველმა გარეწარი კაირ-ბეგის რჩევით გამოსცა ყალბი პროკლამაცია მამლუქთა საყოველთაო ამნისტიის შესახებ. რვაასი გამოჩენილი მამლუქი მტერს დანებდა. სელიმ პირველმა ყველა ტყვეს ალ-რუმაილას მოედანზე თავები დასჭრა. ეს ამბავი კაიროს მოსახლეობის საყოველთაო ხოცვა-ჟლეტის შესავალი აღმოჩნდა. სელიმ პირველმა ამ მხრივ თემურ-ლენგის მაგალითები გაიმეორა. კაიროს ქუჩები 50 ათასი მოკლულის ცხედრით აივსო.

მამლუქ ბეგთა შორის უმამაცესი კურტბაი საყოველთაო მუსვრას გადაურჩა და კაიროში იმალებოდა. ეს ამბავი სელიმს აცნობეს. მანაც ჯაშუშები სრული დატვირთვით აამუშავა, მაგრამ კურტბაის ადგილსამყოფელს ვერ მიაგნეს. ბოლოს სელიმ პირველმა ხერხი იხმარა: კურტბაის მეგობრის აბუბექრის შვილის იაიას ხელით დამალულ მამლუქ ბეგს მაუდის ნაჭერი და ყურანი გაუგზავნა. პირველი საჩუქარი მოასწავებდა სელიმის მიერ კურტბაის შეწყალებას, ხოლო მეორე — უშიშროების სრულ გარანტიას (მუსულმანური წესის თანახმად) კურტბაიც ენდო წყალობის ამ უტყუარ ნიშნებს და ხვანთქრის ბანაკში გამოცხადდა.

სელიმ პირველი ტახტზე იჯდა, — შენ ბრძანდები ცხენების გმირი? — ჰკითხა მან დანებებულ გმირს და დასძინა, — სადღაა ახლა შენი სიმამაცე? — ჩემი სიმამაცე მე თან მახლავს, — იყო ლაკონიური პასუხი. — იცი შენ, თუ რა ზიანი მიაყენე ჩემს არმიას? — ძალიან კარგად მომეხსენება, — მიუგო კურტბაიმ. როცა ხვანთქარმა გამოხატა თავისი გაოცება მამლუქების ცდით ხელთ ეგდოთ იგი, კურტბაიმ წარმოთქვა მამლუქების ხოტბა (ამ კაცში უბადლო მამაცობა ასეთივე უბადლო ენამჭევრობასთან იყო შეხამებული). კურტბაიმ ზიზღით მოიხსენია არტილერია — ადამიანებს ლაჩრულად ხოცავს, როგორც ფარული მკვლელი. ეშრეფ კანსუჰის დროს ერთმა მავრმა ჩვენში ზარბაზნები შემოიტანა, მაგრამ ამ სიახლეს სულთანმაც და მამლუქმა ბეგებმაც ზურგი შეაქციეს, როგორც ჭეშმარიტი მამაცობისათვის შეუფერებელ რამეს; მუჰამედმაც ხომ არაბთა ერთადერთ იარაღად ხმალი და მშვილდისარი აკურთხაო, განაცხადა კურტბაიმ სელიმის წინაშე. მავრს წამოუყვირებია — ვინც იცოცხლებს, მოესწრება. თუ როგორ დაიღუპება მამლუქთა ეს სახელმწიფო ამ საზარბაზნე ჰურვებით, როძლებიც ახლა თქვენ არ მოგწონთო. სამწუხაროდ აგვისრულდა მისი წინას-

წარმეტყველება, მაგრამ რა გაეწყობა, განგება წარმართავს ყოველივესო, — დასძინა ნაღლიანად კურტბაიმ.

სელიმ პირველმა ჰკითხა, — თუ მთელ თქვენს ძალას ყურანსა და სუნაში ხედავთ და მათზე ამყარებთ იმედებს, როგორ მოხდა, რომ დაგამარცხეთ, გაგაძევეთ ეგვიპტის სატახტოდან და ახლა ჩემი ტყვე ხარო? — ნურას უკაცრავად, მიუგო კურტბაიმ, — ჩვენი დამარცხება თქვენ კი არ მიგეწერებათ, არამედ ეს ბედისტრიალზე ჰკიდია, რადგანაც ყველაფერს, რასაც დასაწყისი აქვს, დასასრულიც მოეპოვება. იმპერიების ხანგრძლივობა განსაზღვრულია, სადღა არიან დღეს ხალიფები — ისლამის ეს მამაცი მოამაგენი? რა დაემართათ უძლიერეს იმპერიებს, რომელთაც სამყაროში ბადალი არ ჰყავდათ? თქვენი დაღუპვის დროც მოვა და თქვენი მეუფებაც გაცამტვერებული იქნება. ახლა მე ვერ მომკლავ, საღვთო სიტყვა მოგიცია, ჩვენი მოღალატე კაირ-ბეგი კი, რომელიც აქ გვესწრება, შენ აუცილებლად ჯოჯოხეთში ჩაგიყოლიებს, ახლავე თუ თავი არ მოსჭერიო.

გაშმაგებულმა სელიმმა დაუყვირა კურტბაის, — მე მინდოდა შენთვის თავისუფლება მეჩუქებინა და ჩემს ბეგებშიაც ჩამერიცხე, მაგრამ ისეთი სიტყვები იკადრე, რომლებიც მე არ შემეფერებოდა, შენ დაგავიწყდა, რომ მოვალე ხარ მოწიწებით მომეპყრა; ვინც ხვანთქარს უდიერად მიუახლოვდება, სამაგიერო უდიერობითვე წააბრძანებენ. — ღმერთმა დამიფაროს შენს მსახურად გახდომაო, — უპასუხა ამაყად მამლუქმა ბეგმა კურტბაიმ.

სელიმს მოთმინების ფიალა აევსო და ჯალათებს დაუძახა, მაშინვე შემოცვივდა ას ორმოცდაათამდე ჯალათი მახვილით ხელში. — რაში გამოგადგება ჩემი თავი? — ჰკითხა ხვანთქარს მამაცმა მამლუქმა და დასძინა, — ბევრი გაბედული მეომარი ნადირობს სელიმ პირველის თავის ქალაზეო. ხვანთქარმა ნიშანი მისცა ერთ ჯალათს და იმ დროს, როცა უკანასკნელმა ხმალი მოიქნია, კურტბაიმ კაირ-ბეგს დაუყვირა, — აიღე ჩემი გასისხლიანებული თავი და ქალთაში ჩაუგორე შენს ქალს, დაე ღმერთმა საკადრისი მოგიზღოს ღალატისთვისო. ასე დასრულდა გმირის სიცოცხლე, როგორც ჰომერი მოგვითხრობს.

თუმან-ბეი, სხვა გადარჩენილ მამლუქებთან ერთად, გიზესაკენ გაიქცა (განთქმული პირამიდების სოფელი კაიროს სამხრეთ დასავლეთით). გიზეში თავი მოიყარა ათი ათასმა მამლუქმა. თუმან-ბეი სელიმზე თავდასხმას აპირებდა, ხვანთქარმა დაასწრო, ნავებში სპა ჩასხა და გიზესაკენ გაგზავნა. გაიმართა ბრძოლა, რომელიც ოსმალთა უკანდახევით გათავდა. მეორე დღეს მამლუქებმა იერიში განაახლეს, ოსმალები ამჯერადაც დამარცხდნენ. გამარჯვებულმა მამლუქებმა დიდი ალაფი ჩაიგდეს ხელთ. ძლეულმა ოსმალებმა კაიროს რის ვაივაგლახით მიაღწიეს. სელიმმა თუმან-ბეის ელჩები გაუგზავნა და შეუთვალა — შევრიგდეთ და შენ ჩემი ქვეშევრდომობა აღიარეო. გაოფთრებულმა მამლუქებმა ელჩები გზაზე დახოცეს. არც სელიმი დარჩა ვალში, მან თავები წაჰკვეთა სამოც მამლუქ ბეგს და ოთხასი რიგითი ტყვე მამლუქი დახვრიტა. თუმან-ბეის

სპა, რომელსაც გულზე ცეცხლი ეკიდებოდა უფროსთა უთანხმოებით, ხელახლა პირამიდებისაკენ წავიდა. იმის ნაცვლად, რომ განეგრძო მხსნელი მოძრაობა ზემო ეგვიპტისაკენ, თუმან-ბეიმ უეცრად ჯარი მოაბრუნა და, ბედუინების დაპირებული დახმარების იმედით, ნილოსის დელტასთან გამოჩნდა[1].

ნილოსის დასავლეთ სანაპიროზე გიზესთან თავშეფარებულმა თუმან-ბეიმ დახმარება სთხოვა ჰაუარას ტომის არაბებს (ცხოვრობდნენ ზემო ეგვიპტეში) და, მიუხედავად იმისა, რომ მათ სამი წლის ვადით გადასახადებისაგან განთავისუფლება აღუთქვა, ძლივს შეაგროვა ხუთი-ექვსი ათასი მეომარი. ამავე დროს ნილოსზე კაიროს ახლოს გამოჩნდა სამასი თუ ოთხასი ორჩხომელა, რომლებმაც ნაპირზე რამდენიმე ათასი მეომარი გადასხეს. ამ ჯგუფს კაშიფი ჯანიმ სეიფი მეთაურობდა. ესენი იყვნენ ის მამლუქები, რომლებიც რიდანიასთან მომხდარ უბედურებას გადარჩენოდნენ. თუმან-ბეის განზრახული ჰქონდა სელიმის წინააღმდეგ იერიში მიეტანა ე. წ. ვუსტანიეს კუნძულზე, მაგრამ ჯანიმ სეიფი და ამირა ებუ ჰამზა შეიპარნენ ოსმალთა ბანაკში და სელიმ პირველს საიდუმლოება გაუმხილეს. მოეთათბირა რა ამ ახალ მოღალატეებს და კაირბეგს, სელიმმა ნილოსით გიზესაკენ გაგზავნა ფლოტილია, მის მხარეზე გადასული მამლუქები, 40—50 ზარბაზანი და რამდენიმე ათასი კაცი. ოსმალთა ამ მოიერიშე სპას ჯანიმ სეიფი სარდლობდა. თუმან-ბეის ბანაკში მყოფმა არაბებმა მტრის ზარბაზნების პირველი ზალპებისთანავე ბრძოლის ველი მიატოვეს; მათ ჯერ არც კი ენახათ არტილერია. ერთმანეთის პირისპირ მარტო ოსმალები და მამლუქები დარჩნენ.

ჯანიმ სეიფი გამოეყო თავისიანთა რიგებს და, მამლუქთა ძველი ჩვეულების თანახმად, თუმან-ბეი ორთაბრძოლაში გაიწვია. თავისი მბრძანებლის სახელით ორთაბრძოლა მიიღო ამირა დევლეთ-ბეიმ. რამდენიმე მარჯვე მოძრაობით მან მოპირდაპირეს შუბი გადაუმსხვრია და ცხენიდან ჩამოაგდო. ეს ოსმალთათვის იერიშის სიგნალი იყო. მათ სცადეს ჯანიმ სეიფის წამოყენება, მაგრამ წააწყდნენ რა მამლუქთა შეუპოვარ წინააღმდეგობას, იძულებული გახდნენ თავიანთი ორჩხომელებისაკენ გაქცეულიყვნენ.

სამხედრო საბჭოზე, რომელიც თუმან-ბეიმ მოიწვია, შადიბეგმა (Schadibeg) აზრი გამოთქვა — ესარგებლათ იმ დღეს მიღწეული შედეგით და მეორე დღის გარიჟრაჟზე იერიში მიეტანათ ოსმალეთის ჯარების წინააღმდეგ. მართლაც, მამლუქებმა ხელთ იგდეს მტრის 70—80 ორჩხომელა, ოსმალეთის ერთი სამხედრო განაყოფი ნილოსის აღმოსავლეთ სანაპიროზე გადაისროლეს და ხვანთქრის ჯარები აიძულეს კაიროში დაბრუნებულიყვნენ. ამ ორ შეტაკებაში ექვსი ათასი ოსმალო და ოთხი ათასი მამლუქი დაიღუპა.

ჯანიმ სეიფისა და იანიჩართა აღას აიასის მოხსენებამ სელიმის პოლიტიკაში ცვლილება გამოიწვია. ხვანთქარი, კაირბეგის წარდგინებათა მიუხედავად, უფრო მოქნილი ღონისძიებებისაკენ გადაიხარა. დიდმა ვაზირმა იუნის-ფაშამ,

[1] Чемерзин А., დასახ. მონოგრ., გვ. 198.

რომელსაც ეგვიპტის კამპანიაზე სრული თანხმობა არასდროს გამოუთქვამს, ახლა სავსებით დაუჭირა მხარი სელიმ პირველს. სელიმმა გადაწყვიტა ეგვიპტის სულთნისათვის ხელახლა შეეთავაზებინა ზავი იმ პირობით, რომ ეგვიპტეში პარასკევის წირვა-ლოცვას მისი სახელით შეასრულებდნენ და ლითონის ფულსაც მისი სახელით მოსჭრიდნენ. ამ ხელახალი სამშვიდობო მოლაპარაკების წარმოება მიენდო მუსტაფა-ფაშას, რომელსაც საამისოდ საკმარისი გამოცდილება ჰქონდა.

მეორე დღეს მუსტაფა-ფაშა ხუთასი ცხენოსნით მამლუქთა ბანაკისაკენ გაეშურა. ასეთი ექსკორტი მას არაბთაგან თავის დასაცავად სჭირდებოდა. ოსმალეთის ეს საგანგებო ელჩი თუმან-ბეის მეიტკასიმთან შეხვდა. მამლუქებმა დახოცეს ელჩიცა და მთელი მისი ამალაც. საერთაშორისო ნორმების ამ დარღვევას, რომლის პირველი მაგალითის მიმცემი თვითონვე იყო, სელიმმა ახალი საშინელი რეპრესიებით უპასუხა. სამოცამდე ტყვე მამლუქ ბეგს თავები დასჭრეს, სამი ათასიდან ოთხი ათასამდე ტყვე რიგითი მამლუქიც ხმლებით დახოცეს[1]. ხვანთქარი მოემზადა პირადად გაძღოლოდა თავის ჯარს მტრის ბანაკისაკენ, სადაც იმ დროს დიდი არეულობა სუფევდა.

თუმან-ბეის, ერთი მხრივ, ღაზალეს ტომის ბელადი შეიხი ამირა ჯემადი საყვედურობდა — ომს რატომ აგრძელებო, ხოლო, მეორე მხრივ, იმავე მამლუქ სულთანს უხდებოდა გამკლავებოდა თავისი ბეგების ქირდვას არაბებთან კავშირისათვის. ბოლოსდაბოლოს, საერთო საფრთხემ ორივე მოდავე დასი ხელახლა შეაერთა და გადაწყვიტეს ჯარი პირამიდებისაკენ გადაეყვანათ. მალე თუმან-ბეიმ თავი შეაფარა ნილოსის დელტას, რაც მის შეცდომას წარმოადგენდა. მას სელიმ პირველმა მესამედ მიუგზავნა ელჩი. მამლუქებმა ელჩიც მოკლეს და მისი ამალაც დახოცეს.

მესამე ელჩობის სავალალო ბედმა სელიმს უკარნახა კაიროში დაეტოვებინა იუნის-ფაშა ორმოცი ათასი მეომრით, თვითონ კი გიზეზე იერიშით წასულიყო. ამას მოჰყვა ოსმალთა ხვანთქრისა და თუმან-ბეის ჯარების ახალი შეტაკება. მას წინ უძღოდა ღაზალისა და კაიტრაბის ორთაბრძოლა, რომელთაც მიბაძეს ჯანიმ სეიფისა და დეულეტბაის, შადიბეგისა და კოშკადემის მაგალითებს. გამარჯვება ღაზალის დარჩა და მან მეტოქეს თავი მოჰკვეთა.

გაიმართა საერთო ბრძოლა. ჯანბერდი ღაზალიმ, რომელიც არაბულად გადაცმული გამოეყო თავის ჯარს, თუმან-ბეი ორთაბრძოლაში გამოიწვია. უკვე ათი მამლუქი ფალავანი და მათ შორის — ბეგთა შორის უმამაცესი კილჯიც კი მეტოქეებმა უნაგირიდან ჩამოაგდეს, როდესაც მამლუქი სულთანი თუმან-ბეი ეკვეთა ღაზალის და ცხენიდან მიწას დაანარცხა. ღაზალიმ იგრძნო რა მკერდზე ძლევამოსილი მეტოქის შუბის წვერის შეხება, საცოდავად შეევედრა მას — მუჰამედის გულისათვის სიცოცხლე მაჩუქე, გაფიცებ შეიხ ებუზუუდელ ჯა-

[1] „trois à quatre mille Mamlouks prisonniers passès par les armes" — (Hammer).

რიხის[1] საიდუმლოებასო. კეთილშობილმა და უმამაცესმა თუმან-ბეიმ შეიბრალა რაინდულ ორთაბრძოლაში დამარცხებული მოღალატე და მას გაქცევის საშუალება მისცა.

1517 წ. 26 მარტს სელიმის მთავარ კორპუსს შეუერთდნენ დიდი ვაზირი იუნის-ფაშა და იანიჩართა აღა აიასი, რამაც მამლუქებს მოუსპო საშუალება მტრების გაერთიანებულ იერიშებს გაჰკლავებოდნენ. თუმან-ბეი ვერდანში გადავიდა და რამდენიმე ერთგულ ბეგთან ერთად თავი არაბ ჰასანმერს შეაფარა. მას იმედი ჰქონდა, რომ არაბი დაუმახსოვრებდა წარსულ ამაგს: მან ხომ იგიცა და მისი ძმებიც ოდესღაც სულთან კანსუჰ გჰაურის დილეგიდან გამოიხსნა. არაბმა შეიხებმა დიდის პატივით მიიღეს მათთან შეხიზნული სულთანი და ერთგულება აღუთქვეს. გაშალეს სუფრა. თუმან-ბეიმ მას პირი არ დააკარა, ჩავიდა გამოქვაბულში, რომლის არსებობა ძალზე ცოტამ იცოდა და, რომელიც თავშესაფრად თითონ ჰასან-მერიმ ამოურჩია. „ჩვენ აქ უფრო უშიშრად ვიგრძნობთ თავს, ვიდრე ციხე-სიმაგრეში“, — უთხრა თუმან-ბეიმ თავის წარჩინებულ ამალას, — „საქმე ის არის, თუ ჰასან-მერიმ არ გვიღალატა“, — დასძინა. „მოღალატეს ღმერთმა უღალატოსო“. — გაისმა ყოველის მხრიდან.

ჰასან-მერიმ დედას გაუმხილა, თუ რა ძვირფასი დავლა ჩაიგდო ხელთ. დედამ სთხოვა, დაეცვა სტუმართმოყვარეობის ადათი და არ გაეცა კეთილისმყოფელი ადამიანი. მაგრამ ჰასან-მერიმ მშობელს ყური არ ათხოვა და შეხიზნული სულთანი ჩააბარა იანიჩართა აღას (ბატონს, უფროსს) აიასს, რომელიც კაირბეგისა და ღაზალის მხარდამხარ თუმან-ბეის კვალდაკვალ გამოჰკიდებოდა. ოსმალები მათთვის სანუკვარ გამოქვაბულს რომ მიუახლოვდნენ, შადი-ბეგმა და ზოგიერთმა სხვამ თუმან-ბეის ამალიდან, გაქცევით უშველა თავს. მაგრამ თვითონ მამლუქ სულთანს გამოქვაბულიდან ფეხი არ მოუცვლია. აიასი მას მოწიწებითა და პატივით მიუახლოვდა და სთხოვა ხელები ერთმანეთზე გადაეჭდო. თუმან-ბეიმ მორჩილად აასრულა მტრის თხოვნა. აიასმა მას ცხვირსახოცით ხელები შეუკრა, ცხენზე შესვა და, იანიჩართა ბადრაგით გარემოცული, ხვანთქრის კარავში მიიყვანა. „დიდება ალაჰს!“ — შესძახა სელიმ პირველმა, როდესაც უთხრეს — თუმან-ბეი მოგიყვანესო. „ახლა ეგვიპტე დაპყრობილია“ — დასძინა გახარებულმა ხვანთქარმა. დოლ-დაფდაფებისა და საარტილერიო ზალპების ხმაურში თუმან-ბეი სელიმს წარუდგინეს.

ერთმანეთს მოწიწებითა და შესაფერისი პატივით მიესალმნენ. სელიმმა ტყვეს სავარძელი შესთავაზა. დიდხანს არც ერთს ხმა არ ამოუღია. სელიმი მოიხიბლა თუმან-ბეის კეთილშობილური გარეგნობითა და რაინდული იერით. ბოლოს ხმა ამოიღო სელიმ ხვანთქარმა. — რატომ დაარღვიე საერთაშორისო წესები და ელჩები დამიხოცე? — ეს ჩემი ზოგიერთი ქვეშევრდომის ურჩობას

[1] „ებუზუუდელი“ — გადათურქულებული არაბული ფრაზაა, ნიშნავს „სამართლიან მამას“. შესაძლოა, ზემოხსენებული დაფიცება რაღაც აღმოსავლურ საიდუმლო ნიშანს ეწოდება.

მიეწერება — აუხსნა თუმან-ბეიმ. — რატომ არ სცანი თავი ჩემს ყმად? — იყო სელიმის მეორე კითხვა. — მე მონდობილი მქონდა ამ ქვეყნის დაცვა, აგრეთვე მექასა და მედინას მფარველობა და ამ მოვალეობას ვერ გადავუდგებოდი — მიუგო თუმან-ბეიმ და თავის მხრიდანაც კითხვა დაუსვა: — შენ რით ძალგიძს ღვთის წინაშე გაამართლო ეს უსამართლო აგრესია? სელიმმა უპასუხა: ეს ომი მე წამოვიწყე ულემების[1] ფეტვას[2] საფუძველზე, თანაც მისი საკმაო საფუძველი იყო კანსუჰ სულთნის საერთაშორისო ინტრიგები და კავშირი ირანის შაჰთან; ამას გარდა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეგვიპტის სუვერენიტეტი რა შესაფერისია ისეთი მონების ბრბოსათვის, როგორიც მამლუქები იყავით. — რუმის სულთანო, — ახალა რეპლიკა თუმან-ბეიმ, — შენ არ დაგიმხია ჩვენი სამეფო, იგი ამ მოღალატეებმა დააქციეს — და მიუთითა კაირ-ბეგსა და ღაზალიზე, რომლებიც საუბარს ესწრებოდნენ.

სელიმ პირველმა თავისი სათათბიროს წევრებს განუცხადა — სულმოკლეობა იქნება, რომ მოვკლა ესოდენ მამაცი და გულწრფელი კაცი; იგი ქვეყნის სრულ დაშოშმინებამდე დარჩება აიას-აღას კარავში, სადაც მას მოეპყრობიან მისთვის შესაფერისი პატივითა და დიდებით[3].

მალე სელიმის ბანაკში მიიყვანეს შადი-ბეგიც, რომელიც არაბ იბნ-ბაკარს გაეცა. უკანასკნელმა ასე უღირსად გადაუხადა მას წარსული ქველმოქმედება. — როცა მე გებრძოდი, ვმოქმედებდი ყურანისა და სუნას კარნახით, მაგრამ შენ რა უფლება გქონდა ცეცხლითა და მახვილით მოსეოდი ჩვენს ოჯახებს და მამლუქთა ღირსებაზე იერიში მოგეტანაო — განუცხადა შადი-ბეგმა გამარჯვებულ ხვანთქარს. უკანასკნელმა აქაც იგივე მოტივი მოიშველია: ულემების ფეტვის საფუძველზე ვიმოქმედე, როცა თქვენზე მოვიტანე იერიში; თქვენ ხომ ტირანები იყავით და როგორც მოგეპრიანებოდათ, ისე აგყავდათ ტახტზე, ამხობდით და თავს სჭრიდით თქვენს სულთნებსო — ეს ცილისწამებაა, წამოიძახა შადი-ბეგმა, — ჩვენ ოცდაათი წლის განმავლობაში ვემორჩილებოდით ეშრეფ-კაიტ-ბეის, ხოლო მისი შვილი მოვკალით იმიტომ, რომ იგი აბუჩად იგდებდა ქვეყნის კანონებს და ეგვიპტე უნდა გვეხსნა ასეთი მმართველის მომავალი ტირანიისაგანო. სელიმმა ბრძანა დიდის პატივით მოპყრობოდნენ შადი-ბეგს. როგორც შემდეგში ამბობდა, მას უნდოდა სტამბოლს წაეყვანა მამლუქი სულთანიც, შადი-ბეგიცა და აბასიდი ხალიფების საგვარეულოს მეორე შტოს ოცდამეერთე წარმომადგენელი მოტეუეკილი (ეს შტო ბაღდადის ხალიფატის დაცემის

---

[1] ულემები — ღვთისმეტყველნი და კანონთმცოდნენი ოსმალეთში. იყვნენ მასწავლებლებად საღვთისმეტყველო სასწავლებლებში. ერთი რანგით დაბლა იდგნენ შეიხებზე, რომლებიც მათთან ერთად მსახურობდნენ.

[2] ფეტვა — შესასრულებლად სავალდებულო დასკვნა მუსულმანთა უზენაესი სამღვდელო პირისა, რომელსაც უმაღლესი საღვთისმეტყველო და იურიდიული განათლება ჰქონდა. დასკვნა გაიცემოდა მოსამართლეთა ანდა კერძო პირთა შეკითხვების პასუხად, პასუხი მოკლე იყო და ემყარებოდა აქტის ანუ ამბის კანონიკურ განმარტებას.

[3] Hammer, დასახ. შრომა, ტ. IV, ჰ., 1836, გვ. 311—319.

შემდეგ კაიროში მოჩვენებითი ძლიერებით სარგებლობდა, „ამტკიცებდა“ რა მამლუქი სულთნების დიპლომებს).

ღაზალისა და კაირბეგს ვერ აეტანათ ის შეურაცხყოფა, რაც მათ მიაყენეს მთელი არმიის თანდასწრებით ამაყმა ტყვეებმა და განიზრახეს ამისათვის შური ეძიათ. მათ სელიმ პირველს მოხერხებულად აღუძრეს ეჭვები თუმან-ბეის საშიში განზრახვების შესახებ. ერთ დღეს, როცა სელიმი ბოლთას სცემდა, გზაზე მას კაცი შეახვედრეს, რომელიც, თითქოსდა თავისთვის, სინამდვილეში კი სელიმის გასაგონად, გაჰყვიროდა — ღმერთი წყალობდეს სულთან თუმან-ბეის საქმესო. ეს შემთხვევა აღმოჩნდა სიგნალი თუმან-ბეისა და შადიბეგის მოსაკვდინებლად. ისინი ჩამოახრჩვეს სელიმის ბრძანებით. ჯალათობა იკისრა ვინმე შეხზუვარბეგმა, რომლის მამა კანსუჰ სულთნის ბრძანებით ჩამოეხრჩოთ ზუვეილას ალაყაფთან. განაჩენი აღსრულდა 1517 წლის ცამეტ აპრილს[1].

სელიმ პირველმა ბრძანა — თუმან-ბეის ცხედარი სათანადო ბრწყინვალებით დაეკრძალათ. თვითონ დაესწრო განსვენებულის სულის მოსახსენებელ პარაკლისს, რომელიც კაიროს მთავარმა ყადიმ შეასრულა. სამი დღის განმავლობაში ხვანთქარმა ღატაკებს თუმან-ბეის სულის მოსახსენებლად აჩუქა სამი ქისა ოქრო (1500 პიასტრი ანუ 900 ოქროს მანეთი XVIII ს. რუსული კურსით). კიდევ სამი ქისა ოქრო გაიღო იმისათვის, რომ თუმან-ბეის ნეშტი მოეთავსებინათ კანსუჰ სულთნის მიერ აგებულ მავზოლეუმში. უცხოეთის ქვეყნებში სელიმის დიდი გამარჯვების მაუწყებელი წერილები დაიგზავნა. ბრძანება გამოვიდა — ოსმალეთის მთელ იმპერიაში დღესასწაულების გამართვის შესახებ.

რა დასკვნები გამომდინარეობს ზემოთ მოტანილი მასალებიდან?

ირკვევა, რომ მამლუქთა ოლიგარქია მოსახლეობის ფართო ფენებისაგან საკმაოდ იზოლირებული ყოფილა. ამის მიზეზს აუტანელი ფეოდალური ჩაგვრა წარმოადგენდა, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი მძიმე საგადასახადო პოლიტიკა იყო. თუმან-ბეის დაპირება მოსახლეობისადმი — სამი წლით მოგიხსნით ბეგარა-გამოსაღებსო — შემთხვევით ფაქტად არ შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ ეს დაპირება ვერ მოხვდა გაპოხიერებულ ნიადაგს. კრიტიკულ მომენტში მიცემულ აღთქმას მოსახლეობა დიდ ფასს არ ანიჭებდა და მან მამლუქთა პოლიტიკური დამოუკიდებლობის გადასარჩენად თავი არ გამოიდო. ეს იყო დამარცხების ძირითადი მიზეზი. ფეოდალური ექსპლოატაციით განაწამები გლეხობა (ფელახები) ინერტულ მდგომარეობაში დარჩა და ოსმალთათვის ორგანიზებული წინააღმდეგობის გასაწევად არ დაირაზმა. ეს ძნელად მისაღწევი იყო მაშინდელ პირობებში, საამისოდ, თუმან-ბეისა და მისი ერთგული გარემოცვის ორგანიზატორული ტალანტის გარდა, საჭირო იყო ღრმა სოციალური რეფორმების გატარება ფელახთა სასარგებლოდ, ასეთ რეფორმებზე წასვლა კი

[1] Hammer, დასახ. შრომა, ტ. IV, ბ., 1836, გვ. 319—325. შდრ. Larousse, დასახ. ენც. ტ. XV, გვ. 344 (სელიმმა ვერ შეძლო დაეთრგუნა ამდენი მამაცობა და გმირობა, რომლებიც თუმან-ბეგის პიროვნებას ახასიათებდაო—წერია პიერ ლარუსის ენციკლოპედიაში).

ბამლუქთა ოლიგარქიას არ შეეძლო. ცნობილია, რომ ეგვიპტის მთელი საადგილმამულო ფონდი მამლუქებს ეკუთვნოდა, ოსმალეთის ბატონობის დროსაც კი ისინი დარჩნენ სხვადასხვა წარმოშობისა და ათასნაირი უფლებრივი ნორმების მატარებელი ილთიზამების (ფეოდალური საკარგავების) სრულ ბატონ-პატრონებად; მამლუქები საუკუნეთა განმავლობაში ძალადობის გზით იტაცებდნენ ილთიზამებს და თავიანთ მომხრეებს ურიგებდნენ სამხედრო სამსახურის გაწევის პირობით. მართალია, ფელახებს სარგებლობაში ჰქონდათ მიწები მიცემული, მაგრამ ამისათვის ისინი მძიმე გადასახადებით იყვნენ დაბეგრილნი მულთეზიმის ანუ ბატონისაგან, მულთეზიმს შეეძლო გაედიდებინა ან შეემცირებინა ის გადასახადები, რასაც მას მიწის სარგებლობისათვის უხდიდნენ. ფაქტიურად, მამლუქთა მონარქია კონტროლს ვერ ამყარებდა მულთეზიმების მიერ გადასახადების გამუდმებული გადიდების ფარულ პრაქტიკაზე. ფელახები სასოფლო-სამეურნეო კულტურების არჩევის საქმეში სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ, მაგრამ მიწის სარგებლობისათვის იხდიდნენ ე. წ. მაალ ელ-ჰურის, რომლის სიმძიმეს ხაზს უსვამდნენ ევროპელი დამკვირვებელნი[1].

მამლუქთა ოლიგარქიისადმი დიდი სიმპათიით არ იყო განწყობილი არც მულთეზიმების მნიშვნელოვანი რაოდენობა. მათ კეთილდღეობას დამოკლეს ბახვილივით ემუქრებოდა მამლუქთა უზურპაცია.

ახლა დავუბრუნდეთ ოსმალეთს და შევეხოთ საოკუპაციო რეჟიმს.

სელიმი კაიროში 1517 წლის სექტემბრამდე დარჩა, ნახა ამ ქალაქის უშესანიშნავესი მეჩეთები, ცრემლები დაიფრქვია ციე იატაკზე და ამავე დროს წაიღო ყოველივე ძვირფასი, რაც კი ამ ტაძრებში მოიხელთა. ხშირად ყურანიდან ამოკრეფილი ფრაზებით ლაპარაკობდა, მაგრამ ოპიუმით თვრებოდა[2].

კაიროში ყოფნის დროს სელიმ პირველს სხვადასხვა ქვეყნიდან უთვალავი დელეგაცია მიუვიდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მექას შერიფ[3] ბარაკატის დელეგაცია, რომელსაც ოფიციალურად მეთაურობდა მისი თორმეტი წლის ვაჟი აბუ ნუმაი-მუჰაჰედი. მექას შერიფი მამლუქების მადლიერი არ იყო და ამიტომ მან ოსმალეთის ხვანთქარს ხალისით გამოუცხადა მორჩილება. სელიმმა აბუ ნუმაი მექას დიდძალი საჩუქრებით გააბრუნა. ამ დროიდან ატარებდნენ ოსმალეთის ხვანთქრები კადიმ ალ-ჰარამაინ-ალჟარი ფაინის ტიტულს, რამაც მათ მუსულმანურ და ქრისტიანულ სამყაროში დიდი რეპუტაცია მოუხვეჭა[4].

სელიმს ძღვენი მიართვეს ზემო ეგვიპტის არაბთა შეიხებმა, კაიროსა და მთელი ეგვიპტის ოფიციალურმა პირებმა. ვენეციის წარმომადგენლებმა გადას-

[1] Michel-Ange Lancret. Mèmoire sur le Systéme d'imposition territoriale de l'E' gypte (Deseription de L' Egypte, ტ. XI, 1842, გვ. 466—468).

[2] Чемерзин, დასახ. შრომა, გვ. 202.

[3] ასე ერქვა მუსულმანთა საღვთო ქალაქის მეჯას გამგებელს შუა საუკუნეებში.

[4] ისლამის ენციკლოპედია, ტ. II, 1927, ლაიპციგი (გერმანულ ენაზე), გვ. 464—465.

ცეს რვა ათასი დუკატი, რასაც წინათ ხარკად მამლუქ სულთნებს უხდიდნენ და თან დაურთეს ვენეციის სენატის მილოცვა[1].

ოსმალეთის ჯარმა ოქრო-ვერცხლით დატვირთული ათასი აქლემი სტამბოლისაკენ გზას გაუყენა და ოსმალეთში წამოიყვანა თემურ-ლენგის შთამომავალი ბედიუზ-ზემანი (Bediouz-zeman). სელიმს ეგვიპტიდან მიჰყავდა აბასიდების საგვარეულოს უკანასკნელი ხალიფაც, რომლის წინამორბედმა პაპამისს ბაიაზეთ ილდირიმს სულთნობის დამამტკიცებელი დიპლომი უბოძა. თავრიზის ამბის მსგავსად სელიმ პირველმა ახლაც კაიროში თავი მოუყარა საუკეთესო ადგილობრივ არტისტებს — საერთოდ ხელოვნების მსახურთ და ყველანი სტამბოლს წაიყვანა[2]. აბასიდების ნაშიერი მძევალი სელიმის სიკვდილამდე სტამბოლის ციხეში იყო დამწყვდეული, შემდეგ კაიროში დაბრუნდა[3].

ეგვიპტის დაპყრობისთანავე სელიმ პირველმა მექასა და მედინაში ტრადიციით დაწესებული შესატანი (სურე) გაგზავნა ორასი ათასი დუკატის რაოდენობით. ხვანთქარმა კაიროში 5 ათასი ქვეითი მეომარი და ამდენივე ცხენოსანი დატოვა და სირიაში წავიდა[4].

მოღალატეებმა, როგორც ჰამერი აღნიშნავს, მიიღეს საზღაური თავიანთი მოქმედებისათვის, ურომლისოდაც, შესაძლოა, ეგვიპტე ოსმალეთის უღელს (იმხანად მაინც) გადარჩენოდა: ჯანიმ სეიფი დანიშნეს ბეჰნეზეს (Behnese) გამგებლად, მაჰალტის მხარე აბუჰამზას ჩააბარეს, ღაზალის მიანდეს დამასკოს, ხოლო კაირბეგს — ეგვიპტის სატახტოს გამგებლობა (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კაირბეგის ცოლშვილი სელიმმა ნილოსში ჩაახრჩობინა[5]). არაბი შეიხები ჰასან-მერი და იბნ-ბაკარი, რომლებმაც გასცეს მამლუქი სულთანი თუმან-ბეი და მისი ერთგული შადიბეგი, ოქროებით აავსეს და საპატიო ტანისაცოსებით დააჯილდოვეს. წყალობა ებოძა ე. წ. ღაზალის ტომის შეიხს აჰმედ ბენ კაიბარსაც. ბეგი ომერ-ოღლი ჯირჯას გამგებლად დასვეს, ე. წ. ბენიადის ტომის ბელადს უბოძეს ეგვიპტის შეიხ-ბაირაღტარის (Sheikh-porte-drapeau) თანამდებობა. თავთავის უფლებამოსილებაში დაამტკიცეს მუსულმანური სარწმუნოების ოთხი მართლმორწმუნე (ორთოდოქსალური) სექტის ყველა მსაჯული. სელიმ პირველის წყალობანი და საჩუქრები დაიმსახურა იბნ-ჯაიანმაც — ე. წ. საზოგადო საუნჯეების დირექტორმა (le directeur du fresor public), რომელმაც ეგვიპტის შემოსავალთა სინოპტიკური (კრებსითი) მიმოხილვა და ცხრილი შეადგინა[6].

სელიმ პირველმა სირია ხუთ ფაშალიკად გაჰყო. ეს იყო: ალეპოს, ტრი-

---

[1] Hammer, დასახ. შრომა, გვ. 319—325.

[2] იქვე, გვ. 342.

[3] ისლამის ენციკლოპედია, ტ. II, 1927, გვ. 464—465.

[4] Чемерзин А, დასახ. მონოგრ., გვ. 200—203 — შდრ. The Enc. Brit., XIII გამ., ტ. VIII. გვ. 72—73

[5] Чемерзин. დასახ. შრომა, გვ. 200—202.

[6] Hammer, დასახ. შრომა, გვ. 319—352.

პოლის, საიდის, დამასკოს და პალესტინის ფაშალიკები. ყველა მათგანს სათავეში ფაშები ჩაუყენა[1]. ეგვიპტეშიც წავიდა ადმინისტრაციული ცვლილებანი.

ეხება რა ამ ქვეყანაში სელიმ პირველის ძალაუფლების დამყარებას, ვოლნეი წერს: „დაამკვიდრა რა თავისი ფაშა ეგვიპტეში, სელიმმა იგრძნო, რომ კაიროს სიშორე აღმოჩნდებოდა აჯანყების დიდად წამქეზებელი გარემოება, თუ ამ ფაშას ისეთივე უფლებამოსილებას მიანიჭებდა, როგორიც ფაშებს სხვა პროვინციებში ჰქონდათ. იმისათვის, რათა თავიდან აეცილებინა ეს საშიშროება, სელიმმა გადაწყვიტა ეგვიპტეზე ბატონობა სხვადასხვა კორპუსისათვის გაენაწილებინა, რითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ქვეყნის შინაგანი წონასწორობა და მისი მტკიცე დამორჩილება ოსმალეთის კვერთხისადმი. ამისათვის მას ზუსტად შესაფერისი ეჩვენა მამლუქთა ის ნაწილიც, რომელიც პირველ ხოცვა-ჟლეტას გადაურჩა. მან დააარსა დივანი ანუ სარეგენტო საბჭო, რომელშიც შეევიდოდნენ ფაშა და შვიდი სამხედრო კორპუსის (ზოგიერთ ევროპელ ავტორთან — „რეჟიმენტის“, ე. ი. რაზმის — დ. ჯ.) წინამძღოლები. ფაშას უფლებამოსილებას შეადგენდა — მოეხსენებინა ამ საბჭოსათვის პორტას (ოსმალეთის ხვანთქრის კარი — დ. ჯ.) ბრძანებები, უზრუნველეყო ხარკის აკრეფა, დაეცვა ქვეყნის უშიშროება გარეშე მტრების თავდასხმებისაგან და სხვადასხვა პარტიის გაძლიერებისათვის ხელი შეეშალა. საბჭოს წევრებს თავის მხრივ ჰქონდა უფლება უარეყო ფაშას ბრძანება, ოღონდ ამ შემთხვევაში საჭირო იყო სათანადო მოტივების მოყვანა. უფრო მეტიც: საბჭოს უფლება ჰქონდა გადაეყენებინა კიდევაც ეს ფაშა და მოეხდინა ყველა სამოქალაქო თუ პოლიტიკური ორდონანსების რატიფიცირება. რაც შეეხება მამლუქებს, გადაწყდა, რომ მათგან წამოაყენებდნენ ოცდაოთხ გამგებელს ანუ პროვინციათა ბეგებს. ბეგებს ჩააბარეს მთელი შინაური ადმინისტრაცია, ხარკის აკრეფა და მოთარეშე არაბთა ტომების შეკავება (ე. ი. მათი არდაშვება ეგვიპტის მიწა-წყალზე), მაგრამ ამ ბეგების ძალაუფლება სუფთად პასიური და წარმავალი ხასიათისა უნდა ყოფილიყო და იმათ უნდა შეესრულებინათ სარეგენტო საბჭოს ნება-სურვილთა აღმასრულებლის როლი“[2].

სელიმის მიერ ეგვიპტეში დამყარებულ ადმინისტრაციულ სისტემას ეხება საფრანგეთის მეფის თარჯიმანი აღმოსავლური ენების ხაზით — ფურმონი[3], რომელმაც თავისი თვალით ნახა ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმი XVIII ს. შუა ხანებში. მის ცნობებს ჩვენთვის გარკვეული რეტროსპექტული მნიშვნელობა აქვს. ფურმონი ლაპარაკობს გარდაცვლილი მულთეზიმების ქონების მითვისე-

---

[1] Volney C. T. Voyage En Egypte et en Syrie ..... tome II, Paris. 1825, გვ. 37. „ფაშა“ ვოლნეის განმარტებით, წარმოდგება „pa-chah“-ისაგან, რაც ლიტერატურულად „ეიცე-შეფეს“ ნიშნავს.

[2] Volney, Oeuvzes complétes De Volney. Paris, 1837, გვ. 137.

[3] Fourmont, Description Historique et Geographique Des Plaines D'Heliopolis et De Memphis Paris. 1755, გვ. 68—83.

ბის ფრიად ხელსაყრელ პრაქტიკაზე, რომელსაც მისდევდნენ ეგვიპტის ოსმალი ფაშები, სარგებლობდნენ რა სათანადო ოსმალური კანონმდებლობით. ეხება რა საოკუპაციო ადმინისტრაციის ცენტრალურ ორგანოს, ფურმონი წერს, რომ ფაშის, მამლუქი ბეგებისა და შვიდი საოკუპაციო „რეჟიმენტის“ წინამძღოლებისაგან შემდგარი საბჭოს ანუ დივანის სხდომა მოიწვეოდა კვირაში სამჯერ — სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. მამლუქ ბეგებს ფაშასგან მინდობილი ჰქონდა ეგვიპტის ჩვიდმეტი პროვინციის გამგებლობა; ისინი თითქმის ყოველთვის კაიროში იმყოფებოდნენ. ფურმონი იმასვე წერს მამლუქი ბეგების სამხედრო ფუნქციების შესახებ, რასაც ვოლნეი და, ამგვარად, ვოლნეის ცნობათა სისწორის შემოწმებაში გვეხმარება. მამლუქი ბეგები თავს უყრიან თავიანთ ჯარს და ადვილად ფანტავენ არაბთა ტომების მოიერიშე ბრბოებს, რომლებიც თავს ესხმიან ეგვიპტის საზღვრებსო, წერს ფურმონი. თან განმარტავს: მართალია ამ ტომებს შეუძლიათ შეიხის ანუ პრინცის მეთაურობით ათი-თორმეტი ათასი მეომარი გამოიყვანონ, მაგრამ ვერ უძლებენ ორგანიზებულ წინააღმდეგობას, მათი ძალა მოულოდნელ და მკვირცხლ მოქმედებაში მდგომარეობს, ხოლო თუ მყარ ძალას წააწყდნენ თავიანთი მარშის გზაზე, ერთბაშად ფუჭდებიან და თავთავიანთი სახლებისაკენ უკუიქცევიანო. ჩვეულებრივ პირობებში ოსმალეთს ოცდაოთხის ოლიგარქიაში შემავალი ყოველი მამლუქი ბეგისათვის თვრამეტ-თვრამეტი ლივრი უნდა ეხადა დღიური ჯამაგირის სახით, ხოლო ომიანობის ანდა საგანგებო სამსახურებრივი მისიის შესრულების დროს ეს დღიური ჯამაგირი ოცდაჩვიდმეტ ლივრსა და ათ სუმდე ადიოდა. ოცდაოთხის ოლიგარქიაში მამლუქი ბეგის შეყვანის, ე. ი. თანამდებობაზე მისი დანიშვნის ცერემონიალი მდგომარეობდა შემდეგში: მას ჩააცმევდნენ ძვირფას ოსმალურ ხალათს, რაც განსაკუთრებულ ნიშანს (Veste particuliere) წარმოადგენდა; მიუჩენდნენ ცხენოსანთა რაზმს, რომელიც მის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო და რომლის რიცხვი დამოკიდებული იყო ბეგის საგანგებლო მიწა-წყლის მასშტაბზე და ფუნქციების ხასიათზე. გარდა ხვანთქრის ჯამაგირისა, ბეგებს ჰქონდათ სხვა ხასიათის შემოსავალიც ხორბლეულის, ქერის და სხვა მარცვლეულის სახით, მხედველობაში რომ არ მივიღოთ ის საჩუქრები, რომლებიც მათ ყოველ წელიწადს მისდიოდათ თავიანთ მფარველობაში მყოფთაგან.

სელიმ პირველის სპეციალური სიგელით, რომლითაც იურიდიულად განისაზღვრებოდა ეგვიპტისა და ოსმალეთის დამოკიდებულება, დაწესდა: 1. სტამბოლის ხაზინაში შესატანი და 2. თვითონ ეგვიპტეში ოსმალური ადმინისტრაციის შესანახავი ხარჯებისათვის საჭირო ხარკის რაოდენობა. ეგვიპტეს, რომელსაც „რესპუბლიკა“ ეწოდა, ოსმალეთისათვის ყოველწლიურად უნდა ეხადა 560 ათასი ასლანი ანუ 280 ათასი ინგლისური კრონი; მეორე ამდენივე თანხა ეგვიპტეს მედინასა და მექაში რეგულარულად უნდა ეგზავნა; გარდა ამისა. ეგვიპტეს ოსმალეთისათვის ყოველწლიურად უნდა მიეწოდებინა ერთი მილი-

ონი კაფიზი (დაახლ. ორი მლნ/ფუთი) ხორბალი და ქერი[1]. ვოლნეის სიტყვით, ხარკის ერთი ნაწილი უნდა მოხმარებოდა დაპყრობის შემდეგ ეგვიპტეში ჩაყენებული ოცი ათასი ქვეითისა და თორმეტი ათასი ცხენოსნის შენახვას[2].

საფრანგეთის მეფის მდივანი ფურმონი, რომელმაც ეგვიპტე XVIII საუკუნის 50-იან წლებში მოინახულა, წერს, რომ ეგვიპტის ფაშამ ხვანთქარს ყოველ წელიწადს უნდა უხადოს ექვსასი ათასი ეკიუ და ამ თანხას ჰაზნა ეწოდებაო. იგივე ავტორი დასძენს — ეგვიპტიდან ამოქაჩული მთელი შემოსავალი, ხარჯების დაფარვის შემდეგ, ხვანთქარს წელიწადში მაინც მისცემდა თორმეტ მილიონ ეკიუს, რომ მისი ფაშები მომჭირნეობას იჩენდნენ და კანონის შესაბამისად მოქმედებდნენო[3]. სხვა ფრანგი დამკვირვებელი, ჩვენთვის უკვე ცნობილი მიშელ ლანკრე წერდა: „როცა მირთან (მირი ერქვა საადგილმამულო ხარკს) დაკავშირებული ყველა ხარჯი გასტუმრებული იქნებოდა, რჩებოდა დაახლოებით თორმეტი ათასი ქისა (ქისა უდრიდა 500 პიასტრს ანუ 300 მანეთს მაშინდელი რუსული კურსით — დ. ჯ.), ეს თანხა კაზნედ ანუ საუნჯედ იყო წოდებული და იგი სტამბოლში ერთ მამლუქ ბელადს მიჰქონდა. ეს იყო ე. წ. ფულადი მირი[4]. მაგრამ არსებობდა აგრეთვე ე. წ. ნატურალური მირიც, წერს სხვაგან იგივე მიშელ ლანკრე. ეს მეორე სახეობა მირისა ხმარდებოდა, ე. წ. ოჯაკლის (Ogaglu)[5] შვიდი კორპუსის ანუ „რეჟიმენტის“ შენახვას. იგივე ლანკრე დასძენს: შეიძლებოდა ორმოცდაათათასამდე აგვეყვანა იმ ინდივიდთა რიცხვი, რომელთაც ხელი ჰქონდათ ზემო ეგვიპტიდან ხორბლეულის სახით აკრეფილ მირიშიო[6]. ეს შენიშვნა ძალზე საინტერესოა.

არანაკლებ საინტერესოა ფურმონის მიერ მოწოდებული დეტალები, რომლებიც ოსმალეთის ხარკის აკრეფის პროცესს შეეხება[7]. გარდა ჰაზნესი, წერს იგი, ეგვიპტის ფაშამ სერალისათვის (ხვანთქრის სასახლე) უნდა ყოველ წელიწადს გამოჰყოს მეორე 600.000 ეკიუ, რათა ამ თანხის მეშვეობით სერალმა დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება შაქარზე, ყავასა და სხვა სურსათ-სანოვაგეზე. ამავე დროს წელიწადი ისე არ გავა, თუ ეგვიპტის ფაშამ ასი ათას

---

[1] ს. ლუიზინიანი, ოტომანთა კარის წინააღმდეგ ალი-ბეის აჯანყების ისტორია, ამასთან სხვადასხვა ახალი ცნობები... (ვერმანულ ენაზე თარგმანი ინგლისურიდან) 1784 წ. ლაიპციგი, 48—50.

[2] Volney. Voyages 1787 წ. გამოცემა, ტ. I, 96—98.

[3] Fourmont. დასახ. წიგნი, გვ. 69—71.

[4] M—A. Lancret, დასახ. შრომა, გვ. 508—509.

[5] ეს არის საერთო სახელწოდება ოსმალეთის იმპერიის ძირითადი ქვეითი ჯარის — იანიჩრების („ენი ჩარი“ — ახალი ჯარი, რომელიც XIV ს. ჩამოყალიბდა ქრისტიანი ჰაბუკებისაგან). 1517 წ. ეგვიპტეში დატოვეს იანიჩართა 6 ურდო. შემდეგში მას შეუერთდა მეშვიდე — ხვანთქრის მხარეზე გადასული მამლუქების კორპუსი. (Абд. Джабарти. Египет под властью Мухамеда Али , 1963, გვ. 699—700. რუსი კომენტატორის შენიშვნა № 24).

[6] M—A. Lancret, დასახ. შრომა, გვ. 509—511.

[7] Fourmont. Description.... გვ. 70—71.

ეკიუზე მეტის საჩუქრები არ იყიდა. მანვე, იმისათვის, რათა დაფაროს ხარჯები ხვანთქრის პავილიონისა, რომელიც ყოველ წელიწადს მექაში იგზავნება, 100.000 ეკიუ უნდა გასწიროს საჩუქრებისათვის. ამდენივე თანხად ღირებული საჩუქრები ეგვიპტის ფაშამ უნდა მიართვას დამასკოს გამგებელს, რათა დაიფაროს ხარჯები მლოცველთა იმ ქარავნისა, რომელიც ამ ქალაქიდან მექაში ყოველ წელიწადს მიეშურებაო, დასძენს ფურმონი[1].

ეგვიპტეზე შეწერილი ოსმალური ხარკის შესახებ მოგვეპოვება რუსული ცნობებიც, რომლებიც სტამბოლში აკრედიტებულმა პეტერბურგის დიპლომატიურმა მისიამ შეაგროვა[2]—რუსეთის ელჩი ი. ბულგაკოვი 1786 წლის 15—26 აგვისტოს მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ოსმალეთის ხარკი, რომელიც ეგვიპტეს ჰქონდა შეწერილი, ხუთი ათას ქისას, ანუ ორ-ნახევარ მილიონ პიასტრს შეადგენდა.

ზემოხსენებული მიშელ ლანკრე 1800 წ. 22 ნოემბრის მოხსენებაში წერდა: მრავალი წელია, რაც მამლუქ ბელადებს საქმე ისე მოუწყვიათ, რომ ეგვიპტეში აკრეფილი „მირის“ გადასახადიდან ხვანთქარს არაფერი მიუდის. ისინი ფაშას ძალით აწერინებენ ფირმანს და ამ გზით ამტკიცებენ მამლუქთა მოჩვენებით თუ რეალურ ხარჯებს. ამგვარად ის ფაქტი, რომ ხარკს ხვანთქარს ფაქტიურად უხეიროდ უხდიდნენ, ეგვიპტის მოსახლეობის მდგომარეობაში არაფერს ცვლიდა[3].

ოსმალეთის ხარკი მძიმე იყო, მაგრამ იგი სტამბოლის ხაზინაში ყოველთვის ზუსტად როდი შედიოდა. ეს განსაკუთრებით ითქმის XVIII საუკუნეზე, როცა სტამბოლიდან გაგზავნილი ფაშების ხელისუფლება სავსებით ეფემერული გახდა, ხოლო მამლუქმა თავკაცებმა ეგვიპტის ცხოვრების ყველა უბანზე ფაქტიური კონტროლი დაამყარეს.

XVIII საუკუნეში ფაშას ავტორიტეტი თითქმის არარაობად აქციეს მამლუქმა ბეგებმა და მათი წრიდან წამოყენებულმა ორმა მოხელემ—შეიხ-ელ-ბალადმა და ამირ ალ-ჰაჯმა. პირველს მინდობილი ჰქონდა ეგვიპტის ადმინისტრაციის ფაქტიური გაძღოლა, ხოლო მეორე მეთაურობდა მეომართა იმ რაზმს, რომელიც ყოველ წელიწადს მექაში მიჰყვებოდა და იცავდა აფრიკის ყველა მუსულმანური ქვეყნიდან სალოცავად გამგზავრებულ მოჰალაქეებს[4]. უმაღლესი თანამდებობის ეს ორი მამლუქი ბეგი ანხორციელებდა ნამდვილ ძალაუფლებას ეგვიპტეში. „საკმაოდ ბნელით არის მოცული ის პროცესი, რომელმაც საქმე ასეთ ვითარებამდე მიიყვანა, რადგანაც ეგვიპტის ისტორიის ოსმალური

---

[1] Fourmont, დასახ. წიგნი, გვ. 70—71.

[2] რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფონდი „რუსეთის ურთიერთობა ოსმალეთთან“, საქმე № 674, ფურც. 31—33.

[3] M—A. Lancret, დასახ. შრომა, გვ. 509. „მირი“—დაახლ. „გადასახადი მიწაზე“.

[4] ს. ლ უ ი ზ ი ნ ი ა ნ ი, დასახ. შრომა, გვ. 39—46 (შეიხ-ულ-ბალადის არჩევის ცერემონიალი) შაიხ ულ-ბალადი იგივეა, რაც „შეიხ ელ-ბელედი“ ანუ „შეიხბელედი“.

პერიოდის შესახებ მაღალხარისხოვანი ქრონიკები არ მოგვეპოვება“, ამტკიცებს ბრიტანული ენციკლოპედია[1].

მამლუქთა თვითნებობის გასათვალისწინებლად საინტერესო ცნობას გვაწვდის ბრიტანელი დიპლომატი ეტონი[2]: „კაიროს მორჩილება ოსმალეთის კარისადმი იმდენად უმნიშვენლოა, რომ ეგვიპტიდან ხარკის რეგულარულად მიღების ნაცვლად, ხშირად სტამბოლი იქით გზავნის დიდძალ ფულს, რათა მოისყიდოს მამლუქთა ბელადები, გააღვივოს მათ შორის შუღლი და მრავალი მათგანი თავის მხარეზე გადაიბიროს. სხვა ადგილას იგივე ავტორი მიუთითებს, რომ მამლუქთა ბელადების შემოსავალი შედგება იმ თანხისაგან, რომელიც მათ მიუდით საადგილმამულო გადასახადებისა და საბაჟო გამოსაღების სახით. ყველაფერი ეს დაახლოებით ორ მილიონ სტერლინგს შეადგენს. აქედან ხვანთქრის წილი ძალიან ცოტაა. მამლუქთა ბელადების ხაზინას სხვადასხვა საბაბით მრავალნაირი შემოსავალი ემატება[3].

გერმანულ ქრონიკაში ნათქვამია: „სტამბოლიდან კაიროში გაგზავნილი ფაშა მეფის უფლებების მქონეა, მაგრამ ხან აქვს ადგილი მაგისტრატში, ხან კი შიგ ცხვირსაც ვერ შეჰყოფს... სხვადასხვაგვარი ზნე-ჩვეულებებისა და ტომთა სიმრავლის გამო აქ ძალაუფლება შერეულ ხასიათს ატარებს. ძალამ და რიცხვმა მამლუქთა ბელადები ისე გააბატონა, რომ ხვანთქრის ხელისუფლება აჩრდილად იქცა. 29 ბელადი (sic) შეიძლება შეუზღუდველ მთავრებს შევადაროთ — მსახურთა დიდი ჯგუფი, სასახლეები, ყმათა და მხევალთა ურიცხვი საკრებულო მათ ძლიერებაზე მეტყველებს. სახელოვან ამურატ-ბეის (თბილისელი მურად ბეგი. — დ. ჯ.) ოცდარვა ათასი, ხოლო ალი-ბეის ოცდაოთხი ათასი მონა ჰყავდა“[4].

---

[1] The Enc. Brit., XIII გამ. ტ. მე-9. გვ. 104.

[2] W. Eton, survey of the turkish Empire... London. 1798, გვ. 235—296.

[3] W. Eton, დასახ. მონოგრაფია, გვ. 406.

[4] Новейшия известия о Турецком государстве, 1789 (თარგმანი გერმანულიდან), გვ. 146—149.

თავი მეორე

## „ბულატ ჭაფანის“ აჯანყება

### 1. საქართველოდან გაბაცება და ნათლობა უდაბნოში

ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმის კრიზისი ეგვიპტეში ალი-ბეის დიდი აჯანყებით დაგვირგვინდა. ალი-ბეი ქაჰია იბრაჰიმის მონა იყო და ლუიზინიანის გადმოცემით, 1728 წელს დაიბადა ამაზიაში[1], კეთილშობილ ოჯახში. მამამისს, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრად მსახურობდა, სახელად დაუთი ანუ დავითი ერქვა. ალი-ბეის მოტაცებამდე იოსები რქმევია. მის გარდა აცაზიელ მღვდელს დავითს ჰყოლია ორი ქალიშვილი, რომელთაგან უმცროსის სახელი პიახუტი ანუ კუბი ყოფილა. ცამეტი წლის იოსები ტყეში თამაშობის დროს ყაჩაღთა რაზმს მოუტაცია. „ამ რაზმის მოსაქმეობა, — შენიშნავს ლუიზინიანი, — იყო ჩერქეზეთში, სამეგრელოსა და საქართველოში ბავშვების მოპარვა და უცხოეთის ქვეყნებში მათი გაყიდვა“.

საინტერესოა, რომ დანიელი მოგზაური და ორიენტალისტი კარსტენ ნიბური ალი-ბეის პირდაპირ ქართველი მღვდლის შვილად იხსენიებს[2].

---

[1] ლუიზინიანი (იხ. მისი დასახ. შრომა, გვ. 63—64) წერს: „ალი-ბეი დაიბადა აბაზაში ანუ ამაზიაშიო“, თანაც სქოლიოში განმარტავს არა „აბაზას“, არამედ ამაზიას: „ამაზია არის სახელწოდება მცირე აზიის ჩრდილოეთი ნაწილისა, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროს შუა ნაწილში—ანატოლიაში. მან თავისი სახელი მიიღო მდ. ირისზე მდებარე მთავარი ქალაქის—„ამაზიასაგან“. ეს იყო რეზიდენცია კაპადოკიის მეფეების, ახლა იგი ზოგჯერ გამოყენებულია როგორც ოსმალეთის ბეგლარბეგის ანუ მმართველის ადგილსამყოფელი“. თუ ამ შენიშვნას დავუმატებთ მითითებას იმაზე, რომ ალი-ბეის მამა იყო მაჰმადიანურთან „შერწყმული“ მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვარი, ხომ არ უნდა დავასკვნათ, რომ ბავშვი ლაზეთიდან ყოფილა გატაცებული?

[2] C. Niebuhr, Voyage en Arabie... tome I, A Amsterdam, 1776, გვ. 111.

ვოლნეის[1] — ამ ფრანგი მოგზაურის ღა მეცნიერის სიტყვით, მამლუქები მეტწილად მეგრელები და იბერიელები იყვნენ[2] (ამავე ავტორის ცნობით, მამლუქთა ჯარი 21 ეროვნების შვილთაგან შედგებოდა, თანაც პირველი ოთხი ადგილი ეკავათ კავკასიიდან გატაცებულებს).

პატარა იოსები (მომავალი ალი-ბეი) ქურთ ვაჭარს აჰმედს ეგვიპტეში ჩაუყვანია. იქ ბავშვი უყიდია იბრაჰიმ ქაჰიას, რომელიც მაშინ, ლუიზინიანის ცნობით, ისმაილ ჩაუშის ხელქვეითი ყოფილა. იქვე ეს ავტორი დასძენს, ფაქტიურად ისე გამოვიდა, რომ ბავშვი ქიორ აჰმედ ფაშას მთავრობამ იყიდაო[3]. ლუიზინიანი იმასაც ამტკიცებს, რომ ქართველ ქაჰია იბრაჰიმს ორი ათასზე მეტი მონა ჰყოლია და მათგან ბეგის ღირსებამდე ბევრი ამაღლებულა[4].

ვოლნეის სიტყვით, იოსები კაიროში იყიდეს მებაჟე მოხელეებმა ებრაელმა ძმებმა — ისააკმა და იუსუფმა[5]. მათ ბავშვი იბრაჰიმ-ქაჰიას წარუდგინეს ქართველი ბიჭი თავის ახალ პატრონთან ასრულებდა იმ მოვალეობას, რასაც პაჟები ასრულებენ პრინცებთან. მას შეასწავლეს ცხენის ტარება, კარაბინის მოხმარება, ე. წ. ჯერიდის ტყორცნა, ხმლის მოქნევა და ანბანი, ერთი სიტყვით, არაფერი დააკლეს, რაც კი მამლუქთა აღზრდას შეეფერებოდა. აღზრდის ამ სისტემას ვოლნეი შემდეგნაირად გვისურათებს: „სამსახურის გაწევისა და იარაღის მოხმარის ხელოვნება წარმოადგენს მამლუქთა აღზრდის საგანს და მთელი მათი ცხოვრების შინაარსს. ყოველდღე, ცისმარ ალიონზე, მათი უმეტესობა კაიროს გარეთ მდებარე ველ-მინდორზე გამოდის. აქ ვარჯიშობენ, აღვირახსნილი ცენების დროს როგორ გადმოიღონ კარაბინის თოფი ბუდიდან, სწორად დაუმიზნონ, შემდეგ ბარძაყის ქვეშ შემალონ. ამას მოსდევს ორი დამბაჩის დაცლა, ეს დამბაჩები ღვედით ერთმანეთზე არის გადაბმული. ბეგები უყურებენ ამ

---

[1] ჩვენ გადაჭარბებულად მიგვაჩნია ბ. მამიკონიანის სკეპტიციზმი ვოლნეისადმი (იხ. ბეი-მამიკონიანი: „ქართველი მამელუკები ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლაში". „მნათობი", 1957, № 9, გვ. 127). ისეთი ავტორიტეტული მეცნიერი, როგორიც არის ჟოზეფ' ჰამერი, ვოლნეის, ფაქტების ზუსტად გადმოცემის თვალსაზრისით, სავარიზე და სხვა ავტორებზე მაღლა აყენებს (Hammer, დასახ. მრავალტომიანი მონოგრაფია, ტ. XVI, პარიზი, 1839, გვ. 149). რაც შეეხება თვითონ ჰამერს, მას ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს ფრ. ენგელსი, როგორც ყველაზე ინფორმირებულ, ფართო და ღრმად ერუდირებულ მკვლევარს. იმ დროს, როცა ევროპელებმა ოსმალეთის შესახებ იმდენი იცოდნენ, რამდენიც მთვარის ადამიანებზე, ჰამერი ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენდაო, — განმარტავს ენგელსი (Маркс и Энгельс. Соч. т. IX. изд. I, გვ. 387).

[2] Volney Ocuvres completes... 1837, გვ. 139, m. IX, 387.

[3] ლუიზინიანი, დასახ. შრომა, გვ. 64.

[4] იქვე, გვ. 66.

[5] პეისონელის განმარტებით, ებრაელს აკრძალული ჰქონდა მაჰმადიანის ყიდვა, ამიტომ ზემოხსენებული ფაქტი დამატებითი საბუთია ალი-ბეის ქრისტიანული და ქართული წარმოშობის შესახებ.

სცენას და აქეზებენ მოვარჯიშეთ. ვინც გატეხავს სამიზნედ გამოყენებულ თიხის ლამბაქს, ჯილდოვდება ხოტბითა და ფულით. მამლუქები იწვრთნებიან ხმლის ხმარებაშიც. განსაკუთრებული ყურადღება ხმლის ხელუკუღმა შემოქნევას და დარტყმას ექცევა. ასეთი დარტყმა ძალიან ძნელი გახლავთ მოსაგერიებლად. მათი მახვილი იმდენად ბასრია, ხოლო ხელი იმდენად მოხერხებული, რომ დასველებული ბამბის ფიტულებს კარაქწასმული პურივით ჰკვეთენ. ისინი მშვილდ-ისარსაც იყენებენ, თუმცა საბრძოლო პრაქტიკიდან ის უკვე გამოსულია. მათი სათაყვანებელი ვარჯიშია ჯერიდის მოხმარა. ასე ეწოდება საკუთრივ ლერწამს, საერთოდ კი ყოველგვარ ჯოხს, რომელსაც სატყორცნად იყენებენ. მამლუქები ჯოხის მაგიერ ჯერიდად ხმარობენ პალმის ფოთლებჩამოყრილ ნედლ შტოებს. ამ ჯერიდებით შეიარაღებული ცხენოსნები საასპარეზოდ გადიან, გაშმაგებით მიაჭენებენ ცხენებს და ერთმანეთს ჯერიდებს რიგრიგობით სტყორცნიან, რაშებიც ხელს უწყობენ მხედართ, რომლებიც დიდ კმაყოფილებას განიცდიან, თუმცა ხშირად ასეთი ვარჯიშობა სასიკვდილო შემთხვევებითაც დამთავრებულა. ვაი მას, ვინც თავს ვერ დააღწევდა ალი-ბეისაგან გატყორცნილ ჯერიდს", — დასძენს ვოლნეი[1].

არის ვერსია, რომ ახალგაზრდა ალი თავდაპირველად პატრონის სახლში საჰურველმტვირთველის თანამდებობას ასრულებდა. თავისუფალ ადამიანად რომ აქცია, პატრონმა მას წვერ-ულვაშის მოშვების ნება დართო (მუსულმანთა შორის უწვერულვაშოდ სიარული მხოლოდ და მხოლოდ მონათა წესიაო, — შენიშნავს ვოლნეი). ქალიც მაშინ უთხოვა ბატონმა ალის და შემოსავალიც გაუჩინა, თანაც ქაშიფების (მაზრების გამგებლები) რაზმში ჩარიცხა. ამ დროს ალი ოცდაორი წლისა იქნებოდა.

ქაშიფად გახადა თუ არა, ქაჰია იბრაჰიმმა ალი მექაში წაიყვანა — უნდოდა გამოეცადა მისი მამაცობა, რადგანაც მექაში მლოცველთა ქარავნების გამყოლ რაზმს საქმე ჰქონდა ნომადი ანუ მოხეტიალე არაბი ტომების გამუდმებულ თავდასხმებთან[2].

მექაში წასვლის წინ ქაჰია იბრაჰიმმა კაიროში დაძაბული მდგომარეობა დატოვა. საქმე ის არის, რომ 1746 წელს ხვანთქარმა კაიროში ახალი ფაშა დანიშნა. ქაჰია იბრაჰიმმა მას ცუდი თვალით შეხედა. ხალხმა, რომელიც არ იყო იბრაჰიმის გამგებლობით მადლიერი, ოსმალეთის ახალ ფაშას საჩივრებით მიმართა. ფაშამ იბრაჰიმს მომჩივანთა სასარგებლოდ ღონისძიებათა გატარება ურჩია, მაგრამ მან ეს რჩევა არაფრად ჩააგდო. შეურაცხყოფილმა ფაშამ ჰუსეინბეი ალ-ქაშიფს დაავალა იბრაჰიმ ქაჰიას და მისი კოლეგის რიდვან-ბეის მოკვლა და სამაგიეროდ შაიხ ულ-ბალადის ადგილს შეჰპირდა. შეთქმულებმა ეს რომ

---

[1] Voyage... დასახ. გამ., ტ. I, გვ. 160—162. შდრ. ამ. ცამციშვილი, მამლუქთა ასპარეზობა. „ლელო", 21 და 24 აგვისტო, 1955 წ.

[2] Volney. Voyage... 1787 წ. გამ., ტ. I, გვ. 104—108.

გადაწყვიტეს, მაშინ იბრაჰიმ ქაჰია მლოცველთა ქარავნის გუშაგად მექას იყო გამგზავრებული[1].

ახალგაზრდა კაშიფმა, რომელიც მექაში ახლდა თავის ბატონს, დიდი გმირობით მოიგერია ბედუინ არაბთა რაზმების იერიში. ამ ვაჟკაცობისათვის ალის მეტსახელად ჯენ-ალი ანუ ალი სატანა შეარქვეს. კაიროში დაბრუნების შემდეგ ქაჰია იბრაჰიმმა მოინდომა ალის ვაჟკაცობა ბეგის ტიტულის მინიჭებით აღენიშნა, მაგრამ ხელი შეუშალა ჯერ თვითონ ალის ახალგაზრდობამ, ხოლო შემდეგ — ჰუსეინ-ბეის შეთქმულებამ[2].

როგორც კი ქაჰია იბრაჰიმი კაიროს დაბრუნდა, ჰუსეინ-ბეიმ ისიცა და მისი მეგობარი რიდვან-ბეიც შეიპყრო და კაიროს ციტადელში დაამწყვდია. ჰუსეინ-ბეი შეიხ ელ-ბალადად გამოცხადდა. მაგრამ ამხედრდნენ ქაჰია იბრაჰიმის მოხრენი, იერიში მიიტანეს ორივე შეთქმულზე (ოსმალო-ფაშა და ჰუსეინ-ბეი) და თავიანთ ტუსაღ ბელადებს ციხის კარები გაუღეს. შეთქმული ჰუსეინ-ბეი ზემო ეგვიპტეში გაიქცა, ხოლო ფაშა სტამბოლს გაგზავნეს, სადაც მას უხეირო ჩოღვაწეობისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს[3].

მალე სხვა საინტერესო ამბებიც მოხდა. კაიროში ცნობა მივიდა—გაძევებული ფაშის შემცვლელი კაცი ალექსანდრიაში ჩამოდისო. იმ დროსაც არსებობდა ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში დამკვიდრებული წესი: ყოველი ახლადდანიშნული ფაშა ალექსანდრიაში შეჩერდებოდა და შაიხ ელ-ბალადისა და სხვა ბეგების, მილოცვასა და საჩუქრებს დაელოდებოდა. მაშინ აგრეთვე წესად იყო დამხვდურ მამლუქ ბელადებს შეჩენილი ჯაშუშებით წინასწარ შეეტყოთ, თუ რა სახის ბრძანებები და ინსტრუქციები მოჰქონდა სტამბოლიდან გამოგზავნილ ფაშას. თუ ეს დოკუმენტები მამლუქთათვის საზიანოს არაფერს შეიცავდა, ხსენებული ბელადები ფაშას კაიროში სათანადო ცერემონიით მიიღებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში —შეიკრიბებოდა მამლუქი ბეგების ანუ ბელადების დივანი, რომელიც ოსმალეთიდან ჩასულ ფაშას ალექსანდრიიდან კაიროსკენ გზის გაგრძელებას აუკრძალავდა, თანაც სტამბოლს მისწერდა — ახალი ფაშის ვერაგული ხასიათი და ზრახვები ეგვიპტეში ამბოხებებს გიქადით და სხვა კაცი გამოგვიგზავნეთო. იმ მომენტში, რომელზედაც საუბარი გვაქვს, კაიროს დივანს არაფერი აღმოაჩნდა სტამბოლიდან გამოგზავნილი ფაშის საწინააღმდეგო და იგი ეგვიპტის სატახტოში დიდის ამბით მიიღეს. შეიხ ელ-ბალადმა და მამლუქმა ბეგებმა ახალ ფაშას ოსმალეთისადმი ერთგულება საჯაროდ შეჰფიცეს. იმანაც, რომელსაც რაგიბ-მუჰამედ-ფაშა ერქვა, მასპინძლებს

---

[1] Marcel. Histoire d' Egypte depuis la conquéte des Arabes. t. I. Paris. 1848, გვ. 227—228.

[2] Volney. დასახ. წიგნი, ტ. I, გვ. 104—108; Marcel, დასახ. ნაშრომი, გვ. 227—228.

[3] იქვე, ტ. I, გვ. 227—228.

ძვირფასი ქურქები ჩააცვა და იბრაჰიმ ქაჰიასთან ორი წლის განმავლობაში საუცხოო ურთიერთობა დაამყარა[1].

მაგრამ ერთ დღეს, უეცრად, სტამბოლიდან კაიროში ჩავიდა საიდუმლო ფირმანი ანუ ხატიშერიფი („კეთილშობილი წერილი", როგორც უწოდებდნენ თვით ხვანთქრის მიერ გამოცემულ უზენაეს ბრძანებულებებს, ანუ რესკრიპტებს). ფაშას უბრძანებდნენ — მოეხერხებინა მამლუქი ბელადების (ბეგები) მასობრივი ჟლეტა და პირველ რიგში შეიხ ელ-ბალადი და მისი მომხრეები მოეკლა. ფაშამ იცოდა, რომ სტამბოლის დივანს მის მიმართ ცუდი ეჭვები ჰქონდა —ხვანთქარი და მასთან დაახლოებული წრეები ფაშას ბრალს სდებდნენ აჯანყების სამზადისში და პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვაში. სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას მისი კეთილი პოზიცია მამლუქი ბელადების მიმართო—ფიქრობდნენ სტამბოლის მაღალ წრეებში. ხვანთქრის დივანის საიდუმლო ბრძანების საჯაროდ ასრულება ნიშნავდა მამლუქთა ძლიერი წინააღმდეგობის გამოწვევას; აუსრულებლობაც, ანდა ასრულების დაყოვნებაც, არ შეიძლებოდა—ფაშას თავის მოკვეთა ემუქრებოდა, სტამბოლში იტყოდნენ—გამართლდა ჩვენი ეჭვები, ფაშას დამოუკიდებლობის მიღწევის სურვილი გულში მართლა სდებიაო და მკვლელსაც უეჭველად მიუგზავნიდნენ. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ რაგიბ-მუჰამედ-ფაშამ მუხანათობას მიმართა: მან მოუხმო შეიარაღებულ მომხრეებს და დაავალა — სიცოცხლეს გამოასალმეთ ყველა მამლუქი ბეგი, როცა ისინი გაფართოებულ დივანზე ჩემთან ერთად იქნებიანო. საბედისწერო შეთქმულება სისრულეში მხოლოდ ნაწილობრივ იქნა მოყვანილი—სამი ბეგი მოკლეს, დანარჩენებმა კი, თვითონ შეიხ ელ-ბალადის მეთაურობით, თავი ჩინებული მამაცობით დაიცვეს და აღშფოთებულებმა ფაშას მიახალეს—ამ ღალატს შენგან არ მოველოდით, ეს არ ეკადრებოდა იმ მდგომარეობას, რაშიაც შენ ჩვენმა მეგობრობამ ჩაგაყენაო. რაგიბ-მუჰამედ-ფაშამ თავის გასამართლებლად ხვანთქრის ფირმანი ააფრიალა. იგი სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ კაიროს დივანმა გადააყენა და სტამბოლს ეგვიპტეში ახალი ფაშას გაგზავნა მოსთხოვა. მოკლულთა ადგილზე სამი ახალი ბეგი აირჩიეს. იბრაჰიმ ქაჰიამ ეს მომენტი გამოიყენა ამ მაღალ თანამდებობაზე ალი-ბეის დასანიშნავად[2].

ალი-ბეის ამ წარმატებამ უაღრესად გააბოროტა მისი პირადი მეტოქე—მეორე იბრაჰიმი, რომელიც წარმოშობით ჩერქეზეთიდან იყო და ამიტომ მეტსახელად შერქმეული ჰქონდა — ელ-ჩერქეზი. მას ერთხანს აოკებდა იბრაჰიმ-ქაჰიას ავტორიტეტი. მალე უკანასკნელიც მკვლელის ხელით დაიღუპა. ერთი ცნობით, ეს ამბავი 1754 წელს მოხდა[3]. სხვა ცნობებით—1757 წელს[4]. ერთი რიგის ევროპული წყაროების მიხედვით იგი მოკლა იბრაჰიმ ელ-ჩერქეზმა, მაგრამ

---

[1] Marcel, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 228. შდრ. ლუიზინიანი, დასახ. გამოცემა, გვ. 3—7.

[2] იქვე, შდრ. ლუიზინიანი; დასახ. წიგნი, გვ. 32—34.

[3] იქვე, გვ. 229.

[4] ბეი-მამიკონიანი, დასახ. სტატია, გვ. 131.

მკვლელმა ამბიცია ვერ დაიკმაყოფილა. მან მხოლოდ სიძულვილი დაიცხრო: შეიხ ელ-ბალადობა იბრაჰიმ-ქაჰიას თანამებრძოლისა და მეგობრის რიდვან-ბეის ხელში გადავიდა[1].

## 2. რიდვან-ბეის სასახლის იერიში

ვოლნეი და მასთან ერთად სხვა მკვლევარებიც ალის აღზევებას რიდვან-ბეის დაღუპვას უკავშირებენ. ვოლნეი წერს: იანიჩართა ჯარის ვეტერანმა — პოლკოვნიკმა ანუ ქაჰია იბრაჰიმმა 1746 წელს ეგვიპტის ფაქტიური გამგებლის მდგომარეობას მიაღწია. მან მოამრავლა გათავისუფლებული მონები, მათ შორის ეგვიპტის 24 მამლუქი ბეგიდან რვა მის სახლობას ეკუთვნოდა. „იბრაჰიმის პარტიის ჩამოღმა, — აღნიშნავს ვოლნეი, — ძლიერებით სახელი გაითქვა აზაპთა[2] პოლკოვნიკის რიდვანის საზოგადოებამ. ოსმალო ფაშა ფანტომად იქცა. იბრაჰიმის მემკვიდრე, რიდვანი, ახალგაზრდა შეთქმულმა ბეგებმა მოკლეს, ამის შემდეგ დაიწყო ალი-ბეის აღზევება[3].

რიდვანის ძალაუფლების აღსასრულს საბჭოთა არაბისტი მატვეევი შემდეგნაირად გადმოგვცემს: 1755 წლის 16 მაისს დილიდანვე კაიროს იმ რაიონში, სადაც ეზბეკიეს სასახლე აღმართულა, მოსახლეობა ბინებში იმალებოდა და გარეთ გამოხედვას ვერ ბედავდა. ვაჭრები თავიანთ ფარდულებს არ აღებდნენ, ქუჩები, სადაც ხალხი ჩვეულებრივ ბუზებივით ირეოდა, დაცარიელებულიყო, არც მეთულუხჩენი ჩანდნენ, არც მათხოვარნი და არც დერვიშები (ადამიანები, რომელთაც თავი შეეწირათ ალაჰის სამსახურისათვის, უარი ეთქვათ ყველა მიწიერ სიკეთეზე და მათხოვრულ ცხოვრებას დასწაფებოდნენ. მათ პირობითად შეიძლება მუსულმანი ბერებიც ვუწოდოთ). ეზბეკიეს სასახლე ეკუთვნოდა რიდვანს, ოსმალ მხედართუფროსს, რომელიც ბეგების საბჭოზე ნახევარი წლის წინათ ქვეყნის მეთაურად — შეიხ ელ-ბალადად აერჩიათ. დილით რიდვან-ბეის სასახლეს თავს დაესხნენ. რიდვან-ბეი ელოდა ამ თავდასხმას და ამიტომ დროულად გასცა ბრძანება კედლები გამოეპრათ და შიგ ზარბაზნები ჩაედგათ. თავდასხმას ხელმძღვანელობდა ოსმალო მხედართუფროსის აბდარახმანის ახალგაზრდა მამლუქი — ალი-ბეი, რომლის სასახლეც იქვე მდებარეობდა. ბრძოლა გააფთრებული იყო. ზარბაზნის გასროლის ხმები გრუხუნით ეფინებოდა ქუჩებს და წამლის კვამლის ხვეულები მეზობელ ბინებამდე და ბაღებამდე აღწევდა. ორმხრივმა კანონადამ დაახლოებით ოთხ საათს გასტანა. ალი-ბეის მამლუქებმა, რომლებიც ეზბეკიეს სასახლის შორიახლო ცხენებს და-

[1] Marcel, დასახ. შრომა, გვ. 229—230.

[2] „აზაპანი", როგორც ვიცით, ფურმონის განმარტებით, ეგვიპტეში ჩაყენებულ ერთ-ერთ ოსმალურ კორპუსს ეწოდებოდა (Fourmont. დასახ. წიგნი, გვ. 68—83).

[3] Volney, დასახ. წიგნი, ტ. I, გვ. 102—104.

აგელვებდნენ დაინახეს, თუ როგორ გაჩნდა გალავნის კედლებში ბზარები და უკანასკნელი იერიშისათვის მოემზადნენ. გრძნობდნენ, რა თავიანთ რიცხობრივ უპირატესობას, გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდათ. მაგრამ ანაზდეულად ალაყაფიდან შეჯგუფული გამოცვივდნენ რიდვან-ბეის მამლუქები და ელვის სისწრაფით ეკვეთნენ მოალყეებს. ესროდნენ და ჩეხავდნენ გაჭენებული ცხენებიდან ალი-ბეის მომხრეებს, გაარღვიეს გარემომცველთა რკალი და დაუოკებელი მერნებით ჯგუფურადვე გაიქროლეს ქალაქის ქუჩებში. სასახლიდან გამოხდომის მონაწილეთა შორის იყო თვითონ რიდვან-ბეიც. მათ არავინ გამოდევნებია. მთელი ეს კავალკადა კაიროს ციტადელისაკენ გაემართა. აი, ციტადელიც. მისი კარების წინ რამდენიმე ოსმალო ჯარისკაცი იდგა. სიმშვიდე სუფევდა. მაგრამ... თვალი მოჰკრეს რა მამლუქებს, ჯარისკაცებმა გაცხოველებული ლაპარაკი დაიწყეს, მოითათბირეს და ციხე-სიმაგრეში სირბილით შეცვივდნენ. რიდვან-ბეი ციტადელს მიადგა, მაგრამ ალაყაფი მაგრად ჩარაზული დახვდა. ოსმალეთის ჯარისკაცებმა ციხე-სიმაგრის კარები არ გაუღეს, მხარი არ აუბეს. განრისხებული რიდვან-ბეი თავისი სასახლისაკენ გაბრუნდა. მაგრამ, როცა მამლუქებთან ერთად ეზბეკიეში დაბრუნდა, სასახლე გაძარცული და ცეცხლის ალში გახვეული დახვდა. რიდვან-ბეის ზოგიერთმა მამლუქმა მტრის მხარეზე გადასვლა ამჯობინა. ერთ-ერთმა მათგანმა ტყვიაც მიაყოლა თავის პატრონს და ფეხში დაჭრა, მიუხედავად ამისა, რიდვან-ბეი ცხენზე დარჩა და, გაუმკლავდა რა მეტოქეებთან შეტაკებას, სასახლის ბაღების გადავლით ხელიდან დაუძვრა მდევრებს. იგი იძულებული გახდა ზემო ეგვიპტეში გაქცეულიყო და იქვე მალე გარდაიცვალა"[1].

ასეთია რიდვან-ბეის — ქაჰია იბრაჰიმის მემკვიდრის — ძალაუფლების აღსასრული საბჭოთა ისტორიკოსის აღწერით. ეს მკვლევარი დასძენს: თავისი პატრონის ქაჰია იბრაჰიმის სიკვდილის შემდეგ ალი-ბეი აბდარ-რახმანის სამსახურში გადავიდა და 1755 წლის მაისში ახალი პატრონის მეტოქე რიდვან-ბეისთან ბრძოლის მთავარი მოქმედი პირი გახდაო[2].

### 8. პოლიტიკური დუელი კაიროში

1763 წელს ალი-ბეიმ აბდარ-რახმანს შეიხ ელ-ბალადობა ჩამოართვა და ეს მაღალი ტიტული მიითვისა, მაგრამ შემდეგ ოთხი წლის განმავლობაში მრავალი სასტიკი ბრძოლის გადახდა დაჭირდა, რათა ეგვიპტის საჭეს ნამდვილად დაპატრონებოდა. ძალაუფლების საჭესთან მისვლა ალი-ბეიმ უწინარეს ყოვლისა იმით აღნიშნა, რომ საკუთარი ხელით დახანჯლა თავისი ბატონის — ქართველი ქაჰია იბრაჰიმის მკვლელი ჩერქეზი ბეგი.

---

[1] Н. Петровский, В. Матвеев, Египет—сын тысячелетий. 1959, გვ 199.
[2] იქვე, გვ. 200.

ალი-ბეიმ განიზრახა საქმით დაემტკიცებინა, რომ ეგვიპტის გამგებლობის ღირსი იყო. ყველგან შედარებითი სამართლიანობა დაამყარა, პროვინციები ავაზაკებისაგან გაწმინდა. მოსახლეობა დამშვიდდა და ალი-ბეის ლოცავდა. უკანასკნელმა გულში ჩაიდო ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსვლისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის განზრახვა. სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობიდან მოხსნა ე. წ. ოჯაკლების კორპუსების ბელადები და ისინი თავისი ხალხით შეცვალა. იანიჩრებს ჯამაგირი ცხრა მეათედით შეუკვეცა, ოსმალთა ჯარების რიცხვს სულ უფრო და უფრო ამცირებდა და მამლუქთა საკუთარ დასს განუწყვეტლივ აფართოებდა. ერთი ცნობით, მან ექვსი ათასამდე მამლუქი შეიძინა. ამავე დროს იმ ბეგებს და კაშიფებს, რომელთა იმედი მაინც დამაინც არ ჰქონდა, მხოლოდ თითოოროლა მამლუქის ყოლის უფლება მისცა[1].

ერთ-ერთი გერმანელი ავტორის ცნობით, ალი-ბეის მონების რიცხვი საერთოდ 24 ათასამდე აღწევდა[2].

ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმის მოხელე იბრაჰიმ ქაჰიას მამლუქის ალი-ბეის სწრაფი აღზევება რომ გასაგები გახდეს, საჭიროა მივმართოთ ხსენებული საოკუპაციო რეჟიმის იმ აღწერას, რომელიც საფრანგეთის მეფის თარჯიმანმა ფურმონმა დაგვიტოვა. ეს ავტორი წერს: „მართალია, კანონით ეგვიპტეში არსებობს 24 ბეგის თანამდებობა, მაგრამ სახეზე ოცდაოთხივე ბეგი იშვიათად გვხვდება. ბეგის დღიური ჯამაგირი, რომელსაც ოსმალეთის ხაზინა იხდის, დაახლოებით თვრამეტ ლივრს უდრის. ამიტომ, თუ რომელიმე ბეგი გარდაიცვალა, ფაშა არ ჩქარობს მაგიერის დანიშვნას და ხსენებულ ჯამაგირს თვითონ ითვისებს, რითაც მნიშვნელოვან მოგებას ნახულობს. თვრამეტი ლივრი ბეგისათვის ჩვეულებრივი დღიური ულუფაა, თორემ საგანგებო მოგზაურობის დროს, ანდა სალაშქროდ გასვლის პირობებში, ბეგებს დღიურად ოცდაჩვიდმეტი ლივრი და ათი სუ ეძლევათ. ფაშა, რამდენ ხანსაც შეუძლია, მაქსიმალურად აყოვნებს ბეგთა ვაკანტური თანამდებობების შევსებას და როცა ყველა ვადა ამოიწურება, სინჯავს კანდიდატურების სიას და ოცდაოთხის ოლიგარქიაში ჩარიცხავს იმას, რომელიც ქრთამად მიართმევს ოც თუ ოცდახუთ ქისას. თითო ქისა ჩვენს ფულზე ორი ათას ლივრს უდრის. არჩევანი თითქმის ყოველთვის მოდის შონა ადამიანებზე, რომლებიც მათ ბატონებს გაუმდიდრებია... რადგანაც ფაშას ამ ბეგებზე აქვს სიკვდილ-სიცოცხლის უფლება და მას შეუძლია სულ მცირეოდენი საბაბით სიცოცხლე მოუსპოს ამა თუ იმ ბეგს, ეს ბეგები, პირადი უშიშროების მიზნით შედიან იანიჩართა, აზაპთა ანდა სიპაჰების მფარველობაში. ხშირად სამივე ამ კორპუსს მიებარებიან ქომაგობისათვის, უკეთუ ძალოძთ საამისო ხარჯების გაწევა. ასეთ შემთხვევაში ფაშას, რომელიც საოკუპაციო ჯა-

[1] Marcel, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 232. შდრ. Lancret, დასახ. შრ., გვ. 469—470.

[2] Новейшия историческия известия о турецком государстве, СПБ. 1789, გვ. 146—149. ეს ციფრი ფრიად გაზვიადებულია (დ. ჯ.).

რების ამ კორპუსების მიმართ არავითარი ფაქტიური ძალაუფლებით არ სარგებლობს და, რომელიც მათგან ათასნაირ საფრთხესაც მოელის, ვერ ბედავს ბეგებთან თვითნებობის საქმეში შორს გასტოპოს“[1].

იმავე ფურმონის გადმოცემის მიხედვით, ირკვევა, რომ აღებს, რომლებიც ოსმალთა საოკუპაციო ჯარების შვიდ „რეჟიმენტს“ სარდლობდნენ, საკმაოდ დიდი თანხები ეძლეოდათ. ამ თანხებით მათ შეეძლოთ თოფქვეშ ჰყოლოდათ ოცი ათასი ცხენოსანი და ოცი ათასიც ქვეითი მეომარი და ასედაც იყო ზემოდან გათვალისწინებული, მაგრამ საამისოდ გამოყოფილი თანხის ნახევარს ხარჯავდნენ დანიშნულებისამებრ და ორმოცი ათასი ცხენოსან-ქვეითი მეომრის მაგიერ მისი ნახევარი თუ ჰყავდათ თოფქვეშ. მორჩენილი თანხით ჯიბეებს ისქელებდნენ[2].

ფურმონის ცნობები თვალწინ გვიშლიან ეგვიპტის საოკუპაციო ძალებში გაბეფებული კორუპციის და ამ ძალების გადაგვარების მკაფიო სურათს. ეგვიპტის ოსმალურ ადმინისტრაციაშიც ის წყლულები იჩენდა თავს, რომლებიც მაშინ საერთოდ ოსმალეთის ვრცელი იმპერიისათვის იყო დამახასიათებელი[3].

ალი-ბეის სამხედრო რეფორმამდე ეგვიპტეში არსებობდა ოსმალეთის კავალერიის ხუთი სხვადასხვა კორპუსი: მუტაფარიკების, ოღნიულების, თუფენ-ჩიების[4], ჩერაკსებისა[5] და ჩაუშების. მუტაფარიკთა კორპუსი ყველაზე უფრო წარჩინებულ ძალად ითვლებოდა. მის სათავეში იდგა ოსმალო ფაშა, რომელსაც 2000 ცხენოსანი ემორჩილებოდა. ამ კორპუსის ერთ ნაწილს შეადგენდა იმავე ფაშას სახლეულობის ხალხი, ხოლო მეორე ნაწილი შედგებოდა მდიდარი ვაჭრებისაგან, რომელნიც ფაშას მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ და რომელთა უმრავლესობას სამხედრო სამსახურისა არაფერი ესმოდა. ეს კორპუსი იცავდა ალექსანდრიის, როზეტას, დამიეტას და სუეცის ციხე-სიმაგრეებს. სხვა ცხენოსანი კორპუსები განაწილებული იყვნენ მთელ ეგვიპტეში. ისინი ემორჩილებოდნენ კაშიფებს, რომლებიც პროვინციებში ბეგების თანაშემწეთა მოვალეობას ასრულებდნენ, ახორციელებდნენ რა ძალაუფლებას მათი სახელით. გამონაკლისს შეადგენდნენ ჩაუშები. ჩაუშების კორპუსს ზუსტად განსაზღვრული ადგილსამყოფელი არ ჰქონდა. ქვეითი ჯარი იანიჩრებისა და აზაპებისაგან შედგებოდა. ისინი იცავდნენ კაიროს ციტადელს, რომელიც მუკატამის მთაზე იყო აღმართული. კავალერია და ქვეითი ჯარი ერთმანეთისადმი მუდამ მტრულად იყვნენ განწყობილნი. ალი-ბეის აღზევების დროს ოსმალეთის ფაშა ამ საოკუპაციო ჯარებზე რეალური ძალაუფლებით არ სარგებლობდა და მთელი მისი მოღ-

---

[1] Fourmont, დასახ. წიგნი, გვ. 68—78.

[2] იქვე, გვ. 78—83.

[3] ამის შესახებ ვრცლად იხ. Миллер. Мустафа Паша Байрактар. М., 1947.

[4] მეთოფენი ჯარში.

[5] ამ ტერმინის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს „მეჩირაღდნენი“.

ვაწეობა მიმართული იყო იქითკენ, რომ მათ შორის შუღლი და უთანხმოება შეენარჩუნებინა და ამ გზით განეგო ეგვიპტე[1].

მოტანილი მასალა თვალნათლივ გვიჩვენებს ალი-ბეის სწრაფი აღზევების მთელ საიდუმლოებას. ეს საიდუმლოება, ერთი მხრივ, ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმის სტრუქტურაში, ხოლო, მეორე მხრივ — იმავე რეჟიმის მაშინდელ სავალალო მდგომარეობაშია საძიებელი.

ტახტისათვის ბრძოლაში გამარჯვებულმა ალი-ბეიმ თვრამეტ მამლუქს მისცა ბეგის ტიტული. მათ შეადგინეს მისი სახლეულობა. ერთი ვერსიით, რომელიც ისტორიკოს მარსელს მოჰყავს, ესენი იყვნენ შემდეგი პიროვნებანი:

1. ალი-ბეის ძმისწული როდუაანი (ფრანგ ავტორებთან)
2. ალი ალ-ტანტავი
3. ისმაილ-ბეი
4. ჰალილ-ბეი
5. აბდარ-რაჰმანი
6. ჰასან-ბეი
7. იუსუფ-ბეი
8. ზულ-ფიკარი
9. აგიბი
10. შუსტაფა-ბეი
11. აჰმედ ჯეზაარ ამასიელი (ფრანგ ავტორებთან)
12. სელიმ-აღა
13. სულეიმანი — იანიჩართა ქაჰია
14. ლატიფ-ბეი
15. ოსმან-ბეი
16. იბრაჰიმ-ბეი
17. მურად-ბეი
18. მუჰამედ-ბეი აბუ ზ-ზაჰაბი.

მეორე ვერსია, რომელიც ლუიზინიანიდან მოდის, ძირითადად ემთხვევა მარსელისეულ ვერსიას იმ განსხვავებით, რომ აქ ალი-ბეის კრეატურათა უმეტესობა—11 კაცი ჩვიდმეტიდან —ქართველებად არის გამოცხადებული, მარსელი კი ქართველებად ნახევარს მიიჩნევს. მეორე ვერსიაში მცირეოდენი განსხვავებით განმეორებულია მარსელისეულ რეგისტრში დასახელებული ჩვიდმეტი ბელადი[2]. ვერსიათა შორის განსხვავება, ზემოხსენებულს გარდა, ისაა, რომ, ჯერ ერთი, ლუიზინიანთან სულაც არ არის მოხსენებული აბდარ-რაჰმანი, ხოლო მეორეც — ლუიზინიანის ნუსხა კრეატურათა შორის ასახელებს ალი-ბეის

[1] Fourmont, დასახ. წიგნი, გვ. 77—83.

[2] იხ. ბეი-მამიკონიანი, დასახ. სტატია; შდრ. ლუიზინიანი, მითითებ. წიგნი, გვ. 107—108.

დისწულს როსვანს, ხოლო მარსელისეული ნუსხა—ალი-ბეის ძმისშვილს როდუაანს (აქ როსვანი და როდუაანი ერთი და იმავე პიროვნების აღმნიშვნელი სახელი უნდა იყოს და ამგვარად, ამ ვერსიების მიხედვით, ძნელი დასადგენია, თუ ზუსტად ალი-ბეის რა ნათესავი იყო ეს როსვანი ანუ როდუაანი—ძმისწული თუ დისწული).

ორივე ვერსია არასრულად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, ორივეში გამოტოვებულია რამდენიმე პიროვნება. მოგვეპოვება უეჭველი საბუთი, რომელიც გვაუწყებს, რომ ალი-ბეის დაახლოებულ პირთა შორის ერია მონტემიურლი — აღმოსავლეთ საქართველოს პატრიარქის დომენტი დიასამიძის დისშვილი[1]. ეს საინტერესო საბუთი არის ევროპელი დიპლომატიური აგენტის ფრანგულად შედგენილი მოხსენება, რომელიც ჩვენ მოსკოვის არქივებში ვიპოვეთ—საბუთში ნათქვამია[2]: ალი-ბეის ჰყავდა ერთი გამოჩენილი მეგობარი, სახელად მონტემიურლი; ეს კაცი იყო მამით ავღანელი თურქი, დედით კი ქართველი—თბილისის პატრიარქის დისშვილი. იგი დაბადებულა 1740 წელს. მამამისი სპარსეთის მბრძანებელს ნადირ-შაჰს ერთ-ერთ სასიქადულო სარდლად ჰყოლია და დიდად ჰყვარებია. მამის დაღუპვის შემდეგ ბავშვი დედას თავის ძმასთან—ხსენებულ პატრიარქთან გაუგზავნია. ამ უკანასკნელს პირადი მტრების შეშინებია და დისშვილი ოსმალეთში გადაუხიზნავს. მალე ეს გადახიზნული ახალგაზრდა კაცი საფრანგეთში წასულა, დიდი ხნის შემდეგ ევროპიდან ეგვიპტეში დაბრუნებულა და ოსმალეთის ხვანთქრის წინააღმდეგ აჯანყებულ ალი-ბეის სამსახურში შესულა. ალი-ბეის იგი ძლიერ შეჰყვარებია, მაგრამ შურიან ადამიანებს მალე მათ შორის მტრობა ჩამოუგდიათ და მამლუქთა ქართველ ბელადს ახალი მეგობრის მოკვლა განუზრახავს. ბრალდებული თვითონ მისულა შეცდომაში შეყვანილ ბელადთან და მამაცურად განუცხადებია: ნუთუ დიდ ადამიანს შეგფერის სიკვდილით დასჯო ერთგული მოსამსახურე, როცა მას სასჯელის უმაღლეს ზომად განდევნაც ეყოფაო. ალი-ბეის მოსწონებია მონტემიურლის გაბედული საქციელი და მისთვის სიცოცხლე უჩუქებია. ამის შემდეგ გზაგამრუდებულ აღმოსავლელ ჩაილდ-ჰაროლდს ევროპა მეორედ მოუნახულებია. იქიდან ჩამოსულა, სტამბოლში დიდ ვაზირს აბდულ-ჰალილ-ჰამიდს (1782—1785 წწ.) სტუმრებია და მის სამსახურში შესულა.

ყველა საფუძველი არსებობს ვიფიქროთ, რომ ალი-ბეის მონტემიურლი, როგორც თავის დროზე მისი უაღრესად საყვარელი პიროვნება, ბეგების რიცხვში ჰყოლოდა. მაგრამ ზემოთ მოტანილი ფრანგული ვერსია, როგორც ვნახეთ, პირდაპირ არ იხსენიებს ამ პიროვნებას მთავარი ბეგების რეესტრში. ძნელი სა-

---

[1] დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ერთი ახალი ცნობა მამელუკ ალი-ბეის შესახებ („მნათობი", 1962 წ. №3, გვ. 182).

[2] რუს. საგ. პოლიტ. არქივი, ფონდი „რუსეთის ურთიერთობა ოსმალეთთან", საქმე № 682. ფურც. 50—53. შდრ. Correspondance Politique et Anecdotique surles Affaires de l'Europe... t. IV, 1789, გვ. 76—78 (აქ შეიხ მანსური ცხადდება ნადირ-შაჰის შთამომავლად).

თქმელია, რომელი დასახელებული ბეგი უნდა ვიგულისხმოთ ამ მონტემიურლად, ანდა — რამდენად რეალურია ასეთი ვარაუდის აღება. შესაძლებელია, მონტემიურლი ეკუთვნოდა არა ოცდაოთხი მთავარი ბეგის ჯგუფს, არამედ ბეგების რომელიმე სხვა თანრიგს. ცნობილია, რომ ოსმალების შესევამდე ეგვიპტეში ბეგების ხუთი თანრიგი არსებობდა. პირველს შეადგენდა ოცდაოთხი მთავარი ბეგი, პირველი თანრიგის ბეგს ეკუთვნოდა 100 მამლუქი და ათასეულს სარდლობდა. მეორე თანრიგის ორმოცი ბეგიდან თითოეულს ორმოცორმოცი მამლუქი ეკუთვნოდა. მესამე თანრიგში შედიოდა ოცი ბეგი და თითოეულ მათგანს ამდენივე მამლუქი ჰყავდა. მეოთხე თანრიგს შეადგენდა ორმოცდაათი ბეგი და თითოეული პატრონობდა ათ მამლუქს. მეხუთე და უკანასკნელ თანრიგში ოცდაათი ბეგი ირიცხებოდა და მათგან თითოეულს ხუთ-ხუთი მამლუქი ჰყავდა. ამგვარად, ბეგების კორპუსი ეგვიპტეში ოსმალების შეჭრამდე ას სამოცდაოთხ კაცს მოითვლიდა[1]. ბეგების თანრიგებად დაყოფა ოსმალთა ბატონობის ხანაშიაც იქნა შენარჩუნებული. ამაზე მიუთითებს ლარუსის ენციკლოპედიაც, სადაც ნათქვამია, რომ მამლუქთა საბოლოო აღსასრულის წუთებში ეგვიპტეში სულ ცოტა 470 ბეგი ყოფილა[2]. თქმულის საფუძველზე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ თუ ალი-ბეის მეგობარი მონტემიურლი 24 მთავარ ბეგთა შორის დასახელებული არ არის, იგი საერთოდ ბეგების კორპუსის რომელიმე თანრიგში მაინც უნდა ყოფილიყო ჩარიცხული. ამ საკითხის ზუსტად გამორკვევა მომავლის საქმეა.

ეგვიპტის ტახტისათვის ბრძოლაში ქართველი მამლუქის ალი-ბეის გამარჯვებას ემთხვევა კაიროში მამამისის დავითის შვიდთვიანი სტუმრობის ამბავი. დავითთან ერთად ეგვიპტეში ჩასულან მისი გაუთხოვარი ასული და შვილიშვილი როსვანი. ეს ორი ახალგაზრდა კაიროში დარჩენილა. ალი-ბეის ხსენებული და მიუთხოვებია თავის შვილობილ მუჰამედ-ბეი აბუ-ზ-ზაჰაბისათვის, ხოლო როსვანი გამხდარა ბიძამისის დაახლოებული მამლუქი და 1768 წელს ქაშიფობაც მიუღია[3].

ალი-ბეიმ ალაგმა ფულის კომბინატორები და სასულიერო არისტოკრატია[4]. გაუმკლავდა ბედუინებს, ისინი უდაბნოში გადარეკა, ხელი შეუწყო საშინაო და საგარეო აღებ-მიცემობის განვითარებას და საკუთარი მონეტაც მოჭრა. სიწყნარის დამყარების და გმირობის აღსანიშნავად ალი-ბეის ოსმალებმა „ბულუტქაპანი" ანუ „ქარბუქთა დამაოკებელი" უწოდეს[5].

ამ დროს კაიროში ხვანთქრის ნაცვლის სახით მუჰამედ ფაშა იჯდა. მას ცხა-

---

[1] Volney. Oeuvres Complètes. 1837. გვ. 176 (XV საუკუნის არაბული წყაროს ფრაგმენტები).

[2] larousse, დასახ. ენციკლოპედიური ლექსიკონი.

[3] გ. ბეი-მამიკონიანი, დასახ. სტატია, გვ. 132.

[4] იქვე, გვ. 137.

[5] Marcel, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 234.

დია, არ ეჭაშნიკა ალი-ბეის მიერ გატარებული სიახლენი და მისი მოღვაწეობის დაბრკოლება სცადა. ხვანთქრის კარიც აღშფოთებული იყო, მაგრამ მას არ შეეძლო უშუალოდ გადასულიყო აჯანყებულ ალი-ბეისთან შეიარაღებული ბრძოლის პოლიტიკაზე. ხვანთქართან დაახლოებულ წრეებს აშინებდა სირია, სადაც ურჩი არაბი შეიხი ზაჰირი დამკვიდრებულიყო და რეზიდენციად აკრა ექცია. ხვანთქრის გულისყური ჩრდილოეთში პოლონეთსა და რუსეთს მიეპყრო. ამიტომ ეგვიპტის ქართველი მბრძანებლის მიმართ ხვანთქარმა კაფუჯი-ბაშების გაცვეთილი გზა — საწამლავი და ხანჯალი — გამოცადა[1], მაგრამ ამ მეთოდმა ახლა არ გაუმართლა.

ოსმალეთის ფაშამ მზაკვრობას მიმართა: დაუკავშირდა იბრაჰიმ ელ-ჩერქეზის მომხრეებს და, მათი პატრონისათვის შურისგების ნიშნად, ალი-ბეის მოკვლა ჩააგონა. ფაშამ შეიხ ელ-ბალადისაგან ზოგიერთი მამლუქის ჩამოშორებაც მოახერხა. შეთქმულებს შეუერთდა მუჰამედ-ბეი აბუ-ზ-ზაჰაბიც. აშკარად მოქმედება ვერც მან გაბედა და ვერც სხვა შეთქმულმა. ოსმალეთის დიდძალი ფულით და განსაკუთრებით — შეიხ ელ-ბალადის დაპირებით გაგულიანებულმა მუჰამედ — ბეი აბუ-ზ-ზაჰაბმა სახელოვანი ცოლისძმის ქურდულად მოკვლა დაივალა. მაგრამ, დრო გადიოდა და საამისო ხელსაყრელი მომენტი მუხანათ სიძეს არ ეძლეოდა. მაშინ მან ორმხრივი ღალატი ჩაიდინა: ოსმალეთის ფაშა ალი-ბეისთან დაასმინა. ფაშას ეგვიპტეში ახლა არავინ გააჩერებდა. მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის წონამ ალი-ბეის თვალში კიდევ უფრო იმატა. უნიჭიერესი ქართველი შეიხი ელ-ბალადი მზაკვარ სიძეს და უმადურ აღზრდილს ამიერიდან მტკიცედ მიენდო. მას ბევრი ვინმე ჩააგონებდა — ნუ გჯერა შენი სიძის, შეთქმულებას გიწყობს და შემთხვევას უცდის, ფათერაკს მოერიდეო, მაგრამ ალი-ბეი ყურს არავის უგდებდა[2].

ისტორიკოსი მარსელი საინტერესოდ აგვიწერს ოსმალეთთან ალი-ბეის აშკარა კონფლიქტის დაწყებას: 1768 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი ატყდა. სტამბოლმა ქართველ შეიხ ელ-ბალადს ეგვიპტიდან თორმეტი ათასი მეომრის ეამოყვანა უბრძანა. ალი-ბეის პროექტს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის შესახებ, ჯერ კიდევ ვერ მოესწრო საბოლოო ფორმის მიღება და მან სტამბოლის ბრძანება შეასრულა. ალი-ბეის მტრებმა სცადეს ეს ფაქტი მის დასაღუპავად გამოეყენებინათ. ახალმა ფაშამ, რომელიც ამ დროს კაიროში ოსმალეთიდან ჩავიდა და შეიხ ელ-ბალადის მოქიშპე ხალხმა, ხვანთქრის დივანს საერთო წერილი მისწერეს — ალი-ბეიმ ჯარი იმიტომ შეჰყარა, რომ ხელსაყრელი მომენტით ისარგებლოს და ოსმალეთის იმპერიას გამოეყოსო. დივანმა სტამბოლიდან პასუხი გაგზავნა — ალი-ბეის თავი მოსჭერით და ხვანთქარს მოართვითო. ამ ბრძანების ასრულება არც ისე ადვილი საქმე იყო: ალი-ბეის სტამბოლში ხვანთქრის მინისტრებთან საიდუმლო ჯაშუში ჰყავდა და იმან საბე-

---

[1] Volney, Voyage, 1787, ტ. I, გვ. 110—111.

[2] Marcel, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 232—233.

დისწერო ფირმანის შინაარსი ბატონს დროულად შეატყობინა. შეიხ ელ-ბალადმაც საჭირო თადარიგი განახორციელა: მისი ერთგული თანამებრძოლი ალი-ბეი ალ-ტანტავი არაბულად გადაცმულ თორმეტ მამლუქთან ერთად კაიროს ჰოშორებით ჩასაფრდა იმ გზაზე, საიდანაც კაიროში ხვანთქრის კაფუჯი-ბაში უნდა ჩასულიყო და სიკვდილის დადგენილება ჩაეტანა. ჩასაფრებულებს სამი დღის ლოდინი დასჭირდათ და აჰა, მეოთხე დღეს, გამოჩნდა ოსმალეთის კაფუჯი-ბაშიც ოთხი კაცის თანხლებით. მამლუქები საფარიდან გამოვიდნენ, კაფუჯი-ბაშს და მის ამალას ეკვეთნენ, დახოცეს ისინი და ხვანთქრის ფირმანი, ქართველი შეიხ ელ-ბალადისათვის თავის მოკვეთის შესახებ, თვითონ ამ შეიხ ელ-ბალადს ალი-ბეის მიართვეს. მან ფირმანი წაიკითხა და სასწრაფო ბჭობისათვის მამლუქი ბელადების გაფართოებული დივანი შეყარა. დივანის წევრებს ალი-ბეიმ ხვანთქრის ფირმანი უჩვენა და ამასთან ერთად შემდეგი განცხადება გააკეთა: „სტამბოლს უნდა დივანს ჯერ თავი მოსჭრას, შემდეგ კი მისი სხეულიც აკუწოს, მე რომ მომკლავენ, თქვენი თავებიც ძირს დაეცემა. მაშ, დავიცვათ ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი უფლებანი, ჩვენი ძლიერება. ეგვიპტე ჩვენზე ადრე მამლუქთა სხვა დინასტიებს უმართავთ, ამიტომ ეს ქვეყანა კანონის ძალით ჩვენ გვეკუთვნის, ამაზე უკეთეს შემთხვევას ვერასოდეს დავიხელთებთ, რათა დავამხოთ ეს უღელი, რომლიც ხვანთქართა დანაშაულებრივმა პოლიტიკამ ეგვიპტის მშვენიერ სამეფოს კისერზე დაადგა!“[1].

ალი-ბეის მჭევრმეტყველური მოწოდებით მოხიბლულმა თერამეტმა ბეგმა ბელადს მხარი დაუჭირა. მტრებმა ხმის ამოღება ვერ გაბედეს. კაიროს ფაშას წინადადება მიეცა ორი დღის ვადაში ეგვიპტის სატახტო დაეტოვებინა. პირამიდების ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ქ. აკრას ზაჰირთან ხალხი აფრინეს. იგიც ოსმალეთის წინააღმდეგ დაწყებულ აჯანყებას შეუერთდა[2]. დამასკოს ფაშა, რომელსაც ხვანთქარმა აჯანყებულთა დათრგუნვა დაავალა. დამარცხდა[3].

კაიროსა და სტამბოლს შორის ომის გამოცხადებისთანავე მოკავშირე ზაჰირმა გადაშარბებით გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. თავისი ცხრა ათასი მეომრით უკან დაახევინა დამასკოს ფაშა ოსმანის 2500-იან არმიას, რომელიც სტამბოლის მიერ განდგომილი ეგვიპტის წინააღმდეგ იყო გაგზავნილი. ტიბერიის ტბის ნაპირებთან მოპოვებულმა დიდმა წარმატებებმა ხელები გაუხსნა ალი-ბეის უფრო ფართო ოპერაციების განსახორციელებლად, რომლებიც მან წელიწადნახევარში ჩაატარა[4]. ამ გამარჯვებამ, წერს მარსელი, ოსმალეთ-ეგვიპტის ფრონტზე დროებითი სიწყნარე ჩამოაგდო და ალი-ბეიმ შეძლო საშინაო საქმეებისათვის მიეხედა: მან მოსპო ძალმომრეობა და ხელისუფლების ბორო-

---

[1] Marcel, დასახ. შრომა, გვ. 233, ზუსტად არის დაცული ავტორის ტექსტი.
[2] იქვე, გვ. 233—234.
[3] Hammer, დასახ. შრომა, ტ. XVI, გვ. 350.
[4] გ. ბეი-მამიკონიანი, დასახ. სტატია, გვ. 135.

ტაღ გამოყენების პრაქტიკა, შემცირა გადასახადები, დააწესა მათი რეგულარული აკრეფა. ფინანსების დარგს სათავეში ჩაუყენა საბაჟო სამსახურის ძველი უფროსი კოპტი მაალემ მიქაილ ფერჰატი, გადააყენა და სიკვდილით დასჯა ებრაელი იუსუფ-ბენ ლევი, რომელსაც ბევრი უსამართლობა ჰქონდა ჩადენილი[1]. სავაჭრო პრეროგატივა ალი-ბეიმ ებრაელებს წაართვა და სირიელ ქრისტიანებს გადასცაო, წერს პაულ მასონი[2].

დიდი ხანი იყო, რაც საიდში (შუა ეგვიპტე) ერთ არაბ შეიხს, სახელად ჰამამს დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოეყალიბებინა. ალი-ბეიმ გადაწყვიტა, ეს მეზობელი თავიდან მოეშორებინა. სათანადო საბაბად მან გამოიყენა ბრალდება—იბრაჰიმ ელ-ჩერქეზის განძეულობას ინახავს და ჩემს წინააღმდეგ აჯანყებულ ხალხს თავშესაფარს აძლევსო. 1769 წელს ჰამამის წინააღმდეგ ალი-ბეიმ გაგზავნა მამლუქთა კორპუსი, რომელსაც სათავეში მუჰამედ-ბეი აბუ-ზ-ზაჰაბი ჩაუყენა. ფრანგული ვერსიით, რომელიც ვოლნეიდან მომდინარეობს, მამლუქთა ხსენებულმა მხედრობამ ერთ დღეში სძლია ჰამამს და დაიპყრო მისი სახელმწიფო[3]. მეორე ფრანგული ვერსიით ეს ამბავი უფრო ვრცლად არის მოთხრობილი და თარიღადაც სხვა წელია წარმოდგენილი. 1770 წლის ბოლოს,—ნათქვამია ამ ვერსიაში,—ალი-ბეის ბრძანებით მუჰამედ-ბეი აბუ-ზ-ზაჰაბმა დაიმორჩილა ჰაუარას თავნება ტომის ბელადი ჰამუნი თუ ჰამანი (ორივე სახელს ხმარობს ფრანგი ისტორიკოსი ი. მარსელი), რომელსაც ეჭირა ზემო ეგვიპტე სუიუტადან (ანუ ასიუტი. ფრანგ. ავტორებთან „Asyut") ასუანამდე და ალი-ბეის წინამორბედებს ყოველწლიურად 250 ათას არდებ ხორბლეულს უგზავნიდა. ახლა ჰაუარას ტომის დამარცხებული ბელადის შვილებმა სიცოცხლე იმით გამოისყიდეს, რომ მამის მთელი სიმდიდრე მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბს ჩააბარეს. ეს უკანასკნელი ჰაუარას ქვეყნიდან უკან საჩქაროდ დაბრუნდა, რადგანაც კაიროდან მას მისმა საიდუმლო ემისრებმა მისწერეს — აჰმედ-ბეი ალ-ჯაზირი (სირიის გამგებელი) ალი-ბეის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებსო[4].

მარსელის თარიღი ჰაუარას სამეფოს განადგურებისა—1770 წელი—გასაზიარებელი არ არის. სხვა ევროპული წყაროები არ ლაპარაკობენ ამ თარიღის სასარგებლოდ. სამართლიანად წერს გ. ბეი-მამიკონიანი, რომ „ყველაზე ადრე დამთავრდა იმავე 1769 წ. ჩატარებული ზემო ეგვიპტის კამპანია, რომელსაც აბუ-ზაჰაბი მეთაურობდა. და რომელმაც, მოიყვანა რა სრულ მორჩილებაში ჰაკარის ბედუინები, მათ მოხუც შეიხ ჰუმამს სიცოცხლე მოუსწრაფა"[5].

ზემო ეგვიპტიდან კაიროსაკენ საჩქაროდ გაბრუნებულ მუჰამედ აბუ-ზ-

---

[1] Marcel, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 233—234.

[2] Masson P., Histoire du commerce fransais dans le levant au XVIII Siecle. Paris, 1911, გვ. 305—306.

[3] Volney, დასახ. წიგნი, ტ. I, გვ. 111.

[4] Marcel, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 234.

[5] ბეი-მამიკონიანი, დასახ. სტატია, გვ. 130—134; შდრ. Marcel, დასახ. წიგნი, ტ. I, გვ. 234.

ზაჰაბს უნდოდა პატრონის წინააღმდეგ წამოწყებულ ინტრიგებში მონოპოლია მოეპოვებინა.

ალი-ბეიმ შეიარაღებული ხომალდები, რომელთა ტრიუმებში ჯარები ისხდნენ, სუეცს გაგზავნა, ხოლო მეორე რაზმს, რომელსაც ჰასან-ბეი სარდლობდა, ქ. ჯიდა, ანუ ჯედა უნდა აეღო. ამავე დროს ცხენოსანთა კორპუსი მუჰამედ აბუ-ზაჰაბის სარდლობით მექას დასაპყრობად გაემართა. ალი-ბეის განზრახული ჰქონდა ჯიდა ინდოეთთან აღებ-მიცემობისათვის გამოეყენებინა. სათანადო პროექტი ახალგაზრდა ვენეციელმა ვაჭარმა ბალთაზარ როზეტიმ წამოაყენა. ეს სოვდაგარი ალი-ბეის ნდობით იყო აღჭურვილი. გამოჩენილი მამლუქი ესწრაფვოდა იმ გზის დაყრუებას, რომელიც კეთილი იმედის კონცხზე გადიოდა და ხმელთაშუა და მეწამული ზღვების აუზებში აღებ-მიცემობის გადანაცვლებას ითვალისწინებდა, მაგრამ ვოლნეის სიტყვით, ამბების მსვლელობამ ალი-ბეს უჩვენა, რომ ის საქმეში აჩქარდა და, რომ ოქროს შეტანამდე ქვეყანაში საჭირო იყო კანონების შეტანა[1]. ისმაილ-ბეიმ და ჰასან-ბეიმ, როგორც მარსელი ამტკიცებს, ექვს თვეში არაბეთის ნახევარკუნძულის დაკავება დაასრულეს. მექაც აიღეს, მედინაც, მექას შერიფი დაამხეს და მისი ბიძაშვილით შეცვალეს. ამ უკანასკნელმა ალი-ბეისადმი მოწიწების ნიშნად მას გაუგზავნა დიპლომი, სადაც უწოდა ეგვიპტის სულთანი, მეფე და ორი ზღვის ბატონ-პატრონი. ამ ტიტულს ოსმალეთის ხვანთქრები ატარებდნენ[2].

მოგვეპოვება მექას საშერიფოსთან ალი-ბეის დამოკიდებულების სხვა ვერსიაც, რომელიც ჰამერს ეკუთვნის. როგორც იგი წერს, ქართველმა შეიხ ელ-ბალადმა მექას შერიფის გადაყენება გაბედა და დაიჭირა მენბუუ. ეს მოახერხა ყალბი ფირმანებით. ამის შემდეგ თავის ანგარიშზე ქ. ჯიდაში ბაჟის ამკრეფი დააყენა და მთელს ეგვიპტესა და სირიაში პროკლამაციები გაავრცელა.

1770 წელს აჯანყებულთა მიერ მოპოვებულ წარმატებათა შესახებ არსებობს მესამე ვერსიაც, რომელიც გ. ბეი-მამიკონიანთან არის წარმოდგენილი; 1770 წელმა ეგვიპტის იარაღს გაცილებით უფრო საგულისხმო გამარჯვებები მოუტანა: ისმაილ-ბეიმ 8000-იანი ჯარით კაიროს დაუმორჩილა წითელი ზღვის დასავლეთი სანაპირო, ჰასან-ბეიმ ზღვიდან აიღო ჯიდა, ხოლო აბუ-ზაჰაბის 20.000-იანმა არმიამ ჰიჯაზზე ხმელეთით გალაშქრებულმა ამ წლის დიდი სამხედრო წარმატებათა სერია მექას აღებით დააგვირგვინა (1770 წლის ივლისი), წმინდა ქალაქის შერიფის ადგილზე, რომელიც ამ დროისათვის ვაკანტური იყო, დაინიშნა ალი-ბეის კაცი, აბდალაჰი, რომლის პირველივე აქტი იყო თავისი მფარველის ეგვიპტის სულთნად და ორივე ზღვის ხაკანად (ყაენი) გამოცხადება, აგრეთვე თავისი რელიგიური ავტორიტეტით ალი-ბეის უფლების დადასტურება — მოეჭრა საკუთარი ფული და მოხსენებულიყო პარასკევის ღვთისმსახურებისას"[3].

[1] Volney, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 111—112.

[2] Marcel, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 234.

[3] გ. ბეი-მამიკონიანი, დასახ. სტატია, გვ. 135.

ალი-ბეის ლაშქრობათა პირველი ობიექტი სირია გახდა. ყველაფერი ხელს უწყობდა მის მიზნებს: რუსეთ-ოსმალეთის ომი, აჯანყებული შეიხი ზაჰირი, როგორც მძლავრი და ერთგული მოკავშირე, სირიის მოსახლეობის უკმაყოფილება, რომელსაც იწვევდა დამასკოს ფაშას შინაური პოლიტიკა და ა. შ.[1]. სირიაზე გალაშქრების პერიოდს ეკუთვნის რუსეთთან შეთანხმება. ჰამერი ამტკიცებს, რომ რამდენიმე ხომალდის დაკარგვამ, რომლებიც რუსმა მეკობრეებმა მოიტაცეს, ერთმანეთს დაუკავშირა ქართველი შეიხი ელ-ბალადი და ალექსი ორლოვი (ხმელთაშუა ზღვაში გაგზავნილი რუსული სამხედრო ესკადრის სარდალი — დ. ჯ.)[2]. ჩვენი აზრით, ჰამერის მტკიცება არ არის სწორი. ალი-ბეის დაკავშირება რუსეთთან არ შეიძლება . ავხსნათ რაიმე ბრმა შემთხვევით. სხვა წყაროებიდან ჩვენ ვიცით, რომ სომეხ იაკუბის მეშვეობით ქართველთა შეიხ-ელ-ბალადმა კავშირი გაიბა ორლოვთან და მოსინჯა — შეიძლებოდა თუ არა ეკატერინე მეორესთან შეტევითი და თავდაცვითი ხელშეკრულება დადებულიყო. პასუხი სასურველი მიუვიდა, მაგრამ სიშორის მიზეზით მოლაპარაკება გაჭიანურდა[3].

ჰამერი აღნიშნავს, რომ (სპეციალური შეთანხმებით) ალექსი ორლოვმა ალი-ბეის რუსთა ჯარისა და საომარი მასალების მიწოდება აღუთქვა[4].

ვოლნეისთან დაცული ვერსიით, 1770 წ. დეკემბერში ალი-ბეიმ ხუთასკაციანი მხედრობა ღაზის დასაკავებლად გაგზავნა, რათა პალესტინის ეს ჭიშკარი ხელთ ჰქონოდა. დამასკოს ფაშა ოსმანიც იქით გაეშურა; მამლუქებს მამაცი ზაჰირი მიეშველა; ბოლოს, ქ. იაფასთან დაბანაკებულმა ოსმანმა ბარგი უომრად აიკრა; ზაჰირმა დაიჭირა იაფა და მთელი პალესტინა, რითაც გზა გაუხსნა მამლუქთა დიდ სპას, რომელსაც იმ მხარეში მოელოდნენ. 1771 წლის თებერვლის ბოლოს ეს არმიაც იქ ჩავიდა და აიღო ნაბლუსი, იერუსალიმი, ღაზა და სეიდაჰი[5].

სხვა წყაროებით, ღაზას აღება სწრაფად და სხვა ქალაქებზე ადრე მომხდარა. როგორც ამ წყაროების საფუძველზე გ. ბეი-მამიკონიანი წერს, „1771 წლის დასაწყისში აბუ-ზ-ზაჰაბის 30.000-იანი არმია დაიძრა სალაშქროდ და გამოსვლიდან მეხუთე დღეს იერიშით აიღო ღაზა, თვენახევრის შემდეგ ამას მოჰყვა რამის და ნაბლუსის, ხოლო უფრო გვიან, ორთვიანი ალყის შემდეგ — იაფას აღება“[6].

გ. ბეი-მამიკონიანი აბუ-ზ-ზაჰაბის ჯართა რაოდენობის შეფასების საკითხში

[1] Volney, დასახ. წიგნი, ტ. I, გვ. 113.
[2] Hammer, დასახ. წიგნი, ტ. მე-16, გვ. 113.
[3] Marcel, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 235.
[4] Hammer, დასახ. თხზულება, ტ. მე-16, გვ. 350—355.
[5] Volney, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 113.
[6] გ. ბეი-მამიკონიანი, დასახ. სტატია, გვ. 135.

სრულ ნდობას უცხადებს ლუიზინიანს და სავსებით არარეალურად აცხადებს ვოლნეის ცნობებს. ლუიზინიანის მიხედვით, აბუ-ზ-ზაჰაბის ჯარში ღაზას იერიშის დროს ორმოცი ათასი მეომარი იყო[1].

ახლა ვნახოთ, რას წერს ვოლნეი.

ვოლნეის გადმოცემით, იმ დროის გაზეთები ალი-ბეის სპაში 60 ათას კაცს ანგარიშობდნენ, ნამდვილად კი 5000 მამლუქსა და 1500 ბერბერისაგან (ჩრდილოეთ აფრიკის სანაპირო ზოლის მოსახლეობის წარმომადგენლები) შედგებოდა; ოსმალებმა ალი-ბეის არმიის ასეთი სიმცირე არ იცოდნენ; ის შეუდარებლად უფრო მრავალრიცხოვანი ეგონათ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ თითოეულ მამლუქს თან ნაჯახით შეიარაღებული ორი მსახური ახლდა, მაშინ ალი-ბეის სპის ოდენობა 17 ათას კაცს მიაღწევს. ამ რიცხვს კიდევ უნდა დავუმატოთ ბეგებისა და ქაშიფების ამალა—ორი ათასი კაცი. ასე დაუხატავს ვოლნეის, როგორც თვითონ ამბობს, პალესტინაში შესული ალი-ბეის სპა თვითმხილველმა ადამიანებმა[2].

სირიაში ალი-ბეის ჯარების გალაშქრების ამ პერიოდს უნდა შეეხებოდეს ერთ-ერთ ფრანგულ ვერსიაში დაცული ცნობა, რომ ალი-ბეიმ სირიაში საომრად შვიდი ვაჟიშვილი და სიძეები გაგზავნა; ამავე ვერსიით, თორმეტ ათასს ეგვიპტელ მამლუქს, რომელიც ალი-ბეის უკვე დიდი ხნიდან თოფქვეშ ჰყავდა, ახლა არა მარტო მისი ექვსი ათასი მამლუქი შეუერთდა, არამედ სხვა ძალებიც, რომლებიც უზენაესი ბელადის ფარული მტრების განკარგულებაში იყვნენ. ამ უკანასკნელებმა მაშინ ვერ გაბედეს აღსდგომოდნენ საქვეყნო დამოუკიდებლობისათვის უშიშრად მებრძოლ ალი-ბეის[3].

სირიის მოიერიშე მამლუქთა არმიას უზენაესი ბელადის ფავორიტი მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბი სარდლობდა, მართალია, მეტსახელი აბუ-ზ-ზაჰაბი ოქროს მამას ნიშნავს, მაგრამ, როგორც გ. ბეი-მამიკონიანი შენიშნავს, მისი შერქმევის საფუძველი ერთადერთი შემთხვევა გამხდარა, როცა მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბს აღტაცებული ბრბო ფულით დაუსაჩუქრებია[4].

აკრასთან მამლუქთა შემტევ არმიას შეუერთდნენ შეიხ ზაჰირის ჯარებიც. მათი რიცხვი ოთხი ათას კაცამდე ადიოდა. ორივე სპა დამასკოსაკენ დაიძრა. ოსმან-ფაშას, რომელსაც დრო ჰქონდა საომარი თადარიგისათვის, მრავალრიცხოვანი არმია შეეკრიბა და მტრებს დამასკოს კედლებთან უცდიდა —მის ბანაკში საიდას, ტრიპოლის და ალეპოს ფაშები იმყოფებოდნენ. ბრძოლა 1771 წლის 6 ივნისს დაიწყო. ქართველი მამლუქის და პალესტინელი ზაჰირის შეერთებულმა მხედრობამ ისეთი სიშმაგე დაატეხა თავს ოსმალებს, რომ მათ ბრძოლის ველი დატოვეს, ხოლო ფაშებმა ყველაზე უწინ მოკურცხლეს ბრძოლის

[1] გ. ბ ე ი - მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ი, დასახ. სტატია, გვ. 135.
[2] V o l n e y, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 114—116.
[3] M a r c e l, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 233—234.
[4] გ. ბ ე ი-მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ი, დასახ. სტატია, გვ. 127.

ველიდან. მოკავშირეებმა ქალაქი აიღეს. ერთი ევროპული წყაროს ცნობით, დამასკოს ციხე იერიშის დაწყებიდან მესამე დღეს დაეცა, მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბმა სწორედ იმ წუთში, როცა ციხე უნდა ჩაებარებინა, სპას უეცრად უკან დახევა უბრძანა და გეზი ეგვიპტისაკენ აიღო. მამლუქთა მოკავშირეები ზაჰირი და ნააზიფი ამაოდ ეძებდნენ ამ გაუგებარი გაქცევის მიზეზს. მამლუქები მათ ქედმაღლური მუქარით პასუხობდნენ და ამასობაში ყველაფერი აირ-დაირია. მამლუქთა ჯარი გზადაგზა მთელ თავის საომარ აღლადიებას ტოვებდა. ეს უცნაური შემთხვევა მაშინ ყველამ იმით ახსნა, რომ თითქოს ალი-ბეის სიკვდილის შესახებ ხმები გავრცელდა[1].

ასეთია ვოლნეის გადმოცემა დამასკოსთან მომხდარი ბრძოლებისა და იქიდან აბუ-ზ-ზაჰაბის უეცარი წასვლის შესახებ. ვოლნეი ცდილობს კიდეც ახსნას ეს მოულოდნელი ამბავი.

გამოცანის ნამდვილი გასაღებია, წერს იგი, საიდუმლო თათბირი, რომელსაც ადგილი ჰქონია მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის კარავში. ხვანთქრის მოხელე ოსმანმა დაინახა, რომ ძალა ამაო იყო და შეთქმულებას მიმართა. მან მამლუქთა სარდლის კარავში აგენტი შეგზავნა. ამ აგენტმა მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბს ჩააგონა—შენ არ შეგფერის და არც შენს ღირსებას ემსახურო ალი-ბეის; ეს საქმე ხიფათის მეტს არაფერს გიქადის, შენს ბატონს ხვანთქარი დაუსჯელს არ დატოვებს და არც დაგანებებთ დამასკოს, რომელიც მექას ერთ-ერთი ჭიშკარია (მეორე კაიროა); უგუნურებით გემართება, რომ ხვანთქრის მოწყალებას მისი მოწინის მოწყალებას ამჯობინებ; ან ისე რამ დაგაბრმავა, რომ ვერ ხედავ, თუ ყოველთვის რა სახიფათო საქმეებზე გაგზავნის შენი ბატონი და უნდა გზიდან ჩამოგიცილოს; შენ თავს მას თავისი კიაია რიზკი (წარმოშობით კოპტი) ურჩევნია; ეს რიზკი კი შურს შეუპყრია და მხოლოდ შენს დაღუპვაზე ოცნებობსო, ჩაგონებამ გაჭრა. მამლუქმა მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბმა და ოსმანმა კავშირი ხმალსა და ყურანზე დაიფიცეს. გადაწყვიტეს, რომ კაიროში სწრაფად წავიდოდნენ. ეს იყო მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის დამასკოდან გაუგებარი გაქცევის მიზეზი. მეთვისტომისა და აღმზრდელის—ალი-ბეის მოღალატე მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბი კაიროსაკენ ისეთი ელვისებური სისწრაფით წავიდა, რომ ხმებმა მისი გაქცევის შესახებ მხოლოდ 6 საათით ჩაასწრო მას კაიროში. ალი-ბეიმ განიზრახა თავისი ხელქვეითი სარდალი მაშინვე დაესაჯა, მაგრამ ვერაფერი გააწყო და ხვაშიადის შეხიზნა ირჩია[2].

ასეთია ვოლნეის ახსნა.

ისტორიკოს მარსელის ვერსიით, ღაზა, ხოლო შემდეგ—სირია (ნაბლუსი, რამლეჰი, იერუსალიმი, იაფა, საიდა ანუ ძველი სიდონი) რომ დაიპყრო, მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბმა ეს მიწა-წყალი თავის საკუთრებად მოინდომა და ეგვიპტეზე გამეფების ზრახვაც გულში ჩაიდო. მას პატრონის წინააღმდეგ აქეზებდა სტამ-

[1] Volney, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 114—117.

[2] იქვე, გვ. 118—119.

ბოლოს დივანიც, რომელთანაც გადაყენებული კაიროს ფაშას მეშვეობით საიდუმლო კავშირი ჰქონდა დამყარებული. შეთქმულმა ჯარი ეგვიპტისაკენ დაძრა, მაგრამ კაიროზე იერიშის მიტანა ვერ გაბედა, რადგანაც იანიჩრებისა და სხვა ოჯაკლებისაგან სახეიროს არაფერს გამოელოდა. ამიტომ მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბი გადავიდა ზემო ეგვიპტეში, 1771 წლის მიწურულში სუიუტი (სეუტი) დაიპყრო, არაბთა ზოგიერთი ტომი შემოიერთა და საიდელი მამლუქი ბელადები იძულებული გახადა მისი მოღალატეობრივი დროშის ქვეშ დამდგარიყვნენ. ახლა მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბმა შესაძლებლად სცნო კაიროს იერიში. ამ დროს უზენაეს ქართველ მამლუქ ბელადს ისმაილ-ბეიმაც უღალატა. თითქმის ყველას მიერ გაყიდული ალი-ბეი ღაზისაკენ წავიდა. აქაც არ ედგომებოდა და აკრასაკენ გაეშურა. ამ კრიტიკულ მომენტში მას რუსებმა, რომელთაც ისევ ომი ჰქონდათ ოსმალეთთან, სამასი ალბანელი მეომარი, ზარბაზნები და საომარი მასალები გაუგზავნეს[1].

იმ წყაროების ვერსია, რომელთაც გ. ბეი-მამიკონიანი მიჰყვება, შემდეგში მდგომარეობს: გადალახა რა იაფას აღების შემდეგ „ლიბანის ტავრისის მთაგრეხილის სამხრეთ-დასავლეთი განშტოებანი და დაიკავა რა საიდა, სადაც მას წინააღმდეგობა არ შეხვედრია, აბუ-ზ-ზაჰაბი დამასკოს მიადგა და შემოეწყო მას. მას შემდეგ, რაც თურქეთის (ოსმალეთი—დ. ჯ.). სარდალმა ოსმან-ფაშამ გაშლილ ველზე ბრძოლაში სრული განადგურება განიცადა და ალეპოში გაიქცა, ქალაქის მცხოვრებლებმა კარი გაუღეს გამარჯვებულს. ერთი კვირის შემდეგ ციხის გარნიზონმა თავისი მეთაური მოკლა და აბუ-ზ-ზაჰაბს დანებდა. რამდენიმე კვირის შემდეგ მოხდა ის, რაც იმჟამად ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი, და რის დამაკმაყოფილებელ ახსნას,—განაგრძობს გ. ბეი-მამიკონიანი,—ვერც წყაროები და ვერც შემდეგი დროის ისტორიკოსები ვერ გვაძლევენ.—1771 წლის შემოდგომის დამდეგს აბუ-ზ-ზაჰაბის არმიამ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე. სირიიდან და პალესტინიდან გასვლა იწყო“[2].

ამ ვერსიასთან შედარებით ვოლნეის ვერსიას უპირატესობა აქვს. ვოლნეის ცნობებით, დამასკო აიღეს აბუ-ზ-ზაჰაბისა და ლეგენდარული პალესტინელი ბედუინი შეიხის ზაჰირის გაერთიანებულმა ჯარებმა; მეორეც, ვოლნეის ვერსიით, აბუ-ზ-ზაჰაბს არც ჩაუბარებია დამასკოს ციხე, ისე სწრაფად მოშალა ფრონტი და ჯარი ეგვიპტისაკენ წაიყვანა. გ. ბეი-მამიკონიანი ამ საინტერესო ორი ცნობიდან არც ერთს არ იხილავს, თუმცა მისი კონცეფციისათვის მნიშვნელობა აქვს. იგივე ავტორი ჩრდილში ტოვებს მარსელის ცნობას იმის შესახებ, რომ აბუ-ზ-ზაჰაბს გადაყენებული კაიროს ფაშას მეშვეობით ოსმალეთის დივანთან ჰქონდა კავშირი, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია კონცეფციისათვის, რომელსაც გ. ბეი-მამიკონიანი ავითარებს (ლუიზინიანის ცნობების საფუძველზე).

[1] Marcel, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 236.
[2] გ. ბეი-მამიკონიანი, დასახ. სტატია, გვ. 135.

ეს კონცეფცია (უნდა ითქვას — გარკვეული საფუძვლის მქონე და საინტერესო) შემდეგში მდგომარეობს: აბუ-ზ-ზაჰაბისათვის სწორედ კაიროდან იყო მოსალოდნელი ყველაზე უფრო საყურადღებო, თუმცა არასასიამოვნო ცნობის მიღება. არ შეიძლებოდა მისთვის ცნობილი არ ყოფილიყო ალი-ბეის სიფიცხე, ისევე, როგორც ის, რომ ყოვლის შემძლე არქიინტრიგანი რისკი („რასკი" — მარსელთან და ვოლნეისთან—დ. ჯ.), რომელიც მას ვერ იტანდა, არავითარ საშუალებას არ დაერიდებოდა. ალი-ბეი ტანტავი, სახიფათო თავისი ბრმა ერთგულებით საერთო ბატონისადმი და თავისი მძვინვარე ვაჟკაცობით, აგრეთვე ვერ ჩაითვლებოდა სირიის არმიის მთავარსარდლის მეგობრად და, ამასთან, საფუძველიც ჰქონდა შეშურებოდა მისი მდგომარეობა. „დესპოტიზმის ულმობელ ლოგიკას ადვილად შეეძლო გამოეწვია უეცარი გადაწყვეტილებები, რომლებიც მეტად არასასიამოვნო და, შესაძლოა, ძალზე სახიფათო იქნებოდა გამარჯვებული მხედართმთავრისათვის. ავიწყდებათ ისიც, რომ შეიხ ზაჰირის სახით, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ალი-ბეიზე, აბუ-ზ-ზაჰაბმა, ჯერ კიდევ სირიაში ლაშქრობის დროს საშიში მტერი შეიძინა. მტრობა მათ შორის პირველივე შეხვედრისას დაიწყო—ხაიფის შორიახლო გაშლილ ბანაკში, საიდას დაპყრობამდე ცოტა ხნით ადრე. დამასკოს დაცემას და ამასთან დაკავშირებით ნადავლის გაყოფის უკიდურესად გამწვავებულ საკითხს, ადვილად შეეძლო მოშუღლეები მოსისხლე მტრებად ექცია, რაც ასე მწვავედ გამომჟღავნდა 1775 წელს აბუ-ზ-ზაჰაბის მეორე ლაშქრობისას სირიაში. თუმცა მუჰამედ-ბეი აბუ-ზ-ზაჰაბი რეფორმატორად არ იყო დაბადებული, ხოლო მისი სწრაფვათა დიაპაზონი დიდად ჩამორჩებოდა ალი-ბეისას, იგი როგორც მხედართმთავარი უფრო მარჯვე იყო თავის სიმამრსა და ბატონზე, ხოლო როგორც პოლიტიკოსი—გაცილებით უფრო ფხიზელი. ალი-ბეისა და შეიხ ზაჰირს შორის მიღწეულ შეთანხმების ზუსტ პირობებს, ჩვენ ალბათ ვერასოდეს ვერ გავიგებთ. აბუ-ზ-ზაჰაბსაც, შესაძლოა არ სცოდნოდა ეს პირობები ბოლომდე, მაგრამ ერთი კარგად ესმოდა თავისი ნათელი გონებით და მწვავედ გრძნობდა თავისი ამაყი გულით: რომ მას, ეგვიპტის მომავალ მბრძანებელს, ძლევამოსილი მამლუქების არმიის მთავარსარდალს, არ შეჰფეროდა ეთამაშა იმ მაშის როლი, რომლითაც მოხუცი ბედუინი, ოდესღაც თითქმის მწყემსი და აწ შეიხი, თურქეთთან ომის გაღვივებული ღადრიდან დიდი და ტკბილი წაბლების ამოღებას ცდილობდა. ეგვიპტის სარდლობაში ამგვარ განწყობილებათა არსებობის პირობებში (ასეთი განწყობილება კი ნამდვილად იქნებოდა) კაიროდან მოსული ბრძანება, რომლის ძალითაც უველანი უნდა დაქვემდებარებოდნენ კავშირის უმაღლეს მიზნებს, როგორც ეს ალი-ბეის ესმოდა, უთუოდ მოთმინებიდან გამოიყვანდა აბუ-ზ-ზაჰაბსა და მის მეთაურებს და ჩაადენინებდა იმას, რაც მათ ჩაიდინეს"[1].

ასეთია გ. ბეი-მამიკონიანის კონცეფცია.

ამ კონცეფციასთან დაკავშირებით ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ

[1] გ. ბ ე ი-მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ი, დასახ. სტატია, გვ. 135—136.

შემდეგი: მართებული არ იქნებოდა ალი-ბეისა და მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის ერთ დაფაზე დაყენება და მტკიცება, რომ მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბი, როგორც პოლიტიკოსი, თავის პატრონზე უფრო გამჭრიახი ყოფილიყოს. ეს ძირშივე ეწინააღმდეგება კონცეფციას ალი-ბეიზე, როგორც დიდ სახელმწიფო მოღვაწეზე, რომელსაც ერთხმად უპერენ მხარს გამოჩენილი ისტორიკოსები: პ. მასონი, ნ. პეტროვსკი, ვ. მატვეევი, მარსელი, ჰამერი და სხვები.

ალი-ბეის პროექტებზე ხელი ადვილად არ აუღია, ის ზაჰირისადმი დახმარების გაწევას განაგრძობდა. ხვანთქრის ურჩმა ქართველმა მამლუქმა 1772 წლისათვის მეორე სპა მოამზადა, მაგრამ ბედს მისი მფარველობა მოსწყენოდა. ალი-ბეის,—წერს ვოლნეი,—უძნელდებოდა თავისი გაზრდილის მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის გაწირვა. ბოლოს და ბოლოს ეს გადააწყვეტინა ვენეციელმა ვაჭარმა, რომელიც მისი ნდობით სარგებლობდა.—ჰყავთ თუ არა ფრანგთა სულთნებს ისეთი მდიდარი შვილები, როგორიც ჩემი შვილი მუჰამედია?—ჰკითხა მან ამ ვაჭარს,—არა, ბატონო,—მიუგო კურტიზანმა,—ფრანგთა სულთნები შვილთა მიმართ თავს ფრთხილად იჭერენ, რადგან ფიქრობენ, რომ ძლიერ მდიდარი და აღზევებით გამედიდურებული შვილები ხშირად კლავენ მამებს და ხელთ იგდებენ მემკვიდრეობას. ამ სიტყვებმა დიდად იმოქმედა ალი-ბეიზე. ის ამიერიდან მუჰამედში საშიშ მეტოქეს ხედავდა და მისი დაღუპვა გადაწყვიტა[1],—დაასკვნის ვოლნეი.

ვოლნეის ვერსიით, ალი-ბეიმ კაიროში ბრძანება აფრინა—არც ერთი მამლუქი კაიროდან არ გამოუშვათ, დღე იქნება, თუ ღამეო. შემდეგ მან მუჰამედსაც გაუგზავნა ბრძანება — საიდს გადახვეწილიყო. ალი-ბეი ფიქრობდა, რომ თანახმად მისი პირველი ბრძანებისა, კაიროდან გამოსულ მუჰამედს ქალაქის ჭიშკართან შეიპყრობდნენ და მას გადასცემდნენ, მაგრამ შემთხვევით ასე არ მოხდა. გაუგებრობის მიზეზით, დარაჯებმა იფიქრეს, რომ მუჰამედი ალი-ბეის განსაკუთრებული ბრძანებით იყო აღჭურვილი და გაუშვეს კაიროდან ამალასთან ერთად. ამ მომენტიდან ყველაფერი დაიღუპა. ალი-ბეი მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბს დაედევნა, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, მასთან შეტაკება ვერ გაბედა. საიდს ჩასული მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბი გაშმაგებას მოეცვა და შურისძიების წყურვილით იწვოდა, მაგრამ აქ მას მეორე საფრთხე მოელოდა. იგი კარგად მიიღო ალი-ბეის ერთმა ხელქვეითმა მეთაურმა აიუბ-ბეკმა და ყურანზე საბრძოლო მეგობრობა შეჰფიცა. მალე მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბმა გამოიჭირა აიუბ-ბეკის წერილი ალი-ბეისადმი. წერილში მამლუქების უმაღლეს ბელადს აიუბ-ბეკი მუჰამედის თავს ჰპირდებოდა. მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბმა შეიპყრო მოღალატე, დასჭრა მას ხელები, ენა და თავის პატრონს, ე. ი. ალი-ბეის კაიროში გაუგზავნა. ამ დროს ალი-ბეის ქედმაღლობით თავმობეზრებულმა მამლუქებმა გადასვლა იწყეს მისი მეტოქის—მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის მხარეზე. ორმოც დღეში ამ უკანასკნელმა ძალა ისე მოიცა, რომ საიდიდან ალი-ბეისთან ხმალ-

[1] Volney, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 119—120.

შემართული შესაბმელად წავიდა. 1772 წლის აპრილში კაიროს კარებთან ელ-მაზაატების ველზე შეტაკება მოხდა. ალი-ბეი დამარცხდა, მისი მტრები კაიროში შევიდნენ. ალი-ბეიმ ისღა მოასწრო, რომ 800 მამლუქით თავს გაქცევით უშველა, ჯერ ღაზას მივიდა, იქიდან კი აკრას გასწია—თავის მოკავშირე ზაჰირთან[1]. ჰამერი წერს, რომ კაიროს ბრძოლის დროს დამარცხებული ალი-ბეი ციტადელში ჩაიკეტა, შემდეგ მეგობრულ რჩევას დაუჯერა: ხაზინითა და ჰარამხანით ზაჰირთან წავიდა[2].

გ. ბეი-მამიკონიანი ვრცლად ეხება მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის მოულოდნელ გადასვლას სირიიდან ეგვიპტეში და არ იზიარებს ვოლნეის ვერსიას: „1772 წელს თებერვლის დასასრულს აბუ-ზ-ზაჰაბი ზემო ეგვიპტეში იმყოფება, ხოლო აპრილის დამლევს მისი წინამძღოლობით დიდი და ძლიერი არმია კაიროსკენ მიემართება. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ საეჭვოა ეს ძალები ამ დროს მზადყოფნაში ჰყოლოდა, თუ სირიის ევაკუაციისას უკანდახევის საბოლოო პუნქტი კაიროს მაგიერ ზემო ეგვიპტე არ იქნებოდა, როგორც ამას ლუიზინიანი ამტკიცებს. მას შემდეგ, რაც აბუ-ზ-ზაჰაბის წინააღმდეგ გაგზავნილი ისმაილ-ბეი მის მხარეზე გადავიდა, ხოლო როსვან-ბეის ცდა — მცირე ძალებით შეეკავებინა მტერი დედაქალაქის მისადგომებთან—მარცხით დამთავრდა, ალი-ბეიმ გადაწყვიტა დაეტოვებინა კაიროს ციხე-სიმაგრე და თავისი პირადი ჯარით პალესტინისაკენ დაეხია. მისი „სახლის“ ბეგებს მიეცათ თავისუფალი არჩევანის უფლება: ან ეგვიპტეში დარჩენილიყვნენ და თავი დევნილის მიმართ ყოველგვარი მოვალეობისაგან თავისუფლად ეცნოთ, ან გაჰყოლოდნენ მას. მათ უყოყმანოდ ამჯობინეს უკანასკნელი. ალი-ბეის სულ 7000. ცხენოსანი და ქვეითი მეომარი გაჰყვა. 26 აქლემს მიჰქონდა ყველაფერი უძვირფასესი, რისი წაღებაც თან მოხერხდა ამ უაღრესად სწრაფი „გამოსვლის“ პირობებში. მხოლოდ პატიოსანი ქვების საერთო ღირებულება, ასეთ საკითხებში მეტისმეტად ზუსტმა ლუიზინიანმა შეაფასა 6. 000.000 დუკატად, რაც იმ დროისათვის მეტად სოლიდურ თანხას შეადგენდა. გამოსვლის წინ მოიკითხეს ფინანსთა გამგებელი რისკი, ბისი კვალიც კი გამქრალიყო. 1772 წლის აპრილს, საღამო ჟამს, ამ პატარა არმიამ დატოვა კაირო და, გაიარა რა (27-ში) ღაზის ახლოს, 4 მაისს მიაღწია ჰაიფას და მის მეზობლად ბანაკი გაშალა. აქ ფიზიკურად და ზნეობრივად თავზარდაცემულ ალი-ბეის სასტიკი ციებ-ცხელება დაემართა, მაგრამ ბანაკში ჩასული შეიხ ზაჰირის მზრუნველობამ და მისი საუკეთესო ექიმების ოსტატობამ ავადმყოფი სამ კვირაში ფეხზე დააყენა. ავადმყოფობის დასასრულს იგი მოინახულეს სტუმრებმა რუსული სამხედრო გემების პატარა შენაერთიდან—ორმა მეთაურმა და მათთან ერთად რუსული სარდლობის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა—ქართველმა იოსებმა, რომელსაც ლუიზინიანი რუსეთის შტაბში დიდად დაფასებულ და საყვარელ კაცს უწოდებს. რუსეთის ამ პირველ წარმომადგენ-

[1] Volney, დასახ. წიგნი, ტ. I, 120—125.

[2] Hammer, დასახ. წიგნი, ტ. XVI, გვ. 350—355.

ლებს, რომელნიც ეგვიპტის სახელმწიფოს მეთაურის მიერ იქნენ მიღებულნი, საკადრისად შეხვდნენ. საწყენია მხოლოდ ის, რომ ჩვენთვის, ალბათ სამუდამოდ უცნობი დარჩება, რა ენაზე ელაპარაკებოდა რუსული შტაბის ქართველი წარმომადგენელი თავის გვირგვინოსან თანამემამულეს"[1]. ალი-ბეიმ რუსები თავისი საყვარელი აქლემით და მისივე საჯინიბოდან გამოყვანილი სამი სადოღე ცხენით დააჯილდოვა.

ასეთია პალესტინიდან მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის მოულოდნელი წასვლისა და შემდეგ მის მიერ კაიროდან ალი-ბეის (დიდის) განდევნის დაწვრილებითი ვითარება, როგორც მას აღადგენს გ. ბეი-მამიკონიანი მთელი რიგი ევროპელი ავტორების მიხედვით. გ. ბეი-მამიკონიანის ამ მიმოხილვასთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა რამდენიმე შენიშვნა გავაკეთოთ: 1. ვფიქრობთ, რომ ალი-ბეის აჯანყების ისტორიის შესწავლის საქმეს სარგებლობას მოუტანდა, თუ ერთმანეთს დავუპირისპირებდით ფრანგი კონსულის დამირასა და სწავლული ვოლნეის ცნობებს. ზემოთ უკვე ითქვა, რომ, როგორც ვოლნეი გვარწმუნებს, ალი-ბეიმ კაიროში ბრძანება აფრინა ქალაქიდან არავინ გამოეშვათ, რათა გაადვილებოდა მოღალატე შვილობილისა და სიძის—მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის შეპყრობა, მაგრამ გუშაგთა გაუგებრობით, მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბი კაიროდან გამოუშვეს, რითაც დარღვეული აღმოჩნდა ალი-ბეის ბრძანება. ესაა ვოლნეის ვერსია. დამირა კი, როგორც გ. ბეი-მამიკონიანი აღნიშნავს, წერს — ალი-ბეიმ აბუ-ზ-ზაჰაბი კაიროდან განდევნაო. უნებურად იბადება კითხვა, დამირასა და ვოლნეის ეს ცნობები ხომ არ შეეხებიან ერთსა და იმავე ამბავს? თუ ასეა, მაშინ გამოდის, რომ დამირას კაიროდან მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის გაქცევის ფაქტი მიუჩნევია ალი-ბეის ნამდვილი განზრახვის საფუძველზე მომხდარ ამბად, ე. ი. დამირას არ სცოდნია ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო კაიროდან მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის გაქცევასთან და ინფორმაციის ასეთ ნაკლებობას იგი შეცდომამდე მიუყვანია—ბრძანების დარღვევა ბრძანების შესრულებად მიუჩნევია. ჩვენი აზრით, ვოლნეის ცნობა კონტროლის როლს ასრულებს დამირას ცნობის მიმართ და ამ ორი ვერსიის დაპირისპირება საშუალებას მოგვცემდა უფრო სრულად აღვეღგინა სურათი ალი-ბეის და მისი მოღალატე თანამებრძოლის მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის ურთიერთობისა პალესტინის მოულოდნელი ევაკუაციის შემდგომ ხანაში. 2. გ. ბეი-მამიკონიანის მიმოხილვაში მოტანილი მასალები ადასტურებენ ვოლნეის სტატისტიკას. ამ მასალებში, როგორც ვნახეთ, ნათქვამია, რომ ალი-ბეის პირადი ჯარის რაოდენობა კაიროდან მისი ევაკუაციის წინ 7000 ცხენოსანსა და ქვეით მეომარს შეადგენდა, ისიც, ძირითადად, ბელადის პირადი ჯარი იყო. ეს ციფრი ახლოსაა ვოლნეის გაანგარიშებასთან. როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ სწავლული მოგზაურის სიტყვით, ალი-ბეის პირად მეომართა რიცხვი

[1] გ. ბ ე ი-მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ი, დასახ. სტატია, გვ. 136—137.

შეადგენდა 5000—6000 მეომარს. ამასვე წერს მარსელიც[1]. ამგვარად, ვოლნეი როდია ისეთი სკეპტიკური მოპყრობის ღირსი, როგორადაც იგი შეიძლება ერთი შეხედვით გვეჩვენოს.

### 5. მოკავშირეთა ხანმოკლე ტრიუმფი

ზაჰირთან მიმავალ ალი-ბეის, ვოლნეის სიტყვით, ნაბლუსისა და იაფას მოსახლეობამ გზები დაუკეტა. მოკავშირე ზაჰირმა ის გამოიხსნა და აკრაში დიდის პატივით ჩაიყვანა[2].

ოსმან-ფაშას ჯარებითა და დრუზებით გარემოცული ქალაქი საიდა ზაჰირის ყურადღებას ითხოვდა. მანაც, ალი-ბეის თანხლებით, იქით გასწია. მამლუქთა და ბედუინთა გაერთიანებული სპა შვიდი ათასი ცხენოსნისაგან შედგებოდა. მათი მიახლოებისთანავე ოსმალებმა საიდას ალყა მოხსნეს და გადაინაცვლეს ქალაქის ჩრდილოეთით, მდ. აუსას სანაპიროზე.

აქ 1772 წლის ივლისში მოხდა ყველაზე ღირსშესანიშნავი ბრძოლა ალი-ბეის აჯანყების ისტორიიდან. ოსმალთა არმია, რომელიც რიცხვით, ვოლნეის თუ დავუჯერებთ, სამჯერ აღემატებოდა მოკავშირეებს, ე. ი. მამლუქთა და ბედუინთა სპას, სულ ერთიანად განადგურდა. შვიდივე ფაშა, რომლებიც მას სარდლობდნენ, ბრძოლის ველიდან გაიქცნენ, საიდი ზაჰირს და მის დაყენებულ კაცს დენიზლეს დარჩა[3]. საიდთან 1772 წლის 8 ივლისს გადახდილ ბრძოლაში მამლუქებს ალი-ბეი ტანტავი (წარმოშობით ქართველი) სარდლობდა. ტანტავის შეტევას მხარს უმაგრებდა რუსეთის გემების რაზმი. მტერს 5000 კაცი მოუკლეს. ეს ბრძოლა იყო პირველი ცდა რუსეთ-ლიბან-პალესტინა-ეგვიპტის თანამშრომლობისა. ცდა ბრწყინვალე შედეგით დამთავრდა[4].

როგორც სამართლიანად წერს გ. ბეი-მამიკონიანი, იაფას აღებამდე მამლუქებს „რადაც არ უნდა დაჯდომოდათ უნდა გაენადგურებინათ საიდაში ალი-ბეისა და შეიხ-ზაჰირისათვის მეტად სახიფათოდ განლაგებული ჰასან-ფაშას 13.000-იანი არმია, რომელიც თურქეთის ძირითადი და ყველაზე საშიში ძალების ბირთვს წარმოადგენდა სირიაში“. 1772 წლის 8 ივლისს ტანტავის რაზმმა, რომელიც 6.000 კაცისაგან შედგებოდა, სწორედ ამ ჰასან-ფაშას ჯარი დაამარცხა და უკუაქცია. „ბრძოლის ბედი, — განაგრძობს გ. ბეი-მამიკონიანი, — გადაწყვიტა რამდენიმე ასეული მამლუქის გრიგალისებურმა დარტყმამ, რომლებიც ტანტავის საბრძოლო წყობაში ცენტრალურ ძალას წარმოადგენდნენ. ეს ჰეშმარიტად ეპიკური შეტევა სიცოცხლის ფასად დაუჯდა ერთ სანჯაკ-ბეის და

---

[1] Volney, დასახ. წიგნი, ტ. I, გვ. 114—116; შდრ. Marcel, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 233—234.

[2] იქვე, ზაჰირს ევროპელები „დაჰერს“ ეძახდნენ. გვ. 122.

[3] იქვე, გვ. 122—123.

[4] გ. ბეი-მამიკონიანი, დასახ. სტატია, გვ. 137.

ორ ჭაშიფს. რუსული გემები საარტილერიო ცეცხლით მთელი ბრძოლის განმავლობაში ძალზე შედეგიანად ეხმარებოდნენ მოკავშირეთა ჯარების სანაპირო ფლანგის მოქმედებას. ორი კვირის შემდეგ ტანტავიმ დატოვა გარნიზონი საიდაში და რაზმითურთ დაბრუნდა ჰაიფის ახლოს გაშლილ ბანაკში"[1].

აკრაში რომ დაბრუნდნენ, მამლუქთა უზენაესმა მბრძანებელმა—ქართველმა ალი-ბეიმ და მისმა მოკავშირემ—ბედუინთა წინამძღოლმა ზაჰირმა იაფას მოქალაქეთა დასჯა დააპირეს. ამ უკანასკნელთ მოენდომებინათ იმ ქონების გამოყენება, რომელიც მათ ქალაქში დარჩა ალი-ბეის ფლოტილიას მამლუქთა უზენაესი მბრძანებლის კაიროდან განდევნის წინ, იაფა ნაბლუსის ერთ-ერთ შეიხს დაეკავებინა და ალაყაფი მაგრად ჩაეკეტა. საჭირო შეიქნა ალყა, რომელმაც რვა თვეს გასტანა—1772 წლის ივლისიდან 1773 წლის თებერვლამდე. ბოლოს იაფა დანებდა[2].

ჰამერის მიხედვით, საიდასთან და იაფასთან 1772 წელს გადახდილ ბრძოლებში ალი-ბეის ცოტა მამლუქი მონაწილეობდა. მით უფრო სასიქადულოა მათი გამარჯვება. მოვუსმინოთ ავტორიტეტულ გერმანელ ისტორიკოსს: „ალი-ბეი და ზაჰირი საიდას საშველად წავიდნენ, ამ ქალაქს უტევდნენ დამასკოს გამგებელი ოსმან-ფაშა და მისი მოკავშირე დრუზები (ლიბანის მთიელი ტომები). აკრას რეიდზე მაშინ იდგა რუსთა ესკადრა, რომელიც, ხელს უწყობდა რა ბედუინ ზაჰირის ანტიოსმალურ აჯანყებას, სირიის წყლებში დაცურავდა. ზაჰირმა 600 ჭისის საფასურად მიიღო ესკადრის სარდლობის დაპირება—დახმარებოდა მას საიდას იერიშის დროს. ზაჰირის სპა შედგებოდა საფედისა და მუტეველის 6 ათასი კავალერისტისა, რვაასი მამლუქისა და ათასი ბერბერელი ქვეითი მეომრისაგან. ოსმალებისა და დრუზების გაერთიანებული სამხედრო ძალა ათი ათასი ცხენოსნისა და ოცი ათასი გლეხისაგან შედგებოდა: ზაჰირის მიახლოებისას ოსმან-ეფენდიმ საიდას ალყა მოხსნა და ბედუინებსა და მამლუქებს ბრძოლა ქალაქის ახლოს, ზღვის სანაპიროზე გაუმართა. რუსეთის ერთმა ფრეგატმაც ცეცხლი გახსნა. დრუზები გაიქცნენ, გამარჯვება ბედუინებსა და მამლუქებს დარჩათ. რუსეთის ესკადრამ მოაწყო ბეირუთის ბომბარდირება და სამასი სახლი ფერფლად აქცია[3].

როგორც ჰამერის ამ გადმოცემიდან ვხედავთ, მოჯანყე ბედუინებსა და მამლუქებს მტერი თითქმის ოთხჯერ აღემატებოდა თავისი რიცხვით, მიუხედავად ამისა, ლელო აჯანყებულთა მხედრობას დარჩენია.

სხვა ევროპული ცნობებით, „განაგრძობდა რა იმ თურქული გარნიზონების განადგურების წარმატებით დაწყებულ ოპერაციებს, რომლებიც აბუ-ზ-ზაჰაბის უკანდახევის შემდეგ კვლავ გამაგრდნენ ლიბან-პალესტინის სანაპიროს უმნიშვნელოვანეს პუნქტებში, ალი-ბეიმ სექტემბერში ხმელეთიდან ალყა შე-

---

[1] გ. ბეი-მამიკონიანი, დასახ. სტატია, გვ. 137—138.

[2] Volney, დასახ. წიგნი, ტ. I, გვ. 123.

[3] Hammer, დასახ. შრომა, ტ. XVI, გვ. 350—355.

მოარტყა იაფას. ეს ალყა, რომელიც 1773 წლის თებერვლის შუამდე გაჭიანურდა, ცენტრალურ ეპიზოდს წარმოადგენს ალი-ბეის პალესტინის კამპანიაში. თავდაცვის წარმატებას ისიც უწყობდა ხელს, რომ მეალყეებს არც ფლოტი ჰყავდათ, რომ ციხე-სიმაგრის ზღვიდან გარემოცვა მოეხდინათ და არც წესიერი არტილერია. ბოლოს და ბოლოს, 1773 წ. 11 თებერვალს (გ. ბეი-მამიკონიანის განმარტებით, ლუიზინიანის თარიღის გრეგორიანული შესატყვისი. — დ. ჯ.), როდესაც სურსათის მარაგი გამოილია, კომენდანტი დათანხმდა ციხე-სიმაგრის დატოვებაზე, თუკი გარნიზონს და მის სამხედრო და პირად ქონებას ხელს არ ახლებდნენ როგორც ქალაქიდან გასვლისას, ისე მისგან უკან დახევის დროს. პირობა მისცეს და შეუსრულეს კიდეც, ისე რომ, 12 თებერვალს ალი-ბეი და შეიხი ზაჰირი ქალაქში შევიდნენ. შემდეგ, 1773 წლის მარტის პირველი დეკადის მიწურულისათვის ჰაიფის ახლო გაშლილ ბანაკში დადებული პოლიტიკურ-ფინანსური შეთანხმების თანახმად, ქალაქი ეგვიპტელთა ხელიდან შეიხ ზაჰირის მფლობელობაში გადავიდა“[1].

### 6. სალიჰიეს ბრძოლა

ჰამერის ვერსიით, საიდასა და იაფასთან გადახდილი სახელოვანი ბრძოლის შემდეგ, აჯანყებულ მამლუქთა უზენაესი მბრძანებელი ქართველი ალი-ბეი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ კაიროს წასულიყო. რუსები შეელას ჰპირდებოდნენ, მაგრამ დაფანტული ძალების შესაკრებად დრო იყო საჭირო და ალი-ბეიც მოთმინებით იცდიდა. მას აჩქარებდა კოპტი რასკი — პირადი წინასწარმეტყველი და ქაჰია: შენი დრო მოვიდა, ვარსკვლავები ამას მოწმობენო, მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის გარდუვალ დაღუპვას გვანიშნებენო. ალი-ბეის სწამდა ასტროლოგია, წერს ვოლნეი, ენდობოდა რასკისაც, რომლის წინასწარი თქმა მას ბევრჯერ ახდენოდა. ეგვიპტის ქართველი მბრძანებელი საქმის გადადებას ვერ იტანდა[2]. თანაც, როგორც ჰამერი ვადმოგვცემს, ალი-ბეი მოხიბლა აბუ-ზ-ზაჰაბის ჯართა დაპირებამ და თხოვნამ — ჩაგვიდექ სათავეში და ხელახლა იპყარ სახელმწიფოს სადავენიო. ამიტომ ალი-ბეი გაუდგა გზას, არ დაუცადა რუსთა შეპირებულ მაშველ ძალას, თან მხოლოდ ხუთასიოდე მამლუქი იახლა და საფედის ათას ხუთასი ცხენოსანი, რომელთაც ოსმან-ბეი, აჰმედის შვილი სარდლობდა. ეს იყო 1772 წლის აპრილის თვეშიო[3],—დასძენს ჰამერი.

ვოლნეიც დაახლოებით ამას გვამცნობს, მხოლოდ მას სხვა თარიღი მოჰყავს: 1773 წლის აპრილის პირველ რიცხვებში ალი-ბეის მიუვიდა მეგობართა

---

[1] გ. ბეი-მამიკონიანი, დასახ. სტატია, გვ. 138.

[2] Volney, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 123—124.

[3] Hammer, დასახ. შრომა, ტ. მე-16, გვ. 350—355.

წერილები — ვერ აგვიტანია შენი უმადური მონა, შენს დაბრუნებას ვუცდით და მის გაძევებას წინ რა დაუდგებაო. ალი-ბეიმაც რუსებს არ დაუცადა, იახლა მამლუქები და 1500 საფადიელი, რომელთაც დაჰერის შვილი ოსმანი სარდლობდა, მაგრამ, — იწყებს ჰამერისაგან მკვეთრად განსხვავებულ თხრობას ვოლნეი, — ალი-ბეიმ რა იცოდა, რომ კაიროდან მიღებული წერილები, მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის მზაკვრობა იყო; რომ მისმა მოღალატე შვილობილმა ეს წერილები ავტორებს ძალით დააწერინა, რათა მის მიერ უსინდისოდ გაყიდული გამზრდელი ხაფანგში შეეტყუებინა. მართლაც, შედგა რა ალი-ბეიმ ფეხი უდაბნოში, რომელიც ღაზას ეგვიპტისაგან ჰყოფდა, ის სალიჰიესთან შეეჩეხა ათას რჩეულ მამლუქს, რომლებიც თურმე მას უცდიდნენ. ამ ჩასაფრებულ რაზმს სარდლობდა ახალგაზრდა მურად-ბეი, რომელიც ალი-ბეის ცოლს გამიჯნურებოდა და მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბისაგან მიეღო დაპირება — თუ ალი-ბეის თავს მომართმევ, იმ ქალს შეგრთავო. მურად-ბეის მუხანათურად ჩასაფრებულმა რაზმმა ფიცხელი იერიშით მტრის რიგები არივ-დარია. შენიშნა თუ არა ალი-ბეი, მურად-ბეიმ მას,—როგორც ვოლნეი წერს,—ხმლის ერთი მოქნევით თავში მძიმე ჭრილობა მიაყენა და მუჰამედს მიჰგვარა[1].

ისტორიკოს მარსელის ვერსიით ეპოპეის ფინალი შემდეგნაირადაა გადმოცემული: კაიროში უცნაური გადასახადი დაწესდა. მას ერქვა რეფა-ელ-მოსალემ ანუ ტირანიისაგან თავდახსნა („exemption de la tyrannie"), რაც ნიშნავდა ქაშიფთა მიერ აღსასრულებელი სამომრიგებლო ფუნქციების გადასვლას მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის ხელში; ეს გადასახადი მალე ძალიან გაზარდეს. დაპატიმრებათა და ქონების კონფისკაციათა შემთხვევებიც ერთობ მომრავლდა. იაფასთან მდგარ ალი-ბეის კაიროდან სახალხო დეპუტაცია ჩაუვიდა — ყველა შენ გელისო. ზაჰირის შვილის—ჩელების და მისივე სიძის—შეიხ სოურის სპით მხარმომაგრებულმა ალი-ბეიმ ეგვიპტის სატახტოსაკენ აიღო გეზი, მაგრამ ამასობაში მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბს შინაური ოპოზიცია უკვე დაეშოშმინებინა — დემაგოგია ეხმარა: ალი-ბეი მაჰმადის რჯულს ღალატობს, რუსეთს და სხვა ქრისტიანულ ქვეყნებს დაუკავშირდაო; სათანადო ქადაგებით მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბმა ფანატიზმის გაღვივებას მიაღწია: ამან ალი-ბეის მდგომარეობა განწირული გახადა. გადამწყვეტ ბრძოლაში მას უღალატეს იბრაჰიმ და მურად-ბეიმაც. უკანასკნელს დიდი ხანია თვალი ეჭირა ალი-ბეის ჭკვიან და მზეთუნახავ ცოლზე, რომელსაც სახელად სიტეჰ-ნეფისეჰი[2] ერქვა. კარავს, რომელსაც ათი ჰამლუქი იცავდა, 50 მეომარი მიუხდა. ალი-ბეი დაჭრილი მიჰგვარეს მოღალატე

---

[1] Volney, დასახ. შრომა, ტ. I, გვ. 124.

[2] ამ მამლუქი ქართველი ქალის კდემამოსილებას და მაღალადამიანობას დიდი ქებით იხსენიებენ ნაპოლეონის ექსპედიციის ევროპელი ისტორიკოსები. მას გვერდს ვერ უვლის ჰამერიც, რომელიც ნეფისეჰს 1801 წელს პირადად შეხვედრია. ვოლნეის თქმით, მამლუქები ეგვიპტელ ქალებს ზიზღით უყურებდნენ და ცოლებად ირთავდნენ მხოლოდ კავკასიელებს. ამიტომ მტკიცე და გამძლე შთამომაელობა არ ჰყავდათ, რადგან კლიმატის სხვაობა სპობდა მათ მემკვიდრეებს.

სიძეს, რამდენიმე დღეში უზენაესი ბელადი მოკვდა და მდიდრული ცერემონიით დაკრძალეს[1].

ვოლნეის ვერსიის მიხედვით, მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბმა, ბრძოლის ადგილიდან ორ ლიეზე მყოფმა, ძველი პატრონი გადაჭარბებული პატივით მიიღო, რაც საერთოდ დამახასიათებელია მუსულმანთათვის. მან გამოამჟღავნა ის მგრძნობიარობა, რომელიც მუხანათობის ნიღაბია, მისცა დაჭრილს ბრწყინვალე კარავი, ათასჯერ თავისთავს მისი მონა უწოდა. მესამე დღეს ალი-ბეი მიიცვალა. აჩის მიზეზად ერთნი ჭრილობებს თვლიან, მეორენი საწამლავს; ერთიცა და მეორეც თანაბრად შესაძლებელია. ამიტომ მკვლევართ ვერაფერი გადაუწყვეტიათ[2].

ჰამერი ალი-ბეის აღსასრულს ცოტა სხვანაირად გადმოგვცემს. მისი სიტყვებიდან ირკვევა, რომ ეგვიპტის ქართველი მბრძანებელი, რომელსაც ოსმალეთის იმპერია 5 წელიწადს ჰყავდა აფორიაქებული, ისე გულუბრყვილოდ როდი დაღუპულა, როგორც ვოლნეისთან არის აღწერილი. აი, ჰამერის გადმოცემაც: „ალი-ბეიმ ბანაკი დასცა სალიჰიეს წინ, სადაც მას ოთხასი რუსი შეუერთდა. პირველი ბრძოლა აბუ-ზ-ზაჰაბის ავანგარდთან, რომელიც ათასი მამლუქით იყო გაძლიერებული, სავსებით ალი-ბეის სასარგებლოდ წარიმართა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ თავისთავი ალი-ბეის მომხრეებად გამოეცხადებინათ, ეგვიპტელთა ჯარები, იანიჩართა გამოკლებით, რომლებიც ნეიტრალური დარჩნენ, განაგრძობდნენ ბრძოლას ახალი შეიხ ელ-ბალადის დროშის ქვეშ. დაიჭრა რა სალიჰიეს ომში, ალი-ბეი ბედს დაემორჩილა, ბრძოლა ღალატით იქნა წაგებული. შეიტყო რა ეს საბედისწერო ამბავი, დაჭრილმა ალი-ბეიმ თავი ღაზას შეაფარა და მამაცურად უცდიდა მტერს კარვის კარებთან. განმეორებით ის ორმა ტყვიამ დაჭრა, მაგრამ ჩამუხლებული გმირულად იცავდა თავს. ბოლოს მტერმა რიცხვით იმძლავრა, ახალგაზრდა მურად-ბეიმ, რომელსაც აბუ-ზ-ზაჰაბი ალის ლამაზი ცოლის ხელს შეჰპირდა, დავიწყებას მისცა მისდამი მამლუქთა ქართველი მბრძანებლის წარსული ამაგი, დაატყვევა უკანონო ხერხებით დამარცხებული გმირი და გამარჯვებულის ბანაკში მიიყვანა. კაიროში გადაყვანილმა ალი-ბეიმ სამ დღეს იცოცხლა. ტყვეთა შორის ოთხი რუსი ოფიცერი აღმოჩნდა, ყველა დანარჩენი, მეთაურებიცა და ჯარისკაცებიც, ბრძოლაში დაიღუპა. ტყვე რუსი ოფიცრები, ალი-ბეის თავთან ერთად, აბუ-ზ-ზაჰაბმა გუბერნატორ ჰალილ-ფაშას გაუგზავნა, მან კი, მამლუქი ბეგების მხრივ მეგობრობის ნიშნად — სტამბოლს, სადაც ალი-ბეის დაღუპვა შეიხ ელ-ისლამის (ოსმალეთის მღვდელთმთავარი) სპეციალური ფეტვათი კანონიერ საქმედ იქნა გამოცხადებული. ამ ფეტვას ოსმალეთის მულემათა შორის ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, ჰაგრამ ის მოიწონა არმიის მოსამართლემ მეჰმედ მოლამ, რომელიც ხვანთქრის წინაშე პირფერობას ამჟღავნებდა. რაც შეეხება ზაჰირს, ის გა-

[1] Marcel, დასახ. შრ., გვ. 237—239.

[2] Volney, დასახ. წიგნი, ტ. I, გვ. 125

ნაგრძობდა აკრას კედლების საფარქვეშ ოსმალეთისათვის წინააღმდეგობის გაწევას“[1].

გ. ბეი-მამიკონიანი, არ იზიარებს ვერსიას მურად-ბეის დიდი როლის შესახებ ალი-ბეის დაღუპვის საქმეში. გ. ბეი-მამიკონიანი ამ ვერსიას უწოდებს „რომანტიკულს“, უარყოფს მას და უდავო უპირატესობას ანიჭებს ლუიზინიანის პირდაპირ საწინააღმდეგო მტკიცებას. ასეთი დამოკიდებულება ვოლნეისა და მარსელის ვერსიასთან საფუძველს მოკლებულად მიგვაჩნია.

ვეთანხმებით ჯაბარტის რუს კომენტატორს, როცა იგი წერს: „ალი-ბეისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ბრძოლაში მურად-ბეიმ გასცა თავისი პატრონი და გადავიდა მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის მხარეზე, რომელიც ალი-ბეის მეტოქედ გამოდიოდა. გამცემლობის საფასურად მურად-ბეიმ მოითხოვა მისთვის გადაეცათ ალი-ბეის ჰარამხანა და ალი-ბეის მთავარი ცოლი ნაფისა, რომელიც საკვირველი სილამაზით გამოირჩეოდა“[2]. ასეთ კონცეფციას მხარს უჭერს მოგზაური ს. სონინის სიტყვებიც მურად-ბეის შესახებ —„ მოკლებული იყო შემზღუდველ ნორმებსო“[3].

სხვა მხრივ, საინტერესოა ალი-ბეის ტრაგედიის უკანასკნელი მოქმედების მიმოხილვა, რომელიც გ. ბეი-მამიკონიანს ეკუთვნის.

როგორც ხსენებული ავტორი წერს, ჰაიფის ახლოს დადებული შეთანხმებიდან „რამდენიმე დღის შემდეგ ალი-ბეიმ შეკრიბა ყველა მისი ხელქვეითი ჯარები და დაიძრა სამხრეთისკენ — ეგვიპტის მიმართულებით. საქმე მით უფრო ართულდებოდა, რომ მის საეალ გზაზე მდებარე ქალაქები და ციხე-სიმაგრეები, მათ რიცხვში, ღაზაც, რამდენიმე თვის წინ კვლავ მის ძალაუფლებას დაუმორჩილა ალი-ბეი ტანტავის მეთაურობით სპეციალურად წარგზავნილმა რაზმმა. ისტორიკოსებისათვის დიდხანს თავსატეხად დარჩება, თუ რა მიზეზები ამოძრავებდა ამ დიდ მამლუქს, რომ მოვლენათა მსვლელობის ასე მკვეთრად აჩქარებას ცდილობდა. თუმცა, უმრავლესობა ამა თუ იმ ფორმით იმეორებს ძველ ვერსიას იმის შესახებ, რომ გადამწყვეტი როლი შეასრულა მოხერხებულად შემოგზავნილმა ყალბმა ცნობამ ეგვიპტელი იანიჩრების და კაიროს მოსახლეობის მზადყოფნის შესახებ — გადაეგდოთ აბუ-ზ-ზაჰაბის ხელისუფლება, როგორც

---

[1] Hammer, დასახ. შრომა, ტ. XVI, გვ. 350—355. ზუსტად არის დაცული ავტორის ტექსტი.

[2] Абд. Джабарти. Египет под властью Мухаммада Али. მოსკოვი, 1963. გვ. 728. შენიშვნა № 399.

[3] Sonini C. S., Voyages en Grece et en Turquie, t. I, Paris, 1081, გვ. 48. ეს შეიძლება გამონაკლისად ჩაითვალოს. საზღვარგარეთ მოხვედრილ ბევრ ქართველ მეომარს თავი გამოუჩენია კეთილშობილებით. 1785 წ., როცა ალი-მურატ ისპაანელი ბრძოლის ველზე უეცრად მოკვდა, 50 ქართველმა წრე შემოარტყა გილანელ პრინცესას და იხსნა იგი ნამუსის ახდის მუქარისაგან — (ფერიერ-სოვბეფის ცნობა).

ჯი ალი-ბეი გამოჩნდებოდა. სადღეისოდ უნდა დავკმაყოფილდეთ შემდეგი ზუსტად დადგენილი ფაქტის დადასტურებით: ეგვიპტის საზღვრებთან ალი-ბეის გამოჩენის მომენტში შეიხებისა და სასულიერო პირების მიერ აბუ-ზ-ზაჰაბის მხარეზე გადაბირებული კაიროს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ხელოსანთა და ვაჭართა გაღვივებულმა სარწმუნოებრივმა ფანატიზმმა მწვერვალს მიაღწია. ვის მხარეზეც არ უნდა ყოფილიყვნენ იანიჩრები, ხალხი ამ დღეებში დაბრუნებულ ალი-ბეიში ხედავდა ურწმუნოთა, ისლამის საიდუმლო მტრის მეგობარსა და მოკავშირეს... ხალხის რისხვას საცაა უნდა ეფეთქა"[1].

ავტორი კონკრეტულად არ უთითებს — რამ აიძულა კაიროს მოსახლეობა ალი-ბეიში დაენახა ისლამის მტერი?[2].

1773 წლის 15 აპრილს, როგორც ლუიზინიანის და მისი მომხრე ავტორთა ვერსია გვამცნობს, ალი-ბეი გამოვიდა ღაზიდან და 20 აპრილს მიადგა სალიჰიეს, რომელიც დაკავებული იყო აბუ-ზ-ზაჰაბის 11000-იანი ჯარის ძირითადი ბირთვის მიერ. 22 აპრილს ამ თერთმეტათასიანმა ლაშქარმა იერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე ისე, რომ მაშველ ძალებს არ დაელოდა. ალი-ბეის სულ 6.500 ცხენოსანი და ქვეითი ჯარისკაცი ჰყავდა. გაჩაღდა ომი, რომელიც შედარებით სუსტი მხარის გამარჯვებით დამთავრდა. თავდამსხმელებმა (მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის ჯარებმა) ბრძოლის ველზე 360 მოკლული და სასიკვდილოდ დაჭრილი დატოვეს, მაშინ, როცა გამარჯვებულთა (ალი-ბეი-დიდის ჯარი) დანაკლისი 160 მოკლულსა და დაჭრილს არ აღემატებოდა. იმავე დღეს ტანტავიმ სალიჰიე დაიკავა. აქ ალი-ბეიმ პირველად შეიტყო დედაქალაქის ჭეშმარიტი განწყობილება. უეცარმა თვალის ახელამ შინაგანი კრიზისი წარმოშვა, რასაც დაემატა ხელახალი ციებ-ცხელება. ასეთი შეტევა ადვილად და ელვისებურად როდი ქრება. იმედგაცრუებულმა მამამ, ბელადმა და ხელმწიფემ, რომელიც ლოგინად ჩავარდა, პირადად ვერ მიიღო მონაწილეობა 24 აპრილის გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც სალიჰიეს ბრძოლად არის სახელდებული. ამ ბრძოლის დაწყების დროს აბუ-ზ-ზაჰაბს აღმოაჩნდა კაიროდან ახალჩასული 24000 ფანატიზირებული მოხალისე და ახლა ალი-ბეის მტრის ჯარი 34.000 მეომარს შეადგენდა. ეს კი იმას მოასწავებდა, რომ მტრის ძალები ექვსჯერ აღემატებოდნენ ალი-ბეის ლეგიონებს, თუმცა საკმარისი როდი აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ ალი-ბეის ვეტერანები შეეკრთოთ... დღის 11 საათისათვის მამლუქების ცხენოსანი ჯარის მარჯვენა ფრთა, რომელსაც სათავეში ალი-ბეი ტანტავი ედგა, იერიშზე გადავიდა და გადათელა აბუ-ზ-ზაჰაბის მარცხენა ფლანგი. ტანტავისთან ერთად ომში ჩაება პალესტინელ მოკავშირეთა ცხენოსანი ჯარი, რომელიც

---

[1] გ. ბ ე ი-მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ი, დასახ. სტატია, გვ. 138.

[2] ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად შესაძლოა მნიშვნელობა. ჰქონდეს ზემოთ მოტანილ ფრანგულ ვერსიას მონტემიურლის შესახებ. ამ ვერსიაში, როგორც ვნახეთ, ლაპარაკია ალი-ბეისთან გაკათოლიკებული ქართველის დაახლოებაზე.

მის მარცხენა ფლანგს შეადგენდა. მაგრამ პალესტინელ ცხენოსანთა მეთაურის — შეიხ ზაჰირის უფროსი ვაჟის ალი-ჩელების საბრძოლო მოქმედება წარუმატებელი აღმოჩნდა. ამისდა მიუხედავად, გამარჯვება მაინც მომხდურთა მხარეს იყო, სანამ უეცრად არ მოხდა ის, რის წინააღმდეგ გამძვინვარებული ტანტავიც კი უძლური აღმოჩნდა — მისი ცენტრის მოღალატე დაქირავებული ჯარი (3000 მეომარი) მტრის მხარეზე გადავიდა. აღსასრული მოახლოვდა: თითქმის 12-ჯერ უფრო ძლიერი მტრის მიერ გარშემორტყმული ალი-ბეის პატარა არმიის ორივე ფლანგის ნარჩენები განადგურდა. კვლავ „ჭეშმარიტად გასაოცარი შეუპოვრობით იბრძოდნენ ისინი, ვიდრე ნაკუწ-ნაკუწ არ იქნენ აკაფულნი“. — წერდნენ ლონდონის იმდროინდელი ჟურნალები. მათთან ერთად ღაეცა დაუმსახურებლად მივიწყებული ორი ვაჟკაცი, ორი მებრძოლი ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენისათვის — ქართველი ალი-ბეი-ტანტავი და პალესტინელი არაბი ალი-ჩელები. გადარჩენილთა მცირე ნაწილმა, რომელმაც ბედისგან დავიწყებული მბრძანებლის ალი-ბეის კარავს მიაღწია, ამცნო მას დამარცხების სამწუხარო ამბავი. ყველა, ვინც კი იმ დროს მის გარშემო იყო, ევედრებოდა, რომ ცხენზე შემჯდარიყო და ღაზისაკენ წასულიყო 300 მხედრის თანხლებით, რომლებიც თან ჰყავდა და, რომლებსაც მეთაურობდნენ როსვანბეი, აბდურაჰმან-ბეი, მურად-ბეი და სულეიმან ქაჰია. და სწორედ მაშინ მოიმოქმედა ალი-ბეიმ თავისი ყველაზე ლამაზი და ყველაზე გმირული საქმე, რომელმაც ამაყად დაასრულა მის მიერ ამაყად განვლილი ცხოვრების გზა — მან განაცხადა, რომ არ დაიძვროდა ადგილიდან და უბრძანა გარშემომყოფთ უკან დაეხიათ; გამოთხოვებისას ყველანი ხელზე ეამბორნენ და იგი დარჩა თავის კარავში. მასთან ერთად დარჩა ათი ყმაწვილი — ათი პაჟი — ერთგულნი ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და სასტიკი კანონისა მამლუქების ღირსებათა კოდექსში. მათ აღასრულეს თავიანთი ვალი და აბუ-ზ-ზაჰაბის მიერ გამოგზავნილმა ქაჰიამ მხოლოდ მაშინ შეძლო კარავში შესვლა, როდესაც მისმა ოცდაათმა (მარსელის ცნობით ორმოცდაათმა) მებადრაგემ გმირი ბავშვების შეუპოვარი წინააღმდეგობა გატეხა და მოკლულთა და დაჭრილთა სახით რამდენიმე კაცი დაკარგა. დასუსტებული, ავადმყოფი ალი-ბეი იარაღით ხელში შეეგება თავისი შვილობილის წარმოგზავნილებს. პირველი, რომელმაც მასთან მისვლა გაბედა, ერთი დაკვრით იქნა მოკლული. კიდევ ორმა დარტყმამ ორი კაცი დასცა. თავდამსხმელები იძულებული გახდნენ შორიდან გასწორებოდნენ თავიანთ საშინელ მოწინააღმდეგეს და ორი გასროლით დაჭრეს იგი მარჯვენა ხელსა და ფეხში. ალი-ბეი ახლა მარცხენა ხელს ხმარობდა და საპასუხო გასროლით მოასწრო ქაჰიას დაჭრა, სანამ მოქნეულმა ხმალმა არ მოჰკვეთა ხელი, ცნობა არ წაართვა ალი-ბეის და მიწაზე არ დასცა. როდესაც იგი კარავში მიჰგვარეს აბუ-ზ-ზაჰაბს, ამ უკანასკნელმა თავი ვერ შეიკავა და ატირდა. ალი-ბეი კაიროში გადაიყვანეს, სადაც ერთ კვირამდე იცოცხლა და გარდაიცვალა თავის სასახლეში 1773 წლის 2 მაისს. ლუიზინიანის აზრით, იგი მიღებული ჭრილობებისა და გაძლიერებული ციებ-ცხელებისაგან გარდაიცვა-

ლა. თუმცა კი ერთგულებით შორს იდგა ათი ყმაწვილი მამლუქის გმირობისაგან, მაგრამ აბუ-ზ-ზაჰაბმაც ბოლომდე დაიცვა თავისი კასტის დაუწერელი კანონი: მამლუქთა ეგვიპტის უკანასკნელი ხელმწიფე დიდის პატივით დაასაფლავეს მის წინამორბედთა გვერდით, ისლამის ხუროთმოძღვრების უშესანიშნავეს ძეგლთა შორის, ელ-კარაფეს მეჩეთებისა და მავზოლეუმების ჩრდილში[1].

როგორც მკითხველი რწმუნდება, ევროპული წყაროები დეტალებში სულ სხვადასხვანაირად გადმოგვცემენ ალი-ბეის დაღუპვის ვითარებას. მაგრამ ეს დეტალები გაერთიანებულია ერთი საერთო იდეით — გმირი მამლუქი ბელადი გმირულად დაიღუპა, ჩაწერა ლამაზი დრამატული ფურცელი მამლუქთა ლეგენდარულ ისტორიაში.

ჯაბარტიდან მომდინარე ვერსიით, 1772 წელს ალი-ბეის (დიდი) მამლუქები აუჯანყდნენ. აჯანყებას მეთაურობდნენ მისი უახლოესი თანაშემწეები — მუჰამედ-ბეი აბუ-ზ-ზაჰაბი და ისმაილ-ბეი. ამის შედეგად ალი-ბეი სირიაში იქნა განდევნილი და მალე გარდაიცვალა[2].

როგორც ჩანს, ჯაბარტი მისგან მეტ-ნაკლებად დაშორებული წარსულის ამბებში ვერ არის ისე ძლიერი, როგორც იმ მოვლენებში, რომლებიც მან საკუთარი თვალით იხილა.

ბრიტანულ ენციკლოპედიაში არ არის გაზიარებული ალი-ბეის სირიაში გარდაცვალების ვერსია. ამ ენციკლოპედიის მიხედვით, ალი-ბეი დამარცხდა ხელჩართულ შეტაკებაში სალიჰიესთან, მას მძიმე ჭრილობა მიაყენა მურადმა, რომელიც შემდეგში ბეგი გახდა. დაჭრილი ალი-ბეი მიიყვანეს კაიროს ციტადელში, სადაც იგი მოწამლა მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბმა — ასეთი კატეგორიული მტკიცებაა მოცემული ბრიტანული ენციკლოპედიის მეცხრე გამოცემაში[3]. იმავე ენციკლოპედიის XIII გამოცემაში ნათქვამია, რომ ალი-ბეი ტყვედ შეიპყრეს მამაცური წინააღმდეგობის შემდეგ და მოკვდა კაიროში — შეპყრობიდან მეშვიდე დღეს, რასაც მოჰყვა ეგვიპტეში ოსმალეთის ბატონობის აღდგენა[4].

ბრიტანული ენციკლოპედიები მაღალ შეფასებას აძლევენ ალი-ბეის პიროვნებას—მუჰამედ ალის გვერდით აყენებენ მას[5]. რუსულ ენციკლოპედიებშიც ვხვდებით ალი-ბეის მაღალ შეფასებას[6].

---

[1] გ. ბეი-მამიკონიანი, დასახ. სტატია, გვ. 138—140. საინტერესოა, რომ პეტერბურგის იმდროინდელი გაზეთებიც ფართოდ აშუქებდნენ ალი-ბეის გმირულ ბრძოლებს. ბევრი ასეთი ცნობა კავკასიის შესახებ გამოცემულ თავის წიგნში შეიტანა ისტორიკოსმა პ. გ. ბუტკოვმა.

[2] Абд. Джабарти. Египет в период экспедиции Бонапарта. М., 1962, გვ. 489.

[3] The Enc. Britanica, IX გამ., ტ. VII, 1877, გვ. 759.

[4] The Enc. Brit., მე-13 გამ., ტ. მე-9, გვ. 105.

[5] იქვე.

[6] Русский энциклопедич. словарь, издаваемый проф. И. М. Березиным. отд. III, т. I, 1874, გვ. 656.

პაულ მასონის აზრით, ალი-ბეის დაღუპვამ ოსმალეთის ხვანთქარი ყველაზე საშიში მოწინააღმდეგისაგან გაათავისუფლა[1].

საბჭოთა არაბისტიკა ასეთ შეფასებას აძლევს გმირ ქართველ მამლუქს: „არაბი ხალხი სამართლიანად იგონებს მას, როგორც მძიმე ოსმალური უღლის წინააღმდეგ ერთ-ერთ პირველ მებრძოლთაგანს. ამ მიმართულებით კი მან ბევრი რამ გააკეთა. ალი-ბეიმ, პირველმა ჩამოაშორა ეგვიპტე ოსმალეთის იმპერიას... მისი ცხოვრების მიზანს ოსმალთა ბატონობისაგან ეგვიპტის განთავისუფლება წარმოადგენდა“[2].

### 7. შეიხ ზაჰირის დალუპვის ორი ვერსია

ზაჰირის აღსასრული საკმაოდ გულუბრყვილოდ აქვს აღწერილი ლუიზინიანს. აი, მისი ვერსიაც: ხვანთქარმა სირიაში მიავლინა თავისი კაპუდან-ფაშა. ამ უკანასკნელმა მეგობრული ურთიერთობა გააბა ზაჰირთან და დაარწმუნა იგი, რომ ხვანთქარმა მას ამნისტია გამოუცხადა. კაპუდან-ფაშამ ზაჰირი თავის ხომალდზე მიიწვია — მოხარული ვიქნები, თუ ჩემთან ერთად გემბანზე ისადილებთ, ჩემი გარემოცვა მიგიღებთ, როგორც ფრიად სასურველ და საამო სტუმარსო. შეიხი ზაჰირი დაენდო ამნისტიის შესახებ მისთვის წარდგენილ დოკუმენტებს, თანაც რამდენიმე დღის მეგობრულმა ურთიერთობამ კაპუდან-ფაშასთან მას ყოველგვარი ცუდი ეჭვი გაუქარვა. არ მოელოდა რა საშიშროებას ოსმალეთის ამირბარის გემზე, ზაჰირმა გადაწყვიტა მას სტუმრებოდა. ამალიდან მხოლოდ რამდენიმე კაცი წაიყვანა თან. ოსმალეთის ამირბარმა იგი მეგობრულად მიიღო, მოაწყო დიდი სიხარულის იმიტაცია და ზარბაზნების თორმეტი ზალპით მიესალმა. როგორც კი სტუმარი და მასპინძელი საამირბარო კაიუტაში შევიდნენ, უკანასკნელმა ამოიღო ხვანთქრის ბრძანება და წაიკითხა. ზაჰირი მიხვდა თავის შეცდომას — გულუბრყვილოდ წამოეგო სტამბოლის მზაკვრულ ანკესს. სინანული დაგვიანებული იყო. ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა, პირქვე დაემხო კაპუდან-ფაშას წინაშე და მას თავი მოჰკვეთეს. ასე დაასრულა თავისი სიცოცხლე ამ ძველმა მამაცმა თავადმა — თავისი წუთისოფლის ოთხმოცდამეხუთე, თუ ოთხმოცდამეექვსე წლისთავზე[3].

ვოლნეის ვერსია სავსებით ეწინააღმდეგება ლუიზინიანის გადმოცემას. ვოლნეის ცნობებიდან ირკვევა, რომ ზაჰირი ისეთი მიამიტური შეცდომით როდი დაღუპულა, როგორც ამას ლუიზინიანი ამტკიცებს. გმირი ბედუინი შეიხი წუთისოფელს საკმაოდ დრამატულ ვითარებაში გამოთხოვებია: ზაჰირს უღალატეს ციხე-კოშკის დამცველებმა — გადამწყვეტ მომენტში მათ არ შეასრულეს ბელადის ბრძანება და არ გახსნეს ცეცხლი მტრის წინააღმდეგ. ზაჰირმა

---

[1] Masson. P., დასახ. შრომა, გვ. 305.

[2] Петровский А., Матвеев В., Египет—сын тысячелетий, 1959. გვ. 202—203.

[3] ლუიზინიანი, დასახ. წიგნი, გვ. 249.

გაქცევა სცადა და იგი ამ ცდის დროს მოკლეს მისივე სასახლის ბაღში —მოღალატის ტყვიამ გმირი ბედუინი ბელადი ცხენიდან ჩამოაგდო, შემდეგ მას თავი მოჰკვეთეს და კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანს მიუტანეს[1].

### 8. მურად-ბეისა და იბრაჰიმ შინჯიაშვილის მოქცევა ხელისუფლების სათავეში და ჯასან ჯიდელის ისტორია

მე-18 ს. 80-იან წლებში მამლუქთა მეორე დიდი აჯანყება მოხდა. მანამდე ადგილი ჰქონდა მათი სხვადასხვა დასების შინაურ ბრძოლებს პირველობისათვის. ამ გარდამავალი პერიოდის შესახებ ჩვენ ოთხი ვერსია მოგვეპოვება.

ალი-ბეის სიკვდილის შემდეგ აჯანყება ჩაკვდა, მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბმა, რომელიც ეგვიპტეში 1773—1776 წლებში ბატონობდა, ქედი მოუხარა ხვანთქარს. მან სტამბოლს გაგზავნა ხარკი, რომელიც ექვსი წლის მანძილზე არ აკრეფილიყო. ხარკს მორჩილების აღთქმაც მიაყოლა და თავის გულწრფელობაში რომ ხვანთქარი დაერწმუნებინა, ზაჰირის ბედუინებთან ომის ნებართვა გამოსთხოვა. ხვანთქარი თვითონ ეპირებოდა ამ ბრძანების გამო-ცემას, რათა წინასწარ ალი-ბეის მემკვიდრის გული მოეგო და ახლა, რაკი იმან დაასწრო, თავი ბედნიერად ჩათვალა და სურვილს როგორ დაუშლიდა. პირადი მტრობა ზაჰირთან და ქ. აკრას ვაზირთა აურაცხელი საუნჯე, აი, - ორი გარემოება, რომელთა გამო მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბს გული ბედუინების სამუსრავად მიუწევდა. მან არაჩვეულებრივი საარტილერიო ეტლი შეიძინა, ჩამოიყვანა უცხოელი მეზარბაზნეები და მათი უფროსობა ინგლისელ რობინსონს ჩააბარა. სად იყო და სად არა, დიდი ყალიბის ჯურვებიც გააჩინა და 1776 წლის თებერვალში ურიცხვი სპა პალესტინას შეუსია. ღაზა უომრად დაიჭირა, მაგრამ იაფამ, რომელსაც ღაზის მოსახლეობის მაგალითი მისაბაძად არ ეჩვენა, საქმე გაუჭირვა. ქალაქის აღებამ 46-დღიანი ალყა მოითხოვა, ქრისტიანებისა და მუსულმანების განხეთქილებამ საქმე დაღუპა და იაფაც გატყდა. მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბი ალი-ბეის არა მარტო მოღალატე აღზრდილი გამოდგა, არამედ მისი რეპუტაციის საქვეყნოდ შემპარცხვეველი — მან იაფას მოსახლეობას დაუზოგავად გაავლო მუსრი. აკრა ზაჰირმაც მიატოვა და შემდეგ მისმა მოღალატე შვილმაც. ამიტომ იაფაზე უკეთეს დღეს ბედუინთა განთქმული ბელადის არც ეს სატახტო შესწრებია. საფრანგეთის სოვდაგრებს, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ, მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბმა გამოუცხადა — ზაჰირის, ქაჰიას — იბრაჰიმის ქონების დეპოზიტორები ხართ და თუ ეს ქონება ნებით არ მოგიცათ, ყველას ყელებს გამოგღადრავთო. აკრაცა და ფრანგი სოვდაგრებიც შემდგომი უბედურებისაგან მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის უეცარმა გარდაცვალებამ იხსნა. ეგვიპტის გამგებლის სიკვდილმა დასაბამი მისცა მამლუქების შინა აშლილობას. XVIII ს. 70-იან წლებში მათი სხვადასხვა პარტია ერთმა-

[1] Volney, Oeuvres complétes De Volney. Paris, 1837, გვ. 233—235.

ნეთს მუსრს ავლებდნენ. მურად-ბეი[1] და იბრაჰიმ-ბეი (შინჯიკაშვილი) ერთ ბანაკში აღმოჩნდნენ. თუმცა ერთმანეთი არ უყვარდათ, მაგრამ ვინაიდან ერთს მეორისა ეშინოდა, მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის სიკვდილის შემდეგ მალე შეთანხმდნენ, რასაც მათი ერთობლივი საქვეყნო გამგებლობა მოჰყვა. ეს არაფრად მოეწონათ ალი-ბეის სახლობის ჩამომავალ ქაშიფებს და ბეგებს. ისიც გულს უხეთქდათ, რომ ამასწინათ მათი ტოლი მუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბი თავზე დააჯდათ და ახლა მისი მონების მმართველობის მოთმენას რა გული უზამდათ, ან რა ჭკუა უკარნახებდათ. ამ პარტიის ბელადები იზმაილ-ბეი და ჰასან-ბეი[2] გახდნენ, მაგრამ ისინი დაამარცხა მურად და იბრაჰიმ ბეგების პარტიამ. გამარჯვებულმა ძლეული მხარის ერთიანი შემუსვრა ვერ მოახერხა და იძულებული შეიქმნა ერთი თემი, ჯირჯას ზემოთ მდებარე, მისთვის ჩაებარებინა. იზმაილი და ჰასანი იქაც არ ისვენებდნენ. 1783 წელს მათ წინააღმდეგ დაიძრა მურად-ბეის სპა, მაგრამ ვერაფერი გააწყო და ჯირჯას ზონა ისმაილისა და ჰასანის პარტიის ბუდედ დარჩა. იმავე ხანებში სხვა, უფრო სუსტი ბეგების პარტია შეიქმნა, ეს იყო მამლუქთა მესამე ბანაკი. ახლა მან იკისრა ის საქმე, რომელიც ისმაილმა და ჰასანმა ბოლომდე ვერ მიიყვანეს, არც დუუმვირებს — მურად-ბეისა და იბრაჰიმს ეძინათ. ისინი აღსდგნენ ახალი პარტიის ასალაგმავად. ბრძოლის სარდლობა იბრაჰიმ შინჯიკაშვილმა იკისრა, მურად-ბეი დაღლილობას უჩიოდა. იბრაჰიმ ქართველის ნახევრად ლიბერალურმა ზომებმა (ახალი პარტიის მიმართ შემრიგებლურმა პოლიტიკამ) დუუმვირები წაჰკიდა და ახლა ისინი დაერიენენ ერთმანეთს. საქმე გადამწყვეტ შეტაკებამდე არ მისულა. 1785 წლის მარტში დუუმვირების თანხმობა აღდგენილ იქნა, მას შემდეგ, რაც ხუთი ოპოზიციონერი ბეგი ქონების რეკვიზიციით და პატიმრობით დაისაჯა[3] — ასეთია ვოლნეის გადმოცემა.

არსებობს გარდამავალი პერიოდის (1776—1785 წწ.) მეორე ვერსიაც, რომელიც უმთავრესად ჰასან-ბეის პიროვნების გარშემო ტრიალებს. აი, ეს ვერსიაც:

ალი-ბეის სახლობის ჩამომავალთა შორის მთავარი პირი ჰასან-ჯიდელი იყო, წარმოშობით ქართველი. ხსენებული ფსევდონიმი სიჭაბუკეში ჯიდას ნავსადგურის აღებამ მოუხვეჭა. ჰასან-ჯიდელი ბოლომდე ალი-ბეის ერთგული დარჩა. მას მხარს ისმაილ-ქართველი უმშვენებდა (მისი მამობილის ამხანაგი). მოკვდა თუ არა ალი-ბეი, ეს ორი ქართველი მამლუქი ეგვიპტიდან განდევნეს. მათ ყველა თანამებრძოლს თავები მოჰკვეთეს, ან მოწამლეს. უცხოეთში ჰასანმა და ისმაილმა ორი წელი გაატარეს, შემდეგ ეგვიპტეში დაბრუნდნენ, რათა

[1] ო. მარკოვას ცნობებით, მურად-ბეი წარმოშობით თბილისიდან იყო („Россия, Закавказье и межд. отн"., М., 1966, გვ. 175).

[2] ევროპული ისტორიოგრაფიის საერთო აღიარებით ორივე ეს მამლუქი წარმოშობით ქართველი იყო, ჰასანს (შეტსახელად „ჯიდელს") ჩვენ ქვემოთ ვრცლად შევეხებით.

[3] Volney, Voyage... 1787 წ., ნაწ. I, გვ. 130—147.

ალი-ბეის ჯგუფი აღედგინათ და მურად-ბეი და იბრაჰიმ შინჯიკაშვილი დაემარცხებინათ. მათ მიაღწიეს ამ მიზანს. 1776 წელს, ჰასანის გმირული საქმეების წყალობით, ისმაილ ქართველი ეგვიპტის მთავარსარდლად გამოცხადდა. დიდების მწვერვალზე ასულ ისმაილს სატანა შეუჩნდა, მან უმაგალითო უპატიურება გამოიჩინა და გმირი ჰასან-ჯიდელი შეიძულა. ეს უკანასკნელი კარგად ხვდებოდა ისმაილის მტრობას, მაგრამ აღშფოთებას მოხერხებულად მალავდა. ამ გარემოებამ ისმაილი შეცდომაში შეიყვანა და მან ჰასან-ჯიდელი სათავეში ჩაუყენა იმ სპას, რომელიც ზემო ეგვიპტეში იბრაჰიმ შინჯიკაშვილთან და მურად-ბეისთან საომრად უნდა წასულიყო.

უმადურ ისმაილთან ანგარიშის გასასწორებლად ჰასან-ჯიდელმა ეს მომენტი გამოიყენა. ის დიდძალი სპით ზემო ეგვიპტეში ჩავიდა, კარვები იბრაჰიმ შინჯიკაშვილის ბანაკის პირდაპირ გაშალა და მას შეუთვალა; მსურს მოკავშირედ გაგიხდე და ისმაილს ხალხი ავუჯანყო, ის უღირსი მმართველია, ამპარტავნობასა და გულზვიადობაში ტოლი არა ჰყავს, მაგრამ უჭკუობით ქვეყანას აქცევს და ოსმალეთს ისევ ჩვენზე საბატონოდ ეპატიჟებაო. იბრაჰიმ შინჯიკაშვილმა და ჰასან-ჯიდელმა ხელი ხელს მისცეს და გაერთიანებული ჯარი კაიროსაკენ წაიყვანეს. ამ ქალაქიდან ერთი დღის სავალზე მათ ისმაილის სპა გაანადგურეს. დამარცხებული ისმაილი ჯერ ღაზას გადაიხვეწა, შემდეგ კი სტამბოლს შეეხიზნა. გამარჯვებულნი კაიროში შევიდნენ და მურად-ბეისთან ერთად ქვეყნის მართვას შეუდგნენ. მაგრამ ორი დასის ეს თანხმობა მხოლოდ ხუთ თვეს გაგრძელდა. მალე ჰასან-ჯიდელმა შეამჩნია, რომ მურად-ბეი უკანონოდ ირჯებოდა, მამლუქთა სხვა ბელადებს თავზე წამოჯდომას უპირებდა და ვაჭრებს, მიწის მუშებსა და მოქალაქეებს აუტანელი ბეგარა - გადასახადებით წელში წყვეტდა. საქმე შეტაკებამდე მივიდა. როცა ყველა მამლუქი ბეგი, ჩვეულების თანახმად, კაიროს აყვავებულ მიდამოებში ღრეობდა, მურად-ბეიმ და ჰასან-ჯიდელმა ერთმანეთს მაშინ დაჰკრეს.

ჰასანმა ბრძოლა წააგო. იგი თავისიანების მიერ მიტოვებული და სახიფათოდ დაჭრილი, ორი დღე კაიროს მიყრუებულ უბნებში იმალებოდა, ვიდრე თავშესაფარი არ იპოვა დამანურის შეიხთან, რომელსაც ყველა პატივს სცემდა. შეიხი ხიზან მამლუქს შვილივით უვლიდა. ეს რომ სასტიკმა მურადმა შეიტყო, მოხუც შეიხს სტუმრის გაცემა მოსთხოვა. შეიხმა მტკიცე უარით უპასუხა მამლუქთა მედროვე ბელადს. ჰასან-ჯიდელი კეთილი მასპინძლის ბედზე შიშობდა, ამიტომ ჰასანმა შეიხის სახლიდან წასვლა გადაწყვიტა.

ერთ დღეს, როცა შეიხს მურადის კაშიფი მიუხტა და სტუმრის გაცემა მოსთხოვა, ჰასან-ჯიდელი, რომელიც ჭრილობებისაგან ჯერ კიდევ არ იყო განკურნებული, კიბით ძირს დაეშვა, კაშიფის ამალის ცხენს ზურგზე მოენთო და ხელში ხმალმომარჯვებულმა კაიროს ქუჩებში უშიშრად გაიქროლა.

ჰასანი მეთვისტომე იბრაჰიმ შინჯიკაშვილის სასახლეს ეწვია და ჰარავხანაში თავშესაფარი ითხოვა. არაბთა ჩვეულების თანახმად, მას თხოვნა მყისვე

შეუსრულეს. მურად-ბეიმ ესეც შეიტყო და შინჯიკაშვილთან მისულმა, ჰარამხანაში შესვლა მოითხოვა. მას ჰასან-ჯიდელის სისხლის წყურვილი არ ასვენებდა, არაბული სტუმართმოყვარეობა გადაივიწყა და მეტოქის მოკვლას იბრაჰიმ შინჯიკაშვილის სასახლეში აპირებდა. მასპინძელმა მურად-ბეის მუხანათურ განზრახვას მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია, თავიც ქვას შეუშვირა და ჰარამხანაში მისი შეშვება არ სურდა. უსიკვდილოდ ვერავის დავანებებ ჰასანის მიმართ რაიმე ძალადობის გამოყენებასო, — განუცხადა მტკიცედ შინჯიკაშვილმა. მურად-ბეი მოლბა. მან მასპინძელს ჰასანის დანდობა ფიცით აღუთქვა და ჰარამხანის კარებიც გაუღეს. შიგ შესული მურად-ბეი ჰასან-ჯიდელის გაქირდვას დასჯერდა.

შინჯიკაშვილის სასახლეში ჰასანი განკურნეს, შემდეგ გაგზავნეს ქალაქ სუეცს, სადაც ვაჭართა ხომალდში ჩასვეს და უცხოეთში გადაასახლეს. გამარჯვებულთა სურვილის მიხედვით, იგი ჯიდას ნავსადგურს უნდა შეხიზნებოდა, მაგრამ გმირი მამლუქი თვითონ ასე როდი ფიქრობდა. მალე მეწამული ზღვის სანაპიროზე კოსეირის (ალ-კუსაირი) ბორცვები გამოჩნდა. ჰასანმა კაპიტანს სთხოვა ხომალდი ღუზაზე დაეყენებინა და თავისი სურვილიც გაუმხილა—ზემო ეგვიპტეს მინდა მივაშურო და ხელის შეშლას ნუ გამიბედავთო. ხომალდის კაპიტანმა ყური არ ათხოვა. მაშინ ჰასანმა დაჭრა და განაიარაღა იგი. ამის შემდეგ ეკიპაჟი იძულებული გახდა მისი სურვილი შეესრულებინა. ამ საქმეში გაბედულ ქართველ ტუსაღს ეხმარებოდა ოთხი მონა, რომლებიც იმჯერად მთელ მის ამალას შეადგენდნენ.

ჰასანმა კაიროელ სოვდაგრებს უამრავი ფული გამოართვა და ფეხი კოსეირში შედგა. აქედან გადავიდა კენას, სადაც არაბებმა და სხვა ხალხებმა ფრიად დიდი პატივით მიიღეს. კენაში ჰასანი კარგა ხანს განმარტოებით ცხოვრობდა, ხელი მიჰყო ვაჭრობას, მიწათმოქმედებასა და უთვალავი სიმდიდრე მოიხვეჭა, მევალე კაიროელ სოვდაგრებსაც ფული პატიოსნად დაუბრუნა. ამ დროს იმ ქვეყანაში ისმაილ-ბეიც ჩავიდა, მას სტამბოლში ორი წელი გაეტარებინა, ახლა კი ხვანთქარს განსაკუთრებული ფირმანით ისევ ეგვიპტეში გამოეშვა. ეს ის დრო იყო, როცა ხვანთქარმა მიიღო გადაწყვეტილება—მოესპო ყველა მამლუქი ბეგი, იქნებოდა ალი-ბეის, თუ აბუ-ზ-ზაჰაბის მიმდევარი. ჰასანმა და ისმაილმა ერთმანეთში მეგობრული ენა (ხელმეორედ) გამონახეს. მათ კაიროდან გაქცეული ბევრი მეგობარი შეუერთდა. ამის წყალობით წარმატებით უკუაქციეს კაიროს მბრძანებელი ბეგები, რომელთაც სათავეში მურად-ბეი ჰყავდათ.

ჰასანსა და ისმაილს მხარს უჭერდნენ ნუბიის საზღვარზე მობინადრე არაბებიც. არაბებთან მეგობრობის განმტკიცების მიზნით, ჰასან-ჯიდელმა შეირთო ერთ-ერთი მთავარი შეიხის ქალიშვილი, რომლისგანაც ვაჟიშვილი ეყოლა. მისი პოზიციები მიუდგომელი იყო. ადგილობრივი ტომების დახმარებით მას შეეძლო თავი დაეცვა, თუნდაც უზარმაზარი არმიაც შესეოდა. ოსმა-

ლეთის მთავრობას გაუჭირდა ჰასან-ჯიდელის მოსყიდვა. მამლუქმა ბელადმა შეიტყო ხვანთქრის ვერაგული განზრახვა. ჰასანი ინგლისელთა ყურადღების საგანი გახდა: ისინი ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, რათა მისი გული მოეგოთ[1].

ვოლნეისეული და ეს ანონიმური ვერსია ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება: 1. ვოლნეის გადმოცემა გაცილებით უფრო სქემატურია; 2. იქ ხაზგასმული არ არის ჰასან-ბეის ქართველობა; 3. ვოლნეის გადმოცემაში გვერდი აქვს აცილი ჰასანის დემოკრატიულ შეხედულებებს, შეიხისა და იბრაჰიმ-ბეის მეგობრობას ჰასანთან; 4. ვოლნეის ვერსია, როგორც ძალზე სქემატური, მოკლებულია მამლუქი ბელადების სამხედრო-პოლიტიკური ნიჭის შეფასებას

ჰასან-ჯიდელის ზემოხსენებულ ისტორიას შემოკლებულად იმეორებს აბდ-ჯაბარტი, თუმცა ხაზს არ უსვამს ჰასან-ჯიდელის ქართულ წარმოშობას[2].

3. მასონთან დაცული, საერთო სათვალავით — მესამე ვერსიით, რომელიც ბარონ ტოტისა და მწერალ სავარის წიგნებს უმყარება, ისმაილ-ბეიმ (იბრაჰიმ-ქაჰიას სახლობის ჩამომავალმა) და ჰასან-ბეიმ 1777 წ. ივლისში იბრაჰიმ-ბეი უფროსი (შინჯიკაშვილი) და მურად-ბეი კაიროდან გააძევეს. განდევნილებმა ჯერ საიდს შეაფარეს თავი, შემდეგ კი დიდი სპით კაიროში ჩავიდნენ. მათ ხმალშემართული ისმაილი გამოეგება, მაგრამ უღალატა ერთმა თავისმა ლეიტენანტმა ისევე, როგორც თვითონ 1772 წელს გასწირა თავისი ბატონი ალი-ბეი-ელ-ბექირი. დამარცხებული ისმაილი გაიქცა კაიროდან და თან წაიყვანა ოქროებით, ძვირფასი ნივთებითა და ფულით დატვირთული ორმოცდაათი აქლემი. უფრო მედგარი ჰასანი კაიროში დარჩა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისიც ისმაილს შეუერთდა—საიდს გაიქცა.

აქ მათ სცადეს თავიანთი პარტიის რეკონსტრუქცია. იბრაჰიმ-ბეი-უფროსი (ხსენებული შინჯიკაშვილი) და მურად-ბეი კაიროში დარჩნენ. ერთმანეთს გაჭირვებით იტანდნენ და დღეები ყრუ ინტრიგებში გაჰყავდათ. 1783 წელს მათ გადაწყვიტეს ანგარიში გაესწორებინათ საიდის ფრაქციასთან, რომელიც სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდა. თავისი ეს ექსპედიცია რომ მოემზადებინა, მურად-ბეიმ კაიროს კომერსანტებს შეაწერა დიდი კონტრიბუცია, რაც 2.625.000 ლივრს შეადგენდა. ისმაილმა და ჰასანმა ზემო ეგვიპტეში თავიანთი რეზიდენცია მიუხელთებელი გახადეს და მურად-ბეიმ გონივრულად ჩათვალა დაბრუნებულიყო კაიროში, სადაც სხვა ბეგები ხდებოდნენ მოსაფრთხილებლები. ეს უკანასკნელნი რომ გააძევა, იბრაჰიმ-ბეი უფროსმა გადაწყვიტა გაელაშქრა საიდში ჩასაფრებული „რებელიზანტების“ წინააღმდეგ, მაგრამ ადგილზე მისულმა, მათ ბრძოლა როდი გაუმართა, მოლაპარაკება ამჯობინა. მურად-

---

[1] რუს. საგ. პოლიტიკის არქივი, დასახ. ფონდი, საქმე №677, ფურც. 49—53 (ფრანგულ ენაზე შედგენილი ანონიმური ხელნაწერი ბიოგრაფია. „Notices sur le Hassan bey de L' Egypte“).

[2] Абд. Джабарти. Египет в период экспедиции Бонапарта. М., 1962. გვ. 430—431.

ბეიმ ეჭვი აიღო—იბრაჰიმი მღალატობსო, კაირო დატოვა და საიდს გაეშურა. ომი გარდუვალი ჩანდა, მაგრამ მეტოქეებმა ბოლოს და ბოლოს ვერ გაბედეს სამკვდრო-სასიცოცხლო დუელში ძალების მოსინჯვა და შერიგდნენ. 1784 წელს იგივე ფაქტი განმეორდა. ოსმალეთის ექსპედიციას აჯანყებული ეგვიპტის წინააღმდეგ (1786) იბრაჰიმ-ბეი უფროსი და მურად-ბეი დროებით შერიგებულნი დახვდნენ და საკმაოდ ერთსულოვანი წინააღმდეგობა გაუწიეს[1].

გარდამავალი პერიოდის მეოთხე ვერსია არაბ ისტორიკოსს აბდ. ჯაბარტის ეკუთვნის. ამას თუ დავუჯერებთ, 1775—1785 წლებში მურად-ბეის და იბრაჰიმ შინჯიკაშვილს უპირისპირდებიან ძმები იბრაჰიმ უმცროსი და სოლეიმან-ბეი, იბრაჰიმ უმცროსი 1777 წელს ცხადდება ემირად, ანუ ამირად და სანჯაყ ბეგად, მისი ძმა სოლეიმან-ბეი აღას ტიტულს ატარებს და პოლიციას ხელმძღვანელობს. 1782 წელს ორივე ძმა კაიროდან გაძევეს. 1785 წელს მოპირდაპირე დასებს შორის თანხმობა იქნა აღდგენილი და იბრაჰიმ შინჯიკაშვილმა სიძედ გაიხადა იბრაჰიმ უმცროსი—ცოლად მიათხოვა მას თავისი ქალიშვილი[2]. რუსული წყაროების მიხედვით, იბრაჰიმ უმცროსი და მისი ძმა სოლეიმან-ბეი იყვნენ გვარად ტარბაიძეები ანუ ტარბაისიძეები. ჩვენ მათ ქვემოთ კიდევ შევხვდებით.

როგორც ზემომოტანილი ვერსიები მოწმობენ, ალი-ბეის აჯანყების ჩაქრობას არ მოჰყოლია ოსმალთა სტაბილური რეჟიმის აღდგენა. ბუჰამედ აბუ-ზ-ზაჰაბის სიკვდილის (1776 წ.) შემდეგ ეგვიპტეზე ფაქტიურ კონტროლს კვლავ მამლუქი ბელადები ინარჩუნებენ, მხოლოდ ამ ბელადებშიც ერთსულოვნება არ არსებობს და ხშირად ირღვევა შინაგანი საქვეყნო მშვიდობა. ოსმალეთის მთავრობა თავს იკავებს შეიარაღებული ინტერვენციისაგან, მაგრამ ასეთი ინტერვენცია გარდუვალი გახდა, როცა მამლუქი ბელადების ურჩობამ ყოველგვარი ზღვარი გადალახა და ხელახალი აჯანყების ხასიათი მიიღო.

---

[1] Masson P., დასახ. შრომა, გვ. 308—309; შდრ. ბარონი ტოტი „მემუარები", მე-4 ტომი (ფრანგულ ენაზე), გვ. 103—106; შდრ. სავარი, წერილები ეგვიპტეზე, ფრანგულ ენაზე, ტ. II, გვ. 262—263.

[2] აბდ. ჯაბარტი, დასახ. წიგნი, გვ. 188—190.

## თავი მესამე

# ასიუტის ომი (მომზადება, მსვლელობა, შედეგები)

### 1 ომისწინა ვითარება სტამბოლში

ეგვიპტის მამლუქთა მეორე დიდი აჯახყება საისტორიო ლიტერატურაში დაწვრილებით არ არის აღწერილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ალ ჯაბარტისთან წარმოდგენილ ფრაგმენტებს. ევროპული პუბლიკაციები ამ აჯანყების შესახებ კანტიკუნტ და ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს შეიცავს (მაგ., 1789—1790 წლებში ფრანგულ ენაზე გამოცემული „ისტორიული და საეპიზოდო წერილები...“). ჯაბარტის წიგნის ქართული თარგმანი არ მოგვეპოვება, იგივე ითქმის ევროპულ მონოგრაფიებზე (ფრანსუა რუს, პინოს, მასონის, ლამარტინის, ლავალეს, ჟონქიერის, მურაჯა დოსონის, ალფრედ ვუდის, პუჟულატის, გრეიუს, ოტეტეას, მარსანისა და სხვათა შრომები). აღნიშნულმა გარემოებამ გვიკარნახა, რომ მეტნაკლები სისრულით წარმოგვედგინა მამლუქთა მეორე აჯანყების ამსახველი საარქივო მასალები.

მამლუქთა მეორე აჯანყების პირველი ნიშნები 1782 წელს (შესაძლოა, უფრო ადრეც) გამოვლინდა. სტამბოლის რუსული დიპლომატიური მისიის ჟურნალში ამ თარიღით შემდეგი ცნობაა დაცული: „მამლუქმა ბელადებმა ხელი მიჰყვეს ალექსანდრიაზე შეწერილი გადასახადის მითვისებას. ეს ქალაქი იძულებული გამხდარა ბელადთა უპირველესის — იბრაჰიმ-ბეისათვის (მარტყოფელი იბრაჰიმ შინჯიკაშვილი — დ. ჯ.) 32 ათასი რეალი გადაეხადა. იბრაჰიმ-ბეიმ და მურად-ბეიმ (მამლუქი თბილისიდან. — დ. ჯ.) ხვანთქრის ფაშის ძალაუფლება არარაობად აქციეს. მექას შერიფიც მორჩილებიდან გამოსულა“[1].

ყირიმის „დამოუკიდებლობაზე“ ე. წ. სტახიევის კონვენციის გაფორმების

[1] Присоединение Крыма к России. Рескрипты, Письма, Реляции и Донесения. Собраны и изданы под ред. Н. Дубровина, т. IV, стр. 866—869.

(1779 წ. 10 აპრილი) შემდეგ სტამბოლში ხმები გავრცელდა, რომ ეგვიპტეში გასაგზავნად მზად იყო დიდი სადამსჯელო ექსპედიცია, რომელსაც მთავარი ამირბარი გაუძღვებოდა. მაგრამ ჯერჯერობით ხმაური ხმაურად რჩებოდა და ექსპედიცია იგვიანებდა. ამ დაგვიანების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ მდგომარეობის გართულება ლაზეთში, რომლის გამგებელი ჯანიკლი ალი-ფაშა ხვანთქარს აუმხედრდა და ყირიმში გაიპარა რუსეთის მფარველობაში მყოფ შაგინ-გირეისთან. მალე ეს ფაშა სამშობლოში დაბრუნდა და განაგრძობდა ხვანთქრის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ საბოტაჟის პოლიტიკას. 1781—1782 წლებში მან რუსეთის მარიონეტ შაგინ-გირეის მატერიალური და მორალური დახმარება გაუწია, რითაც მძიმე მდგომარეობა შეუმსუბუქა. 1779—1783 წლებში არზრუმ-ტრაპიზონისა და ჯანიკის რაიონებში მწვავე საკართაშორისო წინააღმდეგობის კვანძი შეიკრა. ჩვენი აზრით, მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ჯანიკელი ლაზი ფაშას ჰაჯი ალიბეის ყირიმში გაქცევა 1778 წელს და რუსეთის სარდლობის საიდუმლო მოლაპარაკება ამავე ფაშასთან 1783 წელს — კავკასიის ხაზის ჯარების მხარეზე მისი გადასვლისა და მცირე აზიის პუნქტებიდან სტამბოლზე ერთობლივი იერიშის მიტანის შესახებ. 1783 წ. აგვისტოში არზრუმსა და ტრაპიზონში ჩასულ რუს „კონფიდენტებს", რომლებიც ხსენებული საიდუმლო მოლაპარაკების მწარმოებელნი იყვნენ, ნიადაგი ანატოლიაში კარგა ხნის მომზადებული დახვდათ ჯანიკელი ლაზი ფაშისა დ მხედართმთავრის ჰაჯი ალი-ბეის რუსული ორიენტაცია დადგენილ ფაქტს წარმოადგენდა, მისი მეგობრული ურთიერთობა რუსეთის მარიონეტ შაგინ-გირეისთან ამაზე ლაპარაკობდა. შესაძლოა, ყირიმში ჰაჯი ალიბეის გაქცევა რუსეთის აგენტურის მიერ ორგანიზებულ აქციად მივიჩნიოთ.

ბოლოსდაბოლოს, 1786 წელს, კაპუდან-ფაშა ღაზი ჰასანის მეთაურობით ეგვიპტეში გაიგზავნა სადამსჯელო ექსპედიცია. მას უნდა ჩაექრო მამლუქი ბელადების ახალი აჯანყება და ძირფესვიანად შეეცვალა ეგვიპტეში არსებული ვითარება.

აჯანყება სარგებლობდა ხალხის მხარდაჭერით, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მამლუქი ბელადების ხელახალი შეიარაღებული გამოსვლა ემსახურებოდა პროგრესის საქმეს ეგვიპტელი ხალხის ისტორიაში. ცნობილია, რომ ოსმალებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს არაბულ ენას და ლიტერატურას, შეაფერხეს ეგვიპტის ეკონომიური განვითარება, ლახვარი ჩასცეს არაბეთის მეცნიერებას და ეგვიპტეში დანერგეს მექრთამეობა და კორუპცია[1]. აი, არაბთა

[1] А м и н  С а и д. Восстания арабов в XX веке (пер. с араб.), 1964, გვ. 15—18

ასეთი მტრის —ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ მიმართულ მამლუქთა ხელახალ აჯანყებას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია სახალხო თანაგრძნობა.

მოაწყვეს რა გრანდიოზული ანტიოსმალური აჯანყება და დაეუფლნენ რა ეგვიპტეს, მამლუქთა ბელადებმა დიდმნიშვნელოვანი სამხედრო რეფორმა გაატარეს. როგორც ნათქვამია ბულგაკოვის 1786 წ. (5) 26 აგვისტოს მოხსენებაში, მათ თითქმის სულ მოსპეს იანიჩართა, ჯებეჯიების, თოფჩიებისა და სხვა კორპუსები, ვინაიდან ისინი ძირითადად მუდამ ოსმალეთის ფაშას მხარეზე იყვნენ და მამლუქთა ბელადების ოპოზიციის გასატეხად მის დასაყრდენს წარმოადგენდნენ[1].

აჯანყებულმა ბეგებმა 1786 წლის პირველ თვეებში განამტკიცეს თავიანთი დამოუკიდებელი ძალაუფლება. მათი წარმომადგენლები ალექსანდრიაშიც გამოჩნდნენ და იქ კანონ-სამართლის გაჩენა იწყეს. წყაროები აჯანყებულ ბეგებს შორის ერთ-ერთ მთავარ მოღვაწედ მურად-ბეის ასახელებენ. ტონუსის 1786 წლის 10 თებერვლის მოხსენებაში მის შესახებ ნათქვამია: მურად-ბეის ქაშიფმა წინადადება მომცა გავემგზავრო კაიროს ბეგებთან. რადგანაც, სულ-ერთია, ისინი მაინც გამომიგზავნიან საგანგებო წარმომადგენელს და სატახტო ქალაქში ძალით წამიყვანენო[2]. ცოტა უფრო გვიან, 1786 წლის (1) 12 მარტს რუსეთის ელჩი იწერებოდა: „მიღებულია ცნობა, რომ ალექსანდრიაში ჩამოახრჩვეს საფრანგეთისა და ვენეციის ელჩები, რაც მე არ მჯერა. ამ ფაქტის მიზეზად ხვანთჭრის კარი იმას თვლის, რომ მურად-ბეიმ რომელიღაც ფრანგ სოვდაგარს დიდძალი თანხა მისცა საფრანგეთიდან საქონლის გამოსაწერად, მაგრამ ეს სოვდაგარი მოკვდა და ფულს არავინ იხდის, რის გამოც მურად-ბეიმ გადაწყვიტა თვითონ გაიჩინოს სამართალი ალექსანდრიაშიო"[3].

ამგვარად, აჯანყებული ბეგები მურად-ბეის მეთაურობით 1785—1786 წლების მიჯნაზე ეგვიპტის შეუზღუდველ ბატონ-პატრონებად გრძნობდნენ თავს; ხვანთჭრის მოხელე იეენ-მეჰმედ-ფაშას კარიერაც მალე უნდა დასრულებულიყო, თუმცა ამას უმტკივნეულოდ არ შეიძლებოდა ჩაევლო.

სტამბოლის რუსეთის საელჩოს 1786 წლის 25 მარტის ჩანაწერში ნათქვამია: „კაიროს იეენ-მეჰმედ-ფაშა მექადან მლოცველებისა და ემირ-ჰაჯი მუსტაფა-ბეგის დაბრუნების შემდეგ სტამბოლიდან მიღებული ხატი-შერიფის თანახმად, ახდევინებს აღნიშნულ ბეგს 103 ათას ტალერს ფულად და 114 ათას არდეპ ხორბლეულს, რაც ერთად აღებული, შეადგენს ერთ მილიონ ტალერს ანუ 2.500.000 პიასტრს, რომელიც მექასა და მედინას შერიფს ეკუთვნის. ეს ხდება იმ მიზეზით, რომ დასახელებული ბეგი როგორც წელს, ისე შარშან, მედინაში მლოცველების შესვლას აფერხებდა და იქ ყურბან-ბაირამს მსხვერპლის შეწირვით პირდაპირ მექადან გზავნიდა. ამბობენ, რომ, ვინაიდან ეს გადასახადი

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 674, ფურც. 31—33.

[2] იქვე, № 669, ფურც. 52.

[3] იქვე, საქმე № 682, ფურც. 24.

და საქმე ეხება რჯულს, კაიროს შეიხებმა ფაშის მხარე დაიკავეს, ამით ბეგებს ერთგვარი შიში აგემეს და ისინიც ახლა ვერ ბედავენ იეენ-ფაშას იანიჩართა კორპუსის ჩაუში მიუგზავნონ მას სამსჯავროს ოთახში ნოხის პირის გადასაბრუნებლად, რითაც, წესის თანახმად, იეენ-ფაშას პოსტიდან გადაყენება უნდა ეუწყოს. ამასობაში მუსტაფა-ბეი იბრაჰიმ-ბეის ბინაში ტუსაღად იმყოფება, ვითარცა იქაური პირველი უფროსი და არავინ უწყის ყოველივე ეს რით გათავდება[1].

როგორც ვხედავთ, კაიროს ფაშის, იეენის, გადაყენება მარტივი საქმე არ აღმოჩნდა. აჯანყებულმა ბეგებმა ერთი ხელის დაკვრით ეს ვერ შეძლეს და, როგორც ჭეშმოთ დავინახავთ, ამ ფაშის მოთმენა ამჯობინეს, მით უმეტეს, რომ ეს კაცი მათი სურვილების დამყოლი და საკმაოდ მოქნილი პოლიტიკოსიც აღმოჩნდა, სტამბოლში კი, აჯანყების პირველი თვეების მანძილზე, არავის სჯეროდა იეენ-მეჰმედ-ფაშას პოზიციის სიმტკიცე. ამას მოწმობს, მაგალითად, რუსეთის საელჩოს 1786 წლის 13 აპრილის დღიური, სადაც ნათქვამია: „ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ საიდას გუბერნატორისაგან ცნობა მოვიდა—ეგვიპტის ბეგებმა ბოლოს და ბოლოს გადააყენეს კაიროს ფაშა იეენ-მეჰმედი და ხელთ იგდეს აქლემები, რომლებითაც მექას ყურანი მიჰქონდათო“[2].

აჯანყებულ მამლუქ ბელადთა შორის ჩვენ ვხედავთ სოლეიმან-ბეის, რომელსაც რუსული წყაროები ხან „ტარბაისიძეს“ ეძახის, ხან კი—„ტარბაიძეს“. რუსეთის ეგვიპტელი კონსული ბარონი ტონუსი ბულგაკოვს 1785 წ. 22 დეკემბერს სწერდა: „ამ წერილის მომტანია ქართველი თავადი გაბრიელ ტარბაიძე—ღვიძლი ძმა ბეი სოლეიმანისა, ჩამოსული ჩემთან კაიროდან თავისი ძმის წერილითურთ, რომლითაც სოლეიმანი მთხოვს, რომ ჩემი პასპორტით საქართველოში გავგზავნო და თან მცველი გავაყოლო; ეს მცველი მე პასუხსაც ჩამომიტანს სოლეიმანისათვის გასაგზავნად — საქართველოში გაბრიელ ტარბაიძის მშვიდობიანი ჩასვლის შესახებ“[3]. ტონუსი დაჟინებით სთხოვდა ბულგაკოვს — გაბრიელ ტარბაიძისათვის შესაძლო დახმარება აღმოეჩინა, რათა ამით ეგვიპტის მამლუქი ბელადებისათვის მეგობრობა დაემტკიცებინა.

---

[1] რუს. საგ. პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, ს. № 678, ფურც. 43—44. ნოხის გადაკეცვის წესის შესახებ იხ. ლუიზინიანი, დასახ. წიგნი, გვ. 32, „როცა ხვანთქრის ფაშა არ მოეწონება, კაიროს დივანი უგზავნის ფაშას თეთრად გამოწყობილ ელჩს, რომელსაც თავზედაც თეთრი ქუდი ხურავს და მკერდზე აფარებული აქვს დივანის სათანადო ბრძანება, ამ ბრძანების დანახვა შორიდან შეიძლება. ეს ელჩი უბოდიშოდ და შეუფერხებლად შედის დარბაზში, სადაც ხვანთქრის ფაშა ზის, ყურადღებას არ აქცევს ფაშას რეაგირებას, სამ ნაბიჯზე უახლოვდება მას, გადასაკეცად ხელს ჰკიდებს ნოხის ერთ კიდეს და უსიტყვოდ შორდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ფაშას საქმე ცუდად არის, მან უნდა დატოვოს ციტადელი და ბულაკში (კაიროს გარეუბანი) წავიდეს. იქ მანამ დაიცდის, სანამ ხვანთქრისაგან ახალი ბრძანება ჩაუვიდოდეს. მაშლუქთა დივანი მისი გადაყენების შესახებ წერილით აცნობებს სტამბოლს“.

[2] რუსეთის საგ. პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, ს. № 678, ფურც. 43—44, 80.

[3] იქვე, საქმე № 668, ფურც. 30—32.

სტამბოლის რუსული საელჩოს ერთ-ერთ დღიურში ნათქვამია: „1750 წელს 9 იანვარს ალექსანდრიიდან ჩამოვიდა ქართველი თავადი გაბრიელი — ეგვიპტელი სოლეიმან-ბეის ძმა და იბრაჰიმ-ბეის დისშვილი. ეს გაბრიელი ამასწინათ მათ მოსანახულებლად ხმელეთის გზით წავიდა. იგი ახლა პირველი ხომალდით (ყირიმში) გაეშურება, იქიდან კი ეწვევა თავის მეფეს ერეკლეს, რომელთანაც მდივნად მუშაობს“[1]. 1786 წლის რვა თებერვალს ბულგაკოვი ტონუსს სწერდა: „ქართველი თავადი გაბრიელ ტარბაიძე — კაიროს ბეის სოლეიმანის ძმა და იბრაჰიმ-ბეის დისშვილი, სტამბოლს მშვიდობით ჩამოვიდა. ის საქართველოში გასამგზავრებლად გამოზაფხულებას უცდის. წასვლას ყირიმის გზით აპირებს. საჭიროდ ჩავთვალე თავად ტარბაიძისგან გამომერთმია სოლეიმან-ბეისათვის გამიზნული პაკეტი, რომელსაც აქვე ვურთავ. პაკეტში არის წერილები სხვა ბეგების სახელზედაც, თქვენ გაბრიელი გაქებთ და ამის შესახებ წერს ბეგებს — თავის ნათესავებს, შეიძლება, ამ წერილებმა სარგებლობა მოგიტანოთ“[2].

როგორც ბულგაკოვის მოხსენებიდან ირკვევა, არა მარტო სოლეიმან-ბეი, რომელიც ჩვენს ხელთ არსებული რუსული და ფრანგული წყაროების მიხედვით, აჯანყების მეორეხარისხოვან გმირად გამოიყურება, არამედ მურად-ბეის უპირველესი თანამოსანგრე იბრაჰიმიც ქართველია და ამით, ჩვენი აზრით, დასტურდება იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ის ადგილი, სადაც ეგვიპტეში XVIII ს.-ის უკანასკნელი მეოთხედის მთავარ პოლიტიკურ მოღვაწედ მარტყოფელი კახელი შინჯიკაშვილი აბრამა მოიხსენიება. აი, „კალმასობის“ ეს ადგილიც: „სულთან სელიმმა შემოიყუანნა თვისსა მონებასა შინა ეგვიპტელნი და დაიპყრა ძლევა რაოდენჯერმე მამელიყთა მხედრობათა ზედა და მოწსყვიდ[ა] მრავალნი და მუნიდგან განყვეს ეგვიპტე სხვადასხვა საბეგებოდ და დასდვეს ხარჯი ვითარცა ზემორე მოგითხარ და სხვებს ხმარობდნენ და იმსახურებდნენ ბეგები, რომელთა შორის უპირველესი ბეგი იყო უკანასკნელთა დროებათა შინა მარტყოფელი კახელი შინჯიკაშვილი აბრამა, იბრეიმ-ბეგად წოდებული და ერჩდნენ მისრელნი და სხვანი ადგილნი. და აგრეთვე ისხდნენ კუალად კახეთიდამ და იმერეთიდგან დაკარგულნი ტყვეები ბეგებად და ქეშიბებად, რომელსა შინა განწესდა ჰსჯულად, თუ არა ტყვე ქართველთაგანი სხვა ვერღა მიიღებდა ბეგობას“[3].

„კალმასობის“ ამ ადგილთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთი დებულება ფრანგი ისტორიკოსების ლეონიდე პინოს და პაულ მასონის შრომებიდან. ისინი წერენ, რომ „იბრაჰიმ-ბეიმ, რომელიც ქართველი მღვდლის შვილია და კარგადაც ახსოვს, თუ მამასთან ერთად როგორ მონაწილეობდა სიონის ტაძარში შესრულებულ ქრისტიანულ წირვა-ლოცვაში, ბარონ ტონუსს

[1] რუსეთის საგ. პოლიტ. არქ., დასახ. ფონდი, საქმე № 667, ფურც. 44.

[2] იქვე, ფურც. 34.

[3] იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი. 2170, გვ. 65.

(რუსეთის კონსული—დ. ჯ.) მისწერა წერილი და სთხოვა რუსეთიდან ეგვიპტეში ხუთასი ბიჭის გაგზავნა მამლუქთა ჯარის შესავსებად"[1]. რომ 1) ტონუსისა და ბულგაკოვის მიმოწერაში მოხსენებული იბრეიმ-ბეი, 2) პინოსა და მასონის მონოგრაფიებში დასახელებული ქართველი მღვდლის, სიონის ტაძრის მსახურის შვილი იბრეიმი და 3) ი. ბატონიშვილის „კალმასობაში" მითითებული მარტყოფელი კახელი შინჯიკაშვილი აბრამა ერთი და იგივე პიროვნება არის, ამას მოწმობს შემდეგი: ზემოხსენებული ფრანგი ისტორიკოსები სიონის ტაძრის მღვდლის შვილს იბრეიმ-ბეის მიუთითებენ ფრიად საპასუხისმგებლო საკითხთან დაკავშირებით—საქმე შეეხებოდა მამლუქთა ჯარის შესავსებად რუსეთიდან ეგვიპტეში ხუთასი ბიჭის გაგზავნას: ასეთ საკითხს ვერ აღძრავდა უბრალო მამლუქი, ეს იყო კომპეტენცია შეიხ ელ-ბალადისა, ასეთი კი იმ დროს იყო, როგორც იოანე ბატონიშვილთანაც ვპოულობთ საამისო მინიშნებას, „მარტყოფელი კახელი შინჯიკაშვილი აბრამა". იგივე „შინჯიკაშვილი აბრამა" იგულისხმება იმ იბრეიმში, რომელიც ტონუსისა და ბულგაკოვის მიწერ-მოწერაში გაბრიელ და სოლეიმან ტარბაიძეების (ტარბაისიძეები) ბიძად მოიხსენიება. მართალია, XVIII ს.-ის 70—90-იან წლებში ეგვიპტის მამლუქთა ოლიგარქიაში რამდენიმე იბრეიმია. ერთი მათგანი — იბრეიმ ელ-ჩერქეზი (რომელსაც ზოგი წყარო ჩერქეზად თვლის, ზოგი კი ქართველად), 1772 წელს დაიღუპა, მეორე იბრეიმი იყო ე. წ. იბრაჰიმ უმცროსი (ჯაბარტის ტერმინოლოგიით), რომელიც ამავე ისტორიკოსის სიტყვით, იბრაჰიმ უფროსის (ჯაბარტის ტერმინოლოგია) ანუ მარტყოფელი შინჯიკაშვილის სიძე (ქალიშვილის ქმარი) გახდა. სხვა იბრეიმს ანუ იბრაჰიმს, როგორც ბეგს, მამლუქთა ზედაფენაში ჩვენ ვერ ვხვდებით XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის მონაკვეთზე. როცა ევროპულ ისტორიოგრაფიაში და მოგზაურ სწავლულთა შრომებში აქა-იქ თავს იჩენდა მამლუქთა დინასტიის ჩერქეზულად მონათვლის ტრადიცია, ხოლო, მეორე მხრივ, არაბი ავტორებიც დიდი ხალისით არ ლაპარაკობდნენ მამლუქი თავკაცების ქართული ჩამომავლობის შესახებ (თუმცა იმას კი აღიარებდნენ, რომ მამლუქთა ბელადებმა ცუდად იცოდნენ არაბული),—თუ ამ ორ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ ჩვენთვის ცხადი გახდება დიდი მნიშვნელობა რუსული პირველი წყაროებისა, რომლებიც საგანს თავის სახელს უწოდებენ და მამლუქი ბელადების არა მარტო ქართველობას, არამედ ქართულ გვარებსაც კი ასახელებენ, რომ ტარბაისიძეების ბიძა იბრეიმ-ბეიში და მასონისა და ფრანსუა რუს, სიონის ტაძრის მღვდლის შვილში იგულისხმება მარტყოფელი კახელი შინჯიკაშვილი აბრამა და არა რომელიმე სხვა იბრაჰიმ-ბეი, ამაში გვარწმუნებს აბდარახმან ჯაბარტისთან არსებული რეესტრი მაშინდელი იმ ეგვიპტელი თავკაცებისა, რომელთაც იბრაჰიმი ერქვათ. ქრონიკის არაბი ავტორი ასახელებს სულ ცხრა იბრაჰიმს. აი, ისინიც:

---

[1] Masson P., დასახ. ნაშრ., გვ. 479; —Chaisiolj ·Ł pneBuiJGouffier, Paris., 1887, გვ. 112, 122.

1. იბრაჰიმ აღა — არქიტექტორი.
2. იბრაჰიმ აღ-დასუკი — XIII ს-ის ერთ-ერთი წმინდანი.
3. იბრაჰიმ კათხოდა ალ-კაზდოღლუ — დიდი ალი-ბეის ბატონი.
4. იბრაჰიმ კათხოდა ას სანაარი—წარმოშობით ნუბიელი, მურად-ბეის კათხოდა და მამლუქი სარდალი.
5. იბრაჰიმ ფაშა — ჰალების მმართველი.
6. იბრაჰიმ-ეფენდი რუზნამჯი (გადასახადების ამკრეფი და აღმრიცხველი მოხელე).
7. იბრაჰიმ-ეფენდი—შინაგანი საბაჟოს მოხელე.
8. იბრაჰიმ-ბეი უმცროსი ალ-ვალი.
9. იბრაჰიმ-ბეი უფროსი.

ძნელი არ არის დავრწმუნდეთ იმაში, რომ ამ ცხრა იბრაჰიმიდან მხოლოდ ორი შეგვრჩა ხელთ, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ ჩვენს წყაროებთან. იბრაჰიმ ალ-ვალი არის კაიროს ყოფილი ქალაქის თავი. იბრაჰიმ-ბეი უფროსი კი—მარტყოფელი კახელი იბრეიმ შინჯიკაშვილი.

ლეონიდე პინოსა და პაულ მასონის ვერსიამ იოანე ბატონიშვილის დებულება დაადასტურა დაახლოებით 70—90 წლის შემდეგ („კალმასობა" დაიწერა XIX ს-ის დასაწყისში, პინოს შრომა გამოიცა 1887 წელს, ხოლო პ. მასონისა 1911). ხსენებული ფრანგ ისტორიკოსებს არაფერი შეიძლებოდა სცოდნოდათ იოანე ბატონიშვილის ამ შრომის შესახებ. სავარაუდოა, რომ ფრანგი ისტორიკოსები და ი. ბატონიშვილი ერთი საერთო აღმოსავლური წყაროთი, ანდა წყაროთა ჯგუფით სარგებლობენ.

იბრაჰიმ შინჯიკაშვილი რომ ეგვიპტის უზენაესი მოხელე იყო XVIII საუკუნის ბოლოს, ამაზე არაპირდაპირ მიუთითებს ოსმალეთში „მარტყოფელი გელია შინჯიკაშვილის" მიერ ნებართვა. მოსკოვის ერთ არქივში ჩვენ წავაწყდით გელიას მოხსენების რუსულ თარგმანს, რომელსაც ეწოდება „სტამბოლიდან დაბრუნებული მარტყოფელის გელია სინჯიკოვის განცხადების თარგმანი"[1]. გელია სინჯიკოვი ოსმალეთში ერეკლე მეორის გაგზავნილი ჩანს:[2] „ყარსის ფაშამ მიბრძანა მეფისათვის მომეხსენებინა, რომ იგი ყოველთვის მისი ერთგული იყო და ახლაც ამ ერთგულებას ღვთისა და რჯულის სახელით ეფიცებაო", — განაცხადა საქართველოში დაბრუნებულმა გელია სინჯიკოვმა (იგივე შინჯიკაშვილი). ჩვენი აზრით, ერეკლეს ოსმალეთის იმპერიაში გასაგზავნ მზვერავად

---

[1] მოსკოვის ცენტრალური სამხედრო-ისტორიული არქივი, ფონდი № 52, (პოტიომკინის), ანაწერი 1/94, საქმე № 416, ნაწ. 1, ფურც. 362.

[2] XVIII ს. 80-იანი წლების რუსულ წყაროებში ბლომად გვხვდება მითითება „მისრში" (ეგვიპტე) ქართლ-კახეთის სამეფოდან „კონფიდენტების" (საიდუმლო მზვერავები) და ელჩების მიელინებათა შესახებ. საქართველოს ფართო საერთაშორისო კონტაქტები ასახულია კინეის, მორიეს, გამბას, ოლივიეს, დიუპრეს, პეისონელის, კლაპროტის და სხვა ევროპელ ავტორთა შრომებში.

შემთხვევით არ უნდა შეერჩია შინჯიკაშვილი და ისიც მარტყოფელი კაცი. გელიას ძარტყოფელობა გვაიძულებს კითხვა დავსვათ —ხომ არ იყო ეს გელია ეგვიპტის შეიხ ელ-ბალად იბრაჰიმ შინჯიკაშვილის ნათესავი? მართალია, გელია შინჯიკაშვილის ზემოთ მითითებულ განცხადებაში დასახელებული არ არის არც ეგვიპტე და არც იბრაჰიმ შინჯიკაშვილი, მაგრამ არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ოსმალეთში გასაგზავნად ერეკლე მეორე საგანგებოდ არჩევდა ისეთ პირებს, რომელთაც ნათესავები, ანდა ახლო მეზობლები მოეპოვებოდათ ხვანთქრის იმპერიაში (და, თავისთავად ცხადია, იმ იმპერიის ურჩ პროვინციაში, ეგვიპტეში). შესაძლოა, მომავალმა კვლევა-ძიებამ საფუძვლით ახადოს ფარდა მარტყოფელი გელია სინჯიკოვის აღმოსავლურ მისიას, ამ მისიის ტერიტორიულ ფარგლებსა და დანიშნულებას.

ზემოთქმულთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს პაულ მასონის შემდეგი ცნობა: „მამლუქთა ახალი კომლების დაახლოებით ერთი მეოთხედი —ეს იყო წმინდა რუსები. ისინი თავიანთ ნათესავებს, რომელთა მიკვლევაც კი შეძლეს, რუსეთის კონსულის დახმარებით უკავშირდებოდნენ და საკმაოდ დიდძალ ფულს უგზავნიდნენ“[1].

მასონის ამ ცნობას თავისებურად ეხმაურება იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ის ადგილი, სადაც ლაპარაკია იბრაჰიმ-ბეის (უფროსი) ურთიერთობაზე ქართლ-კახეთის მეფე გიორგი მეთორმეტესთან: „იბრეიმ-ბეგ დიდი ერთგული და მოსყყვარულე იყო თვით საქართველოს მეფეთა ირაკლისა და გიორგისა, რომელიცა ძღვნიდა მუნებურთა არმაღანთა და ეგრეთვე ამდიდრებდა მუნ მიმსვლელთა ქართველთა, ეგრეთვე სხეებმა ბეგებნი ეწეოდნენ ყოველთა მუნ მისრულთა ქართველთა“[2].

პაულ მასონის, ლეონიდ პინოსა და ფრანსუა შარლე რუს ცნობებს შესანიშნავად ეხმაურება საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული იბრაჰიმ შინჯიკაშვილის წერილები მარტყოფელთათვის დიდძალი ფულის გამოგზავნის შესახებ, რომელიც ეკლესიის აგებას უნდა მოხმარებოდა[3].

სწორედ ერეკლესთან და გიორგისთან იბრაჰიმ-ბეის ურთიერთობისა და მეორეს მხრივ—მარტყოფელებთან იმავე იბრაჰიმ-ბეის მიმოწერის ეს ფაქტები გვაქვს მხედველობაში, როცა ვამტკიცებთ, რომ ერეკლე მეორე ოსმალეთის იმპერიაში პოლიტიკური დაზვერვის მოსახდენად და სხვა მიზნებით, შემთხვევით არ ამოირჩევდა მარტყოფელ შინჯიკაშვილებს.

პაულ მასონის, ლეონიდე პინოს და ფრანსუა შარლე რუს თხზულებებიდან ზემოთ მოყვანილი ადგილების ფონზე ძალზე საინტერესოდ გაისმის რუსეთის

---

[1] P. Masson. დასახ. მონოგრაფია, გვ. 579. Fr. Ch. Roux. Autour d'une route. Paris. 1922, გვ. 251—267.

[2] ი. ბატონიშვილი, „კალმასობა“ საქართვ. მუზ. ხელნაწერი, № 2170, გვ. 65.

[3] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 1449, საბ. № 2890, 2889, 3788. მიგვითითა ბენიამინ სილაგაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ელჩის იაკობ ბულგაკოვის სიტყვები, რომ კაიროს მამლუქი ბელადები გაბრიელ ტარბაიძის ნათესავებია[1]. დასანანებელი მხოლოდ ის არის, რომ ვერც ბარონ ტონუსისა და ვერც იაკობ ბულგაკოვის მოხსენებებში ჩვენ ვერ ვიპოვეთ უფრო ვრცელი და ამომწურავი პასუხი კითხვაზე—თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ეს ნათესაობა, თუმცა რაც ვნახეთ, ისიც ძალზე საყურადღებოა.

. აქვე უნდა ითქვას შემდეგი: უკეთებს რა ანალიზს ლუიზინიანის მოგონებათა წიგნში მოცემულ ცნობებს, საბჭოთა ისტორიოგრაფია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მამლუქების მმართველი ზედაფენა თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ქართული წარმოშობის მამლუქებით იყო დაკომპლექტებული[2].

დანამდვილებით არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ რომელი სოლეიმან-ბეი უნდა ვიგულისხმოთ გაბრიელ ტარბაიძის იმ ძმაში, რომელიც ეგვიპტეში ჰყავდა და უნდა ენახა. ეს ძნელი დასადგენია იმიტომ, რომ არაბი ისტორიკოსი ჯაბარტი ასახელებს იმდროინდელ ოცდაათამდე სოლეიმან-ბეის და სოლეიმან-აღას ერთად აღებულს, რუსული წყარო კი სიტყვაძუნწია.

ეგვიპტეში გაბრიელ ტარბაიძის ყოფნის თაობაზე შეიძლება წამოვაყენოთ ვრცალი ჰიპოთეზა: ყველაზე უფრო მისაღები, ჩვენი აზრით, არის შემდეგი: გაბრიელ ტარბაიძემ კაიროში მოინახულა ბიძამისი იბრაჰიმ შინჯიკაშვილი და ძმა სოლეიმან-ბეი — ერთ-ერთი იმ ემირთაგანი, რომელიც ჯაბარტისთან მხოლოდ და მხოლოდ ამ სახელით („სოლეიმან-ბეი") არის მოხსენებული.

რატომ უნდა მივანიჭოთ უპირატესობა ასეთ ჰიპოთეზას?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ჩავუკვირდეთ გაბრიელ ტარბაიძის მისიის ხასიათს და იმ ვითარებას, რომელიც მაშინ არსებობდა როგორც კავკასიაში, ასევე სტამბოლში.

გაბრიელ ტარბაიძე ეგვიპტეში თავისი კერძო ინიციატივით, ანდა მარტო ნათესავი ბეგების გამოძახების საფუძველზე წასული არ ჩანს. იგი ეგვიპტეში და ოსმალეთში გარკვეული დავალებით იყო ჩასული, ე. ი. მას აღმოსავლეთში ოფიციალური მისია ჰქონდა დაკისრებული. ამაზე პირდაპირ მიუთითა თვით ონ იმ საუბარში, რომელიც ოსმალეთის კაპუდან-ფაშა ღაზი ჰასანთან გაიმართა— „შენი სტუმართმოყვარეობით ვერ ვისარგებლებ, ახალციხის გზით საქართველოსაკენ ვერ გავბრუნდები, რადგანაც დავალებული მაქვს ყირიმის გზით დავბრუნდეო". ცხადია, რომ გაბრიელ ტარბაიძე აღმოსავლეთში სპეციალური დავალებით არის წასული. გამოცანად კი რჩება, თუ როგორ უნდა გაემხილა მას თავისი მისიის ოფიციალური დანიშნულება ოსმალეთის კაპუდან-ფაშა-ღაზი ჰასანისათვის, რომელიც გულღიად შეხვდა, მაგრამ მაინც ოსმალეთის მაღალი მოხელე იყო და ხვანთქრის სამეფოს ინტერესების წარმომადგენელი.

---

[1] რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 668, ფურც. 34.

[2] ბეი-მამიკონიანი, დასახელებული სტატია, გვ. 129—130.

უოველ შემთხვევაში ასეთი ვერსია არის გატარებული სტამბოლის რუსული საელჩოს იმ დღიურში, რომელიც ამ საინტერესო საუბარს შეეხება.

თუ ეს ვერსია სიმართლეს ასახავს, მაშინ საკითხავია—ვის უნდა გაეგზავნა გაბრიელი ოსმალეთსა და ეგვიპტეში და რატომ უნდა გაეგზავნა? მისი გაჰზავნი, ჩვენი აზრით, არის ერეკლე მეორე, რომლის კარზედაც იგი, რუსული წყაროების ვერსიით, მაშინ მდივანბეგად მუშაობდა. ერეკლე მეორეს იგი უნდა გაეგზავნა კავკასიის გამაგრებული ხაზის სარდლობასთან კონსულტაციითა და შეთანხმებით[1].

მაშინ, როგორც კავკასიაში, ისე სტამბოლის კარზე განსაკუთრებული დაძაბულობა იყო. ყირიმის რუსეთთან შეერთებამ და აღმოსავლეთ საქართველოს გადასვლამ რუსეთის მფარველობაში (გეორგიევსკის ტრაქტატი) გამოიწვია სტამბოლში რევანშისტული წრეების გააფთრება და საომარი ციებ-ცხელება. საფრანგეთის მთავრობა და დიპლომატია იბრძვიან იმისათვის, რომ მოაწყონ ევროპული კოალიციის შეკოწიწება რუსეთის წინააღმდეგ, ყირიმი ისევ დაუბრუნდეს ოსმალეთს და მოხდეს გეორგიევსკის ტრაქტატის ანულირებაც[2].

დიდი ვაზირი აბდულ ჰალილ-ფაშა და შეიხ ელ-ისლამი მოლა-ბეი ენერგიულ საომარ თადარიგს ახორციელებენ რუსეთის წინააღმდეგ. ჰაერში თოფის წამლის სუნი ტრიალებს — ახალი, დიდი აღმოსავლური ომის აჩრდილი ბორგავს კავკასიასა და შავი ზღვისპირეთში. უველაფერი ეს ხდება 1783 წლის მეორე ნახევარში. რუსეთის მთავრობა და პირველ რიგში გრიგოლ ალექსანდრეს ძე და პავლე სერგის ძე პოტიომკინების კამარილია საპასუხო საომარ და დიპლომატიურ სამზადისს ახორციელებენ. პოტიომკინებმა შეიმუშავეს კავკასიის მხრიდან ანატოლიაში შეიარაღებული შეჭრის საიდუმლო გეგმა, და ფარული კავშირი გააბეს ლაზისტანის ფაშებთან, რომლებიც მზადყოფნას აცხადებდნენ, რომ ომის შემთხვევაში მთელი თავიანთი ჯარებით რუსეთის შემტევი კორპუსების მხარეზე გადასულიყვნენ. ამ საიდუმლო რუსულ თადარიგზე მეტყველებს 1783 წლის აგვისტოთი დათარიღებული უაღრესად საყურადღებო საბუთი, რომელსაც ეწოდება „ტრაპიზონიდან დაბრუნებული კონფიდენტის ნაამბობი"[3].

ჩვენი აზრით, სწორედ ამ დაძაბულმა ვითარებამ გამოიწვია გაბრიელ ტარბაიძის აღმოსავლური მისია. რაკი ერეკლემ იცოდა ეგვიპტეში სახელმწიფო

---

[1] მამლუქებთან გაბრიელ ტარბაიძის ყოფნის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებს („ცისკარი", 1959 წ. № 6) გამოეხმაურა მკვლევარი ე. სიდამონიძე. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს გაბრიელი არის XVIII საუკუნის II ნახევრის ცნობილი თეატრალური მოღვაწე გაბრიელ მაიორი, რომელიც შემდეგ გმირთა სიკვდილით დაეცა კრწანისის ომში, როგორც არტილერისტი. „თბილისი", 1962 წ., 8. IV, ვინ იყო გაბრიელ მაიორი. ეს აზრი არასანდოდ მიიჩნია ასპირანტმა გ. ჯაფარიძემ იხ. „ახკომი", 1966, № 3, ისევ გ. მაიორის ვინაობის და მოღვაწეობის შესახებ.

[2] Flassan Histoire générale... de la diplomatie Fransaise, ტ. VII, გვ. 359—399.

[3] მოსკოვის ცენტრ. სახელმწ. სამხედრო ისტორიული არქივი, ფონდი № 52. (პოტიომკინის), დავთ. № 286, ნაწ. 1, ფურც. 241—243. შდრ. დავით ჯანელიძე—ოსმალეთის ლაზი სარდლები და სახელმწიფო მოღვაწეები (1783—1788 წწ.), „მნათობი", 1962 წ., № 3, გვ. 178—181.

საქესთან მარტყოფელი იბრაჰიმ შინჯიკაშვილის ყოფნა, რომელსაც მასთან მიმოწერაც ჰქონდა და რომლისგანაც საჩუქრებიც მოსდიოდა, ცხადია, საქართველოს ეს მეფე და რუსეთის კავკასიის ხაზის სარდლობა მოინდომებდნენ კონკრეტული სამხედრო თანამშრომლობის დამყარებას ეგვიპტესთან, მასთან საომარი ღონისძიებების კოორდინირებას, რათა ანატოლიაში რუსთა ჯარების შეჭრას დამთხვეოდა ეგვიპტის მამლუქი ემირების იერიშები ოსმალეთის წინააღმდეგ. ასეთ დიდმნიშვნელოვან საკითხზე რუსეთი და საქართველო, უწინარეს ყოვლისა, ვის უნდა მოლაპარაკებოდნენ, თუ არა ეგვიპტის პირველ ემირს. ასეთი ემირი კი (ჯაბარტის ცნობით) იყო იბრაჰიმ-ბეი უფროსი (ე. ი. მარტყოფელი შინჯიკაშვილი). მეორე მხრივ, მასთან ასეთი პასუხსაგები მოლაპარაკებისათვის ვინ უნდა გაეგზავნათ, თუ არა იმ იბრაჰიმის ახლობელი პირი (მისი დისშვილი გაბრიელ ტარბაიძე იქნებოდა ეს, თუ მეზობელი და რაღაც «ახლო ნათესავი მარტყოფელი გელია სინჯიკაშვილი — „სინდჟიკოვი“).

გარდა იბრაჰიმ-უფროსისა, რომელიც რუსული წყაროებით გაბრიელ ტარბაიძის ბიძა იყო, გაბრიელს უნახავს ძმა სოლეიმან-ბეი. ამ სოლეიმანში არ უნდა იგულისხმებოდეს მაინცდამაინც სოლეიმან აღა, კაიროს პოლიციის უფროსი თუ ჩაუშების კათხოდა, რადგანაც ასეთი თანამდებობის პირი ვერ იქნებოდა დიდად საიმედო რუსეთთან თანამშრომლობისათვის. გაბრიელის ძმა სოლეიმან-ბეიში უნდა იგულისხმებოდეს, უწინარეს ყოვლისა, რომელიმე მამლუქი ემირთაგანი, აჯანყების ლიდერების იბრაჰიმ-დიდისა და მურად-ბეის უახლოესი თანამებრძოლი, ერთ-ერთი ემირი სოლეიმან-ბეიების მრავალრიცხოვანი ჯაბარტისეული პლეადიდან.

საფუძველს მოკლებული არაა ფრანგი ავტორების მტკიცება, რომ რუსეთმა თავისი აგენტურით ხვანთქარს ეგვიპტეში ცეცხლი შეუკეთაო. მხოლოდ არ არის სწორი იმავე ავტორთა ის აზრი, რომ თითქოს ეგვიპტის აჯანყება თავიდან ბოლომდე ამ აგენტურის მოქმედებით უნდა აიხსნას.

ერთადერთი სერიოზული წინააღმდეგობა, რომელიც ამ ჩვენს, ასე ვთქვათ, მთავარ ჰიპოთეზას ეღობება, არის შემდეგი გარემოება: რუსულ წყაროში მითითებულია, რომ გაბრიელ ტარბაისიძემ (ტარბაიძე) კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანს კაიროდან სტამბოლში ჩამოუტანა სოლეიმან-ბეის წერილი. რა შინაარსის იყო ეს წერილი, ჩვენ არ ვიცით. ჩვენი რუსული წყარო არც იმას წერს პირდაპირ, ეს წერილი გაბრიელის ძმას სოლეიმან-ბეის ეკუთვნოდა, თუ რომელიმე სხვა სოლეიმან დიდკაცს. თუ ეს ეკუთვნოდა გაბრიელის ძმას—რიგით მამლუქ ემირს სოლეიმან-ბეის, მაშინ საკითხავია: შეეძლო რიგით ემირს ანუ ბეგს ოფიციალური წერილი მიეწერა ოსმალეთის კაპუდან-ფაშასათვის? ეს ხომ უფრო ჩაუშების კათხოდას უფლებამოსილება იქნებოდა. თუ ეს ჩაუშების კათხოდა სოლეიმან-ბეი აღა არ იყო გაბრიელის ძმა, მაშინ ამ გაბრიელს იგი როგორ ანდობდა, ანდა როგორ დაავალებდა კაპუდან-ფაშასათვის ოფიციალური წერილის გადაცემის საქმეს. ერთი სიტყვით, ბევრი რამ რჩება გასარკ-

ვეფი გაბრიელ ტარბაიძის (ტარბაისიძე) აღმოსავლური მისიის ისტორიიდან. ბევრი რამ რჩება აუხსნელი იმ ურთიერთობიდანაც, რომელიც XVIII ს-ის მე-იანი წლების შუა ხანებში საქართველოსთან ჰქონდათ დიდ იბრაჰიმს (შინჯი-კაშვილი) და საიდუმლოების ბურუსით მოცულ ქართველ ემირს სოლეიმან-ბეი ტარბაისიძეს (ტარბაიძე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსული საარქივო ცნობები სავსებით ადას-ტურებენ ქართული წარმოშობის მამლუქთა იმ წამყვან როლს, რომელზედაც მიუთითებდნენ ევროპელი ავტორები (მოგზაურები, სარდლები და ა. შ.) და-რომლის მიჩქმალვასაც ვერ ახერხებდნენ აღმოსავლეთელი მემატიანეები, ენ-ციკლოპედისტები და სახელმწიფო მოღვაწენი. ამ ევროპელ ავტორთაგან მხედ-ველობაში გვყავს კარსტენ ნიბური, ვოლნეი, აბატი ბინო, ფერიერ-სოებეფი, ნაპოლეონ ბონაპარტე, მარსელი, მასონი, პინო, ფრანსუა შარლე რუ, იოსებ ჰამერი. შემთხვევით არ თვლის ვოლნეი კოლხეთს იმ ძირითად რეზერვუარად, საიდანაც ხდებოდა მამლუქთა არმიის შევსება და უსაფუძვლოდ როდი მიუ-ჩინა მან „საპრიზო ადგილები" ქართული წარმოშობის მამლუქებს ამ მხედრო-ბის ოცდაერთსაფეხურიან ეთნო-გენეტიკურ კიბეზე. შემთხვევით არ იწყებს ნაპოლეონ ბონაპარტეს 1798 წლის ეგვიპტური მანიფესტი კაკასიიდან მოტა-ცებულ ქართველ მამლუქებზე თაედასხმით. არც ფერიერ-სოებეფი წერდა ყურმოკრულის საფუძველზე შემდეგს: „მამლუქები ესაა ის ტყვეები, რომლე-ბიც ოსმალებმა, თათრებმა და ლეკებმა საქართველოდან გაიტაცეს"[1]. ეს იყო უცილობელი ჭეშმარიტება, ამიტომაც ასე თამამად აღებეჭდა იგი თავის წიგნ-ში ფრანგმა მზვერავმა და მოგზაურმა. ფერიერ-სოებეფის ცნობას კარგად ეხმაურება აბატ ბინოს დებულება: „ბელადები ყველა ქრისტიანია წარმოშო-ბით: მათ სინორჩის ასაკში ყიდულობენ საქართველოსა, სომხეთსა და კოლხე-თის მიწა-წყალზე"[2].

ქართველ მამლუქთა წამყვან როლზე მიუთითებენ XV ს. არაბი ენციკლო-პედისტი ტაკი-ედინ აჰმედ მაკრიზი, XVIII ს-ის ისტორიკოსი აბდარახმან ალ-ჯაბარტი და ოსმალეთის ხვანთქარი სელიმ მესამე. დიდი სურვილი ჰქონდა მაკ-რიზის მამლუქ სულთნებზე დაწერილ ორტომიან შრომაში მიეჩქმალა მათი ქარ-თული წარმოშობა, მაგრამ თავისი ზოგადი კონცეპცია დაავიწყდა და მასალან-გასცა—გვერდი ვერ აუარა არსენიშვილების დასახელებას. არც ნაპოლეონ ბონაპარტეს მომსწრე ისტორიკოსი აბდარახმან ალ-ჯაბარტი ქადაგებს ქართველ მამლუქთა როლს ეგვიპტეში, მაგრამ უკრიტიკოდ და თანხმობის დუმილით კი ათავსებს თავისი ხუთტომეულის მესამე ტომში ნაპოლეონის მანიფესტის ტექსტს, რომელიც ქართველი მამლუქების დომინანტობაზე მითითებით იწყება. ფაქტებს ემყარებოდა ოსმალეთის ხვანთქარი სელიმ მესამეც, როცა 1801 წელს

[1] F. Sauvbeuf, Memoires... Paris, 1790, ტ. I, გვ. 272—273.

[2] l'Abbé de Binos, Voyage par l'italie, En Egypte, Au Mont liban... t. I Paris, 1767, გვ. 281.

ინგლისში გაგზავნილი პირადი წერილის ფურცლებზე ამტკიცებდა—ყველა მამლუქი ყოფილი ქართველი ტყვეაო.

გაბრიელ ტარბაიძე არ ყოფილა ერთადერთი ქართველი, რომელიც ნათესავებისა და ძმების მოსანახულებლად წავიდა ეგვიპტეში. ჩვენ მოგვეპოვება უამრავი ცნობა იმის შესახებ, თუ რა გაცხოველებული კავშირი არსებობდა ეგვიპტესა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. ამ ურთიერთობაში დიდ როლს ასრულებდა ახალციხე, ტრაპიზონი და არზრუმი. ამ ქალაქების გავლით საქართველოდან ეგვიპტისაკენ და პირუკუ, ყოველდღე მიმოდიოდნენ ვაჭართა ქარავნები და მზვერავები (ე. წ. „კონფიდენტები“, რომლებიც რუსეთისა და საქართველოს მეფეებს აწვდიდნენ საიდუმლო ინფორმაციას ოსმალეთის შესახებ[1].

ეგვიპტისა და საქართველოს ურთიერთობაზე საინტერესო საბუთს მიაკვლია ოთარ გიგინეიშვილმა. მკვლევარი წერს: „დოკუმენტი, რომელიც მე-18 ს. 80-იან წლებს ეკუთვნის, გვამცნობს, რომ საქართველოდან ვინმე სოლომონ აზნაუროვს მიუწერია წერილი კაიროში იბრაჰიმ-ბეისათვის — ქართველი მამლუქისათვის. წერილი უნდა ჩაეტანათ სტამბოლში ერთი ქართველი იანიჩარისათვის, რომელიც მას კაიროში გაგზავნიდა. სტამბოლში მცხოვრებ ქართველებს ეს წერილი გაუხსნიათ, წაუკითხავთ, ისევ დაულუქავთ და ისე გაუგზავნიათ კაიროში. ამრიგად წერილის შინაარსი ცნობილი გამხდარა. აზნაუროვი სწერდა იბრაჰიმ-ბეის, რომ მას გაეფრთხილებინა ისინი, ვინც ეგვიპტიდან საქართველოში დააპირებდა წამოსვლას, რომ მათ არამც და არამც არ ეცლოთ არზრუმით, ახალციხით, ყარსით და ბაიაზეთით, არამედ წამოსულიყვნენ ბაღდადით ან ყირიმით. ეს წერილი მიუთითებს, რომ არსებობდა კავშირი და მიმოსვლა ეგვიპტელ ქართველ მამლუქებსა და საქართველოს შორის ისევე, როგორც საქართველოსა და ქართველ იანიჩრებს შორის“[2].

გვაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ შეგნებულად და მეთოდურად უშლიდა ხელს ეგვიპტე-საქართველოს ურთიერთობას ოსმალეთის მთავრობა. ეგვიპტიდან საქართველოსაკენ გამომბრუნებულ ქართველებს სტამბოლში იჭერდნენ და სიკვდილით სჯიდნენ. ოცდაორი ყარსელი მოხელე ქართლ-კახეთის მეფეს—ერეკლე მეორეს, ნიშნის მოგებით სწერდა (1784 წლის ზაფხული):

---

[1] წინა საუკუნეებში ეგვიპტე-საქართველოს ურთიერთობის შესახებ იხილეთ შემდეგი ლიტერატურა: პალესტინის მართლმადიდებელი საზოგადოების მოხსენებები (რუსულ ენაზე), ტ. XIV, ნაწ. II, № 1, 1903 წ. გვ. 50—51, შარდენის მოგზაურობა (ფრანგულ ენაზე), ტ. I, პარიზი, 1810 წ. გვ. 322—324; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, 1948 წ. გვ. 154—158 და 191—192; ი. ცინცაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, 1965 წ. გვ. 11—15; ვ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959 წ., გვ. 6—12.

[2] ო. გიგინეიშვილი, საქართველოს საკითხი ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში მე-18 ს. უკანასკნელ მეოთხედში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 1959 ტ. 73, გვ. 229.

რუსეთთან კავშირმა გიყო ეს საშინელი საქმე, რომ შენს მიერ ეგვიპტეში ვაგზავნილი ქართველები დიდმა ვაზირმა შეიპყრო და სიკვდილით დასაჯაო[1].

ევროპულ წყაროებშიც მოიპოვება ანალოგიური მითითებანი. მაგალითად, ზემოხსენებული ფერიერ-სოვბეფი მოგვითხრობს ეგვიპტეში ნათესავი მამლუქი ბეგის მოსანახულებლად მიმავალი ქართველი დიდკაცის საიდუმლო გაქრობას ბაღდადში: „ერთი ქართველი თავადი ეგვიპტეში მიდიოდა, რათა ენახა თავისი ნათესავი, რომელსაც ბეგის თანამდებობამდე მიეღწია. ამ ქართველ თავადზე ეჭვი მიიტანეს — ეგვიპტეში მიდის აჯანყების მოსაწყობადო. ამ აჯანყებამ არც დაიგვიანა. ბაღდადის ფაშამ ეს კაცი ჯერ ძალიან კარგად მიიღო და იმ საბაბით, რომ მას იცავდა უდაბნოს არაბებისაგან, გააყოლა გუშაგთა რაზმი. გუშაგებმა იგი დამასკოში ჩაიყვანეს. დამასკოს ფაშამ, რომელიც ბაღდადის ფაშის ინსტრუქციებით მოქმედებდა, ის ქართველი თავადი ჯერ სატუსაღოში მოათავსა, შემდეგ კი მას ფარულად სიცოცხლე მოუსწრაფა“[2].

ეგვიპტიდან დაბრუნებული ზოგიერთი ქართველის ტრაგიკულ ბედში წილი ედოთ საქართველოდან ოსმალეთში გადახვეწილ თავადებსაც, რომლებიც ქართველი ერის ინტერესების ღალატისა და ტყვეებით ვაჭრობის გამო იდევნებოდნენ. ნაწილობრივ ამ უღირსი ქართველების წყალობით გახდა ძალიან ხიფათიანი ახალციხე-არზრუმის გზა ტყვეობას გამოქცეული და სამშობლოსაკენ მომავალი პატრიოტი ქართველებისათვის. ამ თემას შეეხება ორი საბუთი, რომელთაგან ერთი 1784 წლის მარტს ეკუთვნის, ხოლო მეორე—1785 წლის მიწურულს. პირველში წერია: „ხუთი წლის წინათ საქართველოდან სტამბოლში ჩამოვიდა ერთი უსინათლო მაწანწალა, რომელსაც ოსმალები ქიორ-ბეის ანუ ბრმა თავადს ეძახიან. იგი სოლომონ პირველის ნათესაობას იჩემებდა. ჩასვლისთანავე ხვანთქარმა ამ ლტოლვილ თავადს მცირე რამ ულუფა დაუწესა და მას შემდეგ ის კაცი სკუტარში გდია, შიმშილით კვდება და სამშობლოში დაბრუნების ეშინია, საფიქრებელია, რომ მან თავის ქვეყანაში რაღაც სისაძაგლე ჩაიდინა და იძულებული გახდა ოსმალეთში გადმოვარდნილიყო“[3].

მეორე საბუთში მოთხრობილი ამბავი აგრძელებს ვერსიას ზემოხსენებული ქიორის მუხანათობაზე: „ქართველ ქიორ-ბეისთან ერთად სამშობლოში წასვლა უნდოდა ძრ თბილისელ ქართველს, და ერთ სომეხს, რომლებიც ამას წინათ ეგვიპტიდან ჩამოვიდნენ. მაგრამ მათ ეს განზრახვა ჯერჯერობით სისრულეში არ მოუყვანიათ. მეგზურებმა იმ ქართველებს ურჩიეს—დაიცადეთ, რა გაჩქარებთ, ახალციხეში ფულები არ წაგართვან და მონებად არ დაგყიდონო. მაგ ქიორ-ბეის ნუ ენდობით, ასეთ ხელობას ნაჩვევია, თვალები მას სწორედ ტყვეებით ვაჭრობის გამო დაუვსო განსვენებულმა სოლომონ პირველმაო“[4].

---

[1] მოსკოვის ცენტრ. სამხ.-ისტ. არქივი, ფონდი № 52. საქმე № 331, ნაწ. VIII, ფურც. 59.

[2] F. Sauvebœuf. დასახ. თხზ., ტ. I, პარიზი, 1790, გვ. 61—62.

[3] რუსეთის საგ. პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე, № 638, ფურც. 5.

[4] იქვე, საქმე № 660, ფურც. 123.

ოსმალეთის იმპერიის მესვეურნი არც ნაპოლეონ ბონაპარტეს ემისრებს (აგენტებს) უშვებდნენ საქართველოსკენ. ამას მოწმობს 1799 წლის 15 აპრილის წერილი, რომელიც დავით ბატონიშვილმა გაუგზავნა პეტერბურგში მყოფ სომეხ არქიეპისკოპოსს: „საფრანგეთის გენერალმა ბონაპარტემ მამაჩემთან გამოგზავნა საგანგებო კაცი, მაგრამ იმან ჩვენამდე ვერ მოაღწია. ოსმალეთის სამფლობელოებზე რომ გადმოიარა და ახალციხეში ჩავიდა, იქაურმა ფაშამ, შეიტყო თუ არა მისი მოგზაურობის დანიშნულება, შეიპყრო იგი და ჩამოახრჩო. ხოლო ბონაპარტეს წერილები ცეცხლს შეართო“[1].

ქართველ თავადს გაბრიელ ტარბაისძეს (იგივე ტარბაიძე) ასეთ ვითარებაში მოუხდა აღმოსავლეთში მოგზაურობა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, კაიროდან გამობრუნებული ეს პიროვნება სტამბოლში ოფიციალურმა ხელისუფლებამ დიდის პატივით მიიღო და დანარჩენი ქართველების საბედისწერო ხვედრი მას არ გაუზიარებია. ამ გამონაკლისის მიზეზი ალბათ ის უნდა ყოფილიყო, რომ გაბრიელ ტარბაიძე ერეკლე მეორის ოფიციალური წარმომადგენლის სახით მოგზაურობდა. ჩვენ არ გაგვაჩნია საიმისო საბუთები, რომ ეს პირდაპირ ვამტკიცოთ და ახლა ჰიპოთეზის წამოყენებას უნდა დავჯერდეთ.

შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენ ცნობებს ქართველი მამლუქების შესახებ წავაწყდით რუსეთის დიპლომატთა მიმოწერაში. საქმე ისაა, რომ საგარეო პოლიტიკის სფეროში მამლუქებმა ორიენტაცია რუსეთზე აიღეს.

პაულ მასონი წერს: „ჩვენი მეტოქეები ეგვიპტეში ინტრიგებს აწყობდნენ. საფრანგეთის წარმატებები განსაკუთრებით ემუქრებოდა ინგლისელებს და ისინიც იქ მოქმედებდნენ თავიანთი კონსულით, რომელიც ეგვიპტეში მათი ერის ერთადერთი წარმომადგენელი იყო. შესაძლოა, უფრო საშიში იყვნენ რუსები, რომელთა პატივმოყვარეობა ეგვიპტესაც წვდებოდა. მათი კონსული — ბარონი ტონუსი, რომელიც ალექსანდრიაში ხელახლა დამკვიდრდა, ძალიან ენერგიულად მოქმედებდა. მას რუსეთის ვაჭრობა არ ჰქონდა მისახედავი და მისი მიმოწერაც გვიჩვენებს, თუ რა სპეციფიკური დანიშნულება ამოძრავებდა“[2].

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთს ჯერ კიდევ 1785 წელს კონვენცია შეუკრეს, მამლუქებს ეს ქვეყანა არ მიაჩნდათ არც ერთადერთ ძალად, რომელთანაც დიპლომატიური კავშირის დაჭერა შეიძლებოდა და არც იმდენად საიმედო მოკავშირედ, რომ ოსმალეთთან სარისკო და მძიმე ბრძოლაში ბოლომდე მის დახმარებას თუ თანაგრძნობას დანდობოდნენ. ამიტომ ბუნებრივია, რომ ისინი დაინტერესა ოსმალეთის ისეთ მოსისხლე მტერთან შეკავშირებამ, როგორიც რუსეთის სახელმწიფო იყო. რუსეთის ეგვიპტელი კონსული ბარონი ტონუსი 1785 წლის 22 დეკემბერს ბულგაკოვს სწერდა: „სოლეიმან-ბეი მითვლის, რომ მე სასწრაფოდ უნდა გავეშურო კაიროს, სადაც ის ჩემს საქმეებში დახმარების

---

[1] მოსკოვის ცენტრ. სამხედრო-ისტორიული არქივი, ფონდი „კოლექცია № 482“, დავთ. № 141, ფურც. 148.

[2] Masson P., დასახ. მონოგრაფია, გვ. 579.

აღმოჩენას მპირდება და, სადაც თურმე ისე მოუთმენლად მელიან, რომ ჩვენი სარეზიდენციო ბინაც არის გამოყოფილი"[1].

ბარონ ტონუსს, პასუხად 1786 წლის 10 თებერვლის წერილისა, სადაც ის იუწყებოდა—მურატ-ბეის კაშიფი საშველს არ მაძლევს და კაიროს ბეიებთან ჩემს წასვლას მოითხოვსო, ბულგაკოვმა ურჩია წასულიყო კაიროს, არ დაეცადა იმ დრომდე, როცა ბეგები ძალით შეეცდებოდნენ ტონუსის იქ ჩაყვანას და მიუთითებდა ოფიციალურ ჩვეულებაზე, რომელსაც ყველგან იცავდნენ: „ჩემამდე მოღწეული ცნობებით,—წერდა ბულგაკოვი,—მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მეგობრულად მიგიღებენ. შეგიძლიათ გაიღოთ ხარჯები, რაც კი საჭირო იქნება ამ მგზავრობისათვის და ბეგებთან ყოფნის დროსაც, მაგრამ დიდი მომჭირნეობა უნდა გამოიჩინოთ. ფულების გადაყრით ვერც გავაკვირვებთ და ვერც გავაძლებთ იმ ადამიანებს, რომლებიც გაძარცვის თვითეულ შემთხვევაში ასეულ ათასობით მანეთს შოულობენ და მომეტებული ხელგაშლილობა არც სარგებლობას მოგვიტანს. რაც შეეხება საჩუქრებს ბეგებისათვის, უზენაესი ბრძანების გარეშე მე არ შემიძლია ამ მხრივ რაიმე გავაკეთო და არც არაფერი გამაჩნია, რომ ამ მიზნით ვარგოდეს"[2].

ეხება რა მამლუქების ამდროინდელ ურთიერთობას რუსეთთან, პაულ მასონი წერს: „იბრაჰიმ-ბეიმ, რომელიც ქართველი მღვდლის შვილია და კარგადაც ახსოვს, თუ მასთან ერთად როგორ მონაწილეობდა ქრისტიანულ წირვა-ლოცვაში, ბარონ ტონუსს მისწერა წერილი და სთხოვა რუსეთიდან ეგვიპტეში ხუთასი ბიჭის გაგზავნა—მამლუქთა ჯარში ჩასარიცხავად. კონსულმა თქვა, რომ მოახერხებდა რუსეთის მთავრობის დაყოლიებას ამ სათხოვრის შესრულებაზე"[3].

საინტერესო ფაქტია, რომ სოლეიმან-ბეის (სოლეიმან ტარბაიძის) და რუსეთის კონსულ ბარონ ტონუსის წერილები ეგვიპტიდან სტამბოლში ერთსა და იმავე შიკრიკს მიჰქონდა. ამის შესახებ სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 21 თებერვლის ჩანაწერში ვკითხულობთ: „ალექსანდრიიდან ჩამოვიდა საგანგებოდ გამოგზავნილი ვენეციის გემი და ვენეციელი კონსულის მოხსენებები ჩამოიტანა. იმავე გემით სტამბოლს ჩამოვიდა სოლეიმან-ბეის კაცი და ცხრა იანვარს წერილი ჩამოუტანა გაბრიელ ტარბაიძეს, რომელიც შავ ზღვაზე ნაოსნობის განახლებას უცდის. იმავე შიკრიკმა ბულგაკოვს გენერალური კონსულის ბარონ ტონუსის პაკეტი ჩამოუტანა"[4]. წყაროების მიხედვით სოლეიმან ბეის (ტარბაიძეს) და რუსეთის კონსულ ტონუსს თავიდანვე შეხმატკბილებული ურთიერთობა ჰქოხდათ.

როგორც ზემოთ ითქვა, ბულგაკოვი ტონუსს ურჩევდა აჯანყებულ ბეგ-

---

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 668, ფურც. 30—32.

[2] იქვე, საქმე № 669, ფურც. 56—57.

[3] Masson P., დასახ. შრომა, გვ. 579.

[4] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 669, ფურც. 6—7.

ებთან გამოცხადებას და მათთან მეგობრული ურთიერთობის დაჭერას. ამ საკითხში რუსეთის დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ ბოლომდე გამოიჩინა ლოგიკურობა და ოსმალეთის მიერ დანიშნული ბეგების მიმართ მტრული პოზიცია დაიკავა, განსხვავებით საფრანგეთისა და ვენეციის კონსულებისაგან, რომლებსაც თანაბრად მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ როგორც აჯანყებულ ბეგებთან, ისე ოსმალეთის ხელისუფლების მიერ ხელდასმულ ახალ მმართველებთან და ამ ორპოზიციის მიზეზით კიდეც სათანადოდ დაისაჯნენ—საგრძნობი მატერიალური ზარალი განიცადეს. 1786 წლის (15) 26 ნოემბრის მოხსენებაში ბულგაკოვი წერდა: „რუსეთის გენერალურ კონსულს ალექსანდრიაში ალმის გადმოკიდების, მურად-ბეის ქაშიფის მიერ ალექსანდრიის აკლების და შემდეგ იქ ოსმალეთიდან დამსჯელი საექსპედიციო კორპუსის ჩასვლის დროს სულ დაეხარჯა რაღაც 2643 პიასტრი და 4 ფარა". იმავე მოხსენებაში ბულგაკოვი აქებდა ტონუსს იმისათვის, რომ ის არ „წავიდა ოსმალეთის მიერ ახლად დანიშნულ ბეგებთან და „ფული ფუჭად არ გადაყარა"[1].

გაცილებით ძვირად დაუჯდათ ზემოაღნიშნული ამბები საფრანგეთისა და ვენეციის კონსულებს. რუსეთის კონსული ტონუსი თავის 1786 წ. 20 სექტემბრის მოხსენებაში წერდა: „საფრანგეთის კონსულმა საჭარო ვიზიტი გაუკეთა ოსმალეთის ადმირალის მივრ ახლად დაყენებულ ბეგებს და საჩუქრებში 3 ათასი პიასტრი დახარჯა. ეს საქმე უფრო იაფად არც ვენეციის კონსულს დაჯდომია, რომელმაც ვიზიტი 11 სექტემბერს გაუკეთა ჰოლანდიისა და შვედეთის კონსულებიც აგრეთვე კაიროს გაეშურნენ. მარტო ავსტრია-უნგრეთის მონარქიის ელჩი ბაშორჩა დასავლეთ ევროპელ კოლეგებს, მაგრამ არასაკუთარი მიზეზით. მან თავისი ქვეყნის სოვდაგარნი ბჭობად შეჰყარა და მათ 10 ათასი პიასტრი მოსთხოვა, იმისათვის, რათა კაიროში ახალი ბეგების წინაშე გამოცხადება შეძლებოდა. ხოვდაგრებს თავიანთ ელჩზე მეტი ჭკუა აღმოაჩნდათ და, არ მოისურვეს რა ფულის ჰაერზე გადაყრა, მას უარი უთხრეს"[2].

რუსეთის ალექსანდრიელი კონსული ბარონი ტონუსი ეგვიპტის აჯანყებულ ბეგებთან კავშირისათვის შიკრიკებად ქართველ ოფიცრებს და საერთოდ სხვადასხვა პროფესიის ქართველობას იყენებდა. კერძოდ, ირკვევა, რომ ოფიცერი კაჭკაჭიშვილი ბარონ ტონუსის სამსახურში ყოფილა და მის მიერ დროდადრო სხვადასხვა დიპლომატიური დავალებით კაიროში იგზავნებოდა.

რუსულ საარქივო წყაროებში დასახელებული ოფიცერი კაჭკაჭიშვილი უნდა იყოს, სწორედ ის პიროვნება, რომელზედაც ჩერდება ფრანგი ისტორიკოსი ფრანსუა შარლე რუ თავის ერთ-ერთ მონოგრაფიაში. ეს ავტორი შემდეგს გვაუწყებს: 1785 წელს კაიროში ჩავიდა რუსეთის ოფიცერი მაქსიმე კაჭკაჭიშვილი. მან ოთხი თვე იბრაჰიმ-ბეისთან (შინჯიკაშვილი—დ. ჯ.) გაატარა. ამ მავლუქთან იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა. მაქსიმე კაჭკაჭიშვილმა მისი ნათესა-

[1] რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 677, ფურც. 56—59.

[2] იქვე, ფურც. 58—59.

ხება მოიმიზეზა და მამლუქების მხრიდან დიდის პატივისცემით სარგებლობდა. ჯერ კიდევ ოსმალეთისა და რუსეთის ომის დაწყებამდე მამლუქებს და კონსულს შორის დაწვრილებით და ნათლად იყო დათქმული ეგვიპტის მთელ რიგ ქალაქებში რუსთა გარნიზონების ჩაყენება და ეკატერინე მეორის მხედრობის მიერ ხელშეწყობა ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყებული მამლუქების სამხედრო რეპრესიებს და დაზავების ცდის დროსაც მედიატორად იგივე ტონუსი გამოვიდა[1].

საფიქრებელია, რომ კაიროში აჯანყებული ბეგებისა და მათ შორის სოლეიმან-ბეის (ტარბაიძის) პოლიტიკურ ორიენტაციაზე გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა ეგვიპტეში სტუმრად ჩასულ და ჩვენთვის უკვე ცნობილ გაბრიელ ტარბაიძის პიროვნებას. ეს გაბრიელი ერეკლე მეორის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის თაიგამოდებულ მომხრედ და მის მქადაგებლად გამოიყურება. ამას მკაფიოდ მოწმობს მისი შეხვედრა ოსმალეთის ადმირალ-კაპუდან-ფაშასთან, რაც რუსულ წყაროებშია აღწერილი. სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 25 თებერვლის დღიურში ნათქვამია: „გაბრიელ ტარბაიძე 21 თებერვალს თავისი ძმის კაიროელი სოლეიმან-ბეის წერილით, რომელიც კაპუდან-ფაშას სახელზე იყო შეთხზული, ამ უკანასკნელს, ვიზიტით ეწვია ეგვიპტიდან საქართველოსკენ გამობრუნებული. კაპუდან-ფაშას ის წარუდგინა მისმა ქართველმა ხაზინადარმა, რომელსაც საქართველოში ჰყვანან დედა და-ძმა. გაბრიელ ტარბაიძის სიტყვით, ადმირალმა ის განსაკუთრებულ იალტერსიანობით მიიღო და მასთან საუბარი ქართულ ენაზე ჰქონდა. კაპუდან-ფაშამ მწუხარება გამოთქვა, რომ გაბრიელი მასთან ბინაში არ შეჩერდა და რომ ერეკლესა და ოსმალეთს შორის ცივი ურთიერთობა ჩამოაგდო ანანურში გზის გაყვანამ და საქართველოში რუსეთის ჯარის მიწვევამ. ამაზე გაბრიელ ტარბაიძემ უპასუხა: ანანურზე სამხედრო გზის გაყვანა და რუსთა ჯარების საქართველოში მიწვევა მოხდა არა ოსმალეთის სამტროდ, არამედ იმისათვის, რომ საქართველოს მტრებისაგან დაეცვა თავი (ლეკებისა და სპარსელებისაგან), რომლებიც განუწყვეტელი თარეშით იკლებდნენ ქართველთა მიწა-წყალს. საქართველოსა და ოსმალეთის ცუდი ურთიერთობის მიზეზი — უმტკიცებდა გაბრიელ ტარბაიძე ოსმალეთის ადმირალს — არის ახალციხის ფაშა სულეიმანი, რომელიც კავკასიასა და სტამბოლში ინტრიგებს ხლართავსო. ადმირალმა უპასუხა, რომ ღვთის შემწეობით ყველაფერი მოწესრიგდება და ოსმალეთ-საქართველოს მეგობრობა აღდგება. დაბოლოს „კაპუდან-ფაშამ“ (ასე ამახინჯებენ რუსული წყაროები ოსმალურ ტერმინს „კაპუდან-ფაშას“ — „მთავარი ამირბარი“) ჰკითხა გაბრიელს — რომელი გზით ბრუნდები საქართველოშიო. რუსეთის გზითო, მიუგო გაბრიელმა. მაშინ ადმირალმა მას განუცხადა, — თუ ოსმალეთის გზით ისურვებთ სამშობლოში წასვლას, სა-

[1] Fr. Ch. Roux, დასახ. შრომა, 1922, პარიზი, გვ. 251—267.

შედო გუშაგებს გაგაყოლებთ და საქართველოს საზღვრამდე მშვიდობიანად მიგაცილებთო. გაბრიელმა მადლობა უთხრა და დაემშვიდობა[1].

„გაბრიელ ტარბაიძის სიტყვით,—ნათქვამია რუსულ წყაროში,—კაპუდანფაშა, როგორც თვითონ აცხადებს, დაბადებულა მეფე ერეკლეს სამფლობელოში, დაბა ფშაგელში (უნდა იგულისხმებოდეს ფშავი ანდა მოხევეთა რომელიმე სოფელი—დ. ჯ.), რომელიც კავკასიის მთებში მდებარეობს—მოზდოკიდან რამდენიმე დღის, ხოლო დუშეთიდან—ხუთი საათის სავალზე. საზღვარგარეთ ბავშვობაშივე მოხვედრილა და სამშობლოში დედ-მამა და მეუდაბნოე ბიძა დარჩენია"[2] (ტარბაიძესთან ზემოაღნიშნული შეხვედრის დროს კაპუდანფაშას მისთვის უთხოვია, თუ მამაჩემი ცოცხალია, იპოვნე და გამოშიგზავნე, დავასაჩუქრებ და ისევ სამშობლოში გავუშვებო).

კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანი, გახდა რა ოსმალეთში უძლიერესი მედროვე, ყოვლად უმოწყალოდ უსწორდებოდა ნამდვილ და მოჩვენებით მტრებს.

თუ მამლუქთა უკანასკნელი აჯანყების დროს ოსმალეთის კაპუდან-ფაშად ანუ მთავარ ამირბარად იყო საქართველოდან გატაცებული პიროვნება ღაზი-ჰასანი, მეორე უზენაესი თანამდებობა—დიდი ვაზირის ადგილი—ეკავა იმავე საქართველოდან გატაცებულ სხვა პიროვნებას. იაკობ ბულგაკოვი 1786 წლის 15—26 იანვრის მოხსენებაში წერდა, რომ „ახალ დიდ ვაზირად დაინიშნა იუსუფ-ფაშა, რომელიც ქართველი ტყვე ყოფილა, ცოტა ხნის წინათ სტამბოლის გარეუბანში საპნის დუქანს განაგებდა, ხოლო შემდეგ კაპუდან-ფაშას მსახური და მდივანი გამხდარა. ამ თანამდებობაზე რომ ერთხანს უმუშავნია, მისი ბატონის ნების წინააღმდეგ მორეიაში (ბერძნული ზღვისპირა პროვინცია) ფაშად გაუგზავნიათ. ახლა 1786 წლის დამდეგს, დიდ ვაზირად ინიშნებოდა ალეპოს ფაშა, მაგრამ კაპუდან-ფაშამ გადაძალა და ოსმალეთის პრემიერის თანამდებობაზე ხვანთქარს თავისი საყვარელი პიროვნება—ქართველი იუსუფ-ფაშა დაანიშვნინა, რითაც, მართალია, სახელმწიფო მართვა-გამგეობაში დიდი გავლენა მოიპოვა, მაგრამ ამასთან ერთად, სასულიერო წოდების სიძულვილიც დაიმსახურა. ოსმალეთის სასულიერო წოდებისათვის აუტანელი რამ არის მანტიაზე ემთხვიოს იმ ვაზირს, რომელიც ესოდენ მდაბიო წარმოშობის ყოფილა და მოკლე დროში სახელმწიფოს ერთ-ერთ პირველ კაცად იქცა"[3].

ოსმალეთის ხსენებული კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანიცა და მისი კრეატურაც—დიდი ვაზირი იუსუფი (ოსმალურ ისტორიოგრაფიაში „იუსუფ-კოჯას" ანუ „დიდი იოსების" სახელით ცნობილი) საკმაოდ პოპულარული არიან ევროპის საისტორიო მწერლობაში, სადაც დაწვრილებით არის გადმოცემული ორივე მათგანის ბიოგრაფია. ეს ბიოგრაფიები თავისთავად არ არის ინტერესმოკლებული: ამასთან ერთად საჭიროა ვიცოდეთ, თუ ვინ ჰყავდათ მოწინააღმდეგე-

---

[1] რუსეთის საგ. პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 669, ფურც. 9—11.

[2] იქვე. ფურც. 31—32.

[3] იქვე, საქმე № 667, ფურც 35.

ებად ეგვიპტის აჯანყებულ მამლუქებს. ამიტომ ჩვენ თავს ნებას მივცემთ, შევჩერდეთ ზოგიერთ ევროპულ ვერსიაზე, რომლებშიაც ასე თუ ისე ასახულია კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანისა და დიდვაზირ იუსუფ-კოჯას ცხოვრება.

აი რას წერს კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანზე ლეონიდე პინო: „ამჟღავნებდა, თუ მიაწერდნენ სიმპათიებს საფრანგეთის მიმართ, იყო შეუბრალებელი, ენერგიული და ნიჭიერი, სტამბოლის ქუჩებში სულ მუდამ ლომისა და ვეფხვის თანხლებით დადიოდა, დივანზედაც ბევრჯერ გამოჩენილა თავისი ლომის კავალრობით და დაუფეთებია ხვანთქრის მინისტრები. ერთხელ საფრანგეთის ელჩს შუაზიოლ-გუფიესაც ეწვია სასაუბროდ ამ ლომის თანხლებით. ლომმა ფრანგ დიპლომატს თავი მუხლებზე დაუდო. ჩვენი ელჩი არ შეკრთა და მხეცს ფერება დაუწყო. იმან იხსნა, რომ განძრეულიყო, დაიღუპებოდა. ეს იყო ელჩის გმირობა, რომელიც ჩადენილ იქნა დიპლომატიური ეთიკეტისათვის ესოდენ შეუფერებელ სიტუაციაში. ერთი თვის შემდეგ, როცა პატრონი კინაღამ შეჭამა, ეს ლომი მოკლეს, რამაც შუაზიოლ-გუფიეს თავიდან ააცდინა მომავალი უსიამოვნო შეხვედრები უჩვეულო ოთხფეხა „პარტნიორთან“[1].

როგორც დისციპლინის მოყვარულს, ამაყს, ენერგიულს, მამაცს და ჭკვიან პოლიტიკოსს—ასე ახასიათებს კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანს გრაფი ფერიერ-სოვბეფი. არ ფარავს მის ნაკლსაც—იყო კარგი მეკობრე, მაგრამ დიდი ამირბარის ხელოვნება ვერ აითვისაო[2]. ფერიერ-სოვბეფიც წერს, რომ ღაზი-ჰასანი მუდამ დღე ლომის თანხლებით დადიოდა, მაგრამ იქვე, პინოსაგან განსხვავებით, შენიშნავს—ვეფხვის მოშინაურებაც უნდოდა და ვერ შეძლო—კინაღამ შეჭამა ამ ვეფხვმა და ეს მხეცი მოკლესო[3].

არც პინო და არც ფერიერ-სოვბეფი კონკრეტულად არ ეხებიან კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანის ეროვნულ წარმოშობას. ფერიერ-სოვბეფი მხოლოდ შენიშნავს, რომ ამ კაცმა ცხოვრების პირველი წლები მონობაში გაატარა და ტყვეობის ხუნდებს ალჟირში დააღწია თავიო. სამაგიეროდ, მესამე ფრანგი ავტორი ჟუანენი კატეგორიულად აცხადებს, რომ კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანი სპარსეთში იყო დაბადებულიო. იქვე ეს ავტორი წერს, რომ ხსენებული მოხელე თავისი ეპოქის ყველაზე გამოჩენილ ფიგურას წარმოადგენდა. შემდეგ ჟუანენი განაგრძობს: ბავშვობაში ეს პიროვნება ოსმალებმა მოიტაცეს და მიჰყიდეს ქალაქ როდოსტოს მოქალაქეს. როგორც კი წამოიზარდა, ღაზი-ჰასანი ბატონს გაექცა და ბერძნული ხომალდით ჩაიცდა სმირნას, საიდანაც ალჟირის რეგენტის სამსახურში შევიდა. მალე ჩარიცხეს დეის (ალჟირის მმართველის) პირად გვარდიაში. აქ მისი მამაცობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მალე ღაზი-ჰასანს პროვინციის უფროსობა მიანდეს. დიდი სიმდიდრე დააგროვა. ამან ოჯაკლის

---

[1] L. Pingaud, დასახ. წიგნი, 1887, გვ. 84—36.

[2] ამ აზრს ეწინააღმდეგება ლამარტინის, ლავალიეს, ჟონქიერის, პუჟულატის და სხვათა შრომები, სადაც კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანი ოსმალეთის გენიალურ ამირბარად არის გამოცხადებული.

[3] F. Sauvebeuf, დასახ. წიგნი, ტ. I, 1790, გვ. 103—105.

ბელადებში მტრები შესძინა და იძულებული გახდა ესპანეთში გაქცეულიყო. იქიდან შემდეგ ნეაპოლში გადავიდა. ე. წ. ორი სიცილიის მეფის ელჩის — გრაფ რუდოლფის რეკომენდაციის საფუძველზე ოსმალეთის დიდმა ვაზირმა რაგიბ-ფაშამ ღაზი-ჰასანი სტამბოლში მიიწვია და ხომალდის მეთაურად დანიშნა. ამის შემდეგ იმდენი მოხერხება და გამბედაობა გამოიჩინა, რომ თანდათან გზა გაიკაფა კაპუდან-ფაშას თანამდებობისაკენ. ღაზი-ჰასანის დახასიათებას ჟუანენი შემდეგნაირად ამთავრებს: „ამ კაცს მოშინაურებული ჰყავდა ლომი; რომელიც თავისი პატრონის ცოცხალი განსახიერება იყო და ძრწოლას გვრიდა ყველას, ვინც კი ამ საშინელ მეომარს — ღაზი-ჰასანს მიუახლოვდებოდაო"[1].

... ...აი, ამ პიროვნებას შეხვდა 1786 წელს ეგვიპტიდან საქართველოსაკენ მომავალი ქართველი თავადი გაბრიელ ტარბაიძე (ტარბაისიძე); ის პიროვნება ესაუბრებოდა მას სუფთა ქართული ენით რამდენიმე საათის განმავლობაში და ეს შეხვედრა, რომელზედაც, როგორც ითქვა, მრისხანე ღაზი-ჰასანმა სტუმარს სიტყვა ჩამოუგდო ჩრდილოეთ საქართველოს მთებში უმწეოდ შთენილ თავის მშობელ მამასა და ბიძაზე, მოაწყო იმავე ღაზი-ჰასანის ქართველმა ხაზინადარმა (ესეც აღინიშნა ზემოთ). საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხსენებულ კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანს, რომელიც თვითონ ხომ საკუთარ თავს კავკასიის მთებიდან მოტაცებულ კაცად მიიჩნევდა, გარემოცვაც ქართული ჰყავდა. ჩვენთვის ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ლეონიდე პინოც მიუთითებს, რომ იმ დროს ოსმალეთში ვიცე-ამირბარის თანამდებობაც ალჟირში აღზრდილ ქართველს ეკავა და ეს ქართველი საფრანგეთის ორიენტაციაზე იდგა[2].

ჩვენ ყურადღებას იქცევს ჟუანენისა და იულიუს ვან ჰაერის ერთი დებულება: კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანი სპარსეთში იყო დაბადებულიო. ფრანგი ავტორების ეს შეხედულება ზემოთ მოტანილი რუსული ვერსიის არაპირდაპირი დადასტურებაა. ამ რუსულ ვერსიაში (იხ. ბულგაკოვის საელჩოს 1786 წ. თებ. დღიური[3]), როგორც ვნახეთ, კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანმა ეგვიპტიდან სტუმრად ჩასულ ქართველ თავადს გაბრიელ ტარბაიძეს თავი გააცნო, როგორც ჩრდილოეთის კავკასიონთან—დუშეთის ახლოს დაბადებულმა ქრისტიანმა კაცმა. რადგანაც დუშეთი აღმოსავლეთ საქართველოს ემორჩილებოდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის შახებს თავიანთ ზონად ჰქონდათ გამოცხადებული, ბუნებრივია, რომ ფრანგული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები აღმოსავლეთ საქართველოს მთებში დაბადებულ კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანს სპარსეთში დაბადებულად მიიჩნევდნენ.

---

[1] მსოფლიოს ანუ ყველა ხალხის ისტორია და მათი რელიგიის, ზნე-ჩვეულებათა, მრეწველობის, ჩაცმულობის და სხვათა აღწერა; ოსმალეთი. ავტორები: აღმოსავლური ენების სამეფო თარჯიმანი ჟუანენი და იულიუს ვან ჰაერი (ფრანგულ ენაზე). პარიზი. 1840. გვ. 363–364.

[2] ლეონიდე პინო, დასახ. მონოგრაფია, 1887, გვ. 193. 1939 წ. დაბეჭდილ ინგლისური პუბლიკაცია კარმელიტების შესახებ შეიცავს ცნობას: ქ. დიარბეკირის მთელი მოსახლეობა 10 ათას ტყვე ქართველ მეომარს შეადგენსო.

[3] რუსეთის საგ. პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე №669, ფურც. 31—32.

მაღალ შეფასებას აძლევს ევროპული ისტორიოგრაფია აჯანყებული მა-
ლუქების მიწინააღმდეგე ბანკის მეორე მეთაურსაც — დიდებაზირ იოსუფ-
აღას. ევროპელი ავტორები მას გვისახავენ, როგორც მამაც და შეუპოვარ
მებრძოლს, ჯარში რეფორმების გასატარებლად და ცენტრალიზაციის განმტკიცე-
ლად. ბაგრამ ეს მოღვაწეობა წააწყდა დაუძლეველ წინააღმდეგობას ულემებისა
და janičarთა მხრიდან.

რუსულ წყაროებში მოიპოვება საინტერესო მიმოხილვა იმის შესახებ, რომ
ქართველი ტყვის იუსუფის დიდებაზირად გახდომის მიზეზი იყო მისი ღებძლი
და, რომელიც ხვანთქრის ჰარამხანის მშვენებას წარმოადგენდა.[2] თუ გავიძგე-
რდნეთ იმ ცნობებით, რომ ალბოსავლეთის დასპარტაკ ქვეყნებში ჰარამხანის წრეებს
დიდი გავლენა ჰქონდათ სახელმწიფო საქმეებზე, მაშინ ეს რუ-
სული ვერსიაც არ უნდა გვეჩვენოს საფუძველს მოკლებული. თუმცა კაპუდან-
ფაშა-ალბანეთის დიდ როლს ტყვე ქართველი იუსუფის აღზევებაში სწვა-
დასხვა კატეგორიის მრავალი წყარო ადასტურებს.[3]

ჰარამხანის მზედუნახავზე ზემოხსენებულ რუსულ ცნობასთან დაკავში-
რებით, საინტერესო ჩანს ბერნიეს ცნობა იმის შესახებ, რომ ტყვედ გაყიდული ქართველი
ვასულებიც გარკვეულ ხანაგს სდებდნენ დასტეწყარ სასეშობლოს — სა-
ქართველოს. რუსმა პოლკოვნიკმა სტეფანე ბურნაშოვმა შეზოგეონახა ცნობა
იმის შესახებ, რომ სტამბოლის ჰარამხანაში მყოფი ტყვე ქართველი ლამაზმა-
ნები საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდნენ ერეკლე მეორეს ოსმალეთის იმპე-
რიის საშინაო მდგომარეობის თაობაზე,[4] რითაც ცხადია, ქართლ-კახეთის სამე-
ფოს უდავილებდნენ მოსისხლე გარეშე მტრებთან გამკლავებას. მაგრამ ცხადია,
ამასც ხაზი უნდა გაესვას, რომ ჰარამხანის ზოგიერთი ტყვე ქალის ფსები მოღვა-
წეობა სრულიადაც ვერ უნაზღაურებდა საქართველოს იმ ეროვნულ უბედუ-
რებას, რასაც წარმოადგენდა ქართველი ქალიშვილების ტყვეებად წაყვანის
ავადმოსაგონარი პრაქტიკა. ოსმალეთის, ეგვიპტის, სპარსეთის ჰარამხანები
სავსე იყო ამ ბედკრულებით, რომელთა ისტორიას შეეხო უთვალავი ევროპელი
ავტორი, ამათ შორის ფერიერ-სრებეფი, ბარონი ტოტი, კლაპროტი, სავარი,
ოლივიე[5]. მაგალითად, ოლივიე ბაღდადის (ერაყი) ბანოვანთა შესახებ შენიშ-
ნავს: „აქაური მდიდარი ქალები საერთოდ ძალიან ლამაზები არიან და საუ-

---

[1] Marcère E., Une Ambassade à Constantinople, 1927 წ., ტ. I, გვ. 141—150, ბ. ჟუა-
ნენი და იულიუს გაეე, დასახ. შრ., გვ. 361—362. შდრ. Corespondance Politique... t. IV, 1789,
გვ. 41—54.

[2] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქ. №669, ფ. 3—4.

[3] Миллер. Мустафа-Паша Байрактар. 1948, გვ. 473.

[4] С. Бурнашев. Картина Грузии. Тифлис, 1896, გვ. 15.

[5] ფერიერ-სრებეფი, დასახ. წიგნი, ტ. II, 1790, გვ. 40—41; ბარონ ტოტის მემუა-
რები ოსმალებისა და თათრების შესახებ (ფრანგ. ენაზე, ნაწ. IV, ამსტერდამი, 1785 წ., გვ.
XXX—XXXV); კლაპროტი, კავკასიასა და რუსეთ-სპარსეთს შორის მდებარე პროვინციების
ისტორიულ-გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული და პოლიტიკური სურათი (ფრანგ. ენაზე), 1827 წ.,
გვ. 25—77.

ცხოო ტანადობით განთქმულან. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც მათი უმეტესობა ქართველი, ჩერქეზი და მეგრელი ტყვე ქალებია, რომლებშიაც მეტისმეტად მაღალი ფასია გადახდილი. მათ არც გონებამახვილობა აკლიათ, არც განსწავლულობა. მეტყველებენ შესანიშნავი სიფაქიზითა და მოხდენილობით. მათი ჩვეულებრივი სალაპარაკო ენები თურქული და არაბულია"[1]. ქართველ ქალებს აღმოსავლეთის მუსულმანურ ქვეყნებში ყველგან დიდი მოწონება ჰქონდათ და მათი ჰშვენიერება ხალხში ანდაზებად იყო გასული[2]. არაბთა ტომის ბელადს მირ-მოჰუნას მტრობა ჰქონდა მამასთან და ძმასთან ქართველი ქალის თაობაზე[3]. ამიტომ სრულიადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ სტამბოლის ჰარამხანის ლამაზები გარკვეულ მონაწილეობას მიიღებდნენ პოლიტიკურ მოვლენებშიც. სავარი წერილებში ეგვიპტის შესახებ მთელ თავს უძღვნის ეგვიპტელი ქართველი ქალის რომანტიკულ ისტორიას[4]. ისტორიოგრაფიაში და სამოგზაურო ლიტერატურაში ფართოდ არის გახმაურებული დიდი ალი-ბეის ულამაზესი ქართველი ცოლის—ზემოხსენებული სიტი-ნეფისეს სახელი. ერთი ევროპელი ავტორი წერს: „სიტი-ნეფისემ... ფრანგთა ექსპედიციის დროს თავი ისახელა უაღრესად საპატიო საქმეებით. ქალთა შორის ცოტა ვინმეს უჩვენებია იმდენი ღირსება, რამდენიც მან აჩვენა. მისი კეთილშობილური ხასიათი და კდემამოსილება ფრანგების აღტაცებას იწვევდა. ახასიათებდა ისეთი განსწავლულობა, რასაც აღმოსავლეთის ქალებში ჩვეულებრივად ვერ ვხვდებით. მანერებიც სავსებით შეესაბამებოდა ამაღლებულ სულს მისას. გასაჭირი უდრტვინველად აიტანა, განმარტოებულმა და შემწეობასმოკლებულმა თავის ქმარს აღმოუჩინა ისეთი დახმარება, როგორიც მოსალოდნელი იყო ამ ერთგული და მგრძნობიარე ქალისაგან. იბრაჰიმ-ბეის ცოლიც არ ჩამოუვარდებოდა და ასეთივე ქების ღირსია"[5]. მამლუქ წარჩინებულ ქალთა ამ მაღალ ევროპულ ატესტაციას სავსებით ადასტურებენ რუსეთის არქივებში დაცული მასალები.

ადმირალი ღაზი-ჰასანი არა მარტო სასტიკი, არამედ ძალმოსილიც გახლდათ. სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 12 ივნისის დღიურში ჩანიშნული იყო შემდეგი: „ხვანთქარი ღრმა და სევდიანმა ფიქრებმა მოიცვეს. სასახლის წრეები ქაპუდან-ფაშისა და ვაზირის ძლიერ გავლენას უჩივიან—იგდეს რა ხელთ სახელმწიფოს საქმე, არვის აძლევენ საშუალებას ოდნავადაც რა არის რითიმე ისარგებლოს და ხვანთქარს ამა თუ იმ საკითხზე თავისი აზრი გა-

---

[1] ო ლ ი ვ ი ე. მოგზაურობა ოსმალეთსა და სპარსეთში (ფრანგ. ენ.), ტ. IV. 1804, გვ. 326.

[2] ფ ე რ ი ე რ-ს ო ვ ბ ე ფ ი, დასახ. წიგნი. ტ. II. 1790, პარიზი, გვ. 40—41.

[3] კარმელიტების ქრონიკა (ინგლისურ ენაზე), ტ. I, 1939, გვ. 656—720.

სოვბეფის ცნობით ნადირ-შაჰის მკვლელობა, რომლის მომზადებაში, როგორც პიკოს ვერსია უთითებს, ქართველები მონაწილეობდნენ, იმ შაჰის იბერიელი მზეთუნახავი ცოლის თვალწინ მოხდა

[4] S a v a r y. Lettres sur' l Egypte, ტომი პირველი, წერილი მეთექვსმეტე, პარიზი, 1786, გვ. 127—132.

[5] Gabr. Hanotaux. Hist. de la Nation Egyptienne, tome V, Paris. გვ. 438.

უზიაროს: შეისწავლეს ხვანთქრის მერყევი ბუნება და მის პიროვნებასაც დაეპატრონენო"[1]. 1786 წლის ივნისის დღიურით სტამბოლის რუსული საელჩო იუწყებოდა: ახლანდელი მშვიდობიანი მუფთი[2] ყველაფერში თავისი უფროსი ვაჟის რჩევებით ხელმძღვანელობს, ეს უკანასკნელი კი, როგორც ამბობენ, ყველა საკითხში ვაზირისა და კაპუდან-ფაშას აზრებს უკრავს კვერს: ალბათ ეშინია, ან ვერ მიმხვდარა მათთვის წინააღმდეგობის გაწევას". ახლა შეიძლება დავსვათ კითხვა: ჰყავდა თუ არა მეორე ბანაკს, ე. ი. აჯანყებულ მამლუქებს ისეთი ბელადები, რომლებიც ენერგიით, ნიჭიერებითა და გამოცდილებით ტოლს არ უდებდნენ ოსმალეთის მრისხანე კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანს და დიდვაზირ იუსუფ-კოჯას.

როგორც ევროპული, ისე აღმოსავლური წყაროები საშუალებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ აჯანყებული მამლუქების ორი ყველაზე ცნობილი იმდროინდელი ბელადის სახით ოსმალებს ღირსეული და საშიში მოწინააღმდეგენი ჰყავდათ. ეს ორი ბელადი იყო მურად-ბეი (იგივე ამურატ-ბეი) და იბრაჰიმ-ბეი უფროსი (იგივე იბრაჰიმ შინჯიკაშვილი ანუ „მარტყოფელი კახელი შინჯიკაშვილი აბრამა").

შევეხოთ ორივეს. ბევრი ევროპელი ავტორი მურად და იბრაჰიმ ბელადებს ერთად ახასიათებს. ამავე დროს მათი მსჯელობა მოკლებული არ არის მიკერძოებასა და ღვარძლს.

სულ სხვანაირად აფასებს იბრაჰიმ შინჯიკაშვილის პიროვნებას სახელგანთქმული არაბი ისტორიკოსი აბდარახმან-ალ-ჯაბარტი. მას არ დაუზოგავს ეპითეტები და მჭევრმეტყველება, რომ საუცხოო საგალობელი ემღერა ეგვიპტის სუვერენიტეტის აღსადგენად მებრძოლი გამოჩენილი ქართველი მამლუქი ბელადისათვის. „...დიდი ემირი, ცნობილი იბრაჰიმ-ბეი ალ-მუჰამედი, ყველაზე წარჩინებული ათაბეგით ეგვიპტელ ემირთა შორის... წარმოდგებოდა მუჰამედბეი აბუ-ზ-ზაჰაბის მამლუქების დასიდან 1182 (1768—1769) წელს[3], ალი-ბეი უფროსის გამგებლობის დროს ემირად დაინიშნა. ბატონის სიკვდილის (1189—ანუ 1775—1776 წწ.) შემდეგ აღზევდა შეიხ ელ-ბალადად და ქვეყნის მმართველად, რათა თავის ხუშდაშ მურად-ბეისა და დანარჩენი ემირების დახმარებით ქვეყანას გასძღოლოდა"[4].

„ყველა ისინი, — განაგრძობს ჯაბარტი, — კმაყოფილი იყვნენ მისი ხელმძღვანელობითა და მმართველობით, არ ეურჩებოდნენ მას და იგიც ანგარიშს უწევდა. დაბალი მდგომარეობის ემირებს მეტის მზრუნველობით ეპყრობოდა, ვიდრე მაღალ მდგომარეობაში მყოფთ. ფხიზლად იცავდა ერთიანობასა და გულითად თანხმობას ემირთა შორის. მისი გამგებლობის დრო ხანგრძლივი აღ-

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე №670. ფურც. 65—67.

[2] შეიხ ულ-ისლამი—ოსმალეთის მუსულმანური სამღვდელოების უზენაესი მოხელე.

[3] მუსლიმთა 1182 წელი უდრის ქრისტიანულ 1768—69 წლებს.

[4] ჩვენ განზრახ მოგვყავს ვრცელი ადგილი ჯაბარტის თხზულებიდან.

მოჩნდა. ივი კაიროში ვაზირებთან კაიმაკამად (მოადგილე—დ. ჯ.) მსახურობდა. 1186 წელს (1772—1773 წლები) ასრულებდა ამირ-ალ-ჰაჯის თანამდებობას. ხოლო 1187 წელს დეფთერდარი გახდა. ბლომად ყიდულობდა მამლუქებს, წვრთნიდა მათ და თავისუფლებას ანიჭებდა, ხდიდა ამირებად. ერთნი სანჯაყებისა უფროსებად გაჰყავდა, მეორენი კი—კაშიფებად, წყალობდა მათ სარასახლეებითა. და აგგიც-მამულებით. ბევრი ამ მამლუქთაგანი მოკვდა მის სიცოცხლეში. მათ ადგილებზე სხვა მამლუქებს ნიშნავდა. მოესწრო შვილიშვილებს და შვილთიშვილებს. მისი შთამომავლობა განუწყვეტლივ იზრდებოდა. დაახლოებით ორმოცდარვა წელიწადი ემირად დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში კეთილდღეობა არ მოშლია. სიცოცხლის მიწურულში, როგორც მშობლიური ადგილებიდან გაძევებული, უსასტიკესად იტანჯებოდა. მისთვის დამახასიათებელი იყო მამაცობა და გმირობა. ბევრი ომი ჩაუტარებია, იყო მშვიდი, მომთმენი, კეთილი, მეგობრული, ჰქონდა მიდრეკილება თვითშეზღუდვისაკენ. უყვარდა სამართლიანობა. გართობა მისთვის იშვიათი შემთხვევა იყო და როცა თავშექცევას მიეცემოდა, თავაზიანობის ფარგლებს არ გადადიოდა. ფუჭად სისხლის ღვრას ერიდებოდა. ცდილობდა არ შეენიშნა თანამებრძოლთა ცუდი საქციელი და თანამდებობის ბოროტად გამოყენება. ამიტომ ისინი—განსაკუთრებით მურად-ბეი და მისი ხელქვეითნი — მრავალ საქმეში ხელს უშლიდნენ. იგი ამაზე თვალს ხუჭავდა, გვერდს უვლიდა, ყურადღებას არ აქცევდა, წინააღმდეგობას როდი უწევდა, არც ამჟღავნებდა, თუ ყოველივე ეს რა შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე. ზრუნავდა მხოლოდ იმისათვის, რომ ემირთა შორის მარად ერთსულოვნება ყოფილიყო და არეულობას სათავე არ მისცემოდა. თუ ემირთა შორის ხდებოდა ისეთი რამე, რომელიც მტრობას იწვევდა, ცდილობდა საქმე მოეწესრიგებინა და მდგომარეობა გამოესწორებინა, მაგრამ ასეთი უგუნებელყოფა წარმოადგენდა ბოროტების გაჭიანურების მიზეზს. ასე რომ, ემირები ნებადართულის საზღვრებს შეუპოვრად გადადიოდნენ. ისინი შეიპყრო ფიქრმაყოფილებამ, განდიდების მანიამ, უზრუნველობამ შედეგებისადმი. სათანადოდ ქერ შეაფასეს საკუთარი მტრები და ხელი წაუწიეს ევროპელთა ვაჭრების ფრანგებისა და სხვათა ქონებასა და საქონელს. მუქთად იტაცებდნენ ამ აელადიდებას და ზიზღით ეპყრობოდნენ მათ პატრონებს. ეს უმირებს უკვე მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ და პატივს არ სცემდნენ თავიანთ სულთანს, თუმცა სიტყვიერად კი აცხადებდნენ, რომ მასთან მსახურებენ და მას მორჩილებენ. არღვევდნენ სულთნის ბრძანებულებებს და ხაზინაში ფულის შეტანისაგან თავს იკავებდნენ, ეგდებულად! უყურებდნენ ვალის ფაშებს, ხელს უშლიდნენ ქვეყნის მართვასა და საქმეთა წაყვანაში, თავი მათივე მეურვეებად მოჰქონდათ და ის თანხა, რომელიც ვალიმდე და ფაშებამდე აღწევდა, საგანგებო ულუფის ჰგავდა. ასე იყო მანამ, ვიდრე 1200 წელს (1785—1786 წწ.) მათ წინააღმდეგ არ დაძრეს ჰასან-ფაშა-ალ-ჯაზაირლი. იგი ჩამოვიდა ისეთი რიხით, როგორითაც უნდა ჩამოსულიყო ბრძოს დახმარებით ემირები ქალაქიდან

ზემო ეგვიპტეში გადარეკეს და თავსლაფით გაუმასპინძლდნენ. შემდეგ 1206 წ. (1791—1792 წწ.) დაბრუნდნენ ხელისუფლების საჭესთან და აღადგინეს წინანდელი წესრიგი რეჟიმი და კიდევაც გადააჭარბეს ნებადართულის საზღვრების დარღვევაში. ამან გამოიწვია ძათ წიხააღძდეგ საფრანგეთის ექსპედიცია. მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა, საშინელება საშინელებას მოსდევდა, ვიდრე არ მოხდა ეგვიპტის საფუძვლთა შერყევა და ემირებს სავსებით არ წაუხდათ სახელი. ამ გარემოებამ იბრაჰიმ-ბეი აიძულა წასულიყო უცხოეთში და იქ ეხეტიალა თავის თანამებრძოლებთან ერთად. გაიქცნენ სუდანს, სადაც ახლა არსებობენ იმით, რომ თამბაქო მოჰყავთ. იმათი ტანისამოსია პერანგები—ისეთი, როგორიც ვაჭრებს აცვიათ. ასე ცხოვრობდა იბრაჰიმ-ბეი, ვიდრე 1816 წლის იანვარში არ იქნა მიღებული ცნობა მისი სიკვდილის შესახებ"[1].

ჯაბარტიმ მთელი სიავკარგით წარმოგვიდგინა იბრაჰიმ შინჯიკაშვილის ისტორიული პიროვნება.

წინააღმდეგ ჯაბარტისა, ფრანგი ისტორიკოსები იბრაჰიმ შინჯიკაშვილს არც მამაც პიროვნებად მიიჩნევენ და არც გულუხვობით სახელდებულად. დოსონანსად გაისმის პიერ ლარუსის ენციკლოპედიის სიტყვები: „იბრაჰიმ-ბეიმ მოიგერია ჰასან-ფაშას მრავალრიცხოვანი ექსპედიციების ტალღა და 1800 წელსაც სწრაფი დარტყმით კაირო დაიკავაო"[2]. ძნელი არ არის ავხსნათ მთელ რიგ ფრანგ ავტორთა მიერ იბრაჰიმ-ბეის უარყოფითი შეფასება და მურად-ბეის ქება: იბრაჰიმ-ბეი ბოლომდე დარჩა ფრანგთა ექსპედიციის მტრად, მურად-ბეი კი ფრანგების მხარეზე გადავიდა. ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა ფრანგული ისტორიოგრაფიის პირუთვნელობის კოეფიციენტზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯაბარტი და ევროპელი ისტორიკოსებიც ერთხმად აღიარებენ იბრაჰიმ-ბეის დიდ გონიერებას, მოხერხებას და საოცარ ნებისყოფას.

მიუხედავად იმისა, რომ ჯაბარტი აფუჩეჩებს იბრაჰიმისა და მისი რაზმების ინიციატივიან და გაბედულ მოქმედებას ალექსანდრიასთან 1786—1787 წლებში, მისი ცნობები ნათელ წარმოდგენას იძლევიან იბრაჰიმ შინჯიკაშვილზე, როგორც XVIII ს. ეგვიპტის გამოჩენილ მხედართმთავარსა და პოლიტიკურ წინამძღოლზე. ევროპული წყაროები ამ დასკვნას კი არ აბათილებენ, არამედ დამატებით ადასტურებენ მას. ხგივე ითქმის რუსული წყაროების შესახებაც.

ეგვიპტის მამლუქთა ახალმა აჯანყებამ ცუდ დროს მოუსწრო ხვანთჭრის კარს. მან ოსმალეთის იმპერიის ყველა ბიწიერება მკაფიოდ გამოავლინა. ეგვიპტის ბელადების გამოსვლა დასნეულებულ იმპერიას აგონიის ერთ-ერთ სიმპ-

[1] А б д. Д ж а б а р т и. Египет под властью Мухаммада Али. Москва, 1963, გვ. 580—582.

[2] P. L a r o u s s e, დასახ. ენციკლოპ., ტ. IX, გვ. 536.

ტომად მოევლინა და ამავე დროს ოსმალეთის სხვადასხვა კუთხეში მძლავრი აფეთქებები გამოიწვია.

როგორც ლეონიდე პინო წერს, ხვანთქრის სახელმწიფოში ანარქია სუფევდა. ტრაპიზონისა და ბაღდადის ფაშებს ფაქტიურად დამოუკიდებლობისათვის მიეღწიათ და ცენტრალურ ხელისუფლებას არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ. სმირნადან დაწყებული დარდანელამდე ჰასან-ჩაუშ-ოღლის თავი ისე ეჭირა, თითქოს ქვეყნის აბსოლუტური მბრძანებელი ის ყოფილიყო და საამისოდ ღონეც შესწევდა—ორმოცი ათასი მეომარი თავისი დროშების ქვეშ ჰყავდა დარაზმული. ფრანგი ისტორიკოსი უჩივის ვერსალის ელჩის იმდროინდელ სავალალო მდგომარეობას: სტამბოლის სასახლეში მომხდარი ყოველი ახალი გადატრიალების შემდეგ საფრანგეთის დიპლომატს სელახლა უხდებოდა ფიქრი იმაზე, თუ რა პოლიტიკის გატარება იქნებოდა სასარგებლო მისი ქვეყნისათვის. დაიყოლიებდა თუ არა ხვანთქრის ერთ რომელიმე მინისტრს, მეორე ღღეს ეს უკანასკნელი უკვე გადათქვამდა შეთანხმებულ აზრს—საქმეში რაღაც ინტრიგა, ანდა ცრურწმენები ჩაერეოდა. ფრანგი მკვლევარის სიტყვით, ევროპას სრულიად არ ჰგავდა ოსმალეთი: ევროპასა და რუსეთში ერთი კაცი იყო მეფე: აქ კი ცალკე ულემებს უნდა შეთანხმებოდი, ცალკე — მართლმსაჯულების ხალხს და ცალკე—მინისტრებსო—დასძენს ფრანგი ისტორიკოსი[1].

1786 წლის ზაფხულში ოსმალეთის წინააღმდეგ ომი ჰქონდათ ტრიპოლის არაბეთის წინამძღოლებს, რომლებთანაც ვერაფერს გახდა იქაური ფაშა[2]. საბერძნეთის არქიპელაგში მეკობრეები თარეშობდნენ და მათ ტუნისის ბეგი აიარაღებდა. ამ უკანასკნელმა ცნობილ მეკობრე ცანს ხომალდის შესაძენად და შესაიარაღებლად 195000-მდე პიასტრი[3] მისცა. ხვანთქარს არ უსვენებდნენ აქეთ ზღვის ყაჩაღები, იქით ალბანელები, რომლებიც თავს ესხმოდნენ მორეის პროვინციას. სირიელი მოჯანყე კიუჩუკ-ალი გაეცხლებული ურტყამდა უროს ოსმალეთის იმპერიის ურჩხულს[4]. სირიის ფაშები არაბეთის ნახევარკუნძულზე არსებულ არეულობას იმიზეზებდნენ და ხვანთქრის ფირმანებს არ ასრულებდნენ. ბევრ პროვინციაში შიმშილი მძვინვარებდა[5]. ხვანთქრის კარს რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ადგილობრივი რევანშისტები და მათი დასავლეთ ევროპელი ქომაგები ოსმალეთის მთავრობას რუსეთთან ახალი ომისაკენ უბიძგებდნენ. ცეცხლზე ნავთს ასხამდა ორი იმპერიის ცილობის საგნად ქცეული ყირიმის გამალებული კოლონიზაცია, რასაც ფელდმარშალი გრიგოლ პოტიომკინი ახორციელებდა. ასეთ ვითარებაში მოეწყო ოსმალეთის სამხედრო ექსპედიცია მამლუქების წინააღმდეგ.

---

[1] L. Pingaud, დასახ. მონოგრაფია, გვ. 80—82.

[2] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 670, ფ. 74.

[3] იქვე.

[4] იქვე, ფურც. 34—35.

[5] იქვე, საქმე № 673, ფურც. 44.

აპრილის დამდეგს, კაიროს გუბერნატორ იენ-მეჰმედ-ფაშას შეკრიბა სტამბოლში ამბავი ჩამოიტანა — ეგვიპტის ბეგები ხვანთქარს ორი ჯიხვების მეშვეობით ხაზინას უგზავნიანო, მაგრამ სტამბოლის კარმა ეს არ დაიჯერა და სამხედრო ექსპედიციის სამზადისი არ შეუჩერებია. სტამბოლის რუსეთის საელჩოს 1786 წლის აპრილის დღიურში ნათქვამი იყო: „თოფხანიდან ბომბარდებზე გადატვირთულია 50 საველე ზარბაზანი და ჭურვებით საცეცხლე, ალექსანდრიაში ყველა გემი გააჩერეს. ეს ორი გარემოება ხალხს აფიქრებინებს, რომ კაპუდან-ფაშა, მართლაც, მიეშურება ეგვიპტის ბეგების დასაშოშმინებლად, რომლებიც ახლა თითქოს ორ პარტიად გაყოფილან. კაპუდან-ფაშას მიზანია ეგვიპტეში აღადგინოს ხვანთქრის ძალაუფლება, რომელიც ფეხქვეშ გათელეს აჯანყებულმა ბეგებმა. ამბობენ, რომ საიდის გუბერნატორს ორთუღიან სელიმ-ფაშას და ჯირდაზი-ჰასან-ფაშას, რომლებიც დამასკოში ემირ-ჰაჯ-ჯეზარ-აჰმედ-ფაშასთან იმყოფებიან, ნაბრძანები აქვთ ეგვიპტის ბეგების წინააღმდეგ იერიშის მისატანად დანიშნულ დროსა და ადგილზე ჯარებით შეიკრიბნონ“[1].

ეგვიპტის წინააღმდეგ სამზადისის პროცესში ხვანთქრის მთავრობა მთელ რიგ სიძნელეებს წააწყდა და ხალხს საბაბი მისცა ხმები დაეგდოთ ექსპედიციის არარეალობის შესახებ. რუსეთის ელჩის 1786 წლის 1/12 აპრილის მოხსენებაში ნათქვამი იყო: „მორეიის დაცვა, არქიპელაგის გაწმენდა მეკობრეთაგან, სირიაში გაგზავნილი ექსპედიციის გაძლიერება და შევსება, რასაც მოითხოვდა დამარცხებული კიუჩუკ-ალის ხელახალი გამოჩენის შესაძლებლობა, იერიში კაიროზე—ყველაფერი ეს ისეთი ოპერაციებია, რომ ვერც ერთი მათგანი სამხედრო-საზღვაო ძალთა უფროსის კაპუდან-ფაშას პირადი მონაწილეობის გარეშე ვერ ჩაივლის. ხალხში აზრია, რომ კაიროზე ხვანთქრის გალაშქრება შეიძლება არც მოხდეს. ხალხს მიზეზიც აქვს ეს იფიქროს“.

ხვანთქარმა დამასკოს ჯეზარ-ფაშას შეკითხვა გაუგზავნა: — შეძლებ, თუ არა მექაში მლოცველების ჩაყვანამდე, რასაც კიდევ ოთხი თვე უკლია, კაიროს წაიყვანო 10 თუ 12 ათასი მეომარიო. ხვანთქარი ჯეზარ-ფაშას უმაგრებს გულს და წერილით ატყობინებს, რომ ალექსანდრიაში წესრიგის აღსადგენად რამდენიმე სამხედრო ხომალდი იგზავნებაო. ვინაიდან დამასკოს ფაშასაგან ბრძანების მიღებამდე მექას მლოცველთა მიზღვაების დროც მოაღწევს, ლაშქრობა კაიროზე არ არის სავარაუდებელი. გასულ წელსაც შეუთვალეს იმ ფაშას კაიროზე წასვლა. მაგრამ მან მოიმიზეზა უფულობა, საზარბაზნე ჭურვების უქონლობა და საქმეს ხელი არ მოჰკიდა. ხვანთქრის სამინისტრო მას ფულსა და ჭურვებს მისცემდა კი არა, პირიქით, მისგან გამოელოდა სამას ქისა ოქროს— ხედავ, სხვებში გამოგარჩიე და ესოდენ სასახელო და მომგებიანი ექსპედიციის ჩატარება მოგანდეო. მაგრამ დამასკოს მმართველის შარშანდელი მოთხოვნა მონაგონი არ არის იმასთან, რასაც ახლა კაპუდან-ფაშა მოითხოვს, მან

[1] რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, დასახ. ფონდი, საქმე №670, ფურც. 16.

ხვანთქარს გამოუცხადა, თუ 1100 ქისა ოქროს არ მომცემ, იმაზე დამატებით, რაც მოგიცია, ფლოტი სტამბოლის ნავსადგურიდან გასვლას ვერ შეძლებსო. ამ სიტყვამ დეფტერდარი (დეფთერდარი) დიდ საგონებელში ჩააგდო, რადგანაც ხაზინაში ფული არ არის. მოსალოდნელია, რომ შეეცდებიან კაპუდან-ფაშას ხელი ააღებინონ თავის მოთხოვნაზე. ასეთი შემთხვევები აქ ხშირია"[1].

სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 19 აპრილის დღიურში ჩანიშნულ იქნა, რომ „როგორც ხმებია, ვაზირი თითქოს კეგაი-ბეის (შინაგან-საქმეთა მინისტრი—დ. ჯ.) გადაყენებას უნდა ლამობდეს, რადგანაც ეგვიპტეში ბეგების დამორჩილების მიზნით, ფლოტის გაგზავნას, უპირველეს ყოვლისა, ეს მოხელე თავობდა. სტამბოლში ხმა დადის, რომ ეგვიპტეში ბეგები ყველა შეძლებულ ადამიანს ძარცვავენ, ამ ქვეყნის ზემონაწილში გასაქცევად ემზადებიან, კაპიჯიბაში ალი-ბეი, რომელმაც ჰალილ-ჰამიდს და ისმაილ-ფაშას თავები მოჰკვეთა, აზიაში იგზავნება. მან ხუთი ფაშა უნდა ნახოს და მთავრობის წერილები გადასცეს. წერილებით იმას უთვლიან, რომ თურქმენებისა და ქურთების ცხენოსანი არმიები კაპუდან-ფაშას მოსახმარებლად ეგვიპტეში გადაისროლონ. ეს ხუთი ფაშაა ჩაპან-ოღლი—მერაშადან, როშვან-ოღლი ომერ-ფაშა—ბეკენლიდან, აბდურაჰმან-ფაშა—კლისადან, დალტაბან-ოღლი და სელიმ-ფაშა—სვიდიდან. ამავე დროს ხმას ავრცელებენ, რომ კაპუდან-ფაშა თავის საქმეს ეგვიპტის ბეგების წინააღმდეგ რამაზანის გასვლის შემდეგ დაიწყებსო"[2].

მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომლებიც ეგვიპტის ექსპედიციასთან იყო დაკავშირებული, კაპუდან-ფაშას გადაწყვეტილება არ შეუცვლია და ექსპედიციაც შედგა.

### 2. იეენ ჰეჰმედ-ფაშას მუხანათობა და ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმის განმტკიცება კაიროში

სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 2 ივლისის დღიურში ნათქვამია: „კაპუდან-ფაშა ფლოტით მშვიდობიანად ჩავიდა ალექსანდრიას და ახლა ლამობს კაიროს ის გზები მოუჭრას, რომელთა მეშვეობით ეს ქალაქი სურსათს ღებულობს. როგორც ხმებია, ბეგები ერთმანეთს შეუთანხმდნენ იმაზე, რომ კაპუდან-ფაშას იარაღით გასცენ პასუხი. თუ საქმე მართლაც ბრძოლამდე მივიდა, კაიროს ბევრი უდანაშაულო მცხოვრები გაპარტახდება"[3].

მამლუქებთან საომრად ხვანთქარი აზიიდან ელოდა 20 ათას მხედარს, მავრამ როშვან-ოღლიმ, დალტაბან-ოღლიმ და ბევრმა სხვა თურქმენმა, ქურთმა და

---

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 672, ფურც. 23.

[2] იქვე.

[3] იქვე, № 673, ფურც. 38—39.

ლიბანელმა გამგებელმა მას უარი შემოჰკადრეს, შიშობდნენ, რომ ჩვენ ხვანთქრის წინააღმდეგ მოჯანყე მმართველებად გვიცნობენ და ვაითუ ოსმალეთის მეთაური მოტყუებას ცდილობდეს და თავები წაგვაცალოსო. დამასკოს გამოცხადდა მხოლოდ კეკი აბდი-ფაშა და ათასი ცხენოსანი მიიყვანა[1]. დახმარება არც რუმინეთიდან მოდიოდა. იქაურმა მბრძანებელმა სკუტარის მაჰმუდ-ფაშამ, როგორც რუსეთის ელჩი (15) 26 ივლისის მოხსენებით იტყობინებოდა, ხვანთქარს შეუთვალა: კაიროს ვერც ჩემ ძმას გაგიგზავნი და ვერც ვერავის ჩემი მიწა-წყლის შვილებიდან, იმიტომ, რომ გალიონჯები (ანუ საზღვაო ძალები) წარსულში ცუდად ექცეოდნენ ალბანელებს და ახლა არც ერთ მათგანს არ სურს გალიონჯებთან ერთად ეგვიპტეში შეჭრაო. ხვანთქარმა კაპუდან-ფაშას უბრძანა—ალექსანდრიას არ გასცდე, მაგრამ არც სამარცხვინოდ დაბრუნდე უკან და პოლიტიკითა და ეშმაკობით ეცადე ბეგების მომხრობა — დასჯერდი მათგან იმ თანხას, რასაც შემოგაძლევენ და მოსთხოვე პირობა, რომ მომავალში თავიანთ თანამდებობას კანონიერად აღასრულებენო[2].

სტამბოლის კარზე სულ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს ის შეხედულება, რომ უკეთუ კაპუდან-ფაშა ვერ შეძლებდა მამლუქების მოსპობას იქ, სადაც ფლოტი და სახმელეთო ჯარი უძლური იყო და ლელო ეშმაკობას უნდა გაეტანა, ხვანთქრის მთავრობა საქვეყნოდ დიდ სირცხვილს ჰპმდა და ეგვიპტეში მამლუქ ბელადებსაც უფრო გააამაყებდა[3].

სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 17 ივნისის დღიურში შემდეგი ჩანიშნეს: „როგორც ხალხი ლაპარაკობს, კაპუდან-ფაშას, რომელიც განდევნილი ბეგების მეთაურობით მოელის მექასა და მედინას შერიფების მიერ გამოგზავნილ ჯარებს და სირიიდან ფაშების სარდლობით ოსმალური ჯარების მოშველიების იმედიც აქვს, ახლა არც ისე იოლად ეჩვენება ნაკისრი ექსპედიციის ასრულება, რადგანაც კარგად ხედავს, რომ ბეგები, რომლებიც თათბირს თათბირზე მართავენ, კაიროში საუცხოოდ გამაგრებულან, ხოლო გარეუბნებში მძლავრი საყარაულო რაზმები ჩაუყენებიათ"[4]. კაიროდან განდევნილი ბეგები, რომელთა მეთაურობითაც კაპუდან-ფაშა ჯარებს მოელოდა მექადან და მედინადან, იყვნენ ისმაილ-ბეი და ჰასან-ჯიდელი — ორივე ქართველი.

ხუთ ივლისს, ხვანთქარმა კაპუდან-ფაშას შიკრიკის მეშვეობით მიიღო ცნობა, რომ იერიშით აიღო ქ. როზეტა, დაამარცხა მამლუქი ბელადების ჯარი, ორი მთავარი ბეგი ტყვედ იგდო და კაიროს საალყოდ წავიდა. ამავე დროს რეის-ეფენდიმ (საგარეო საქმეთა მინისტრი) მიიღო რუსეთის საელჩოს თარჯიმანი პიზანია და შემდეგი „ინფორმაცია" მიაწოდა: კაპუდან-ფაშამ, შე-

---

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 674, ფურ. 22—23.

[2] იქვე, საქმე № 673, ფურც. 33—34.

[3] იქვე.

[4] იქვე, საქმე № 674, ფურც. 17.

გეგმა რომ თავისი ფლოტით ალექსანდრიაში, ბეგების შვიდიათასიანი ჯარი შენიშნა. ამ ჯარის კიბიცია ზედ ოსმალური ხომალდების ცხვირწინ დაიკავა. ქვეითი ჯარისა და ფლოტის კოორდინირებული დარტყმით ოსმალებმა ბეგების კორპუსი გაანადგურეს. ძლევა მხარის ყველა ზარბაზანი გამარჯვებულს დარჩა. ბრძოლის ველზე დამარცხებულმა მხარემ სამასი დიდი ჩალმა დატოვა. ეს ინფორმაცია რეის-ეფენდიმ ეფექტის მოსახდენად გააკეთა, მაგრამ მიზანში ვერ მოარტყა: რუსეთის საელჩო წერდა: „რეის-ეფენდის ცნობა აბსურდულია: ეგვიპტელები ისეთი რეგვენები როდი არიან, რომ ოსმალეთის ფლოტის მთელ მრისხანე ძალას თავი შეუშვირონ. რეის-ეფენდის ინფორმაცია — დასძენდა რუსეთის ელჩი — გამიზნულია იმისათვის, რომ სტამბოლში კაპუდან-ფაშას პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე გავლენა მოახდინოს“[1].

ამასობაში კაიროს მამლუქ ბელადებს შორის ჯერ კიდევ ვერ უნდა ყოფილიყო დამყარებული სრული ერთსულოვნება. ამაზე მეტყველებს თუნდაც კაიროს ფაშას — გუბერნატორ იეენ-მეჰმედის საქმე. რამდენჯერმე მიიღო სტამბოლმა ცნობა მისი გადაყენების შესახებ, მაგრამ ეს არ მომხდარა. სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის იელისის დღიურში ნათქვამი იყო: ბეგებს სურდათ იეენ-მეჰმედ-ფაშას შეცვლა, მაგრამ მან თითქოს სიმტკიცე გამოიჩინა, ამ საქმეზე ხვანთქრის სატი-შერიფი მოითხოვა და იმუქრებოდა — ჩავიკეტები ციხე-სიმაგრეში და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შეგებრძოლებით, თუ ჩემს წინააღმდეგ ძალას იხმართო[2]. წყაროები მოწმობენ, რომ იეენ-ფაშას ზურგს უმაგრებდნენ კაიროს მდიდარი მოქალაქენი. მერყეობა, გაუბედაობა ოსმალეთის ხვანთქრის მიერ დაყენებულ საქვეყნო გამგებელთან ანგარიშსწორებაში ზიანს აყენებდა აჯანყებას. იეენ-მეჰმედ-ფაშას ‹პოსტიდან დაუძვრელობა არა მარტო კაიროს მდიდარი ფენების მხარდაჭერით, არამედ მნიშვნელოვანწილად იმითაც აიხსნებოდა, რომ ეს პიროვნება ხვანთქრის მოქნილი სატრაპი აღმოჩნდა, გამტარებელი პრინციპისა — „ხერხი სჯობია ღონესა“. ის ხვანთქარს არწმუნებდა — ექსპედიცია არაფრის მაქნისია, წამოწყებულია არახელსაყრელ დროს, როცა მეჭას მლოცველები უნდა გაეგზავნათ და გაეცილებინათ სათანადო ბაღრაგით. „სულ მცირეოდენ უწესრიგობასაც კი შეუძლია ქვეყანას აშლილობა შეამთხვიოს და მლოცველთა საღვთო მოგზაურობა შეაჩეროს: კაპუდან-ფაშას კაიროში მისვლის შემდეგ ბეგები ან წინააღმდეგობის გაწევით, ანდა კაიროში მისვლის შემდეგ ქალაქიდან გასვლით თავდაცვის საშუალებას მონახავენ: გირჩევთ, ექსპედიციაზე ხელი აიღოთ და ალერსიანი მოქცევით ბეგების შემორიგება მე მომანდოთო“, სწერდა იეენ-მეჰმედ-ფაშა ხვანთქარს. ხვანთქარმა მისი აზრი მოიწონა და კაპუდან-ფაშას შეუთვალა იეენ-მეჰმედთან შეთანხმებულად ემოქმედნა. სტამბოლის ოფიციალურ წრეებში იფეთქა იმედმა, იქნებ

---

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 674, ფურც. 35—36.

[2] იქვე, ფურც. 22—29.

ვეღირსოთ დიდი ვაზირის გადაყენებას, კაპუდან-ფაშა სტამბოლში არ დაბრუნდეს და რომელიღაც პროვინციის მმართველად დარჩესო[1].

ქალაქ როზეტაში ყოფნის დროს კაპუდან-ფაშა ჰხოლოდ მოსახლეობას აიარაღებდა. მამლუქები კი, რომლებიც გარდა ზემოხსენებული ფაქტორებისა, ალბათ იმხანად ინფორმირებული იყვნენ ხვანთქრის სამშვიდობო განზრახვებისა და სტამბოლის კარზე კაპუდან-ფაშას მიმართ ოპოზიციის არსებობის შესახებ, ამჯობინებდნენ კონფლიქტი მშვიდობიანად გადაეჭრათ და ხვანთქარი თავიანთ პირობებზე სისხლისმღვრელი ბრძოლების გარეშე დაეყოლებინათ, 1786 წლის 13 ივლისს რუსეთის ალექსანდრიელმა კონსულმა ტონუსმა კაპუდან-ფაშას გაუგზავნა მეამბოხე ბელადების წერილი. ამურატ და იბრაჰიმ ბეგების ტონუსისადმი გაგზავნილ წერილში შემდეგი იყო ნათქვამი: „კაპუდან-ფაშას გამოლაშქრება ზოგიერთი ბოროტი პიროვნების მხრივ ჩაგონების ნაყოფია. ჩვენ ვიცნობთ ხვანთქრის უმაღლესობას. გთხოვთ დაუკავშირდეთ კაპუდან-ფაშას, მისი მივლინების მიზეზი შეიტყოთ და განზრახვები გამოჰკითხოთ, აცნობოთ, რომ ჩვენ არავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევთ, ოღონდ მან თავისი ბრძნული განზრახვები მოგვწეროს. ქვეყანაზე არავინ არის იმისთანა, ცოდვა არ ჩაედინოს და, თუ ჩვენც ცოდვა რამ მიგვიძღვის, ვინანიებთ მას. თუ ის ჩვენგან მოითხოვს ანგარიშს ადმინისტრაციისა და ფინანსების შესახებ, ანდა ვალების ზომიერად გადახდას, დაე შემოგვითვალოს თქვენი მეშვეობით და როგორც მიგვითითებთ, ან რასაც მისი ნება გადაგვიწყვეტს, ჩვენც იმას გავაკეთებთ, ახლა ლოცვის ჟამია და სისხლისღვრა რომ დავატრიალოთ, ბევრი ადამიანი შავით შეიმოსება. თქვენ, ვითარცა რუსეთის მოხელეს, გთხოვთ საქმეში ჩაერიოთ. როგორც კი საქმე გარიგდება, ჩვენ კაპუდან-ფაშას დავემორჩილებით. ამ მიზნით თავაზიანად გიგზავნით საჩუქრებს, მოვიკითხავთ თქვენს ჯანმრთელობას და თხოვნით მოგმართავთ. თქვენზეა დამოკიდებული საქმის დაბოლოება. ჩვენ ავასრულებთ ყველაფერს, რასაც მოგვთხოვენ, ფულით იქნება, თუ სხვა რამით. ვგრძნობთ, რომ მიწიერი იმპერატორის ხელქვეითნი ვართ, სასურველია, პასუხი გამოგვიგზავნოთ იმავე კაცის ხელით, რომელიც ჩვენს საჩუქრებს მოგიტანთ და ყოველივე ეს საიდუმლოდ გააკეთოთო"[2].

ამ წერილის შევსებას წარმოადგენს სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წ. 13 ივლისის ღღიური, სადაც ჩანიშნული იყო, რომ „ამას წინათ კაპუდან-ფაშას არწმუნებდნენ, ბეგებს სურდათ თქვენთვის ათას რვაასი ჭისა ოქრო (900 ათასი პიასტრი) გამოეგზავნათ, მაგრამ ამის მაგიერ მხოლოდ ორასი ჭისა მოგართვეს და თან თადარიგი დაიჭირეს 30 ათასი მეომრით შეგებრძოლონ, თუ ამ თანხას არ დასჯერდებიო". ასეთი. რამ, როგორც წერს ვოლნეი, მომგებიანი იყო ხვანთქრის დიდკაცებისათვის. ისინი ჰყიდდნენ მოჯანყეებზე თავიანთ მფარველობასა და გავლენას, თვალს ხუჭავდნენ მათ ურჩობაზე, ფარისეველურად

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე №674, ფურც. 7—8.

[2] იქვე, საქმე № 678, ფურც. 3—8.

ამშვიდებდნენ ხვანთქარს და ამ გზით მოჯანყე ბეგებისაგან რიგიან თანხას იჯიბებდნენ. ახლანდელმა ადმირალმაო, — დასძენს ვოლნეი, — ამ ხერხით იბრაჰიმისა და მურადისაგან უკვე დიდძალი ფული მიიღო. მაგრამ, როცა 1786 წელს მოჯანყე ბეგებმა სცადეს შეჰრიგებლური წერილით კაპუდან-ფაშას დაშოშმინება და ფულის შეძლევით მისგან თავის დაღწევა, ბეგებს ეს მოლოდინი არ გაუმართლდათ და თავი ვერ დააღწიეს დიდი თავდაცვითი ომის წარმოებას ოსმალეთის წინააღმდეგ.

კაპუდან-ფაშასთან კაიროს ბელადების ამ მიმოწერის პერიოდს შეეხება სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის აგვისტოს დღიური, სადაც ჩანიშნულია: „31 ივლისს კაპუდან-ფაშას შიკრიკი ჩამოვიდა და ამბავი ჩამოიტანა, კაიროს ბეგებმა ადმირალს შესარიგებლად რა შიდში სამი მოხელე აწვიესო. მან ისინი კარგად მიიღო, თვითეული მათგანი ქურქით დააჯილდოვა და ბინა ერთ-ერთი ხელქვეითის ოჯახში მიუჩინა. ამავე დროს კაპუდან-ფაშამ გემებინილოსში შეიყვანა. მეორე მხრივ, სახაზინო ფულის შესაკრებად ეგვიპტეში გაგზავნილმა ვინმე გენჯ-მეჰმედ-აღამ 50 ათასი ქისა ოქრო შეკრიბა და ამ თანხით კაპუდან-ფაშას რაშიდში ეწვია[1]. მას შემდეგ, რაც ტონუსმა მოჯანყე ბეგებს კაპუდან-ფაშას პასუხი გაუგზავნა, განელო ოთხმა დღემ და ოსმალეთის ამირბარმა იერიში მიიტანა მამლუქების ერთ პატარა კორპუსზე ფავას მახლობლად; შეტაკება მოხდა 1786 წ. 20 აგვისტოს. ღამით და ორივე მხრიდან რამდენიმე კაცი მოკლეს. 23 ივლისს მან ღუზა აუშვა და გეზი კაიროს მიმართულებით აიღო[2].

„კაიროს ერთი შეიხი,—სწერდა რუსეთის გენერალური კონსული სმირნაში პეტრე ფერიერი,—რომელსაც ხალხი უჯერებს და პატივს სცემს, მოუწოდებს ბეგებს კაპუდან-ფაშასთან ქალაქ კაიროში ბრძოლა არ გამართონ და ხვანთქარს დაემორჩილონ, ხოლო თუ დამორჩილება არ სურთ, გავიდნენ ქალაქიდან და მის ფარგლებს გარეთ შეებან მტერს“[3].

სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის აგვისტოს დღიურში შეტანილია ვერსია, რომელშიაც უცნობი ავტორების მიერ განზრახ არის შეფერადებული კაპუდან-ფაშას კაიროში შესვლის ამბავი. 4 აგვისტოს კაპუდან-ფაშას შიკრიკმა ხვანთქრის კარს შეატყობინა—ოსმალეთის დიდმა ამირბარმა მოახერხა თავის მხარეზე ეგვიპტის ყველა მოქალაქის გადაბირება, მამლუქ ბელადებთანაც ბრძოლა გადაიხადა, გაანადგურა ისინი და მათ ბანაკს დაეუფლა. გახარებულმა ხვანთქარმა გამარჯვების აღსანიშნავად სპეციალური ხატიშერიფი გამოსცა“[4]. თუ რუსულ წყაროებს დავეყრდნობით, კაიროში კაპუდან-ფაშა შევიდა 1786 წლის 30 ივლისს. ნილოსის სანაპიროზე მისი გადასვლის მომენტში თვრამეტი

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 674, ფურც. 54.

[2] იქვე, საქმე № 678, ფურც. 3—8.

[3] იქვე, საქმე № 679, ფურც. 86.

[4] იქვე, საქმე № 674, ფურც. 56—57.

მამლუქი ბელადი და მათი თოთხმეტი ათასი მეომარი ეგვიპტის სატახტო ქალაქს ტოვებდა და პოზიციას კაიროდან სამი საათის სავალზე იკავებდა. მართალია, კაპუდან-ფაშამ მათ საგანგებო შიკრიკის ხელით წერილი გაუგზავნა, მაგრამ აჯანყებულებმა დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღეს. უცადეს რა ასეთ პასუხს სამი დღის განმავლობაში, მამლუქთა ბელადებმა ბანაკი აშალეს და ზემო ეგვიპტეს მიაშურეს[1].

ასეთია ოსმალეთის ჯარის მიერ კაიროს აღების რუსული ვერსია. ამ ვერსიის ავტორებს, ჩვენი აზრით, მხედველობიდან ბევრი ნიუანსი გამოეპარათ, რაშიაც ქვემოთ დავრწმუნდებით.

თვითონ კაპუდან-ფაშა ერთ-ერთ მოხსენებაში კაიროს აღების შესახებ ხვანთქარს სწერდა: „სატახტო ქალაქს რომ მივუახლოვდი, ყველა მამლუქი ბელადი გაიქცა. ულემები და შეძლებული ადამიანები ჩემს შესახვედრად გამოეფინენ და ქალაქში მეპატიჟებოდნენ. მეც კაიროში შევედი ისე, რომ სისხლის ერთი წვეთიც არ დაღვრილა. ხალხი სიხარულს გამოხატავდა და ხვანთქარს ლოცავდა“[2]. კაპუდან-ფაშას ტრაბახის ბოლო ნაწილი შუქს ჰფენს საკითხს, თუ ვის ეშყარებოდა ხვანთქრის მიერ დანიშნული გამგებლის იეენ-მეჰმედ-ფაშას ძლიერება, ვინ უმაგრებდა მას ზურგს და უვნებელს ხდიდა აჯანყებული მამლუქი ბელადების ყველა მტრულ ცდას მის წინააღმდეგ. ესენი იყვნენ ულემები და შეძლებული ადამიანები. მამლუქების აჯანყება არ პასუხობდა მათ ინტერესებს.

კაიროში შესული კაპუდან-ფაშა იბრაჰიმ შინჯიკაშვილის ბინაში ჰოეწყო და სამი რაზმი ზემო ეგვიპტეში გადასულ მამლუქ ბელადებს დაადევნა. აჯანყებული წინამძღოლებიდან კაიროში დარჩა მოხუცი სოლეიმან-ბეი (გვარად ტარბაიძე — იგივე ტარბაისიძე). იგი ნებაყოფლობით დამორჩილებია კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანს. სხვა ცნობა იუწყება, რომ ოსმალეთის პირველმა ამირბარმა კაიროში ორი მამლუქი ბელადი იპოვა, მაგრამ სახელდობრ ვინ იყვნენ ეს წინამძღოლები, ამას ეს წყარო არ მიუთითებს.

ჰეშმარიტების წინაშე რამდენადმე სცოდავს აბდარ-რახმან ალ-ჯაბარტის რუსი კომენტატორი, როცა წერს: კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანმა აიღო ქვემო ეგვიპტე, ბრძოლით კაიროსაც დაეუფლა და მამლუქები ქვეყნის სამხრეთ ნაწილში გადარეკაო[3]. როგორც უკვე ზემოთ მოტანილი მასალებიდან ირკვევა და ქვემოთაც დავინახავთ მამლუქ ბელადებს არ უცდიათ კაიროსთან სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. ამიტომ სიტყვა „გადარეკა“ აქ არ არის ზუსტი.

რამდენიმე ევროპული წყარო გვეხმარება ჰეშმარიტების დადგენაში.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ფრანგი ისტორიკოსი არასწორად აშუქებს ოსმალეთის ბრძოლის არსს. აი, მაგალითად, რას წერს

---

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 678, ფურც. 3—8.

[2] იგივე ფონდი. საქმე №674, ფურც. 3ნ.

[3] А б д. Д ж а б а р т и. Египет в период экспедиции Бонапарта. М., 1962, გვ. 501.

ლ. პინო: „კაპუდან-ფაშა ჰასანის ლაშქრობა 1786 წ. ზაფხულის ბოლოს ვოეწყო. მამლუქების წინააღმდეგობა ხანმოკლე იყო. მათმა ბელადებმა პირველსავე ბრძოლაში მთელი არტილერია დაკარგეს. სახელდობრ, ფრანგების მიერ მიწოდებული რვა ზარბაზანი (ასე ამბობდნენ) და თავი ზემო ეგვიპტეს შეაფარეს. საშუამავლო თხოვნა, რომლითაც ბელადებმა რუსეთის კონსულს მიმართეს, კაპუდან-ფაშამ ხელთ იგდო. ამ უკანასკნელმა დაამტკიცა, რომ მისი ექსპედიცია მიმართული იყო უფრო უცხოელებისა, ვიდრე აჯანყებული მამლუქების წინააღმდეგ. ერთი ფრანგული ფრეგატი, რომლის კაპიტანმაც არაფერი იცოდა ამ ამბების შესახებ, სუეცთან გამოჩნდა, ჰასანმა მას მუქარით უბრძანა უკან წასულიყო, საზრდო დაუკავა და მხოლოდ საფრანგეთისაკენ რამდენიმე დეპეშის გაგზავნის ნება დართო. საინტერესოა, რომ, როცა ვას უჩვენეს მისივე წერილი, რომელშიაც იგი ევროპელებს პრივილეგიებს სთავაზობდა, მან უარჰყო ეს საბუთი, ზურგი შეაქცია რა თავისსავე ხელნაწერს. საფრანგეთის კონვენციები დიდი ხნით აღმოჩნდა გაქარწყლებული"[1]. მთავარი იყო ოსმალეთისათვის ხარკის ამოღება და არა ფრანგულ კონვენციებზე დარტყმა.

პინოს ცნობა, ჩვენი აზრით, უნდა უკავშირდებოდეს მამლუქი ბელადების ზემოხსენებულ წერილს, რომელიც ტონუსს გაეგზავნა.

კონსული ტონუსი მამლუქების ერთადერთი შუამავალი როდი ყოფილა. ფრანგი ისტორიკოსი მარსელი, აშუქებს რა ამბების სამხედრო ასპექტს, წერს: „კაპუდან-ფაშა ჰასანის ჩასვლამ ბეგებს შიში მოჰგვარა. მათ სათათბიროდ დიევანი შეჰყარეს. დაბნეულობამ ხელი შეუშალა შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღებას. ამიტომ მამლუქმა ბელადებმა კაიროს ფაშას შუამდგომლობა სთხოვეს. მან უარი განაცხადა. მაშინ საშველად მოუხმეს შეიხ აჰმედ-ელ-არიშს ჯამე-ედ-აზჰარის მეჩეთის წინამძღვარს და სხვა შეიხის მუჰამედ-ელ-მოჰდის შეწუხებაც გადაწყვიტეს. ორივე ამ პიროვნებამ როზეტას წასელა და კაპუდან-ფაშასაგან წყალობის გამოთხოვა იკისრა. ჰასან-ფაშამ ისინი ძალიან კარგად მიიღო. მათ მამლუქი ბელადებისათვის თავი არ შეუწუხებიათ და კაპუდან-ფაშას სთხოვეს—კაიროს მოსახლეობას ხელს ნუ ახლებ, იგი უდანაშაულოა, მამლუქებს კი რაც გნებავთ ის დამართეთო, თან მოუყვანეს ალაჰის მცნება — დამპყრობლებს თავს დაატყდებათ სწორედ ის უბედურება, რომელსაც ისინი ხალხებს უმზადებენო"[2].

„გაგზავნა თუ არა ორი ზემოხსენებული მუსულმანი მღვდელ-მსახური ჰასან-ფაშასთან, მურად-ბეი—განაგრძობს იგივე ფრანგი ისტორიკოსი,—შიშისა, და დაბნეულობისაგან გამოერკვა და მამლუქთა რიგებში გადაისროლა ცეცხლოვანი მოწოდება მტრისთვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევის შესახებ. მამლუქი ბელადების საბჭომ ამ წინადადებას კენჭი ერთხმად უყარა. კაპუდან-

[1] L. Pingaud, დასახ. მონოგრ., 1887, პარიზი, გვ. 124—125.

[2] Marcel, დასახ. მონოგრაფია, 1848, პარიზი, ტ. I, გვ. 244—245.

ფაშა-ჰასანზე გალაშქრება მურად-ბეიმ ითავა, ხოლო იბრაჰიმ-ბეი უფროსი (მარტყოფელი შინჯიკაშვილი — დ. ჯ.) კაიროში დარჩა — ქალაქის გასამაგრებლად. იმ დროს, როცა მშვიდობის ორი მუსულმანი მოციქული კაპუდან-ფაშას კარავში იმყოფებოდა, მურად-ბეის თავისი სპით უკვე რაჰმანიეჰის გარეუბნები დაეჭირა. ეს ადგილი მალე სისხლისმღვრელი ბრძოლების ასპარეზად იქცა. მამლუქებს არც ზარბაზნები ჰქონდათ და არც ქვეითი სპა ჰყავდათ. კაპუდან-ფაშას ორივე გააჩნდა. მურად-ბეი დამარცხდა. იგი და სხვა ათი ბელადი კაიროს წავიდა. უკან დახევას უწესრიგო ხასიათი ჰქონდა, კაიროში მამლუქი თავკაცები ზემოხსენებულ იბრაჰიმ-ბეისთან შემოიკრიბნენ და ბჭობის შემდეგ სასწრაფოდ თავი საიდს (ზემო ეგვიპტე — დ. ჯ.) შეაფარეს. ისინი ელოდნენ, რომ ოსმალები აქ მათზე იერიშს მიიტანდნენ. ნახა რა კაირო მამლუქთა მიერ ევაკუირებული, ოსმალეთის ფაშამ ევენ-მეჰმედმა შეკრიბა ოჯაკლები და მათი რაზმებით ციტადელიდან გამოსული ოტომანთა არმიის გენერალისიმუსის შესახვედრად მოემზადა. კაპუდან-ფაშა ჰასანი, რომელმაც აიკლო თავის მარშრუტზე მდებარე მთელი ქვეყანა, 1786 წ. 1 აგვისტოს კაიროში შევიდა"[1].

ჩვენი აზრით, ვერც რუსული და ვერც მარსელისეული ვერსიები კაიროს აღების ნამდვილ სურათს ვერ წარმოგვიდგენენ. მათ წინაშე უპირატესობა უნდა მივანიჭოთ მესამეს, მეტად საინტერესო ვერსიას, რომელიც გრაფ ფერიერ-სოვებეფს ეკუთვნის: „კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანის ექსპედიცია სინამდვილეში ისე როდი წარმართულა, როგორც საზოგადოებას უხატავდნენ. ეგვიპტეში მან გადასხა რამდენიმე შენაერთი და საამისოდ მოიმიზეზა — შესვენებას ვაწყობ, თორემ ამ ქვეყანასთან არაფერი მესაქმებაო. ამით დაამშვიდა მამლუქი ბელადები, რომლებიც შეაშფოთა ნილოსის დელტაზე მისი დესანტის გამოჩენამ. კაპუდან-ფაშამ საბაჟო ორგანოებს ანგარიშის ჩაბარება მოსთხოვა, დასჯა რამდენიმე მოხელე, რომელთაც ბრალი ედებოდათ უკანონოდ მოქმედებაში და საქვეყნოდ გამოაცხადა — ეგვიპტეში ჩამოვედი იმისათვის, რომ გავასამართლო კაიროს ოსმალო ფაშა, რომელსაც ძალადობის ბევრ ფაქტს უჩივიანო. ეს ფაშა საიდუმლოდ იყო მოლაპარაკებული ხვანთქრის ამ პირველ ამირბართან. კაპუდან-ფაშა გაჰყვა ნილოსის კალაპოტს და ბრძოლა გაუმართა რამდენიმე მამლუქ ბელადს. ახლა ეგვიპტის აჯანყებული წინამძღოლები მდგომარეობის ნამდვილ ხასიათში გაერკვნენ და თავიანთი ჯარებით კაიროდან გამოვიდნენ, რათა შეხვედროდნენ კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანს და შებრძოლებოდნენ მას. მაგრამ როგორც კი სატახტოს რამდენიმე ნაბიჯზე გამოშორდნენ, ოსმალოს ფაშამ (იეენ-მეჰმედი—დ. ჯ.) მაშინვე დაკეტა ქალაქის კარები. ხვანთქრის გუბერნატორის ასეთმა საქციელმა მამლუქი ბელადები დააბნია, მათ იფიქრეს—კაიროს მოსახლეობამ გვიღალატაო, დიდი მანძილით გაშორდნენ სატახტოს და ყოველღღიურად თავს ესხმოდნენ კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანის მცირერიცხოვან არმიას. ოსმალეთის პირველი ამირბარი შევიდა კაიროში და გამოიკითხა, ვინ იყვნენ

[1] Marcel, დასახ. მონოგრ., 1848, ტ. I, გვ. 245—246.

ყველაზე მდიდარი მოქალაქენი. მას სურდა, მათთვის ქონება წაერთმია იმის მომიზეზებით, რომ თითქოს ისინი მამლუქ ბელადებთან უშუალოდ იყვნენ და კავშირებულნი, ანდა მათი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებდნენ"[1].

ეს ციტატა ფერიერ-სოვბეფიდან მოწმობს, რომ კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანს ეგვიპტეში ჩასვლისთანავე ჰზაკვრული მეთოდები გამოუყენებია და უცდია აჯანყებული მამლუქი ბელადები შეცდომაში შეეყვანა, რათა საქმე ჰქონოდა დემობილიზებულ და მოუმზადებელ მტერთან. ასეთი ეშმაკობა მას ექსპედიციის წარმატების საუკეთესო საშუალებად უცვნია. ირკვევა, რომ ჰეშმარიტად სრული საფუძვლიანობით შენიშნავდა სტამბოლის რუსული საელჩო „სტამბოლის კარზე სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა ის შეხედულება, რომ უკეთუ კაპუდან-ფაშა პოლიტიკით ვერ შეძლებდა მამლუქების მოსპობას, ხვანთქრის მთავრობა საქვეყნოდ დიდ სირცხვილს იგემებდა და მამლუქი ბელადებიც უფრო ამაყები გახდებოდნენ[2].

ფერიერ-სოვბეფის ვერსია გვეხმარება პასუხი გავცეთ ბუნებრივად წამოჭრილ კითხვას: თუ აჯანყებული მამლუქები თავიდანვე გულმოდგინედ ემზადებოდნენ კაიროს დასაცავად და გამოთქვამდნენ მზადყოფნას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაეცვათ ეს სატახტო ქალაქი, შემდეგ რამ აიძულა ისინი, ერთბაშად შეეცვალათ გადაწყვეტილება და სწრაფად გასცლოდნენ მას? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ფერიერ-სოვბეფის ზემოთ მოყვანილი ვერსია. კაიროს მოულოდნელ დატოვებაში ბრალი მიუძღოდა ცბიერი იეენ-მეჰმედ ფაშას ვერაგობას. მან კარები დაუკეტა ქალაქიდან მტრის საიერიშოდ გასულ მამლუქ ბელადებს და ამ მუხანათობით, მოახდინა რა იმ ბელადების დეზორიენტირება, ლახვარი ჩასცა კაიროს დაცვის საგულდაგულოდ შემზადებულ საქმეს. კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანს და ეგვიპტის ოსმალ გუბერნატორს იეენ-მეჰმედ-ფაშას მუხანათური ხერხების გამოყენება სჭირდებოდათ იმიტომ, რომ ოსმალების მთავარ ამირბარს ალექსანდრიასთან სამხედრო-საზღვაო დესანტის გადასხმის ღროს მცირე ძალები ჰყავდა: დიდი მაშველი რაზმები მან შემდეგ მიიღო. სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 9 აგვისტოს დღიურში ნათქვამი იყო, რომ ოსმალეთის დედაქალაქში ბევრი მოჰორილად თვლიდა კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანის იმ გაჰარჯვების ამბავს, რომელიც ხუთ აგვისტოს გამოაცხადეს. სტამბოლში შეაღწია ცნობამ, რომ მართალია ხვანთქრის პირველი ამირბარი თავს დაესხა ქაშიფებს, მაგრამ ვერაფერს გახდა, პირიქით მოხდა: კინაღამ ტყვედ ჩაუვარდა აჯანყებულ მამლუქთა რაზმებს და საქმეს უშველა ოსმალო გუბერნატორის ზემოხსენებულმა მუხანათობამ, რომელმაც მამლუქი ბელადები იძულებული გახადა მთელი თავიანთი არმია სამხრეთ ეგვიპტეში გადაეყვანა. კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანი მამლუქებზე დადევნებულ მეთაურებს დაჰპირდა — აჯანყებული ბელადების ქონებით დაგასაჩუქრებთ, თუ იმათ ცოცხლად

[1] F. Sauvebeuf, დასახ. თხზულება, ტ. I, 1790, გვ. 100—101.

[2] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 673, ფურც. 33—34.

შეიპყრობთ და მომიყვანთო. ამავე დროს ღაზი-ჰასანმა სხვადასხვა მხარეს შიკრიკები აფრინა, რომელთაც მიჰქონდათ ფირმანები და მანიფესტები აჯანყებული მამლუქი ბელადების ცოცხლად შეპყრობის აუცილებლობის შესახებ[1].

კაპუდან-ფაშას ექსპედიციას, როგორც ირკვევა, დიდად უწყობდა ხელს ეგვიპტეში არსებული შინაური პროოსმალური აგენტურა. ამის შესახებ ჯაბარტი მოგვითხრობს: „კაპუდან-ფაშა-ჰასანი რომ ეგვიპტეში ჩავიდა, იბრაჰიმბეი უფროსი, მურად-ბეი და სხვა ემირები კაიროდან წავიდნენ, მაგრამ ალი-ფაშამ (ალი-ბეი დიდის ერთ-ერთი მთავარი მოღალატე ალი-ბეი დევთერდარი — დ. ჯ.) მათ მაგალითს არ მიჰბაძა. მას ადრეც საიდუმლო მიმოწერა ჰქონია კაპუდან-ფაშა-ჰასანთან. ხოლო მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი კაიროში დამკვიდრდა, ალი-ბეი მასთან გამოცხადდა. ჰასანმა მას ერთდროულად ორი პოსტი უბოძა — სანჯაყისა და დევთერდარისა. ხელისუფლების ყველა ღვედი ალი-ბეის ხელში აღმოჩნდა: იგი ემირიც იყო და მთავარსარდალიც. არავითარი საქმე მის უკითხავად არ გადაწყდებოდა. მასთან ბინაში მიმდინარეობდა ოსმალური დივანის სხდომები. იგი თავისი შეხედულებით ნიშნავდა ემირებს და არიგებდა უმაღლეს პოსტებს. იგი ცნობილი გახდა ეგვიპტის ყველა პროვინციაში, სირიასა და ოსმალეთში. ალი-ბეიმ ურჩია ოსმალებს მურად-კაშიფისათვის სანჯაყის ჩინი მიეცათ და ამირ-ალ-ჰაჯად დაენიშნათ. სახელ „მურადისადმი“ ზიზღის ნიშნად ამ კაშიფს მისცა ზედსახელი—მუჰამედ-შეი-ალ-მაბულა, რომელიც ცნობილ პიროვნებად იქცა. ალი-ბეიმ გაქცეულ ემირთა ნაკვალევზე რაზმი გაგზავნა და 1786 წლის ბოლომდე იგი ეგვიპტის სრულუფლებიან ბატონს წარმოადგენდა. მისმა დიდებამ გასტანა მანამ, ვიდრე ეგვიპტის გამგებლად ისმაილბეი არ დაინიშნებოდა და ჰასან-ფაშა ეგვიპტიდან ოსმალეთს არ წავიდოდა“[2].

კაიროში შესულმა კაპუდან-ფაშამ არ დააყოვნა ქალაქიდან წასული ბეგების ქონების დატაცება, სიკვდილით დასჯა ოთხი სარაფი (ბანკირი), რომლებიც მამლუქი ბელადების სამსახურში ყოფილიყვნენ და ის მეზარბაზნე, რომელმაც მას ჰურვით ხომალდზე ანძა გადაუმტვრია[3].

რუსეთის ელჩის ბულგაკოვის მოხსენებაში, რომელიც 1786 წლის აგვისტოს სინამდვილეს უნდა ასახავდეს, ნათქვამია: „კაპუდან-ფაშას რაც შეეხება, სწორი ის არის, რომ, არ ძალუძდა რა აჯანყებულ მამლუქ ბელადებს გამკლავებოდა, დაჰპირდა — ეგვიპტეს წინანდელ საფუძველზე დაგიბრუნებთ, თუ ხვანთქრისათვის ხარკის ძღევას იკისრებთო. მათ უპასუხიათ — ხარკზე ყაბულსა ვართ, მაგრამ ეგვიპტის გამგებლობას ხელს არ მოვკიდებთ მანამ, ვიდრე შენ სტამბოლს არ წახვალო. ეს რომ კაიროს მოქალაქეებმა შეიტყვეს, კაპუდან-ფაშას მიმართ მკაცრი თვალყური დააწესეს — მურად და იბრაიმ ბეგებს არ შეურიგდეს და ქალაქიდან არ წავიდესო“[4].

[1] რუსეთის საგარეო-პოლიტიკის არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 674, ფურც. 60—61.

[2] А б д. Д ж а б а р т и, დასახ. თხზულება, 1962, მოსკოვი.

[3] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე №674, ფურც. 62—63.

[4] იქვე, საქმე № 691, ფურც. 47.

1786 წლის 11 აგვისტოს სტამბოლში დივანის ხანგრძლივი ბჭობა შედგა. როგორც რუსეთის საელჩომ შეიტყო, დივანზე გადაწყვიტეს, ეგვიპტის მმართველობა კი არ შეეცვალათ, არამედ წინანდელი აღედგინათ, დაენიშნათ ახალი ბეგები და მათთვის ზომიერი შემოსავალი დაეწესებინათ: გათვალისწინებულ იქნა, რომ ეგვიპტე არა მარტო ჩვეულებრივ ყოველწლიურ ხარკს გაისტუმრებდა და საღვთო ქალაქის მექას მომარაგების ხარჯებს დაფარავდა (ეს, საერთოდ აღებული უდრიდა ორნახევარ მილიონ პიასტრს, ანუ ხუთი ათას ჭისას), არამედ აგრეთვე შეინახავდა იანიჩრების, ჯებეჯიების, თოფჩიების და საოკუპაციო ძალების სხვა კორპუსებს. კაიროში შესვლის შემდეგ კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანი ტრაბახობდა, რომ მომავალი წლის ზაფხულში ჯარს ყირიმის დასაპყრობად წაუძღვებოდა. მას სტამბოლის სასახლის კარი საჩუქრად უმზადებდა მდიდრულ სატევარს და ფარჩით ანუ სერაირით დამშვენებულ ქურქს. დივანის იმავე სხდომაზე განიხილეს კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანის წინადადება ეგვიპტის სამ ქალაქში — ალექსანდრიასა, ბულატსა და რაშიდში მუხაფიზების (გუბერნატორების) დანიშვნის შესახებ. ეს მუხაფიზები ორთუღიანი ფაშების წრიდან უნდა შეერჩიათ. ღაზი-ჰასანი სურვილს გამოთქვამდა — რაშიდის მუხაფიზად დაენიშნათ მისი ფავორიტი კაპუდან-ჰასან-ბეი. მართალია ამ კაცს არ ჰქონდა საამისო რანგის მაჩვენებელი ორი თუღი, მაგრამ მთავარი ამირბარის ფავორიტის მიმართ გამონაკლისი უნდა ყოფილიყო დაშვებული და — სათანადო რანგის ზემოხსენებული ნიშანი მისთვის მუხაფიზად დანიშვნის დროს ებოძებინათ. დივანის თერთმეტი აგვისტოს სხდომაზე ამნისტია გამოუცხადეს აჯანყებულ კიუჩუკ-ალის. ეს კაიროს აღების აღსანიშნავად მოხდა. დივანმა აგრეთვე დაადგინა, რომ კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანს გაგზავნოდა ვრცელი ინსტრუქცია ეგვიპტის მმართველობის ახალი სტრუქტურის შესახებ, რომელსაც საფუძვლად უნდა დადებოდა სელიმ პირველის მიერ შემუშავებული სისტემა[1].

1786 წ. 13 აგვისტოს ეგვიპტეში იგზავნებოდა კაპიჯი-ბაში-იბრაჰიმ-ბეი. სწორედ მას ატანდა ხვანთქარი კაპუდან-ფაშას სახელზე შედგენილ ხატი-შერიფს, სიასამურის ქურქს და ფრთას, ე. წ. ჩელგიკს. როგორც ამბობდნენ, სიასამური ხვანთქარ მაჰმუდის საუნჯიდან იყო ამოღებული. კაიროს გამგებელ იეენ-მეჰმედ-ფაშას, რომელსაც პირველი ამირბარი მეტისმეტად აქებდა თავის წერილში (შემდეგ კი მეხი დააყარა), ბრილიანტებით მოჭედილი ხანჯალი და ძვირფასი ტანისამოსი ეგზავნებოდა. ქვეითი მეომრებისა და მეზღვაურების დასაჯილდოებლადაც გაამზადეს ქურქები და ხიფთანები[2].

იმავე ხანებში აზიასა და რუმელიაში შიკრიკები გაიგზავნა. მათ, კაიროს აღების ამბით, შიში უნდა ჩაენერგათ ურჩებისათვის. ამავე დროს ბევრს (სტამბოლის მთავრობის შემადგენლობაში) შეგნებული ჰქონდა ის საფრთხე, რომე-

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე №674, ფურც. 62—63.

[2] იქვე, ფურც. 62—63.

ლიც ბეგების მოსპობის შანსებთან იყო დაკავშირებული და გამოთქვამდნენ აზრს, რომ უკეთუ კაპუდან-ფაშა აჯანყებული მამლუქი ბელადების მოსპობას ვერ მოახერხებდა, ისინი შეძლებდნენ იქ დაბრუნებულიყვნენ და ამით ოსმალეთის იმპერიის მდგომარეობა წინანდელზე უფრო უარესი გაეხადათ[1].

1786 წლის წერილებში ბარონი ტონუსი აღნიშნავდა: „ოთხი კვირაა, რაც კაპუდან-ფაშა კაიროშია, მაგრამ მოსახლეობის ძარცვის მეტი არაფერი გაუკეთებია. ვან ფრანგებს 50 ათასი, ხოლო ვენეციელებს 20 ათასი ტალერი მოსთხოვა იმ პირობით, რომ ფულს მექაში ქარავნის გაშვების შემდეგ დააბრუნებდა. 1786 წლის 29 აგვისტოს, როგორც იქნა, ღაზიდან კაიროში აბდი და დერვიშ-ფაშები ჩავიდნენ და 5 ათასი ცხენოსანი ჩაიყვანეს. ეგვიპტე,—განაგრძობდა რუსეთის კონსული, — მოცულია საშინელი ალიაქოთით, დანიშნულია ათი ახალი ბეგი, ხოლო ყველა დანარჩენი ხვანთქრის ურჩებად არის გამოცხადებული. კაიროს მოსახლეობის საერთო რწმენით, ერთობ ძნელი იყო ბეგების პოზიციებთან ახლოს მისვლა, მით უმეტეს—იერიშის მიტანა. კაპუდან-ფაშას სხვა არაფერი შეუძლია, თუ არა ეგვიპტის სატახტო ქალაქი ძარცვოს და ქვეყანა დაანგრიოს. ყველა ფიქრობს, რომ კაიროდან მისი წასვლის შემდეგ ბეგები უკან დაბრუნდებიან და მაშინ ვაი ევროპელებს, ისინი ნაკუწ-ნაკუწად იქნებიან აკეპილები, ეს აუცილებლად მოხდება, — დაასკვნიდა ტონუსი. მე კი მათ რეცხვში არ გავერევი, რადგანაც ეგვიპტის მოქალაქენი დარწმუნებული არიან, რომ მათ წინააღმდეგ არაფერს ვწერდი და დიდი პატივისცემითაც მეპყრობიან: მე არ წავალ კაიროს,—დასძენდა რუსეთის კონსული,—და ახალი ბეგებისაგან კონფირმაციას არ მივიღებ, როგორც ეს საფრანგეთისა და ვენეციის ელჩებმა გააკეთესო"[2].

1786 წლის 31 აგვისტოს სტამბოლში ჩავიდა კაპუდან-ფაშას შიკრიკი და შემდეგი ცნობა ჩაიტანა: ერთ-ერთი ახლად დაყენებული ბეგი, სახელად ემირ-ღზაზა, კაპუდან-ფაშამ მექას მიმავალ მლოცველთა ქარავნის წინამძღოლად დანიშნა და ქარავნის შესანახი ხარჯებისათვის კაიროს ვაჭრებს 1300 ქისა გამოართვა. შიკრიკის გაგზავნის დღეს, კაიროს რამდენიმე დღის სავალზე ეწვივნენ აბდი-ფაშა-დე-რიკა და სელიმ-ფაშა-ღაზელი. მათ ცამეტი ათასი მეომარი ჩამოიყვანეს. ჩვენთვის ცნობილი ისმაილ-ბეი, წარმოშობით ქართველი, ალი-ბეის თანამებრძოლი, რომელიც ამ დროს საიდში იმყოფებოდა და როგორც ვიცით, ამურატ და იბრაჰიმ ბეგების მოსისხლე მტერი იყო, კაპუდან-ფაშამ კაიროს შეიხ-ელ-ბალადის პოსტის დასაკავებლად მიიწვია. მაგრამ ისმაილ-ბეიმ კაპუდან-ფაშას მოსწერა, ვერ ჩამოვალ მანამ, ვიდრე კაიროდან წასული ბეგები შეპყრობილნი არ იქნებიან, რადგანაც უამისოდ ყოველთვის იარსებებს საფრთხე, რომ ისინი კაიროს აიღებენ და შიგ გამაგრდებიან, რის შემდეგაც მათი შეპყრობის მიზანს უნდა გამოვეთხოვოთ. უმჯობესია, გაქცეული

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 674, ფურც. 31—33.

[2] იქვე, საქმე № 678, ფურც. 3—8.

ბელადები ვდევნო, ვიდრე შემოთავაზებულ პოსტს მოვკიდო ხელიო. ამ დროს აჯანყებულები იდგნენ იმ ქალაქში, რომელიც კაიროდან 24 საათის მანძილზე მდებარეობდა და თან 10 ათასი მეომარი ჰყავდათ, უბრძანა რა თავის მომხრე ბეგებს აჯანყებულთა დაწევა, კაპუდან-ფაშა დღე-დღეზე მოელოდა ამურატ და იბრაჰიმ ბელადების შეპყრობის ცნობას[1]. ამგვარად უხატავდა ოსმალეთის მთავრობას ეგვიპტეში არსებულ მდგომარეობას მისი კავკასიელი მედროვე — მოხელე, რომელიც ხვანთქარს ჯერჯერობით თავის საუკეთესო მოღვაწედ და იმპერიის ხსნის ერთადერთ იმედად მიაჩნდა.

მაგრამ საქმე და მისი პერსპექტივები ისეთი არ იყო, როგორც ნაადრევად გახარებულ ხვანთქარს ეგონა. მივყვეთ ცნობათა ჯაჭვს.

სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 19 სექტემბრის დღიურში მეტად საგულისხმო ცნობაა ჩანიშნული — კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანი ჩალის ფასად ჰყიდდა ორივე სქესის ტყვეებს, რომლებიც გაქცეულ მამლუქ ბელადებს ეკუთვნოდათ, მაგრამ ამ ტყვე ხალხის ყიდვის უფლება ჰქონდათ არა ეგვიპტელებს, არამედ ოსმალეთის იმპერიის სხვა პროვინციებიდან ჩამოსულ ვაჭრებს. ასეთი გზით ღაზი-ჰასანს სურდა, ეგვიპტიდან სავსებით გადაეშენებინა ქართველობა[2]. ეს დასკვნა დასახელებული დღიურის რუს ავტორს ეკუთვნის. აქ საინტერესო ის არის, რომ საელჩოს მოხელე საჭიროდ არ თვლის თავის დასკვნას კომენტარები დაურთოს.

კაპუდან-ფაშას სისხლიანი პოლიტიკა კაიროში ბევრი მუსლიმანი მოხელის სიცოცხლედაც დაჯდა. ერთ-ერთი ასეთი ფაქტი აღწერილია სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 2 ოქტომბრის დღიურში: „ხალხში ხმა დაყარეს, — კაიროში კაპუდან-ფაშამ თავი მოჰკვეთა ჯევგერ-აღას, რომელიც წინანდელ ხვანთქარ მაჰმუდთან ყიზლარ-აღას თანამდებობაზე მუშაობდაო. დასჯის მიზეზი ის ყოფილა, რომ ეს კაცი თავის სახლში შალავდა მურად-ბეის ცოლსა და შვილებს. ჯევგერ-აღა რომ დასაჯა, კაპუდან-ფაშამ მურადის ცოლ-შვილი საჯარო ვაჭრობით ოსმალებს მიჰყიდა“[3].

„არ არსებობდა, — წერს ფრანგი ისტორიკოსი, — ექსცესი და ყაჩაღობის ისეთი სახეობა, რომელიც ოსმალეთის საოკუპაციო ჯარს არ ეკადრებინოს. მინიმალური წესრიგის დასამყარებლად კაპუდან-ფაშას დაჭირდა ზოგიერთი მეომრისა და მეთაურის სამაგალითო დასჯა. აღდგენილ იქნა რა მშვიდობიანობა, უამრავი თავმოკვეთილის ხარჯზე, ჰასან-ფაშამ ხელი მიჰყო საჯარო ვაჭრობით ყველაფრის გაყიდვას, რაც კი მამლუქ ბეგებს ეკუთვნოდათ — ჰარამხანა იყო, სრა-სასახლეები, თუ მხევალი ქალები. ასეთი სიმკაცრის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს შეიხებმა — ეს ყურანსაც და ადამიანობასაც თანაბრად ეწინააღმდეგებაო. კაპუდან-ფაშამ განუცხადა: „მე სტამბოლს მივწერ, რომ წინააღმდე-

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 682, ფურც. 80.

[2] იქვე. საქმე № 676, ფურც. 23—24.

[3] იქვე, ფურც. 29.

გი ხართ გაიყიდოს ხვანთჭრის მტერთა საკუთრება". შეიხთა ბელადმა სადაათმა უპასუხა: „თქვენ აქ გამოგგზავნეს ცალკეულ ადამიანთა დასასჯელად და არა იმისათვის, რომ გაჰქელოთ ჩვენი კანონები და ჩვეულებანი; მაშასადამე მის წერეთ სტამბოლს, რაც გსურდეთ... ამის შემდეგ კაპუდან-ფაშა ჰასანმა ადმინისტრაცია ოსმალეთის ყაიდაზე მოაწყო"[1].

კაპუდან-ფაშა-ჰასანმა ჯარები ჩააყენა სახელგანთქმულ ამრა-იბნ-ალ-ასის მეჩეთში და ამით დაასრულა მისი დანგრევა. ეს საუცხოო სალოცავი დაარსებულ იქნა 643 წელს ეგვიპტის დამპყრობელი არაბი სარდლის, ამრა-იბნ-ალასის მიერ. იგი ახალი კაიროდან მოშორებით მდებარეობდა. კაპუდან-ფაშას ბარბაროსობამდე აქ გასართობად თავს იყრიდა ძველი კაიროს და ბულაკის უთვალავი მოქალაქე, ზოგიერთი ემირი და მრავალი წარჩინებული პირი. ეზოში მოდიოდნენ მსახიობნი და საცირკო ხელოვნების ოსტატები, მაიმუნების დამტარებელნი, მომღერლები, ცნობილი მოცეკვავენი (ე. წ. გავაზიები)[2].

ერთ რუსულ ცნობაში ნათქვამია, რომ ღაზი-ჰასანი არ დასჯერდა აჯანყებული მამლუქი ბელადების ჭონებას და ხელჰყო კაიროს შეძლებულ მოქალაქეთა სიმდიდრე. ამით მან მოსახლეობის მთელი სიმპათია დაკარგაო[3].

კაპუდან-ფაშას მიერ კაიროს გაძარცვის მასშტაბზე მეტყველებს სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 11 დეკემბრის დღიური: „ამბობენ, რომ კაპუდან-ფაშამ ხვანთჭარს, სხვა ნივთებს შორის, ბეგების გაქცევის შემდეგ გამოუგზავნა ეგვიპტეში კონფისკაციაქმნილი ექვსი ზანდუკი ჩერეონეცი — სულ 3 ათასი ქისა, რაც შეადგენს მილიონ ხუთასი ათას პიასტრს. ეს ჩერეონცები შედგება ფუნდუკლიებისაგან, — განმარტავს სტამბოლის რუსული საელჩო,—რომელთაგან თითოეული ხუთ-ხუთი პიასტრი ღირს, ხარისხით კი სტამბოლურს ჩამოუვარდება, სახელდობრ, როგორც ზარაფხანამ შეამოწმა 400 მილიგრამით (ორი კრატით) ნაკლებია სტამბოლურზეო"[4]. კაიროდან ხვანთჭრისათვის წამოღებულ ფულს უნდა დაემატოს ის აურაცხელი სიმდიდრე, რომელიც კაპუდან-ფაშამ იქიდან თავისთვის გაჰზიდა (ამ სიმდიდრის რიცხვში წყაროები ასახელებენ მრავალ ათეულ ცხენს). მაგალითად, სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 7 ნოემბერის დღიურში ეწერა: „15 მორჩილი გემით ეგვიპტიდან მოიტანეს და ღამით კაპუდან-ფაშას სახლში შეზიდეს ბევრი სხვადასხვა ნივთი, რომლებიც, როგორც ამბობენ, გაქცეულ ბეგებს ეკუთვნოდა. ამას დასძენენ, რომ დარდანელში ამ გემებიდან ნაპირზე გადმოიყვანეს სამოცი საუკეთესო არაბული ცხენი, რომლებიც აგრეთვე კაპუდან-ფაშას პირადი საკუთრებაა"[5].

სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 7 ნოემბრის დღიურში ვკით-

---

[1] მ ა რ ს ე ლ ი, დასახ. მონოგრ., ტ. I, 1848, გვ. 245.

[2] იქვე, გვ. 426—427.

[3] რუსეთის საგარეო-პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე №678, ფურც. 17—18.

[4] იქვე, საქმე № 678, ფურც. 50.

[5] იქვე, საქმე № 677, ფურც. 44.

ხულობთ: „როგორც ირკვევა, კაპუდან-ფაშამ კოპტების საზოგადოებას სხვადასხვა სამხედრო საჭიროების საბაბით 60 ათასი ტალერი გამოართვა და იქაური ბერძნებიც აიძულა 12000 ჭისა, თუ ამდენი ტალერი გაეღოთ. მან გადასახადებისაგან კაიროს შეძლებული მაჰმადიანებიც კი არ გაათავისუფლა. ყველაფერი ეს იმ დროს, როცა არქიპელაგის კუნძულებიდან კაპუდან-ფაშას აურაცხელი ფული მისდიოდა“. სამხედრო-საზღვაო უწყების თარჯიმანი სტეფანე მავრონეი დარდანელიდან იტყობინებოდა: „იმ კუნძულებიდან, რომლებიც კაპუდან-ფაშას ეკუთვნის, გადასახადები ავკრიფე და ახლა, შიოდან დარდანელში ჩამოსული, მას ველოდები, თანახმად მისივე ბრძანებისაო“[1]. სტამბოლის რუსული საელჩოს 1787 წლის 22 იანვრის დღიურში წერია: „ყოველღამ გამოაქვთ კაპუდან-ფაშას სახლიდან ფული და ალექსანდრიაში მიმავალ გემზე ტვირთავენ. ადვილი საფიქრებელია, რომ ეს ის ფულია, რომელიც მან კაიროში ფარული ძარცვა-გლეჯით იშოვა და ამას წინათ სტამბოლს გზავნიდა. ახლა ეს ფული უკანვე, ეგვიპტეში იმისათვის მიაქვს, რათა სამხედრო ხარჯებს მოახმაროს და საჭირო შემთხვევაში თავი იმართლოს“[2].

კაპუდან-ფაშას პოლიტიკამ კაიროში კიდევ უფრო შეულახა პრესტიჟი ოსმალეთის ხვანთქრის ძალაუფლებას. არც სამხედრო მოვლენები განვითარდა ისე, როგორც ხვანთქარს უნდოდა.

ფერიერ-სოვბეფი წერს, რომ „უსაზღვრო სიძუნწემ დიდი ამირბარი ათასგვარი სიმკაცრის ავტორი გახადა და კაიროს მცხოვრებნი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. თავდაპირველად მასში გამათავისუფლებელს ხედავდნენ, ვაგრამ მალე დაინახეს, რომ მან ხალხის ჩაგვრაში წინანდელ მმართველებს გადააჭარბა. ამიტომ კაიროს მოსახლეობამ მამლუქი ბელადები ხელახლა მიიწვია ქვეყნის საჭესთან“[3].

დევნილი მამლუქების წინააღმდეგ გაგზავნილ ფაშებს და ოსმალეთის მოჭრე ბეგებს ხუთი-ექვსი ათასი მეომარი და რამდენიმე კირლანგიჩი ჰყავდა. დევნილი ბელადები გამაგრებული იყვნენ ციხე-სიმაგრეში, რომელიც ზედ ნილოსზე მდებარეობდა და ზოგთა მიერ სიუიდის ციხედ, ზოგთა მიერ კი ჰაიფად იწოდებოდა. ციხე-სიმაგრეს კედლებში 93 ზარბაზანი ჰქონდა დატანებული, ადგილმდებარეობაც საუცხოო და სტრატეგიულად ერთობ ხელსაყრელი გაჩნდა. აჯანყებულთ ყოველთვის შეეძლოთ კაიროსათვის სურსათის შესაზიდი გზები ჩაეკეტათ, საქმე ის იყო, თუ მათ თოფის წამალი, ჭურვები და დახელოვნებული ბეზარბაზნეები ეყოფოდათ. თუ ამ მხრივ მამლუქი ბელადები გაჭირვებას არ განიცდიდნენ, მათი იქიდან გარეკვა ან, მით უმეტეს მათი შეპყრობა, მიუღწეველ ოცნებას წარმოადგენდა[4].

---

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 678, ფურც. 44.

[2] იქვე, ფურც. 41.

[3] F. Sauvebeuf, დასახ. წიგნი, ტ. I, გვ. 101—103.

[4] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი დასახ. ფონდი, საქმე №678, ფურც. 55.

სტამბოლის რუსული საელჩო დაახლოებით 1786 წლის ოქტომბერში დიდი ამბით იწერებოდა — „ხვანთქარმა კაპუდან-ფაშას ფარულად ბრძანება გაუგზავნა, კაიროს გუბერნატორად იეენ-მეჰმედ-ფაშა აღადგინე და მოქმედი კორპუსის სარდლად კეკიკ-ფაშა დატოვე. შენ სტამბოლს ჩამოდი, იეენ-მეჰმედ-ფაშას კი დაუბარე აჯანყებულ ბეგებთან შეთანხმების დადება. ამ ბეგებმა ემისრები გამოგზავნეს და კაპუდან-ფაშას მიმართ ბოღმას, ვერ მალავენ, ბარბაროსულად რომ დაუყიდა ცოლ-შვილი. ემისრების მეშვეობით აჯანყებული ბეგები განუმარტავენ ხვანთქარს—კაირო დავცალეთ არა იმიტომ, რომ შენ წინააღმდეგ ვიბრძოდით, არამედ იმიტომ, რომ აჯანყებულთა სახელი არ შეგვრქმეოდა. ამავე დროს, კაიროს დატოვებით შენს ჯართან შეტაკება თავიდან ავიშორეთ. ჩვენ კაპუდან-ფაშას პირად მტრებად ვაცხადებთ თავს და ბრძოლის ველზე ვიწვევთ. მაგრამ ის ჩვენთან შებმას თავს არიდებს. ხვანთქარი კაპუდან-ფაშასთვის გაგზავნილ ბრძანებას საიდუმლოდ ინახავდა, რომ ხალხს არ ეთქვა: ვინც აჯანყებულთა ასალაგმავად გაგზავნეს, მან თვითონ მოაწყო აჯანყებაო“[1].

1786 წლის 25 ოქტომბერს (ახალი სტილით) ოსმალეთის ჯარებმა აჯანყებული მამლუქი ბელადებისაგან სასტიკი დამარცხება განიცადეს ქ. სოგუტთან (ასიუტი) ე. წ. „ა შ უ ტ ი ს მ თ ე ბ ი ს“[2] ძირში. ვნახოთ რა ვითარებაში მოხდა ეს გადამწყვეტი ბრძოლა.

თუმცა ხვანთქრის კარი ხმას ავრცელებდა, რომ თითქოს ზემო ეგვიპტის შეიხი იბნ-ალი აჯანყებულ ბეგებს უტევდა, მაგრამ საქმე პირიქით გამოვიდა, სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის სექტემბრის დღიურში ჩაიწერა, რომ ზემო ეგვიპტის შეიხი აჯანყებულ ბელადებს უმაგრებდა მხარს და უკანასკნელნი, ჰყავდათ რა მრავალრიცხოვანი ჯარები, ამჟამად კაიროს ბლოკადას აბორციელებდნენ და კაპუდან-ფაშა საფრთხეში ჩააყენეს. ამიტომ ოსმალეთის ვაზირატი ერთობ შეშფოთებული იყო კაპუდან-ფაშას ექსპედიციის ბედ-იღბლით. ხმები კი დადიოდა, მაგრამ იეენ-მეჰმედ-ფაშას აღდგენა კაიროს გუბერნატორად მაშინ არ მომხდარა, ის დიარბექირში გაეწვესებინათ გამგებლად და მის ადგილას გაეთვალისწინებინათ დიარბექირის ყოფილი გამგებელი კეკიკ-აბდი-ფაშა. 1786 წლის 24 სექტემბერს ხვანთქრის კარს ეწვია შიკრიკი, რომელმაც მანძილი კაიროდან 13 დღეში დაფარა. მისი ჩამოსვლისთანავე მთავრობის წრეებში ლაპარაკობდნენ — კაპუდან-ფაშა კაიროში იმყოფება, აჯანყებული ბეგები — ასიუტში. კაიროში 10 ათასი მეომარი ჩამოვიდა, ისინი ჩამოიყვანა კაპიჯი-ბაში-ალი-ბეიმ (რომელმაც წარსულში ვაზირი ჰალილ-ჰამიდი და იზმაილ-ფაშა მოაკვდინა) და ზემოხსენებულ ფაშებთან ერთად აჯანყებულთა წინააღმდეგ იგზავნებიანო. არაერთხელ დაუყრიათ ყალბი ხმა, რომ მოჯანყე ბეგები

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქ., დასახ. ფონდი, საქმე № 676, ფურც. 98.

[2] ძველი რუსული გამოთქმა.

გარემოცულნი არიან ზემოხსენებული ფაშების მიერ და გაჭირვებას განიცდიან. 1786 წლის 27 სექტემბერს რუსეთის ელჩს მეგობარმა აცნობა: „კაპუდან-ფაშას სახელით ჩამოსულმა უკანასკნელმა შიკრიკმა ხვანთქარს შეატყობინა, რომ კაიროში ჯარებით ალი-ბეის ჩასვლის შემდეგ კაპუდან-ფაშამ ის და სხვა, მასზე წინ წასული ფაშები, გაგზავნა ქალაქ ასიუტს—მამლუქების წინააღმდეგ და ბეგების დანებებას იმედოვნებს“[1].

რუსეთის საელჩოს 1786 წლის 15 ოქტომბრის დღიურში ნათქვამი იყო: „აჯანყებული ბეგები კაიროდან ცხენოსანი კაცის 6 დღის სასიარულო მანძილზე იმყოფებიან: მათი ადგილსამყოფელია ა შ უ ტ ი ს მ თ ა, უმშვენიერეს ადგილზე აღმართული. მთას გარს უვლიან წყლები; ეს წყლები მოჩუხჩუხებენ სანაპიროს მიდამოების არხებში, რომლებიც მთის მახლობლად ჰაღარა ნილოსის მარცხენა სანაპიროს მიდამოებს სერავენ. მოპირდაპირე, მარჯვენა სანაპიროს ეკვრის თვალუწვდენელი უდაბნო. საჭირო შემთხვევაში აჯანყებულ მამლუქებს ამ სტეპის მეშვეობით შეუძლიათ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ზემო ეგვიპტისაკენ გაიპრანჭონ და თავი იგრძნონ სამშვიდობოზე, სადაც მათ მტრის ჯარები ვერაფერს დააკლებენ. აბდი და დერვიშ ფაშები უკვე ექვსი კვირაა აშუტის მთის ძირში აჯანყებული ბეგების პირისპირ დგანან. მათ სცადეს იერიშის მიტანა, მაგრამ აჯანყებულმა ბელადებმა დიდი ზარალით უკან დაახევინეს. ამ მარცხის შემდეგ ხსენებულმა ფაშებმა კაპუდან-ფაშას შეუთვალეს — ცხენოსანი ჯარები მოგვაშველე, ოღონდ ამ ჯარებს ისეთივე ცხენები უნდა ჰყავდეთ, როგორიც მამლუქ ბეგებს ჰყავთ, თუ არა და არაფერი გამოგვივაო“[2]. ხვანთქარს აშინებდა სტამბოლში სახალხო მღელვარების მოსალოდნელი სუსხი და რას არ ღონობდა იმისათვის, რომ ეგვიპტის ამბებით გამოწვეული ცუდი შთაბეჭდილება გაექარწყლებინა. იმისათვის, რომ ამ ამბებისაგან ხალხის ყურადღება ჩამოეშორებინა, სტამბოლის კარმა მოხელეებს ხმა დააყრევინა— მომავალ ზაფხულზე ოსმალეთის მბრძანებელი თავის უფროს ვაჟს წ ი ნ ა დ ა ც ვ ე თ ი ს[3] ზეიმს გადაუხდის და ამ მიზნით ა ი ნ ა ლ ი-კ ა ვ ა კ ი ს შეკეთება არის ნაბრძანებიო. ოსმალეთის მსოფლიო კონიუნქტურაც არასახარბიელო იყო. ადგილი ჰქონდა გაუგებრობას და შეტაკებებს ვენეციის რესპუბლიკასთან, ტრიპოლის არაბებიც აჯანყებას განაგრძობდნენ და ოსმალებს ებრძოდნენ[4].

იმაზე, თუ როგორ დაიწყო 1786 წ. 25 ოქტომბრის ისტორიული ბრძოლა, ჩვენ რამდენიმე საბუთი მოგვეპოვება. მათ შორის მხოლოდ ერთი აშუქებს საკითხს კაპუდან-ფაშას სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენები მისთვის მწარე სინამდვილეს გადმოსცემენ.

სიმართლის წინაშე სცოდავს სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 10

---

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, საქმე № 676, ფურც. 18—19.

[2] ი ქ ვ ე, დასახ. ფონდი. საქმე № 678, ფურც. 6—7.

[3] მონათვლის მუსულმანური წესი.

[4] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე №678, ფურც. 6—7.

ნოემბრის დღიური, რომელშიც ნათქვამია: „ისმაილ და ჰასან ბეგებმა მიიღეს კაპუდან-ფაშაა მოწოდება. ეს მოწოდება მათ აგეგზავნათ მაშინვე, როგორც კი კაიროს კეკიკ-აბდი-ფაშას მეთაურობით ჯარები ეწვივნენ. აჯანყებულმა ბეგებმა ღატოვეს ასიუტი და გეზი ზემო ეგვიპტისაკენ აიღეს. სწორედ ამ დროს მათ შეხვდნენ ისმაილ და ჰასან ბეგები. გაჩაღდა ბრძოლა. კაპუდან-ფაშას მომხრე ბეგებმა 800 კაცი დაკარგეს, ხოლო აჯანყებულებმა — მეტი. დამარცხებული ბეგები გაიქცნენ, რათა ქალაქ ჯირჯაში ჩაკეტილიყვნენ (მდებარეობდა ხუთი დღის სავალზე ასიუტიდან, ზემო ეგვიპტეში). გამარჯვებულები ფიქრობდნენ, რომ მოკლულია რამდენიმე ბეი, მათ შორის მურადი, რომელსაც თვალი მოჰკრეს იმ წამში, როცა ცხენიდან ვარდებოდა. ბრძოლის შემდეგ გამარჯვებულები კაიროშიც შევიდნენ და კაპუდან-ფაშამ ისმაილ-ბეის შეიხ-ელ-ბალადობა ანუ მთავარი ბეგობა უბოძა. ეს მე ვიცი ჭეშმარიტი წყაროდან. თუ კაპუდან-ფაშას მოხსენება სავსე არ არის ჩვეულებრივი სიცრუით, როგორც აქამდე იყო, დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება გაკეთდეს: კაპუდან-ფაშა ხედავდა, რომ აჯანყებული ბელადების შეპყრობა შეუძლებელია, ხოლო მეორეს მხრივ — ასიუტში მათი ყოფნა თავისთვის საშიშ გარემოებად და სტამბოლს მისი ჩამოსვლისათვის დიდ დაბრკოლებად მიაჩნდა. ამიტომ მან ისმაილ და ჰასან ბეგებს თავისთან მოუწოდა, რათა ამით მოჯანყე ბეგებისათვის ზემო ეგვიპტეში გასაქცევი გზა მიეცა. ზემო ეგვიპტეში კი, სიშორისა და პაპანაქების მიზეზით, მოჯანყე ბეგების წინააღმდეგ იერიშის მიტანა შეუძლებელია. ამის გამო, გადაუშვებდა რა მოჯანყე ბეგებს ზემო ეგვიპტეში, კაპუდან-ფაშას შეეძლო თავისი „კომისია“ დამთავრებულად გამოეცხადებინა. თუმცა კაპუდან-ფაშამ ფლოტის მეთაურებს უბრძანა მისთვის დარდანელში დაცდა, მაგრამ ხვანთქარმა ამ მეთაურებს შეუთვალა—პირველივე ხელსაყრელი ქარის შემთხვევაში სასწრაფოდ სტამბოლს გამოეშურეთო. ყველას სწამს, რომ კაპუდან-ფაშა კაიროში ზამთარსაც გაატარებს“[1].

ციტირებულ წყაროში ყველაფერი სიცრუე როდია, მაგრამ ეჭვს ბადებს მისი დასაწყისი, ვინაიდან სხვა წყაროები მას არ ეთანხმება. ასე მაგალითად, სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 30 ოქტომბრის (ძველი სტილით) დღიურში ნათქვამია: „აჯანყებული ბეგები აშუტის მთებიდან ძირს ჩამოდიოდნენ და განზრახული ჰქონდათ ჯურჯასაკენ[2] გადანაცვლება. მაგრამ აშუტის მთის ძირას დაბანაკებული ოსმალთა ჯარი მათ გზას უღობავდა. ამიტომ 25 ოქტომბერს ისინი თავს დაესხნენ იმ ჯარს, რომელსაც აბდი-ფაშა და დერვიშ-ფაშა სარდლობდნენ და მუსრი გაავლეს მას. დახოცეს, როგორც ამბობენ, მტრის ხუთი ათასი მეომარი. ისმაილ-ბეი, რომელსაც რეზიდენცია ზემო ეგვიპტეში ჰქონდა და, რომელიც კაპუდან-ფაშას მხარეზე იბრძოდა, მძიმედ არის დაჭრილი. ბრძოლის ველიდან კაიროს ხუთი კაციღა დაბრუნდა. ჰასან-

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე №677, ფურც. 46—47.

[2] იგივე ჯირჯა.

ბეიზე არავინ არაფერი იცის. ახლა აჯანყებული ბელადები ჯირჯაში არიან. მათ დაიკავეს ზემო ეგვიპტის საუკეთესო პროვინციები, ჯარები მრავალი არაბით შეივსეს და ახლა თვითონ მიისწრაფვიან ბრძოლისაკენ, მაგრამ მეტოქეს, ველარ ხედავენ. კაპუდან-ფაშამ ალექსანდრიას, როზეტას და დამიეტას ბრძანებები აფრინა—შეკრიბონ ჯარები და ნებაყოფლობით, თუ ძალდატანებით ყველა საომრად გაიწვიონ, ვისაც კი თავი თეთრი ან წითელი შალით აქვს შეხვეული „განურჩეველად მდგომარეობისა კაიროს გაგზავნონ“[1].

ამ ორი წყაროს შეპირისპირებიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: ერთი შეხედვით, თითქოს აჯანყებული ბელადების მოულოდნელი თავდასხმა აშუტის მთის ძირში დაბანაკებულ აბდი და დერვიშ ფაშების ჯარებზე ბრძოლის პირველი ეტაპი ყოფილიყოს, ხოლო ჰასან და ისმაილ ბეგებთან შებმა — მეორე ეტაპი. მაგრამ, ვინაიდან მეორე წყაროში ამბის მაცნე აბდიშ და დერვიშ ფაშების დამარცხების ფაქტიდან პირდაპირ, მოწყვეტილად გადადის ისმაილ და ჰასან ბეგების ბრძოლაში მონაწილეობის სიუჟეტზე, საფიქრებელი ხდება, რომ ოთხივე დასახელებული სარდალი ერთი ბრძოლის გმირები იყვნენ და იმ ჯარებში, რომლებიც აშუტის მთების ძირში იდგნენ და აჯანყებული ბეგების ბლოკირებას ახორციელებდნენ, ჰასან და ისმაილ ბეგების ჯარებიც ყოფილან გარეულები. შესაძლოა, ჰასან და ისმაილ ბეგები ბრძოლის დასაწყისშივე არ ჩარეულან ოპერაციაში, არამედ შედარებით გვიან ეკვეთნენ მოპირდაპირეს, ეკვეთნენ მაშინ, როცა მათი ჯერი მოვიდა. ასეა თუ ისე, ისმაილ და ჰასან ბეგებს დაურღვევიათ კაპუდან-ფაშას მითითება. კაპუდან-ფაშა ხომ, როგორც ციტირებული წყაროებიდან მკაფიოდ ჩანს, მათ ავალებდა აჯანყებული ბეგებისათვის უომრად მიეცათ ზემო ეგვიპტეში გადასასვლელი გზა. ისინი კი ასე არ გარჯილან და კვეთებიან მათ — თავიანთ კონკურენტებს ეგვიპტეზე ბეუფების საქმეში, კვეთებიან და კინაღამ თავი წაუგიათ. მოტანილი წყაროებიდან ისიც ჩანს, რომ აჯანყებულ ბეგებს ზემო ეგვიპტის კარებს უკეტავდნენ თავიანთი ყოფილი თანამოაბჯრენი — ქართველი ბეგები ისმაილი და ჰასანი, გას შემდეგ, რაც აჯანყებულმა მამლუქებმა 25 ოქტომბრის ბრძოლაში ოსმალოს ჯარები შემუსრეს, ისინი მთელ ზემო ეგვიპტეს ელვისებურად დაეუფლნენ.

მაგრამ იქნებ ტყუოდეს სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 30 ოქტომბრის დღიური? საქმე ისაა, რომ 25 ოქტომბრის ბრძოლის სავალალო ხასიათს ოსმალეთისათვის სხვა წყაროებიც აღნიშნავენ. სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის ნოემბრის დღიურში ჩანიშნულია: „ამ დღეებში კვიპროსიდან ოსმალი მოხელე ჩამოვიდა და თქვა — საერო ჯარის ნაწილებიდან, რომლებიც აჯანყებული ბეგების წინააღმდეგ წარიგზავნენ, ბევრი კვიპროსზე დაბრუნდა; ესენია უმთავრესად დაჭრილები. განადგურებულმა ოსმალებმა მთელი ბანაკი და არტილერია გამარჯვებულ ბეგებს დაუტოვეს. 1786 წლის 5 ნოემბერს

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე №678, ფურც. 7.

მ უ ფ თ ი ს თ ა ნ საბჭო შეიკრიბა. საბჭოს სხდომის შემდეგ ხვანთქარმა კაპუდან-ფაშასთან შიკრიკი ი ნ ჯ ე-მეჰმედი გაგზავნა; ერთნი ამტკიცებდნენ—ამირბარმა უკვე ჩამოიყვანა ფლოტი და ჩამოვიდაო, მეორენი გაიძახოდნენ—თავისთან მხოლოდ სამი ხომალდი დაიტოვა, სხვები სტამბოლს გამოგზავნა, თვითონ კი ეგვიპტიდან ფეხის მოცვლას მანამ არ აპირებს, სანამ აჯანყებული ბელადები არ დაუმარცხებიაო"[1]. ამ ცნობას ეთანხმება ბარონ ტონუსის 1786 წლის 12 ნოემბრის მოხსენება, „ამ დღეებში კაიროდან მივიღე სხვადასხვა პირთა წერილები, რითაც შეუწყა, რომ აჯანყებული ბეგების მიერ ოსმალეთის ჯარებთან გადახდილი ბ ა ტ ა ლ ი ა მართალია და, რომ ბეგები ბატალიიდან გამარჯვებულნი გამოვიდნენ. ჯარები, რომელთაც აბდი და დერვიშ ფაშები სარდლობდნენ, აკუწეს, მათი ნაშთები ნილოსის ტალღებმა იმსხვერპლა. საომარი იარაღები — ჰურვები, ზარბაზნები, აგრეთვე დროშები და სურსათი აჯანყებულ მამლუქებს დარჩათ. ცოტა ვინმემ მიაღწია კაიროს, ისიც დაჭრილებმა. აშუტის მთასთან გადახდილი ამ საშინელი ბრძოლის შემდეგ, კაპუდან-ფაშა მთელ იმედებს ისმაილ და ჰასან ბეგებზე ამყარებდა, თუმცა მანამდეც ოსმალები დიდი წარმოდგენისა იყვნენ ქართველი ჰასანის მხედართმთავრულ ნიჭზე და იმედოვნებდნენ გამარჯვების მიღწევას და, თუ ბრძოლის შემდეგ ისმაილ-ბეის კაპუდან-ფაშამ შეიხ ელ-ბალადობა უბოძა, არც ჰასანი დატოვა უყურადღებოდ და მას იგ ჯარების მთავარსარდლობა მისცა, რომლებსაც ახლა კრებს. აბდი-ფაშა არ დაღუპულა"[2]. ტონუსის ეს უკანასკნელი შენიშვნა უარყოფდა იმ ხმებს, რომლებიც გავრცელდა აბდი-ფაშას და არამარტო აბდი-ფაშას შესახებ. სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 27 ოქტომბრის (ძვ. სტ.) დღიურში ნათქვამი იყო: „გუშინ სოფელ დიმიტრიაში დიდი ვაზირის ინკოგნიტოდ ყოფნის დროს ხვანთქარს კაპუდან-ფაშას შიკრიკი მიურგდარიამაგი (ბეჭდის მცველის თანაშემწე) ეწვია და ამასთან დაკავშირებით ხალხში ხმა გავარდა — აჯანყებული ბეგები მოულოდნელად თავს დაეცნენ ოსმალთა ბანაკს და შეიტანეს რა შიგ დიდი არეულობა, გაანადგურეს ის და სარდლებიც — სერასკირი კეკიკ-აბდი-ფაშა და დერვიშ-ფაშა მოკლეს. ამის გამო კაპუდან-ფაშა ხვანთქარს სთხოვს, რაც შეიძლება სწრაფად მომაშველე ჯარებიო"[3].

ვერც პიერ ლარუსთან, ვერც ისლამის ენციკლოპედიაში და ვერც მთელ რიგ ევროპულ მონოგრაფიებში ჯეროვანი ასახვა ვერ პოვა ქალაქ ასიუტთან გადახდილმა ისტორიულმა ბრძოლამ. ამიტომ რუსულ წყაროებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხსენებული ბრძოლის შესაწავლად. ამ ბრძოლის შესახებ, მაგ. ძალიან მკრთალად წერს ისტორიკოსი მარსელი, იგი სულ ერთიანად ჩქმალავს მამლუქების გამარჯვებას იმპერიის ჯარებზე: კაპუდან-ფაშამ, — წერს ეს ისტორიკოსი, — საიდს დაბანაკებული მამლუქი ბეგების წინააღმდეგ გაგზავნა აბე-

---

[1] რუს. საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე №677, ფურც. 35.

[2] იქვე, საქმე № 679, ფურც. 80—81.

[3] იქვე, საქ. № 677, ფურც. 13—14.

დინ-ფაშა, რომელსაც არმიის დიდი ნაწილი გაატანა. მათ მცირე რაზმითურთ შეუერთდნენ ისმაილ-ბეი და ჰასან-ბეი-ელ-ჯედაუი. აქ, საიდში, გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც ორივე მხარეს დიდ დანაკლისად დაუჯდა— ბეგებმა ჩანჩქერისაკენ დაიხიეს, ხოლო ოსმალებმა კაიროს მიაშურეს; ორივე სპამ გააპარტახა საიდის ის კუთხე, რომელიც უკან დახევის დროს ახლო დაიხელთა. ამით დამთავრდა ჰასან-კაპუდან-ფაშას ექსპედიციაო"[1].

უცნაურია, რომ მკვლევარებმა ნ. პეტროვსკიმ და ვ. მატვეევმა საესებით აუარეს გვერდი ალი-ბეის მიმდევართა აჯანყებას და ასიუტის ომს. ისინი დასჯერდნენ „ბულატ ქაფანის" აჯანყების მოკლე მიმოხილვას და უშუალოდ გადავიდნენ ნაპოლეონის ექსპედიციის აღწერაზე[2]. ასიუტის ომს გვერდი აუარა ჩვენი დროის არაბმა ისტორიკოსმა ამინ საიდმაც, თუმცა ამ უკანასკნელს გამამართლებელ გარემოებად ამ შემთხვევაში შეიძლება ჩავუთვალოთ ის ფაქტი, რომ თავის წიგნში ძირითადად განიხილავს ევროპელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებებს[3]. ამინ საიდი სათანადოდ არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანის ექსპედიციას მორალურ-პოლიტიკური მხარდაჭერა აღმოუჩინა ინგლის-საფრანგეთის ხელისუფლებამ (თუმცა ზოგიერთი ფრანგი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ოსმალეთის ამირბარის ლაშქრობა თითქოს ფაქტიურად მიმართული ყოფილიყოს საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგ); განსაკუთრებით ხაზგასასმელია ლონდონის ინსინუაციები.

ასიუტთან განცდილი სასტიკი მარცხი ხვანთქრის მთავრობის თვალში მაღლა სწევდა ემირ-ჰაჯი-ჯეზარ-ფაშას მნიშვნელობას და კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს იეენ-მეჰმედ-ფაშას ფრთხილი ტაქტიკის ფასდაუდებლობას. მეორე მხრივ, იმავე ბრძოლამ მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა ჯარების უკეთ აღჭურვის, მათი მატერიალური უზრუნველყოფისა და ახალი მობილიზაციის საკითხები.

სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 27 ოქტომბრის დღიურში ნათქვამი იყო: „არ გატარდა ხვანთქრის ამასწინანდელი ბრძანებები, რომლებიც ფაშების გადაადგილებას შეეხებოდა. იეენ-მეჰმედ-ფაშა, რომელიც 20 ნოემბრისათვის მლოცველებთან ანგარიშსწორების შემდეგ დამასკოს უნდა დაბრუნდეს, ოფიციალურად საიდის გუბერნატორადაა დანიშნული, მაგრამ დამასკოს

---

[1] Marcel, დასახ. მონოგრ., 1848, ტ. I, გვ. 245—247.

[2] Н. Петровский и В. Матвеев, დასახ. მონოგრ., 1959, გვ. 199—203.

[3] Амин Саид. დასახ. მონოგრ., მოსკოვი, 1944, გვ. 21—23. პრეტენზიას ამინ საიდს ვუყენებთ იმიტომ, რომ, რაკი მან თავისი მონოგრაფიის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს უღალატა და თხრობა დაიწყო 1798 წ. ოქტომბერში მომხდარი კაიროს ანტიფრანგული სახალხო აჯანყებით, მას შეეძლო და, უფრო მეტის საფუძვლითაც, თხრობა დაეწყო ასიუტის ომით, რომელიც წარმოადგენდა მძაფრი ანტიოსმალური მოძრაობის კულმინაციურ მომენტს და კაიროს ზემოხსენებული აჯანყება შეიძლება მეორეხარისხოვან მოვლენად მიეიჩნიოთ.

ჩასვლის შემდეგ ის მასთან მყოფი ჯარებით კაიროს გაეშურება. ემირ-ჰაჯად და დამასკოს გუბერნატორად დაყენებულია ამას წინათ ალეპოს გაგზავნილი ბატალ-ჰუსეინ-ფაშა"[1]. ამ ცნობას ავსებს სტამბოლის რუსული საელჩოს თარჯიმნის პიზანიას 1786 წლის 31 ოქტომბრის მოხსენება, სადაც წერია: „ჩვენი კონფიდენტი ამბობს, რომ ეგვიპტის აჯანყებულმა ბეგებმა კაპუდან-ფაშას ჯარები სავსებით გაანადგურეს და თვით ამ მედროვის სიცოცხლე საფრთხეშია. დამასკოს გუბერნატორის პოსტიდან გადაყენებული ემირ-ჰაჯი-ფაშას საიდის მმართველად გამოცხადება საზოგადოების თვალის ასახვევად მოხდა. ნამდვილად ის ბეგების წინააღმდეგ უნდა გადაისროლონ. არც მეტი, არც ნაკლები, ჯეზარ-ფაშა, წარმოშობით ალბანელი, სულით ქრისტიანი, კაპუდან-ფაშას მოსისხარი მტერი, განსაკუთრებით ძლიერი პიროვნებაა. ის ოსმალეთს ემორჩილება მაშინ, როცა მას მოეპრიანება და ყოველ წამს მზად არის აჯანყების დროშა გაშალოს. წაართვეს რა გუბერნატორის პოსტი დამასკოში, სადაც ის რახანია გამაგრდა და ფესვები ღრმად გაიდგა, ამით ხელი შეუწყვეს მისი უკმაყოფილების ზრდას"[2].

დამარცხებას ასიუტთან მოჰყვა კაიროში კაპუდან-ფაშას მორალურ-პოლიტიკური პოზიციების გაუარესება. სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 27 ოქტომბრის დღიურში ნათქვამი იყო: „ეგვიპტელების უკმაყოფილების გამო კაპუდან-ფაშა იძულებული შეიქნა უკან დაეხია და ბულაკში გადასულიყო". იმავე საელჩოს 1786 წლის 1/12 ნოემბრის დღიურში ჩანიშნულია: „ამ დღეებში მთელ ქალაქს მოედო ხმა—აჯანყებულმა ბელადებმა ორივე ფაშა სასტიკად გაანადგურეს და თვითონ პირველი ამირბარი აიძულეს როზეტას გადასულიყო. კაიროს გუბერნატორის პოსტზე აღდგენილ იეენ-მეჰმედ-ფაშას, რომელიც ერთ დროს დიდ ვაზირადაც იყო, ხვანთქრის მიერ მინდობილი აქვს მაჰლუქ ბელადებთან ზავის დადება, ხოლო კაპუდან-ფაშას ებრძანა — სტამბოლს დაუყოვნებლივ წამოვიდეს და თან ფლოტი ჩამოიყვანოს, მაგრამ როგორც ხმებია, იგი ამ ბრძანებას ეურჩება"[3].

მედროვე ამირბარი ხვანთქრის მთავრობას აიძულებდა ეგვიპტეში გადაესროლა ახალი ძალები, რომელთა ომში მონაწილეობა ჯერჯერობით გათვალისწინებული არ ყოფილა.

ასიუტთან განცდილი დამარცხების მიზეზი იყო ოსმალეთის ჯართა დაბალი მორალური სულისკვეთება და ცუდი მატერიალური უზრუნველყოფა. აჯანყებული ბეგების არმია გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ყოფილა. ამ გარემოებას მოწმობს რუსეთის გენერალური კონსულის ბარონ ტონუსის 1786 წლის 12 ნოემბრის წერილი. იქ ნათქვამია: „ძველის მაგიერ კაიროს სამთუღიან ფაშად დანიშნულია აბდი-ფაშა. ისმაილ და ჰასან ბეგებიც წყალობით აავსო პირველმა ამირბარმა. ერთს ხომ შეიხ ელ-ბალადობა უბოძა, არც მეორეს გა-

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე №677, ფურც. 13—14.

[2] იქვე, ფურც. 23.

[3] იქვე.

უმტყუნა მოლოდინი და ჯართა მთავარსარდლობა მიანიჭა. ამ პოსტებზე დანიშვნის დროს ეს ორი ბეგი ერთპირად მოახსენებდა ღაზი-ჰასანს, რომ აშუტთან პირველი ბრძოლის წაგება ხალხს მამაცობას წაართმევს და მოსალოდნელია ღალატი, რისი შემთხვევაც არაერთხელ ყოფილა; მამლუქი ბეგები მეომრებს კარგ ჯამაგირს უხდიან, კარგად მოსავენ და კარგადვე ასაზრდოებენ, ის კი (ე. ი. კაპუდან-ფაშა) ძუნწობს და თუ ჰეტის ხელგაშლილობით არ იმოქმედებს, საიმედო არაფერია. არათუ მტრებს ვერ დავამარცხებთ, კაიროც საეჭვოა შევინარჩუნოთ, რადგანაც აჯანყებულმა მამლუქმა ბელადებმა, რომლებმაც ოქრო აღმოაჩინეს, მთელი უდაბნოს ხალხი ოსმალეთის წინააღმდეგ აამხედრეს. პირველმა ამირბარმა ხანმოკლე ჩაფიქრების შემდეგ მათ ნება დართო ისე მოქცეულიყვნენ, როგორც მათი შეხედულებით აჯობებდა, ის კი ფულს არ დაზოგავდა. მართლაც, კაპუდან-ფაშამ ალექსანდრიას თავისი ხაზინადარი გაგზავნა, რომელმაც იქიდან ორი განჯინა ოქრო ჩაუტანა"[1].

ოსმალეთმა ოფიციალურად აღიარა თავისი ჯარების დამარცხება ზემო ეგვიპტეში[2]. აჯანყებული მამლუქი ბელადები კაიროს მიადგნენ საიერიშოდ. თან ჰყავდათ არაბთა ჯარები და რვა ათასი რიგითი მებრძოლი მამლუქი. კაირო კაპუდან-ფაშამ საგანგებოდ გაამაგრა, ალექსანდრიაშიც დამატებით ჩადგეს 80 ზარბაზანი[3]. უცხოეთის კონსულები კაიროდან გაიქცნენ[4]. კაპუდან-ფაშამ შეძლო თავისი ჯარის დროულად გადაყვანა ნილოსის აღმოსავლეთ სანაპიროზე და აჯანყებულებმა, რომელთაც ქვემეხები არ ჰყოფნიდათ, გადადეს ქალაქის იერიში, ხელახლა მიაშურეს ზემო ეგვიპტეს, მაგრამ კაირო გამუდმებულ საფრთხეში იყო ჩაყენებული.

### 4. მშვიდობის აღდგენა და დაზავების პირობები

კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანის — ოსმალეთის პირველი ამირბარის ექსპედიციის დასრულებას საინტერესოდ გადმოგვცემს ფერიერ-სოვბეფი. ამ ამირბარს მოსახლეობა აუმხედრდა. კაიროში მამლუქი ბელადები მიიხმეს. კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანმა, რომელიც ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა, შეუძლებლად ჩათვალა აჯანყებულ მამლუქებს დანებებოდა და საზაო წინადადება წამოაყენა ორივე მხარემ მძევლები გაცვალა, რათა ერთმანეთის მიმართ ნაკისრი ვალდებულებებისათვის პატივი ეცათ. ბეგარა-გადასახადები, რომლებიც კაპუდან-ფაშამ ეგვიპტელებს გამოართვა, შემდეგ შერჩა მას, როგორც ხარკის სამაგიერო. იგი წავიდა კაიროდან მას შემდეგ, რაც გააფორმეს ხელშეკრულება,

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე №678, ფურც. 80—81.

[2] იგივე ფონდი, საქმე №677, ფურც. 45—47.

[3] იგივე ფონდი, საქმე №687, ფურც. 31—32.

[4] იგივე ფონდი, საქმე №678, ფურც. 80—81, უდაბნოს არაბების გადმოსაბირებლად გავზავნილმა ჰასან-ჯიდელმა ოსმალეთს ეს დავალება არ შეუსრულა.

რომელიც ოსმალეთისადმი მამლუქი ბელადების და ეგვიპტის მორჩილებას დიდი ხნით როდი უზრუნველყოფდა. კაპუდან-ფაშამ ოსმალეთში წაიყვანა ორი მამლუქი ბელადი და წაიღო მთელი ის ქონება, რომელიც ეგვიპტეში შეიძინა. ამ დაკლას სტამბოლში უნდა შეექმნა იმის შთაბეჭდილება, რასაც ოსმალები თავიანთ „გამარჯვებას“ ეძახდნენ[1].

ოსმალთა ექსპედიციის უშუალო შედეგები დაწვრილებით აღწერა ფრანგულმა ისტორიოგრაფიამ.

ფრანსუა შარლ რუ წერს: „1787 წლის 21 ოქტომბერს კაპუდან-ფაშა-ჰასანი უკვე აფრაგაშლილი სტამბოლს მიცურავდა. ეგვიპტე ოფიციალურად მისი კრეატურების ხელში დარჩა. მათ ჩაბარდათ იერარქიის (ფრ. რუ ვერ ბედავს თქვას — „ადმინისტრაციის“) მთავარი პოსტები: ხვანთქრის გუბერნატორად და კაიროს ფაშად დაინიშნა აბდი-ფაშა და მის ხელთ 300 მეომარი აღმოჩნდა, შეიხ ელ-ბალადად გამოცხადდა ისმაილ-ბეი, რომელსაც პირად საკუთრებაში 250 მამლუქი მეომარი დარჩა; დეფტერდარობა მიენდო აჯანყებულთა მოღალატეს ალი-ბეის; მას ხელქვეითთა შორის ეყოლებოდა 400 მამლუქი დეზერტირი, რომლებმაც მიატოვეს აჯანყებულთა დროშა; ემირ-ჰაჯის თანამდებობა ჩაიბარა ჰასან-ჯიდელმა, რომელსაც 200 მამლუქი მეომარი დაექვემდებარა. მურად-ბეის და იბრაჰიმ შინჯიკაშვილის (მარტყოფელი) ნება დაერთოთ ჯირკასთან ყოფილიყვნენ და ხელთ ჰქონოდათ ზემო ეგვიპტის შემოსავალი. მათ ასამდე მამლუქი შერჩათ. მათვე კაპუდან-ფაშამ სამი მძევალი გამოართვა, რაც წარმოადგენდა საერთო ისტორიული წესის დარღვევას. პირად წარმომადგენლად კაპუდან-ფაშამ ეგვიპტეში საკუთარი კიაია, ანუ ლეიტენანტი დატოვა. მას ერქვა ისმაილ კიაია“[2].

ახლა ისმის ბუნებრივი კითხვა: ზავის დადების დროს, ანდა მანამდე, კაპუდან ფაშამ რატომ არ გაითვალისწინა სტამბოლში წინათ მიღებული დადგენილებანი, რატომ ნაწილობრივ მაინც არ გატარდა ცხოვრებაში ეგვიპტის შესახებ 1786 წლის 11 აგვისტოს მიღებული დივანის გადაწყვეტილება, რომლის შინაარსი დაწვრილებით არის გადმოცემული რუსეთის საელჩოს მოხსენებაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მოვიგონოთ ის სპეციფიკური მდგომარეობა, რომელიც იმ დროს ოსმალეთის ხვანთქრის კარზე არსებობდა. სპეციფიკურობას ჰქმნიდა ხვანთქრებს. როგორც ინდივიდების, არარაობა. ოსმალეთის ხელმწიფეები XVIII საუკუნეში, როგორც წესი, სულიერად დაუძლურებულები იყვნენ, ქვეყნის ავანჩავანი ძალიან ცუდად გაეგებოდათ, აკლდათ გამჭრიახობა და ნებისყოფა. ეს არც გასაკვირია. სანამ მემკვიდრე პრინცი იყო, ხვანთქართა საგვარეულოს ყველა ჩამომავალი თავის წუთისოფელს სტამბოლის სასახლეში ტუსაღის მდგომარეობაში ატარებდა, მას საქმესთან ახლოსაც არ აკარებდნენ და საქვეყნო ვითარებაზე არავითარი

[1] F. Sauvebeuf. დასახ. წიგნი, ტ. I, გვ. 101—109.

[2] ფრანსუა შარლ რუ, ერთი გზის გარშემო (ფრანგ. ენაზე), 1922. გვ. 265—266.

წარმოდგენა არ ჰქონდა. როცა ხვანთქრად დაჯდებოდა, უკვე ხანში შესული იყო და ჰარამხანაში დროსტარებით გონებადაჩლუნგებული ჰკიდებდა ხელს იმპერიის საქმეს. ეს გარემოება დიდ გასაქანს აძლევდა ცალკეული მინისტრების თვითნებობას, შუღლსა და ქიშპობას დივანის შიგნით და მთავრობის შემადგენლობაში, ფავორიტების თავგასულობას, ცენტრალური ორგანოების კორუპციას და მოშვებულობას. ამით აიხსნება რუსეთის საელჩოს ცნობებში დაცული ბევრი ისეთი ფაქტი, რომელიც შეიძლება უცნაური გვეჩვენოს, თუ მათ ევროპული, ანდა თუნდაც იმდროინდელი რუსული პოლიტიკური სინამდვილის თვალსაზრისით შევხედავდით, უსაფუძვლოდ როდი წერდნენ ევროპელი დიპლომატები და ისტორიკოსები—ოსმალეთი სრულიადაც არ ჰგავს ევროპას, ვერ გაგვიგია აქ რამდენი ხელმწიფე მბრძანებლობსო.

ინგლისელი მილედი ელიზა კრავენი, რომელმაც სტამბოლი 1786 წელს მოინახულა, მაშინდელ ხვანთქარს შემდეგნაირად ახასიათებდა: „იგი შეტისმეტად მშიშარა კაცია, მორცხვი, მხდალი და უვიცი. არ ძალუძს დააშოშმინოს მეამბოხე მინისტრები, რომლებიც ანგარების გულისათვის ერთმანეთს წაჰკიდებიან. ხვანთქარი უმწეოა, როცა საქმე შეეხება შინაგანი წესრიგის დამყარებას ოტომანების მთავრობის კაბინეტში. საშინლად უზრუნველი პიროვნებაა და ეს გარემოება განსაზღვრავს იმას, რომ არ ცდილობს შეიტყოს, რა ხდება სტამბოლს გარეთ და გულთან მიიტანოს ქვეყნის მდგომარეობა. ბრმად უჯერებს ჰასანს—ამ დიდ ამირბარს ანუ კაპუდან-ფაშას, რომლის მამაცობა მშიშარა ხელმწიფისათვის საიმედო თავშესაფარს წარმოადგენს. იანიჩრები ხშირად აწყობენ აჯანყებებს. პროვინციის მმართველებიც, ანუ ფაშები ყველანი ერთსა და იმავე დროს უჯანყდებიან ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას... რატომ უნდა გვიკვირდეს, რომ ხელმწიფე, რომელიც სასახლიდან გარეთ არასოდეს გამოსულა, მოკლებულია ნებისყოფის ყოველგვარ სიმტკიცეს, ამ მხრივ თავისი ცოლების უმეტესობისაგან არ განსხვავდება და ცახცახებს თავის ტახტზე“[1]. ეს კაცი რა კონტროლს დაამყარებდა მოხელეთა მიმართ?

საინტერესოა ისტორიკოს ფრანსუა შარლე რუს მიერ აღწერილი ეროი ეპიზოდი, რომელსაც კავშირი აქვს მეორე აჯანყების პერიოდთან. „მურადმა და იბრაჰიმმა (შინჯიკაშვილი) არ დააყოვნეს თავიანთ ვალდებულებათა დარღვევა და საომარი მოქმედების განახლებით იმუქრებოდნენ. შეიხ ელ-ბალადმა ისმაილმა, სცადა რა მათთან კონფლიქტის მოგვარება, ორჯერ მოაწერინა ხელი ვალდებულებებზე, რომელიც ორივეჯერ იქნა დარღვეული. 1785 წლის აპრილში ორივე ბანაკის ჯარები ერთმანეთთან პირისპირ დადგნენ კაიროს ახლოს. აჯანყებულები მალე დაიშერდნენ ძალაუფლების სადავეებს, რომ ისმაილ-ბეის არ ემარჯვნა და არ შეეპყრო მათი ბანაკის მრავალი მამლუქი, რომელთაც

[1] Е. Кравен. Путешествие в Крым и Константинополь в 1786 г., გვ. 389—391. შდრ. Corespondance Politique et Anecdotique sur les Affaires De l'Europe... t, II. 1789, გვ. 193.

თავის დროზე თავი დეზერტირებად გაესაღებინათ და ხელისუფლების სათავეში მყოფ მამლუქ ბელადებთან მფარველობა ეპოვნათ. თვრამეტი ქაშიფი და ასზე მეტი მამლუქი დაატუსაღეს და ალექსანდრიის ციტადელში მოათავსეს. მალე რვა მთავარი ქაშიფი პატიოსანი სიტყვის საფუძველზე ტყეეობიდან გაათავისუფლეს. მათ შორის ორნი — ჰაიდარ-ქაშიფი სამ წელიწადს სელექტარად (ხმლის მომრთმევი) და აგრეთვე სამ წელიწადს ხაზინადრად ნამყოფი და სელიმ-ქაშიფი, რომელიც იბრაჰიმ-ბეის ბელადობით მისი ჯარების ერთ რაზმს სარდლობდა, ხშირად ცხადდებოდნენ ვალდვინთან (ინგლისის კონსული ეგვიპტეში—დ. ჯ.). ბოლოს და ბოლოს, დიდი საიდუმლო გაანდვეს მას: ჩვენი ბატონი, — გაუმხილეს ვალდვინს ერთ დღეს, — მიისწრაფვის დამოუკიდებლობისაკენ. ჩვენ უკვე ახლოურთიერთობა დავამყარეთ რუსეთის კართან და ამ კარს მივყვებოდით, მაგრამ რუსეთის კონსული ბარონი ტონუსი, რომლის კეთილ სამსახურსაც წარსულში დავენდეთ, აღმოჩნდა სუსტი კაცი და ჩვენ საქმეს უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე სარგებლობა ანახვა, ამიტომ დაგვებადა აზრი, რომ ავსტრიის იმპერატორთან მეგობრობა მეტ ხეირს დაგვაყრის, ვიდრე რუსეთთან კავშირი; აქედან გამომდინარე გვინდა ვენას ვაფრინოთ ელჩი და შევთავაზოთ ისეთი სავაჭრო პრივილეგიები, რომელიც სასურველი აღმოჩნდება მისთვის, ამას გარდა, ჩავაყენოთ ავსტრიული გარნიზონები ალექსანდრიასა და სუეცში და სამაგიეროდ მოვთხოვოთ ერთი პირობის ჯარულება: მანამ არ შეწყვიტოს ომი ოსმალეთთან, სანამ ხვანთქართან ზავის აბსოლუტურ საწინადრად აღიარებული არ იქნება ეგვიპტის დამოუკიდებლობა. ამ საიდუმლოს გამხელა უცნაური ფაქტი იყო. არანაკლებ უცნაური გამოვიდა ის, რომ ხსენებულმა კაშიფებმა იბრაჰიმ-ბელადის ელჩად (ვენის კარზე) დაასახელეს იგივე ვალდვინი და შესთავაზეს მას აესრულებინა ასეთი მისია. საამისოდ შეაძლიეს მსხვილი თანხა. ვალდვინი სწერდა ლორდ კარმართენს: „მე ვფიქრობდი, მილორდ, რომ პოლიტიკურად ურიგო არ იქნებოდა მომესმინა მათი წინადადება, რათა გამეგო რა გეგმები ჰქონდათ თავში ამ ადამიანებს“.

...ვალდვინთან ამ საუბრის მეორე დღეს, შეუერთდნენ რა თავიანთ ბატონს, ეს კაშიფები იმუქრებოდნენ—ალექსანდრიას იერიშით ავიღებთ, თუ ჩვენი დატუსაღებული თანამებრძოლები ჯურღმულებიდან გამოშვებული არ იქნებიანო. დაშინებულმა ადგილობრივმა ხელისუფლებმა სატუსაღოს კარები გაუღეს დაპატიმრებულ მამლუქებს და ისინი იბრაჰიმ ბელადს გადასცეს, ხვანთქრის კარმა, რომელმაც აჯანყებულთა განზრახვები და რუსებთან ურთიერთობა იცოდა, ალექსანდრიაში არნაუტი (ალბანელი) ისმაილ-ფაშა გაგზავნა და გაატანა სამი ათასი არნაუტი, რათა მათ ქვემო ეგვიპტე შესევებისაგან დაეფარათ, ეს მაშველი ძალა, ფიქრობდა ვალდვინი, სავსებით საკმარისია, რომ ალექსანდრია და კაირო ხელში არ ჩაუვარდეთ მურად და იბრაჰიმ ბელადებს, მაგრამ იგი სრულიადაც ვერ უზრუნველყოფს ეგვიპტის მიწა-წყალს რუსთა დესანტების შემოსევისაგან, რომლებიც მოკავშირეებად მოევლინებიან ხსენებულ

მამლუქ წინამძღოლებს. მაშინ რუსთა ექსპედიცია ეგვიპტის წინააღმდეგ საშიშ პერსპექტივად ჩანდა. ბარონ ტონუსის ძველი მდივანი ლივორნოში გაიგზავნა. იქ მიიღო ბრძანება, დალოდებოდა გრაფ ორლოვის ჩასვლას, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში მოქმედი რუსული ესკადრის წინამძღოლად იყო დანიშნული[1].

ეს ამბები ძირითადად შეეხება კაპუდან-ფაშას მიერ ეგვიპტეში საოკუპაციო რეჟიმის დამყარების (1787 წლის აგვისტო-სექტემბერი) მომდევნო ხანას. ფრანსუა-შარლე-რუს გადმოცემა იმით არის საინტერესო, რომ, როგორც ირკვევა, რუსეთთან კავშირი ერთადერთი ალტერნატივი არ ყოფილა იბრაჰიმ შინჯიკაშვილიანთვის (თუ, რასაკვირველია, ზემოთ დასახელებული ორი ქაშიფის მოქმედება იბრაჰიმ ბელადის განზრახვებს გამოხატავდა და არა მათ თვითნებობას). ამ საკითხის ამომწურავი გაშუქებისათვის დამატებითი ცნობების მოპოვებაა საჭირო. თუ ხსენებული ორი ქაშიფის მოქმედება იბრაჰიმ ბელადის დავალების შესაფერისი იყო, მაშინ უნდა ითქვას, რომ აჯანყებულ მამლუქებს მისამართი შეშლიათ: ვალდვინი, როგორც ინგლისის წარმომადგენელი, მათი წინადადების განსახორციელებლად თავს არ გამოიდებდა. თვითონ მკითხველმა განსაჯოს: განა ლონდონის კაბინეტი, რომელიც გაფაციცებით ესწრაფვოდა ეგვიპტეში თავისი მონოპოლისტური გავლენის მოპოვებას, დაეთანხმებოდა, რომ მის წარმომადგენლებს იმავე ეგვიპტეში ავსტრიის კარის ინტერესებისათვის ეზრუნათ და საკუთარი მიზნები მაუდქვეშ მიეფუჩეჩებინათ? რასაკვირველია, ლონდონი ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაეთანხმებოდა და, ამრიგად, ორი ქაშიფის ზემოხსენებული ცდა მოკლებული იყო სათანადო საფუძვლებს.

რა მისცა მეორე დიდმა აჯანყებამ მამლუქ ბელადებს, რომელთაც ძირითადად, თბილისელი მურად-ბეი და მარტყოფელი იბრაჰიმ შინჯიკაშვილი მეთაურობდნენ? ამ აჯანყებამ ხვანთქრის წარმომადგენელი კაპუდან-ფაშა-ჰასანი იძულებული გახადა ზემო (მთაგორიანი) ეგვიპტე აჯანყებულ მამლუქთა საგამგებლო ზონად გამოეცხადებინა. ამავე დროს, მამლუქთა ბრძოლამ, სხვა მიზნებთან ერთად, ჩაფუშა 1786 წ. 11 აგვისტოს დივანის გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების საქმე. უფრო მეტის მიღწევას ხელი შეუშალა აჯანყებულთა ბანაკში არსებულმა განხეთქილებამ—პირველ რიგში—იმ კონფლიქტმა, რომელიც მურად-ბეისა და ჰასან-ჯიდელს შორის ჩამოვარდა. ჰასან-ჯიდელის ოსმალთა ექსპედიციის მხარეზე ყოფნა დიდ ზიანს აყენებდა ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენის საქმეს.

ზემოხსენებული განხეთქილების გამოყენებით კაპუდან-ფაშა-ჰასანმა შეძლო კაიროზე ხვანთქრის ბატონობის აღდგენა, მაგრამ ახალი წესრიგი, როგორც ევროპელი კონსულებიც წინასწარმეტყველებდნენ, მტკიცე ვერ აღმოჩნდა და სამი-ოთხი წლის შემდეგ იგი საბნის ბუშტივით გასკდა. რუსული წყაროები საშუალებას იძლევა საკმაოდ დაწვრილებით წარმოვადგინოთ აჯანყების

[1] ფ რ. შ. რ უ, დასახ. შრომა, 289—291 (ვალდვინის მოხსენება — 1788 წ. აპრილი).

მსვლელობა და გავასწოროთ ევროპულ ისტორიოგრაფიაში დაშვებული ზოგიერთი შეცდომა.

ხვანთქრის მარიონეტი ისმაილ-ბეი 1791 წელს შავმა ჭირმა იმსხვერპლა. მთელს ეგვიპტეს ხელახლა დაეპატრონენ იბრაჰიმ შინჯიკაშვილი და მურადბეი. რაც შეეხება კონსულ ტონუსს, იგი 1789 წელს მოკლეს კაიროში დროებით დამკვიდრებულმა ოსმალეთის მარიონეტებმა. სათანადო უნდა მიეზღოს იმ გამბედაობას, რომლითაც კონსული ტონუსი თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა. მაგალითად, 1788 წლის აგვისტოში მან გაბედა, საფრანგეთის კონსულთან ერთად კაიროს დივანზე გამოცხადებულიყო და სიცოცხლისათვის დიდი რისკის ფასად ოსმალეთის მოხელეთა და იმავე ოსმალეთის მომხრე მამლუქი ბეგების წინაშე პოლიტიკური სიტყვა წარმოეთქვა. ტონუსმა კაიროს დივანს მოუწოდა ოსმალეთს აჯანყებოდა. მართალია, დივანის ზოგიერთი წევრი ტონუსს ქომაგად დაუდგა, მაგრამ რუსეთის კონსული დაპატიმრებას და შემდეგ სიკვდილით დასჯას ვერ გადაურჩა. 1788 წლის 27 აგვისტოს კაიროს დივანზე გამოცხადება ტონუსის შეცდომა აღმოჩნდა. მან გადაჭარბებული იმედები დაამყარა დივანის შიგნით არსებულ უთანხმოებაზე და რეალურად ვერ შეიფასა რუსეთის მომხრე მამლუქ და არამამლუქ პოლიტიკოსთა მაშინდელი ნამდვილი შესაძლებლობანი. საფრანგეთის კონსული ალბათ ვერსალიდან მიღებული ახალი ინსტრუქციებით მოქმედებდა, როცა ტონუსის გაბედულ დემარშს მხარი აუბა. ცნობილია, რომ 1788—1789 წლებში საფრანგეთის მთავრობა ცდილობდა რუსეთთან საერთო ენა გამოენახა — სტამბოლში სულ ერთიანად გაბატონებული ინგლისისა და პრუსიის გავლენის გასაქარწყლებლად. საფრანგეთისა და რუსეთის კონსულების ზემოხსენებული ერთობლივი პოლიტიკური ვიზიტი კაიროში ვერსალის ოფიციალური წრეების ამ უეცარი შემობრუნებით უნდა აიხსნებოდეს.

თავი მეოთხე

## ბრძოლა პირამიდებთან

### ეგვიპტის საკითხი მსოფლიო პოლიტიკაში

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთის იმპერიის ბედ-იღბლის პრობლემა ევროპის კაბინეტებისა და საზოგადოებრივი წრეების გაცხოველებული მსჯელობის საგანი გახდა. ამ იმპერიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროვინციას XVI საუკუნის დამდეგიდან ეგვიპტე წარმოადგენდა და, ცხადია, რომ ოსმალეთის გარშემო გაჩაღებული დიპლომატიური ბრძოლა მასაც შეეხო.

ხვანთქრის საბრძანებელი ახლო აღმოსავლეთის გზებზე იყო გადაჭიმული: ე. წ. „ლევანტური ვაჭრობა“ უმთავრესად ამ გზებზე არსებულ სასაქონლო მიმოქცევას გულისხმობდა. ლევანტისა და საერთოდ, ახლო და შუა აღმოსავლეთის ასპარეზზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ძირითად კონკურენტებად დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი გამოვიდნენ, თუმცა ხსენებულ ასპარეზს უყურადღებოდ არც ჰოლანდია, პრუსია, ავსტრია, ვენეცია და რუსეთი ტოვებდნენ.

ევროპის ქვეყნებს შორის ახლო აღმოსავლეთში უპირატესობა საფრანგეთს ეკუთვნოდა, მეორე ადგილზე დიდი ბრიტანეთი მოდიოდა. საფრანგეთი XVIII საუკუნეშიც ოფიციალურად განაგრძობდა ოსმალეთის ხვანთქართან ტრადიციული „მეგობრობის“ პოლიტიკას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1536 წელს (სულეიმან პირველისა და ფრანსუა პირველის დროს) და, ერთი შეხედვით, ხვანთქრის იმპერიის გაყოფის გეგმების წინააღმდეგი იყო, რითაც ცდილობდა დაპირისპირებოდა პეტერბურგისა და ვენის სამხედრო-ფეოდალური კამარილიების დაპყრობით ტენდენციებს, შეენარჩუნებინა ოსმალეთში ე. წ. „საკაპიტულაციო რეჟიმით“ დამყარებული თავისი სავაჭრო და პოლიტიკური მონოპოლია და გამოეყენებინა სტამბოლის კარი ვერსალის გაბატონებული

წრეების სასარგებლოდ ევროპულ გართულებათა დროს. ბურბონების ლოიალური პოზიცია ხვანთქრის მიმართ ფრანგი განმანათლებლების მძაფრ კრიტიკას იწვევდა.

საფრანგეთის ლევანტურ ვაჭრობაში ეგვიპტეს თავიდანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. დანიელი მეცნიერი კარსტენ ნიბური, რომელმაც პირამიდების ქვეყანა XVIII საუკუნის 50—60-იან წლებში მოინახულა, ფრანგი სავარი, ვისაც იგივე პატივი წილად ხვდა ცოტა მოგვიანებით, მეცნიერი ვოლნეი, რომელიც ავტორია ეგვიპტეში და სირიაში თავისი მოგზაურობის შესახებ ორტომიანი წიგნისა, აგრეთვე თვით ნაპოლეონ ბონაპარტე (გენერალ ბერტრანდის ჩანაწერების მიხედვით)—ყველანი ერთხმად, მაღალ შეფასებას აძლევენ ეგვიპტისა და მისი დედაქალაქის კაიროს სააღებ-მიცემო მნიშვნელობას და საფრანგეთის სასაქონლო მიმოქცევას პირამიდების ქვეყანასთან ას ოცი, ას ორმოცდაათი მილიონი ლივრის ფარგლებში ანგარიშობენ. მცირეოდენი სხვაობით მათ მონაცემებს ემთხვეოდა დიდრო-ჰოლბახ-ჰელვეციუსის უახლოესი თანამოაზრის ვილჰელმ ტომას რეინალის სტატისტიკა. აღებ-მიცემობის მოვლა და განვითარება სტამბოლში აკრედიტებული ფრანგი ელჩების მუდმივი ყურადღების საგანს წარმოადგენდა. საფრანგეთის ისტორიოგრაფიაში გავრცელებული შეხედულებით, ბურბონთა დიპლომატი აგენტების საქმიანობაში სავაჭრო-ეკონომიური მომენტი პოლიტიკურზე დომინანტობდა.

ეგვიპტეს საფრანგეთისათვის მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ინდოეთთან ტრანზიტული ვაჭრობის, არამედ სპარსეთის კომერციასთან მოხერხებულად დაკავშირების თვალსაზრისითაც. ხუთი ცნობილი სატრანზიტო გზიდან, რომელიც ევროპას სპარსეთთან აკავშირებდა, მეოთხე—ეგვიპტის მიწა-წყალზე გადიოდა: იგი გაივლიდა პარიზს, მარსელს, მალტას, კრეტას, დამიეტას, სუეცს, ჯიდას, ბაბელ-მანდების სრუტეს, სოკოტორას ბორცვს, როზალგატის კონცხს, ბენდერ აბასით შირაზ-ისფაჰანისაკენ მიემართებოდა და მთელ სიგრძეზე ორი ათას ხუთას ლიეს შეადგენდა[1].

შვიდწლიანი ომის შემდეგ, როცა საფრანგეთი მსოფლიო-კოლონიურ მეტოქეობაში სერიოზულად აღმოჩნდა დაზარალებული, ვერსალთან დაახლოებულ წრეებში და ფრანგ ბიზნესმენთა შორის მოდად იქცა ლაპარაკი ეგვიპტეში საფრანგეთის გაბატონების შესახებ, რათა მომხდარიყო ანაზღაურება იმ დანაკარგებისა, რაც ვერსალის ბურბონებმა ინგლისთან მსოფლიო ჭიდილში განიცადეს.

ალი-ბეის აჯანყებას (1768—1773 წწ.), რომელმაც საფუძვლიანად შეარყია ოსმალეთის ძალაუფლება ეგვიპტეში, მოჰყვა ამ ქვეყნის მიმართ დასავლეთ ევროპის მმართველი და საქმოსანი წრეების ყურადღების გამახვილება. ისინი სუეცზე გავლით და მეწამული ზღვის მეშვეობით ვარაუდობდნენ ინდო-

[1] Maurice Herbete. Une Ambassade Persane Sous louis XIV. Paris. 1907. გვ. 356—360.

ეთთან სააღებ-მიცემო კავშირის გაცხოველებას და ამავე დროს ეგვიპტის პოლიტიკური სტატუსის შეცვლაზედაც ბევრს წერდნენ და ფიქრობდნენ.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში სტამბოლში აკრედიტებულმა ელჩმა სენპრიმ[1], ოსმალეთში საიდუმლო სამხედრო-პოლიტიკური მისიით მივლინებულმა უნგრელმა რენეგატმა ბარონმა ტოტმა და საზოგადო მოღვაწეებმა კარამ და სენ-დიდიემ წარადგინეს პროექტები ოსმალეთის ვრცელი იმპერიის დანაწილებისა და ეგვიპტის ბედ-იღბლის თაობაზე. ბარონი ტოტი ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, რომლებიც გარკვეული ევროპული წრეების დავალებით ოსმალეთის შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციას ესწრაფვოდნენ. ასეთი ცდები მაშინდელ ოსმალეთში დიდ სიძნელეებს აწყდებოდა. ადგილობრივი რეაქცია ულემთა კორპუსის მეთაურობით დიდ წინააღმდეგობას უწევდა ევროპულ რეფორმებს, რომლებშიაც იგი ისლამის სარწმუნოებისა და ტრადიციების შერყვნას ხედავდა. ტოტის მსგავსი რეფორმატორების საქმიანობას. რასაკვირველია, არაფერი ჰქონდა საერთო ოსმალეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და სამხედრო პოტენციალის ნამდვილ განმტკიცებასთან. ისინი თავიანთი ევროპელი ბატონების საიდუმლო დაკვეთებს ასრულებდნენ და ოსმალეთის ეკონომიკასა და პოლიტიკაში უცხო ძალების დამკვიდრებისათვის იღწვოდნენ, რათა ხვანთქრის იმპერია ამა თუ იმ ევროპული ქვეყნის მორჩილ იარაღად ექციათ. ტოტმა ოსმალეთის ჯარების ინსპექცია ჩაატარა, ყირიმის სახანოშიც იმოგზაურა, დაწვრილებით აღწერა ოტომანთა სახელმწიფოს მდგომარეობა და ვერსალში წარადგინა რამდენიმე მემორიალი, სადაც ეგვიპტის ოკუპაციის აზრს ავითარებდა.

ეს აზრი შემდგომ ხანებში სხვადასხვა მოღვაწემ გაიზიარა: ჩამოყალიბდა კონცეფცია, რომლის მიხედვით საფრანგეთს უნდა დაეპყრო საბერძნეთის არქიპელაგის ზოგიერთი კუნძული და ეგვიპტე, მაშინ, როცა სხვა დაინტერესებული ქვეყნები ადრიატიკის ზღვის სანაპიროს და ევროპულ ოსმალეთს დაეპატრონებოდნენ. კვიპროსში, როდოსსა და ეგვიპტეში, საფრანგეთის ცივილიზაციის დამკვიდრებას და ამ გზით ელინური სამყაროს აღორძინებას ქადაგებდა სავარი, რომელმაც XVIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მოინახულა დასახელებული ქვეყნები. ამავე დროს გაცოცხლდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ლეიბნიცის სახელგანთქმული პროექტი, რომელიც ჯერ კიდევ 1672 წელს წარედგინა საფრანგეთის მთავრობას სუეცის არხის გაჭრისა და ეგვიპტეში ვერსალის ალმის გაბატონების თემაზე, მაგრამ შემდეგ დავიწყების სქელი ბურუსი გადაეფარა. სხვადასხვა ევროპელი პრინცი, პოლიტიკური მოღვაწე და ხიფათის მაძიებელი (ამ უკანასკნელი კატეგორიის ადამიანებით ხომ სავსე იყო ავანტიურისტების საუკუნე) აყენებდა ვერაგულ გეგმას: სპეკულაციას უწევდნენ რა რუსეთის დიდ წარმატებებს ოსმალეთთან ბრძოლაში, ეს პირნი მოითხოვდნენ ხვანთქრისაგან ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა პრო-

[1] Saint-Priest, Comte. Mémoires sur l' Ambassade de France en Turquie; Paris, 1877.

ვინციაში ევროპელთა ჯარების ჩაყენების ნებართვას, რათა ამ ჯარებს რუსეთის მომავალი თავდასხმის შემთხვევაში მიტაცებისაგან „დაეცვათ“ ეს პროვინციები. ამ მუხანათური პროექტის ავტორები მსჯელობდნენ: უკეთუ ოსმალეთი განადგურებას და დანაწილებას ვერ გადარჩა, ჩვენი ჯარები დარჩებიან ხვანთქრის ამ პროვინციებში, და, ამგვარად, ჩვენი წილი შესანიშნავად იქნება გარანტირებულიო[1].

საფრანგეთში XVIII საუკუნის 70—80-იანი წლების სარბიელზე მემორიალებისა და პროექტების დიდი „მოსაზღვრიანობა“ აღინიშნება. ფრანგები არა მარტო ინგლისის ცდებს უფრთხიან, არამედ ისინი ნაკლებად შეშინებული როდი არიან ავსტრიის ექსპერიმენტებით. ვენის კაბინეტის ღონისძიებათა მოსალოდნელი შედეგი იქნება ავსტრიის ხელში აზიის ჭიშკრების გადასვლა და ტრიესტის გადაქცევა ინდოეთის კომერციის მეტროპოლიადო — აი, რას შიშობდნენ ფრანგი პოლიტიკოსები და მათთან ახლოს მდგომი წრეები. მემორიალისტთა ერთი ჯგუფი მთავრობას ურჩევდა—დავუკავშირდეთ სპარსეთს და მასთან თანამშრომლობით გავბატონდეთ სირია-პალესტინასა და ბაბილონეთზეო. სხვანი ვერსალს სთავაზობდნენ საფრანგეთ-ჰოლანდია-ვენეციის ერთობლივ გამოსვლას და ხვანთქრის კარის დასტურით ამ სამთა კოალიციის მიერ, ინდოეთის კომერციიდან ინგლისის გამოძევების მიზნით, ეგვიპტის დაკავებას. მესამენი ფიქრობდნენ — ეგვიპტე კი არა, ავსტრიელი ნიდერლანდები უნდა მოვითხოვოთ კომპენსაციად, როცა ოტომანთა იმპერიის გაყოფა მოხდებაო. მეოთხენი მთავრობას სთავაზობდნენ ავსტრიასა და რუსეთთან ხელიხელჩაკიდებულ გამოსვლას ოსმალეთის წინააღმდეგ და საფრანგეთის ამ „ტრადიციული მეგობრის“ მემკვიდრეობის დანაწილებაში პარტნიორობის საფასურად ლუი მეთექვსმეტისათვის ეგვიპტესა და კრეტას მოითხოვდნენ[2].

ასეთ ვითარებაში საფრანგეთის წარმომადგენელმა ტრიუგეტმა 1785 წელს ეგვიპტის მამლუქ ბელადებთან დადო კონვენცია სუეცის გზით ინდოეთისაკენ ფრანგი ვაჭრების თავისუფლად გატარების შესახებ. კონვენცია ჩვიდმეტ მუხლს შეიცავდა. ფრანგთა გემებს ნება ეძლეოდათ მისდგომოდნენ ეგვიპტის ყველა ნავსადგურს და ეხადათ იმდენივე ბაჟი, რამდენიც ოსმალეთის გემებზე იყო შეწერილი. თუ სოვდაგარი რამეს დააშავებდა, მის საქმეს საფრანგეთის გემის უფროსი, ანდა ვერსალის კონსული გაარჩევდა. ალექსანდრიაში ინდოეთს წასასვლელადაც და პირუკუ—ინდოეთიდან საფრანგეთისაკენ გასაღწევად ჩასული ფრანგები ორივე მიმართულებით თავისუფლად გაიშვებოდნენ.

შუაზიოლ გუფიეს მემორიალი, რომელიც 1785 წ. იანვარში ოსმალეთის

---

[1] ფ რ ა ნ ს უ ა შ ა რ ლ ე რ უ, ეგვიპტის ექსპედიციის წარმოშობა (ფრანგულ ენაზე), პარიზი, 1910, გვ. 35—99.

[2] ფ რ ა ნ ს უ ა შ ა რ ლ ე რ უ, ერთი გზის გარშემო (ფრანგულ ენაზე), პარიზი, 1922, გვ. 161—175.

მთავრობას ფარულად წარედგინა, იყო ზონდაჟი — ვერსალის ხელმძღვანელ წრეებს სურდათ გაეგოთ, რა აზრის იქნებოდა ხვანთქარი საფრანგეთისათვის ეგვიპტის დათმობის საკითხზე და რა სამაგიერო სამსახურის პირობას წაუყენებდა იგი ვერსალის კარს და დიპლომატიას. როცა ბურბონთა კარი ასეთ ზონდირებას ახდენდა, რა საფუძველი გვაქვს ვერწმუნოთ ფრანგული ისტორიოგრაფიის ზოგიერთ წარმომადგენელს და იმათ კვალობაზე ვილაპარაკოთ, რომ თითქოს მონარქიული საფრანგეთი XVIII საუკუნის 80-იან წლებში მტკიცედ იდგა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის ხელუხლებლობის პოზიციაზე. თავის მემორიალში ელჩი შუაზიოლ გუფიე საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის სახელით ხვანთქარს ჰპირდებოდა, რომ მოაწყობდა ყირიმში კოალიციური ჯარების გადასხდომას და ამ ნახევარკუნძულზე ოსმალეთის ბატონობას აღადგენდა.

შუაზიოლ გუფიეს მემორიალს არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. ინგლისის გავლენამ და ოსმალეთის შინაურმა ფანატიზმმა გააქარწყლა ვერსალის დიპლომატიური დემარშები. მონმორინს, რომელმაც 1787 წელს უზენაეს პოსტზე შეცვალა გრაფი ვერჟენი, საფრანგეთის გართულებული საშინაო მდგომარეობის გამო არ შეეძლო სერიოზულად ეფიქრა ეგვიპტისა და ოსმალეთის იმპერიის სხვა ნაწილების ოკუპაციაზე. მალე მოხდა ბურჟუაზიული რევოლუცია და ახლო აღმოსავლეთში საფრანგეთის პოზიციები დროებით შესუსტდა. თუმცა სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ ლევანტი გადაივიწყეს. რესპუბლიკის მეოთხე წელს, ოცი პლიუვოზის მოხსენებაში საგარეო საქმეთა მინისტრი დე ლაკრუა დირექტორიას უმტკიცებდა: ეგვიპტე ოსმალეთისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, იგი ხელში ჩავარდნია ექვსი ათას ცოფმორეულ ყაჩაღს და ისინი აპარტახებენ[1], ათი ათასი რესპუბლიკელი იჯარებს, რომ ეგვიპტე გავათავისუფლოთ, იქ მშვიდობა დავამკვიდროთ, შევქმნათ პროდუქტების სიუხვე და საფრანგეთს საუცხოო და ამოურწყველი ბეღელი შევძინოთ სამხრეთი დეპარტამენტებისათვის, ერთი უმოკლესი გზაც — აღმოსავლეთ ინდოეთთან დასაკავშირებლად და, მაშასადამე — ცენტრი უაღრესად ხელსაყრელი აღებ-მიცემობისა. ოსმალეთიც შეიძლება მის დათმობაზე ადვილად დავიყოლიოთ, თუ ხორბლეულით სტამბოლის უზრუნველყოფას დავპირდებითო[2].

ამგვარად, 1795—1796 წლებში დირექტორიის წევრები ალაპარაკდნენ ეგვიპტეში სამხედრო ექსპედიციის ჩატარებისა და იმ ქვეყნის ოკუპაციის შესახებ.

1797 წელს გენერალმა ნაპოლეონ ბონაპარტემ განავითარა აზრი, რომ

---

[1] დე ლაკრუა აქ არ იყო ზუსტი. მისი ციფრი ტენდენციურად შემცირებული ჩანს, როგორც ცნობილია, გიზეს პირამიდებთან ნაპოლეონს შეება არა 6000, არამედ 12000 მამლუქი.

[2] მ ა რ ს ე რ ი ე., ერთი საელჩო სტამბოლში, საფრანგეთის რევოლუციის აღმოსავლური პოლიტიკა (ფრანგულ ენაზე), პარიზი, 1927, ტ. II, გვ. 258—259.

ოსმალეთის იმპერია საცაა დაემხობოდა, ამ მომენტს საფრანგეთი მოუმზადებელი არ უნდა შეხვედროდა და უნდა ეზრუნა სათანადო წილის წინასწარ მიღებაზე. საუკეთესო ულუფა ფრანგებისათვის ეგვიპტე იქნებაო, ქადაგებდა ნაპოლეონი.

მალე დირექტორიის შიგნით გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ საჭირო იყო ეგვიპტე გამოეყენებინათ ინდოეთზე ინგლისისათვის ლახვრის ჩასაცემად. სათანადო ექსპედიციის განხორციელება დაეკისრა ნაპოლეონს, რომელსაც მოსვენებას არ აძლევდა ალექსანდრე მაკედონელის დიდების დაფნა. ისტორიოგრაფიაში არსებობს აზრი, რომ დირექტორიამ, რომელსაც აშინებდა ბონაპარტეს ტალანტი და სახელი, გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა იგი და საამისოდ მოიფიქრა ეგვიპტის ექსპედიცია. ერთნი ამ ექსპედიციას ავანტიურად მიიჩნევენ, მეორენი (მაგ. ტიერი) ამტკიცებენ—ეგვიპტის ხელში ჩასაგდებად ღირდა ფრანგთა ერთი თუ ორი არმიის დაღუპვაო. ფრანსუა შარლე რუ, რომელიც საფრანგეთ-ეგვიპტის ურთიერთობის შესახებ დაწერილი თექვსმეტი მონოგრაფიის ავტორია, ამტკიცებს, რომ ექსპედიცია დირექტორიის ახირებული მოსაზრება როდი იყო, რომ მისი ავტორი არ ყოფილა დიდი პიროვნება (არც ნაპოლეონი, არც ტალეირანი და სხვა ვინმე), იგი იყო ბუნებრივი და ლოგიკური შედეგი რამდენიმე საუკუნის აზრისა, რომელიც საფრანგეთში თანდათანობით გაღვივდა და სხვადასხვა დროის მრავალ ძსეულ პროექტში გამოვლინდა[1].

საფრანგეთის ექსპედიცია ეგვიპტეში ემსახურებოდა ერთი მუჭა ფრანკი მილიონერების შემდგომი გამდიდრების ინტერესებს და მას არაფერი ჰქონდა საერთო სამხედრო-ფეოდალური რეჟიმისაგან ახლო აღმოსავლეთის ხალხთა გათავისუფლების საქმესთან. დირექტორიის დროს წყაროსაეით ჩქეფს ნამდვილი ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრება და ეს მიმდინარეობს ყველას დასანახავად, როგორც აღნიშნავენ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი.—ამ საზოგადოების ასეთი ამოტივტივება „დირექტორიების“ ხანაში სწრაფად, ერთი ხელის დაკვრით მოხდა. სახეზეა გამალებული პროცესი სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა შექმნისა, წყურვილი გამდიდრებისა, ახალი ბურჟუაზიული ცხოვრების ფუსფუსი, საფრანგეთის ნამდვილი განათლება: რევოლუციის უროთი დაიმსხვრა ამ ქვეყნის ფეოდალური სტრუქტურა და მრავალრიცხოვანი მესაკუთრენი თავიანთი მოუსვენარი მოღვაწეობის პირველ ხანებში ახდენდნენ ახლა მის ყოველმხრივ დამუშავებას. სახეზეა პირველი მოძრაობა გათავისუფლებული მრეწველობის—ასეთია ზოგიერთი გამოვლინება ბურჟუაზიული საზოგადოებისა, რომელიც ის-ის იყო დაიბადა, ბურჟუაზიული საზოგადოება თავის ნამდვილ წარმომადგენელს ბურჟუაზიაში პოულობს. ამგვარად ბურჟუ-

[1] ფრ. შარლე რუ, ეგვიპტის ექსპედიციის წარმოშობა (ფრანგულ ენაზე). პარიზი. 1910, გვ. 338—342, შდრ. ტიერი. კონსულატისა და იმპერიის ისტორია (ფრანგულ ენაზე). ტ. III, გვ. 116—119.

აზია იწყებს თავის ბატონობას. ბურჟუაზიის სწრაფი გამდიდრების კონტრასტს წარმოადგენდა ხალხთა მასების სიღუხჭირე. ნაპოლეონი, უკვე ექსპედიციის მოწყობის მომენტში, ეკუთვნოდა იმ მსხვილ ბურჟუაზიას, რომელმაც ხელი მოითბო და გაიზარდა სპეკულაციის ფურგონზე. 1799 წ. ნოემბერში, როცა ბონაპარტემ სამხედრო გადატრიალება მოახდინა, მისი ოჯახი ფლობდა ორი მილიონი ფრანკის ქონებას. 1812 წელს ტუილრის სასახლის სარდაფებში ინახებოდა სამასი მილიონი ფრანკი ოქროთი, როგორც პირადი ქონება ნაპოლეონისა[1]. მსხვილი ბურჟუაზიის ეს წარმომადგენელი ეგვიპტეში ჩაიყვანა გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების დაუცხრომელმა ძიებამ. ნაპოლეონი არ აპირებდა არსებითი ხასიათის სოციალური რეფორმების გატარებას ეგვიპტეში, რაც მალე დაამტკიცა მისმა საშინაო პოლიტიკამ ამ ქვეყანაში.

ბონაპარტემ და დირექტორიამ ინგლისის მმართველები მოხერხებულად შეიყვანეს შეცდომაში. უკანასკნელ მომენტამდე ამ პოლიტიკოსებმა ვერ გამოიცნეს, თუ რაში მდგომარეობდა ტულონში მიმდინარე გაცხოველებული საომარი სამზადისის ნამდვილი დანიშნულება. ბონაპარტემ ეგვიპტეში 40000 ჯეომარი გადასხა, ალექსანდრია გააფთრებული იერიშით აიღო და შემდეგ გაუგონარი მარშით ეგვიპტის უდაბნო გადაიარა.

1798 წ. ივლისში კაიროს სამხრეთით—გიზეს პირამიდებთან—გენერალური ბრძოლა მოხდა[2]. ამის შესახებ არქივში მოიპოვება ფრანგული ხელნაწერი — პირი ნაპოლეონის მოხსენებისა, რომელიც 1798 წლის 24 ივლისით არის დათარიღებული „...19 მესიდორს (მესიდორი საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის კალენდარში ერქვა თვეს, რომელიც ახ. სტ. 19 ივნისს იწყებოდა და 18 ივლისს თავდებოდა —დ. ჯ.) არმია ალექსანდრიიდან გავიდა. 20-ში უკვე დამანჰურთან[3] ვიყავით. უდაბნოზე გადასვლის დროს უჩვეულო პაპანაქებამ და უწყლობამ გაგვაწამა. ნილოსის სანაპიროზე — რაჰმანიესთან[4], სადაც 22 მესიდორს გავედით, ბრძოლა გადავიხადეთ. აქ შევუერთდით ფრანგთა დივიზიას, რომელიც როზეტადან სწრაფი მარშით წამოსულიყო. გენერალ დეზაის სპას შვიდასმა თუ რვაასმა მამლუქმა შეუტია, მაგრამ მან ზარბაზნების გაცხარებული ბათქით მტერს რამდენიმე მეომარი მოუკლა და უკუაქცია. მალე შევიტყვე, რომ მურად-ბეი დიდი სპისა, რვა თუ ათი პატარა ხომალდისა და მრავალი თოფ-ზარბაზნის იმედით მიგველოდა სოფელ შებრიზთან, რომელიც აგრეთვე ნილოსის სანაპიროზე მდებარეობს. 24 მესიდორს, საღამო ხანს,

---

[1] ვ. ე. მ ო ტ ი ლ ე ვ ი, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონ. ისტორია (რუსულ ენაზე). 1961. გვ. 56.

[2] პირამიდების ბრძოლა იყო ფრანგული ექსპედიციის ცენტრალური მომენტი. ეს გვიძულებს ვრცლად მოვიყვანოთ ნ. ბონაპარტეს მოხსენება.

[3] არაბულად „დამანჰური" — ქალაქი ქვემო ეგვიპტეში, ალექსანდრიის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

[4] არაბულად „არ-რაჰმანიია"—ქალაქი ქვემო ეგვიპტეში, ნილოსის ერთ-ერთი შენაკადის სანაპიროზე.

მტრისკენ დავიძარით. 25-ს, ირიჟრაჟა თუ არა, მის ბანაკთან გავჩნდით. მხოლოდ ორასი მხედარი გვახლდა, ისიც უდაბნოზე გადასვლით ქანცგართმეული, მამლუქებს საუცხოო ცხენოსანი მეომრები ჰყავდათ. ძვირფასი კარაბინებითა და ლონდონური დამბაჩებით შეიარაღებული მათი მხედრობა სულ ოქროვერცხლში იჯდა. სახელგანთქმულ აღმოსავლურ ხმლებს მამლუქთა მწკრივებში ლაპლაპი გაუდიოდა. მათ ბედაურებს თვალს ვერ მოსწყვეტდი. ალბათ, მთელ აფრიკაში ამაზე უკეთესი ცხენები არცაა. ჩვენი არმია იდგა კარეებად (განლაგების ასეთი წესი ჯარის კვადრატულად დაყენებას ერქვა—დ. ჯ.)... მათ ფრთებს უმაგრებდა ჩვენ მიერ დაკავებული ორი სოფელი. მოქალაქე პერემ, რომელიც მეზღვაურთა შენაერთს სარდლობდა და ხუთი პატარა ხომალდი ჰყავდა (მათ შორის—სამი ზარბაზნიანი კანჯო და ერთი პატარა კატარღა), მტრის ფლოტილიაზე იერიში მიიტანა. ბრძოლა გააფთრებული გამოდგა. ორივე მხრიდან ზარბაზნის ას ორმოცდაათი ბათქი გაისმა. პერე ყუმბარამ დაჭრა მაგრამ მან საუცხოო თადარიგითა და უშიშარი მოქმედებით დაიბრუნა ის ხომალდები, რომლებიც მამლუქებს ხელში ჩაეგდოთ და მტრის ამირბარიც ტყვიით დაცხრილა... მალე მამლუქთა ცხენოსანმა სპამ მთელი მინდორი დაფარა, ეკვეთა ჩვენს ფრთებს და ზურგს, უნდოდა სუსტი ადგილი ეპოვა და ჩვენს განლაგებაში შემოჭრილიყო, მაგრამ გაწბილდა, ფრანგთა მთელი ბანაკი სალი კლდესავით შეკრული აღმოჩნდა და მტერს ფრონტიდანაც და ფლანგებიდანაც გრიგალისებურ ცეცხლს უშენდა. მურად-ბეის ჯარმა ბევრჯერ დააპირა ჩვენთან შებმა, მაგრამ ვერ გაბედა. ბოლოს ზოგიერთი, ყველაზე მამაცი მამლუქი, იერიშით წამოვიდა. ბატალიონების ინტერვალში ჩაყენებულმა ფრანგმა კარაბინერებმა მათ გრიგალისებური ცეცხლი შეაგებეს. დღის ეროი ნაწილი მამლუქებმა ისე გალიეს, რომ ჩვენ ზარბაზნის სასროლ მანძილზედაც არ მოგვკარებიან. ბოლოს უკუქცევა იკადრეს და თვალს მიეფარნენ. მათ იმ დღეს სამასამდე კაცი მოვუკალით და დავუპერით... 2 თერმიდორს (თერმიდორი საფრანგეთის რევ. კალენდრის მიხედვით ერქვა თვეს, რომელიც იწყებოდა ახ. სტილით 19 ივლისს და თავდებოდა 17 აგვისტოს —დ. ჯ.), დილაუთენია დავინახეთ პირამიდები, ხოლო საღამოს კაიროდან ექვს ლიეზე (ლიე უდრის 4 კმ-ს—დ. ჯ.) ვიყავით. მაშინ შევიტყვე, რომ 23 მამლუქი ბეგი სოფ. ინბაბაში[1] ჩასანგრებულიყო, ყველას თავისი სპაც თან ხლებოდა, ხოლო სიმაგრეზე 60-მდე ზარბაზანი შემოემწკრივებინათ. პირამიდებთან დიდი ომი გადავიხადეთ. 3 თერმიდორს სისხამ დილაზე მტრის ავანგარდს შევებით და გავაქციეთ. ძლეულ მოწინააღმდეგეს სოფელ-სოფელ მივდიეთ. ნაშუადღევის ორ საათზე მტრის სანგრებთან გავჩნდით. ჩვენს წინ მამლუქთა არმია იდგა.

„მე გენერლებს — დეზაის და ესინიეს ვუბრძანე, გიზესა და ინბაბას შუა

[1] კაიროს გარეუბან ბულაკის პირდაპირ მდებარეობდა, ნილოსის დასავლეთ სანაპიროზე ბულაკი კაიროს ჩრდილოეთ-დასავლეთით იყო—იმავე მდინარის ნაპირზე.

პოზიცია დაეჭირათ ისე, რომ მამლუქთათვის ზემო ეგვიპტისაკენ მიმავალი გზები მოეჭრათ. ამ მიმართულებითაც მტრის უკანდახევა მოსალოდნელი იყო. ჩვენი არმიის წყობა აქაც ისეთივე იყო, როგორიც შებრიზთან. მურად-ბეიმ, შეამჩნია თუ არა გენერალ დეზაის მოძრაობა, გადაწყვიტა იერიშის მოტანა და ყველაზე მამაცი ბეგი და საგანგებო სპა ელვის სისწრაფით ჩვენს ორ ქვეგანაყოფს თავს დაატეხა. ფრანგებმა მტერი 50 ნაბიჯზე მოუშვეს, შემდეგ ტყვია ხოშკაკალივით დააყარეს და მიტრალიეზიც დაუშინეს — ბრძოლის ველზე მამლუქებმა ბევრი დახოცილი დატოვეს. მალე ისინი შეიპრნენ იმ ინტერვალში, რომელიც ზემოხსენებულ ორ ქვეგანაყოფს ერთმანეთისაგან ყოფდა. აქ მტერს გაძლიერებული ცეცხლი დავუშინეთ და ბოლო მოვუღეთ. მე ვიხელთე ეს მომენტი და ვუბრძანე გენერალ ბუეს ქვეგანაყოფს, რომელიც ნილოსზე იდგა, მტრის სანგრებზე იერიში მიეტანა. გენერალ ვიოლეს, რომელიც გენერალ მენუს ქვეგანაყოფს სარდლობდა, ებრძანა, შეჭრილიყო იმ ტერიტორიაზე, რომელიც მტრის მოიერიშე ფრანგთა ლეგიონს სანგრებისაგან აშორებდა, და ამ მოძრაობით ერთდროულად სამი ამოცანა გადაეჭრა: 1. ხელი შეეშალა მამლუქთა სიმაგრეში მაშველი რაზმების შესვლისათვის, 2. გარეთ გამოსასვლელი გზა დაეკეტა იმ მამლუქთათვის, რომელთაც სიმაგრეები ეკავათ, 3. თუ ბოლოს და ბოლოს აუცილებელი იქნებოდა, მარცხნიდან თვითონაც იერიში მიეტანა ჩასანგრებულ მტერზე... გენერალ ბუეს მოიერიშე ჯგუფიდან ის კოლონები, რომელთაც მამაცი გენერალი ბაშპონი სარდლობდა, მამლუქთა სანგრებს დააცხრნენ მათთვის ჩვეული უშიშროებითა და თავგანწირვით, არაფრად ჩაუგდიათ რა მტრის არტილერიის მძლავრი ცეცხლი. როდესაც მამლუქებმა ერთი იერიში მოათავეს, მკვირცხლ ტაიჭთა ჭენებით სიმაგრეებიდან გამოვიდნენ. კარგად მომზადებული ჩვენი კოლონები მათ მძლავრი ცეცხლით შეხვდნენ, ისინი სათოფე მანძილზე მოვუშვით და ბრძოლის ველზე ბლომად დავაფინეთ. მაშინვე იმათი ტრანშეები დავიჭირეთ. მტრის ბევრი მეომარი ხიშტებზე წამოვაგეთ. მამლუქებმა მყისვე ჩვენი ჯარების მარცხენა ფლანგს შეჰბედეს. ფრანგი კარაბინერების ბატალიონმა მათ ცუდი საქმე დამართა—შემმუსვრელ ცეცხლში მტერმა მხოლოდ ხუთი ნაბიჯის გადადგმა მოასწრო. ბევრი მამლუქი ნილოსში დაიხრჩო. ხელთ ვიგდეთ 50 ზარბაზანი და საომარი მასალებით დატვირთული 400 აქლემი. ორი ათასამდე რჩეული მამლუქი მხედარი მოვკალით. ბეგების დიდი ნაწილი დაიჭრა და დაიხოცა. დავაწყლულეთ მურად-ბეიც. ჩვენ 20—30 კაცი მოგვიკლეს და 120 დაგვიჭრეს. იმავე ღამეს ქალაქ კაიროს ევაკუაცია მოხდა. მტერმა თავის მცირერიცხოვანი ფლოტი დაწვა. ოთხ თერმიდორს ჩვენი ჯარები კაიროში შევიდნენ. იმ ღამეს ხალხმა ბეგების სახლებს ცეცხლი წაუკიდა და ბევრი განსაკუთრებული უწესობა მოიმოქმედა... თავს შევიკავებდი ჩვენი ჯარების შექებაზე, რომ აქ საქმე არ გვქონოდა ბრძოლის სულ ახალ სახეობასთან, რომელიც მათგან დიდ გულგრილობას და მოთმინებას მოითხოვდა, რაც ესოდენ ნაკლებად შეესაბამება

ჩვენთვის დამახასიათებელ ტემპერამენტს და საომარ ენთუზიაზმს. მამლუქთა ცხენოსანმა სპამ დიდი მამაცობა გამოიჩინა. ისინი თავიანთ ქონებას იცავდნენ. მათ შორის ერთიც ვერ ვნახეთ, რომ ოქრო-ვერცხლში არ ყოფილიყო ჩაფლული. ყველა მოკლულ მამლუქს აღმოაჩნდა დიდძალი ოქროს ფული—ვის სამასი და ვის კიდევ ხუთასი ლუიდორი. მთელი მათი სიმდიდრე მათ ცხენებზეა მოთავსებული და მათსავე აბჯარში მარხია"[1].

შემდეგდროინდელ ამბებზე მოგვითხრობს ერთი ფრანგული ნახევრად ანონიმური წერილის ავტორი. „1, 2 და 3 თერმიდორს გენერალი ბონაპარტე ქალაქ კაიროსთან იყო. თან ახლდა 20 ათასი ქვეითი მეომარი და ათასი ცხენოსანი, ჰქონდა 16 მსუბუქი ზარბაზანი. წინა დღეებში მტერმაც ამ ადგილას ჰარბი ძალები მოზიდა, მაგრამ რამდენიმეჯერ იგემა დამარცხება. უზენაესი მთავარსარდლის განზრახულობა იყო კაიროს უბრძოლველად დაკავება. პოზიციებისა და ციტადელების დაპატრონება. ხელჩართული იერიშით ავიღეთ სიმაგრე, რომელსაც ოცდაათი ზარბაზანი იცავდა. ჩვენი ჯარები კარეს წესით იდგნენ და თავიანთ რიგებს დროდადრო მხოლოდ იმისათვის შლიდნენ, რომ არტილერიას გზა გახსნოდა. მტერი ლომივით იბრძოდა. ბელადები და რიგითი მეომრები ჩვენს რიგებში პოულობდნენ სიკვდილს. ბევრი მამლუქი ბეგი იარაღით ხელში დაიღუპა... 11 თერმიდორს საღამოთი გენერალმა კლებერმა კაიროს აღების შესახებ ოფიციალური ცნობა მიიღო და შემდეგი ამბები შეიტყო: 14 თერმიდორს გენერალი ბონაპარტე კაიროში შევიდა. ამისათვის მას დასჭირდა ერთობ ცხარე ომი კოალიციურ ჯარებთან. ეს იყო, ერთი მხრივ, შერკინება ბეგებთან, ხოლო მეორე მხრივ, კორაიმთან[2] და იბრეიმ-ბელადთან (იგულისხმება მარტყოფელი იბრეიმ შინჯიკაშვილი—დ. ჯ.) ორივენი უზურპატორები და ეგვიპტის ტირანები იყვნენ, ათასამდე მამლუქი ბრძოლის ველზე დაეცა, ერთი ამდენი ნილოსში დაიღუპა, მტრის არმიის ნაშთებიდან ვინ გიებაიდეს[3] მიაშურა და ვინ — სირიას. 300 აქლემი, ამდენივე ცხენი, კარვები და უზარმაზარი აღალი ხელში ჩავიგდეთ. ამ ანგარიშში გადამალული განძეულობა არ შედის. ეს უკანასკნელი ჩვენთვის აუცილებელი ხდება და საჭიროა მისი მონახვა. კაირომ ფრანგთა გენერალს და ყველა გამათავისუფლებელს კარგი შეხვედრა მოუწყო. ეგვიპტის სატახტოს მოქალაქეებმა გულიდან მთელი ბოლმა ამოიბერტყეს—თავიანთი ძველი მმართველების სჯახლეები ცეცხლს მისცეს. მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ისაა, რომ ეგვიპტეში ჩვენმა ჩამოსვლამ დანა ააცდინა ფრანგ მოქალაქეთა კისერს. მამლუქ ბეგებს უკვე ამორჩეული ჰყავდა ყველა მსხვერპლი და მათი ბედი გადაწყვეტილი იყო. ალექსანდრიის

[1] რუსეთ. საგარ. პოლტ. არქ., ფონდი — რუსეთის ურთიერთობა ოსმალეთთან, საქმე № 875, ფურც. 61—62.

[2] ეგვიპტეში ორი მოხელეა იმ დროს ამ სახელით ცნობილი; ერთ-ერთი — კორაიმი იყო ზემო ეგვიპტის ე. წ. ტარხუნის ტომის შეიხი, ხოლო მეორე — ალექსანდრიის საბაჟოს მთავარი მოხელე.

[3] უნდა იგულისხმებოდეს ჯაბალ ნაბლური—სოფელი პალესტინაში.

ეერიში ცოტათი რომ დაგვეგვიანებინა, იქ ბინადადებულ ჩვენს თანამოძმეებს სიკვდილი არ ასცდებოდათ. კარგი სამსახური გაგვიწია იბრეიმ-ბეის (ი. შინჯიკაშვილი—დ. ჯ.) ცოლმა, რომელიც უზურპატორზე დიდი გავლენით სარგებლობს. მან ზვარაკად მონიშნულ ფრანგებს თავის სასახლეში მისცა თავშესაფარი და ამით ყველას სიცოცხლე შეუნარჩუნა. გენერალმა ბონაპარტემ ამ დედოფალს ამაგი დაუფასა“[1] (ხელწერა ბოლოში ორ ინიციალს შეიცავს: „H. P.“).

ამ ნახევრად ანონიმური წერილიდან ირკვევა, რომ კაიროსთან ბრძოლის მთავარი მონაწილეა იბრეიმ-ბეი, მარტყოფელი შინჯიკაშვილი. საინტერესოა ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ამ ქართველი მამლუქის ცოლზე, რომელსაც თავისი კაცთმოყვარეობით ბევრი ფრანგი გადაურჩენია. საერთოდ, ეგვიპტის ისტორიაში თავისი სიკეთით არაერთ მამლუქ ქალს უსახელებია თავი.

ალექსანდრიის აღების შემდეგ მომხდარი ამბების შესახებ ჩვენ მოგვეპოვება სხვა წყაროც, რომელიც გიზეს პირამიდებთან გადახდილ ბრძოლას და თანმხლებ მოვლენებს არაბის თვალთახედვით აშუქებს. ესაა ნაპოლეონის ექსპედიციის მომსწრის და მისი დივანის წევრის—ეგვიპტელი ისტორიკოსის აბდარახმან ალ-ჯაბარტის დღიური. იქ ნათქვამია: „ალექსანდრიაში რომ შეიტყვეს ფრანგთა შესვლაზე კაიროში, ყველა შიშმა შეიპყრო და გასაქცევად მოემზადა. იბრეიმ-ბეი ტაიჭს მოახტა და გეზი აიღო იმ ნაგებობისაკენ, რომელსაც აიინი[2] ერქვა. მანვე ჯიზეს კაცი აფრინა — მურად-ბეი იხმო, მასთან თათბირი სურდა. თათბირზე, რომელსაც ბეგებს გარდა ულემები და ყადები (სჯულმცოდნენი და მოსამართლენი) ესწრებოდნენ, გადაწყდა ახალი საშინელი ამბავი სტამბოლისათვის ეცნობებინათ და საომარი თადარიგიც ჩაეტარებინათ. მურად-ბეიმ ჯისს ასუადთან („შავი ხიდი“) დასცა ბანაკი[3]. აქ თავისი არმიის ჩამოყალიბებას ორი დღე მოანდომა. ტრიპოლის[4], ფაშა ალი და ნასიფ-ფაშა — მისი ინტიმური მეგობრები—თან ახლდნენ თავთავისი ზარბაზნებითა და კავალერიით. ქვეითი მეომრები, მეზღვაურნი, ბერბერები (ასე ეძახდნენ ევროპელები მაშინ ჩრდილოეთ აფრიკის შერეულ მუსულმან მოსახლეობას —დ. ჯ.) და სხვანი, ხომალდებში ჩამსხდარნი, მდინარით ჩამოდიოდნენ. მურად-ბეიმ ბრძანა, მუღაიზელთან[5] ნილოსი ჯაჭვით გადაეღობათ, რათა ფრანგთა გემები ნილოსში ვერ შეცურებულიყვნენ. კაიროდან მურად-ბეის წასვლის შემდეგ იქ დიდი უწესრიგობა გამეფდა, დუქნები დაიხურა, ქალაქი ქურდებით გაივსო. მზის ჩასვლის შედეგ ქუჩაში ვერავინ გამოდიოდა. მალე ცნობა მოვიდა

[1] რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფონდი „რუსეთის ურთიერთობა ოსმალეთთან“, საქმე № 876, ფურც. 53.

[2] უნდა იგულისხმებოდეს კაიროს ერთ-ერთი უბანი კიტამი ანუ ალაინია.

[3] არაბ. „ალ-ჯისრ ალ-ასვადი“—სოფელი კაიროს ჩრდილო-დასავლეთით.

[4] იგულისხმება სირიის ქალაქი ტრიპოლი.

[5] არაბ. „მუღიზალი“ — ციხე-სიმაგრე ქვემო ეგვიპტეში ქ. როზეტას სამხრეთით.

ფრანგებმა დამანჰური და როზეტა აიღესო. ამ ქალაქების მოსახლეობის ნაწილი მტერს ჩაბარდა, ნაწილმა კი თავი ფუატს[1] და მის გარეუბნებს შეაფარა. მუჰარემის[2] ოცდაცხრაში შევიტყვეთ, რომ ეგვიპტის არმია ოცდარვაში მტერს შეხვდა. ცოტა გაბრძოლების შემდეგ მურად-ბეი ბრძოლის ველიდან გაიქცა. მას მთელი თავისი ჯარიც თან მიჰყვა ალბათ, ღვთის განგება იყო, რომ ცეცხლი მოეკიდა მურად-ბეის გემის იალქანს. ალმა თოფის წამლის საწყობს მიაღწია და ახლომახლო ყველაფერი ცაში ავარდა. მსხვერპლთა შორის ერია კაპიტანი ჰალილ-ჯერდელი. ამ მარცხმა მურად-ბეი ძალიან დააშინა. მან დაუტევა თავისი ზარბაზნები და სურსათ-სანოვაგე. არაბთა ქვეითმა სპამ კაიროს მიაშურა. ამ ამბებმა სახალხო კაეშანი გაადიდა. იბრაჰიმ-ბეი ბულაკს წავიდა და იქ ფაშას, ულემებს და დიდკაცებს მოეთათბირა. გადაწყდა, რომ ბულაკსა და კჰუბრას[3] შუა ბატარიებს ჩადგამდნენ და მათ იბრეიმ-ბეი და ფაშა ერთად დაიცავდნენ. მურად-ბეის წასვლის შემდეგ ყოველი დღე ლოცვებში გადიოდა. წინასწარმეტყველს ხსნას ევედრებოდნენ ულემები და შეიხები, მასწავლებლები და ნორჩი შეგირდები. გულმხურვალე ღაღადისაგან მეჩეთის თაღებს ზანზარი გაჰქონდა. მურად-ბეი ინბაბას ჩავიდა, აქ სანგრები გამართა და ბანაკად ჩადგა. ახლდა მთელი თავისი არმია და სოფელ ჰალდახინას[4] მოსახლეობა. აქვე იყვნენ ტრიპოლის გამგებელი ალი და ნასუფ-ფაშა. გიზეში აგებული ხომალდები მურად-ბეიმ ემბაბას (ინბაბა) სანაპიროზე გაამწკრივა. მდინარის აღმოსავლეთი და დასავლეთი მიდამოები ზარბაზნებითა და მხედრებით დაიფარა. მაგრამ, ამ თადარიგის მიუხედავად, მამლუქი ბეგები შეშინებული იყვნენ. ისინი თავიანთ სიმდიდრეს საიდუმლო ადგილებში ხიზნავდნენ და, რაც კი შეეძლოთ, რიაფის პროვინციაში გადაჰქონდათ. უკანდასახევ მარშრუტებზე ფიქრობდნენ. სამშაბათს საყვირის ხმაზე ხალხი ბატარეებთან გამოიხმეს. მსგავსი ცერემონია შემდეგში არაერთხელ გაიმეორეს. ხალხი ძალას რომ არ შეეკავებინა, კაიროდან ყველა გადაიხვეწებოდა და სატახტოში სულიერს ვერავინ დაიგულებდა. დუქნები გამოიკეტა. ხელოსნები ბულაკში გადაბარგდნენ. ქალაქის დაცვის ფონდში ყველას შეჰქონდა შეწირულება—ვის ფული და ვის ქონება. მაგრამ ბედმა ხალხს არ გაუმართლა—ამდენმა ღონისძიებამ ფუჭად ჩაიარა. შერიფთა ბელადი ციხეზე ავიდა, იქიდან ჩამოიღო „წინასწარმეტყველის დროშად“ სახელდებული დიდი ბაირაღი და რამდენიმე ათას კაცს ბულაკისაკენ გაუძღვა. ყველა ნაჯახებით და კომბლებით იყო შეიარაღებული.

---

[1] უნდა იგულისხმებოდეს ან სოფ. ალ-ფუსტატი, გიზეს პირამიდებთან ან ფუეეა, სოფ. ქვემო ეგვიპტეში — ნილოსის დელტასთან, ანდა—არხი ფაიიდი ისმაილიის სამხრეთით, დიდი მწარე ტბის დასავლეთით რომ იყო.

[2] მუსულმანური მთვარის კალენდრის პირველი თვე.

[3] უნდა იგულისხმებოდეს სოფ. კუბბატ ალ-აზაბი კაიროს ჩრდილო-დასავლეთით.

[4] უნდა იგულისხმებოდეს სოფ. კალკაშანდა კალიუბიის პროვინციაში გიზეს პირამიდების აღმოსავლეთით.

ღერთს შველას ევედრებოდნენ. დოლ-ზარბაზნების გრიალი მიდამოს აყრუებდა. შეიხები და ღარიბ-ღტაკნი დიდ საომარ ენთუზიაზმს მოეცვა. კაიროში მხოლოდ ქალები, ბალღები და დავრდომილი მოხუცები დარჩნენ. ისინი ბინებში დაიმალნენ. ქუჩაში არავინ ჩნდებოდა, ანდა რისი იმედით უნდა გამოჩენილიყვნენ. იარაღი საყიდლად არსად იშოვებოდა, ტყვია-წამალს წარმოუდგენელი ფასი დაედო. სანამ იბრეიმ-ბეის ბანაკი ბულაკში იდგა, კაიროს მთელი მოსახლეობაც იქ იყო. ღარიბნი, რომელთაც ნივთიერი სახსარი არ გააჩნდათ და ამიტომ ბულაკში დასაძინებელი კუთხე უცხო ხილად მიაჩნდათ, ღამეს კაიროში საკუთარ ბინებში—ითევდნენ და მხედრულ ბანაკში დილდილობით ბრუნდებოდნენ. იბრეიმ-ბეიმ ხუბრაში ავანგარდად კაიროს მეზობლად მცხოვრები არაბები ჩააყენა.

მურად-ბეიმაც თავის მხრივ, ბაჰირას, გიზეს, საიდის, ჰაბარაიტის და ნეფიატის არაბები შეჰყარა[1]. მებრძოლთა რიგებს არც ე. წ. ალისა და ინადის შვილები გამოაკლდნენ. მამლუქთა ეს არმია დღე-დღეზე იზრდებოდა. რიაფის პროვინცია სამოქალაქო ომის კერად გამხდარიყო, ახლომახლო რაიონების არაბებმა მომენტით ისარგებლეს და თავს ესხმოდნენ სოფლებს. კაცის კვლა და ყაჩაღობა მომრავლდა მთელს ეგვიპტეში. მამლუქმა ბელადებმა ევროპელი სოვდაგრები დაატუსაღეს. არც მურადი, არც იბრეიმი არ გზავნიდნენ მზვერავებს მტრის ნამდვილი განზრახვების შესატყობად — ისინი მომხვდურს თავ-თავის პოზიციებზე ელოდებოდნენ. ჯარს არ გააჩნდა საკუთარი ძალების რწმენა. თავდაცვის რაიმე მტკიცე ვარიანტი არ არსებობდა. ამის მიზეზი იყო ბელადების ქედმაღლობა, ეგოიზმი და მედიდურება, ისინი ზიზღით ეპყრობოდნენ ყველაფერს, რაც მათებრ დიდი არ ჩანდა. ფრანგებს არ იცნობდნენ, უვიცობამ ისინი მიაძინა და თუ გაიღვიძეს, მხოლოდ იმისათვის, რომ გაქცეულიყვნენ. იბრეიმ-ბეის ბანაკში ხმა გავრცელდა, რომ ფრანგები მას ორივე სანაპიროდან მიეპრებოდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა: მტერი დასავლეთის მხრიდან მიუხდა. როგორც კი დამხდურებმა მტერს თვალი მოჰკრეს, იბრეიმის ერთი რაზმი ცხენებზე შესვეს და ბეხტილის გზით ფრანგთა ავანგარდს მიუსიეს. უკანასკნელი მტრის დარტყმას მძლავრი ცეცხლით შეხვედა და აიძულა, ბატარეებისაკენ დაეხია. ეგვიპტელთა ბევრი თავკაცი და რიგითი მამლუქი დაეცა ბრძოლის ველზე უსულოდ. გაქცეულ რაზმს ფრანგთა ექვსიათასიანი კოლონა დაედევნა. კოლონას წინ უძღოდა დეზაი — შემდეგში საიდის (შუა ეგვიპტე—დ. ჯ.) გამგებელი. ბონაპარტეს არ უნახავს ეს ბრძოლა. იგი თავის მოიერიშე კოლონას ახლდა და სისხლიან ასპარეზთან მხოლოდ მაშინ მივიდა, როდესაც იბრეიმის მეწინავე რაზმის დამარცხება დასრულდა.

„იბრეიმის რაზმს დადევნებულმა ფრანგთა კოლონამ გეზი მურად-ბეის ბატარეებისაკენ აიღო. ამ ბატარეების დამცველებს დამიეტადან ინბაბას გზით ალბანელთა მაშველი რაზმი მიუვიდათ. ზარბაზნების კანონადა ატყდა და თო-

[1] სამხრეთ ეგვიპტის ტომები.

ფის ცეცხლიც გაჩაღდა. ნილოსის აღმოსავლეთ სანაპიროზე განლაგებულმა ჯარმა ეს რომ დაინახა, მის რიგებს ხმამაღლა წამოძახილმა გადაუარა: „ყოვლის შემძლე ღმერთო, მოგვეცი ძლევა ფრანგებზე!“ გონიერმა ხალხმა მებრძოლების გაჩუმება სცადა: „წინასწარმეტყველი და მისი მოწაფეები ხანჯალ-სატევრით ომობდნენ და არა ყვირილითა და ძაღლური ყეფითო“, ჩააგონებდნენ ისინი შიშისაგან ატანილ არაბ ჯარისკაცებს, მაგრამ მათ ვინ მოუსმინა, ან ვინ გაუგო.

„ერთი საშინელი საათი გავიდა. ვინ შეძლებს მოისმინოს ანდა გადაიკითხოს მოთხრობა იმ შემაძრწუნებელი ამბების შესახებ. მამლუქი ბეგებისა და მათივე ჯარის დიდი ჯგუფი, რომელიც ნილოსის აღმოსავლეთ სანაპიროზე იმყოფებოდა, ხომალდებს მიაწყდა, რათა ბრძოლაში გადაშვებულიყო. მათ რიცხვში იბრეიმ-ბეიც ერია. მაგრამ ვიდრე ნილოსის მეორე ნაპირზე გავიდოდნენ, ომი უკვე დამთავრდა, ფრანგებმა გამარჯვება მოიპოვეს. ძლიერი ქარი მამლუქებს სახეში სილას აყრიდა. დამარცხების ერთ-ერთი უპირველესი მიზეზთაგანი ეს გარემოება აღმოჩნდა. როცა 6 ათასი ფრანგი მურად-ბეის ტრანშეებთან ახლოს მივიდა, მათი კოლონა ნაწილ-ნაწილ დაიყო და მამლუქთა გამაგრებულ პოზიციას წრე შემოარტყა. მაშინ დოლის გრიალმა საიერიშო სიგნალი მისცა. თოფ-ზარბაზნების ცეცხლი გაჩაღდა. ქარმა იმატა, მტვერი მაღლა სულ უფრო და უფრო იგრაგნებოდა, ტყვია–წამლის კვამლმა მზე დააბნელა, უზომო ხმაურმა ყურები გახვრიტა, თითქოს დედამიწა დაბარბაცდა და ცა ძირს ჩამოვიდა. ბრძოლამ დაახლოებით სამი მეოთხედი საათი გასტანა. ფრანგები მურად-ბეის ტრანშეებს დაეუფლნენ, ზოგიერთმა მამლუქმა რაში ნილოსში შეაცურა, სხვები მტრის ხელში ჩაცვივდნენ. მურად-ბეი გზეს გაიქცა, მივიდა თავის სასახლეში და იქ მხოლოდ 15 წუთი დაჰყო. შემდეგ, ინბაბაში ქონებისა და კარვების უპატრონოდ დამგდები, მექასკენ გზას გაუდგა. აღად სახელდებული სულეიმან-ბეი (იქნებ: ტარბაიძე ანუ ტარბაისიძე — დ. ჯ.) და ახალგაზრდა მამლუქი სარდალი იბრეიმ-ბეი (მისი ძმა) ნილოსში შევიდნენ, პირველი გადარჩა, მაგრამ მეორე დაიხრჩო. ეს იყო სიძე დიდი იბრეიმისა (მარტყოფელი შინჯიკაშვილისა—დ. ჯ.). როდესაც მამლუქთა დასავლეთის არმიას ანგარიში გაუსწორეს, ფრანგებმა ცეცხლი ნილოსის აღმოსავლეთ სანაპიროს დაუშინეს. ბულაკის დამცველებს სასოწარკვეთილების ხმები აღმოხდათ. იბრეიმ-ბეი (შინჯიკაშვილი—დ. ჯ.) და ფაშა ბრძოლის ველიდან გაიქცნენ და მთელი ქონება მტერს დაუტოვეს. მათ დანარჩენ მამლუქებთან ერთად თავი მეჩეთ აღლიეს შეაფარეს. გადაწყვიტეს, აქ მომკვდარიყვნენ. კაიროს ყველა სახლიდან ქალთა მოთქმის ხმა გამოდიოდა. მზე რომ ჩავიდა, მამლუქმა ბევრებმა გამოიყვანეს ცოლები და შესვეს ცხენებზე, აქლემებსა და ჯორ-ვირებზე. ცოცხალი ტრანსპორტი არ კმაროდა და ბევრი ქალი იძულებული გახდა ლტოლვილთა ქარავანს ქვეითად გაჰყოლოდა, ვითარცა მონა“[1]... ჯაბარტის გადმოცემას ზოგიერთი შეს-

[1] აბდარახმან ალ-ჯაბარტის დღიური (ფრანგ. ენაზე), 1838, პარიზი. გვ. 6—18.

წორება შეაქვს ფრანგთა მასალებში. დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად ეს ავტორი ქვიშის გრიგალს თვლის.

როგორც ზემოთ ვნახეთ, პირამიდებთან გადახდილი ბრძოლის შესახებ დაწერილ მოხსენებაში ნაპოლეონმა მამლუქები შეაქო. შემდეგშიაც ნაპოლეონს არაერთხელ უთქვამს მამლუქთა ქება. იგი წერდა: „მამლუქები მთელ აღმოსავლეთში აღტაცებისა და შიშის მომგვრელები იყვნენ. მათი მილიცია ჩვენს მოსვლამდე უძლეველ ძალად იყო აღიარებული. ამ ერთი მუჭა რჩეული ბალხით, თუ მას ადგილობრივი რეკრუტები დაემატებიან და სურსათსანოვაგეც ჯეროვნად ექნებათ, მე არ ვიცი, რა გადამირჩებოდა დაუმარცხებელი და დაუმხობელი“. ეს ბრწყინვალე ატესტაცია დაწერილია გიზეს პირამიდებთან მომხდარი გენერალური ბრძოლისა და მამლუქთა უბადლო მხედრული შემმართებლობის წარუშლელი შთაბეჭდილებით. სამწუხაროდ, ამ რაინდულ დახვედრას განზრახ აფუჩეჩებს და ამცირებს ისტორიკოსი ჯაბარტი, რომელიც ამ შემთხვევაში უნდა გამოხატავდეს იმ შინაური ოპოზიციის აზრებს, რომელიც, საერთოდ, მამლუქებს კრიჭაში ედგა. სათანადო მიუზღო რა მამლუქებს, როგორც მეომრებს, ნაპოლეონმა ამავე დროს მათი სამხედრო ორგანიზაციის სისუსტეც კარგად შენიშნა. შევიდა თუ არა კაიროში, ნაპოლეონმა გამოაქვეყნა ასეთი მანიფესტი: „ეგვიპტელო ხალხო! თქვენი გამგებელი და მჩაგვრელი ბეგები დიდი ხანია შეურაცხყოფენ ფრანგ ერს, მის სოვდაგრებს. მათი დახჯის ჟამმა დარეკა. მრავალი საუკუნეა კავკასიასა და საქართველოში ნაყიდი მონების ეს ბრბო ქვეყნიერების უმშვენიერეს ნაწილს აწამებს: მაგრამ ღმერთმა. რომლის ნებაზეა ყველაფერი დამოკიდებული, ბრძანა, რომ დადგეს მათი ძალმომრეობის აღსასრული“[1].

გამარჯვების სიხარული ნაპოლეონს წამიერად დაუჩრდილა იმ სასტიკმა დამარცხებამ, რომელიც მის ფლოტს ნელსონმა აგემა ელაბუკირთან (ალბუხაირი) 1798 წლის პირველ აგვისტოს. მაგრამ ბონაპარტე, წერს ფრანგი ისტორიკოსი, სტოიკური სიმშვიდით შეხვდა ცნობას საფრანგეთის ფლოტის ამ ტრაგედიის შესახებ: მის შუბლზე ერთი ნაოჭიც არ ამოძრავებულა. უსაზღვრო გულგრილობით უთხრა მან თავისთავს: ჩვენ ამიერიდან უკვე ფლოტი არა გვყავს. რა გაეწყობა, ან უნდა მოვკვდეთ აქ, ან უნდა დავბრუნდეთ აქედან ისეთივე დიადები, როგორც ძველი დროის სარდლები ბრუნდებოდნენო. კლებერს, რომელმაც მას მომხდარი კატასტროფა შეატყობინა, ნაპოლეონმა მისწერა: „გენერალო! აი, ამბავი, რომელიც გვაიძულებს უფრო დიდი რამ ჩავიდინოთ, ვიდრე დღემდე ვვარაუდობდით. მაშ მზად ვიყოთ დიადი მომავლის შესაგებებლად“. ზოგიერთი მის ადგილზე,—განაგრძობს იგივე ავტორი,—ბედის უვედრებას მოჰყვებოდა, ბონაპარტე სხვა იყო. მას სწამდა თავისი ვარსკვლავი, მოწოდება, ბედ-იღბლით ნაკურთხი: მას სჯეროდა, რომ განგებამ იგი ამოირჩია

[1] Абд. Джабарти. Египет в период экспедиции Бонапарта, Москва, 1962, გვ. 56.

იმისათვის, რათა ხალხები ახალ გზაზე დაეყენებინა"[1]. ძველ დროში სახელმოხვეჭილი დამპყრობნი უცხო ქვეყანას რომ აიღებდნენ, ფლოტს დაწვავდნენ, რათა მათ ჯარს უკანდახევის იმედი მოშლოდა და უდიდესი გააფთრებით ებრძოლა კოლონიზაციისა და ახალი სამშობლოსათვის. ნაპოლეონმა ფლოტი არ დაწვა. მაგრამ ეს იმიტომ კი არ გააკეთა, რომ ეს ფლოტი საფრანგეთისაკენ ჯარის გადასაყვანად უნდოდა. მას დიდი განზრახვები ჰქონდა[2], შორეულ მხარეებს უმიზნებდა.

საერთოდ, ინგლისელებმა ძნელ მდგომარეობაში ჩააყენეს „აღმოსავლეთის არმია"—გარე სამყაროს მოსწყვიტეს. ნაპოლეონის ძმა, რომელსაც საფრანგეთისაკენ გაატანეს გამარჯვების უნიკალური სახსოვარი — მამლუქთა ბაირაღები.—იძულებული გახდა ეს ძვირფასი ნადავლი ზღვაში გადაესროლა, იმდენად შეწუხებული აღმოჩნდა ბრიტანელთა ხომალდების იერიშებით[3].

ეგვიპტის დამპყრობი თავიდანვე დემაგოგიურ გეზს დაადგა, რათა მუსულმან მოსახლეობაზე გამათავისუფლებელი, სამართლიანი და რელიგიურ კულტთა თავისუფლების ქომაგი მმართველის შთაბეჭდილება მოეხდინა. ნაპოლეონი დაესწრო და ხელმძღვანელობა გაუწია ნილოსისა და მუჰამედის დღესასწაულებს, მეჩეთებშიც ლოცულობდა. ამან,—წერს ამედე რიმი, —ხალხი მოხიბლა, კაიროს დივანმა მას ალი-ბონაპარტე შეარქვა. ხალხი მღეროდა—ალაჰმა მხსნელი მოგვივლინა, გვაკმარა სასჯელი ჩვენი ცოდვებისათვის, მამლუქები ნაპოლეონმა მოგვაშორა, მათ სძლია ალაჰის შემწეობითო. 1798 წლის 21 აგვისტოს ნაპოლეონმა გამოსცა ისტორიული დეკრეტი ეგვიპტის ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ამ ინსტიტუტს ორმოცდარვა წევრი ეყოლებოდა და ოთხი სექცია ექნებოდა: მათემატიკის, ფიზიკის, პოლიტეკონომიისა და ლიტერატურა-ხელოვნების. ინსტიტუტს კაიროში ერთ-ერთი საუცხოო სასახლე დაუთმეს (ასეთი ბინები ახლა, მამლუქი ბელადების გაქცევის გამო, ბევრი იყო თავისუფალი), ჰარამხანის „აპარტამენტი" სააქტო დარბაზად გამოყვეს.

დემაგოგიის იქით მალე გამოჩნდა მწარე სინამდვილე. ხალხის რეაგირებამაც არ დაიგვიანა: 1798 წლის 21 ოქტომბერს კაიროში დიდმა აჯანყებამ იფეთქა. ამედე რიმი აჯანყებას შემდეგნაირად ხსნის: „ვაჭრობა ჩაკვდა, საუნჯეები მამლუქებმა წაიღეს, ფრანგთა ჯარს კი შენახვა უნდოდა. ასეთ ვითარებაში მოქალაქე პუზიელმა ნაპოლეონს ურჩია ე. წ. სარეგისტრაციო ბაჟი შემოეღო. ეგვიპტეში (ისევე, როგორც მთელ აღმოსავლეთში), სადაც აბსოლუტური დესპოტიზმი ბატონობდა, საკუთრება წარმოადგენდა, ასე ვთქვათ, დროებით კონცესიას მთავრობის ხელიდან. თუ მესაკუთრე მოკვდებოდა, ხვანთქარი ან წაიღებდა მიწას, ანდა გარდაცვლილი მესაკუთრის შვილზე მისი გადაცემის სანქციას გამოსცემდა. პუზიელმა წამოაყენა წინადადება — ფრანგებს

[1] Amédée Ryme, L' Egypte sous la dominatione fransaise, Paris. 1848, გვ. 62.
[2] იქვე, გვ. 49.
[3] Boulay de la Meurthe. le directoire et' l' expedition d'Egypte. Paris. 1885. გვ. 162.

ჩაეტარებინათ ყველა ასეთი „კონცესიის“ რევიზია, რეგისტრაციაში გაეტარებინათ მიწის ყველა მესაკუთრე და სათანადო საბაჟო გამოსაღებით საფრანგეთის ხაზინა შეევსოთ. ამ ახალმა ბაჟმა ფრანგებს მუსულმანური სამღვდელოებაც გადაამტერა. თუ აქამდე ეგვიპტის გაბატონებული კლასი გაჩერებული იყო და ფრანგებს არ ერჩოდა, ეს იმიტომ, რომ ნაპოლეონს მისი საკუთრებისათვის ხელი არ უხლია. ახლა (პუზიელის წინადადების მიღებით) ფრანგებმა საბედისწერო ზღურბლს გადააბიჯეს. აჯანყება ვერ ჩააქრეს, სანამ თვითონ ხაპოლეონი არ ჩაერია საქმეში. დიდხანს არ ნებდებოდა ელ-აზჰარის (ალაზჰარი) მეჩეთში თავშეფარებული ხალხი. როცა მშვიდობიანმა წინადადებამ არ გაჭრა, ფრანგებმა მეჩეთს ზარბაზნები დაუშინეს. ჰურვების გრიალი და კოკისპირული წვიმის წამოსვლა ერთი შეიქნა — ამან აჯანყებულებზე დიდი ეფექტი მოახდინა. მათ იფიქრეს — ალაჰიც ემხრობა ფრანგებსო და მეჩეთიდან გამოხდომა მოაწყვეს. მას დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ნაპოლეონმა დახვრიტა თორმეტი შეიხი, რომლებზედაც ეჭვი მიიტანეს როგორც აჯანყების ორგანიზატორებზე. ამ შეიხებში ერთი აღმოჩნდა კაიროს დივანის წევრი. ნაპოლეონმა ის დივანი დაშლილად გამოაცხადა და თანაც მოსახლეობას მრავალი მილიონი ფრანკის ოდენობით საგანგებო კონტრიბუცია შეაწერა[1].

მურად-ბეის კონსული კარლ როზეტი გაუგზავნეს და ნაპოლეონთან მოსალაპარაკებლად ჯიზეს მიიწვიეს. ეს კონსული მურად-ბეის ძველი მეგობარი იყო. მამლუქმა ბელადმა მას ასეთი პასუხი დააბარა: „დაე, გენერალი ბონაპარტე თავისი ჯარებიანად ალექსანდრიას წაბრძანდეს და ჩვენ მას ოცი ათას ქისას (დაახლოებით 10 მილიონი ფრანკი იმ დროს) გადაეუხდითო. (იხ. მოალემ ნიკოლა-ელ-თურქი, ექსპედიცია ეგვიპტეში, პარიზი, 1838, გვ. 12)[2]. ნაპოლეონმა, ცხადია მამლუქი ბელადის მოთხოვნა არ შეასრულა და მათ შორის ომი გაგრძელდა.

ცნობილია, რომ საიდისაკენ (შუა ეგვიპტე) უკანდახეული ქართველი მურად-მამლუქის გასანადგურებლად ბონაპარტემ გენერალი დეზაი გაგზავნა. ფრანგული საბუთი, რომელიც სათანადო არაბული ჩანაწერის პირი უნდა იყოს, გვამცნობს დეზაისთან ბრძოლაში მურად-ბეის მიერ 1798 წლის შემოდგომაზე მოპოვებულ ერთ-ერთ ბრწყინვალე გამარჯვებას. მამლუქებს ტყვედ ჩაუგდიათ ორმოცდაექვსი კაცი, მათ შორის — სამი პოლკოვნიკი, ორი კაპიტანი, ოთხი ლეიტენანტი, ორი ჭირურგი, ცხრამეტი დაბალი სამხედრო ჩინის მეთაური, ოთხი კომისარი და რვა ლაქია[3].

სირიაში გადასვლის წინ იბრაჰიმ შინჯიკაშვილს თავს დაესხა ნაპოლეონის ჯარი, რათა მამლუქთა გადარჩენილი არმიისათვის წაერთმიათ მთელი ის სიმ-

---

[1] ა მ ე დ ე რ ი მ ი, დასახ. მონოგრაფია, გვ. 74—78.

[2] შდრ. ა ბ დ ა რ ა ხ მ ა ნ ა ლ-ჯ ა ბ ა რ ტ ი, დასახ. წიგნი, გვ. 100—103.

[3] რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, დასახ. ფონდი, დავთ. № 877, ფურც. 54—55.

დიდრე, რომელიც მათ სირიაში გადაჰქონდათ. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. გამარჯვება, ჯაბარტის ცნობით, იბრაჰიმ შინჯიკაშვილს რჩებოდა, როცა მოულოდნელად აცნობეს, რომ მის აღალს თავს დაესხნენ ბედუინები. იბრაჰიმი იძულებული იყო აღალის გადასარჩენად მიბრუნებულიყო და, ამგვარად, ბედუინების დივერსიამ ფრანგთა ჯარი განადგურებისაგან იხსნა[1].

1799 წლის თებერვალში ბონაპარტემ სირიის საზღვრები გადალახა და მოკლე დროში რამდენიმე ქალაქი აიღო. ეს ლაშქრობა დაღდასმულია ბონაპარტეს ერთი უდიდესი დანაშაულით ადამიანობის წინააღმდეგ: სირიის ერო ციხე-სიმაგრესთან მას ტყვედ დანებდა ოთხი ათასი კაცი. ფრანგი სარდალი, როგორც ევროპული ისტორიოგრაფია შენიშნავს, აღმოჩნდა მკაცრი დილემის წინაშე: ან გაეთავისუფლებინა ყველა ეს სამხედრო ტყვე და წასულიყო იმის რისკზე, რომ ხელახლა ეხილა ისინი მტრის ჯარის რიგებში, ანდა ულმობლად გაესწორებინა მათთან ანგარიში—ფიზიკურად მოესპო ყველა. ნაპოლეონმა ეს მეორე გზა აირჩია და ერთ ღამეს თავის ჯარს უკანასკნელ კაცამდე დაახვრეტინა ოთხი ათასი სამხედრო ტყვე. ფრანგი ისტორიკოსები ბოდიშობენ: ჯარს ხელი უკანკალებდა, როცა ამ ტყვეებს კლავდნენ, მაგრამ რა ექნათ, დიდი სარდლის ბრძანება იყოო. ფრანგული საექსპედიციო კორპუსის ამ დანაშაულთან დაკავშირებით უდიდესი სამართლიანობით გაისმის ლევ ტოლსტოის სიტყვები: „აფრიკაში თითქმის უიარაღო მოსახლეობა მთელ რიგ ბოროტმოქმედებათა ობიექტი ხდება და ადამიანები, რომლებიც ყველა ამ ბოროტმოქმედების ავტორები არიან, განსაკუთრებით კი მათი წინამძღოლი, თავის თავს აჯერებენ, რომ ყველაფერი ეს მშვენიერია, რომ ეს არის დიდება, რომ აქ კეისარი და ალექსანდრე მაკედონელი მეორდება"[2].

სირიაში ტრიუმფალურად დაწყებული ლაშქრობა ცუდად დამთავრდა მაგრამ, სანამ სირიის ლაშქრობის გადმოცემას გავაგრძელებდეთ, უნდა აღვნიშნოს, რომ საფრანგეთის „აღმოსავლეთის არმია" ახლო აღმოსავლეთში რამდენიმე მტრის წინაშე აღმოჩნდა. ნაპოლეონის ექსპედიციამ წარმოშვა მკვეთრი შემობრუნება რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობაში. მტრობა მეგობრობამ შეცვალა. შეიკრა სამთა კოალიცია მონაპარტეს წინააღმდეგ. 1798 წლის ბოლოს დაიდო რუსეთ-ოსმალეთის სამხედრო-თავდაცვითი ალიანსი საფრანგეთის წინააღმდეგ. ამას მოჰყვა ინგლისის ანალოგიური ალიანსების გაფორმება ოსმალეთთან და ამრიგად, სირიაში მებრძოლ ნაპოლეონს სამ მტრულ ქვეყანასთან მოუხდა გამკლავება. ბოსფორ-დარდანელში თედორე უშაკოვის ესკადრა შევიდა.

1798 წლის ცხრა ოქტომბრის ფირმანით ხვანთქარმა ომი გამოუცხადა საფრანგეთს. ფირმანში მოცემული იყო ცდა, სახელი გატეხოდა ბურჟუაზიული რევოლუციის იდეებს, ეჩვენებინათ პარიზის პოლიტიკოსთა ორპირობა, ფრან-

[1] Абд. Джабарти, დასახ. წიგნი, გვ. 75—76.

[2] ლ. ტოლსტოი, ომი და მშვიდობა, ეპილოგი, ნაწ. I, თავი III.

გი ხალხი მკვლელებისა და სატანების ერად წარმოესახათ და მუსულმანი ფანატიკოსებისათვის, რომელთაც მოუწოდებდნენ ქუდზე კაცი გამოეყვანათ, შთაენერგათ რწმენა ოსმალეთისა და მისი მოკავშირეების იარაღისადმი[1].

ასეთი იყო ხვანთქარ სელიმ მესამის ვრცელი ფირმანის მოკლე შინაარსი. ნაპოლეონის აგრესიული პოლიტიკის გამართლება არ შეიძლება. მაგრამ ბოსფორის სანაპიროზედაც ჯოჯოხეთური ფარსი გათამაშდა: კაცთა კვლისა და სხვათა დოვლათის დატაცების მრავალსაუკუნოვანი სუნიტი დიდოსტატები ფრანგებს ძრახავდნენ — სისხლი რატომ იტვირთესო, დედათა, ასულთა და ჩვილთა ჯალათები, უთვალავი ქრისტიანის ოჯახ-კერების დამაქცეველნი, მშვიდობიანი ხალხების ამომთხრელნი ახლა სახტად რჩებოდნენ—დირექტორიამ მუსულმანურ აღმოსავლეთს მსტოვრები და მხედრობა როგორ მოუსიაო. ეგვიპტე და ბოსფორის ლამაზი პეიზაჟი, ანატოლია-ლაზეთი და მესოპოტამია ხვანთქრის ნაკრძალად ცხადდებოდა. სელიმ მესამის ენამრუშობა მით უფრო სასაცილო ხდებოდა, რომ ახლა ამ ნაკრძალს ინდოეთის ჯუნგლებისათვის პირდაპირ ბრძოლებში გამარჯვებული ბრიტანული ლომი უკვე თავის ბუნაგად იგულვებდა.

ოსმალეთმა ეგვიპტეში ბონაპარტესთან საომრად ოცი ათასი იანიჩარი დაძრა. ისინი ჰალების, კელასის, მერაშის, დიარბექირის, ტოკატის, ხარბერუჩის, ანტალის, რეხ-ბირეჯკეს და შამის პროვინციებიდან და მაზრებიდან გაიყვანეს. ლაშქრად გაიწვიეს აგრეთვე იმავე ჰალებ-მერაშ-დიარბექირის, რუმისა და სივასის პროვინციათა და საგუბერნატოროთა ზაიმები და ტიმარიოტები[2].

ცხადია, რომ ოსმალეთს ნაპოლეონთან გადამწყვეტი შეტაკებისაკენ ინგლისისა და რუსეთის დიპლომატია უბიძგებდა, მაგრამ სწორი არ იქნებოდა, რომ ოსმალეთის საომრად აშლა მარტო ამ ზემოქმედებით აგვეხსნა, როგორც ამას ჩადიოდა საფრანგეთის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ბევრი წარმომადგენელი. ხვანთქარს ეგვიპტეში, ისევე როგორც საერთოდ ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, საკუთარი ინტერესებიც ჰქონდა.

ხვანთქრის მიერ ომის გამოცხადების წინა დღეს დიდ ვაზირად დაინიშნა იუსუფ-ფაშა-ზია. რუსეთის ელჩის ვასილ ტამარას ცნობით, ეს კაცი წარმოშობით ქართველი იყო, წინათ სამთამადნო საწარმოებს განაგებდა და ენციკ-

---

[1] ა მ ე დ ე რ ი მ ი, დასახ. მონოგრაფია, გვ. 89—91 (ფირმანის ფრანგული თარგმანი. ოსმალეთის პროვინციებში ფირმანებთან ერთად დაგზავნეს ე. წ. „ნეფერამები"—ქუდზე კაცის გამოყვანის დავალება).

[2] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმე № 876, ფურც. 72—73. ამ ტერმინების განმარტებისათვის იხილეთ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958. ზაიმები და ტიმარიოტები იყვნენ საშუალო მიწათმფლობელები, სამხედრო სამსახურის მოხდის პირობით ჰქონდათ მიცემული სამამულო საკარგაევები.

ლოპედიური განათლება ჰქონდა. ღრმად იცოდა სიბრძნისმეტყველება და სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი[1].

როგორც ვნახეთ, 1798 წ. ოქტომბრის დამდეგს ოსმალეთის ცენტრში ვნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: ხვანთქარმა გამოსცა ფირმანი, რომლითაც საფრანგეთს ომი გამოუცხადა, ჩატარდა ფართო მობილიზაცია და ახალი დიდი ვაზირიც დაინიშნა.

ახლა ვნახოთ რა ხდებოდა ეგვიპტის მამლუქთა ბანაკში.

არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ბონაპარტეს ექსპედიციის პერიოდში მამლუქთა შორის ორი ერთმანეთის საპირისპირო კონცეფცია ჩამოყალიბდა და მათ კვალობაზე მამლუქთა არმიის გადარჩენილი ძალებიც ორ ჯგუფად გაიყო. პირველმა მათგანმა გეზი საფრანგეთზე აიღო. ეს იყო მურადბეის ჯგუფი. მეორემ არჩია გეზის აღება ინგლისისა და რუსეთის ორიენტაციაზე. ეს იყო ჰასან ჯიდელისა და იბრაჰიმ-ბეი-უფროსის (შინჯიკაშვილის) ჯგუფი.

იმას, თუ რომელმა ჯგუფმა უფრო რეალურად შეაფასა მეომარ მხარეთა ძალები, ქვემოთ მოყვანილი მასალები დაგვანახვებს. ახლა კი უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. XVIII ს. მეორე ნახევრის დიპლომატიურ წრეებში გავრცელებული შეხედულება, რომ თითქოს მამლუქთა ქრისტიანული წარმოშობა იყო მათდამი ოსმალეთის მტრობის ერთ-ერთი მიზეზი[2], გადასინჯვას მოითხოვს.

---

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქ. დასახ. ფონდი, საქმე № 876, ფურც. 13, 34—35, 1798 წ. (16)27 ოქტ. მოხსენება). ეს ის დროა, როცა წინანდელი დიდი ვაზირი იუსუფ-კოჯა, რომელიც აგრეთვე რუსული წყაროების მიხედვით (იგივე ფონდი, საქმე № 667, ფურც. 35 და საქმე № 668, ფურც. 3—4). წარმოშობით ქართველი იყო, ჯიდაში—მეწამული ზღვის სანაპიროზე—იჯდა გუბერნატორად და, სარგებლობდა რა დიდი ავტორიტეტით ხვანთქრის კარზე, დღე-დღეზე ელოდა სტამბოლში გამოძახებას და დიდ ვაზირად ხელახალ დანიშვნას (Marcére, დასახ. მონოგრ. ტ. I, გვ. 129, 141—150). მართალია, 1792 წელს იუსუფ-კოჯა დიდი ვაზირის თანამდებობიდან მოხსნეს, მაგრამ სიკვდილით დასჯას გადარჩა და ჯიდას გამგებლად დაინიშნა. ჯიდაში გაგზავნამდე და შემდეგაც არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგნად, როგორც დიდი ვაზირის თანამდებობაზე ხელახლა აღსაზევებელი პიროვნება. მარსერთან დაცული მასალებით ირკვევა, რომ იუსუფ-კოჯა ყოფილა სამართლიანი კაცი, რომელიც ებრძოდა კორუპციას. საერთოდ იმ დროს ოსმალეთის სატახტოში ბევრი წარმოშობით ქართველი მოღვაწეობდა. მათ შორის გამოირჩეოდა ახალი კაპუდან-ფაშა-ჰუსეინ-კიუჩუკი, რომელსაც წყაროები ერთსულოვნად აცხადებენ ქართველთა შთამომაელად (ო. გიგინეიშვილი, თურქოზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, გამომც. „ცოდნა", თბილისი, 1963, გვ. 12). კიუჩუკ-ჰუსეინისათვის, რომელიც საფრანგეთის ორიენტაციაზე მდგარა და რეფორმების სასარგებლოდ გამოსულა, სელიმ მესამეს უთქვამს—რად გიხარია დიდი ვაზირის პოსტზე იუსუფ-კოჯას დაბრუნება, მისი პირველი ღონისძიება ის იქნება, რომ შენ თავი მოგკვეთოსო. დაე ასე მოიქცეს, თუ ეს სასარგებლო იქნება სახელმწიფოსათვის, ჩემი თავი მტლად დასდებოდეს ამ ქვეყანასო — უპასუხია კიუჩუკ-ჰუსეინს (Marcere. დასახ. მონოგრ., ტ. I, გვ. 141—150).

საერთოდ, ქართული წარმოშობის ბევრი პოლიტიკოსი სტამბოლში რეფორმების მომხრედ გამოდიოდა და მათ უხდებოდათ არა მარტო ულემების კორპუსთან მძაფრი შეჯახება, არამედ ზოგიერთი თაიფანთი მეთვისტომე რეაქციონერი მოღვაწის წინააღმდეგობის დაძლევაც.

[2] Fr. Ch. Roux. L' Angleterre et l' Expedition Fransaise en Egypte. Au Caire. 1925. ტ. II, გვ. 245—246.

ფაქტები გვიჩვენებენ, რომ თავიანთი ორიენტაციის განსაზღვრის საქმეში მამლუქები ქრისტიანული წარმოშობით როდი ხელმძღვანელობდნენ, რომ ქრისტიანულმა წარმოშობამ ხელი არ შეუშალა არც იბრაჰიმ შინჯიაშვილს და არც ჰასან ჯიდელს დიდხანს ებრძოლათ ოსმალეთის მხარეზე ნაპოლეონის საექსპედიციო ჯარების წინააღმდეგ.

ახალმა დიდმა ვაზირმა იუსუფ-ზიამ და მარტყოფელმა მამლუქმა იბრაჰიმ-შინჯიაშვილმა სირიაში აკას ციხესთან ნაპოლეონის საექსპედიციო კორპუსი სასტიკად დაამარცხეს. ამის შემდეგ, ბონაპარტე, რომელიც დარწმუნდა, რომ მას არც სტამბოლზე გალაშქრება გამოსდიოდა და არც ინდოეთისაკენ ტრიუმფალურად გაჭრა, სასწრაფოდ კაიროში დაბრუნდა, სადაც საზეიმო მანიფესტაციები გამართა და თავის ჯარს საფრანგეთში გაეპარა (1799 წლის ზაფხულის მიწურული), რათა იქ მოვლენებს სათავეში მოქცეოდა, მსხვილი ბურჟუაზიის საფრანგეთი სამხედრო დიდების ფართო შარაგზაზე გაეყვანა და, როგორც თითონ იმედოვნებდა, ეგვიპტეში მძიმე მდგომარეობით სასომიხდილ „აღმოსავლეთის არმიას“ გარედან დახმარებოდა[1].

კაიროში მანიფესტაციის დროს ნაპოლეონს გამოეცხადა არაბი შეიხი და წარუდგინა ბედაური ცხენი, რომლის აღვირი ხელში ეჭირა თვრამეტი წლის მამლუქს რუსთამს. შეიხმა საფრანგეთის სარდალს მიმართა—ჩვენი მეგობრობის ნიშნად ეს ტაიჩიცა და მისი მხედარიც თქვენთვის საჩუქრად მომირთმევიაო. ბონაპარტემ ხალისით ჩაიბარა ეს საჩუქარი და საფრანგეთში წაიყვანა ცხენიცა და მხედარიც. რუსთამი გახდა ნაპოლეონის პირადი მცველი, რომელიც ელბას კუნძულზედაც კი გაჰყვა იქ გადასახლებულ ნაპოლეონს. მაგრამ პატრონისა და მისი ადიუტანტის უმაგალითო მეგობრობა ბოლო დროს წახდა. ფრანგი ისტორიკოსები სინანულით აღნიშნავენ, რომ მამლუქმა რუსთამმა არ მოისურვა ნაპოლეონს გაჰყოლოდა უკანასკნელ გადასახლებაში — წმინდა ელენეს კუნძულზე.

ბევრი ავტორი რუსთამს თბილისელად სთვლის[2]. დასავლეთ ევროპის სამეცნიერო ლიტერატურაში იგი ზოგან სომხად მოიხსენიება, ზოგან კი ქართველად. ქართველად იხსენიებს მას პიერ ლარუსის ცნობილი ენციკლოპედია: „სახელგანთქმული რუსთამი იყო ქართველი“[3]. როგორც გ. ბეი-მამიკონიანი შენიშნავს, ამ ენციკლოპედიამ ანგარიში არ გაუწია რუსთამის მოგონებებს, რომლებიც გამოქვეყნდა ლარუსის უზარმაზარი ენციკლოპედიის დაბეჭდვამდე ოცი წლით ადრე[4]. ამ შენიშვნას ჩვენი მხრიდან უნდა დავძინოთ —ლარუსის

[1] Baron Ernouf, Le général Kleber... Paris, 1867, გვ. 212.

[2] მეწერალ მიხ. ჯავახიშვილს იგი მიაჩნდა თბილისის ახლოს კუმისის ტბის სანაპიროზე დაბადებულად (იხ. მის. ალაიძის პუბლიკაცია: ს. ისიანი. „დისპუტი არსენა მარაბდელზე ქუთაისში“, ალმანახი „რიონი“, 1960, № 3).

[3] პ. ლარუსი, დიდი მსოფლიო ენციკლ. (ფრანგ. ენაზე), პარიზი, 1931, ტ. IV, გვ. 633.

[4] გ. ბეი-მამიკონიანი, დასახ. სტატია, გვ. 130.

ენციკლოპედიის ეს ცნობა არ შეიძლება ძალიან ავტორიტეტულად მივიჩნიოთ, რადგანაც ვიცით, რომ იგივე ენციკლოპედია მარტყოფელ შინჯიკაშვილს ქართველობას უკარგავს და ჩერქეზეთში დაბადებულად აცხადებს, თუმცა, აღმოსავლური წყაროების კვალობაზე, იმას კი აღიარებს, რომ ზედსახელად იმ მარტყოფელ იბრაჰიმ ბეგს შერქმეული ჰქონდა დიდი ანუ ელ-კებირი[1]. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იბრაჰიმ-ბეი დიდის (ანუ „იბრაჰიმ-ბეი უფროსი“ ჯაბარტისთან) ეროვნული ვინაობის საკითხში ასეთი ვერსიის დაშვების დროს ხსენებული ენციკლოპედია თავისებურ ტოპონიმიკურ ტრადიციას უხდიდა ხარკს. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ჩვენი აზრით, მაინც ანგარიშგასაწევ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ მრავალი ევროპელი ავტორის მიერ რუსთამის ქართველად მოხსენიება და გამოკვლევას საჭიროებს იმ ავტორთა ასეთი ვერსიის წყაროები.

უეჭველი ისაა, რომ თვითონ რუსთამმა უყოყმანოდ უპასუხა ნაპოლეონს, რომ იგი საქართველოდანაა[2].

რუსთამი ერთადერთი მამლუქი არ ყოფილა, რომელიც ნაპოლეონს წაუყვანია. ცნობილია, რომ ბონაპარტეს ჰყავდა მამლუქთა ესკადრონი, რომელმაც თავი გამოიჩინა აუსტერლიცის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში მონაწილე კავალერისტთა შორის „ბევრნი იყვნენ სომხები... მათ რიცხვში აუსტერლიცის იერიშის გმირიც —ლეიტენანტი შაინი“[3].

ნაპოლეონის მიერ მამლუქების წაყვანა საფრანგეთში არ არის შემთხვევითი და გასაკვირი ამბავი. ბონაპარტე მოხიბლა მამლუქთა კავალერიის გმირულმა იერიშებმა გიზეს პირამიდებთან და თავის დღიურში მათი საოცარი ხოტბა ჩაწერა. როგორც ცნობილია, ნაპოლეონის სიტყვები მამლუქთა უბადლო ინდივიდუალურ ოსტატობაზე ცხენოსნობის დარგში ფრიდრიხ ენგელსსაც მოჰყავს თავის „ანტი-დიურინგში“, როცა არჩევს რაოდენობრივობის თვისობრივობაში გადაზრდის პრობლემას. ორი მამლუქი, — წერდა ნაპოლეონი, — უცილობლად სჯობდა სამ ფრანგს: 100 მამლუქი 100 ფრანგს უდრიდა. სამასი ფრანგი ჩვეულებრივ სჯობდა სამას მამლუქს, ხოლო 1000 ფრანგი ყოველთვის ამარცხებდა 1500 მამლუქს[4].

ეგვიპტიდან ბონაპარტეს წასვლის შემდეგ მისმა მემკვიდრემ გენ. კლებერმა, ითვალისწინებდა რა აკასთან განცდილ მარცხს[5], ოსმალებთან ე. წ. ელ-

[1] ა ლ ა რ უ ს ი, იგივე ენციკლოპედია, ტ. IX, გვ. 536.

[2] გ. ბ ვ ი-მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ი, დასახ. სტატია, გვ. 130.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 130.

[4] ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, სახელგამი, 1952, გვ. 153, შდრ. იგივე, რუს. გამოც. 1953, გვ. 121.

[5] ეტყობა, აკასთან გადახდილმა ბრძოლამ ევროპაში დიდად გაუთქვა სახელი ქართული წარმოშობის უმაღლეს მოხელეს იუსუფ-ზიას, რუსეთის ელჩის ვასილ ტამარას ცნობა არ წარმოადგენს მის ერთადერთ დახასიათებას. საფრანგეთის ელჩისა და დიდი მეცნიერ-ნატურალისტის ოლივიეს ამალის წევრი ჟობერი, რომელმაც იუსუფ-ზია ნახა ზემოაღწერილი ამ-

არიშის (ეს ქალაქი სირია-პალესტინის საზღვარზე მდებარეობდა) სამშვიდობო კონვენცია გააფორმა, რომლის ძალით საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსს უფლება ეძლეოდა საპატიო ევაკუაცია მოეხდინა და საფრანგეთში მშვიდობიანად და თავისუფლად დაბრუნებულიყო. მაგრამ შემდეგ ინგლისის მთავრობამ, რომლის სახელითაც ელ-არიშის კონფერენციას ხელი მოაწერა სიდნეი სმიტმა,

---

ბებიდან ძალიან მოგვიანებით—1806 წლის თოთხმეტ მარტს, მასთან შეხვედრას შემდეგნაირად აგვიწერს: „სწორედ ეს იუსუფ-ფაშა იყო, რომელმაც ვითარცა დიდმა ვაზირმა, ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა მე დიპლომატიური მისიით სპარსეთს მივემგზავრებოდი, ხვანთქარ სელიმთან წარმადგინა. ახლა იუსუფ-ფაშას უკვე შეეტყო ჩვენი ჯარების მიერ აუსტერლიცის ველზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება. მან ძალიან კარგად მიმიღო და იმ მიზნით, რომ ჩემში საერთოდ ფრანგის სახელი დაეფასებინა, საჯაროდ—სპისა და ხალხის თვალწინ -- დიდი პატივი დამდო. ჩემო მეგობარო, მითხრა მან, შენ აქ ახლა თავი ქუჩებში არ გეგონოს. მე აქ ხვანთქრის კარის მსახური ვარ, მან მომანდო სომხეთის გამგებლობა, ყველაფერს გაეკეთებ, რომ აქ ყოფნა შენთვის სასიამოვნო გავხადო. იმას ვნანობ, რომ არზრუმში ვერ მომიწვარი, თორემ იქ ცუდად შენს მიღებას ვერაფერ გაბედავდა. ამ შემთხვევასაც ხელიდან არ გაეუშვებდი იმ მოწიწების გამოსახატავად, რასაც მე შენი მამაცი და კეთილშობილი ერის მიმართ განვიცდი. მე აქ მხოლოდ ისღა შემიძლია, რომ ჯარისკაცის ულუფით გასაზრდოო. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჩემი მხედრული გულახდილობისა და სტუმართმოყვარეობის მადლიერი დარჩები. თუ ღმერთი ინებებს, სტამბოლიდან ბრძანება მალე უნდა მომივიდეს. ხვანთქრის ფირმანი შენთვის ხელსაყრელი იქნება. გაემგზავრები სპარსეთს, ნახავ შაჰსა და პრინცებს, ჯეროვანს მიუზღავ იმ ბრწყინვალებას და ფუფუნებას, რომელიც იქ არსებობს, მაგრამ მოკლებული ღირსებას, იგემებ ზრდილობასა და თავაზს, მაგრამ შიგ გულახდილობის ნატამალსაც ვერ პოვებ, თუმცა ასეთი რამეები თქვენს ევროპაში მიღებულად და დაფასებულად ითელება. საფრანგეთს რომ დაბრუნდები, იმედი მაქვს, აუგად არ მოიხსენიებ ჩვენს ქვეყანას, და, უწინარეს ყოვლისა, იუსუფ-ფაშას“. იმავე საღამოს რუფენს (პარიზის დე'პანი სტამბოლში—დ. ჯ.) წერილი მიუწერე. 1806 წლის 21 მაისს ეს წერილი გაზეთმა „მონიტორმა“ გამოაქვეყნა. იუსუფ-ფაშას, თუმცა სამოცდაათ წელს გადაცილებოდა, ჯერ კიდევ უჭირდა და ტანის საუცხოო მოყვანილობაც შენარჩუნებული ჰქონდა. მაღალი კაცი იყო, მისი სახის ვეჟკაცურ ნაკვთებს თეთრი წვერის სიმეჩხერე შნოსა და ლაზათს ვერ ართმევდა, ცოცხალი და მახვილი გამოხედვა თანამოსაუბრეს პირველსავე წამში ატყვევებდა. საქართველოში იყო დაბადებული. ნორჩი ყოფილა, როდესაც სამშობლოდან გაუტაციათ და სტამბოლს ჩაუყვანიათ. აქ იგი მხედრული წესით აღუზრდიათ. ეს სავსებით შეეფერებოდა მის თანდაყოლილ რაინდულ ხასიათს. მეომართა კორპუსში სულ ქვედა საფეხურზე მდგომმა, იმპერიის უზენაეს პოსტებს მიაღწია. მას თანაბრად ეხერხებოდა სერალის საიდუმლოებათა შეტყობა და არმიის მამაცური გაძღოლა. ხვანთქარი სელიმი, რომელიც მის თვალწინ იყო დაბადებული, ხელში ჰყავდა ჩაგდებული—დიდ პატივს სცემდა და უსაზღვრო ნდობასაც უცხადებდა თავის ნიჭიერ მოხელეს. იუსუფ-ფაშაც მისი ბოლომდე პატივისმცემელი და ერთგული დარჩა. ძნელი სათქმელი იყო, რომელი რომელს სჭარბობდა — ხვანთქრის სიყვარული მისდამი, თუ მისი ხვანთქრისადმი. ანდა—იგი ხვანთქარს ისე აფასებდა, როგორც უყვარდა, თუ მას ხვანთქარი ისე უყვარდა, როგორც აფასებდა. ჭეშმარიტად, უდიდესი გაელენა უნდა გქონოდა სტამბოლის ოფიციალურ წრეებში, რომ ფრანგი კლებერისაგან განცდილი სრული დამარცხების შემდეგაც. თანაც, მიუხედავად უამრავი კონკურენტის ინტრიგებისა და სტამბოლიდან შორს ყოფნისა, კიდევ შვიდ წელიწადს ვაზირატის შიგნით დარჩენილიყავი. ასეთი იყო იუსუფ-ფაშა. ყოველ შემთხვევაში, დიდი ვაზირობიდან მისი გადაყენება მოხდა იმ დროს, როდესაც მე სტამბოლს ჩავაღწიე სპარსეთს გასამგზავრებლად. სხვას ყველას ასეთ მომენტში ან თავს მოჰკვეთდნენ, ანდა,

სიტყვა გატეხა და კლებერის ჯარს უსიტყვო კაპიტულაცია მოსთხოვა (კეიტის ულტიმატუმი).

ზემოთ უკვე აღინიშნა ის შემოტრიალება, რომელიც ნაპოლეონის ექსპედიციასთან დაკავშირებით მოხდა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობაში უკანასკნელის სასარგებლოდ. ნათქვამს ახლა უნდა დავუმატოთ, რომ რუსეთის ელჩმა ვასილ ტამარამ, რომელიც ოსმალეთის მინისტრებს შეხვდა 1799 წლის 5/16 ნოემბერს, კატეგორიულად ურჩია მათ ელ-არიშის მომავალი სამშვიდობო შეთანხმება გამოეყენებინათ, როგორც ნიღაბი და ამ ნიღბის დახმარებით უკანასკნელ კაცამდე ამოეწყვიტათ ფრანგების არმია ეგვიპტეში[1]. ამგვარად, ცარიზმის აგენტმა ოსმალებს შთააგონა მიემართათ მუხანათობისა და საერთაშორისო ნორმების უხეშად დარღვევისათვის. ეს ვასილ ტამარამ გააკეთა ელ-არიშის კონვენციის გამაუქმებელი კეიტის ულტიმატუმამდე კარგა ხნით ადრე.

---

შორეულ გადასახლებას მიუსჯიდნენ. ქართველი იუსუფი ორი მილიონი პიასტრის (სამი მილიონი ფრანკის) გადახდას და საქმეებიდან დროებით ჩამოშორებას დააჯერეს. იგი ჩაიკეტა გასართობ სახლში, რომელიც ბოსფორის სანაპიროზე მდებარეობდა. სომხეთში ატეხილმა არეულობამ მოითხოვა ისეთი ადმინისტრატორი, რომელიც გამოცდილიც უნდა ყოფილიყო, მამაცი და კაცთმოყვარეობითაც შემკობილი. მხოლოდ ასეთ მოხელეს ძალუძდა დისციპლინა დაემყარებინა ოტომანთა ჯარებში. სომხურ პროვინციაში იგი წესრიგის აღსადგენად გაგზავნეს და ბეგლერ-ბეგის ჩინი უბოძეს. როცა მე მის ბანაკში ვიყავი, ეს გენერალი მხედრობას წრთვნიდა. სრულდებოდა ათასგვარი მანევრები. მას ყოველთვის გატაცებით ჰყვარებია სამხედრო ვარჯიშობანი და ოდესღაც ჯერიდით თვალიც ამოუგდია. იუსუფ-ფაშას მიუპურდარი (ბეჭდის მცველი) ახალგაზრდა მარჯვე კაცია, თავისი პატრონისაგან დიდად დავალებული, მისი აღზრდილი... ქართველმა დიდვაზირმა ჩემი ყოფნის დროს ჯარებზე უხვად გასცა ბაიაზეთიდან მისი სელიქდარის მიერ ჩატანილი ფული და მეომართა გულიც მოინადირა (ა. ჟობერი, მოგზ. სომხეთსა და სპარსეთში, პარიზი, 1821, გვ. 93—99. შდრ. უ. უიტმანი, მოგზ. ოსმალეთში, ლონდონი, 1803, 108—126—127).

ქურთების აუგი, რომელიც ფრანგი დიპლომატის პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე გამოთქვა იუსუფ-ზიამ, ოსმალეთის დიდმპყრობელური იდეოლოგიის გამოხატულება იყო. სამაგიეროდ ჯეროვანი უნდა მიეზღოს იმ საღ კრიტიკულ შეფასებას, რომელიც მისცა ამ ქართველმა დიდვაზირმა სპარსეთისა და ევროპის სასახლეთა დიპლომატიურ ეტიკეტს. ფრანგი ჟობერის გადმოცემა ადასტურებს იმ მაღალ ატესტაციას იუსუფ-ზიას შესახებ, რომელიც რუსეთის ელჩის 1798 წლის მოხსენებაშია ჩაქსოვილი. იხ. რუს. საგ. პოლიტ. არქ. ფონდი „რუს. ურთ. ოსმალეთთან", საქმე №876, იგივე ითქმის ინგლისელი მოგზაურის უილიამ უიტმანის ცნობების შესახებაც.

[1] რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფონდი „რუსეთის ურთიერთობა ოსმალეთთან". 1779 წ., საქმე № 897, ფურც. 65—73. გასარკვევია—ელჩი კერძო რისკით მოქმედებდა, თუ პაველ I კარნახით. ყოველ შემთხვევაში ეს ისეთი მომენტი იყო, როცა პროფრანგულ გეზს რუსეთის პოლიტიკაში ჯერ კიდევ ვერ მოესწრო მკვეთრი გამოსახულების მიღება. ამ გეზის დროს ტამარას საქციელი გაუგებარი იქნებოდა.

ინგლისელთა მიერ ელ-არიშის საზავო შეთანხმების დარღვევა (კეიტის ულტიმატუმი) ნიშნავდა იმას, რომ საფრანგეთის „აღმოსავლეთის არმია“ სამშობლოში თავისუფლად და მშვიდობიანად კი ვერ დაბრუნდებოდა, არამედ მთლიანად ინგლისელებს და ოსმალებს ჩაუვარდებოდა ხელში, როგორც დამარცხებული ძალა და ისინი გადაწყვეტდნენ მის ბედს. მთავარი აქ ის იყო, რომ „აღმოსავლეთის არმია“ მიმდინარე ევროპული ომის დროს საფრანგეთისათვის არ იარსებებდა და იგი როგორც მოკავშირეთა ტყვე, ვერავითარ სამსახურს ვერ გაუწევდა სამშობლოს ევროპის ფრონტებზე. საპატიო ევაკუაციის თეზისი დამამცირებელი ტყვეობის თეზისმა შეცვალა. ასეთმა უეცარმა გარდატეხამ კლებერის აღშფოთება გამოიწვია. „მისი გაღვიძება ლომის გაღვიძებას გავდაო“ — წერს ბარონი ერნუ. „ჯარისკაცებო! ასეთ თავხედობას გამარჯვებით პასუხობენ“ — შესძახა თავის სანაქებო მხედრობას გაოცებულმა და განრისხებულმა კლებერმა და იმ დროს, როცა ციხეთა უმეტესობა ფრანგებს, თანახმად ელ-არიშის კონვენციისა, უკვე ოსმალთათვის ჩაებარებინათ, საომარი ოპერაციები განაახლა და გმირული ბრძოლებით სულ რაღაც ერთი თვის განმავლობაში ხელახლა დაიპყრო მთელი ეგვიპტე. ეს 1800 წლის აპრილში მოხდა. ამგვარად, ინგლისის მუხანათობამ გამოიწვია ფრანგული ოკუპაციის სრული მასშტაბით განახლება და გაჭიანურება.

ფრანგების წინააღმდეგ ბოლომდე მებრძოლ მამლუქ ბეილადთა დასი მონაწილეობდა ოსმალეთის დიდვაზირ იუსუფ-ზიას ლაშქრობებში. საინტერესოა 1800 წლის აპრილის ეპიზოდი, როცა ჰასან-ჯიდელი და იბრაჰიმ-ბეი-უფროსი, ერთი მხრივ, და დიდვაზირი იუსუფ-ზია, მეორე მხრივ, გაერთიანებული ფრონტით შეებრძოლნენ გენერალ კლებერს, რომელმაც, ინგლისელი ამირბარის კეიტის ულტიმატუმით ცოფმორეულმა, ხელახლა იშიშვლა მახვილი, რათა მთელი ევროპის გასაოცებლად რამდენიმე კვირაში მეორედ დაეპყრო ეგვიპტის ქვეყანა.

აი, როგორ გვიამბობს ჯაბარტი ჰასან-ჯიდელისა და იბრაჰიმ-ბეი-უფროსის მიერ კლებერისათვის იმ დროს გაწეული წინააღმდეგობის ეპიზოდს: „ნასუხფაშამ (ოსმალეთის სარდალი—დ. ჯ.) და იბრაჰიმ-ბეიმ თავთავისი რაზმებით—იანიჩრებით, არნაუტებით, დულატიებით (ოსმალეთის კავალერია, რომელიც სირიელი მთიელებისაგან შედგებოდა) დაიკავეს პოზიციები ალ-აზბაკიის (ბაბ-ალ-ხავას ახლოს) დიდი მოედნის (აზბაკის მეჩეთთან) და ალ-ატაბა-აზზარკას რაიონებში. კაიროს სხვადასხვა განაპირა კუთხის მოსახლეობა შეუერთდა ოსმალთა ექსპედიციის იმ ჯარისკაცებს, რომლებიც დისლოცირებული იყვნენ მათ რაიონებში. ამის შედეგად შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ კაიროს ყველა მოქალაქე და მეომარი განლაგდა ქალაქის სხვადასხვა ბოლოში დაკიდულ კარებთან, აგრეთვე, გამაგრებულ ზღუდეებთან და კედლებთან, ხოლო ოსმალეთის ჯარის ნაწილი ალ-ჯამალიიას უბანში დამკვიდრდა. როცა აქ, ამა თუ იმ რაიონიდან შემოიქროლებდა შიკრიკი და მაშველ ძალებს ითხოვდა,

ალ-ჯამალიია დაუყოვნებლივ ეხმარებოდა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილ უბნებს. კაიროს ყველა მცხოვრები დღე და ღამე ფეხზე იქნა—ვისაც ბრძოლა არ შეეძლო, ქუჩაში იყო, ხოლო ვისაც მამაცის გული უცემდა და ბრძოლის თავი ჰქონდა, ქალაქის განაპირა უბნებში, ბარიკადებზე ღვრიდა სისხლს. სნეულთა და ლაჩართა გარდა, შინ არავის ეძინა. კაიდ-აღას სახლში, რომელიც ალ-ხურუნფიშის ქუჩაზე მდებარეობდა, ოსმან-კათხოდამ მოაწყო საომარ მასალათა დამამზადებელი სახელოსნო. აქ მოიყვანეს იარაღისა და ეტლების მკეთებელი ოსტატები, მჭედლები, ჩამომსხმელები და აიძულეს ისინი დაემზადებინათ ზარბაზნები და ჰურვები, შეეკეთებინათ ქვემეხები, რომლებიც ზოგიერთ სახლში ეპოვნათ. მათ ამარაგებდნენ ყველაფრით, რაც სჭირდებოდათ—ხე-ტყე, რკინა და ა. შ. მეორე დღეს ჩამოვიდა მუჰამედ-ბეი-ალ-ალფი. იგი გამაგრდა პატარა ბაზართან, რომელიც მდებარეობდა აბდ-ალ-ჰააკის ქუჩისა და ალბაიდაკის შესახვევის მახლობლად. მას ახლდა ამალა, მამლუქები და რამდენიმე ოსმალო. მან და მისმა მამლუქებმა გამოიჩინეს გამბედაობა, მამაცობა და გმირობა, ენერგიულად მოქმედებდნენ მისი კაშიფებიც. ჰასან-ბეი-ალ-ჯიდ-დავიმ (ჯიდელი) ბარიკადები აღმართა არ-რუვაის რაიონში და საფიქრებელია, რომ ღამღამობით ტოვებდა თავის ბარიკადებს, რათა სხვა რაიონებს მოხმარებოდა. ვაჭრები და საერთოდ ბევრი მდიდარი (როგორც, მაგალითად, სეიდ-აჰმად-ალ-მახრუკი) ეხმარებოდნენ აჯანყებულებს — მათ იკისრეს ხარჯები, საზრდოს აწვდიდნენ მებრძოლებს. ამასვე ჩადიოდა კაიროს ყველა მცხოვრები. ფრანგები გამაგრდნენ ფორტებში, რომლებიც გარს ერტყა ეგვიპტის სატახტოს, ალ-ალფის სახლში, სხვა კერძო ბინებშიც, ამ სახლს რომ ემხრობოდა, მეზობლად მდებარე კოპტთა შენობებში (ეს ის დრო იყო, როცა ოსმალეთის დიდი ვაზირის იუსუფ-ზიას ჯარები კლებერმა გაფანტა, დაამარცხა და ეგვიპტის ხელახალი დაპყრობა მოახდინა, ხოლო კაიროს მრავალტანჯული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ევაკუაცია გადაწყვიტა, მაგრამ ფანატიკოსმა თანამოქალაქეებმა შეაჩერეს). მებრძოლ ეგვიპტელთა თავკაცები ეახლნენ დიდ ვაზირს საღიჰიეში და საყვედურებით აავსეს. ვაზირის პასუხი ასეთი იყო: ელ-არიშის ხელშეკრულებას დავენდე, ამიტომ ჯარები არ წამომიყვანია სირიიდან, მოუმზადებელი შევხვდით ამ მომენტს, ეს არის მარცხის საიდუმლოება, ფრანგებმა ჩაიდინეს ქარაფშუტობა, როცა დაზავებაზე დათანხმდნენ, რადგანაც ჩვენ და ინგლისელებმა მათ ხაფანგი გავუმზადეთო. მამლუქთა თავკაცებმა დიდ ვაზირს უთხრეს — ჯარს უბრძანე, კაიროში წაგვყვეს, თანაც ამ ჯარს ისინი ბევრ სიკეთეს დაჰპირდნენ. ათასი მეომარი გაჰყვა მათ, სხვები სოფლებში გაიფანტნენ. დიდმა ვაზირმა სირიას მიაშურა. ნასიფ-ფაშა (იგივე ნასუხ-ფაშა) და მამლუქები, გზავნიდნენ რა წერილებს დიდ ვაზირთან, თვითონ თხზავდნენ პასუხებს და ამ მოგონილი პასუხებით ამშვიდებდნენ კაიროს მოსახლეობას —დიდი ვაზირი ჯარებს კრებს და საცაა დასახმარებლად მოგეაწვდისო. როდესაც, მათთვის სავსებით ანაზდეულად, კაიროში დაბრუნდა ხუ-

თასი არნაუტი, რომლებიც თავის დროზე გადასახადების ასაკრებად პროვინციებში წარეგზავნათ, ნასიფ-ფაშამ და მამლუქმა თავკაცებმა ხმა დაყარეს— არნაუტების ეს რაზმი დიდმა ვაზირმა მოგვაშველაო. ასე სურდათ შეენარჩუნებინათ ხალხის საომარი სულისკვეთება. გარეუბანი ბულაკი სულ ერთიანად აღდგა ფრანგების წინააღმდეგ და მის მოქმედებას მეტი გამბედაობა ეტყობოდა. ბულაკელებმა ხელთ იგდეს ნილოსის სანაპიროზე მიტოვებული ფრანგთა კარვები, მოიმარჯვეს ჯოხები და იარაღი, ჰქედნენ შუბებს და ფარებს. მათ შემუსრეს ფრანგთა საგუშაგო რაზმი, რომელიც იმ კარვებთან იდგა. ბულაკელებმა ქალაქს შემოაღწიეს ტრანშეები და ბარიკადები და მოემზადნენ „წმინდა ომის“ გადასახდელად. სალიჰიეს დამჭერი კლებერი ამასობაში კაიროს მოადგა და სპა მჭიდრო რკალად შემოაწყო მას. ქალაქში მყოფი კოპტები, სირიელები და სხვა ქრისტიანები, რომლებიც ფრანგებთან თანამშრომლობდნენ, გაიპარნენ კაიროდან (ქედლებზე ცოლშვილიანად გადაცოცდნენ). მათ ხომ, როგორც ქრისტიანებს, თავს დაატყდათ აჯანყებულ კაიროელთა ფანატიკური და განუკითხავი რისხვა. ფრანგებმა ეგვიპტის სატახტოს სურსათის მიმწოდებელი ყველა არხი დაუხშეს. აჯანყებულებიც ბევრ უსამართლობას ჩადიოდნენ. მაგ., ერთი მაღრიბელი სათავეში ჩაუდგა კაიროში მყოფ თვისტომთ და ჰიჯაზელებს. ისინი, მტერთან ბრძოლის საბაბით, დაერივნენ ყველას, სამკაულებს გულისათვის უმოწყალოდ ხოცავდნენ ქალებსა და ბავშვებს, ხალხი აკეთებდა იმას, რასაც ტკბობის წყურვილი, სიძულვილი და გაბოროტება უკარნახებდაო, გადმოგვცემს ჯაბარტი.

მამლუქმა თავკაცებმა ფრანგებთან კავშირში მყოფ მურად-ბეის შიკრიკი გაუგზავნეს და დახმარება სთხოვეს. მან შემოთვალა: ვერ ჩამოვალ თქვენთან, უნდა დავიცვა ის ტერიტორია, სადაც ვიმყოფები (იგულისხმებოდა ზემო ეგვიპტე); თავი გაანებეთ კაიროს, უომრად გაეცალეთო. ფრანგები, ოსმალთ რომ მორჩებიან, თქვენ ხელს არ გახლებენ, ითანამშრომლეთ ფრანგებთანო. ჰასან-ჯიდელი, ოსმან-ბეი ალაშკარი და სხვები აღშფოთებამ მოიცვა. სისულელედ და უაზრობად ჩათვალეს მურად-ბეის შემონათვალი.

კაიროს თავდაცვის სული და გული იყო ჰასან-ბეი ჯიდელი. სადაც კი საქმე გაჭირდებოდა, იგიც თავისი რაზმით იქ გამოჩნდებოდა და ასალკლდევებდა კაიროს დამცველებს. ხალხი მოწმე იყო მისი სიმამაცის და გამბედაობისა მტრებთან ბრძოლაში. ყველაფერი ეს მისი სულის მაღალ თვისებებზე, გულის სიმტკიცეზე და დიდ გამბედაობაზე მეტყველებდა. ცოტა იყო ისეთი ბრძოლა, სადაც იგი არ ყოფილიყო გადამწყვეტი ძალა და მეომართა გამძღოლი. გენერალმა კლებერმა დაიბარა შეიხები და მათ ჰუმანური პირობების საფუძველზე დაზავება შესთავაზა—ოსმალეთის ჯარს მიეცემოდა თავისუფალი გზა სირიისაკენ; მამლუქებსაც, ვინც მათ შორის ოსმალთა წაყოლას მოისურვებდა, ამასვე პირდებოდა ფრანგთა სარდალი. დარჩენილთ არაფერი დაუშავდებოდათ, ყველა მათგანს სურსათ-სანოვაგით იგივე კლებერი დაეხმარებოდა, მაგრამ კაიროს

სახალხო დაცვის ხელმძღვანელობამ დაზავების ამ წინადადებას უარით უპასუხა, მაშინ ფრანგებმა დაიწყეს ულმობელი შეტევა, ჯერ ბულაკი აღგავეს პირისაგან მიწისა. გადარჩენილ ბულაკელებს შეაწერეს კონტრიბუცია ორასი ათასი რეალის რაოდენობით. ბოლოს და ბოლოს, როდესაც კაიროს მოსახლეობისათვის აუტანელი შეიქნა მდგომარეობა (სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა, ძარცვა-გლეჯა, მტრის იერიშები), ნასიფ-ფაშა და მებრძოლი მამლუქი თავკაცობა კლებერთან დაზავებას დათანხმდნენ. ეს 1800 წლის 26 აპრილს მოხდა. ყველა დაზავებული ფრანგებმა ას-სალიჰიისაკენ გაატარეს. მათ რიცხვში ერიენ ჰასან-ჯიდელი და მარტყოფელი იბრაჰიმ შინჯიაშვილი. ისინი გმირები იყვნენ, მაგრამ განსაკუთრებული დიდება პირველმა მათგანმა დაიმსახურა: როცა სურდათ დაეხასიათებინათ ამა თუ იმ კაცის ძლიერება და გაბედულება, არაბი ისტორიკოსები მას ჰასან-ჯიდელს ადარებდნენ. ჯაბარტს კაიროს ტრაგედიის მიზეზად ოსმალები მიაჩნია.

ზემოთ ითქვა, რომ კეიტის ულტიმატუმით განრისხებულმა კლებერმა სულ მოკლე ხანში ხელახლა აიღო ეგვიპტე. თითქოს საფრანგეთის აღმოსავლური გეგმების განხორციელების საქმე ბრწყინვალე ფაზაში შედიოდა, მაგრამ ნაპოლეონის „აღმოსავლეთის არმიას“ ბედის ჩარხი კვლავ უკუღმა დაუტრიალღა. 1800 წლის თოთხმეტ ივნისს (ახალი სტილით) ახალგაზრდა ჰალებელმა ფანატიკოსმა სოლომანმა სიცოცხლეს მუხანათურად გამოასალმა ორმოცდაექვსი წლის ფრანგი გენერალი — ძლევამოსილი ჟან-ბატისტ კლებერი, რომელსაც ბევრი ისტორიკოსი ნიჭიერებით ნაპოლეონზე მაღლაც კი აყენებდა. მკვლელობა შემდეგნაირად მოხდა: თითქმის ექვს თვეს ემზადებოდა ჰალებელი ჰაბუკი თავისი უაღრესად საპასუხისმგებლო როლის შესასრულებლად. ამ მოსამზადებელ პერიოდში ოთხი შეიხი, რომელთაც იგი მიიბარა, უზარმაზარი მეჩეთის თაღებქვეშ გატაცებით შთააგონებდა მას, რომ მოწოდებული იყო ეხსნა არაბთა სამშობლო დაღუპვისაგან, რომ საამისოდ ალაჰმა იგი ამოირჩია. ხანგრძლივმა მოსამზადებელმა პერიოდმა განვლო და სოლომანი კლებერს ჩაუსაფრდა იმ ბაღში, სადაც ფრანგი ოფიცრები ერთმანეთს ხვდებოდნენ. და აი, 1800 წლის თოთხმეტ ივნისს დაუდგა ნანატრი წუთები ჰალებელ ფანატიკოსს: კლებერი სადილის შემდეგ ერთი ფრანგი ინჟინრის თანხლებით სასეირნოდ ბაღში გავიდა. უეცრად, მის წინ დაიჩოქა რელიგიურ სამოსელში გამოწყობილმა ჰაბუკმა და გრძელი გრაგნილი მიართვა. როცა კლებერი იმ გრაგნილის გამოსართმევად დაიხარა, დაჩოქილმა არაბმა გულში ხანჯალი ჩასცა. ერთხელ დაყვირება ძლივს მოასწრო და სახელგანთქმული ფრანგი სარდალი მიწაზე უსულოდ გაგორდა. მისმა მხლებელმა ინჟინერმა ნაჯახით წაიწია მკვლელზე, მაგრამ ამ უკანასკნელმა ისე იმარჯვა, რომ ნაჯახი აიცდინა, თავისი გასისხლიანებული ხანჯლით ეს ოფიცერიც მძიმედ დაჭრა და სწრაფად გაუჩინარდა. კლებერის მკვლელი სოლომანი რამდენიმე დღის შემდეგ იპოვეს და სიკვდილით დასაჯეს. მასთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმეს სულიერი მოძღვარნიც — ოთხი არაბი შეიხი.

საფრანგეთის ზოგიერთი ისტორიკოსი კლებერის მკვლელობის ორგანიზაციას დიდვაზირ იუსუფ-ზიას მიაწერდა[1]. ეგვიპტეში იმ დროს, როცა კლებერს სიცოცხლე მოესწრაფა, ელვისებურად გავრცელდა ასეთი ვერსია[2]. ზოგი ფრანგი მკვლევარი წერს, რომ ჰალებელმა ჰაბუკმა კლებერის მოკვლა იკისრა მამის გამოსახსნელად, რომელიც დაპატიმრებული ჰყავდა იუსუფ-ზიას, თუ მის მომხრეებს, რადგანაც ჰაბუკს მკვლელობის ორგანიზატორები საზღაურად მამამისის თავისუფლებას შეჰპირდნენ. ზოგი ევროპელი მკვლევარი იმ აზრისაა, რომ ჰალებელმა სოლიმანმა მძიმე მოვალეობა წმინდა პატრიოტული, თუ ფანატიკურ-რელიგიური მოტივებით იკისრა.

აბდარახმან ალ-ჯაბარტი ვრცლად ეხება კლებერის მკვლელობის ვითარებას. მისი მასალებიდან ირკვევა, რომ ფრანგი მხედართმთავრის მოკვლა ოცდაოთხი წლის ჰალებელ მოქალაქეს სოლიმანს დაავალა დიდი ვაზირის არმიის ერთ-ერთმა მაღალი ჩინის ოფიცერმა აჰმედ-აღამ. როცა მას სოლიმანი წარუდგა, როგორც მომჩივანი ჰალების ფაშაზე, რომელიც მამამისს—ზეთით მოვაჭრეს—უზომო გადასახადებით ბეგრავდა. თვითონ სოლიმანი უარყოფითად პასუხობდა კითხვებზე—იცოდა თუ არა დიდმა ვაზირმა, რომ მზადდებოდა მკვლელობა, ანდა იმავე დიდი ვაზირის სახელით თუ უთხრეს რაიმე სოლიმანს ამის შესახებ მკვლელობის უშუალო ორგანიზატორებმა—აჰმედ-აღამ და იასინ-აღამ. არავითარი მოწოდება კლებერის მოკვლის შესახებ იუსუფ-ზიასაგან მე არ მიმიღიაო—ამტკიცებდა დამნაშავე. არც ერთმა ოთხმა შეიხთაგანმა არ უჩვენა, რომ ისინი ჩააგონებდნენ მას კლებერის მოკვლას. არც სოლიმან ჰალებელი ამტკიცებდა ამას. ფრანგთა სამხედრო ტრიბუნალმა არ დაუჯერა მათ და უდავოდ მიიჩნია, რომ შეიხთა ჩაგონებას მართლაც ჰქონდა ადგილი. სოლიმანს, ალ-ჯაბარტის მასალების მიხედვით, ჯერ ხელები დაუწვეს ცეცხლით. შემდეგ კი სარზე ჩამოცმით დასაჯეს. მისი ცხედარი მანამ უნდა ყოფილიყო ამ მდგომარეობაში, სანამ მტაცებელი ფრინველები არ დაფლეთდნენ. სოლიმანისა და მისი ოთხი თანამონაწილის სიკვდილით დასჯა საჯაროდ მოხდა[3].

ამგვარად, ფრანგთა საექსპედიციო ჯარებს მოუკლეს უნიჭიერესი და უმამაცესი სარდალი. მაგრამ ფრანგთა მოპირდაპირე ბანაკმაც მალე დიდი დანაკლისი განიცადა, საქმე იმაშია, რომ ზემოაღწერილი ამბების შემდეგ ჰასან-ჯიდელს დიდხანს აღარ უცოცხლია: იგი 1800 წელს მიიცვალა. ამ დროს მოკვდა სოლეიმან-ბეიც (შესაძლოა ტარბაისიძე თუ ტარბაიძე). თავის ძმას—იბ-

---

[1] გაბრიელ ჰანოტო. ეგვიპტის ისტორია (ფრანგ. ენაზე), ტ. V, გვ. 495—496.

[2] სხვადასხვა ცნობები და კორესპონდენციები აღმოსავლეთის არმიის ოპერაციების შესახებ (ფრანგ. ენაზე), პარიზი, 1801, გვ. 430—450.

[3] Абд. Джабарти, დასახ. შრომა, 1962, გვ. 324—333, 340—345.

რაჰიმ უმცროსს, რომელიც ნილოსში დაიხრჩო ნაპოლეონის ჯართან ბრძოლის დროს, მან ორი წლის სიცოცხლით აჯობა. სოლეიმანს ფულის დაგროვება უყვარდა. მას ზემო ეგვიპტეში თვალუწვდენელი ადგილ-მამულები ეკუთვნოდა. სიცოცხლის მიწურულში დასახლდა ასიუტის მიწაზე, რომელიც მის სამფლობელოს წარმოადგენდა, ააგო სასახლე, გააშენა პარკები, გაჭრა არხები, შეიძინა უამრავი ძროხა და ცხვარი. ერთხელ ბრძანება გასცა გაეკრიჭათ ცხვრები, რომელთა რიცხვი ათი ათასს ამეტებდა. აწონა ეს მატყლი, გასცა გლეხებზე და უბრძანა მათ ნართის დამზადება, შემდეგ ნართი მქსოველებს მისცა და დაავალა ფართლის მოქსოვა, ეს ფართალი ჩვეულებრივზე უფრო მაღალ ფასებში გაყიდა და დიდძალი ფულის პატრონი გახდა.

როგორც წყაროებიდან ჩანს, სოლეიმან ბეი-აღას მოსწყინდა საბრძოლო დიდება და ცხოვრების ბოლო პერიოდში სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზს თავი გაანება. იგი, როგორც ბევრი სხვა, შაეი ჰირის სნეულებამ იმსხვერპლა.

1801 წელს, გაზაფხულზე, შავმა ჰირმა სიცოცხლეს გამოასალმა მურად-ბეიც. 21 მარტს მისი ცოლი ნეფიზე (ანუ ნაფისე) შაეით შეიმოსა და ქმარს ძეგლი აუგო კაროფეში—იმამ აშ-შაფიის მავზოლეუმის გუმბათის ახლოს. ამბობდნენ, რომ ნეშტიც იქვე დამარხეს, მაგრამ მთელი რიგი მეცნიერებისა ამ აზრს საეჭვოდ აცხადებდნენ. მურად-ბეის ცოლს ფრანგებისაგან დაეინიშნა ყოველთვიური პენსია ასი ათასი ფარას რაოდენობით (ათას ხუთასი მანეთი მაშინდელი რუსული კურსით)[1].

მურად-ბეის საფლავზე, ამ ბელადის დაკრძალვის დღეს, მამლუქებმა დაამსხვრიეს აბჯარ-საჭურველი და ძათი ნამსხვრევებისაგან საყვარელ წინამძღოლს სახელდახელოდ აუგეს პირამიდების ფორმის ძეგლი. „ამიერიდან არ ვართ ღირსნი ვატაროთ ეს ხმლებიო“, გაიძახოდნენ ისინი[2].

ისტორიკოსი ტიერი იწუნებს კლებერის მემკვიდრის მენუს პოლიტიკას, ვინაიდან იგი სათანადოდ არ აფასებდა მურად-ბეისთან კავშირს, მას უღირსად ეპყრობოდა. ეს ეწინააღმდეგებოდა საღი პოლიტიკის მოთხოვნებს, რადგანაც მურად-ბეი ზემო ეგვიპტის მეუფე იყო და ფრანგებს ინგლისელებზე მაღლა აყენებდა: მენუ აბუჩად იგდებდა მურად-ბეის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და ამ მამლუქ ბელადს საფრანგეთზე გულს უტეხდაო. ფრანსუა შარლე რუც წერს, რომ მურად-ბეი სიცოცხლის ბოლო ხანებში მზად იყო ინგლისთან მეგობრული მოლაპარაკებისათვის და რომ დასცლოდა, ალბათ საფრანგეთს უღალატებდაო.

მურად-ბეის სიკვდილის შემდეგ საიდის (ზემო ეგვიპტე) მამლუქებმა თავი ფრანგთა წინააღმდეგ მებრძოლებად გამოაცხადეს.

გენერალი ბელიარი, რომელიც მაშინ კაიროს ფრანგული გარნიზონის

---

[1] ბევრი ევროპელი მეცნიერი უეჭველად თვლის, რომ ნეფისე წარმოშობით ქართველი ქალი იყო.

[2] პ ი ე რ ლ ა რ უ ს ი ს დასახ. ენციკლოპედია, ტ. XI, გვ. 696.

უფროსი იყო, ეახლა ნეფისეს და უშიშროების სიგელი გადასცა, რომლის ძა-, ლით, როგორც მას, ისე ბეგებისა და ქაშიფების სხვა ცოლებს შეეძლოთ წა- ისულიყვნენ კაიროდან — თქვენ ახლა ჩვენთვის საჭირონი არა ხართ, რადგანაც თქვენმა ქმრებმა გვიღალატესო.

კლებერის მემკვიდრე აბდალაჰ-მენუ. რომელიც ისლამის რჯულზე მო- ნათლა და ცოლად მაჰმადიანი ქალი შეირთო, ვერ გამოდგა ნიჭიერი სარდალი „აღმოსავლეთის არმიის“ მთავარსარდლის თანამდებობაზე. სამაგიეროდ ცნო- ბილი გახდა, როგორც კოლონიალისტი და კლებერის ანტიპოდი.

1801 წლის მარტში (მურად-ბეის სიკვდილიდან ცოტა ხნის შემდეგ) მენუს ჯარებმა კანოპის კონცხთან (იგივე აბუკირი) ინგლისელი აბერკრომბის ჯა- რისაგან სასტიკი დამარცხება განიცადეს. პრინციპში ეს მოასწავებდა საფ- რანგეთის უდიდეს კრახს აღმოსავლეთში და აღმოსავლეთის ექსპედიციის აღსასრულს.

ამავე დროს, ინგლისის დიპლომატიამ მოაწყო შეთქმულება პეტერბურგ- ში და სიცოცხლეს გამოასალმა ნაპოლეონთან პოლიტიკურად დაახლოებუ- ლი პავლე პირველი და ჩაფუშა ინდოეთზე საფრანგეთ-რუსეთის გაერთიანე- ბული ლაშქრობა, რომელიც ჩრდილოეთიდან მზადდებოდა და რომელსაც უნდა შეევსო და ლოგიკურ დაბოლოებამდე განევითარებინა ეგვიპტის ფრან- გული ექსპედიცია. ამგვარად, ინგლისმა თითქმის ერთდროულად ორივე ფრონტზე (ეგვიპტესა და პეტერბურგშიც) სასტიკად დაარტყა ყველას, ვინც ინდოეთზე გრანდიოზულ ორმხრივ გალაშქრებას ამზადებდა. ჩაიფუშა რუსე- თის მოხელეთა და მსხვილი კომერსანტების სამ ათეულზე მეტი პროექტი, რომლებიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იქნა წამოყენებული ინდოეთ- სპარსეთის ბაზრებზე რუსული კაპიტალის ფართოდ შეჭრისა და გილან- ასტრაბად-ყანდაარის გზებზე რუსული კონტროლის დამყარების შესახებ.

აბერკრომბის შესევამ და კანოპის ზემოხსენებულმა ბრძოლამ (1801 წ. მარტი) ეგვიპტელებს ბედი რამდენიმედ შეუმსუბუქა. შერბილდა ფრანგთა საგადასახადო პოლიტიკა და აბდალაჰ მენუს მოხელენი ლოიალური პოლიტ- კის აუცილებლობის წინაშე დადგნენ. ფრანგთა მთავარსარდალი ეგვიპტეში ტყავიდან ძვრებოდა, რათა არაბი მოსახლეობისათვის დაემალა ინგლისელებ- თან ბრძოლის მსვლელობისა და რუსეთ-ოსმალეთის პოზიციის ნამდვილი სურათი. „პავლე პირველმა ხვანთქარს ომი გამოუცხადა, თვითონ სელიმ მესა- მემაც ახლა ჩვენთან ომი არ მოისურვა და ჯარები უკანვე მიჰყავსო“.—აი, რანაირი სიცრუით ლამობდა მენუ ხალხის გაბრუებას.

აბერკრომბის ექსპედიციამ დიდ ბრიტანეთში ფართო გახმაურება პოვა. ბრძოლის ველზე მოკლულ ამირბარს ლონდონში, წმინდა პავლეს საყდრის ეზოში, ძეგლი დაუდგეს და ზედ ამოკვეთეს ლორდთა და თემთა პალატების მიერ გამოტანილი ე. წ. დიდების ვოტუმი. მის ქვრივს უბოძეს ტიტული— „ბარონესა ბერკრომბ ოფ-ელ-აბუკეირი“. წლიური პენსიის სახით დაუნიშ-

ნეს ორი ათასი გირვანქა სტერლინგი, რომელიც მის შვილებზედაც გადადიოდა. ასე აღნიშნა ოფიციალურმა ბრიტანეთმა ეგვიპტეში თავის ძირითად კონკურენტზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება.

აბერკრომბის მემკვიდრემ ხატჩინსონმა, რომელმაც კანოპის ბრძოლის შემდეგ სწრაფი დარტყმით წვრილ-წვრილი ციხეები დაიკავა და კაიროსაკენ მიმავალმა ფრანგთა სპა ორად გააპო, დიდხანს ვერ გაბედა სატახტოზე შეტევა. კანოპის ბრძოლა თავისთავად გადამწყვეტი არ ყოფილა, მაგრამ იგი ასეთად გახდა. მენუს გარდა, თითქმის ყველა და, უპირველეს ყოვლისა, მისი მთავარი ოპოზიციონერი რეინიე ფიქრობდა, რომ ეგვიპტე დაკარგულია და გონიერული იქნებოდა ეზრუნათ საფრანგეთისაკენ მშვიდობიან გაღწევაზე. მენუ კი ყალბი იმედებით საზრდოობდა—ესპანელი განტემო მომეშველება, საცაა რუსებიც ოსმალეთზე შეტევას გააჩაღებენ, ინგლისელებსა და ხვანთქრის კარს ერთმანეთში დიდი უთანხმოება აქვთო და სხვ.

განტემო მართლაც ჩავიდა ალექსანდრიაში, მაგრამ დესანტის გადასხმა ვერ გაბედა და იქაურობას მალე გაეცალა. ამავე დროს 1801 წლის 3 მაისს — სიდნეი სმიტმა მამლუქთა წერილები მიიღო. ისინი ინგლისს მხარდაჭერას უცხადებდნენ. ფრანგთა მომხრე მამლუქების დასი უბელადოდ დარჩა მას შემდეგ, რაც მურად-ბეი მოკვდა.

მამლუქებმა ხატჩინსონის სპას 1200 მებრძოლი შეჰმატეს. ამ დროს მათი ბელადები იყვნენ: მურად-ბეის მემკვიდრე ოსმან-ალ-ვარდისი, ოსმან-ბეი-ტამბურაჯი (ატ-ტანბურჯი), მუჰამად-ბეი-ალ-ალფი და სხვ. მამლუქები ინგლისს დაჰპირდნენ დახმარებას იმ პირობით, რომ მათ შეუნარჩუნებდნენ მთელ ქონებრივ ავლადიდებას და წინანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას. ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ისინი ოსმალეთის ხვანთქარს ურიგდებოდნენ. მათი მოქმედება ამ შემთხვევაში კონიუნქტიურის ამბავი იყო და სხვა არაფერი.

ინდოეთიდანაც და კეთილი იმედის კონცხიდანაც ჩაუვიდათ ინგლისელებს მაშველი ძალები ეგვიპტეში. მეწამულ ზღვაზე საამისოდ ორი მარშრუტი იქნა გამოყენებული: კოსეირი (ალ-კუსაირი)-კენა (ნილოსზე) და სუეც-კაირო. ორივე მარშრუტი უდაბნოზე გადიოდა. პირველი დიდი ორგანიზებულობით გადასერეს ინგლისელთა და სიპაელთა რაზმებმა, რომლებიც დაახლოებით ათი ათასი მეომრისგან შედგებოდა, მეორე მარშრუტზე კი საქმე გაჭირდა. მეომრებს ცხელი კლიმატის და ქვიშის გრიგალის დაძლევა მოუხდათ.

1801 წ. ივნისის ბოლოს კაიროს გარნიზონი, რომელსაც ბელიარი სარდლობდა, ბრიტანელებს დანებდა ელ-არიშის კონვენციის პირობათა საფუძველზე. ხატჩინსონს კაიროსთან მხოლოდ ოთხი ათასი მებრძოლი ჰყავდა და ძალიან გაუკვირდა, როცა ბელიარის ცამეტათასიანი გარნიზონის დანებება შეიტყო, მით უმეტეს, რომ ფრანგთა ამ ჯარს აღმოაჩნდა სათანადო საომარი მასალა და რესურსები წინააღმდეგობის გასაწევად. კაიროს ევაკუაციისათვის ბელიარს თორმეტი დღე მიეცა. ინგლისელებს მხოლოდ ორი ფორტი გადას-

ცეს. დანარჩენი ფორტები ფრანგთა ხელში დარჩა. ბრიტანელებს დიდ სიფრთხილედ არ მიაჩნდათ ასეთ მდგომარეობაში მტრების ბანაკიდან თორმეტ-თხუთმეტი დღის სასიარულო მანძილზე ყოფნა, რადგან დანებებულ დუშმანს, თუ მოისურვებდა, ყოველთვის შეეძლო საომარი ოპერაციები განეახლებინა. ინგლისელები კაპიტულაციის პირობებს ერთობ ლმობიერად მიიჩნევდნენ, მაგრამ გამართლება ის იყო, რომ დანებებული მტერი მათ რიცხობრივად რამდენიმეჯერ აღემატებოდა. გამარჯვებული მხარე ბელიარის აჩქარებას სამი მიზეზით ხსნიდა: 1. დაბალი მორალური სულისკვეთებით, 2. ეგვიპტელთა ახალი სახალხო აჯანყებების შიშით და 3. ოსმალთა სისასტიკის მოლოდინით (იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელნი შეძლებდნენ კაიროს იერიშით აღებას).

ფრანგების წასვლისთანავე შეიხები გამოეცხადნენ დიდვაზირ იუსუფ-ფაშას და მასთან დარჩნენ. მამლუქებიც დიდვაზირის ბანაკში იყვნენ. მეორე დღეს შეიხები ნილოსის დასავლეთ სანაპიროზე გადავიდნენ, რათა ენახათ კაპუდან-ფაშა-კიუჩუკ-ჰუსეინი (წარმოშობით ქართველი). იბრაჰიმ-ბეი-უფროსს (მარტყოფელი შინჯიკაშვილი) კაიროს მოქალაქეები აღტაცებით მიესალმებოდნენ. კოპტი იაკუბი წავიდა არ-რაუდას კუნძულზე და თან თავისი კორპუსი წაიყვანა. ზოგმა მისმა მეომარმა დეზერტირობა იკისრა. მათი ცოლები ჯგუფურად გამოეცხადნენ გენერალ ბელიარს და კივილი მორთეს. ფრანგი სარდალი დაჰპირდა მათ, რომ ძალით არავის დააბრუნებდნენ იაკუბ მოალემის არმიაში. გენერალი ბელიარი და ფრანგთა სხვა სამი უმაღლესი ოფიცერი ვიზიტით ეწვია იუსუფ დიდვაზირს. მან ისინი ბეწვეულის ქურქებით დააჯილდოვა. ყველამ, ვისაც სურდა მენუს ჯარს საფრანგეთში გაჰყოლოდა, თავი არ-რაუდაზე და გიზეში მოიყარა. მათ შორის ბევრი კოპტი იყო, ბევრიც—ევროპელი ნეგოციანტი, თარჯიმანი და მუსულმანი. საფრანგეთში გასამგზავრებლად განსაკუთრებით ბლომად მოგროვდნენ სირიელები და ბერძნები, დივანის პრეზიდენტმა ყველა თავისი ნივთი 36000 ფარად (540 მანეთი რუს. კურსით) გაყიდა და საფრანგეთში მხოლოდ და მხოლოდ ადვილად გასატანი ნივთების წაღებას აპირებდა.

ქართველი დიდი ვაზირის იუსუფ-ფაშას (ზია)[1] ლოიალობისა და ლიბერალური მიდრეკილებების მიუხედავად, ოსმალთა საოკუპაციო ჯარების ყოფნა ეგვიპტეში თავგასულობისა და სისასტიკის ნიმუშების უწყვეტი ჯაჭვი აღმოჩნდა და ფრანგთა რეჟიმი სანატრელი შეიქნა.

დიდი ვაზირი რეშვან-ბეის სასახლეში გაჩერდა—აბდინის კვარტალში[2]. მალე გამოვიდა მისი ბრძანება — უბნებს არაფერი მოსთხოვოთო: იანიჩრებს აეკრძალათ ხელის ხლება ვაჭართა საქონელზე, მაგრამ ეს ბრძანებები ცხოვრებაში არ გატარდა. მთელი ეგვიპტისათვის გამოვიდა განკარგულება—არავის

[1] მას ჰქონდა მეორე ზედსახელიც—„ალმაადანი".

[2] კაიროს ცენტრი, აბდინის უბანში ცხოვრობდა იბრაჰიმ შინჯიკაშვილის ვაჟიშვილი მარზუკ-ბეი.

არაფერი არ გადაეხადა, თუ საფინანსო დარგის მოხელე დიდი ვაზირის მანდატს არ წარადგენდა, იანიჩრებს უბრძანეს, რომ ხელოსანთათვის არაფერი წაერთმიათ. ეს ბრძანებაც განუხორციელებელი დარჩა, რაც ესოდენ ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა საერთოდ ოსმალური ადმინისტრაციის პრაქტიკაში. სოლეიმან-აღა სირიაში გაემგზავრა. ერთ-ერთი დავალება, რომელიც მას მიეცა, იყო მამლუქთა ოჯახების ჩაყვანა ეგვიპტეში. დიდმა ვაზირმა ბრძანება გასცა — ყველას ეცლო იმ ტანისამოსით, რასაც თავთავიანთი ძველი ეროვნული ჩვეულებანი უკარნახებდა. აღებ-მიცემობას ას ათი ქისა (55.000 პიასტრი ანუ 33000 მანეთი) შეაწერეს. ვაჭრებმა მოინდომეს ამ ბეგარის გადახდაში ხელოსნებიც შეეზიარებინათ, მაგრამ არ გამოვიდა. კაიროს ყადად (ჩოსამართლე) დაინიშნა ჰალების შერიფთა ყოფილი ბელადი. მან გამოაცხადა, რადგანაც ყველა ქონება ხვანთქარს ეკუთვნის, ვითარცა უზენაეს მბრძანებელს, მოქალაქენი მოვალენი არიან თავიანთი მატერიალური ავლადიდება გამოისყიდონო. ულემების პროტესტი ამაო გამოდგა. ბოლოს ამ საქმემ დიდვაზირ იუსუფ-ფაშამდე მიაღწია და მან ზემოხსენებული ყადი მაშინვე გადააყენა.

კაიროში იბრაჰიმ-ბეი-უფროსის (მარტყოფელი შინჯიკაშვილი) ცოლის ნეშტი ჩაიტანეს. მას აუგეს აკლდამა იმ სკოლასთან, რომელიც ალ-აზჰარის მეჩეთის წინ მდებარეობდა და, სადაც ამ ქალის ძმის მუჰამედ-აბუ-ზ-ზაჰაბის საფლავი იყო. ამას გვაუწყებს აღმოსავლური წყარო, საიდანაც ირკვევა, რომ მარტყოფელი მამლუქი ბელადი იბრაჰიმ შინჯიკაშვილი (იბრაჰიმ-ბეი უფროსი), ანუ სიონის ტაძრის მღვდლის შვილი, ყოფილა სიძე მუჰამედ-ბეი აბუ-ზ-ზაჰაბისა, რომელმაც 1771—1772 წლებში ლეგენდარულ ალი-ბეის უღალატა.

ალ-აზჰარის მეჩეთის სკოლასთან დაკრძალვა, რისი პატივიც ერგო იბრაჰიმ შინჯიკაშვილის ცოლს—მუჰამედ-აბუ-ზ-ზაჰაბის დას, დიდი ღირსება იყო. საქმე იყაო, რომ ალ-აზჰარის მეჩეთი, რომელიც 970—972 წლებში იქნა დაარსებული, ეგვიპტის კულტურული ცხოვრების ცენტრს წარმოადენდა. ამ მეჩეთის გარშემო იყო შემოკრებილი ეგვიპტის მუსულმანური სამღვდელოების ზედაფენა—ე. წ. დიდი შეიხების ჯგუფი. ქვეყნის ერთადერთ განათლებულ ნაწილს ეს ჯგუფი შეადგენდა. ალ-აზჰარის მეჩეთის დიდი შეიხები დაკავშირებული იყვნენ გაბატონებული კლასის ყველა ფენასთან. ისინი ხშირად გამოდიოდნენ ეცხოთის სახელმწიფოებთან და მამლუქთა ოლიგარქიასთან მოლაპარაკების მწარმოებელთა როლში, დებდნენ მათთან შეთანხმებებს ეგვიპტის გაბატონებული კლასების სახელით და ა. შ. მეჩეთთან არსებობდა უნივერსიტეტი, რომელიც ამზადებდა ღვთისმეტყველების სპეციალისტებს და აღმოსავლეთის ქვეყნების მუსულმანური განათლების ცენტრს წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს.

სირიაში გაგზავნილი სულეიმან-აღა ეგვიპტეში დაბრუნდა. მან შეასრულა

სა და მაისორის (ინდოეთის პროვინცია) საკითხი რა გასათანაბრებელი გახლავთო.

მალე, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა საფრანგეთის ელჩის ყურადღება შემდეგ ორ ჰიპოთეზაზე გაამახვილა: თუ საფრანგეთი ეგვიპტეს დაინარჩუნებს, მაშინ დიდი ბრიტანეთი დაიტოვებს კეთილი იმედის კონცხს, ცეილონს, მალტას, ანტილებს, ჰოლანდიის გვიანასა და ინდოეთში ფრანგ-ჰოლანდიელთა ავლადიდებას, ანდა საფრანგეთი ოსმალეთს გადასცემს ეგვიპტეს და, მაშინ ინგლისი ბონაპარტეს სასარგებლოდ გაწირავს მხოლოდ და მხოლოდ კეთილი იმედის კონცხს, პონდიშერს, შანდერნაგორს და კიდევ ზოგიერთ რაღაცას—მარტინიკებს ან სამების კუნძულებს, რაც შეეხებოდა მაისორს, იგი ინგლისს კატეგორიულად ამოღებული ჰქონდა დიპლომატიური მოლაპარაკების დღის წესრიგიდან, მიაჩნდა რა თავის უდავო სამფლობელოდ, რასაც საფრანგეთი, ლონდონის ოფიციალური წრეების აზრით, უსიტყვოდ უნდა შერიგებოდა. მოკლედ რომ ითქვას, თუ ეგვიპტეს ნაპოლეონს დაუტოვებდა, მაშინ ბრიტანეთს უნდა დარჩენოდა ომის განმავლობაში წაღებული მთელი კოლონიური ნადავლი. მასში შედიოდა: საფრანგეთის მოკავშირეების—ჰოლანდია-ესპანეთის ის შორეული სამფლობელოები, რომლებიც აგრეთვე ამ დროისათვის უკვე დაპყრობილი ჰქონდა ინგლისს, ხოლო თუ ბონაპარტე ეგვიპტეში ხვანთქრის სუვერენიტეტს აღადგენდა, ამ შემთხვევაში მას ზემოხსენებული წართმეული კოლონიების უმნიშვნელო ნაწილი დაუბრუნდებოდა. მაგრამ ლონდონი პარიზს აფრთხილებდა, რომ ამ ნაწილის გადაცემასაც ბრიტანეთის მთავრობა საკამათოდ გახდიდა, თუ პრელიმინარული საზავო პირობების ხელმოწერამდე საფრანგეთის „აღმოსავლური არმია“ ეგვიპტეში დამარცხდებოდა და იძულებული გახდებოდა ეს ქვეყანა ან უსიტყვო კაპიტულაციის ძალით, ანდა რაიმე კონვენციის შესაბამისად დაეცალა. ინგლისის ასეთი პოზიცია საფრანგეთის ელჩ ოტოსათვის აშკარა შეიქნა ბრიტანეთისა და ნაპოლეონ ბონაპარტეს მოლაპარაკებიდან უკვე სამი კვირის თავზე.

მრავალი ინგლისელი პოლიტიკოსის აზრით, თუ საფრანგეთს ეგვიპტე დარჩებოდა, იგი (საფრანგეთი), უწინარეს ყოვლისა, მამლუქთა ბელადებს მოსპობდა, შემდეგ კი ხელს გაიწვდიდა სპარსეთისა და აბისინიისაკენ, რათა მათთან აღებ-მიცემობა კარგად გაეჩარხა და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე თავისი სოვდაგრებისათვის მოხერხებული პოზიციები უზრუნველეყო.

დიდ ბრიტანეთში ყველას ეგვიპტეზედ და მხოლოდ ეგვიპტეზე უჭირავს თვალი, თითქმის არ ახსოვთ პეტერბურგი, კოპენჰაგენი და ჰამბურგი: ეს იმაზე მეტყველებს, რომ აღმოსავლეთის კამპანიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთ-ინგლისის ზავისათვის. ჩვენი ახალი სამხედრო გამარჯვება ეგვიპტეში რუსეთ-ოსმალეთის პოზიციებს ჩვენს თვალსაზრისთან დააახლოებსო, სწერდნენ ფრანგი აგენტები ტალეირანს 1801 წლის აპრილის წერილებში. ოტოს ნათქვამიდან ისიც გამოდიოდა, რომ აბერკრომბის გამარჯვება ინგლისის

დავალება—ჩამოიყვანა მამლუქთა ოჯახები და ჩამოიტანა მექაში გადასაზიდად გათვალისწინებული განძეულობა— საჩუქრები.

ამ დროს ეგვიპტის გუბერნატორად დაინიშნა ხოსრევ მეჰმედ-ფაშა (წარმოშობით ქართველი, ხოსროშვილი), რომელიც ოსმალეთის კაპუდან-ფაშა-კიუჩუკ-ჰუსეინის ლეიტენანტი იყო. წინანდელი გუბერნატორი მუჰამედ-ფაშა პოსტიდან გადააყენეს. ამ პერიოდს ეკუთვნის იბრაჰიმ შინჯიკაშვილის ქვრივი ქალიშვილის ადილეს მეორედ დაქორწინება. მისი პირველი ქმარი იყო ინბა-ბასთან (კაიროს გარეუბანი) ნაპოლეონის ტრიუმფის დროს ნილოსში დამხრჩვალი იბრაჰიმ-ბეი-უმცროსი, შესაძლოა სოლეიმან და გაბრიელ ტარბაიძეების ანუ ტარბაისიძეების ძმა). ახლა, ადილე შინჯიკაშვილი დანიშნეს მისი პირველი ქმრის მამლუქ სოლეიმან ქაშიფზე.

დიდი ვაზირის იუსუფ-ზიას ერთგვარი ლოიალობა იბრაჰიმ-ბეი-უფროსისადმი, ეგვიპტის ამ მეორე ოსმალური ოკუპაციის პირველ ხანებში, აიხსნებოდა იმ მამლუქი ბელადის უსაზღვრო პოპულარობით, რაც მისი მამაცური პატრიოტული ბრძოლის შედეგი იყო (როგორც პიერ ლარუსი აღნიშნავს, იბრაჰიმ შინჯიკაშვილმა მძაფრი და გადამწყვეტი დარტყმით აიღო კაირო ეგვიპტეში დიდვაზირ იუსუფ-ზიას პირველი ლაშქრობის დროს[1]. მაგრამ შემდეგში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არც დიდვაზირმა და არც გუბერნატორმა ხოსრევ-ფაშამ მას ამაგი არ დაუფასეს.

1801 წლის გაზაფხულზე, როცა ბრძოლის ჩარხი „აღმოსავლეთის არმიის" საწინააღმდეგოდ დატრიალდა, ინგლის-საფრანგეთს შორის გაჩაღდა გაფთრებული დიპლომატიური ბრძოლა, რომელიც მართალია, უმთავრესად შეეხებოდა საყოველთაო-ევროპული ზავის წინასწარ პირობებს, მაგრამ მჭიდროდ აღმოჩნდა დაკავშირებული ეგვიპტის საკითხთან. დიდი ბრიტანეთის დიპლომატიურ წრეებში პოპულარობით სარგებლობდა ჰიპოთეზა, რომ ეგვიპტის ბატონ-პატრონად ეცნოთ საფრანგეთი, მაგრამ ამისათვის ამ უკანასკნელს საბოლოოდ უარი უნდა ეთქვა თავისი და ჰოლანდიის ყველა იმ ყოფილ კოლონიაზე, რომელიც ორივეს ინგლისმა ჩამოართვა. აქ პირველ რიგში იგულისხმებოდა მალტა, ცეილონი, კეთილი იმედის კონცხი, ამერიკის მიწები და სხვ.

საფრანგეთის დიპლომატიურ წრეებში ერთგვარი გასავალი პოვა მარტივმა ჰიპოთეზამ, რომელიც კიდევაც შესთავაზეს ლონდონის კაბინეტს: თქვენ ინდოეთი გქონდეთ, იქ არ შეგაშფოთებთ, სამაგიეროდ ეგვიპტე და ხმელთაშუა ზღვა ჩვენ, ფრანგებს დაგვანებეთო. ნაპოლეონის დიპლომატია ბრიტანელ კონტრაგენტს ასეთ გადაწყვეტასაც სთავაზობდა: ჩვენ თუ ოსმალეთს ეგვიპტეს დავუთმობთ, მაშინ თქვენ მაისორი (ინდოეთის პროვინცია) ტიპუ-საიბის საგვარეულოს, ხოლო ცეილონი ჰოლანდიას დაუბრუნეთო. ამაზე ლონდონის კაბინეტი პასუხობდა: ტიპუ-საიბი ცოცხალი არ არის, ხვნათქრის კარი კი კვლავ არსებობს და თავის პრეტენზიებზეც უფლებებს ინარჩუნებს, ამიტომ ეგვიპტი-

[1] პ. ლ ა რ უ ს ი, დიდი მსოფლიო ენციკლოპედია, ტ. IX, გვ. 536.

პირობებს კიდევ უფრო დააშორებდა საფრანგეთის კონცეფციიდან. ჯბუკირთან ხსენებული ბრიტანელი ამირბარის გადასვლა რომ შეიტყო, ფრანგ ელჩ ოტოს ამით ჯერ კიდევ არ შეცვლია ფერი, სამხედრო ბედ-იღბლის ვარსკვლავსა ძველებურადვე სჯეროდა. — თქვენ ეგვიპტეს დაკარგავთ, დავუბრუნოთ იგი ოსმალეთს, დავტოვოთ ეს ქვეყანა: უსიტყვო კაპიტულაციას არ მოვითხოვთ, მეგობრული შეთანხმების საფუძველზე გაეცალეთ თქვენს მიერ დაპყრობილ ამ მხარეს და ეს იქნება ბრიტანეთ-საფრანგეთის მშვიდობის საზღაურიო,—წერდა ელჩ ოტოს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი 1801 წლის 26 მაისს. ასეთი „საზღაურის" გამოცხადება იმ დროს, როცა ლონდონის ოფიციალურ წრეებს საფუძვლიანი იმედები ჰქონდათ ეგვიპტიდან ფრანგთა გაძოძევებაზე, ნიშნავდა ბრიტანეთის მინისტრის გარკვეულ კეთილშობილებას და საფრანგეთის მსხვერპლისათვის ერთგვარი ანგარიშის გაწევასო,—წერს ფრანსუა შარლე რუ,—რომლის შრომებს საერთოდ ანგლოფილობა ეტყობა.

თუ ნილოსის ბრძოლამ (1798 წ.) მეორე კოალიცია დაბადა, კანოპის გამარჯვება მესამის მომასწავებელიაო, ემუქრებოდნენ ფრანგებს ინგლისელები. ნაპოლეონი, რომელიც ეგვიპტეს ებღაუჭებოდა, გატეხა მენუს დამარცხებებმა.

1801 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში, როგორც ტიერი ამტკიცებს, ბრიტანეთსა და საფრანგეთს საყოველთაო ზავის ჩამოგდების თაობაზე ერთმანეთთან ცხარე დიპლომატიური შერკინება ჰქონდათ. ეგვიპტიდან წამოსვლის სამაგიეროდ ბონაპარტე მალტას მოითხოვდა. ინგლისი უარზე იდგა: მალტა მაშინ გერგებოდათ, ნებაყოფლობით რომ დაგეცალათ ეგვიპტე; ახლა თქვენ ამ ქვეყნიდან მიდიხართ იმ დამარცხების შედეგად, რომელიც ჩვენგან იწვნიეთ და აბიტომ მალტის მოთხოვნის უფლება არა გაქვთო. რამდენიმე ხნის შემდეგ ბრიტანეთის მთავრობამ პოზიცია, ასე თუ ისე, შეცვალა და მალტის დათმობის საფასურად კეთილი იმედის კონცხი მოითხოვა—არ სჯერდებოდა ინდოეთს და ცეილონს. ასეთ შემთხვევაში ლონდონის კაბინეტი იმ პირობით შეელეოდა მალტას, თუ ეს კუნძული წმინდა იოანე იერუსალიმელის ორდენს გადაეცემოდა. ბონაპარტე პასუხობდა — რაც მოიპოვე, სავსებით საკმარისია შენი მსოფლიო კომერციის საბედნიეროდ, ამიტომ მალტას და კეთილი იმედის კონცხს თავი უნდა გაანებოთო. ნაპოლეონმა ერთდროულად ძალისა და დიპლომატიური ხერხების დემონსტრაციას მიმართა. ბულონის ბანაკი მოაწყო და ბრიტანეთში გადასხდომის თადარიგს შეუდგა, თუმცა სერიოზულად ამაზე არ ფიქრობდა და თავის საბჭოსაც განუმარტა, რომ გადასხდომას მხოლოდ უაღრესად უკიდურეს შემთხვევაში მოახდენდა. ამავე დროს, საკუთარი ხელით დაწერილი მტკიცე ნოტა ლონდონში გაგზავნა და „მონიტორში" გამოქვეყნებული თავისივე სტატია დაურთო. ბულონის ბანაკმა, ნოტამ და სტატიამ ბრიტანეთის მთავრობაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ ბონაპარტეს წინაშე საბოლოო უკანდახევამდე ლონდონმა უკანასკნელი ხერხი იღონა —ნელსონის ფლოტი შეუსია საფრანგეთის ჩრდილო სანაპიროებს.

1801 წლის ივნისის დამდეგს ოსმალეთის რეის-ეფენდიმ (საგარეო საქმეთა მინისტრი) ინგლისის ელჩს ელჯინს სთხოვა კონფერენციის მოწვევა და აუწყა დღის წესრიგი, რომლის გარშემო აპირებდა მოლაპარაკებას. დღის წესრიგი ორ საკითხს მოიცავდა: 1. ახალი აგრესიისაგან ოსმალეთის იმპერიის დასაცავად ეგვიპტეში ინგლისის ჯარის დარჩენა და 2. ინგლის-ოსმალეთის შეთანხმება ეგვიპტეში საიმედო რეჟიმის დამყარების საკითხზე. კონფერენცია, რომელსაც ელჯინი, რასაკვირველია, დიდი ხალისით დაეთანხმა, მალე შეიკრიბა. ბრიტანეთის ელჩმა რეის-ეფენდის წინაშე ასეთი აზრები განავითარა: ოსმალეთის ალიანსი ლონდონის კაბინეტთან წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას იმისათვის, რომ მომავალშიაც შეინარჩუნოს ოტომანთა იმპერიის მთლიანობა. ფრანგთა განდევნის საქმეში ხვანთქრის მოხმარება ინგლისს მხოლოდ და მხოლოდ რაიმე მიკერძოებამ, ანდა რევოლუციური საფრანგეთის პროპაგანდასთან ბრძოლამ როდი უკარნახა, არამედ საკუთარმა ინტერესებმა ლევანტური აღებ-მიცემობის სფეროში. ეს იყო ჩვენი დიადი ნაციონალური მოვალეობა—დავხმარებოდით ოსმალეთს ბონაპარტეს ჯარების გაძევებაშიო, განაცხადა ბრიტანეთის ელჩმა რეის-ეფენდისთან გამართულ კონფერენციაზე. მანვე ლონდონს აცნობა სტამბოლის ოფიციალური წრეების სათხოვარი—ეგვიპტეში საომარი ოპერაციების დამთავრებამდე ინგლისელთა ჯარების ყოფნის თაობაზე. ამ სათხოვარით გავამართლებთ ჩვენს ჩარევას ეგვიპტის შინაურ საქმეებში, რაც კატეგორიულად არის აკრძალული ლონდონის ინსტრუქციებითო, სწერდა იგი მთავრობას.

1801 წლის ივნისში ინგლისის ელჩმა ელჯინმა რეის-ეფენდის ეგვიპტის საშინაო გამგებლობის შესახებ მემორიალი წარუდგინა, რითაც სამხედრო ხელისუფლება უნდა გამოჰყოფოდა ადმინისტრაციას, მართლმსაჯულებასა და საგადასახადო-საფინანსო პოლიტიკას. ეს სამი უკანასკნელი დარგი ოსმალებს ჩაბარდებოდა და მათი აგენტები გაუძღვებოდნენ. ზემო ეგვიპტე (ე. წ. საიდი) მამლუქებს გადაეცემოდა, ე. ი. მათ კერძო დომენად გამოცხადდებოდა. ქვემო ეგვიპტეს დაიცავდა ოსმალების, მამლუქებისა და ინგლისელების გაერთიანებული მხედრობა. ასეთი გეგმები ენთუზიაზმს არ იწვევდა სტამბოლის ოფიციალურ წრეებში. მართალია, ისინი ელჯინს სთხოვდნენ—ეგვიპტეში ინგლისის ჯარების ხანგრძლივად დატოვებას, მაგრამ, როგორც შემდეგში გამომჟღავნდა, ეს თხოვნა მანევრს წარმოადგენდა. არც მამლუქებთან ძალაუფლების გაზიარებას მიესალმებოდა ხვანთქრის კარი.

ელჯინის პირადმა მდივანმა მორიემ 1801 წლის შვიდ ივლისს ბრიტანეთის კაბინეტს მემორიალი წარუდგინა. იგი საკითხის გადაწყვეტის სამგვარ ვერსიას ითვალისწინებდა: 1. თუ მამლუქების ოლიგარქიას ოსმალეთს ჩავაბარებთ, ვერც ერთი მათგანი ეგვიპტეს ვერ დაინარჩუნებს და ეს ქვეყანა ადრე თუ გვიან ისევ საფრანგეთის კერძი გახდება. არც ინგლისის საზღვაოსნო უპირატესობა იქნება საკმარისი, რომ ეგვიპტე საფრანგეთის მხრივ ხელყოფის ცდები-

საგან დაიფაროს. შეიძლება ოსმალეთს შევთავაზოთ ჩვენი ჯარების საგარნიზონო სამსახური ამ ქვეყანაში, და სამაგიეროდ მთელი რიგი სააღებ-მიცემო პრივილეგიები გამოვთხოვოთო. შურიანი და ცრუმორწმუნე ოსმალები, რა თქმა უნდა, სიძნელეებს შეუქმნიან ჩვენს ამ წინადადებას, მაგრამ ისინი უნდა დავაყენოთ ალტერნატივის წინაშე: ან ეგვიპტიდან კვლავ და კვლავ მოსდიოდეთ დაახლოებით იგივე შემოსავალი, რასაც ისინი მამლუქ უზურპატორთა ხანაში ძნელად ელეოდნენ, ანდა ეს ქვეყანა ხელახლა უცხოელ მოძალადეთ ჩააბარონ. ეგვიპტის უშიშროება რომ უზრუნველვყოთ, საჭიროა მამლუქთა დასი სავსებით მოვსპოთ. ოსმალებისა და მათი მორიგება შეუძლებელია. მათ მტრობას ერთ-ერთ საფუძვლად მამლუქთა ქრისტიანული წარმოშობაც უდევს. უკეთუ ინგლისი ეგვიპტეში თავის გარნიზონს ჩააყენებს, ამ შემთხვევისათვის ხვანთქრის კარმა სამაგიეროდ თავს უნდა იდოს შემდეგი გარანტიების მოცემა: 1. ოკუპაციის ხარჯების განაღდება; 2. ბრიტანეთის განსაკუთრებული პრივილეგია ევროპასთან ეგვიპტის ნავსადგურების აღებ-მიცემობის სფეროში; 3. საბაჟო გამოსაღებთა შემცირება და მოწესრიგება; 4. ინგლისელთა მონოპოლია ინდოეთსა და არაბისტანთან კოსეირ-სუეცის (ალ-კუსაირი) მეშვეობით სავაჭრო ურთიერთობის გაჩარხვის საქმეში; 5. ოტომანთა სამფლობელოებთან აღებ-მიცემობის თვალსაზრისით ადგილობრივ მკვიდრთა და ოსმალეთის სხვა ქვეშევრდომთა უფლების ლიმიტირება; 6. საკარანტინო ლაზარეთების დაარსება; 7. საზოგადოებრივი ხარჯების დაფარვა სტამბოლის ხაზინის ხარჯზე; 8. ოტომანთა მოხელეების ტირანიისაგან მოსახლეობის დაცვა-მფარველობის ღონისძიებანი; 9. ხვანთქრის ეგვიპტური შემოსავლის გათანაბრება სელიმ მეორის ფირმანის გაანგარიშებასთან[1].

მორიეს მემორიალის მეორე ვარიანტი ითვალისწინებდა ყველაზე პოპულარული მამლუქი ბელადის დაყენებას ეგვიპტის გამგებლად იმ რაიონებში, სადაც ბრიტანეთის ჯარები იქნებოდნენ განლაგებულნი. ამ ბელადთან დაინიშნებოდა ინგლისის კომისარი. უკანასკნელი მეთვალყურეობას გაუწევდა მამლუქი ბელადის მიერ სამართლიანობის დაცვას და ბეგარა-გამოსაღებთა წესიერად გადახდევინებას. ამ ვარიანტს თუ მივიღებთ მხედველობაში, — წერდა მორიე, — საფრანგეთი და ოსმალეთი დიდ ბრიტანეთს არ შეურიგდებიან და, თუ ისინი ზღვიდან ეგვიპტეზე მიდგომას ვერ მოახერხებენ, რაც ადვილი მოსალოდნელია, მცირე ხნიით მაინც მოგვისევენ მოიერიშე სპასო.

მესამე ვარიანტი გულისხმობდა — ეგვიპტის გაუფასურებას ნიაღვრებით. მართალია, შთამომავლობის წინაშე ეგვიპტის წარღვნა ისეთსავე შავ სახელს დაგვიტოვებს, როგორიც ეფესის დამხანძრელებმა მოიმკეს, მაგრამ ამ თავისებური გზით შევძლებთ ფრანგი მეტოქის ანგარიშები ჩავშალოთ, რომელიც,

[1] ფრ. შ. რუ, ეგვიპტის ექსპედიცია და ინგლისი (ფრანგულ ენაზე), ტ. II, გვ. 244 — 265.

თუ ეგვიპტეზე გაბატონდა, ოსმალეთის მბრძანებელი შეიქნება, სპარსეთზედაც გავლენას გაავრცელებს და ინდოეთსაც მიწვდებაო, დასძენდა ბრიტანული საელჩოს მდივანი მორიე. ეს ბარბაროსული წინადადება ისტორიკოს ფრანსუა შარლე რუს აგონებს პორტუგალიელ ალბუკერკეს, რომელმაც მოინდომა ნილოსის გადაგდება მეწამულ ზღვაში, რათა ამ გზით გაეპარტახებინა ეგვიპტე.

მორიეს ეს მემორიალი გაცოფებულ კოლონიალიზმს გამოხატავდა. იგი გულისხმობდა ოსმალეთის პრეტენზიების სერიოზულ უგულებელყოფას, მამლუქების ფიზიკურ მოსპობას და ეგვიპტელი ხალხის აბუჩად აგდებას. ასეთი გეგმა არც ერთი იქ დასახელებული მხარისათვის არ იყო მისაღები. მორიეს გეგმას მხარს არ უჭერდა სამხედრო სარდლობა.

ალექსანდრიის კაპიტულაციამდე თხუთმეტი დღით ადრე, ხატჩინსონი წერდა: „ბრბო, რომელსაც დიდვაზირი არმიას ეძახის, ეგვიპტეს ვერ შეინარჩუნებს, ეს უბადრუკი სპა მალე დაიშლება, კაიროსთან ახლაც ბუნტობს ჯამაგირის თაობაზე, ხოლო დამიეტაში სარდლობას ნამდვილი აჯანყებაც ძოუწყო. რაც მეტს ვფიქრობ, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ მოვალენი ვართ მხარი დავუჭიროთ მამლუქებს. როგორც კი ჩვენ ეგვიპტიდან სრულ ევაკუაციას მოვახდენთ, მამლუქები და არაბები ოსმალებს ექვს თვეში გააძევებენ, თუ უფრო ადრე არა. „შესაძლოა, ამ ვადის ნახევარიც არ დასჭირდეთ ამისათვის". ბრიტანელ სარდალს არ ასვენებდა ის მდგომარეობა, რომელიც ინგლისელთა წასვლის შემდეგ ეგვიპტეში შეიქმნებოდა. ლონდონის წრეებს, საერთოდ, მამლუქები ოსმალეთთან შედარებით უფრო კულტურულ ძალად მიაჩნდათ, და არც მათ სამხედრო უპირატესობაში ეპარებოდათ ეჭვი. ისინი მოერევიან ოსმალებს — ასეთი იყო მათი დასკვნა[1].

დიდვაზირი და კაპუდან-ფაშა ერთმანეთს მტრობდნენ. მათი უთანხმოება ზრდიდა ოსმალებზე მამლუქთა უპირატესობას. მამლუქებს მხარს უჭერდა ბრიტანეთის მხედართმთავართა დასი. ხატჩინსონი ფიქრობდა, რომ საკონსულოების გახსნაზე ლონდონის კაბინეტს თავი უნდა შეეკავებინა, რათა არ დაებრკოლებინა საერთო შეთანხმების მიღწევა სხვა საკითხებში.

1801 წლის 2 სექტემბერს ხელი მოაწერეს ალექსანდრიის ფრანგული გარნიზონის კაპიტულაციას. იგი კაიროს გარნიზონის კაპიტულაციის ანალოგიური იყო. ალექსანდრიის გარნიზონს, თვით ბრიტანელ მაღალ ოფიცერთა აღიარებით, შეეძლო მტრის გააფთრებულ იერიშებს სამ კვირას გამკლავებოდა. მის დაცემაში დიდი როლი ითამაშა ფრანგების მაშინდელმა დაბალმორალურმა სულისკვეთებამ და აგრეთვე, კაიროს ფრანგ მეციხოვნეთა დანებებამ. მენუს და მის სპას მხნეობის ნატამალს უტოვებდა სამშობლოდან დახმარების მიღების იმედი და საყოველთაო — ევროპული ზავის მოახლოება, რის გამოც ისინი კაპიტულაციისაგან თავს დიდხანს შორს იჭერდნენ, ხოლო მეორე მხრივ—ინგლისელი ოფიცრებისათვის ალექსანდრია კარგა ხანს თავსა-

[1] ფ რ. შ. რ უ, დასახ. მონოგრაფია, ტ. II, გვ. 268—277.

ტეხ გამოცანას წარმოადგენდა და ეს გარემოება მათ ნებას არ აძლევდა, ეგვიპტეში უფრო გაბედულად ემოქმედათ. ამავე დროს ლამობდნენ, საყოველთაოევროპულ ზავამდე აეღოთ ალექსანდრიის ციხე და ამით საკუთარი მხედრული რეპუტაცია აემაღლებინათ.

როცა 1801 წელს, 9 ოქტომბერს ტალეირანმა ხვანთქრის პარიზელ ელჩ სეიდალისთან ხელი მოაწერა პრელიმინარულ მუხლებს და ოსმალეთისაგან, ეგვიპტის ევაკუაციის სამაგიეროდ, მიიღო ყველაზე ფავორიზებული ქვეყნის სავაჭრო პრივილეგიები, ელჯინი ძალიან გაბოროტდა. მან ბრიტანეთის კაბინეტის წინაშე დააყენა საკითხი, რომ მამლუქების თაობაზე გაჩერებულიყვნენ, არ ელაპარაკნათ მათ მიმართ ინგლისის სიმპათიებზე, თუ სურდათ ოსმალეთის კარზე წარმატებით ებრძოლათ საფრანგეთის მზარდ გავლენასთან, რომელსაც უკვე დაებრუნებინა კაპიტულაციების რეჟიმის ყველა სიკეთე და ხვანთქრის მეგობრობა. ელჯინი თავისი კაბინეტის ყურადღებას ამახვილებდა საფრანგეთის აგენტების ინსინუაციებზე სტამბოლში. ისინი ხვანთქარს და მის მინისტრებს უკიჟინებდნენ—ბონაპარტე მამლუქ ბელადებს სპობდა და ახლა ხედავთ. ინგლისი მათ დამოუკიდებლობაზე ზრუნავს. აი, ლონდონის კაბინეტის მეგობრობის ფასიო. ელჯინი საკითხს სვამდა ამგვარი პროპაგანდის ჩაფუშვის ღონისძიებათა შესახებ და ეგვიპტეში თავისი ვიზიტის განხორციელებას ჩქარობდა. მან მიიღო პოლკოვნიკი ჰორაციო სებასტიანე, რომელიც ნაპოლეონმა ოსმალეთთან ე. წ. პარიზის პრელიმინარების ხელმოწერისათვის სტამბოლს გაგზავნა, როგორც საფრანგეთის საგანგებო წარმომადგენელი.

თავის ახალ კოლეგას ელჯინმა ეგვიპტეში ფრანგთა ამასწინანდელ ექსპედიციაზე სიტყვა ჩამოუგდო: იყო თუ არა, მაშინ განზრახული ექსპედიციის მოწყობა ინდოეთის წინააღმდეგ? ჰკითხა მან ჰ. სებასტიანეს. პასუხად შემდეგი გაიგონა:—არა! ასეთი ექსპედიცია დაასუსტებდა ფრანგებს და ხელს შეუშლიდა ეგვიპტეზე გაბატონებაშიო. სებასტიანეს ეს პასუხი, ცხადია, ვერ ასახავდა ბონაპარტეს განზრახვებს. კაიროსა და ალექსანდრიის კაპიტულაციის შემდეგ გაძლიერდა დაძაბულობა ინგლისელთა და ოსმალთა ურთიერთობაში. 1801 წლის ივნისში რეის-ეფენდიმ აზრი გამოთქვა, ეგვიპტეში ინგლისის მხედრობის დატოვების საჭიროებაზე, მაგრამ შემდეგ ამის შესახებ არც მას და არც სხვა ოსმალ-პოლიტიკოსს კრინტიც არ დაუძრავთ. ამას ფრანსუა შარლე რუ ორი მიზეზით ხსნის: 1. შესაძლოა, მაშინ, როცა რეის-ეფენდიმ ეგვიპტის ბრიტანული ოკუპაციის საკითხი წამოჭრა, არაფერი იცოდა ინგლისისა და მამლუქების ურთიერთობაზე. 2. ისიც შეიძლება, ფიქრობს ისტორიკოსი, რეის-ეფენდის ემსჯელა —ამ საკითხის დაყენებით ეგებ გამოვამჟღავნო ელჯინის შენიღბული ხვაშიადი, ფარდა ავხადო ლონდონის კაბინეტის საიდუმლო ზრახვებს და ჩავიხედო მის კარტებშიო. ახლა, 1801 წლის შემოდგომაზე, კაიროსა და ალექსანდრიის კაპიტულაციის შემდეგ, ოსმალეთის მთავრობას ინგლისის პრომამლუქური პოზიცია აშკარა მიუღებლად მიაჩნდა. მას, თუ ეგვიპტის საშინაო

რეჟიმის აწყობაში ბრიტანეთის ჩარევა სურდა, არა იმისათვის, რომ ძალაუფლება მამლუქთათვის გაეყო,—ხვანთქარს უნდოდა, ეგვიპტეც ისეთივე პროვინცია ყოფილიყო მისთვის, როგორც ყველა დანარჩენი და ახლა, იქ არ სურდა ეხილა არც იმგვარი ოთხი საფაშალიკო, რომლებიც ე. წ. მამლუქთა უზურპაციამდე არსებობდა და რომელთა აღდგენა 1786—1787 წწ. კაპუდან-ფაშა-ჰასანის ექსპედიციის დროს დააპირეს.

ჯაბარტის თქმით, როდესაც დიდი ვაზირი იუსუფ-ზია კაიროში 1801 წლის ზაფხულში ხმელეთის გზებით დაბრუნდა, ხოლო კაპუდან-ფაშა-კიუჩუკ-ჰუსეინი იმავე სატახტოს ინგლისის ხომალდების თანხლებით მიადგა, სახელგანთქმული ქართველი ემირი მუჰამედ-ალ-ალფი და მისი თანამოაბჯრენი კაიროში დამკვიდრდნენ. დიდი ბრიტანეთის ჯარები გიზეში დარჩნენ, ხოლო ფრანგები ეგვიპტეს გაეცალნენ. მამლუქთა ზემოხსენებული ბელადი ალ-ალფი, რომელიც მურად-ბეის ხუშდაში (თანამოძმე) და მისივე საქმის გამგრძელებელი იყო, ვერ ისვენებდა, დიდ ურვასა და მძიმე ფიქრებს შეეპყრო, იგი, როგორც შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, ამბების შედეგებს სწორად აფასებდა. გზაჯვარედინზე იმყოფებოდა. თავი გაანება ჰარამხანის მონახულებას, საკუთარ სახლში მხოლოდ ორი ღამე გაათია და ისიც ქვემო სართულზე, ნოხზე ეძინა, ბალიშზე თავი არ დაუდევს და ქალებს არ გაკარებია. ჯაბარტი ზემოხსენებული ორი დღის განმავლობაში მასთან ერთხელ შევიდა და ისიც იმ დროს, როცა ნოხზე იჯდა და ფიქრებს მოეცვა. ამ დროს შემოვიდა ერთი ემირი და ალ-ალფის თხოვა, ნება დაერთო მისთვის, რათა ცოლად აეყვანა ამალის ერთ-ერთი გარდაცვლილი წევრის ქვრივი. ალ-ალფი აღშფოთებამ მოიცვა. გამოლანძღა იგი და გააგდო. შემდეგ მიუბრუნდა ჯაბარტის და უთხრა: „რა ჭკუის ხალხია ეს სულელები. ისინი ფიქრობენ, რომ მტკიცედ დამკვიდრდებიან კაიროში და შეუძლიათ ცოლები შეირთონ და ოჯახები მოაწყონ. არ იციან, რომ ის ამბები, რაც ამას წინათ ფრანგებთან გადაგვხდა და სხვა მისთანანი, გაცილებით უფრო ადვილი რამ იყო, ვიდრე ეს ჩიხია, რომელშიაც ახლა მოვექეცით[1].

როცა იბრაჰიმ-ბეი-უფროსს დიდმა ვაზირმა მმართველობა ჩააბარა, საპატიო ტანისამოსი ჩააცვა და შეიხ ალ-ბალადად გამოაცხადა, ჩვეულებისამებრ უბოძა მას უფლება თავისი ბეჭდით ნიშანდასმული დოკუმენტები გამოეცა ადგილ-მამულების გასხვისებისა და გამგებლობის თაობაზე, ამ გარემოებამ შეცდომაში შეიყვანა იბრაჰიმ-ბეი უფროსიცა და სხვა ემირებიც. ხალხი ქებით იხსენიებდა დიდვაზირს. ალ-ალფი მათ განუმარტავდა: ადვილად ნუ ტყუვდებით, ეს ოსმალების თვალთმაქცობაა, ამით სურთ მოგვათვინიერონ და სავსებით დაეუფლონ ეგვიპტეს, რომელსაც არაერთი საუკუნეა, რაც ებღაუჭებიან და ახლა, როცა თითქმის ხელთ აქვთ, ეძნელებათ გაეცალონ.

[1] А б д. Д ж а б а р т и. Египет под властью Мухаммада Али. Москва, 1964, გვ. 94—97.

ემირებს ალ-ალფიმ წინადადება მისცა გიზეში გადასულიყვნენ და იქ გამაგრებული ბანაკი დაეცათ, კაიროში დარჩენა დამღუპველია ჩვენთვისო, უმტკიცებდა მათ. ემირებმა არ დაუჯერეს იმ არგუმენტით, რომ ინგლისელებთან კავშირს ხალხი არ გაპატიებს, ისინი ხომ გიაურები არიანო. მაშინ, საკუთარი ტყავი რომ გადაერჩინა, ალ-ალფი დიდვაზირთან გამოცხადდა და სთხოვა ზემო ეგვიპტის გამგებლობა. ხარკს მოგართმევ ისეთი პროვინციებიდანაც, რომელთა შესახებ ჩემს მეტს არავის აქვს წარმოდგენაო. ვაზირმა სურვილი აუსრულა. ეს მოხდა ვაზირის კანცელარიის უფროსის მაჰმუდ-ეფენდის ჩარევის შედეგად. მთხოვნელმა თავდაპირველად ამ უკანასკნელის გული მოიგო. ზემო ეგვიპტეში ფართო უფლებამოსილებით გამგზავრებულმა ალ-ალფიმ თავისი წარმომადგენლობა დიდვაზირთან მაჰმუდ-ეფენდის მიანდო და ამავე დროს საკუთარ სახლში ჩაასახლა იგი. ყველაფერი ეს ფრიად საიდუმლოდ გაკეთდა. როცა გახმაურდა, ზოგიერთები დიდვაზირს ეწვივნენ და დაუწყეს დარწმუნება, რომ ცუდი საქმე გაკეთდა და საშიში ნაბიჯი გადაიდგაო, გამოაკიდეს მდევარი ალ-ალფის, მაგრამ ამაოდ. მამლუქი ბელადი ჩავიდა ასიუტს და პირველი ვაზირისათვის დაიწყო გადასახადების აკრეფა. გაუგზავნა მას დიდძალი ხარკი როგორც ფულის, ისე ცხვრის ჯოგების, მონა-მხეცლეების, საჭურისებისა და მარცვლეულის სახით. ასეთი მდგომარეობა სამ თვეზე მეტს არ გაგრძელებულა. ინგლისელთა რაზმი, რომელიც კაიროსთან იდგა, ალექსანდრიისაკენ გაემართა. კიუჩუკ-ჰუსეინ-კაპუდან-ფაშამაც გეზი იქითკენ აიღო. მაშინ მამლუქ ემირებს ხაფანგი მოუწყვეს[1].

მამლუქი ბელადები ოსმან-ბეი-ტამბურჯი (ატ-ტანბურჯი), ოსმან-ბეი-ალვარდისი, მუჰამედ-ალ-ალფი ბრიტანეთის წარმომადგენელს მფარველობას სთხოვდნენ. ეს უკანასკნელიც ამ მიზნით ბინად დადგა ლეგენდარული ალი-ბეის ვენეციელი მრჩეველის — ავსტრიის ყოფილი კონსულის როზეტის სახლში. ბრიტანელმა სარდალმა მოახერხა არა მარტო შეენარჩუნებინა მამლუქთათვის მათი ქონებრივი ავლადიდება, არამედ ხვანთქარს ფირმანიც გამოაცემინა, რომლის ძალით მამლუქი ბელადები თავიანთ წინანდელ ღირსებებს და პოსტებს იბრუნებდნენ. ამავე დროს ინგლისელმა მხედართუფროსმა გამოაცხადა, რომ არც მას და არც ლონდონის კაბინეტს არ სურდა ხვანთქრის ქვეშევრდომები აჯანყებისაკენ წაექეზებინათ და რომ მამლუქი ბელადები ვალდებული იყვნენ ამიერიდან პადიშაჰისათვის რეგულარულად ეხადათ ხარკი, ხოლო კაიროს ფაშა საპატიო ტყვე კი არ იქნებოდა, როგორც აქამდე წესად იყო, არამედ სარდალი გარნიზონისა, რომელიც კაიროში ხვანთქარს სუვერენიტეტის დარაჯად ედგომებოდა. ოსმალთა ეს საგარნიზონო ჯარი იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენიც ამ ამოცანისათვის იკმარებდა. საჭირო აღმოჩნდა მოლაპარაკება და ბრიტანელთა სარდლის დიდი სიმტკიცე, რომ ხელმოწერილი ყოფილიყო ეგვიპტის „მაგნა ხარტა“, მაგრამ თეორიული გარანტიები სრულიადაც არ კმაროდა იმი-

[1] აბდარახმან ალ-ჯაბარტი, დასახ. მონოგრაფია, გვ. 95. 95—97.

სათვის, რომ მამლუქები დაემშვიდებინათ და დაერწმუნებინათ ეგვიპტეზე მათი სუვერენიტეტის იმგვარ პატივისცემაში, როგორც ამას ოსმალების მიერ ბრიტანელ სარდალთან დადებული შეთანხმება ითვალისწინებდა. მაშლუქებს მართლაც მოეპოვებოდათ საფუძველი დაეჭვებულიყვნენ, რადგანაც ისინი მხოლოდ არ-რაუდაში რჩებოდნენ დაბანაკებულნი და უფლება არა ჰქონდათ, კაიროში შეჭრილიყვნენ, სადაც ოსმალეთის ხვანთქარს მრავალრიცხოვანი გარნიზონი ეყენა (ნილოსის პატარა შენაკადის ნაპირზე არ-რაუდას წინ აღმართული იყო იბრაჰიმ შინჯიკაშვილის სასახლე კასრ-ალ-აიინი).

ოსმალებმა, რომლებიც კაიროში შევიდნენ 1801 წლის ზაფხულში, მალე მამლუქებს ტერორი გამოუცხადეს. მურად-ბეის ქვრივი ქმრის სასახლიდან გააგდეს. იბრაჰიმ-ბეი-უფროსსაც (შინჯიკაშვილი) საკუთარ სასახლეში შესვლა აუკრძალეს.

დიდვაზირმა იუსუფ-ზიამ თავი „ისახელა“. კაიროში და მის გარეუბნებში იდგა იბრაჰიმ-ბელადის რაზმი (იბრაჰიმს ფრანგებთან ბრძოლა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია და ყველა საომარ კამპანიაში დიდვაზირის ჯარს თან ახლდა). იუსუფ-ზია-ფაშამ თავის შტაბ-ბინაში მიიწვია ეს მოხუცი ბელადი და მისი მამლუქებიც. მასპინძელმა მათ ჯერ ის ფირმანი წაუკითხა, ამნისტიას რომ შეეხებოდა, შემდეგ კი მეორე დოკუმენტი, რომლითაც ეს ფირმანი სულ ერთიანად ბათილდებოდა. ამას მოჰყვა ყველა მიწვეული მამლუქის დაპატიმრება და ციტადელში მოთავსება. აღმოსავლურ წყაროში ნათქვამია: „დიდმა ვაზირმა თავისთან მიიწვია მამლუქები და დააპატიმრა. შემდეგ მან საიდის მხარეში არნაუდ-ტაჰირ-ფაშა გაგზავნა, რათა მუჰამედ-ბეი-ალ-ალფი შეეპყრო. ემისართა მეორე კორპუსი ალ-მინიიას პროვინციაში (ზემო ეგვიპტე) მიავლინეს. მას, სელიმ-ბეი-აბუ-დიიაბი უნდა ეგდო ხელთ. ამ პიროვნებამ შეიტყო ეს ყველაფერი, გაიქცა და როცა სამხრეთში ქ. ტურას მიაღწია, მტერი წამოეწია. ატყდა ცხარე ბრძოლა. ორივე მხრიდან ხალხი გაწყდა, დევნილმა ბელადმა საფრთხეს თავი დააღწია. სხვა მამლუქები დიდმა ვაზირმა კაიროს ქუჩებში დაიჭირა, თანაც გამოაქვეყნა ბრძანება, რომ მოსახლეობას ეკრძალებოდა მათთვის თავშესაფრის მიცემა. სელიმ-ბეი-აბუ-დიიაბმა თავი ინგლისელებთან შეაფარა. დიდმა ვაზირმა მამლუქთა ერთ-ერთი სახლეულობის წარმომადგენელი სოლეიმან-აღა ოსმალურად ჩაცმული სტამბოლს გაგზავნა. მალე შეიტყვეს, რომ კაპუდან-ფაშა-კიუჩუკ-ჰუსეინმა შეიტყუა რა მამლუქები თავის გემზე, განუცხადა: ნაბრძანები მაქვს სტამბოლს თქვენი წაყვანაო. იმათ ხმლები იშიშვლეს, შეტაკებაში მოკლეს ოსმან-ბეი-ტამბურჯი და სხვა მამლუქები. დანარჩენებმა თავი ინგლისელებთან შეაფარეს. უკანასკნელებმა ოსმალებს მტრული დემონსტრაციით უპასუხეს. ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდალი კაპუდან-ფაშას პირადად ეწვია და მოსთხოვა, როგორც დაჭრილი მამლუქების. ისე დახოცილთა ნეშტების გადაცემა. ინგლისელებმა დაჭრილები დიდის ამბით გადაიყვანეს, ხოლო ცხედრები ჩაიტანეს მამლუქთა ბანაკში, რომელიც ალექსანდრიასთან

მდებარეობდა. ბრძოლაში დაცემული მამლუქები დაასაფლავეს ისეთი ჰატივით, როგორც მათ ქომაგებს — მაღალ ბრიტანელ ოფიცრებს შეეფერებოდათ, თანაც ულამაზესი ძეგლი აღუმართეს. გიზეში მყოფმა ბრიტანელებმა გადაწყვიტეს თავიანთ ალექსანდრიელ თანამემამულეთათვის მიებაძათ. უკვე ოსმალებთან საომრად ემზადებოდნენ, ციხე-სიმაგრეში სურსათ-სანოვაგესა და საომარ მასალებს ეზიდებოდნენ. ხმა გავარდა: ინგლისსა და ოსმალეთს შორის მალე ომი უნდა ატყდესო. შიში გამეფდა. ბრიტანეთის გენერალსა და დიდვაზირს ერთმანეთთან გაცხოველებული მიმოწერა ჰქონდათ, გიზედან ინგლისელი გენერალი დიდვაზირს ეწვია, რომელმაც ქურქი და უძვირფასესი ყალიონი უბოძა. ეს ინგლისელი მოკავშირის მოფერება იყო.

იუსუფ-ზიამ შეპყრობილ მამლუქებს უბრძანა ინგლისელთა სახელზე დაეწერათ შემდეგი შინაარსის წერილი: „ჩვენ ვართ ხვანთქრის ქვეშევრდომნი და, როგორც ასეთნი, მას ვემორჩილებითო. თუ ხვანთქარი ისურვებს, მას შეუძლია ან დაგვამტკიცოს ძველ თანამდებობაზე, ან სხვა პოსტები მოგვცეს. თუ ივივე მბრძანებელი თავისთან დაგვიძახებს, ჩვენ აუცილებლად აღვასრულებთ მის ამ ნებას და წარვსდგებით პადიშაჰის ტახტის წინაშე; მაშ, ინგლისელნო, ნუ ჩაერევით ჩვენი და ხვანთქრის ურთიერთობაში“. ინგლისელებმა დიდვაზირს შეუთვალეს: არაფერი გვჯერა იმ წერილისა, რომელიც დაპატიმრებულ ხალხს დააწერინეთ: თუ ეს წერილი ჭეშმარიტია და გულწრფელი, თვითონ ის მამლუქები გამოგზავნეთ და ყველაფერს მათ გამოვკითხავთო.

დიდმა ვაზირმა ბრძანა, მასთან იბრაჰიმ-ბეი უფროსი და სხვა მამლუქები მიეყვანათ. მისულებს მასპინძელმა განუცხადა—ინგლისელებთან გგზავნით გიზეში, რათა მათ უთხრათ, რომ ის წერილი ნამდვილად თქვენ დაწერეთ, თქვენივე გულის კარნახითო, იბრაჰიმ-ბეიმ (უფროსი) თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ინგლისელებთან წასვლა არ უნდოდა, „ისინი ჩემი ერის მტრები არიანო“. დიდვა ვაზირმა დაუჭინა წასვლა და მდიდრულ საჩუქრებს დაჰპირდა, რაც დაბრუნდებოდა. მეორე დღეს მამლუქები ცხენებს მოახტნენ, თან გაიყოლეს მთელი თავიანთი სახლეულობანი და დაიბარეს, რომ იმ დღესვე უკან ჩამობრუნდებოდნენ. მაგრამ დაპირება არ შეასრულეს. ხუთი დღე რომ იცადა, იუსუფ-ზიამ მათ მისწერა—რას უყურებთ, დაბრუნდითო. იბრაჰიმ-ბეიმ (უფროსმა) უარი შეუთვალა და ნათლად აგრძნობინა, რომ მის თვალში ოსმალები გამოუსწორებელი მუხანათები იყვნენ. ახლა დიდმა ვაზირმა შეიხებს და ოჯაკლებს უბრძანა—მამლუქებს მისწერეთ და მორჩილებისაკენ მოუწოდეთო. მამლუქებმა დიდვაზირს წერილობით უპასუხეს: „არასოდეს არ გვქონია განზრახვა ხვანთქარს ავმხედრებოდით, ჩვენ ვიმყოფებით ინგლისელებთან—სტამბოლის კარის მოკავშირეებთან; ეს არის სიფრთხილის ზომა, რომელიც ჩვენი ალექსანდრიელი ძმების სამწუხარო ბედმა გვიკარნახა. როგორც კი

ხვანთქრის ბრძანება მოგვივა და საკუთარი თვალით წავიკითხავთ, ოსმალეთს მაშინვე დავმორჩილდებითო[1].

მოგვეპოვება დიდვაზირის ხელიდან ქართველი მამლუქების წასვლის მეორე, ცოტათი განსხვავებული, ვერსიაც. ამ ვერსიის მიხედვით ეს ამბავი შემდეგნაირად მოხდა: გიზესთან — კაიროს პირდაპირ — ინგლისელ და ინდოელ მხედართა ბანაკი იყო გაშლილი. ამ ბანაკს გენერალი რამსაი სარდლობდა. მისი ყურადღება მიიპყრო მამლუქთა ჯარმა, რომელსაც წინ სელიმ-ბეი მიუძღოდა. უკანასკნელმა რამსაის სთხოვა—დაგვიცავი არნაუტებისგანო (დიდი ვაზირის სამსახურში მყოფი ალბანელები, რომელთა ერთ-ერთი ბელადი იყო მუჰამედ-ალი ანუ მეჰმედ-ალი—ეგვიპტის მომავალი ვიცე-მეფე), რომლებიც დიდვაზირს მამლუქთათვის ზემო ეგვიპტეში გადასვლის დროს დაედევნებინა. რამსაიმ, რომელსაც მიღებული ჰქონდა ხატჩინსონის წერილი კაპუდან-ფაშა კიუჩუკ-ჰუსეინის მუხანათური საქციელის შესახებ და, რომელმაც კაიროს ამბებიც იცოდა, დიდვაზირს სთხოვა, საპყრობილედან იბრაჰიმ-ბეის (შინჯიკაშვილი) მხედრობის გამოშვება. ციხის კარები გაუღეს დაახლოებით ორი ათას ხუთას მამლუქ კავალერისტს, და ათ თუ თორმეტ მამლუქ ბელადს. ამგვარად, გიზეში, ინგლის-ინდოეთის მეომართა ბანაკში თავი მოიყარეს იბრაჰიმ შინჯიკაშვილმა და მისმა მებრძოლებმა, რომლებიც დაუსხლტნენ დიდვაზირ იუსუფ-ზიას მახეს. არნაუტების დევნისაგან დახსნილებმა სელიმ-ბეიმ და მისმა მამლუქებმა, მუჰამედ-ალიმა და მისმა მეომრებმა, შეიტყვეს რა თანამოიარაღე მოძმეების დევნა, რამსაის თავშესაფრისაკენ აიღეს გეზი. შემდეგ მთელი ეს მხედრობა ზემო ეგვიპტისაკენ დაიძრა. ამავე დროს, ერთი მხრივ, დიდვაზირსა და, მეორე მხრივ, მამლუქთა ქომაგებს ხატჩინსონ სტიუარტსა და რამსაის შორის გაუთავებელი მოლაპარაკება მიმდინარეობდა იმის თაობაზე, რომ ნილოსის ველი ასუანსა და ჯირჯას შორის მამლუქებს გადასცემოდათ[2].

თუ ზემო ეგვიპტე იბრაჰიმ შინჯიკაშვილის მხედრობას ეკავა, ქვემო ეგვიპტეში განლაგებული იყვნენ მურად-ბეის სახლეულობის მამლუქები. 1802 წლის დამდეგს კაიროში დიდი მოლაპარაკება გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ მამლუქი ბელადები, ინგლისის დიპლომატები და დიდი ვაზირი. მამლუქები საბატონოდ ზემო ეგვიპტეს მოითხოვდნენ. ინგლისის ელჩ ელჯინის გეგმის მიხედვით, ისინი ინდოეთში ან დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე უნდა გადასახლებულიყვნენ. მამლუქებისაგან ელჯინის განდგომა 1801 წლის 9 ოქტომბრის ე. წ. „პარიზის პრელიმინარების“ დაუმტკიცებლობის საფასური იყო. საქმე იმაში იყო, რომ 1801 წლის ოქტომბრის წინასწარი შეთანხმებით ოსმალეთ-საფრანგეთს შორის ზავი ჩამოვარდა, ეს კი ინგლისის კაპიტალისტებს სრულიადაც არ ეპაშნიკათ, ვინაიდან აინტერესებდათ ხსენებული ორი ქვეკ-

[1] აბდარახმან ალ-ჯაბარტის ჟურნალი (ფრანგულ ენაზე), პარიზი, 1838, გვ. 249—250.

[2] ფრ. შ. რუ, დასახ. მონოგრაფია, ტ. II, გვ. 285.

ნის კონფლიქტის განგრძობა. და აი, რაკი ხვანთქარმა არ მოახდინა 1801 წ. „წინასწარი მუხლების“ რატიფიკაცია, ამით ინგლისის წარმომადგენელი დიდად კმაყოფილი დარჩა და თავს მოვალედ გრძნობდა მამლუქების გადასახლების საკითხში ოსმალეთის გეგმებს აჰყოლოდა და ამით სამაგიერო საშსახური გაეწია ხვანთქრის კარისათვის. რაკი ელჯინმა 1802 წლის დამდეგის იმ ისტორიულ თათბირზე მხარი არ დაუჭირა მამლუქების პრეტენზიებს და, ამ უკანასკნელთათვის სავსებით მოულოდნელად, წამოაყენა წინადადება, ინდოეთში ან დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე მათი გადასახლების შესახებ. გასაგებია, რომ კაიროს ისტორიული თათბირი უშედეგოდ დამთავრდა. ინგლისელების აზრით, ეს მოასწავებდა ეგვიპტეში სამოქალაქო ომის დაწყებას. ლონდონის დიპლომატები წერდნენ—ოსმალებმა იციან, რომ მამლუქთა მოთხოვნა ნიშნავს პრეტენზიას ეგვიპტის სუვერენიტეტზე. მამლუქთა ბელადები ზემო ეგვიპტეში ბატონ-პატრონობასაც იჩემებენ და ამავე დროს კაიროში თავიანთი ბინების დატოვებაზე უარს აცხადებენ. ისინი ლაპარაკობენ, რომ ეს ბინები მათ მალე გამოადგებათ, რაც ნიშნავს გადაკვრას სამოქალაქო ომზე.

ელჯინის პოზიცია, რომელიც 1802 წ. დამდეგის ისტორიულ თათბირზე იქნა ჩამოყალიბებული, ლონდონის საბოლოო სიტყვა როდი იყო.

ინგლისელები არ უმალავდნენ ოსმალებს, რომ ეგვიპტე მიაჩნდათ, როგორც დიდი ბრიტანეთისადმი ხვანთქრის ერთგულების საწინდარი. გიორგი მესამემ წერილი მისწერა ხვანთქარს და მამლუქებთან შერიგებისაკენ მოუწოდა. ინგლისი შეუძლებელს მოითხოვდა.

ჯაბარტის მეოთხე ტომის რუსული გამოცემის კომენტატორი შენიშნავს: „ფრანგებთან ბრძოლის შედეგად მამლუქთა რიგები შეთხელდა. ხვანთქრის ჯარმა, როგორც კი ეგვიპტიდან ფრანგები წავიდნენ, აკრძალა ამ ქვეყანაში ახალგაზრდა ჩერქეზების, ქართველების და არნაუტების (ალბანელები—დ. ჯ.) შეყვანა, რომელთა ხარჯზედაც ახდენდნენ მამლუქი ბეგები თავიანთი რაზმების შევსებას. ხვანთქრის კარი ასე იმიტომ მოიქცა, რომ ეგვიპტეში თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა და მამლუქთა ბელადების ძლიერებისათვის ძირი გამოეთხარა“[1].

ერთი ანონიმური დიპლომატიური წერილი, რომელიც დათარიღებულია 1802 წლის 4 დეკემბრით, შეიცავს შემდეგ მტკიცებას: ინგლისის მხარდაჭერა რომ არა, მამლუქი ბელადები, როგორც რეის-ეფენდი განუმარტავდა დაინტერესებულ ევროპულ წრეებს, უკვე თანახმანი იქნებოდნენ გადასახლებისა. რასაც მათ ოსმალეთის ხვანთქარი უპირებდა. იმავე მოხელის სიტყვით, გადასახლება შეეხებოდა არა ყველა მამლუქს, არამედ მათ ზედა ფენას, პირველ რიგში — იბრაჰიმ-ბეის (მარტყოფელი შინჯიკაშვილი), მუჰამედ-ბეი-ალ-ალფის და ყველაზე გამოჩენილ ქაშიფებს, სულ—თორმეტ, თუ თხუთმეტ კაცს. სად ირჩევდნენ ახალი ბინის დადებას—ევროპაში თუ აზიაში, ეს მამლუქთა ამ ზედა

[1] ჯაბარტი, Египет в период экспедиции Бонапарта, М. 1962, გვ. 720.

ფენის ნებაზე იყო დამოკიდებული. მათ მიეცემოდათ დიდი პენსია—ორმოცდაათი ათასი პიასტრი ანუ ოცდაათი ათასი მანეთი მაშინდელი რუსული კურსით, ნაცვლად 25 ათასი პიასტრისა ანუ 15 ათასი მანეთისა, რასაც უწინ პირდებოდნენ. ოსმალეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობდა, რომ პენსიების გაცემა მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადებში და კეთილსინდისიერად იწარმოებდა. დანარჩენი მამლუქები ან ხვანთქრის სამსახურში შევიდოდნენ და მის გარნიზონებში იქნებოდნენ ეგვიპტის მიწა-წყალზე, ანდა ადგილობრივ ოსმალურ ადმინისტრაციას დაემორჩილებოდნენ[1].

მამლუქთა ბელადების გადასახლების ეს გეგმა ოსმალეთს ეფუშებოდა. იმ ბელადებს, პოლიტიკურ სიკვდილს და სტამბოლის დამამცირებელ და თან არასაიმედო ულუფაზე ყოფნას, ბრძოლის ველზე სახელოვანი სიკვდილი ერჩიათ.

ხანგრძლივი დიპლომატიური ინტრიგების შემდეგ, ოსმალეთსა და საფრანგეთს შორის 1802 წლის 25 ივნისს დაიდო საბოლოო ზავი. საამისო ტრაქტატი აცხადებდა, რომ ამიერიდან ორივე დასახელებული ქვეყნის ურთიერთობაში მარადიული მშვიდობა და მეგობრობა იარსებებდა, განახლდებოდა ომამდელი „კაპიტულაციები“, საფრანგეთის რესპუბლიკის სავაჭრო ხომალდებს შავი ზღვის ჭიშკრები გაეღებოდა და იმ ზღვაში თავისუფალი საკომერციო ნავიგაციის ნება დაერთვოდა. მეკობრეთა ანუ ზღვის ყაჩაღთა წინააღმდეგ ორივე ქვეყანა შეთანხმებულ ღონისძიებებს გაატარებდა. საფრანგეთი ხვანთქრის სავაჭრო გემებს რესპუბლიკის წყლებში საპასუხო თავისუფალ მიმოსვლას პირდებოდა. სამაგიეროდ, ხვანთქრის კარი ადასტურებდა თავის თანხმობას ამიენის ზავის იმ მუხლებთან, რომლებიც მას შეეხებოდა, თუმცა ამიენის საზავო კონფერენციაზე მისი წარმომადგენელი დაშვებული არ იქნა. ორივე მხარე პირობას დებდა, რომ პატივს სცემდნენ ერთი მეორის სამფლობელოთა ხელუხლებლობას და „უაღრესად პრივილიგირებული ერის“ მდგომარეობას აღუთქვამდნენ ერთმანეთს თავიანთ ქვეყნებში[2]. 1802 წლის 25 ივნისის ეს საზავო ხელშეკრულება იმავე წლის 25 აგვისტოს რატიფიცირებული იქნა.

ამიენის ზემოხსენებულმა ზავმა, რომელიც უფრო ადრე იყო ხელმოწერილი, ეგვიპტეზე ოსმალეთის სუვერენიტეტის აღდგენა გამოაცხადა.

ინგლისელები მალე მამლუქთა პრეტენზიების ენერგიულად მხარდაჭერის კურსს დაუბრუნდნენ და ამას ამიენის ზავთან საესებით შესათავსებელ გარემოებად თვლიდნენ.

ხვანთქრის კარი ხატჩინსონის ინტრიგების შესახებ სტამბოლში მყოფ ინგლისის ელჩს წარდგინებას წარდგინებაზე უკეთებდა, ხოლო ხატჩინსონი თავის მხრივ სპეკულაციას უწევდა კაპუდან-ფაშას ცდებს მიმართულს მამლუქთა

---

[1] რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, ფონდი „კანცელარია“, საქმე №2223, ფურც. 289—296 (წერილი ფრანგულ ენაზე. ხელნაწერი).

[2] ს ე ნ პ რ ი, მემუარები... (ფრანგულ ენაზე), 1857, გვ. 523—527 (ხელშეკრულების ფრანგული ტექსტი).

მმართველი ზედაფენის მოსპობისაკენ. როგორც ამბების შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, არც ერთი პროექტი, რომელიც ეგვიპტეში ხვანთქრის კარისათვის ძირგამოთხრას ითვალისწინებდა, არ შეიძლებოდა გასულიყო. ამასობაში ამიენის რატიფიცირებული კონვენციით, ინგლისს ეგვიპტიდან ჯარების ევაკუაცია უნდა მოეხდინა. იგი იძულებული გახდა ეგვიპტეზე ხვანთქრის კონტროლი ეცნო, მაგრამ თავისთვის ისევ და ისევ მოითხოვდა უფლებას—გამოქომაგებოდა მამლუქებს. ეს უფლება ბრიტანეთს საშუალებას მისცემდა ჩარეულიყო ეგვიპტის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამ ქვეყნის შიგნით ათასნაირი მანეერებისათვის მიემართა. 1803 წლის მარტში, ინგლისის ჯარები ეგვიპტიდან გაიყვანეს. ტოვებდა რა ქვეყანას, ბრიტანეთის ექსპედიციის ახალი სარდალი სტიუარტი მამლუქებს იარაღითა და ტანსაცმლით ამარაგებდა. ამგვარად, მოვლენათა მსვლელობა ააშკარავებდა მამლუქი ბელადების ბედიღბალში ინგლისის მონაწილეობის ნამდვილ მოტივებს, რომლებიც დიდ არაბ ქრონისტს აბდ. ჯაბარტის უანგაროდ ეჩვენებოდა.

აბერკრომბის მემკვიდრემ ხატჩინსონმა ახლო კავშირი დაიკავა მურადბეის ხუშდაშის ალფი-ბეის ჯგუფთან. ინგლისის სამხედრო სარდლობა ათასნაირ ხოტბას ასხამდა იმ დახმარებას, რომელსაც მამლუქები ინგლისის ექსპედიციას უწევდნენ. ლონდონში დაბრუნებულმა ხატჩინსონმა სააგიტაციო კამპანია გააჩაღა მამლუქი ბელადების სასარგებლოდ. ამავე მიზნით, ინგლისის სარდალმა სტიუარტმა, რომელმაც ევაკუაცია განახორციელა, 1803 წლის მარტში ალფიბეი თან წაიყვანა ინგლისს, რათა ბრიტანეთის საზოგადოებრიე აზრზე სათანადო ზემოქმედება მოეხდინა. ალფი-ბეიმ დიდ ბრიტანეთში ერთ წელიწადზე მეტი ხანი დაჰყო.

არც ხვანთქარს და არც კაიროს ფაშას ხოსრევს (ხოსროშვილს) მამლუქებთან შერიგებაზე სიტყვის გაგონებაც არ სურდათ—მამლუქები ისევ და ისევ ზემო ეგვიპტეს მოითხოვდნენ საბატონოდ, ოსმალეთი კი მათ გადასახლებას უმზადებდა. ფრანგებმა გეზი ალბანელ მეჰმედ-ფაშას მხარდაჭერაზე აიღეს და ამან გაუმართლათ, ინგლისელებმა კი, აიღეს რა ორიენტაცია მეორეხარისხოვან ბელადებზე, წააგეს 1804—1807 წლებში ეგვიპტის გარშემო გაჩაღებული დიპლომატიური ბრძოლა. ინგლისელებმა ევაკუაცია მოახდინეს ამიენის ზავისათვის, რაც მალე სანანებლად ექცათ.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ფრანსუა შარლე რუს შეხედულებას, რომ თითქოს XIX საუკუნის დამდეგს ინგლისი სრულიადაც არ იბრძოდა ეგვიპტის რომელიმე კუნჭულზე თავისი სუვერენიტეტის დასამყარებლად და მხოლოდ იძულებული გახდა ეგვიპტის შინაური ბედ-იღბლის საკითხის გადაწყვეტაში ჩარეულიყო[1]. ინგლისი იძულებული კი არ გახდა, არამედ შეგნებულად მიისწ-

[1] ფ რ ა ნ ს უ ა შ. რ უ, ნაპოლეონის ექსპედიცია ეგვიპტეში და ინგლისი (ფრანგულ ენაზე), ტ. II, გვ. 203—220.

რაფვოდა, რომ მამლუქები ეგვიპტეში თავისი გავლენის იარაღად გამოეყენებინა.

ინგლისელთა წასვლის შემდეგაც არც ერთი მხარე — არც მამლუქები, არც ოსმალები არ თმობდნენ პოზიციებს. საქმე მათ შორის გადამწყვეტ პირისპირ შეტაკებამდე მიდიოდა. იბრაჰიმ-ბეის დასს მსოფლიოში რეალური მხარდამჭერი ძალა არ აღმოაჩნდა.

XIX ს-ის დამდეგს რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ეგვიპტის შინაურ საქმეებში არ ჩარეულიყო. ეს ჩაურევლობა ხვანთქრის ინტერესების სასარგებლოდ წარიმართებოდა. რუსეთის მმართველ წრეებში გასაკვირი პოვა ასეთმა შეხედულებამ: რაკი აღმოსავლეთი საქართველო შემოვიერთეთ და ოსმალეთში საქართველოდან ტყვეების გაყვანა ავკრძალეთ, ახლა საჭიროა, ეგვიპტეში ხვანთქარი მტკიცედ გაბატონდეს და მამლუქთა ბატონობა სავსებით მოისპოს, თორემ თუ ამ ახალ ვითარებაშიც ეგვიპტე მამლუქებს დარჩათ, სულ მალე პირამიდების ქვეყანა საფრანგეთიდან ჩაყვანილი ტყვე ახალგაზრდებით აივსება და ეგვიპტე ხელახლა გახდება საფრანგეთის კოლონიაო[1]. საქართველოს რუსეთთან შეერთება გარკვეულ ფარგლებში აუარესებდა ეგვიპტის მამლუქთა ბედ-იღბალს.

რუსეთის ჩაურევლობის გეზი 1803 წლის ერთმა საინტერესო შემთხვევამ გამოამჟღავნა. რუსეთის გენერალურმა კონსულმა ეგვიპტეში როზეტიმ მამლუქ ბელადებთან—ოსმან-ბეისთან და იბრაჰიმ-ბეისთან (შინჯიაშვილი) კავშირი გაიბა. ეს ბელადები მას სთხოვდნენ—მფარველობა გაგვიწიე, როგორც საქართველოში დაბადებულ ხალხსო (ხსენებული მამლუქები სათანადო წერილში პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ისინი იყვნენ წარმოშობით ქართველები). მათ უნდოდათ, რომ ელჩ იტალინსკის ხვანთქრის წინაშე მამლუქთა საქმის შესახებ შუამდგომლობა ეკისრა და როგორც ხვანთქრისათვის, ისე დიდი ვაზირისათვის მათი სათხოვარი გადაეცა. იტალინსკი ვორონცოვს უთვლიდა: „არ მსიამოვნებს, რომ ჩვენმა კონსულმა მამლუქ ბეგებთან დამაკავშირაო“. ელჩი დასჯერდა იმას, რომ ოსმანისა და იბრაჰიმის წერილები რეის-ეფენდისათვის გადაეცა[2].

ნაპოლეონის ექსპედიციის მნიშვნელობისა და შედეგების შესახებ არაბი სპეციალისტები ალ-ბარავი და ჰამზა-ულეიში წერენ: „მიუხედავად იმისა, რომ ფრანგთა ხელისუფლების ქვეშ ქვეყანა ცოტა ხანს იმყოფებოდა და, რომ ფრანგთა ექსპედიციამ მარცხი განიცადა თავისი სხვადასხვა სამხედრო და პოლიტიკური გეგმების განხორციელებაში, ამ ექსპედიციის შედეგებმა (უმთავრესად არაპირდაპირმა) ეგვიპტეზე მოახდინეს ძლიერი გავლენა, რომელმაც

---

[1] Внешняя политика России XIX и начала XX века(პუბლიკაცია), ტ. I, 1960, გვ. 168—170.

[2] Станиславская М. М., Русско-английские отношения и средиземноморские проблемы, 1962, გვ.264.

დიდხანს გასტანა. თუ უკლებლივ ყველა ისტორიკოსი მუჰამედ-ალის თანამედროვე ეგვიპტის დამაარსებლად მიიჩნევს, მაშინ უეჭველია, რომ საფრანგეთის ექსპედიცია წარმოადგენდა შემობრუნების პუნქტს ამ ქვეყნის ისტორიაში როგორც პოლიტიკური და სოციალური, ისე ეკონომიური ურთიერთობის თვალსაზრისით. პირველად თავის ისტორიაში ეგვიპტე ეზიარა, თუმცა მცირე ხნით, განათლებული ევროპული მართვა-გამგებლობის სფეროს". არაბ სპეციალისტთა აზრით, საფრანგეთის ექსპედიციამ ეგვიპტეში მოიტანა ევროპული ცივილიზაცია. მას შემდეგ გაგრძელდა სულიერი კავშირი ამ ორ ქვეყანას შორის. ამ კავშირს ჰქონდა მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობის ხასიათი. მასწავლებლის როლში საფრანგეთი გამოვიდა. ფრანგი მეცნიერების მიერ შესრულებული უზარმაზარი შრომა, რომელიც „ეგვიპტის აღწერის" გამოცემაში გამოიხატა, დიდ გავლენას ახდენდა მუჰამედ-ალის ეკონომიური პოლიტიკის კურსის შემუშავებაზე და გზას უნათებდა ამ მმართველის თანაშემწეებსა და მრჩევლებს. საფრანგეთის ექსპედიციამ შეასუსტა მამლუქთა ძალაუფლება და ეგვიპტელ ხალხს უჩვენა ოსმალ გამგებელთა უმწეობა. ფრანგებმა ეგვიპტეს დაუსახეს პერსპექტივა ილთიზამების სისტემის ე. ი. ფეოდალური მიწათმფლობელობის გაუქმებისა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც ფრანგებმა ეგვიპტეში განახორციელეს, იყო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოღება. ფრანგებმა ეგვიპტეში დააარსეს რამდენიმე სამრეწველო საწარმო და არაბული სტამბა, რომელიც ეგვიპტის მომავალი სახაზინო სტამბის ბაზად იქცა. სუეცის არხის გაჭრისათვის გამოიყენეს ფრანგთა ექსპედიციის მხლებელ ინჟინერთა მიერ შესრულებული შრომები. ფრანგთა შესევამ მოამზადა ნიადაგი მუჰამედ-ალისა და მისი დიდი რეფორმებისათვის. თუმცა ბონაპარტეს შესევამ ქვეყანას ერთი ზიანიც მოუტანა: დასაბამი მისცა ინგლისის განუწყვეტელ ინტრიგებს ეგვიპტის საშინაო ცხოვრებაში. არაბი სპეციალისტები რ. ალ-ბარავი და ჰამზა-ულეიში დაასკვნიან: „ამგვარად ეგვიპტის მოკლეხნიანმა ფრანგულმა ოკუპაციამ ქვეყანას ბევრი დადებითი შედეგი დაუტოვა, თუმცა ეს შედეგი უმთავრესად არაპირდაპირი სახით გამომჟღავნდა, როგორც ეს ჩვეულია ყველა დიდ ისტორიულ მოვლენას, რომელთა მნიშვნელობა გარკვეული დროის გავლენის შემდეგ ნათელი და ხელშესახები ხდება... შესაძლოა, მუჰამედ-ალის ვერც მოეხერხებინა იმ კოლოსალური სიძნელეების გადალახვა, რომლებთანაც მოუხდა ბრძოლა მას ყოველი რეფორმის გატარების პროცესში, რომ ფრანგებს თავიანთი საქმიანობით არ შეესუსტებინათ ეს სიძნელეები და არ გაეადვილებინათ მათი გადალახვა"[1].

ბევრი ზემოთ მოტანილი მტკიცება მართებულია, მაგრამ საბჭოთა ისტორიოგრაფია თვლის, რომ „განათლებული ევროპული მმართველობა", რასაც ალ-ბარავი და ჰამზა-ულეიში ესოდენ უზომო ხოტბას ასხამენ, ფაქტიურად

[1] რაშიდ ალ-ბარავი და მუჰამედ-ჰამზა-ულეიში, დასახ. შრომა, გვ. 45—49.

ისეთივე ტირანია აღმოჩნდა, როგორიც მანამდე ეგვიპტეში იყო, ჩვენ მიერ მოტანილი ფაქტები სავსებით ადასტურებენ ამ დებულებას.

როცა ვლაპარაკობთ ბონაპარტეს ექსპედიციის გავლენასა და მნიშვნელობაზე, სახელდობრ იმაზე, თუ რა რეზონანსი პოვა ამ ექსპედიციამ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ეგვიპტის გამგებელთა პოლიტიკაში, უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რომ იბრაჰიმ-ფაშამ ბრძანა ოსმალურ ენაზე ეთარგმნათ ნაპოლეონის შემოკლებული ისტორია. ეს წიგნი დაიბეჭდა ასეთი სათაურით: „სახელგანთქმული ნაპოლეონის—ფრანგთა იმპერატორის ისტორია". იგი მოათავსეს კრებულში, რომელსაც ეწოდებოდა „ევროპის ხელმწიფეების საიდუმლოებათა საუნჯე"[1].

[1] ა. კ ლ ო ტ-ბ ე ი, დასახ. მონოგრაფია, გვ. XIII.

## თავი მეხუთე

### სააღლუმო პაემანი მუკატამის მთაზე

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ათეულში ეგვიპტის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე მაკედონელი არნაუტი მუჰამედ-ალი ანუ მეჰმედ-ალი (1769—1848 წწ.) დაწინაურდა. მან მოახერხა ერთმანეთზე მიესია მამლუქები და ოსმალები. ერთ-ერთ ძლიერ კონკურენტს ალ-ბარდისს ოსმალების ჯარები წაჰკიდა, რის შედეგადაც მამლუქი ბელადი კაიროდან გაიქცა და შემდეგ არც დაბრუნებულა სატახტოში. მუჰამედ-ალი თავდაპირველად ოსმალეთის არმიაში ათისთავად მსახურობდა—იგი ხვანთქარმა ომში გაიწვია ნაპოლეონის ექსპედიციასთან დაკავშირებით. ათისთავიდან რამდენიმე წელიწადში გახდა ეგვიპტის უზენაესი გამგებელი[1]. მას, უკვე კარიერის მწვერვალზე ასულს, მაინც გზას უღობავდა უმამაცესი ქართველი მამლუქი ალ-ალფი, რომელმაც მრავალჯერ სასტიკად დაამარცხა მისი ჯარები და რომელიც ალ-ხანდისა და ალ-ჯიხინას ბედუინებს[2] მოყვრობდა; როცა ალ-ალფი გარდაიცვალა, მუჰამედ ალმა შვებით ამოისუნთქა და განაცხადა—ამიერიდან მართლაც ვარ ეგვიპტის გამგებელიო — ეს მოხდა 1807 წლის დამდეგს, როცა ხოსრევ-ფაშა მეჰმედ-ალს გუბერნატორის პოსტიდან ჩამოგდებული ჰყავდა, მაგრამ სანამ ალ-ალფი ბეის სული ედგა, ეგვიპტის მბრძანებლად თავი არ ეგულებოდა. მუჰამედ-ალს, ალ-ალფის სიკვდილი რომ შეუტყვია, ესეც უთქვამს: „მე და იგი ვიყავით ერთსა და იმავე თოკზე ორი მოპირდაპირე ბოლოდან მოსიარულე ჯამბაზებიო“[3]. ჯაბარტიც მაღალ შეფასებას აძლევს ალ-ალფის და დიდ ადგილს უთმობს თავის ქრონიკაში.

იბრაჰიმ-ბეი შინჯიკაშვილი ამ დროს ღრმა მოხუცი იყო, სამოცდათორ-

[1] ა ბ დ. ალ-ჯ ა ბ ა რ ტ ი, ეგვიპტე მუჰამედ ალის ძალაუფლების დროს (რუს. ენაზე), 1964, გვ. 18—21.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 205.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 77 და 113—114, 87—121.

მეტი წელი უსრულდებოდა[1]. ამიტომ მას არ ძალუძდა სერიოზული მეტოქეობა გაეწია მუჰამედ-ალისათვის ეგვიპტეზე გაბატონების საქმეში, თუმცა საქვეყნო მასშტაბით ახლაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

გუბერნატორი ხოსრევ-ფაშა, რომლის ჩამოგდებაც მუჰამედ-ალმა 1806 წელს შეძლო, შემდეგში ოსმალეთის უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური ფიგურა გახდა.

აი როგორ ატესტაციას აძლევენ მას 1838 წ. ჯაბარტის დღიურის ფრანგი გამომცემლები: „საქართველოში დაიბადა. ჯერ მონა იყო ხვანთქარ აბდულჰამიდის, შემდეგ კი მისი პაჟი. აღიზარდა სერალში, სახელგანთქმულ ჰუსეინ-ფაშასთან (ზემოხსენებული კაპუდან-ფაშა-კიუჩუკ-ჰუსეინი—დ. ჯ.) ერთად. ეს უკანასკნელიც მონა იყო. ისინი ბავშვობაში ერთად იზრდებოდნენ, შემდეგ კი პირველი მეორის ხაზინადარი გახდა. ჭაბუკობიდანვე მუჰამედ-ხოსრევი დიდი უნარითა და ჭკუით გამოირჩეოდა. კეთილშობილება მანერებში, ალერსიანობა და მომხიბვლელობა უცხოელებთან ურთიერთობაში, სიამაყე თავისიანების წინაშე—აი, რა იყო მისი ხასიათის მკაფიო თვისებები იმ დროს, როდესაც იგი გუბერნატორის სახით ეგვიპტეში ჩავიდა. ამ ქვეყნის ვიცე-მეფედ ანუ ვალიდ დანიშნულს ჯერ კიდევ არ ყოფნიდა წინდახედულობა და განსაკუთრებით, ადამიანთა ცოდნა. მაგრამ, თუ თავდაპირველად გამოუცდელობა გახდა მიზეზი იმ უბედურებისა, რაც მან ამ შემთხვევაში განიცადა, სამაგიეროდ დროებითმა წარუმატებლობამ საშუალება მისცა უკეთ შეესწავლა და დაეფასებინა ადამიანები და მოვლენები, განავითარა მასში ტალანტი და მოხერხება. ყველაფერი ეს შემდეგში ძალიან გამოადგა და დაიმსახურა ხვანთქრის განუსაზღვრელი ნდობა, რომლის წყალობით თავისი სიცოცხლის მიწურულამდე შერჩა უზენაესი ხელისუფლების საჭეს და სიდიადეს. ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ მეჰმედ-ხოსრევი მიყოლებით იყო კაპუდან-ფაშა, ტრაპიზონის გუბერნატორი და სპარსეთის საზღვრებზე ჩაყენებული ჯარების გენერალისიმუსი. მორეიას ომის დროს მეორედ გახდა დიდი ამირბარი. შემდეგ იყო სრუტეების გენერალური ინსპექტორი (ბოღაზ-ნაზირი) და, ბოლოს, 1827 წელს, ოსმალეთის იმპერიის არმიების სერასკერი; ე. ი. გენერალისიმუსი და, თანვე ებოძა სამხედრო მინისტრის პორტფელი. ამ პოსტზე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოხერხებას, რეფორმატორულ სულს და სერასკერის დაუღალავ მოღვაწეობას, რათა ოტომანების იმპერიის მთელ სამხედრო და პოლიტიკურ მდგომარეობაზე უზარმაზარი გავლენა მოახდინოს. სწორედ ეს შეძლო მეჰმედ-ხოსრევ-ფაშამ. ამჟამად (1838 წ.—დ. ჯ.) მეტისმეტი ხანდაზმულობის გამო ჩამოშორებულია მოღვაწეობის ცენტრს, მაგრამ ჯერ კიდევ ინარჩუნებს იმპერიის გენერალთა მამასახლისის როლს, პირველი რანგის გენერლის ტიტულს და სერასკერის შეუწყვეტელ ჯამაგირს. იგი ისევ სული და გულია ოსმალეთის კაბინეტის და

[1] ჰ. ლარუსის ენციკლოპედია, ტ. IX, გვ. 536.

ითვლება ხვანთქარ მაჰმუდის რეფორმების უაღრესად გულმოდგინე მიმდევრად"[1].

ჯაბარტი წერს, რომ ხოსრევ-ფაშას სილაჰდარად ჰყავდა ლაზი მუჰამედ-ადა[2]. როგორც ჩანს, ოსმალეთის ქართული წარმოშობის გენერალისიმუსს გარემოცვაც ქართული ჰყოლია. ამ მხრივ ხოსრევ-ფაშა გამონაკლისი არ ყოფილა—იგი ჰგავდა თავის წინამორბედებს. იმ წინამორბედთა შორის მაგალითად, კავკასიიდან გატაცებულ კაპუდან-ფაშა-ღაზი-ჰასანს ხაზინადარი და ერთერთი მოადგილე „ვიცე-ამირბარი" კაპუდან-ბეი ქართველები ჰყავდა[3]. ასეთი ტრადიცია, როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნიდან XIX ს-მდე გადასულა.

მართალია, ეგვიპტეზე პოლიტიკური ჰეგემონობა დაკარგეს, მაგრამ მამლუქები ამ ქვეყანაში და მათი ბელადები ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ; ფლობდნენ ვრცელ მამულებს ეგვიპტის სხვადასხვა პროვინციაში, კაიროს ყველა უბანში საუცხოო ბინები და ჰარამხანები ჰქონდათ, ჰყავდათ მომხრეთა დასები და შეიარაღებული რაზმები. ზემო ეგვიპტეში გაგზავნილი აჰმად-აღა-ლაზი მამლუქ ემირებთან ბრძოლაში დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა. ასეთი მდგომარეობა მოსვენებას არ აძლევდა ეგვიპტის ძლევამოსილ გუბერნატორს მუჰამედ-ალის. იგი იემენში და ჰიჯაზში საომრად ემზადებოდა და არ უნდოდა ზურგში მამლუქები ჰყოლოდა, მან გადაწყვიტა, მათთვის ერთი დარტყმით მოეღო ბოლო.

დადგა 1811 წლის 28 თებერვალი. მნახველთა ყურადღებას იქცევდა მოზრდილ სახედარზე მჯდომი ჩაუში[4]. მას მოსასხამი ეცვა, გრძელი თავწაწვეტებული ქუდი ეხურა და ბაზრის მოედანზე გაჰყვიროდა: „ხვალ ყველა სააღლუმო პროცესიაზე უნდა გამოცხადდეს. თავს მოიყრით მუკატამის ციხე-სიმაგრეში გუბერნატორ მუჰამედ-ფაშასთან!"... ჩაუშს წინ მიუძღვებოდა უფროსი, რომელსაც ხელში კვერთხი ეჭირა და გარს ჩაფრების რაზმი ეხვია. ჩაფრები ჩაუშის სიტყვებს იმეორებდნენ და მუჰამედ-ფაშას ეს მაცნენი ასეთი ძახილით ქუჩიდან ქუჩაში გადადიოდნენ, ოსმალ სამხედრო მეთაურებს, ბეგებს, მამლუქ ემირებს, როგორც სახელოვანი ალ-ალფის მომხრეებს, ისე სხვებს მუკატამის

---

[1] ა ბ დ ა რ ა ხ მ ა ნ ჯ ა ბ ა რ ტ ი ს ჟურნალი (ფრანგ. ენაზე), პარიზი, 1838, გვ. 242 (სქოლიო — მეჰმედ-ხოსრევ-ფაშა).

მისივე, ეგვიპტე მუჰამედ-ალის ძალაუფლების ქვეშ (რუს. გამოც., 1963, გვ. 18—30).

შდრ. კ. ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება (ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XXII, გვ. 99—100).

[2] ა ბ დ ა რ ა ხ მ ა ნ ა ლ-ჯ ა ბ ა რ ტ ი, დასახ. მონოგრაფია, გვ. 69.

[3] ლ. პ ი ნ ო, დასახ. მონოგრაფია, გვ. 96—102.

შდრ. რუსეთის საგარეო პოლიტ. არქივი, დასახ. ფონდი, საქმეები № 668 და 669.

[4] პოლიციის დაბალი მოხელე ძველ ოსმალეთსა და ეგვიპტეში.

სასახლიდან სადარბაზო ბარათები დაეგზავნათ. 1811 წლის პირველ მარტს ალიონზე ისინი სრული სააღლუმო ფორმით გუბერნატორს უნდა სწვეოდნენ. საზეიმო პროცესიის მსვლელობას თქვენ გახსნითო—ეწერა სადარბაზო ბარათებში.

პირველი მარტის დილაც გათენდა. მამლუქმა ემირებმა ტაიქები შეკაზმეს და, ირიერაჟა თუ არა, ყველა მუკატამის ციხისაკენ დაიძრა. თან იახლეს რიგითი მამლუქები, ახლობელ პირთა დასი და საკუთარ ჯარისკაცთა რაზმები. რათა ისინი დათქმულ ადგილზე დროულად მიეყვანათ. შეჰყვნენ აღმართს, რომელიც ზედ მუკატამის ციხე-სიმაგრესთან თავდებოდა.

დაპატიჟებული მამლუქი ემირები მუჰამედ-ფაშასთან სადარბაზო ოთახში შეიყვანეს, ნოხები გაუშალეს და ყავა მოართვეს. ალერსიანი მასპინძელი ოხუნჯობდა სტუმრებთან. მუჰამედ-ალის უკვე მოხვეჭილი ჰქონდა ემირების ნდობა. ის არ იყო, რომ ორი წლის წინათ ცნობილი მამლუქი ბელადი შახინ-ბეი დააქორწინა მონა ქალზე, რომელიც ამ ემირს პირადად გუბერნატორის ცოლმა ამოურჩია საპატარძლოდ? ნუმან-ბეიც ხომ მან გააბედნიერა იმავე ხანებში—საცოლე გამოუძებნა და დააქორწინა? ორივე ამ ემირს საუცხოო ბინები მისცა და ბრწყინვალე დგამ-ავეჯით მორთო ახალდაქორწინებულთა საცხოვრებელი. ემირები კმაყოფილი იყვნენ გუბერნატორის მეგობრობით. ამიტომ დარბაზობამ, რომელიც დიდხანს არ გაგრძელებულა, გულითადობის ატმოსფეროში ჩაიარა. შემდეგ სააღლუმო პროცესიის მსვლელობაც დაიწყო.

ყველაზე წინ მიდიოდა სირიელი ქურთებისაგან შედგენილი დულატების არარეგულარული ცხენოსანი რაზმი ემირ აზუნალის მეთაურობით. მას მიჰყვებოდნენ კაიროს ქალაქის თავი და მუხტასიბი ანუ ბაზრების ინსპექტორი, პროვინციათა მმართველები, აღები, ოსმალური სამხედრო კორპუსები, რომლებიც ეგვიპტეში ოდითგანვე საგარნიზონო სამსახურს ეწეოდნენ და აქ ხვანთქრის კანონთა გამტარებლებს წარმოადგენდნენ. მათ უკან სამწყობრო ნაბიჯებით დაღმართს კეცავდნენ ეგვიპტის დაქირავებული ჯარები. შემდეგ მიდიოდა ყველა ის, ვინც ტანისამოსს მათებურად იცვამდა. გამოჩნდნენ ოსმალეთის ქვეითი და ცხენოსანი ჯარისკაცებიც, ოფიცრები, მაღალი თანამდებობის პირნი. მართალია, ალიონზე, სადღაც მუკატამის ეზოში გაიელვა ხვანთქრის მთავარი მოხელის იბრაჰიმ-აღას სილუეტმაც, მაგრამ ახლა ეს პიროვნება აღარსად ჩანდა. მისი უეცარი და იდუმალი გაქრობის მიზეზი ჯერჯერობით არავინ იცოდა და ეს მაინცდამაინც არც არავის აწუხებდა. მისი გაქრობა მოხდა რაღაც საიდუმლო თათბირის შემდეგ, რომელიც გუბერნატორმა მუჰამედ-ალიმ სააღლუმო პროცესიის დაწყების წინ გამართა ნდობით აღჭურვილ ორ მოხელესთან. ეს მოხელეები იყვნენ ჰასან-ფაშა და სალიჰ-კუჯი. ამ საიდუმლო წინასააღლუმო თათბირის შინაარსი და ხვანთქრის მთავარი მოხელე იბრაჰიმ-აღას გაქრობის მიზეზები მხოლოდ თათბირის მონაწილე სამმა კაცმა იცოდა და პირველი მარტის სუსხიანმა ალიონმა.

როგორც კი პროცესიის მეწინავე დულატების რაზმმა და მისმა მიმყოლმა ოსმალურმა კორპუსებმა დაღმართი ჩაათავეს, უეცრად პროცესია ორ ნაწილად გაკვეთილი აღმოჩნდა: ციხე-სიმაგრის მსახურმა ოსმან-აღამ ბაბ-ალ-აზაბის ალაყაფი ელვის სისწრაფით ჩარაზა და ამ დროს სალიჰ-კუჯის დამბაჩამაც იქუხა. ეს უველაფერი მუხანათური იერიშის სიგნალი იყო. დაიწყო იმის აღსრულება, რაც სამთა საიდუმლო თათბირზე გადაწყდა და რისთვისაც მოეხსნათ ხვახთქრის მთავარი მოხელე იბრაჰიმ-აღაც, რომელიც მთლად არ ეთანხმებოდა გუბერნატორ მუჰამედ-ალის გეგმებს.

სალიჰ-კუჯის ჯარები, რომლებიც სააღლუმო პროცესიის მწყობრში იმყოფებოდნენ, მკვირცხლად შეტრიალდნენ აღმართისაკენ და მამლუქების რაზმებს ტყვია დაუშინეს. მამლუქ ემირთა ჯარი თავმოყრილი იყო ვიწრო ქვიან გასასვლელში, რომელიც ბაბ-ალ-აზაბის ალაყაფთან თავდებოდა. ქვა-ლოდების შვერილებზე და კედლებზე, რომლებიც გარს ერტყმიან ამ ვიწრო დერეფანს, მუჰამედ ალის ჯარისკაცთა ჯგუფები იყო ჩაყენებული. მათ თოფის ცეცხლი უნდა დაეშინათ ვიწრო გასასვლელში მომწყვდეული მამლუქებისათვის. როცა ბაბ-ალ-აზაბის კარებსშიგნით სროლა ატყდა და რიგითი მამლუქების სისხლი დაიქცა, შეშფოთებულმა ემირებმა სცადეს უკან დაწეულიყვნენ—აღმართის ზედა ნაწილისაკენ, მაგრამ ეს ადვილი საქმე არ აღმოჩნდა—გზა იმდენად ვიწრო იყო, რომ ერთ რიგად ჩამწკრივებულ ემირთა ცხენებს სულ ერთიანად გაეჭედათ. ამას ზედ დაერთო ის, რომ მამლუქ სტუმრებს ზურგიდანაც თოფ-კარაბინთა ტყვიები დაუშინეს.

ჩიხში მოქცეულ ემირებს თავგზა აებნათ. ბევრი მათგანი უკვე გულში ტყვიანაკრავი ძირს უსულოდ დაეცა. შახინ-ბეიმ, სულეიმან-ბეი-ალ-ბავვაბმა და ბევრმა სხვა გამოჩენილმა ბელადმა, მაინც სცადა აღმართს ზემოდან მოქცეოდა და გაბედული იერიშით გზა გაეკაფა ვერაგი მასპინძლის—გუბერნატორ მუჰამედ-ალის სასახლისაკენ. მათ ახლა უკვე ყოველი მხრიდან უშენდნენ ტყვიას. სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ და მამლუქი ბელადები განაგრძობდნენ აღმართის იერიშს. გაიძვრეს ქურქები, მოიშორეს მძიმე ტანისამოსი და წინ მიიწევდნენ. ხელში შიშველი ხმლები ეჭირათ. მიილტვოდნენ მუკატამის ციხე-სიმაგრის ეზოს შუაგულისაკენ, სადაც სვეტებიანი დარბაზი მკაცრი არბიტრის გულგრილობითა და სიდინჯით ამაყად გადაჰყურებდა არემარეს.

მაგრამ აღმართის მოიერიშე მამლუქი ბელადების უმეტესობა სვეტებიანი დარბაზიდან მოშორებით დასცა მუხთალი მტრის ტყვიამ. მძიმედ დაჭრილ შახინ-ბეის, რომელსაც მუხლებში ძალამ უმტყუნა და სისხლისაგან დაცლილი მიწას მკერდით გაეკრა, სულის ამოხდომა არ აცალეს, ისე მოსჭრეს თავი მუჰამედ-ფაშას ჯარისკაცებმა და მრისხანე ბატონს მიართვეს, რათა საამისოდ საჩუქარი მიეღოთ.

ეგვიპტის ძლევამოსილი გუბერნატორი ამ დროს ჰარამხანაში ერთობოდა. სააღლუმო პროცესიის დაწყებისთანავე იგი თავის მხევალთა საზოგადოებაში

გადასულიყო, რომელიც ზარაფხანად ქცეულ ისმაილ-ეფენდის ბინაში მოეთავსებინათ.

მამლუქთა ერთ-ერთმა ბელადმა ალ-ბავაბმა იმდენი იმარჯვა, რომ აღმართი სირბილით აათავა და დიდი კოშკის კედელზე ახოხდა. მაგრამ ზურგი ტყვიებით დაუცხრილეს და მანამ უშენდნენ, სანამ იმ კედლიდან არ ჩამოვარდა. მასაც თავი მოჰკვეთეს. ბეერმა მამლუქმა სცადა მუჰამედ-ფაშას ვაჟიშვილის—ტუსუნ-ფაშას ბინაში ეპოვა თავშესაფარი, მაგრამ მკვლელთა დანა იქაც მიწვდა. გუბერნატორის ჯარისკაცები გაშმაგებით ხოცავდნენ ეგვიპტელებს, მიჰქონდათ ყველაფერი, რაც ბედკრულებს ტანთ ეცვათ. არავის აღარ ინდობდნენ, ააშკარავებდნენ ღვარძლს, სიძულვილს და გამძვინვარებას. გაწყვიტეს კაიროს ის მოქალაქენიც, რომლებიც მამლუქებს ახლდნენ და მამლუქური ტანისამოსი ეცვათ, რათა სააღლუმო პროცესია დაემშვენებინათ. ეს უბედურნი მტაცებლებს დანდობას ეაჯებოდნენ და სასომიხდილნი ღრიალებდნენ: ჩვენ არ ვართ მამლუქები, არ ვეკუთვნით მათ ტომსო. მაგრამ მუჰამედ-ალის ჯარისკაცთა ცივი გული ვერც ღრიალმა შეძრა, ვერც ვედრებამ და ვერც გოდებამ. ისინი გზააბნეულ ლტოლვილებს ციხე-სიმაგრის ყველა კუნჭულში იჭერდნენ, სარდაფებიდან და ჯურღმულებიდან ეზიდებოდნენ, სატუსაღო დილეგებში ჰყრიდნენ და კლავდნენ. ამ ხვედრს ვერ აცდნენ მამლუქი ბელადებიც. აჰმად-ბეი-ალ-კალარჯი, იახია-ბეი, ალ-ალფი, ალი-კაშიფ-ალ-კაბირი. აჰინ-ბეის ცხედარს ხელფეხი შეუკრეს და კანცელარიის ეზოში ათრიეს, თითქოს ეს სახელგანთქმული სარდლის კი არა, მკვდარი სახედრის სხეული ყოფილიყო.

როცა მუკატამის სასახლეში და მის ბილიკზე თოფის გრიალი ატყდა, არ-რუმაილაში დისლოცირებული ჯარი შეშინდა და გაიფანტა. არ-რუმაილა იყო დიდი მოედანი კაიროს ციტადელის ძირში. უხსოვარი დროიდან წესად მიეღოთ ამ ადგილიდან მექა-მედინასაკენ მლოცველთა ქარავნისათვის საღმრთო მახმალის და შავი გადასაფენის ანუ კისვას გატანება (მახმალი ერქვა ტახტრევანის მსგავს ხის ნაგებობას, კვადრატული ფორმა ჰქონდა, თავში პირამიდისებურად იყო გაკეთებული, შიგ აწყობდნენ საჩუქრებს მექაში წასაღებად). არ-რუმაილას ახლომახლო სააღლუმო პროცესიას ხალხის უზარმაზარი ბრბოც უცდიდა, რომ სეირით დამტკბარიყო. თოფის ხმა გაიგონა თუ არა, ეს ბრბოც მიიფანტა-მოიფანტა. ბაზრებში პანიკა ატყდა. ყველგან კეტავდნენ დუქნებსა და ფარდულებს. ქალაქის მოსახლეობამ იცოდა, რომ ციტადელში რაღაც საშინელება დატრიალდა, მაგრამ რა მოხდა, ზუსტად არავინ უწყოდა.

ბოლოს, როგორც კი ოსმალეთის გარნიზონის ჯარმა გაიგო მამლუქი ემირები დახოცესო, სასწრაფოდ მოედვნენ მოკლულთა ბინებს, თუმცა ძნელი გასარჩევი იყო, თუ ვინ ვის ბინას ძარცვავდა. მოხდა მთელი ქალაქის დარბევა. დიდად დაზარალდნენ მამლუქთა მეზობლების ოჯახებიც. ნადავლის წყურვილით გახელებული ჯარისკაცები გაშმაგებით იჭრებოდნენ სახლებში, იტაცებდნენ ყოველგვარ ფასეულობას, რაც კი ხელში მოჰყვებოდათ, ნამუსს ხდიდნენ

ჰარამხანის ლამაზებს, ხასებად მიერეკებოდნენ ემირთა ცოლებსა და მხევლებს, ნადირობდნენ მაღალი მდგომარეობის ბანოვანებზე, რათა ხელთ ეგდოთ მათი მდიდრული ტანისამოსი და ფასდაუდებელი თვალმარგალიტის სამკაული. ჯარმა გამოამჟღავნა თავისი ნამდვილი ბუნება. მისთვის არ არსებობდა არავითარი შემაკავებელი საწყისი. იყო შემთხვევები, როცა მიმხვდური მძარცველები ქალებს ვერ უხერხებდნენ ძვირფასი სამაჯურების სწრაფად წაძრობას და ხელებს ჭრიდნენ.

დღის ბოლოს საშინელების გრძნობამ და შიშმა შეიპყრო კაიროს მთელი მოსახლეობა. მამლუქები და მათი რაზმები სატახტოს ყველა რაიონსა და უბანში ცხოვრობდნენ. ისინი გაყიდულ-გაცემული აღმოჩნდნენ არა მარტო გუბერნატორის, არამედ მათი მეზობელი მაღალი ოსმალო სამხედრო მოხელეების მხრიდანაც, რომლებთანაც აქამდე ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა და ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ. ეს ოსმალო ოფიცრები არასოდეს გარეგნულად არაფერს იმჩნევდნენ, თავიანთ მამლუქ მეზობლებს ძმობას უმტკიცებდნენ, ნამდვილად კი გული მათდამი ღვარძლით ჰქონდათ ამოვსებული და მამლუქი ემირებიც ისე სძულდათ, როგორც ყველა არაბი. ფარული შურით შეჰყურებდნენ ისინი მამლუქ ემირთა კეთილდღეობას. კარგად იცოდნენ, რომ ემირებს ალაზჰარის რაიონში და ალ-ჰუსაინის მეჩეთის ახლოს დამატებით თითო-ოროლი სახლი ედგათ, სადაც მალავდნენ განსაკუთრებული ღირებულების ფასეულობას, რათა ეს სიმდიდრე საიდუმლოდ ყოფილიყო დაცული კრიტიკულ წუთებში ხელყოფის ცდებისაგან. ახლა მუკატამის სასახლეში თოფის გასროლა სიგნალი იყო მამლუქთა ოსმალო მეზობლებისათვის, რათა მომენტი ეხელთებინათ და ხელი მოეთბოთ იმ ემირების ხარჯზე, რომელთაც აქამდე საიდუმლოდ კრიჭაში ედგნენ, ხოლო შესახედავად ვარდ-ყვავილებსა და მეგობრულ ღიმილს სთავაზობდნენ.

ოსმალო მეზობლები — მაღალი სამხედრო თანამდებობის პირნი — დაერივნენ მამლუქთა ბინებსა და განსაკუთრებული იერიში მიიტანეს ჰარამხანის ლამაზმანებზე, რათა შური ეძიათ მათზე იმის გამო, რომ ეს ქალები ოსმალებს არასოდეს არაფრად აგდებდნენ, თავს შორს იჭერდნენ მათთან რომანული კავშირისაგან და ხვანთქრის მაღალ ოფიცერთა ალერსსა და საჩოქრწინო სარეცელს ყველაზე მდაბიო მამლუქის გულს ამჯობინებდნენ. ახლა მოსულიყო მთელი გესლისა და ღვარძლის გადმონთხევის დრო და ოსმალეთის ოფიცრებმაც არხეინად დაძარცვეს და გააპარტახეს მეზობელი მამლუქებისა და იმათთან დაახლოებული ადამიანების ბინები. „ქვენთან მამლუქი ცხოვრობს“, „შევიტყვეთ, რომ თქვენ მამლუქთა ნივთებს ინახავთ“ — აი, რა იყო მძარცველთა დევიზი. აუწერელ შიშსა და გულისკანკალში გაატარა კაიროს მოსახლეობამ ერთი დღე და ღამე. ვერავინ დათვლიდა ფულს და ქონებას, რომელიც ამ მოკლე დროში დაიტაცეს. აიკლეს იმ წარჩინებულთა ბინებიც, რომელთაც

არაფერი ჰქონდათ საერთო მამლუქ ემირებთან და ძლევამოსილ გუბერნატორ მუჰამედ-ალის სამსახურში იყვნენ, როგორც მაგალითად—ფაშას ბაღების მზრუნველი კაიროს ჩრდილოეთ გარეუბან შუბრაში კათხოდა ზულფიკარი. ემირი ოსმან-აღა-ალ-ვარდანი, მუსტაფა კაშიფ ალ-მურადი, ეფენდი-მწერლები და სხვ.

შაბათს, მუკატამის მთაზე გათამაშებული ტრაგედიის მესამე დღეს, როცა მზე შუბის ტარზე იდგა, ციხე-სიმაგრიდან გამოვიდა ტრაგედიის ავტორი მუჰამედ-ალი-ფაშა, ეგვიპტის ეს მრისხანე გუბერნატორი. თან ახლდა მაღალ მოხელეთა ქვეითად მიმავალი ამალა. წინ მიუძღოდა ქვეითად მიმავალნი ძვირფასად ჩაცმული ას-საფაშიიასა და ჩაუშთა რაზმები, მხოლოდ ფაშა იჯდა ტაიჭზე და მას რკალად ერტყა შეიარაღებული ხალხი. მათი სახეები სიხარულით იყო გაბადრულ-გაბრწყინებული. ყველას დიდ კმაყოფილებას გვრიდა მამლუქთა გაჟლეტის ამბავი და მათი ქონებით ხელის მოთბობა. განსაკუთრებით გახარებული იყო მუჰამედ-ალი-ფაშა, ორგანიზატორი მუსერისა და დარბევისა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო—ერთი ხელის დაკვრით გაუსწორა ანგარიში შინაურ მტერს—მამლუქ ემირებს, რომლებიც ხელში ჩაიგდებდნენ ეგვიპტის საჭეს, როგორც კი იგი არაბისტანის ნახევარკუნძულზე სალაშქროდ წავიდოდა. ახლა ეს საფრთხე უკვე აღარ არსებობდა და მას შეეძლო გულდამშვიდებით შეესრულებინა ოსმალეთის ახალი ხვანთქრის დავალება, მისი ნდობა დაემსახურებინა და სტამბოლის ოფიციალური წრეებისათვის არ მიეცა ეგვიპტის გუბერნატორის პოსტიდან გადაყენების საბაბი. მამლუქებზე გამარჯვებით გაბედნიერებულ მუჰამედ-ალის მისთვის დამახასიათებელი გულგრილობითა და მზაკვრობით შეეძლო კაიროში წესრიგის აღმდგენლის როლი გაეთამაშებინა.

პატრულთა მეთაურებს და პოლიციელებს რომ ჩაუარა, გუბერნატორი გაჩერდა და მათ საყვედურით მიმართა საყოველთაო ძარცვა-გლეჯისათვის, რომელსაც ქალაქში ჰქონდა ადგილი. პატრულები და პოლიციელები თვითონ პირველთა შორის პირველნი დაერივნენ ხალხს საძარცველად და რა წესრიგი უნდა დაემყარებინათ. სხვებმა მათ მაგალითს მიჰბაძეს.

ფაშამ ჩაიარა იმ ქუჩაში, სადაც შემწვარი ხორცითა და საგალანტერიო საქონლით ვაჭრობდნენ მაღრიბელნი და ბერძენნი. ერთი მაღრიბელი მეწვრილმანე მრისხანე გუბერნატორს წინ გამოუხტა და შეჰყვირა:—რას ჰგავს ეს? რა საერთო გვაქვს ჩვენ ყოველივე ამასთან, რომ ჯარის კაცები გვძარცვავენ? ჩვენ ხომ ღარიბი ხალხი ვართ—მაღრიბელი წვრილი ვაჭრები და არა მამლუქები და სამხედრო მოხელენი? ფაშამ ტაიჭი შეაჩერა და პროტესტის თამამ გამცხადებელს შინ კაცი გააყოლა. მაღრიბელის სახლში წაისწრეს ორი მძარცველი—ერთი თურქი, მეორე კი—კაიროელი მოქალაქე. აგროვებდნენ იმას, რაც მთავარ მძარცველებს გადარჩენოდათ. ორივე წაიყვანეს და თავები დასჭრეს.

ალ-კაკიიინის ქუჩაზე მუჰამედ-ალის კაცი შემოხვდა—შეიხები შეიკრიბნენ, უნდათ შემოგეგებონ და გამარჯვება მოგილოცონო. მე თვითონ ვეწვევი იმათო,—უპასუხა ფაშამ შიკრიკს, — ესტუმრა შეიხ აშ-შარკავის და მასთან მასლაათში ერთი სასიამოვნო საათი გაატარა. ამ შეიხთან თავი შეეფარებინა ორ მამლუქ კაშიფს და მფარველობა ეთხოვათ. აშ-შარკავიმაც მათთვის თავი გამოიდო — შეიწყალე ესენი, ნუ დასჯი სიკვდილით და უშიშროების სიგელიც დაუწერე, არ შემირცხვინო ჩემი ჭაღარა წვერი, შვილო ჩემო, ყური ათხოვე ჩემს შუამდგომლობას, უბოძე მათ მახრამა ალ-ამანიო (ეს იყო ქსოვილის ნაჭერი—მოსახვევი, რომელიც უშიშროების თავდების ნიშნად გაიცემოდა)— შესთხოვა შეიხმა მაღალ სტუმარს. მუჰამედ-ალიმ უპასუხა: შენი შუამდგომლობა მიღებულია, მაგრამ არავითარ მახრამა ალ-ამანს ჩვენ არ ვიძლევით, მათი უშიშროების საწინდარს წარმოადგენს ჩემი სიტყვა; თუ გნებავთ, ჩვენ დავწერთ საბუთს ამ კაშიფთა ხელუხლებლობის შესახებ და კაცის ხელით წარმოგიდგენთო. შეიხი დამშვიდდა. თითქოს საიმედო საფუძველიც ჰქონდა. ეგვიპტის ისტორიაში პირველი შემთხვევა ხომ არ იყო, როცა ხელისუფალნი ანგარიშს უწევდნენ შეიხის შუამდგომლობას და ავტორიტეტს.

მუკატამის სასახლეში დაბრუნებულმა მუჰამედ-ალიმ წერილით შეუთვალა შეიხს—ორივე ის მამლუქი ჩემთან გამოგზავნეო. აშ-შარკავიმ მასთან შეხიზნულ კაშიფებს უთხრა: ფაშამ გამოგზავნა ეს წერილი, რომლითაც აღთქმას დებს თქვენი შეწყალების შესახებ, თანაც ორივენი თავისთან მოგითხოვათო. მათ მიუგეს, როცა ვეახლებით, უეჭველად დაგვხოცავსო. შეიხმა შეშინებულ კაშიფებს დამშვიდება დაუწყო: წარმოუდგენელი ამბავია, რომ ჩემი სახლიდან გაგიძახოთ და ჯალათს მიგცეთ საზვარაკედ, როცა იგი თქვენს სიცოცხლეს შეეპირდაო.

კაშიფები შიკრიკს წაჰყვნენ. ასრულდა მათი ცუდი წინათგრძნობა. გაწბილდა შეიხი აშ-შარკავი. მუჰამედ-ალისათვის არაფერს ნიშნავდა ეგვიპტის დაწერილი და დაუწერელი კოდექსები, მიცემული სიტყვის ღირსება, მორალური ნორმა და სტუმარ-მასპინძლობის ადათი, როცა საქმე მისი ერთპიროვნული დიქტატურის უზრუნველყოფას შეეხებოდა. როგორც კი ეს ორი კაშიფი მუკატამის სასახლის ეზოში შევიდნენ, ისინი მაშინვე სასაკლაოს მსხვერპლად გამზადებულ ადამიანთა რიცხვს მიუმატეს.

იმ დროს, როცა მუჰამედ-ალი ქალაქში საინსპექციოდ მიმოდიოდა, მისი ვაჟი ტუსუნიც კაიროში ჩავიდა. მანაც ჩამოიარა სატახტო, ერთ მძარცველს ანგარიში გაუსწორა და ყაჩაღობაც შეწყდა.

მამლუქი ემირებისა და მათი რიგითი თანამებრძოლების დაპატიმრებანი ისევ გრძელდებოდა. ატუსაღებდნენ ყველას, ვინც ტანისამოსით მამლუქს წააგავდა. ბევრი მამლუქი დულატების ჯარს შეერია, მათი ფორმა გადაიცვა და ამ გზით მოახერხა ზემო ეგვიპტეში გაქცევა. ზოგიერთმა იკადრა ფელახ მანდილოსანთა ტანისამოსის ჩაცმა, მათ ჯგუფებს შეუერთდა და ასე დააღწია თა-

ვი სიკვდილის ხაფანგს. გადარჩენილი მამლუქები გაიქცნენ სირიასა და სხვა ქვეყნებში.

ბევრი მამლუქი ემირი მუკატამის ტრაგედიის დროს კაიროში არ იმყოფებოდა — პროვინციაში წასულიყო გადასახადების ასაკრეფად. სხვა გამოსავალი ვერ ეპოვათ. მუჰამედ-ალი უდიდესი სიმკაცრით მოითხოვდა ბეგარას, წელში გაწყვეტილ ფელახებს კი ეს გადასახადი ვერ შეჰქონდა. მაგრამ ემირებს არავინ აპატია—მათ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ევალებოდათ გაემდიდრებინათ ეგვიპტის გუბერნატორის ხაზინა. ამ გარემოებამ ისინი აიძულა პირადად ეცადათ გადასახადების აკრეფა. სწორედ ამ დროს მოუსწრო მათ მუკატამის მთაზე თოფის გასროლამ. კაშიფებს, რომლებიც პროვინციების გამგებელთა როლს ასრულებდნენ, კაიროდან მისწერეს — დახოცეთ მაქ მყოფი მამლუქი ემირებიო. მათაც აღასრულეს ვერაგული ბრძანება და თავები სატახტოში გაგზავნეს.

მოკვეთილ თავებს ალაგებდნენ ბაბ-ზუვაილას კარებთან — სწორედ იმ ადგილას, სადაც ორას ოთხმოცდათოთხმეტი წლის წინათ ეგვიპტის დაპყრობამ სელიმ პირველმა ჩამოახრჩო მამლუქთა დინასტიის უკანასკნელი სულთანი თუმან-ბეი. ნიშანდობლივი დამთხვევა იყო. ბაბ-ზუვაილას ეს საბედისწერო კარები დაჰკიდეს XI საუკუნეში—ალ-აზჰარის უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთით.

მამლუქთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის დროს მათმა ჯალათმა მუჰამედ-ალიმ ამ საქმეში უსაზღვრო უფლებამოსილებით აღჭურვა ის მაღალი მოხელენი, რომლებიც განსაკუთრებით იყვნენ ცნობილნი, როგორც მამლუქი ემირების მტრები.

არაბი ისტორიკოსი აბდარახმან ალ-ჯაბარტი თავისი ვრცელი თხზულების მეოთხე ტომში თორმეტ გვერდს უთმობს მუკატამის სისხლიანი ამბების აღწერას. იგი გულთბილად იხსენიებს მამლუქ ემირებს და ვერ მალავს სიძულვილს ოსმალი დამპყრობლებისა და მარიონეტებისადმი. განსაკუთრებით ხოტბას ასხამს მამლუქებს იმისათვის, რომ სიკვდილის წუთებში არ დაივიწყეს ისლამის რჯული, ყურანის კითხვითა და ლოცვების ღაღადით შეეგებნენ თავიანთ აღსასრულს.

დაღუპულთა შორის ჯაბარტი ასახელებს გამოჩენილი ქართველი მამლუქი ბელადის მუჰამედ-ალ-ალფის მომხრე შვიდ ბეგს და ჩვიდმეტ კაშიფს, თანაც შენიშნავს—დანარჩენები ვერ გავიხსენეო. მამლუქთა სხვა დასებიდან იმავე ისტორიკოსს დასახელებული ჰყავს თოთხმეტი ბეგი.

მუჰამედ-ბეი-ალ-ალფის მომხრე შვიდი დაღუპული ბელადი იყო: შახინ-ბეი-კაბირ ალ-ალფი, იახია-ბეი, ნუმან-ბეი, ჰუსაინ-ბეი უმცროსი, მურად-ბეი, მუსტაფა-ბეი უმცროსი, ალი-ბეი. დაღუპულთა შორის ერია იბრაჰიმ შინჯიკაშვილის ვაჟი მარზუკ-ბეიც.

ალ-ალფის მომხრე ბელადებიდან, ჯაბარტის სიტყვით, გადარჩა ორი ბეგი. ერთი—იბრაჰიმ შინჯიკაშვილის სიძე—ადილა ხანუმის მეორე ქმარი აჰმადბეი, რომელიც მაშინ კაიროში არ იმყოფებოდა. მეორე გადარჩენილს ერქვა ამინ-ბეი. იგი გადაძვრა ციხე-სიმაგრის კედელზე და სირიაში გაიქცა[1].

პიერ ლარუსის ენციკლოპედიაში წერია, რომ ზემოაღწერილ ამბებს, „რაღაც სასწაულით გადაურჩა იბრაჰიმ-ბეი-უფროსი" (შინჯიკაშვილი). ცნობილი ენციკლოპედიის ეს მტკიცება ჩვენთვის გაუგებარია. დიდი იბრაჰიმ-ბეი რა ხანია დონგოლაში (სუდანი) იყო გაძევებული და მის გადარჩენას სასწაული რად სჭირდებოდა.

ჯაბარტი არ ასახელებს მუკატამის სასახლეში მიწვეულ მამლუქთა ზუსტ ციფრს. მისი აღწერიდან გამომდინარეობს, რომ კაიროში ვინც იყო, ყველა უნდა ყოფილიყო მიწვეული. ევროპული წყაროებით კი ვიცით, რომ მიპატიჟებულ მამლუქთა რიცხვი 480-მდე ადიოდა. ამ აზრს ავითარებს გიორგი ებერსი[2]. ლარუსის ენციკლოპედიის ცნობით, სააღლუმო წვეულებაზე 470 მამლუქი ბეგი დაიღუპა[3]. ევროპელი ავტორები აგრეთვე წერენ ლეგენდარული რიგითი მამლუქის ჰასანის შესახებ, რომელმაც ცხენი გალავანს გადაატარა და ოცი მეტრის სიმაღლიდან გადახტა, რათა თავი გადაერჩინა. იმავე წყაროების ცნობით, ეს იყო ერთადერთი კაცი, რომელმაც თავი დააღწია მუჰამედ-ალის ხაფანგს. იგი წარმოშობით ქართველი მამლუქი ყოფილა. ამ ნახტომის საოცარი ამბავი 1843 წელს ა. უმანეცს ჩააწერინა ოსმან-აღამ, იმ კაცმა, რომელმაც უფროსთა ბრძანების თანახმად, ალი-აზაბის ალაყაფი ჩაუკეტა ციხიდან დალმართში მიმავალ მამლუქებს[4]. ალ-ჯაბარტი ამ უცნაური ჰასან ქართველის შესახებ არაფერს ამბობს. მხოლოდ, როგორც ზემოთ ვნახეთ, იგიც წერს ერთადერთ მამლუქზე, რომელიც ხელიდან დატყვრომია მძვინვარე მუჰამედ-ალის. ესაა, მისი სიტყვით, ამინ-ბეი, რომელიც ციხე-სიმაგრის კედელზე გადამძვრალა და სირიაში გაქცეულა[5]. მართალია, დიდი განსხვავება არსებობს გალავანზე ცხენიანად გადავლებასა და გადაძრომას შორის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც უფლება გვაქვს ვიკითხოთ: ეს ამინ-ბეი ხომ არ არის ის ერთადერთი ლტოლვილი მამლუქი, რომელზედაც მოგვითხრობენ ევროპული და რუსული წყაროები. აქ ადგილი ხომ არ აქვს სახელების აღრევას და უზუსტობას სასოწარკვეთილი მამლუქის მოქმედების აღწერაში?! მომავალმა კვლევა-ძიებამ ამ

---

[1] აბდარახმან ალ-ჯაბარტი, ეგვიპტე მუჰამედ-ალის ძალაუფლების ქვეშ (რუს. გამოც.), 1944, გვ. 299—311. შდრ. ამ. ცამციშვილი, მამლუქის ნახტომი (კრებ. „ისინდი", გამომც. „ნაკადული").

[2] ბ. სილაგაძე, ლტოლვილი მამლუქი, „ახალგაზრდა კომუნისტი", 1957, 10 აგვისტო.

[3] პ. ლარუსის დიდი მსოფლიო ენციკლოპედია, ტ. IX, გვ. 536.

[4] ბ. სილაგაძე, დასახ. სტატია.

[5] აბდარახმან ალ-ჯაბარტი, დასახ. შრომა, გვ. 307—311.

საკითხს შუქი უნდა მოჰფინოს. ლეგენდარული ჰასანის შესახებ არაბულმა სიტყვაკაზმულმა მწერლობამ შექმნა რომანი „ლტოლვილი მამლუქი“.

ზემოხსენებული ამინ-ბეის, ისევე, როგორც მუკატამის სასახლეში მიპატიჟებული სხვა მამლუქების ქართველობაზე, აბდარახმან ალ-ჯაბარტი, თავისი „მეთოდური დუმილის“ საერთო ტაქტიკის შესაბამისად, არაფერს წერს. მაგრამ გვაქვს იმავე ავტორის საგულისხმო არაპირდაპირი აღიარებანი. მაგალითად, ზოგიერთი მაშინდელი მამლუქი ბელადის შესახებ იგი გაკვირვებული კაცის ტონით შენიშნავს—არაბზე ნაკლებად როდი იცოდა ჩვენი ენა და ენამჭევრობაშიც არაბს არ ჩამორჩებოდაო. ამავე დროს მამლუქი ბელადების დახასიათებისას ჯაბარტი არ ივიწყებს მათ აღწერას და მიუთითებს სახის ფერზე (მაგალითად — შავგვრემანობაზე)[1].

ზოგიერთმა ევროპელმა ისტორიკოსმა იმ საბედისწერო პაემანზე მომხდარ ამბებში მამლუქებს სითამამისა და მამაცობის ნაკლებობა დასწამა. ამ აზრის წინააღმდეგ გალაშქრებას წარმოადგენს გაბრიელ ჰანოტოს „ეგვიპტის ისტორიის“ ციკლის მეხუთე ტომი. იქ შენიშნულია, რომ გზა იყო ძალიან ვიწრო და დაკლაკნილი, სადაც ცხენის მობრუნებაც კი არ შეიძლებოდა. თანაც ბედაურებს შეეძლოთ მხოლოდ ტაატით სვლა. თუ ამას გავითვალისწინებთ, არ გაგვიკვირდება, რომ დაღალატებულმა მამლუქებმა ვერავითარი წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოახერხესო,—დასძენს ხსენებული ციკლის მეხუთე ტომის ავტორი[2].

1811 წ. 4 მარტს, ანუ რვა საფარს გამოაცხადეს, რომ იძლეოდნენ მოკლულ მამლუქთა ცოლების უშიშროების გარანტიას. მათ მისცეს წინადადება დაბრუნებულიყვნენ და ეცხოვრათ თავიანთ სახლებში, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახლები აკლებული იყო. ზოგიერთი ქალი, შედარებით ნაკლებად დაზარალებული, დაბრუნდა, ზოგიერთი კი კვლავ იმალებოდა. მუჰამედ-ფაშამ თავის ფავორიტებს აჩუქა მამლუქი ემირების სახლები ყოველივეთი, რაც ამ სახლებში მოიპოვებოდა. ფავორიტები ჩასახლდნენ ბინებში, ქალებს ბეჭდები წამოაცვეს, განაახლეს მოწყობილობანი, რაც უმთავრესად ნაძარცვი ქონების ხარჯზე მოხდა. მუჰამედ-ფაშამ თავის ნათესავ ჰუსაინ-აღას მისცა შაჰინ-ბეის სახლი, რომელიც სხვებზე ნაკლებად დაზარალდა. შას ესაზღვრებოდა ტაჰირ-ფაშას სახლი და ამ უკანასკნელმა ჯარისკაცთა რაზმი გაგზავნა, რომელიც კარებთან დარაჯობდა იმ ბინას. რაც შეეხება აჰმედ-ბეი-ალ-ალფის, მან, მიიღო რა ცნობა უბედურების შესახებ, ბუშა დატოვა და ზემო ეგვიპტის ემირებთან გაემგზავრა. როცა ამ უკანასკნელთ შეიტყვეს უბედურების ამბები და იბრა-

---

[1] აბდარახმან ალ-ჯაბარტი, დასახ. მონოგრაფია, რუს. გამოც., 1964, 86—87, 116. ბევრ მამლუქ გმირს, ამავე ავტორის სიტყვით, გატაცებით ჰყვარებია არაბული ლიტერატურა და ხელნაწერთა ქომაგი ყოფილა.

[2] ეგვიპტის ისტორია გაბრიელ ჰანოტოს რედაქციით (ფრანგულ ენაზე), ტომი 5, გვ. 448—449.

ჰიმ-ბეიმაც გაიგო ვაჟის დაღუპვა, მათ იწყეს დატირება თავიანთი ძმებისა და ძაძებით შეიმოსნენ. უბედურების მეორე დღეს კაიროში ჩავიდა ერთი კაშიფი, რომელიც წარმოგზავნეს ზემო ეგვიპტის ემირებმა. კაშიფი იმ ემირთა სახელით ფაშას სთხოვდა—გვაპატიე და ტერიტორია გამოგვიყავი, სადაც შეგვეძლება ვიარსებოთო. ფაშამ ცივად მისცა დაპირება — პასუხს სხვა დროს გაუწყებთ და უგულებელყო ეს საქმე, მე არ ვიცი, იგი რით დასრულდაო, დასძენს ჯაბარტი. იმავე დღეს ფაშამ თავისი ძმისშვილი მუსტაფა-ბეი დანიშნა დულატების კორპუსის მეთაურად. მან იგი გამოიძახა აშშარკაეიიდან, რათა წასულიყო ზემო ეგვიპტეში. ზემო ეგვიპტიდან კაიროში ჩამოიყვანეს 64 კაცი. მათი უმეტესობა ეკუთვნოდა ძველ საგვარეულოთა შთამომავლობას, რომლებიც ეგვიპტეში უხსოვარი დროიდან დამკვიდრებულიყვნენ. ეს იყო სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობის ხალხი. ტუსაღები ძველ კაიროში ჩაიყვანეს, ერთი ღამე დამწყვდეული გაატარებინეს, შემდეგ ნილოსის სანაპიროზე აანთეს მაშხალები და ყველას თავები დასჭრეს და ბაბზუვაილას კარებთან მიიტანეს ხალხის საჩვენებლად.

მართალია, ზემოაღნიშნული ტრაგედია მუჰამედ-ალმა გაითამაშა ძირითადად იმისათვის, რომ არაბეთის ნახევარკუნძულზე აჯანყების ჩასაქრობად ხვანთქრის დავალებით წასულს ზურგში მამლუქები არ დაეტოვებინა და თავისი თავი არ ჩაეგდო ეგვიპტის დაკარგვის საფრთხეში[1], მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ იყო მეორე მიზეზიც: მამლუქთა საკითხი მუჰამედ-ალმა გამოიყენა იმისათვის, რომ თავისი ჯარის სიხარბე დაეკმაყოფილებინა და ამავე დროს ანგარიში გაესწორებინა ყველასთან, ვინც კი მისი რეჟიმით უკმაყოფილებას ამჟღავნებდა. ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ მამლუქთა გაჟლეტის ამბავი კაიროს მოსახლეობის ტრაგედიად იქცა და არა მარტო მამლუქთა სამყარო განადგურდა, არამედ დიდად დაზარალდა ეგვიპტის მთელი სატახტო.

მამლუქთა მოსპობის დღეს მუჰამედ-ალის სიძემ,—გიზეს მმართველმა მუხარამ-ბეიმ, თავისი საგამგებლო პროვინციის საძოვრებზე თავი მოუყარა დაღუპულ მამლუქთა ავლადიდებას: ცხენებს, აქლემებს, დრომადერებს და სხვა პირუტყვს. გამარჯვებულთა წინაშე უთვალავი ჯოგები აიგრაგნა.

მამლუქებმა, კლოტ-ბეის ვერსიით, შეთქმულება მოამზადეს მეჰმედ-ალის წინააღმდეგ. შეთქმულება გამომჟღავნდა. მამლუქებსა და მეჰმედ-ალს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომის საკითხი დაისვა. ვიცე-მეფემ ისარგებლა კანონიერი დაცვის უფლებით. მან დაასწრო მამლუქებს. საშინელი სამსჯავროს დღედ 1811 წლის 1 მარტი იქნა ამორჩეული. მამლუქები მიიპატიჟეს კაიროს ციხე-სიმაგრეში, რათა დასწრებოდნენ მეჰმედ-ალის შვილ ტუსუნ-ფაშასათვის საზეიმო ინვესტიტურების გადაცემას. ტუსუნ-ფაშა უნდა გაძღოლოდა ჯარს არაბისტანის აჯანყებულთა საიერიშოდ. დეფილეში ალბანელთა ჯარმა უმოწ-

[1] იხ. ამის შესახებ ბ. სილაგაძის დასახელებული სტატია.

ყალოდ დაცხრილა მამლუქები. მამლუქთა დიდი ნაწილი პროვინციებში იქნა განადგურებული, მათი კორპუსის სუსტი ნაშთები ეთიოპიაში გადავიდა. როცა მთავარი მასა მოსპობილ იქნა, ვიცე-მეფემ აკრძალა იმათი დევნა, ვინც თავს უშველა საშიშროების პირველ წუთებში. მეჰმედ-ალი ებრძოდა ქასტას და არა ცალკეულ პირთ. ბევრი გადარჩენილი მამლუქი თავის სამსახურშიც მიიღო, დაუტოვა რა მათ მთელი ის სიმდიდრე, რასაც მანამდე ფლობდნენ, დაღუპულ მამლუქთა ცოლებს და შვილებს პენსიები დაუნიშნა და ა. შ. ამგვარად, კლოტ-ბეის აზრით, მეჰმედ-ალმა ერთ საშინელ დღეს მიაღწია იმას, რასაც ვერ მიაღწია ოსმალეთმა ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში[1].

კლოტ-ბეის უკანასკნელი დებულება მოკლებულია მეცნიერულ სიზუსტეს: როგორც ცნობილია, სელიმ პირველმა, რომელმაც მამლუქები დაამარცხა, განზრახ შეინარჩუნა ისინი ეგვიპტის ადმინისტრაციაში, გაჰყო ეს ქვეყანა ოცდაოთხ ოლქად და მამლუქ ბეგებს მიანდო ოსმალეთის ხარკის აკრეფის ორგანიზაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვით სელიმ პირველის ყბადაღებულ სისტემაში იყო ჩამარხული მამლუქთა შფოთისა და მომავალ აფეთქებათა თესლი. თვითონ ოსმალებმა 1517 წელს მოპოვებული ისტორიული გამარჯვების შემდეგ პრინციპულად როდი გაილაშქრეს მამლუქობის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტის წინააღმდეგ. მათ მოეწონათ თვით იდეა მამლუქობისა, ჯარის შედგენის მამლუქური წესი და ხელი მიჰყვეს მამლუქთა თავიანთი (ოსმალეთისეული) რაზმების ჩამოყალიბებას. ეს რაზმები შემდეგში ცხოვრებისეულად დაუპირისპირდნენ მამლუქთა იმ ნაკადს, რომელიც ძველი წესით იქმნებოდა და, რომელსაც მონური წარმოშობის მამლუქთა ნაკადი უწოდეს.

კლოტ-ბეის დებულება მამლუქთა განუყოფელი და შეუწყვეტელი ძლევა-მოსილების შესახებ განცალკევებულად როდი დგას ფრანგულ სამეცნიერო ლიტერატურაში. არსებითად იგივე დებულება არის გამოთქმული ა. გაზიეს „ახალ კლასიკურ ენციკლოპედიაში“, რომელიც 1887 წლის მაისში გამოიცა. აქ მამლუქი განმარტებულია, როგორც ჯარისკაცი ცხენოსანი მილიციისა და მოცემულია მტკიცება, რომ ეს მილიცია ეგვიპტეში გაბატონებულ ძალას წარმოადგენდა 1254 წლიდან 1811 წლამდე[2]. ცხადია, გაზიეს ენციკლოპედიის ეს დებულება სიზუსტესაა მოკლებული.

მიუხედავად ზემოხსენებული უზუსტობისა, უნდა აღინიშნოს, რომ კლოტ-ბეიმ და სხვა ევროპელმა ავტორებმა სათანადო მიუზღეს იმ გმირულ და დაუცხრომელ სულს, რომელიც მამლუქებმა თავიანთი დრამატული ისტორიის უკანასკნელ პერიოდშიც გამოავლინეს[3].

[1] ა. ბ. კ ლ ო ტ-ბ ე ი, ეგვიპტე მის წინანდელ და ახლანდელ მდგომარეობაში (რუს. თარგმანი ფრანგულიდან), ნაწ. I, 1845, გვ. III—IX.

[2] ახალი კლასიკური ილუსტრირებული ენციკლოპედია, შედგენილი ა. გაზიეს მიერ, პარიზი, 1887 (ფრანგულ ენაზე), გვ. 466. 1254 წელს როგორც ეგვიპტეში მამლუქთა პირველი დინასტიის დაბადების თარიღს, იზიარებს ბევრი ფრანგი ავტორი.

[3] გმირობა არ იყო ეგვიპტელ ქართველთა მონოპოლია. როგორც კარსტენ ნიბური წერს, როცა 1759 წელს ბასრასთან ქერიმხანი ყველა ჯარმა მიატოვა, ბრძოლის ველზე მარტო ქართველები დარჩნენ და ომის ბედი ქერიმის სასარგებლოდ შემოატრიალეს.

# ᲦᲐᲣᲦ-ᲤᲐᲕᲐ

# შესავალი

„მთლად საქართველოს დიდი ხნის ცხოვრებას უწოდებენ მარტიროლოგს, ანუ დაუსრულებელ ტანჯვათა მოთხრობას. ძნელად თუ ამაზედ უკეთეს სახელს მოუგონებდნენ მას იმის შემდეგ, როცა ისტორიამ აღნიშნა ეს ქვეყანა იგი ახდამატივით იზიდავდა სხვადასხვა ერთა, რომელნიც მოისწრაფვოდნენ მისკენ ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან, შორეულ დასავლეთიდან და, როდესაც უკან ბრუნდებოდნენ, აქ აოხრების კვალს სტოვებდნენ“[1]. პოტოს ეს სიტყვები მთელი სისრულით ასახავენ საქართველოს ბედკრულ წარსულს. მართლაც, იშვიათად თუ მოინახება დედამიწაზე სხვა ისეთი ერი, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე იმაზე მეტი ჭირ-ვარამი და ჭეშმარიტად გმირული ბრძოლები გადაეტანოს, რამდენიც მადლიანი ქართული მიწა-წყლის შვილებმა განიცადეს. ამაზე ერთნაირი სიცხადით ღაღადებენ როგორც წერილობითი წყაროები—მატიანენი, ისე ის აურაცხელი ისტორიული ძეგლები, რომლებიც თითქმის ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე გვხვდება კლდეში გამოკვეთილი ქალაქების, მათთან მისასვლელი გზა-ბილიკების, ციხე-სიმაგრეების, მათში შესასვლელ-გამოსასვლელი გვირაბების, წყალგაყვანილობის, ნაქალაქევ-ნასოფლარების თუ სხვათა სახით. არა გვგონია, დედამიწის ზურგზე იყოს კიდევ, სხვა ისეთი ქვეყანა, სადაც „მოიპოვებოდნენ ესოდენი მუნჯი მომსწრენი ერის ისტორიისა“[2].

საქართველოს დასაპყრობად და მისი ხალხის დასამორჩილებლად ძველი დროიდან მოყოლებული XIX საუკუნემდე ერთმანეთს ცვლიდნენ და ეცილებოდნენ რომაელები, ბიზანტიელები, სპარსები, არაბები, თურქ-სელჩუკები, ხვარაზმელები, მონღოლები, თურქმანები, თურქ-ოსმალები და ყიზილბაშები. მომხდურთა მრავალრიცხოვანი ურდოების გამუდმებული შემოსევა ქვეყანას მოსვენება-მომძლავრების საშუალებას არ აძლევდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ჩვენში XVI—XVIII საუკუნეებში, როცა მონღოლ-თურქმანთა ლაშქრობების შედეგად ცალკე სამეფო-სამთავროებად დაშ-

---

[1] ვ. პოტტო, საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო. ტფილისი (თარგმანი ი. ბაქრაძისა), 1894, გვ. 2.

[2] იქვე.



მამლუქი და მისი საისი (მსახური, მეჯინიბე)

ლილ-დასუსტებული საქართველო ოსმალური თურქეთისა და ყიზილბაშური ირანის საცილობელ ქვეყნად, მათი დაპყრობის უშუალო ობიექტად იქცა. ეს ორი სახელმწიფო სამი საუკუნის მანძილზე იყოფდა საქართველოს მიწა-წყალს, 300 წლის განმავლობაში იპყრობდა ამ ქვეყანას და მის დასამორჩილებლად ფართოდ იყენებდა დათრგუნვის ყველა ფორმას: ბრძოლებს, ადგილობრივი მოსახლეობის აყრა-გადასახლებასა და მათ ადგილზე ნომადური ტომების ჩამოსახლებას, თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური წესების—„ოსმალობა"-„ყიზილბაშობის" დამკვიდრებას და ყოველივე სულიერსა თუ უსულოზე უზომო გადასახადების დაწესებას. მაგრამ, ჟამმა ისინი საბოლოოდ ისე გაჰყარა და შეარცხვინა, რომ საწადელს ვერ მიაღწიეს. ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლების წყალობით ვერც ერთმა დამპყრობელმა ქართველობის მოსპობა, ქართველების ასიმილაცია და საქართველოში სამუდამოდ დამკვიდრება ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, თავიანთი ავაზაკური მოქმედებით, საუკუნეთა განმავლობაში რომ გრძელდებოდა, ის მაინც გააკეთეს, რომ ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობაში ჩააყენეს და მის გამოჯანმრთელება-მომძლავრებას საუკუნეები დასჭირდა.

თითოეული ომის გადატანა ჩვენს წინაპართ მეტად ძვირად უღირდათ. ისინი სისხლისაგან იცლებოდნენ და ბრძოლის ველზე ეცემოდნენ, ან მტერს ტყვეებად მიჰყავდათ. ქვეყანა კნინდებოდა და მოსახლეობა სწრაფად მცირდებოდა. ცენტრალური ხელისუფლება თანდათან სუსტდებოდა და ამის გამო ისობით სულ უფრო მატულობდა აღვირახსნილ ფეოდალთა ცენტრიდანული ტენდენცია, რამაც საქართველო „პოლიტიკურ დაჩიხულობამდე“ მიიყვანა და ბტრებს საქმე საგრძნობლად გაუადვილა.

უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვეყნის ეკონომიკა. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ წამოწყებული ყველა შრომისუნარიანი, ვისაც ხმლის ტარება შეეძლო, მეფე-მთავრების ლაშქარში იყო. სოფლად თუ ქალაქად დარჩენილი იყვნენ მხოლოდ ქალები, მცირეწლოვანნი და ღრმა მოხუცები, რომლებიც, ჯერ ერთი, თავიანთი ფიზიკური შეუძლებლობის გამო მთელი ქვეყნის ბაღ-ვენახებისა და სახნავ-სათესი ადგილების მოვლა-დამუშავებას ვერ ასწრებდნენ, ხოლო მეორე, რის დამუშავებასაც ახერხებდნენ, ისიც უმეტეს შემთხვევაში ბრძოლების დროს ნადგურდებოდა, ან მტერს მიჰქონდა და ქვეყანაც თანდათანობით პარტახდებოდა. ამ პროცესს ომების გარდა ხელს უწყობდა და აჩქარებდა „ოსმალობა“-„ყიზილბაშობა“, მძიმე საგადასახადო სისტემა და უზომო ხარკი. დამპყრობლები პირველი წარმატებისთანავე შეუდგებოდნენ ხოლმე დამარცხებულის ტერიტორიის აზომვა-აღწერას და საგადასახადო წიგნების შედგენას. ასე აღწერეს ოსმალებმა ჯერ სამცხე-საათაბაგო (1595 წელს) და შეადგინეს „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“, ხოლო შემდეგ (1725 წ.) კი—ქართლიც. „ოსმალებმა აღწერეს ქართლი სრულად და დასდეს ხარკი კაცისა სულზედ დრაჰკანი, ცხვარზედ ორი შაური, ძროხაზედ აბაზი, კამეჩსა და ცხენზედ ექვსი შაური, მოსავალსა ზედა ხუთისთავი ხილითურთ“[1]. მიტაცებული ადგილების აღწერა-დაბეგვრაში ოსმალებს არც ყიზილბაშები ჩამოუვარდებოდნენ. ოსმალების მსგავსად მათაც აღწერეს 1569 წელს თბილისი და ქვემო ქართლი, ხოლო 1741 წელს კი—მთელი ქართლ-კახეთი და დაადგეს უზომო გადასახადი, რასაც ამბის მომსწრე ასე აგვიწერს: „ქრონიკონსა უკთ,... მოვიდა მუმეიზი, რომელს არს მწერალი ქვეყნისა, აღწერად ქართლისა ესრეთ იყო აღწერა, რაც ძველათ ნასოფლარი სადმე იყო ყველგან ზომეს მიწები საბლით და ხარკი დასდვეს. აგრეთვე ამ სახით შენობა სადმე იყო დიდი ხარკი დასდვეს, ვითარც ერანის ქვეყანაში მომცემი მიწა არს და ბევრი გამოსავალი აქვს, ამ ქვეყანას განუწესეს, თვალეს ვაზები ეგრე... რასაცა მიხედნენ. ვაზს ერთი ბისტი დასდვეს. სოფელსა და ბაღსა შინა რაც ხე ნახეს თითო შაური დასდვეს, კაცს ორი მინალთუნი, ყმაწვილსა ასაკოვანსა ხუთი აბაზი და შემდგომი ამისა ათს წლამდის ხარჯი დასწერეს, ყმაწვილზე, პირუტყუზე ყოველსა ზედა განაწესეს, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველისფერს შენობას ანუ

[1] ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდე (გამოც. ჩუბინაშვილის მიერ), სანკტ-პეტერბურგი, 1854, ნაწ. II, გვ. 88.

ოხერს ადგილს, ასეთი ხარჯი დასდევს, რომ ყოვლის კაცისგან დიდათ შეუძლებელი იყო"[1]. დამპყრობლის მიერ დაწესებული ასეთი დიდი გადასახადი, რომელსაც ადგილობრივ მებატონეთა ექსპლოატაციაც ემატებოდა, გლეხს საარსებო საშუალებას უსპობდა და სასოწარკვეთილებაში აგდებდა. ამიტომ ის ხშირად ბრძოლის პასიურ ფორმას იყენებდა, თავს ანებებდა მეურნეობას, ბაღ-ვენახებს თავისი ხელით კაფავდა[2], იყრებოდა და გარბოდა[3] ქართლიდან კახეთში, იმერეთიდან ქართლ-კახეთში, სამეგრელოდან აფხაზეთში ან კიდევ უფრო შორსაც[4], უცხოეთში[5], მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებში[6], „მრავალი სული აიყარა ამა ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გარდაიხვეწა"[7], რაშიც ოსმალებისა და ყიზილბაშების გარდა მეტად დიდი როლი შეასრულა ლეკიანობამ—დაღესტნელთა უსასრულო, თანაც ქურდულმა თავდასხმებმა.

მაგრამ, XVIII საუკუნის საქართველოს უბედურება მარტო ამით როდი ამოიწურებოდა. ოსმალებისა და ყიზილბაშების ბატონობის დასაწყისიდანვე ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთი საშინელი სენი დასჩემდა. ეს იყო „ტყვის სყიდვა", რომლის გავრცელებას ხელს უწყობდნენ გაბოროტებული თავადები[8], გაღატაკებული და ამ ნიადაგზე გააბრაგებული აზნაურიშვილები, ეკლესიის მსახურნი[9], პირველყოფილობაში — „ისტორიის მიღმა" (ლენინი) ჩარჩენილი ან ამ პირველყოფილობას დაბრუნებული „მარად ავის მოხარული (ბარის მიმართ) მთა,—ტყვის მყიდველები, იესირჯები, თულები, „ლეკები" და ყველა მათი წამქეზებელ-ხელის დამცლელი ყიზილბაშური ირანი და ოსმალური თურქეთი"[10]. ფეოდალური საზოგადოების აშკარა და თანაც სწრაფი დეგრადაციის მანიშნებელი ეს უდავოდ მძიმე ნიშანდობლივი მოვლენა, საუკუნეთა მანძილზე რომ

[1] პ. ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება (ჩუბინაშვილის მიერ გამოც.), სანკტ-პეტერბურგი, 1854, გვ. 345.

[2] იქვე.

[3] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბილისი, 1958, გვ. 353; მისივე, ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა ირანისა და ოსმალეთის ბატონობის პერიოდში, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიისათვის", თბილისი, 1957, გვ. 386.

[4] შ. მესხია, ფეოდალური საზოგადოების სოციალური აღნაგობა XVI—XVIII საუკუნეებში, საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 1958, გვ. 314—315.

[5] ვ. გუჩუა, კლასობრივი ბრძოლა ხიზნებსა და მემამულეებს შორის გვიანფეოდალურ საქართველოში, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 35, თბ., 1963, გვ. 148.

[6] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი", თბ., 1954, № 6, გვ. 130.

[7] პ. ორბელიანი, „საქართველოს ცხოვრება", თბ., 1913, გვ. 59.

[8] Путешествие Шардена по Закавказью в 1672—1673 гг., Тифлис, 1902, გვ. 35; არჭანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 161—162.

[9] П. Жузе, Грузия в 17-ой столетии по изображению патриарха Макария, Казань, 1905, გვ. 23—24.

[10] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

სუფევდა ჩვენში, აშკარა განადგურებას უქადდა მოსახლეობას. ყოველწლობით ათასობით რჩეული ქართველი, ქალი თუ კაცი, მეტწილად ბავშვები, რომლებიც სხვა უბედურებას თუ გადაურჩებოდნენ, ბოლოს ტყვის მყიდველებს უცხოეთში, უმთავრესად ოსმალეთსა და ირანში, მიჰყავდათ. თუ რაოდენ გავრცელებული და საშიში იყო ეს ავი სენი, ჩანს უცხოელი დამკვირვებლის ცნობიდანაც, სადაც ნათქვამია, რომ „მარტო სამეგრელოდან ყოველ წელს გასაყიდად ან გასაცვლელად 12.000 კაცი გაჰყავდათო“[1]. ასე იცლებოდა საქართველო ქართველებისაგან[2], რის გამოც შეშფოთებული თანამედროვე ოხვრით ამბობს: „აღარ დარჩა კაცი ქვეყნად. ურუმის ქვეყანა ქართლის კაცით აივსოო“[3].

უცხოეთში ტყვედწაყვანილ, გაყიდულ თუ თავისით გარდახვეწილ აურაცხელ ქართველთაგან მხოლოდ ზოგიერთს თუ ხვდებოდა წილად სამშობლოში დაბრუნების ბედნიერება, თორემ დანარჩენნი სამუდამოდ იქ რჩებოდნენ და სხვას მსახურებდნენ; ჩვეულებრივ სულთნების, შაჰების, ბეგლარბეგების, ფაშებისა და ბეგების შეიარაღებულ რაზმებს თუ ჰარამხანებს ამშვენებდნენ. იქ იწყებოდა მათი მეორე ცხოვრება, ნამდვილად მძიმე, მონური, რომელიც ტიპიური მონათმფლობელური წყობილების დროს არსებული წესებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ, თუ მაშინ მონა მონადვე უნდა მომკვდარიყო, ახლა უკვე, დღევანდელი მონა ხვალ შეიძლება სხვისი ბატონი და ქვეყნის პატრონიც გამხდარიყო, რადგან მისი წოდებრივ-უფლებრივი თუ თანამდებობრივი მდგომარეობა ბევრად იყო დამოკიდებული მისსავე პირად ღირსებებზე: ჭკუა-გონებაზე, ვაჟკაცობაზე, პატრონისადმი ერთგულ სამსახურზე, თავდადებაზე. ამიტომ ოსმალეთში და ირანში მოხვედრილი ქართველების მეტი წილი ამ ღირსებების წყალობით სწრაფად აღწევდა თავს მონურ მდგომარეობას; მალე წინაურდებოდა და ბევრი მათგანი მსხვილი ფეოდალი, ბეგი, ბეგლარბეგი, ფაშა ან სულთანი ხდებოდა. სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს „კალმასობის“ ავტორი, როცა ამბობს: „ისხდნენ კუალად კახეთიდამ და იმერეთიდან დაკარგულნი ტყვეები ბეგებად და ქეშიფებად[4]. მისრში (ეგვიპტე—ბ. ს.)

---

[1] Путешествие Шардена по Закавказью в 1672—1673 гг. Тифлис, 1902, გვ. 35.

[2] XVIII ს. II ნახევარში იმერეთში აღარ იყო აღარც ქალაქი და აღარც სოფელი, რომლებიც ამ სახელის ღირსნი ყოფილიყვნენო—აღნიშნავს იმ ხანად ჩვენში მყოფი გერმანელი დამკვირვებელი ი. რაინეგსი («Сокращенная исторія о Георгіи»—გამოქვეყნებული მ. დუმბაძის მიერ სათაურით: „რუსი ანონიმი მე-18 ს. II ნახევრის საქართველოს შესახებ“, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, თბ., 1963, ნაკვ. 35, გვ. 169).

[3] პაპუნა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 347.

[4] იოანე ბაგრატიონი, კალმასობა, გვ. 65; „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი“, ფონდი № 2170. ბაგრატიონის ეს სიტყვები და აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „ამავ ჟამთა (ჩქვ 1696 წ.—ბ. ს.) იპარვიდიან სილაღითა მცველნი ციხის თათარნი ტფილისისა, გორისა და სურამისა ტყვეთა და ჰყიდდნენ და შეერიათ ქართველთაცა ყიდვა ტყვეთა და იცვალებოდაცა ქცევა-ზნენი ქართლისანი (ხაზი ჩვენია—ბ. ს.) და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა“ („ქართლის ცხოვრება“, 1854. ნაწ. II, გვ. 67, ჩუბინაშვილის გამოცე-

მთლად ბეგებად ქართველნი არიანო[1].

ერთ-ერთი, ისეთებს შორის, ვინც ტყვეებით მოვაჭრე აბრაგებმა საქართველოდან გაიტაცეს, ოსმალეთში გაყიდეს, იქ დაწინაურდა, ერაყის გამგებელი გახდა და ბოლოს მთელი იმპერიის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედაც დასვეს — იყო ქართლელი გლეხის ბიჭი დავითი, რომელიც მაჰმადის რჯულზე მოქცევის შემდეგ ოსმალო ვაჭრებმა დაუდად მონათლეს[2]. ამ კაცის შესახებ ორი ათეული წლის წინათ ჩვენში არავინ არაფერი იცოდა. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დღემდე დაცული მისი ქართული წერილი, რომელიც მთავრდება სიტყვებით: „ბაღდადის ხელმწიფე დაუდ ფაშა“— თვითმარქვია კაცის ფანტაზიის ნაყოფად იყო მიჩნეული, რადგან ბაღდადის ხელმწიფედ დაუდი და ისიც ქართველი არავის ეგულებოდა. მაგრამ, კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა, რომ ამ წერილის ავტორი თვითმარქვია და ჭკუაზე გადასული კაცი კი არა, ერაყის ნამდვილი გამგებელი, ჭკვიანი ადამიანი და მრავალმხრივი სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწეც ყოფილა.

დაუდის შესახებ მრავალი საყურადღებო ცნობაა შემონახული არაბულ, თურქულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებზე დაწერილ ნაშრომებში, რომელთაგან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია რასულ ჰავი ეფენდის[3], სულეიმან-ბეგ ბენ ჰაჯი თალიბ ქაჰიას[4], ამინ ბენ ჰასან ალ-მადინის[5], ჰამდი-ბეგ ბაბანის[6], ოშე ლუას[7], ა. ნ. გროვესის[8], კერ-პორტერის[9], ვ. ფონტანიეს[10],

---

მა)—მოწმობენ, თუ რაოდენ არასწორია ვ. ჩოჩიევის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც აღმოს. საქართველოსათვის ტყეის სყიდვის პრაქტიკა თითქოს არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი (იხ. მისი ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, თბილისი, 1957, გვ. 355).

[1] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, თბ., 1895, გამ. II, გვ. 38.

[2] თურქები, როგორც კი იყიდდნენ ქრისტიანს, მაშინვე თურქულად ჩაასმევდნენ და ნიშნად მათის სჯულის მიღებისა, ააწევინებდნენ საჩუქნებელ თითს, უარს ათქმევინებდნენ ქრისტეს სჯულზე და ასწავლიდნენ თურქთა სჯულის წესსა და რიგს. ამას სჩადიოდნენ ქრისტიანთა ქვეყანაში, ვიდრე კონსტანტინეპოლში წავიდოდნენ (არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158).

[3] იხ. მისი تاريخ دوحت الوزراء ذيل كلشن خلفاء

[4] بغداد كوله‌من حكومتنك تشكيليله انقراضنه دائر رساله

[5] مطالع السعود

[6] مرآة الزوراء

[7] Relations de Voyages en Orient de 1830 a 1838. Paris, 1843, part I.

[8] journal of the Residence in Bagdad. London. 1832.

[9] Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babilonia during the years 1817, 1818, 1819, and 1820. London. 1822, Vol. II.

[10] Voyage dans l' Inde et dans le Galfe Persique. Paris, 1844, part I.

ჯ. ბ. ფრეზერის[1] და კლ. ჯემს რიჩის[2] ისტორიული თხზულებები, როგორც პირველწყაროები და ალ-მუჰამი 'აბბას ალ-'აზზავის,[3] კლ. უარის[4], ს. ჰ. ლონგრიგისა[5] და ა. ადამოვის[6] გამოკვლევები.

ქართულ და საბჭოურ ორიენტალისტურ ისტორიოგრაფიაში პირველ ცნობას დაუდის შესახებ გ. ბეი-მამიკონიანი გვაწვდის 1944 წელს გამოქვეყნებულ თავის შრომაში — „ქართველ მამელუკთა მბრძანებლობა ერაყში XVIII და XIX საუკუნეებში“[7], სადაც ავტორი დაუდისა და მისი წინამორბედი ზოგიერთი ფაშას მოკლე ბიოგრაფიის გადმოცემასთან ერთად, სრულიად მართებულად აყენებს საკითხს, რომ მამლუქთა ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს ისტორიასთან და ამიტომ საჭიროა მისი საფუძვლიანი შესწავლა.

გ. ბეი-მამიკონიანის ამ ნაშრომის გამოქვეყნებიდან დღემდე კიდევ რამდენიმე წერილი და გამოკვლევა დაიბეჭდა დაუდის შესახებ. ესენია: გ. ლეონიძის „დაუდ ფაშა“[8], ჩვენი კრიტიკული ხასიათის წერილი — „ზოგიერთი შენიშვნა გ.ლეონიძის ერთი წერილის გამო“[9] და „ერაყ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“[10], რომლებშიც ისე, როგორც მამიკონიანის აღნიშნულ ნაშრომში, განხილულია დაუდის ცხოვრება-მოღვაწეობის მხოლოდ ზოგიერთი საკითხი და ისიც მოკლედ. რაც შეეხება ვრცელ მონოგრაფიას, ასეთი ხასიათის ნაშრომი ამ ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიული პიროვნების შესახებ ჯერ არა გვაქვს. ამ ხარვეზის რამდენადმე შევსების პირველ ცდას წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომი, სადაც მხოლოდ დაუდის ცხოვრება-მოღვაწეობისა და მის გამგებლობაში მყოფი მაშინდელი ერაყის მდგომარეობის გადმოცემით ვიფარგლებით. ნაშრომი დაწერილია იმ ცნობათა საფუძველზე, რომლებიც მოიპოვება პირველწყაროს მნიშვნელობის წერილობით ძეგლებში—ნარატიულ ლიტერატურაში, დოკუმენტებში, გამოკვლევებში. რომლებზეც ხელი მიგვიწვდებოდა პირდაპირი თუ შემოვლითი გზით. ახალი ცნობების გამოკვლევისა და ძველთან მისი შეპირისპირების შედეგად ზოგი რამ ახლებურადაა წარმოდგენილი, ზოგიც შესწორდა. ამდენად, ვფიქრობთ, აღრეარსებულ მდგომარეობასთან შედარებით, საქმემ ოდნავ მაინც წაიწია წინ. მაგ-

---

[1] Travels in Koordistan and Mesopotamia. London, 1840. Vol. I—II.

[2] Narrative of a Residence in Koordistan. London, 1836, Vol. II.

[3] تاريخ العراق، بغداد، ١٩٥٤، ٦—ج [12]

[4] Histoire de Bagdad dans les temps Moderne. Paris, 1901.

[5] Four Centuries of Modern Iraq. Oxford. 1925.

[6] Ирак арабский, СПБ, 1912.

[7] საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, თბ., 1944, ტ. V, № 7.

[8] ჟურნ. „დროშა“, თბილისი, 1954, № 3.

[9] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, თბილისი, 1954, № 115.

[10] „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, თბილისი, 1960, ტ. 91 (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია), გვ. 355—383.

რაჰ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს წინამდებარე ნაშრომი იყოს ყოველის მომცველი და სრული. არის მასში რიგი ისეთი ცნობებისა და საკითხებისა, რომელთა სისწორე ჯერ კიდევ დასადგენია და ახალ კვლევა-ძიებას საჭიროებს. გარდა ამისა, ზოგიერთი პირველწყაროს მნიშვნელობის წერილობითი ძეგლი, რომელშიც ჩვენთვის საჭირო ცნობები მოიპოვება, სხვადასხვა მიზეზის გამო გამოუყენებელი გვრჩება. ამდენად, ეს ნაშრომი დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებებისაგან და ავტორი კმაყოფილებით მიიღებს ყველა იმ საქმიან შენიშვნას, რომელიც ამ ნაშრომის შესახებ იქნება გამოთქმული და დასაბუთებული.

## დაუდის გავშვება და ყრმობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუდი წარმოშობით ქართველია, იგი დაბადებული უნდა იყოს დაახლოებით 1774 წელს[1] ქვემო ქართლში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მისი მშობლები გიორგი და მარიამ მანველაშვილები[2] ორბელიანების ყმები იყვნენ[3]. 5 თუ 6 წლის დავითი ტყვეებით მოვაჭრე მარბიელებმა მოი-

[1] დაუდის დაბადების თარიღთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა ცნობები მოიპოვება. მე-19 საუკუნის ოციანი წლების არაბი ისტორიკოსები შეიხ 'უსმან ბენ სანად ულ-ბასრელი და მისი კომპილატორ-გამგრძელებელი ამინ ბენ ჰასან ულ-ჰალვან ულ-მადინის თხზულებაში „მატალი' ას-სუ'უდ" (مطالع السعود — ბედნიერების ამობრწყინება) დაუდის დაბადების თარიღად დასახელებულია 1188 წელი ჰიჯრით, რაც შეესატყვისება 1774 წელს (იხ. დასახ. ნაშრომის ბომბეის ლით. გამოცემა, 1885, გვ. 4). იგივე თარიღი აქვს დასახელებული თანამედროვე ერაყელ ისტორიკოსს ალ-მუჰამი, 'აბას ალ-'აზზავის ნაშრომში—„თარიხ ულ-'ირაყი"—(تاريخ العراق — ერაყის ისტორია, ბაღდადი, 1954, ტ. VI, გვ. 329) და კლემენტ უარს (იხ. მისი „Histoire de Bagdad. Paris, 1901, გვ. 168 და Da'ud Pasha, Enziklopaedie des Islam, Leipzig, 1912, გვ. 968), მაგრამ თანამედროვე ინგლისელი მკვლევარი სტეფან ჰემსლეი ლონგრიგი რატომღაც მიიჩნევს, რომ დაუდი დაბადებული უნდა იყოს 1767 წელს (იხ. მისი „Four Genturies of Modern Iraq. Oxford, 1925, გვ. 239). ამ მოსაზრებას იზიარებენ ქართველი მკვლევარებიც გ. ბეი-მამიკონიანი (იხ. მისი ნაშრომი „ქართველ მამელუკთა ბრძანებლობა ერაყში XVIII და XIX საუკუნეებში", „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", თბ., 1944, ტ. V, №7, გვ. 731) და პოეტი აკადემიკოსი გ. ლეონიძე (იხ. მისი— „დაუდ ფაშა", ჟურნალი „დროშა", თბ., 1954, № 3, გვ. 19—20).

[2] მანველაშვილი ძველი გვარი ჩანს, „ქ. მხუდა იოთამს იფნობს... მანველაშვილი", — აღნიშნულია 1924 წელს პროფ. ს. კაკაბაძის მიერ გამოცემულ „ბარათაანთ გაყრის წიგნი 1536 წლისაში" (იხ. „საისტორიო მოამბე", წიგნი I, გვ. 176, 188). იფნობი ქციის ხეობაში მდინარის მარცხენა მხარეზე მდებარე სოფელია, რომელსაც აღმოსავლეთით მირტაშენი და ირდასუბანი ესაზღვრება, ხოლო დასავლეთით სენები (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. იასე ლორთქიფანიძის „ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში", თბილისი, 1935, ნაწ. I—II, გვ. 316).

[3] 1954 წლის მარტში ჟურნალ „დროშის" მე-3 ნომერში გამოქვეყნდა პოეტ აკადემიკოს გ. ლეონიძის წერილი „დაუდ-ფაშა", რომელშიც ავტორი დაუდის დაბადების ადგილი-

ტაცეს და სათათრეთში წაიყვანეს[1]. ოსმალეთში გატაცებულმა დავითმა რამდენიმე პატრონი გამოიცვალა. ბოლოს იგი სხვა მის თანამემამულეებთან[2] ერთად ქ. ბაღდადში მიიყვანეს[3]. ამ ბენჰასან ულ-ჰალვან ულ-მადინის ცნობით, ბაღდადის ტყვეთა ბაზარზე გასაყიდად მიყვანილი 11 წლის[4] დაუდი მუსტაფა ბეგს[5] შეუძენია და სულეიმან ფაშა[6] ბუიუქისათვის[7] (სულეიმან

---

სა და გვარის შესახებ შეცდომით მიუთითებდა, რომ „დაუდ-ფაშა... ბოჩოლაშვილი ანუ მანველაშვილი დაბადებულია თბილისში“. ეს რომ ნამდვილად შეცდომაა, აშკარად ჩანს 1820 წლის ნოემბერში თავად ლუარსაბ იოანეს ძე ორბელიან-ყაფლანიშვილის მიერ გაცემულსა და ქ. თბილისის სამაზრო სასამართლოსაგან დამტკიცებულ „ბოჩოლაანთ გიორგის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელიდან“, სადაც ნათქვამია: „ჩყკ (1820 წ.) წელსა ნოემბრის ი(10) დღესა მე ქვემო ხელის მომწერელმა თავადმა ლუარსაბ იოანეს ძემ ორბელიანმა განგათავისუფლე ჩვენის ყმობისაგან ჩემნი სამკვიდრონი ყმანი, ა წ აქ თფილისში მცხოვრებელნი ბოჩოლაანთ გიორგის შვილები ყოველნი შიო და დიმიტრი, რომელნიც ძველად მანველაანთ იხსენიებოდით“...: (საქართველოს სახელმწიფო ლიტ. მუზ. ხელნაწ. განყოფილება, საბ. № 19580-ხ). როგორც ამ საბუთიდან ეგებულობთ, 1820 წლის ნოემბრისათვის დაუდის მამის— გიორგის ოჯახი უკვე თბილისში იმყოფებოდა და ბოჩოლაშვილებად იხსენიებოდნენ, მაგრამ საბუთის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „აწ აქ ტფილისში მცხოვრებელნიო“, უეჭველად იმას ადასტურებს, რომ ისინი (ოჯახის წევრები) თავიდანვე თბილისში კი არ ცხოვრობდნენ (როგორც ამას გ. ლეონიძე ფიქრობს), არამედ შემდეგ მოსულან აქ. ამდენად, აზრი იმის შესახებ, რომ დაუდი თბილისშია დაბადებული, ვფიქრობთ, მოკლებულია სინამდვილეს. ასევე მოკლებული უნდა იყოს სინამდვილეს ისიც, რომ დაუდი ბოჩოლაშვილია. გიორგი მანველაშვილის ოჯახი მხოლოდ იმის შემდეგ იწოდებოდა ბოჩოლაშვილად, როცა ქვემო ქართლიდან (დაახლოებით დმანისის მხრიდან) თბილისში გადმოსახლდა. ამაზე მიგვითითებს: ერთი მხრივ, ის საერთოდ ცნობილი ფაქტი, რომ გვარის გამოცვლა ხშირად ყმა გლეხის აყრასა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადასელასთან იყო დაკავშირებული, ხოლო მეორე მხრივ,—ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი საბუთის ის ადგილი, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი: „ბოჩოლაანთ გიორგის შვილები ყოველნი... რომელნიც ძველად (ე. ი. თბილისში მოსვლამდე—ბ. ს.) მანველაანთ იხსენიებოდითო“.

[1] „როგორც პაპაჩემის ნაამბობიდან ვიცი, პატარა დავითი, სახლიდან ქუჩაში მეზობლის ბავშვებთან ერთად სათამაშოდ გასული, შინ აღარ დაბრუნებულა. იგი სხვებთან ერთად მოუტაცნიათ და თათრის ქვეყანაში გასაყიდად წაუყვანიათო“, — გადმოგვცა დაუდის შორეულმა ნათესავმა ქ. თბილისში (არსენას ქ. № 11) მცხოვრებმა ლევან კანდელაკმა 1954 წელს.

[2] Robert Ker Porter, Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babilonia during the years 1817, 1819 and 1820. London, 1822, Vol. II, გვ. 248.

[3] ნ. მურავიოვის ცნობით დავითი ბაღდადში კი არ მიუყვანიათ, არამედ იქ დაბადებულა (იხ. მისი Турция и Египет в1832 и 1833 годах, Москва, 1869, т. II, გვ. 42), მაგრამ ეს, როგორც ვხედავთ, მოკლებულია ჭეშმარიტებას.

[4] ალ-მუჰიბ 'აბბას ალ-'აზზავის აზრით, დაუდი მაშინ 6 წლის უნდა ყოფილიყო (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 329), ხოლო ს. ჰ. ლონგრიგი კი ამბობს, 13 წლის იყოო (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 239). როგორც 'აზზავის, ისე ლონგრიგის მიხედვით დაუდი ბაღდადში მიუყვანიათ 1780 წელს.

[5] بك —სამხედრო-ადმინისტრაციული წოდებისა და თანამდებობის აღმნიშვნელი ტიტული, ოლქის უფროსი.

[6] پاشا —პროვინციის გამგებელი, გენერალ-გუბერნატორი.

[7] بيوك —დიდი.

ბუიუქი ქართველი იყო, ერაყს განაგებდა 1780—1802 წწ.) მიუართმევია[1]. სულეიმან ფაშამ კი უკვე რჯულგამოცვლილი, ყურანს ნაზიარები, დაუდად მონათლული დავითი თავის მფარველობაში აიყვანა და მამლუქთა სასწავლებელში მიაბარა.

აქედან იწყება დაუდის ცხოვრების ახალი პერიოდი. სკოლაში მან ჩინებული ნიჭი და უნარი გამოამჟღავნა. სამხედრო ვარჯიშობებისა და წესების დაუფლებასთან ერთად იგი დიდი მონდომებით სწავლობდა სხვა, ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს. ისე შესანიშნავად შეისწავლა მუსლიმანური კანონმდებლობა, ყურანი და აღმოსავლური ენები, რომ სულ მალე მოიხვეჭა არაბული, თურქული, სპარსული ენებისა და ღვთისმეტყველების საუკეთესო მცოდნის სახელი, რითაც თავიდანვე მიიპყრო პატრონის ყურადღება.

## დაუდის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე

მამლუქთა სასწავლებლის კურსდამთავრებულ დაუდს სულეიმან ფაშა ბუიუქმა ჯერ თავისუფლება მიანიჭა და ბეჭდის მცველად დანიშნა, ხოლო შემდეგ (დაახლოებით 1801 წელს) 27 წლისას საფაშო ხაზინა ჩააბარა და ცოლადაც თავისი ასული შერთო.

ფაშასთან ნათესაური კავშირი და ამასთან მაღალი თანამდებობა დაუდს უფლებას ანიჭებდა ყოფილიყო ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი და 1802 წელს, როცა მძიმე ავადმყოფობით შეპყრობილ სულეიმან ბუიუქს საფაშოს მართვის უნარი საბოლოოდ წაერთვა, დაუდმა კიდევაც სცადა ხელისუფლების სათავეში მოქცევა, მაგრამ ამჯერად მიზანს ვერ მიაღწია. სულეიმანმა, იგრძნო რა სიკვდილის მოახლოება, თავის სიცოცხლეშივე მოასწრო დივანის (სახჭოს) შეკრება და საფაშოს გამგებლად თავისი უფროსი სიძის, ტომით ქართველის—ქაჰია ჰაფიზ-'ალის დანიშვნა.

ჰაფიზ-'ალისთან დაუდი ვერ იყო კარგ დამოკიდებულებაში. ჰაფიზ-'ალი ფაშასთან დანათესავებულ დაუდში თავის სერიოზულ მეტოქეს ხედავდა, ამიტომ ახალი გამგებლის მხრივ მოსალოდნელი ხიფათის აცდენის მიზნით დაუდჰა 1803 წელს მიატოვა საერო სამსახური და სასულიერო სფეროში დაიწყო მოღვაწეობა. იგი მოლად ეზიარა, აბდ ალ-კადარის მეჩეთში (ქ. ბაღდადში) ჩასახლდა[2] და წმინდა რელიგიურ საქმიანობასთან ერთად სამი წლის განმავლობაში მა-

---

[1] مطالع السعود، ص—٤٤

[2] I. R. Welsted, Travels to the city of the Caliphs. London, 1840. Vol. I. გვ. 259. მაჰმადიანურ აღმოსავლეთში მეჩეთი, როგორც მუსლიმანური სასულიერო დაწესებულება. წარმოადგენდა ლტოლვილთა საიმედო თავშესაფარს ანუ ბესთს (სპ. بست ), სადაც ხშირად სხდებოდნენ ხოლმე ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

სწავლებლობდა მეჩეთთან არსებულ სემინარიაში, სადაც მისი სახელი კიდევ უფრო პოპულარული გახდა.

1807 წელს, ჰაფიზ-'ალი ფაშას ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ დაუდი კვლავ საერო სამსახურს დაუბრუნდა და საფაშო ხელისუფლების სხვადასხვა თანამდებობები ეჭირა. სულეიმან-ფაშა ქუჩუქისა[1] (1807—1810 წწ.) და აბდალაჰ თუთუნჯის (1810—1813 წწ.) დროს მას დავთარდარის[2] პოსტი ეკავა, ხოლო სა'იდის დროს (1813—1816 წწ.) ჯერ ქაჰიად[3] იყო, შემდეგ კი—დავთარდარად. მაგრამ სა'იდისადმი მტრულად განწყობილმა ელემენტებმა საქმე ისეთნაირად მოაწყვეს, რომ სულ მალე ფაშა და ქაჰია ერთმანეთს წაჰკიდეს, ფაშასათვის ზიანის მიყენების მიზნით.

სა'იდ ფაშა, რომელსაც მეტსახელად 'ასად[4]-ფაშასაც უწოდებდნენ, სულეიმან-ფაშა ბუიუქის ვაჟიშვილი იყო. იგი დაიბადა ქ. ბაღდადში[5] 1791 წელს და მამის გარდაცვალებამდე (1802 წ.) სასახლეში იზრდებოდა მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ. იგი ერაყის გამგებელთა შორის პირველი ქართველია, ვისაც საკუთარ თავზე არ გადაუტანია ის გაჭირვება, რასაც უდროოდ სამშობლოს გამოთხოვებული და დედის ალერსს მოკლებული ერაყში მყოფი სხვა მრავალი ქართველი განიცდიდა. ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, სა'იდმა თავის კარიერასაც იოლად და სწრაფად მიაღწია. თუ მის წინამორბედ ქართველ ფაშებს სჭირდებოდათ დიდძალი ენერგიისა და დროის ხარჯვა იმისათვის, რომ თანდათანობით დაეძლიათ თვითეული საფეხური იმ გრძელი, თანაც ძნელად ასასვლელი იერარქიული კიბისა, რომლის ავლით ისინი მონური—უუფლებო მდგომარეობიდან მთელი ერაყის გამგებლები უნდა გამხდარიყვნენ, სა'იდ-ფაშამ თავის ბრწყინვალე კარიერას სულ რამდენიმე თვეში მიაღწია, ყოველგვარი ინსტანციების გავლის გარეშე. მაგრამ ყველაფერ ამას დადებითთან ერთად გააჩნდა უარყოფითი მხარეც, რამაც მთელი სიცხადით იჩინა თავი მაშინვე, როგორც კი სა'იდი საფაშოს მართვა-გამგეობას შეუდგა.

სა'იდს განზრახული ჰქონდა გამხდარიყო ისეთი ძლიერი და სახელოვანი გამგებელი, როგორიც მამამისი იყო[6]. ნამდვილად კი მას ამისათვის არც ჭკუა-გონება ჰყოფნიდა, არც ნებისყოფა და გამოცდილება ხომ სულ არ გააჩნდა. ის,—როგორც კლ. უარი ამბობს,—თავისი ხასიათითა და მოქმედებით თითქმის არ განსხვავდებოდა ხალიფა ამინისაგან (809—813 წწ.). ისე, როგორც ამ უკანასკნელს, სა'იდ-ფაშასაც ძალიან იზიდავდა სხვადასხვა გართობა-თამაშო-

---

[1] Kücük — უმცროსი, პატარა. სულეიმან ქუჩუქიც ქართველი იყო.

[2] دفتر دار — ისტ. ფინანსთა მინისტრის ჩინი თურქეთში.

[3] كهية —მაღალი რანგის მოხელე, პირველი მინისტრი, ფაშას მოადგილე, რომელსაც ეკავა მთავარსარდლის პოსტი.

[4] أسد —(არაბ.) ლომი.

[5] I. S. Buckingham, Travels in Mesopotamia, London, 1827, გვ. 383.

[6] S. H. Longrigg, დასახ. შრომა, გვ. 234.

ბანი, განსაკუთრებით ბევრ დროს ანდომებდა ქალთა საზოგადოებაში დროსტარებას. თავისი წინამორბედი ქართველი ქულემენი გამგებლებისგან განსხვავებით, რომლებიც ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ თავიანთი სამწყსო—ერაყის დასაცავ-გასაძლიერებლად, სა'იდ-ფაშა ნაკლებად ზრუნავდა საფაშოს ბედზე. ქვეყნის მართვა-გამგეობა უბრალო საქმედ მიაჩნდა, თუმცა თვითონ ამ საქმეს თავს სულაც ვერართმევდა. მას არ გააჩნდა დამოუკიდებლად მოქმედების უნარი, რის გამოც მუდამ იმყოფებოდა თავისი მსახურების, საჭურისების, ქალების, დედის—ნაბი-ხანუმისა და სხვათა გავლენის ქვეშ[1].

ერთ-ერთი მრჩეველი და მასწავლებელი საიდისა იყო მისი ქაჰია და ამავე დროს სიძე (Brother-in-law), დაუდ-ეფენდი[2], რომლის ენერგიული მოქმედების წყალობით მან 1813—1814 წლებში სძლია მეამბოხე ტომებს (ზუბაიდებს, ხაზაილებს, შამარებს, უგაილებს), დაამყარა ნშვიდობა საფაშოში და ამით უნარიანი გამგებლის სახელი მოიხვეჭა. მაგრამ მისი ასეთი წარმატება მეტად ხანმოკლე გამოდგა.

1813—1814 წლებში, როცა ქაჰია და ფაშა, ორივე ერთად, საფაშოს შეიარაღებული ძალებით აჯანყებული ტომების დასათრგუნავად იყვნენ წასული, ბაღდადში ახალი გამგებლისადმი უკმაყოფილოდ განწყობილმა ელემენტებმა თავი თავისუფლად იგრძნეს და შეადგინეს ოპოზიციური პარტია, რომელმაც სამოქმედო პროგრამა შეიმუშავა. პროგრამა მინიმუმი ითვალისწინებდა სა'იდ-ფაშას ხელისუფლების დასუსტებას, ხოლო პროგრამა მაქსიმუმი კი—მისი ხელისუფლების მთლიანად დამხობას. პროგრამა მინიმუმის განხორციელებისათვის ერთ-ერთ მოხერხებულ საშუალებად ოპოზიციას მიაჩნდა დაუდ-ეფენდის[3] ჩამოცილება მმართველობიდან, რადგან ყველა ამჩნევდა, რომ ქაჰია დაუდი იყო ის პიროვნება, რომლის უანგარო დახმარებით სა'იდი ახერხებდა თავისი ხელისუფლების შენარჩუნება-განმტკიცებას.

1814 წელს ოპოზიცია მოქმედებას შეუდგა დასახული გეგმის მიხედვით. ოპოზიციონერმა ჰამად-აღამ[4] კავშირი დაამყარა ფაშას ოჯახის წევრებთან და ნაბი-ხანუმს აუწყა, რომ თითქოს დაუდი შეთქმულებას აწყობს ფაშას წინააღმდეგ და თუ მის მიმართ დროზე არ იქნება მიღებული ზომები, სა'იდი ხელისუფლებას დაკარგავს. ჰამად-აღას ეს სიტყვები ნაბი-ხანუმმა სინამდვილედ მიიჩნია და შვილს უბრძანა, ქაჰია დაუდი სასახლიდან გაეძევებინა. სა'იდ-ფაშას დაუდის ღალატი არ სჯეროდა და ამაში რომ დედაც დაერწმუნებინა უთხრა: „იგი (დაუდი) მამაჩემის ერთ-ერთი ყოფილი მონაა. მან იგი სიძედ მოიყვანა, ჩემი დის ქმარია და, ყოველ შემთხვევაში, უფრო უკეთესია, ვიდრე უცხოელი.

---

[1] Cl. Huart, დასახელებული ნაშრომი, გვ. 168.

[2] Cl. J. Rich. Narrative of a Residence in Koordistan. London, 1836, Vol. I, გვ. 4, 49; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 412, 413.

[3] افندا —ბატონი, თავადი.

[4] აჰმედ ჯევდეთი პაშადის მაგიერ წერს: „ჰადი აბუ ყაფლან ოღლის", რომელიც წარმოშობით ჭურთი იყო (იხ. تاريخ جودت، ج—١١، ص—٢١).

გარდა ამისა, უმიზეზოდ მისმა მოხსნამ მაშინ, როცა იგი მსახურობდა და კვლავაც განაგრძობს სამსახურს კეთილსინდისიერად, შეიძლება გამოიწვიოს პარტიზანების (იგულისხმება ქულემენები ანუ მამლუქები—ბ. ს.) გულგრილობა ჩვენდამი და ჩვენი საქმეებისადმი. ამიტომ გევედრები, დედავ, თუ ღმერთი გწამს, დაჰგმე ეს აზრი და დაეტოვოთ ყველაფერი ძველებურად"[1]. მაგრამ შვილის მუდარამ არ გაჭრა, ნაბი-ხანუმი თავისას არ იშლიდა და ბოლოს საწადელსაც მიაღწია. სა'იდ-ფაშამ ქაჰია დაუდი თანამდებობიდან დაითხოვა, რითაც მოჰკრა სწორედ ის ტოტი, რომელსაც იგი მთელი ტანით ეყრდნობოდა. დაუდის დათხოვნიდან დიდ დროს აღარ გაუვლია, რომ 1815 წლის დამდეგს ბაღდადის საფაშოში საყოველთაო აშლილობა დაიწყო: საფაშოს დასავლეთ ნაწილში პირველი აღსდგა ხაზა'ილის ტომი, რომელიც სა'იდ-ფაშასაგან მოითხოვდა ტომის ბელადის შაჰფულაჰ ულ-ჰალილის გადაყენებას. ხაზა'ილებს ბრძოლაში დახმარება აღუთქვეს და მხარში ამოუდგნენ შამარისა და ზუბაიდის ტომები.

საფაშოს სამხრეთ ნაწილში, ე. წ. არაბულ ერაყში, ბრძოლა გაჩაღდა ჭ. ნეჯეფის შუმურდისა (Shumurd) და ზუგურტის (Zugurt) ფრაქციებს (Sityclans) შორის[2].

ჩრდილოეთში მღელვარებდა ქირქუქის მოსახლეობა. ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში კი გაუთავებელი ბრძოლა წარმოებდა სულეიმანიეს გამგებელსა და ბაღდადის ფაშას შორის[3].

რაც მეტი დრო გადიოდა, მდგომარეობა ბაღდადის საფაშოში მით უფრო დაძაბული ხდებოდა. სამხრეთში აჯანყებულებმა დაიკავეს ნეჯეფი და ქალაქიდან გააძევეს ფაშას მიერ დანიშნული ციხისთავი. საფაშოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ქერმანშაჰის გუბერნატორმა დალაშქრა და სულეიმანიე აბდურაჰ-

---

[1] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

[2] ამ ფრაქციებს საფუძვლად ედო გვარტომობრივი წარმოშობა და გვარებს შორის ბრძოლა. ქ. ნეჯეფი ეთნიკურად ორ ძირითად რაიონად იყოფოდა. ქალაქის სამი კვარტალი დასახლებული იყო ზუგურტის ტომის არაბებით. ხოლო მეოთხე კვარტალი—შუმურდის ტომის მოსახლეობით. რაიონების მართვა-გამგებლობა ნოტაბლებს ებარათ. ნოტაბლები კი ცდილობდნენ ქალაქის ხელმძღვანელთა წინაშე რაც შეიძლება მეტი სახელის მოხვეჭას და მუდამ ერთმანეთშე ჭიშპობდნენ. ის გარემოება, რომ თითოეულ ნოტაბლს გარკვეული რაიონი ჰქონდა მიჩნეული სამართავად, შესაძლებლობას აძლევდა მათ ამ რაიონის მოსახლეობა თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ. ამიტომ ნოტაბლთა ჭიშპს თან მოჰყვა ამ რაიონების მცხოვრებთა შუღლი, მტრობა, შეიარაღებული შეტაკებები და სისხლის ღვრა.

[3] 1813 წელს გარდაიცვალა აბდურაჰმან-ფაშა ბაბანი. სულეიმანიეს მართვა-გამგებლობა ფათალი შაჰის დახმარებით ხელთ იგდო გარდაცვლილი ფაშის ვაჟმა, მაჰმუდმა, რომელიც მანამდე ირანის შაჰის კარზე იზრდებოდა. სა'იდ-ფაშამ იმ მოსაზრებით, რომ ქურთისტანის ეს ნაწილი ბაღდადის საფაშოსათვის დაექვემდებარებინა სულეიმანიეს გამგებლობა ჩამოართვა პროირანული ორიენტაციის მაჰმუდს და მის ნაცვლად ამ თანამდებობაზე აბდურაჰმან ბაბანის მეორე ვაჟი აბდალაჰი დანიშნა. ფაშას ასეთი საქციელით განაწყენებული მაჰმუდ-ბეგი ირანში წავიდა და ქერმანშაჰის გუბერნატორის დახმარებით ცდილობდა დაკარგული თანამდებობის დაბრუნებას.

მან ბაბანის ვაჟს მაჰმუდ-ბეგს დაუბრუნა. წარმატებით მოქმედებდა აგრეთვე დასავლეთ ერაყის არაბ ტომთა გაერთიანებული კავშირიც.

აჯანყებულთა დასათრგუნავად გაგზავნილ ფაშას შეიარაღებულ ძალებს დეზორგანიზება ეტყობოდათ, ისინი ხშირად მარცხდებოდნენ და ამით საომარი მოქმედება ხანგრძლივდებოდა, რაც უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკაზე. ეცემოდა სოფლის მეურნეობა, სახელოსნო წარმოება და ხაზინის შემოსავალი. ამ უკანასკნელის შემცირებაში, გარდა ხანგრძლივი საომარი მდგომარეობისა გარკვეულ როლს ასრულებდა ფინანსებისადმი უყაირათო დამოკიდებულება. მეტისმეტმა ხელგაშლილობამ, დროსტარებამ და ფულის ფლანგვამ, რასაც ფაშა და მისი მოხელეები მისდევდნენ[1], ხაზინა დააცარიელა.

საფაშოს წლიური შემოსავალი ვეღარ ფარავდა ომებითა და სხვა მიზეზებით გამოწვეულ ფულად ხარჯებს. დაიწყო ფინანსური კრიზისი[2]. რეგულარული ჯარის ნაწილების — იანიჩრებისა და ფაშას ლეიბ-გვარდიის შემადგენლობა თვეების განმავლობაში ვეღარ ღებულობდა ფულად გასამრჯელოს, რის გამოც იზრდებოდა უკმაყოფილება როგორც მოქმედ, ისე სათადარიგო სამხედრო ნაწილებში. უხელფასოდ, უყურადღებოდ მიტოვებულმა და აგრეთვე, ჭაჰია დაუდის გადაყენებით გულნატკენმა მამლუქებმა უარი თქვეს სამსახურზე, ფაშას გადაუდგნენ და მის მოწინააღმდეგეთა მხარეზე დადგნენ. დეზერტირობამ სულ უფრო მასიური ხასიათი მიიღო. მეომრები ტოვებდნენ ბრძოლის ველს და შინ ბრუნდებოდნენ.

ჯარის ნაწილებში გამოწვეული უკმაყოფილების აღმოფხვრისა და მეომართა ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით, სა'იდ-ფაშამ დაიწყო ვაჭრებისგან სესხის აღება[3] (მებრძოლთათვის გასამრჯელოს მისაცემად), ხოლო მის დასაფარავად კი განიზრახა ბაღდადში მოეკრა სპილენძის ფული[4]. ფაშამ თავისი გადაწყვეტილება ოსმალეთის იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას შეატყობინა და მისგან დასტურის ქაღალდი მიიღო[5]. მაგრამ ფულის მოჭრის დროს საქმისადმი ერთგვარი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო ისეთი შეცდომა დაუშვა, რომ ხელისუფლებაც დაკარგა და თავიც წააგო.

ფულის მოსაჭრელად მან ზარაფხანაში ჰალეთ-ეფენდის „ბანკირის" ჰასაკილის ძმა, ბაღდადელი ებრაელი, აზრა მიიწვია. ეს კაცი მას ადრე ბაღდადის სავაჭრო კორპორაციის უფროსობასა და მთავარი ზარაფის პოსტს სთხოვდა, მაგრამ უარი მიიღო. აზრას, რა თქმა უნდა, ეს არ ესია-

[1] როგორც ლონგრიგი შენიშნავს, დაუდ-აღას წასვლის შემდეგ სასახლეში ანარქიამ დაისადგურა. ფაშას მრჩევლები ყველანი უნიჭონი, მასხარები, მატყუარები იყვნენ. ვისაც როგორ უნდოდა, ისე მოქმედებდა (დასახ. ნაშრომი, გვ. 234).

[2] Cl. Huart, დასახელებული ნაშრომი, გვ. 169.

[3] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 235.

[4] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

[5] عباس العزاوى، تاريخ العراق، ج ٦—ص ٢٣١ (შემდეგ მოკლედ ალ-'აზზავი).

მოვნა, მაგრამ ფაშას თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ძლიერ კმაყოფილი იყო. ნამდვილად კი მზად იყო მის დასაღუპავად და ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რაც სულ მალე დადგა კიდევაც.

ხელმძღვანელობდა რა საზარაფხანო საქმეებს, აზრამ, საფაშო ხელისუფლებისაგან სრულიად უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა, შეგნებულად დაარღვია ფულის მოჭრის დადგენილი წესი. ნაცვლად იმისა, რომ საფაშოში გამოშვებულ ფულს ჰქონოდა ოსმალეთის სახელმწიფო ნიშანი (თუღრა), ბაღდადში მის მიერ მოჭრილ სპილენძის მონეტას დააწერა „სა'იდ-ფაშა" და ასეთი მონეტის რამდენიმე ცალი, ნიშნად ბასრა-ბაღდად-შეჰრიზორის გამგებლის თვითნებური მოქმედებისა, სტამბოლში მყოფ თავის ძმას, ჰასაკის გაუგზავნა, ხოლო ამ უკანასკნელმა კი ჰალეთ-ეფენდის გადასცა[1], როგორც „atabeg-i-dovlet"-ს და თანაც მესოპოტამიის საქმეთა ხელმძღვანელს (მაშინ) სულთნის დივანში[2].

სულთან მაჰმუდ მეორისათვის (რომელსაც ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მიზნით განზრახული ჰქონდა, რომ, რაც არ უნდა დაჯდომოდა, ბოლო მოეღო ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალ-გამგებლების თვითნებური მოქმედებისათვის და ამ მიზნის მისაღწევად მთებს დგამდა იმპერიის სხვადასხვა მხარეში სიკვდილმისჯილთა თავის ქალებისაგან)[3]—სა'იდ-ფაშას მიერ დაშვებული შეცდომა (თავის სახელით ფულის მოჭრა) სრულიად საკმარისი იყო, რათა ეს მიეჩნია ბაღდადის გამგებლის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის ყველაზე აშკარა დამადასტურებელ ფაქტად და ამის გამო იგი დაესაჯა, თუმცა სა'იდს ახლა მარტო ეს როდი ბრალდებოდა. მის შესახებ იმ ხანებში სულთნის დივანში სისტემატურად ღებულობდნენ აგრეთვე სხვა საჩივრებსაც, რომლებშიც ბაღდადის, სულეიმანიეს, ქირქუქისა და ერაყის დანარჩენი ქალაქების გავლენიანი პირები, აღწერდნენ საფაშოს სავალალო მდგომარეობას და ამას, ჩვეულებრივ, ხსნიდნენ სა'იდის როგორც მმართებლის სისუსტით და მოითხოვდნენ მის გადაყენებას. მომჩივანთაგან ყველაზე აქტიურად მოქმედებდა ფაშას ყოფილი ქაჰია—დაუდი. ამ უკანასკნელმა, მას შემდეგ, რაც იგი მმართველობას ჩამოაშორეს, დაიახლოვა დედაქალაქის ქართველი ჭულემენები, აგრეთვე, ყველა ისინი, ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ფაშას მიმართ და მათი მეშვეობით (მხარდაჭერითა და მოთხოვნით), ბაღდადის საფაშოს გამგებლად სტამბოლში თავისი კანდიდატურა წამოაყენა, რაშიც მას ბაღდადის დიდგვარიანთა გარდა უაღრესად დიდი დახმარება გაუწიეს სულეიმანიესა და ქირქუქის გამგებლებმაც. 1816 წელს[4], მას შემდეგ, რაც შეი-

---

[1] ა ლ-'ა ზ ზ ა ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

[2] C l. H u a r t, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

[3] А. Адамов, დასახ. შრომა, გვ. 412; C. V o n S a x, დასახ. ნაშრომი, გვ. 178—179.

[4] მეჰმედ სურეიას მიხედვით კი 1231 წ. მუჰარემამდე, ე. ი. 1815 წელს (سجل عثمانی، ج ۲— ص ۳۲٦—).

ტყო, რომ სა'იდი მის დასჯას აპირებდა, იგი თავისი ამალით (ძველი და ახალი თანამდებობის პირნი), — თითქოს სანადიროდ მიდიოდა, ბაღდადიდან ზანგაბადისაკენ (ირანი) გაიპარა[1] და იქიდან ქერმანშაჰზე გავლით გადაწყვეტილი ჰქონდა ქირქუქს მისულიყო, მაგრამ გზაში მაჰმუდ ფაშასაგან გამოგზავნილი მიწვევის ბარათი მიიღო და სულეიმანიეში შეჩერდა. აქ მას საზეიმო შეხვედრა მოუწყო მუჰამედ-ფაშა ბაბანმა, რომელმაც იგი მიიღო არა როგორც უბრალო ლტოლვილი, არამედ როგორც ბაღდადის საფაშოს გამგებელი. ბაღდადის საფაშოს გამგებლად აღიარეს ის აგრეთვე ქირქუქის მმართველმა და სულეიმან-ფაშამ, ქოის სანჯაყის ყოფილმა მუთასარიფმა[2], რომელიც ადრე სა'იდ-ფაშას თანამდებობიდან გადაეყენებინა; ირანში გაქცეულიყო და ახლა დაუდ-ეფენდის მიაცილებდა ქერმანშაჰიდან. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მათ დაუდისადმი თავიანთი დამოკიდებულების შესახებ წერილობით აცნობეს იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას და სთხოვეს მისი დანიშვნა საფაშოს გამგებლად, ხოლო ამ თხოვნისათვის რომ მეტი ძალა მიეცათ, ე. ი. უფრო მისაღები და ანგარიშგასაწევი გაეხადათ სულთნისათვის, სულეიმანიეს ფაშა მუჰამედ ბაბანი პირობას იძლეოდა, რომ იგი, იმ შემთხვევაში თუკი ბაღდადის საფაშოს დაუდს ჩააბარებდნენ, საბოლოოდ გაწყვეტდა კავშირს ირანთან და მას (ბაღდადის ვალის[3], დაუდს) დაემორჩილებოდა[4].

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა სა'იდმა იმ ბრალდებათა გასაბათილებლად, რაშიც მას ადანაშაულებდნენ, განკარგულება გასცა, თავის სახელზე გამოშვებული ფული შეეცვალათ და მოეჭრათ ის დადგენილი წესის ზუსტი დაცვით. ამასთან ერთად, თითქმის მთლიანად გადაახალისა თავისი კაბინეტის შემადგენლობა, გარეკა იქიდან ჰამლუქები და მათ ნაცვლად მთავარ საპასუხისმგებლო უწყებათა ხელმძღვანელ პოსტებზე სხვები დააყენა, იმ ვარაუდით, რომ ისინი

---

[1] ამინ ბენ ჰასან ულ-ჰალვან ულ-მადინის ცნობით, დაუდი ბაღდადიდან უნდა გასულიყო 1231 წლის 12 რაბი' I ( مطالع السعود، ص—١٩٥ ). ანუ 1816 წლის 11 თებერვალს ჩვ. წ. ა.-ით. ამ თარიღს ასახელებს კლემენტ უარიც (იხ. მისი Histoire de bagdad. Paris. 1901, გვ. 170). მაგრამ ამათგან განსხვავებით რასულ ჰაჟი ეფენდი ქირქუქელი ბაღდადიდან დაუდის წასვლის თარიღად ასახელებს 1231 წლის 12 შაუვალს ( دوحة الوزراء، ص—٢٧٣ ), ე. ი. 1816 წლის 6 სექტემბერს. რასულ ჰაჟი ეფენდის ამ ცნობას იმოწმებს ს. ჰ. ლონგრიგი (იხ. მისი Four Centuries of Modern Iraq, Oxford. 1925, გვ. 236). ამას ალ-'აზზავი ეხება რა ამ საკითხს, იმოწმებს როგორც ალ-მადინის, ისე რასულ ჰაჟი ეფენდის ცნობას (იხ. მისი تاريخ العراق، ج—٧، ص—١٣٢—١٣٣).

[2] متصرّف —სანჯაყის, მაზრის, მხარის უფროსი.

[3] وال —ფაშას სინონიმია, ნიშნავს მმართველს.

[4] S. H. Longrig, დასახ. შრომა, გვ. 236.

უფრო დაეხმარებოდნენ სახელოში წესრიგის დამყარებასა და ხელისუფლების შენარჩუნებაში, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მიაღწია, საქმე უკვე წაგებული ჰქონდა და მისი მოგება აღარ შეიძლებოდა. ვიდრე სა'იდ-ფაშა ამ ღონისძიებებს გაატარებდა, სულთანმა მაჰმუდ მეორემ იგი უკვე გადააყენა დაკავებული პოსტიდან და ბაღდადიდან ალეპოს მმართველად გაგზავნა[1], ბასრა-ბაღდად-შეჰრიზორის გამგებლად მის ნაცვლად დაუდი დანიშნა[2], ხოლო სანამ დაუდი ბაღდადს მიუახლოვდა, საფაშოს დროებითი მართვა (interim)[3] სულეიმან ქუჩუქის ძმას, აჰმედ-ბეგს დაევალა[4].

ფირმანმა ალეპოში სა'იდ ფაშას გადაყვანისა და მის ადგილზე ერაყის დროებით გამგებლად აჰმედ-ბეგის დანიშვნის შესახებ ბაღდადში მხოლოდ 1816 წლის შემოდგომაზე მიაღწია. აჰმედ-ბეგი მაშინ დაუდის ბანაკში იმყოფებოდა ქირქუქის აბლომდებარე ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტ ტაყმაკლუ'ში[5], ქედხუ-

---

[1] تاريخ الكولات، ص ٣٣— (ციტირებულია ალ-'აზზავის მიხედვით, იხ. მისი تاريخ العراق، ج ٦، ص ٣٣١—).

[2] ალ-'აზზავი. დასახ. ნაშრომი, გვ. 236.

[3] Cl. Huart. დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

[4] იქვე. იხ. აგრეთვე 'აბას ალ-'აზზავის დასახ. შრომა, გვ. 236. 'აბას ალ-'აზზავისთან აჰმედ ბეგის ვინაობა გაურკვეველია. არ ჩანს იგი სულეიმან ფაშა ქუჩუქის ძმა იყო, თუ სა'იდ-ფაშასი. ის ამის შესახებ ხაშრომში تاريخ العراق (ტ. VI, გვ. 234) აბობას: "و لما كانت الدولة أصدرت فرمانا بعزل سعيد باشا عزمت ان تجعل أحمد بك الاخ من الرضاعة قائمقام"، თუ აქ სიტყვას, "الرضاعة" ისე წავიკითხავთ როგორც წერია, მაშინ ტექსტის შინაარსი ასეთი იქნება: „როცა სახელმწიფომ გამოსცა ფირმანი (ბრძანება—ბ. ს.) სა'იდ-ფაშას გადასაყენებლად, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ღვიძლი ძმა აჰმედ-ბეგი გაეხადა კაიმაკამად". მოუხედავად იმისა, რომ აქ არ ჩანს აჰმედის ნამდვილი ვინაობა, მაინც შეგვეძლო ის სა'იდის ძმად მიგვეჩნია, რადგან აქ საუბარია მხოლოდ სა'იდ-ფაშაზე და არა სულეიმან ქუჩუქზე. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ კლ. უარი თავისი ნაშრომის (Histoire de Bagdad) ერთ ადგილას (გვ. 170) წერს: „ამ შემთხვევის (ფულის მოპრის—ბ. ს.) გამო სა'იდი გადაყენებული იქნა, ხოლო მისმა მკვიდრმა ძმამ აჰმედ-ბეგმა მიიღო „ინტერიმი". მაგრამ ნამდვილად ირკვევა, რომ საქმე სულ სხვანაირად იყო. აჰმედ-ბეგი სა'იდ ფაშას ძმა კი არ უნდა იყოს, არამედ სულეიმან ქუჩუქისა, რაზეც პირდაპირ მიგვითითებს თვით კლ. უარი თავის „Histoire de Bagdad-ის" 170-ე გვერდზე, სადაც ნათქვამია, რომ სულეიმან ფაშა ქუჩუქმა ჭ. ბასრასაკენ გაგზავნა—„განსაზღვრული რიცხვი მეომრებისა თავისი მკვიდრი ძმის აჰმედ-ბეგის მეთაურობით", და, როგორც ს. ჰ. ლონგრიგი აღნიშნავს, მან დაიკავა ბასრას ნავსადგური როგორც მუთასალიმმა". გარდა ამისა, ლონგრიგი იტყობინება, რომ სწორედ ამ აჰმედისათვის გადაუციათ ბასრა-ბაღდად-შეჰრიზორის გამგებლობა (გვ. 226 და 236). აჰმედ-ბეგი რომ ნამდვილად სულეიმან ქუჩუქის ძმაა და არა სა'იდისა იქიდანაც დასტურდება, რომ იგი არ არის დასახელებული სულეიმან ფაშა ბუიუქის ვაჟებს შორის (იხ. მეჰმედ სურეიას დასახ. შრომა, ტ. III, გვ. 93; აბას ალ-აზზავის შრომა, გვ. 140; კ. უარის „ბაღდადის ისტორია", გვ. 162).

[5] 'აბას ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 231. რასულ ჰავი ეფენდი ქირქუქელი طقملو ნაცვლად ზოგან قزل دكرمن („წითელი წისქვილი") ასახელებს, ზოგან კი قركلان მისიეე განმარტებით ორივე ეს პუნქტი, ისე როგორც „ტაყმაკლუ", ქირქუქიდან ნახევარი სა-

დას მოადგილის პოსტზე და ამ ბრძანების არსებობის შესახებ ჯერ არაფერი იცოდა, რომ საფაშოს მართვას შედგომოდა. რაც შეეხება სა'იდ-ფაშას, ის უარყოფითად შეხვდა სულთნის ასეთ გადაწყვეტილებას და, მიიჩნია რა იგი უკანონოდ, უარი განაცხადა ალეპოში წასვლაზე[1], ამჯობინა ბაღდადში დარჩენილიყო და ძალაუფლება ნებით არავისთვის მიეცა, რისთვისაც სასწრაფოდ დაიწყო ლაშქრის შეგროვება და ქალაქის ციხე-სიმაგრეების შეკეთება. ასე რომ, მან ბრძოლა გამოუცხადა ცენტრალურ ხელისუფლებას და ამით თავისი სახელო—ტერიტორია ჩამოაშორა ოსმალეთის იმპერიას, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ხნით. როცა სტამბოლში შეიტყვეს ბაღდადის ფაშის—სა'იდის აჯანყების ამბავი, სულთან მაჰმუდ მეორის ბრძანებით მაშინვე შიკრიკი გაგზავნეს დაუდ-ეფენდისთან და მისწერეს, რომ როგორც ბასრა-ბაღდად-შეჰრიზორის გამგებელი, დაუყოვნებლივ წასულიყო ბაღდადისაკენ, აეღო ის და შედგომოდა საფაშოს მართვას.

დაუდი ამ დროს დიდ გაჭირვებაში იმყოფებოდა. სტამბოლიდან მასთან, ქირქუქში, გაგზავნილ კაფუჯის (შიკრიკს) ჯერ ნახევარი გზაც კი არ ჰქონდა გავლილი, რომ ახმედ-ბეგმა საფაშოს დროებით მმართველად თავისი დანიშვნის ბრძანება მიიღო და მოულოდნელად დაუდის ბანაკი დატოვა. მოსალოდნელი იყო, რომ იგი მაშინვე ბაღდადს მიაშურებდა და ვალის მოვალეობის ასრულებას შეუდგებოდა, მაგრამ ბოროტი აზრით შეპყრობილმა, ტაკმაკლუდან ქირქუქს გასწია, ყველას ამცნო, რომ იგი ბაღდადის საფაშოს გამგებელია და მათგან საყოველთაო მორჩილება ითხოვა. შემდეგ დაიწყო ლაშქრის თავმოყრა, რათა დაელაშქრა დაუდის ბანაკი, გაენადგურებინა ის და მასთან ერთად თვითონ დაუდიც, რომლის დაღუპვაც მხოლოდ იმიტომ განეზრახა, რომ მისი (როგორც საფაშოს მომავალი გამგებლის) თავიდან მოცილებით თვითონ, რაც შეიძლება ხანგრძლივი დროით, შეენარჩუნებინა ბასრა-ბაღდად-შეჰრიზორის მმართველობა. მაგრამ ამ განზრახვის პრაქტიკულად განხორციელება ახმედ-ბეგმა ვერ მოასწრო. ქირქუქის მოსახლეობის ფეოდალური ზედა ფენა დაუდის წინააღმდეგ ბრძოლას არ აპირებდა, ნეიტრალურ პოზიციას იცავდა და ლაშქრის გამოყვანაზე თავს იკავებდა. ამიტომ საქმე იმაე გაჭიანურდა, რომ სანამ ბაღდადის საფაშოს დროებითი გამგებელი საჭირო რაოდენობის სამხედრო რაზმის შეგროვებას და დაუდის დასჯას მოასწრებდა, მისი რწმუნების ვადაც მიიწურა.


1816 წლის 21 ნოემბერს, პარასკევ დღეს, სოფელ ტაკმაკლუში დაუდს საიხარულო ცნობა მოუვიდა. კაფუჯიმ მას ბასრა-ბაღდად-შეჰრიზორის აიალეთების (ოლქების) გამგებლად დანიშვნის ფირმანი გადასცა[2], რაც იმის მომასწავე-

---

ათის საკალი მანძილით არის დაშორებული (იხ. მისი دوحة الوزراء، ص—٢٧٥—٢٧٧).

[1] تاريخ الكولات، ص—٣٣ (მითითებულია ალ-'აზზავის მიხედვით, გვ. 231).

[2] ალ-'აზზავი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 236.



მამლუქი ბრძოლის ველზე

ბელი იყო, რომ ამიერიდან სულთნის ბრძანება საფაშოს დროებით მმართველად აჰმედ-ბეგის დანიშვნის შესახებ უკვე გაუქმებულად ითვლებოდა და დაუდს სრული უფლება ენიჭებოდა სათავეში ჩადგომოდა ხელისუფლებას, რომელიც ჯერჯერობით სა'იდ-ფაშას ეპყრა.

ფირმანის მიღებისთანავე დაუდმა სალაშქროდ მზადება დაიწყო. ჯერ ქვეყანას აუწყა მიღებული ფირმანის შინაარსი, შემდეგ—ლაშქრისა და მისთვის აუცილებელი სურსათ-სანოვაგის მოგროვებას შეუდგა, ბაღდადს სა'იდის წინააღმდეგ აჯანყების მოსაწყობად აგენტები გაგზავნა, ხოლო დაახლოებით 15 დღის შემდეგ[1], როცა თითქმის ყველაფერი მოამთავრა, ქურთების ლაშქრით, რომელსაც მაჰმუდ-ფაშა ბაბანი და სულეიმანი მეთაურობდნენ, საფაშოს დედაქალაქისაკენ დაიძრა.

სა'იდ-ფაშა ამ დროს ბაღდადში იჯდა და მტრის მოსპობის გეგმას ადგენდა; ფიქრობდა, მოწინააღმდეგე ქალაქში შეეტყუებინა, იქ ჴოულოდნელად დასხმოდა თავს და გაენადგურებინა, რისთვისაც უკვე მზად ჰყავდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი არმია შემდგარი როგორც რეგულარული ჯარის ნაწილებისგან (იენიჩრების, ლევენდის, ბარატლისების, თოფენჯიების, თოფჩიებისა და ქალფაქლუს სამხედრო რაზმები), ისე არაბ ტომთა (მუნთეფიქის, უგაილის და სხვათა) ირრეგულარული ლაშქრისაგან.

მართლაც, ბრძოლა მოწინააღმდეგეთა არმიებს შორის ბაღდადში მოხდა. 1816 წლის ბოლოს დაუდი ქურთების ლაშქრით ქალაქს მიუახლოვდა და 7 იანვარს დილიდანვე იერიში მიიტანა მასზე. შეტევა პირველ ხანებში წარმატებით მიმდინარეობდა. მთელი დღის განმავლობაში უპირატესობა ბრძოლის ველზე მთლიანად ქურთების ხელთ იყო, მაგრამ დაღამდა თუ არა, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. სა'იდ-ფაშას სამხედრო ნაწილები კონტრიერიშზე გადავიდნენ და დაიწყეს მოწინააღმდეგის ყოველი მხრიდან შევიწროება. ქურთების ლაშქარი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას აშკარა გაბანდგურება მოელოდა. ამის გამო დაუდმა უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე, დაიწყო უკან დახევა, ქალაქიდან გავიდა და რამდენიმე მანძილის მოშორებით შეუდგა ლაშქრის რეორგანიზაციას, მის შევსებასა და წვრთნას[2], რაც დაახლოებით ერთ თვეს გაგრძელდა. შემდეგ მან კვლავ განაახლა ბრძოლა, მაგრამ სასურველ შედეგს მა-

---

[1] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 236. იხ. აგრეთვე ს. ჰ. ლონგრიგის დასახ. ნაშრომი. გვ. 236—7.

[2] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 237.

ნამდე ვერ მიაღწია[1], სანამ შიმშილმა[2] და ბაღდადში წინასწარშეგზავნილი აგენტების ძირგამომთხრელმა საქმიანობამ არ შეარყია სა'იდ-ფაშას არმიის ერთიანობა, ე. ი. სანამ „ციხე შიგნიდან არ გატყდა". ეს მოხდა 1817 წლის თებერვალში. ხანგრძლივი ბრძოლების გამო ქალაქში შეწყვეტილმა ნორმალურმა ცხოვრებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ომის შემდგომ მსვლელობაზე. დაიხურა ბაზრები, მკვეთრად გაიზარდა ფასები კვების პროდუქტებზე, არმია განიცდიდა რედლეულის, სურსათ-სანოვაგისა და საომარი მასალის ნაკლებობას. ყოველივე ამის გამო ჯარის ნაწილებსა და მოსახლეობაში თავი იჩინა უკმაყოფილებამ, ამით ისარგებლეს ფაშას მოწინააღმდეგე მამლუქებმა და იმათ, ვინც ქალაქში იყვნენ დარჩენილები ან შეგზავნილები. მათ შეძლეს ბაღდადის მცხოვრებთა დარწმუნება იმაში, რომ სა'იდს თანამდებობა ჩამორთმეული აქვს და მის ადგილზე დანიშნულია დაუდი; ფულითა და სხვა ათასგვარი დაპირებებით თავიანთ მხარეზე გადაიბირეს იენიჩრების გარნიზონი. მათი აქტიური მხარდაჭერით დაიკავეს ქალაქი, გააღეს მისი კარები და მიიწვიეს დაუდ-ეფენდი, რომელიც 1232 წლის 5 რაბი' მეორეს[3] (1817 წ. 22 თებერვალს)[4]—„კვლავ დაბრუნდა ბაღდადში"[5] და შეუდგა საფაშოს მართვას"[6].

დაუდ-ფაშამ მეტად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. ერაყი მაშინ ის აღარ იყო, რა-

---

[1] დაუდ-ფაშას წინააღმდეგ განსაკუთრებული შეუპოვრობით იბრძოდნენ მუნთაფიქების შეიხი ჰამიდ ას-სავირი (იხ. S. H. L o n g r i g g, დასახ. შრომა, გვ. 237) და ციციანოვის მკვლელი ჰაჯი მირზა, რომლის შესახებ მისი მსახური, ირანში მოხვედრილი რუსი ტყვე ვაგინი (ამ უკანასკნელის ვინაობის შესახებ იხ. «Русское слово». 1859, № 4, გვ. 44—45. აგრეთვე А. С. Грибоедов. Полное соб. соч., 1917, т III. გვ. 292), ამბობს: „შაჰმა მე გამასაჩუქრა ჰაჯი მირზა მაჰმუდ ალვარზე და ატყუებდა, რომ დალაშქრა რუსეთი. ხოლო ჩემმა პატრონმა კი მისწერა, თუ ასეა, მოდი თბილისი აიღეო. შაჰს გული მოუვიდა. უნდოდა იგი დაესაჯა, მაგრამ მან შეიტყო ეს და მეუღლითა და მთელი ოჯახით, რომელშიც მეც შევდიოდი, გაიქცა ბაღდადს, რომელსაც ასად-ფაშა ფლობდა....

ასად-ფაშას ადგილზე ცარგრადიდან დანიშნული იყო სხვა, დაუდ-ეფენდი და მოადგა ბაღდადს. ჩვენმა პატრონმა ისეთი ქარი დააყენა მის ბანაკში, რომ ღმერთსაც არ უნახავს... შემდეგ ჩემმა პატრონმა დანიშნა, თუ რომელ დღეს უნდა დასხმოდა თავს, რომ დაუდ-ეფენდის ბანაკი ორად გაეგლიჯა. ასეც მოხდა. მთელი მისი ლაშქარი გაიქცა". (Рассказ Вагина, Пол. соб. соч., А. С. Грибоедова, П. 1917, т. III, გვ. 59—60).

[2] S. H. L o n g r i g g. დასახ. ნაშრომი, გვ. 237.

[3] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 240.

[4] კლ. უარი 1817 წ. 23 თებერვალს წერს (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 170), ლონგრიგი — 20 თებერვალს (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 238), ხოლო მეჰმედ სურეიას მიხედვით ეს უნდა მომხდარიყო 1231 წ. მუჰარემის თვეში (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 326) ანუ 1815 წ. დეკემბერში.

[5] Рассказ Вагина. Пол. соб. соч. А. С. Грибоедова, П., 1917, т. III, стр. 60.

[6] 'ა ბ ა ს ალ-'აზზავის ცნობით, 1817 წ. 23 თებერვალს ბაღდადში შესული დაუდ-ფაშა საზეიმო შეხვედრა მოუწყვია ქალაქის მოსახლეობას, დიდებულებსა და სწავლულებს. „ყოველი ხბრიდან გაისმოდა მისალმების შეძახილები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!". (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 261)

საც იგი სულეიმან-ფაშა ბუიუქის დროს წარმოადგენდა. ამ უკანასკნელის გარდაცვალების თითქმის პირველივე დღიდან დაწყებულმა გაუთავებელმა საგარეო და საშინაო ბრძოლებმა ქვეყანას თავისი კვალი დაამჩნიეს. საფაშო ხელისუფლება დასუსტდა. სა'იდ-ფაშას დროს მმართველ აპარატში სრულმა ანარქიამ და უდარდელობამ დაისადგურა. ფაშა და მისი მოხელენი სხვადასხვა სახის გართობა-დროსტარებაზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე საფაშოს გონივრულად მართვაზე. საფაშოში მყოფი თითოეული ტომი გრძნობდა რა ხელისუფლების სისუსტეს, დამოუკიდებლობას ჩემულობდა. შეჰრიზორის მხარე ხომ თითქმის მთლიანად გამოეყო საფაშოს და იგი ახლა ირანს უფრო ემორჩილებოდა, ვიდრე ბაღდადის გამგებელს. უსასრულო ბრძოლები, რასაც ადგილი ჰქონდა საფაშო ხელისუფლებასა და ტომებს შორის, საფაშო ხელისუფლებისა და საფაშოში შევიწროებული შეჰრიზორის გამგებლებს და აგრეთვე თვით ტომებს შორის, — უარყოფითად მოქმედებდა ერაყის არა მარტო სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე, არამედ მის ეკონომიკაზეც. დაუდ-ფაშას კი ეს არ აწყობდა. მისი იდეალი ის იყო, რომ ერაყი ყოფილიყო ძლიერი ქვეყანა, ხოლო თვითონ ამ ქვეყნის დამოუკიდებელი ხელმწიფე. ამიტომ დაიკავა თუ არა გამგებლის პოსტი, მაშინვე შეუდგა თავისი ოცნების სინამდვილედ გადაქცევასა და ერაყში მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას. პირველ რიგში მან თავი მოუყარა სწავლულებს, დიდებულებს, ჯარის წარმომადგენლებს, მოკეთეებს, ქალაქის შეძლებულებს, აგრეთვე ყველა ოსმალოს და შეადგინა დიდი დივანი (الديوان العظيم) ანუ დიდი საბჭო, მთავრობა, რომელშიც შედიოდნენ: ქეთხუდა მუჰამედაღა, დივანის მწერალი ფადლალაჰი, იენიჩარების უფროსი სა'იდ 'ალი-აღა, დათარდარი მუჰამედ სა'იდი, ქაჰია მუსა-აღა და ხაზინადარი იაჰია-აღა; თითოეულ მათგანს, ისე როგორც ჯარის მეთაურთა შემადგენლობას, დაურიგა გარკვეული ფორმის ტანსაცმელი იმისდა მიხედვით, თუ ვის, რა პოსტი ეჭირა; შემდეგ შეკრიბა ჰოსახლეობა და გააცნო მათ მიღებული დეკრეტი, რომელსაც კმაყოფილებით შეხვდა ყველა[1]. ფულით, საჩუქრებითა და დაპირებებით ერაყის ახალმა გამგებელმა თავის მხარეზე გადაიბირა ჯარი (იენიჩარები) და მოსახლეობა, განსაკუთრებით სასულიერო წოდება, რომლის წარმომადგენლებთან — ჯ. ბ. ე ე ლ ს ტ ე დ ი ს ცნობით, — მას როგორც მოლას, ისედაც ფართო კავშირი ჰქონდა[2]. ასეთი ღონისძიების გატარებით დაუდ-ფაშამ საკმაოდ განიმტკიცა თავისი პოზიცია საფაშოს დედაქალაქში და შესაძლებლობა მიეცა შედგომოდა მისდამი მტრულად განწყობილი ელემენტების დასჯას. იგი არ დაკმაყოფილებულა სა'იდ-ფაშას მოკვლით და სასტიკად გაუსწორდა ამ უკანასკნელის მომხრე გავლენიან პირებს: ჰამად-აღას, მუჰამედ სა'იდ-ბეგს, ომარ-აღას და სხვა

[1] აბას ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 241.

[2] J. B. W e l s t e d, Travels to the city of the Caliphs, London, 1840, vel. I, გვ. 250; А. А д а м о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 413.

ოფიცრებს, აგრეთვე ქულემენების იმ ჯგუფს, რომელიც ბოლომდე სა'იდ-ფაშას ერთგული დარჩა.

მაშინ, როცა დაუდი ბაღდადში საქმეს აგვარებდა, მისი შეიარაღებული ლაშქარი ქაჰია მუჰამედ-აღას წინამძღოლობით აჯანყებულ არაბ ტომებს უტევდა და მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა. 1818 წლის ზამთარში მან დაამარცხა დულაიმის, შამარ-ჯერბას, შამარ-ტოგას ტომები და დახარკა ისინი. ის სასტიკად გაუსწორდა, აგრეთვე, სუჯურისა და ენეზის სექტანტებს, რომლებიც მუსაიბის აღმოსავლეთით მოქმედებდნენ ირანის ხელისუფლების კარნახით. ირანის მთავრობის აშკარა წაქეზებით მოქმედებდა სულეიმანიეს გამგებელი მუჰამედ-ფაშა ბაბანიც, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ ერთგულების ფიცი ჰქონდა დადებული დაუდთან და სულთანთან, მაინც თვალი ირანისაკენ ეპყრა. ამიტომ დაუდმა გადაწყვიტა ქურთისტანის საკითხის საბოლოოდ მოგვარება, მისი შემომტკიცება და ამ მიზნით 1818 წელს თავისი ლაშქრით სულეიმანიესაკენ გასწია[1].

ა. ადამოვის მოსაზრებით, ქურთისტანში სალაშქროდ წასული ბაღდადის ფაშა შუა გზიდან უკან დაბრუნებულა, რადგან შეუტყვია, რომ მუჰამედ ბაბანის დასახმარებლად სულეიმანიეში მოსულა ირანის დიდძალი ჯარი[2], ქერმანშაჰის გამგებლის, უფლისწულ 'ალი-მირზას მეთაურობით.

სხვა ცნობების მიხედვით კი იგივე ამბავი რამდენადმე სხვაგვარად წარმოგვიდგება. 1818 წელს დაუდს დაულაშქრავს ქურთისტანი და სულეიმანიეს მმართველად თავისი კანდიდატი აბდალაჰი[3] დაუსვამს[4]. რაც შეეხება სულეიმანიეში ირანის ლაშქრის მოსვლას, ეს შედარებით გვიანდელი ამბავია. დამარცხებული და თანამდებობიდან გადაყენებული მუჰამედ-ფაშა ბაბანი სულეიმანიედან ირანს გაიქცა და 1819 წელს გაზაფხულზე ქერმანის გამგებლის 'ალი-მირზას ლაშქრით ქურთისტანს მიადგა[5]. მის წინააღმდეგ გაგზავნილი ბაღდადის ლაშქარი, რომელსაც სულეიმანიეს გამგებელი აბდალაჰ-ფაშა ბაბანი და დაუდის

---

[1] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 243.

[2] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 415.

[3] ა. ადამოვის მიხედვით ის მუჰამედ-ფაშა ბაბანის უმცროსი ძმა უნდა იყოს (იხ. იქვე, გვ. 415), ხოლო ს. ჰ. ლონგრიგი—მუჰამედის ბიძად მოიხსენიებს (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 243).

[4] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრ., გვ. 244.

[5] ს. ჰ. ლონგრიგი ამ ლაშქრობის თარიღად რატომღაც „1821 წელს" ასახელებს (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 243). ნამდვილად კი მოხდა 1819 წელს ზაფხულ-შემოდგომაზე, რაც გარკვევით ჩანს იმ დროს კონსტანტინეპოლში მყოფი რუსეთის წარმომადგენლის გრაფ. გ. ა. სტროგანოვის დეპეშიდან, რომელიც 1819 წლის 16 სექტემბერს გაუგზავნა მან ა. პ. ერმოლოვს. მასში ნათქვამია, რომ „ინგლისელი კურიერისგან, რომელიც ყოველ თვეში მოდის აქ ბაღდადიდან ოსტ-ინდოეთის კომპანიის საქმეებზე, ლისტონმა ახლა მიიღო ცნობა ბაღდადის საფაშოში სპარსელების ოციათასიანი კორპუსის შეჭრის შესახებ, რათა გაატიალონ ეს პროვინცია" (Депеша барона Строганова к ген. Ермолову от 16 сентября 1819 года, «АКАК», т. VI, ч. II, გვ. 420).

ჭაჭია მუჰამედ-აღა ხელმძღვანელობდნენ, თავიდან წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს, მაგრამ მტრის საბოლოოდ შეკავება კი ვერ შეძლეს. ისედაც მცირერიცხოვანი და ირანელებთან შედარებით უფრო ცუდად შეიარაღებული ბაღდადის ლაშქრის რიგები დროთა განმავლობაში თანდათან თხელდებოდა. მაშველი ჯარი კი არსაიდან მოსდიოდა და არც მოელოდა, რადგან იმპერიის თითქმის მთელი შეიარაღებული ძალები იმ დროს საბერძნეთში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მომხდარი ანტიოსმალური აჯანყებების წინააღმდეგ იყო მიმართული და ქურთისტანის ამბებისათვის არავის ეცალა. ასე რომ, დრო ირანელთა სასარგებლოდ მოქმედებდა და 'ალი-მირზაც, რა თქმა უნდა, მოხერხებულ მომენტს ხელიდან არ უშვებდა. იგი დაჟინებით მოითხოვდა დაუდისაგან, შაჰის ქვეშევრდომი მუჰამედ-ფაშა ბაბანის დასშას სულეიმანიეს გამგებლად, ე. ი. მთელი შეჰრიზორის მხარის ირანის მფარველობაში შესვლას და ამისათვის ომს განაგრძობდა; ბრძოლაში აბამდა ახალ რეზერვებსა და გამარჯვების სასწორიც თანდათან მის მხარეზე იხრებოდა. ყიზილ რობატთან გამართულ შეტაკებისას ირანისა და ქურთების ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე[1], დაიკავა სულეიმანიე და კვლავ აღადგინა იქ მუჰამედ-ფაშა ბაბანის ხელისუფლება.

ვინაიდან ბაღდადის არმიის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, ქურთისტანის საქმეში ირანის აშკარა შეიარაღებული ჩარევა იყო, დაუდმა, ირანისათვის სამაგიეროს გადახდის მიზნით, შური იძია ერაყში მცხოვრებ შიიტ მოსახლეობაზე და დაიწყო მათი უმოწყალო რბევა-აწიოკება. ბაღდადში, ქერბელასა და ნეჯეფში მყოფი ირანელი მდიდრები დააპატიმრა, ხოლო მათ ქონებას კონფისკაცია უყო. ასე მოექცა იგი შიიტთა წმინდა ადგილებში (ქერბელასა და ნეჯეფში) ირანის შაჰების მიერ საუკუნეთა მანძილზე ნაგროვებ განძეულობასაც, რომელიც დაუდის განკარგულებით ბაღდადის ზარაფხანაში მიიტანეს, გადაადნეს და ფულად მოჭრეს[2]. დაუდის ბრძანებით აკავებდნენ და ჩხრეკდნენ აგრეთვე მექა-მედინაში მიმავალ ირანელ პილიგრიმთა ქარავნებს[3].

## დაუდის ბრძოლა ერაყში ინგლისელთა გატონობის წინააღმდეგ

შიიტებისა და მათი წმინდა სალოცავების გარდა, დაუდმა იერიში მიიტანა, აგრეთვე, ერაყში მყოფ ინგლისელებზეც, რომლებიც თავიანთი მთავრობის დავალებით ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ ბაღდადის საფაშოსა და მისი გამგებლის მიმართ. ის პრივილეგიური მდგომარეობა, რომელიც ინგლისმა მახ-

[1] Claudius James Rich, Narative of a Residence in Koordistan and in the Site of Ancient Nineveh... London, 1836, Vol, II, გვ. 180, 184.

[2] იქვე, გვ. 226; იხ. აგრეთვე А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 416.

[3] სხვათა შორის ასე მოექცნენ ფათ'ალი-შაჰის ერთ-ერთ მეუღლესაც (Иванов М. С., — Очерк истории Ирана, М., 1952, გვ. 138).

ლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ კი ირან-ოსმალეთში მოიპოვა ნაპოლეონის დიქტატურის საბოლოოდ დამხობის შემდეგ და ის უპირატესობანი, რასაც ინგლისელებს ოსმალეთთან და ირანთან დადებული სავაჭრო გარიგებანი (ე. წ. კაპიტულაციები) ანიჭებდა, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მის ინტერესებს ახლა მარტო ეს ვეღარ აკმაყოფილებდა და განზრახული ჰქონდა ამ ქვეყნების სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო, რისთვისაც სააგიტაციო-პროპაგანდისტულ და სადაზვერვო მუშაობას ჯერ კიდევ XIX ს-ის დამდეგიდან შეუდგა. ინგლისის კაბინეტი ამ საქმიანობას ჯერ ბასრადან წარმართავდა, ხოლო 1806 წლიდან კი, როცა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის რეზიდენტის ადგილსამყოფელი ქ. ბაღდადი გახდა, დაზვერვის მთავარმა საკოორდინაციო ცენტრმაც იქ გადაინაცვლა. ამ ცენტრს და მის საქმიანობას სათავეში უდგნენ რეზიდენტი ჯემს რიჩი, მისი მოადგილე ჰაინი და კოლკუჰინი. მათი პირდაპირი ხელშეწყობითა და დავალებით ინგლისის დაზვერვის აგენტებმა არაერთხელ იმოგზაურეს ერაყის, ქურთისტანის, ოსმალეთის იმპერიის სხვა ადგილებსა და ირანში ინგლისის მთავრობისათვის საჭირო ცნობების შესაგროვებლად. ასეთი მისიის პირველი მოგზაურობა მცირე აზიაში, სომხეთში, ქურთისტანსა და ირანში 1813—1814 წლებში განახორციელა კაპიტანმა მაკდონალდ კინეიმ მარშრუტით: ერზერუმი-ბითლისი-სიისტრი-მარდინი-ჯაზირე-მოსული; ბენდერ-ბუშირი-ისპაჰანი-თავრიზი მდ. არაქსი-მარაღა-სენნე-ჰამადანი-ქაშირი-ბაღდადი; ბაღდადი-მოსული-დიარბექირი-ამასია-სტამბოლი-სმირნა[1]. ამ საკმაოდ ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებულმა კინეიმ მადრასში, სადაც თვითონ მსახურობდა, სენტ-ჯორჯის ფორტის ინგლისელ ციხისთავს წარუდგინა დეტალური რუკა და ვრცელი ჩანაწერები[2], რომლებიც შეიცავდნენ ოსტ-ინდოეთის კომპანიისა და ამ უკანასკნელის ზურგს უკან მდგომი ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის მეტად საჭირო სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის ცნობებს[3].

მაკდონალდ კინეის მიერ დაწყებული საქმე შემდეგ სხვებმა განაგრძეს. 1817 წელს ერაყ-ქურთისტანი დაათვალიერა და აღწერა ლეიტენანტმა ვ. ჰეიდმა[4], ხოლო მომდევნო (1818—1819) წლებში ერაყში ქურთისტანსა და ირანში იმოგზაურა რ. კერ-პორტერმა, რომელმაც გზად თბილისზეც გაიარა[5].

[1] j. M. K i n n e i r, Journey through Asia Minor, Armenia and Koordistan in the year 1813 and 1814, London, 1818.

[2] იქვე, გვ. 510—539.

[3] იქვე, გვ. VIII; С. В. Шостакович, Дипломатическая деятельность А. С. Грибоедова, М. 1960, გვ. 179.

[4] W. H e u d e, A voyage up the Persian Gulfe and a journey overland from Jndia to England in 1817, London, 1819.

[5] მოგზაურობისას გაკეთებული ვრცელი ჩანაწერები კერ-პორტერმა გამოაქვეყნა 1822 წელს ორ ტომად, ასეთი საერთო სათაურით: „Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babilonia during the years 1817, 1818, 1819 and 1820". პირველ ტომში მოცემულია ცნობები საქართველოს შესახებ.

ინგლისის პოლიტიკური მესვეურნი ჰერცოგი ებერდინი, კარტრაიტი (გენერალური კონსული სტამბოლში), ბარკერი (გენერალური კონსული ეგვიპტეში), პიკოკი (ინდოეთის საქმეთა პასუხისმგებელი მოხელე) და სხვ. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ასეთ მოგზაურობებს[1]. ამიტომ, რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა ინგლისელი პოლიტაგენტების სააგიტაციო-სადაზვერვო მოქმედება და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვე XIX ს-ის 20-იანი წლების დამდეგისათვის ლონდონში აღარ ფარავდნენ თავიანთ ავანტიურისტულ ზრახვებს ერაყისა და ირანის მიმართ. 1820 წელს პალატაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამართული კამათის დროს ჯემს მაკინტოში პირდაპირ მოითხოვდა „სპარსეთში და აგრეთვე ბაღდადის საფაშოშიც დიდი ბრიტანეთი უძლეველი უნდა იყოსო"[2] და ამის განხორციელება, სხვათა შორის, ბაღდადში მყოფ ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის რეზიდენტს კლაუდიუს ჯემს რიჩს დააკისრეს.

რიჩს აღმოსავლეთში ვაჭრობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა. ბაღდადში იგი 1808 წელს მოვიდა. კარგად იცოდა ოსმალეთის იმპერიის ამ პროვინციის ეკონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობა და ლონდონიდან მიღებული დავალების განხორციელებისათვის საჭირო გზებსაც ახლა ამისდა კვალად სახავდა. მისი აქტიური მოქმედებით 1821 წლისათვის ბასრა-ბაღდადში საგრძნობლად იმატა ინგლისის სავაჭრო ახალშენებისა (ფაქტორიების) და მოახალშენეთა რიცხვმა. გაიზარდა საფეიქრო ნაწარმის შემოზიდვა და გაფართოვდა ვაჭრობა, რომელიც მთლიანად ინგლისელთა ხელში მოექცა. ახალშენების, მოახალშენეთა და მათი საკუთრების დაცვის საბაბით სავაჭრო საქონელს თან მოჰყვა ქვემეხებიც. რიჩის განკარგულებით შატ ელ-არაბის შესართავში ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ხომალდებმა ჩაუშვეს ღუზა, ხოლო ხმელეთზე დაქირავებული არაბებისგან სამხედრო რაზმი შექმნეს და შეაიარაღეს. მაგრამ რიჩი მარტო ამით როდი დაკმაყოფილდა. ერაყის დასუსტება-დამორჩილებისათვის მან გადაწყვიტა ბაღდადის საფაშოს წინააღმდეგ ქურთისტანი აემოქმედებინა. ამიტომ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა სულეიმანიეს გამგებელ მუჰამედ-ფაშა ბაბანთან და საიდუმლო მოლაპარაკება გამართა მასთან. ერთ ასეთ მოლაპარაკებას ადგილი ჰქონდა 1820 წლის 8 აპრილს, ხოლო მეორეს კი — აპრილის ბოლო რიცხვებში[3].

რიჩი ორივე შემთხვევაში გამოცდილი პოლიტიკური აგენტისათვის დამახასიათებელი სიფრთხილით მოქმედებდა და ბაღდადის ფაშასათვის ქურთისტანში თავისი ხანგრძლივი მოგზაურობის[4] ნამდვილი მიზეზი რომ დაეფარა, ამ ვიზიტს ტურისტული გასეირნების ხასიათი მისცა, რისთვისაც მან თან გაიყოლია

[1] H. A. Халфин, Борьба за Курдистан, М., 1963, გვ. 32.

[2] V. Fontanier, Voyage dans l'Inde et dans le Golfe Persique, Paris, 1844, Part 1, გვ. 176.

[3] 'აბას ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 266—267.

[4] რიჩმა ქურთისტანში იმოგზაურა 1820 წლის გაზაფხულზე და იქ ერთი წელი დაჰყო. იგი

მთელი თავისი ამალა: მეუღლე, მდივან-მრჩევლები, მსახურები და მცველები[1], დიდი რაზმი ინდოელი სალდათებისა[2].

დაუდ-ფაშას მართალია არ მოსწონდა რეზიდენტის მოქმედება, იგი ამჩნევდა, რომ ბასრა-ბაღდადში ინგლისელ მოახალშენეთა მომრავლება, ოსმალეთის მთავრობის მიერ მათთვის მინიჭებული პრივილეგიები და სავაჭრო მონოპოლიის ხელში ჩაგდება უარყოფითად მოქმედებდა საფაშოს ადგილობრივ ვაჭრობაზე, საფეიქრო მრეწველობაზე, ფინანსურ და საერთოდ, მთელ მის ეკონომიურ განვითარებაზე, მაგრამ მან არ იცოდა, თუ რიჩი თავისი ვიზიტების დროს გადატრიალებას ამზადებდა ქურთისტანში. ერაყის გამგებელმა ეს მხოლოდ 1821 წელს შეიტყო, როცა ირანს გადახვეწილი მუჰამედ-ფაშა ბაბანი რამდენიმე ხნის შემდეგ ქერმანშაჰის ლაშქრით კვლავ შეჰრიზორს მოადგა, დაუდის ჯარი დაამარცხა, სულეიმანიე დაიკავა და ეს მხარე ბაღდადის საფაშოს მოსწყვიტა. ამასთან დაკავშირებით ბაღდადიდან ქურთისტანში მივლენილმა ფაშას სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც, სხვათა შორის, რიჩის მოგზაურობის ნამდვილი მიზნის დადგენაც ევალებოდა[3], გაარკვია, რომ მუჰამედ-ფაშა ბაბანის მოქმედებაში ქერმანშაჰის გამგებლის გარდა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ბაღდადელი რეზიდენტის ხელიც ერია[4]. ეს საფუძვლად დაედო დაუდის ბრძოლას ინგლისელთა წინააღმდეგ. მან ინგლისელი ვაჭრებისა და რეზიდენტის საყურადღებოდ განაცხადა, რომ „ევროპელთა (პრივილეგიური) უფლებები ბაღდადზე აღარ ვრცელდება"[5] და წინადადება მისცა მათ ერაყელთათვის დაწესებულ კანონებს დამორჩილებოდნენ ან დაეტოვებინათ ეს ტერიტორია.

ბაღდადის ფაშას ამ განცხადების კატეგორიულმა ტონმა ხასიათი გაუფუჭა ბასრა-ბაღდადში მოკალათებულ ინგლისელ მეახალშენეებსა და მათ მფარველ ჯემს რიჩს. ამიტომ ეს უკანასკნელი სასწრაფოდ დაუკავშირდა ინგლისის ელჩს სტამბოლში ლორდ სტრანგფორდს, გააცნო მას დაუდ-ფაშას პოზიცია ინგლისის მიმართ და სთხოვა რჩევა-დარიგება, როგორ მოქცეულიყო.

სტრანგფორდი და მისი მთავრობა, რა თქმა უნდა, შორს იყვნენ იმ აზრისაგან, რომ ერაყიდან თავისი ქვეშევრდომები გაეყვანათ. ამიტომ ლორდი სტრანგფორდი 1821 წლის ივნისში გაგზავნილ თავის წერილში ინგლისის ოსტ-ინდოეთის ბაღდადელ რეზიდენტს ატყობინებდა, რომ უკუეგდო

---

ეწვია სულეიმანიეს, მერივანს, სენეს, ბანას, ირბილს, მოსულს და სხვა პატარა დასახლებულ ადგილებს, სადაც საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა ადგილობრივ ფეოდალებთან (იხ. Н. А. Халфин, დასახ. ნაშრომი, გვ. 27).

[1] 'აბას ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 266—267.

[2] Н. А. Халфин, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

[3] აბას ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 267.

[4] იქვე. ერაყში ჯემს რიჩის ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება აგრეთვე R. Mignan-ის ნაშრომში „Travels in Chaldea, including a journey from Bassorah to Bagdad, London, 1829, გვ. 89—90.

[5] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 255—256.

დაუდის წინადადება და მტკიცედ დაეცვა ინგლისის ინტერესები: „დაარწმუნე ფაშა,—სწერდა სტრანგფორდი რიჩს,—რომ მტკიცედ დავიცავთ იქ ჩვენს მაღალ ღირსებებს"[1].

რიჩი მიღებული მითითების შესაბამისად მოიქცა. მან უარი თქვა დაუდ-ფაშას წინადადების შესრულებაზე, შატ ელ-არაბში შეიყვანა თავისი ფლოტი, საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა სამხედრო რაზმები და ამით ფაქტიურად ომი გამოუცხადა ერაყის გამგებელს[2], მაგრამ მისი წინააღმდეგობის გატეხვა მაინც ვერ შეძლო. დაუდმა თავის მხრივ ალყა შემოარტყა ინგლისელთა ახალშენებს, თვით რიჩის რეზიდენციასაც და რეზიდენტიცა და მოახალშენეებიც ერაყიდან გააძევა[3]. ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის რეზიდენცია ბაღდად-ში დაიკეტა და ამრიგად, რიჩის მისია ჩაიშალა. ინგლისმა ვერც ამჯერად შეძლო ერაყში მტკიცედ ფეხისმოკიდება, რაც მას, სხვათა შორის, იმისათვისაც სჭირდებოდა, რომ ინდოეთიდან სპარსეთის ყურეში მოზიდული საქონელი შატ ელ-არაბისა და ევფრატ-ტიგროსის სამდინარო გზით მესოპოტამიის ჩრდილო ნაწილში გადაეტანა და იქ კონკურენცია გაეწია რუსეთის საქონლისათვის.

ამდენად, დაუდ-ფაშას მიერ გატარებული ეს ღონისძიება, თავისი მნიშვნელობით, ერაყის ფარგლებს სცილდებოდა. იგი ინგლისის პოზიციების შესუსტებით თუ, ერთი მხრივ, თავის სამწყსოს აცდენდა ინგლისელთაგან მოსალოდნელ უსიამოვნებას და გზას უკაფავდა ადგილობრივ ვაჭრობას, მრეწველობას და საერთოდ, ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, მეორე მხრივ, გარკვეულ დახმარებას უწევდა რუსეთს[4], რომელიც მსგავსად ინგლისისა

---

[1] Claudius James Rich, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

[2] V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

[3] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 415.

[4] ამიტომ კმაყოფილების გრძნობით აცნობებდა გენ. ერმოლოვი საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ. კ. ვ. ნესელროდეს, რომ „ინგლისელებმა გაწყვიტეს სავაჭრო ურთიერთობა ბასრასთან მათ წინააღმდეგ ადგილობრივი არაბი ტომების (საუბარია მუნთაფიქებზე, რომლებმაც დაუდ-ფაშას ბრძანებით ალყაში მოაქციეს ბასრაში მყოფი ინგლისელები და გააძევეს ისინი იქიდან—ბ. ს). ამბოხების შიშით (საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი თბილისში, ფ. № 2, აღწ. I, ფურც. 44).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბაღდადის ფაშასა და საქართველოს მთავარმმართებელ გენერალ ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვს შორის ამ დროს გაცხოველებულ მიმოწერას ჰქონდა ადგილი, რაც ჩანს როგორც დაუდის წერილიდან, სადაც იგი წერს: „...ბატონო მთავარმმართებლისაღვის წიგნი მომიწერია, უსუფა გამომიგზავნიაო" (იხ. დაუდ-ფაშას წერილი დედისადმი დაცული საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში № 19577 ხ), ისე სხვა თანამედროვეს ცნობებიდანაც. რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული აგრეთვე ისიც, რომ ამ მიმოწერასა და ურთიერთობას წმინდა სამხედრო ხასიათიც (ე. ი. დანიშნულება—ბ. ს.) ჰქონდა" (Robert Ker Porter, Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babilonia during the years 1817, 1818, 1819 and 1820, London, 1822, Vol. II, გვ. 249).

ძალდატანებით თუ მშვიდობიანი საშუალებებით აღმოსავლეთში გაბატონებას ესწრაფვოდა[1].

გრძნობდა რა, თუ რაოდენ უმჯობესდებოდა დაუდის მიერ გატარებული ღონისძიებების წყალობით რუსეთის მდგომარეობა აღმოსავლეთში, ინგლისი თავგამოდებით ცდილობდა დაკარგული პოზიციების აღდგენას ბაღდადში და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ რამდენადმე მიაღწია კიდეეაც ამას. ერაყისადმი სავაჭრო ბლოკადის გამოცხადების[2] გამო დაუდი იძულებული გახდა კვლავ აღედგინა ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის სარეზიდენტო ბაღდადში. მან ცნო აგრეთვე ინგლისელთათვის „კაპიტულაციებით" მინიჭებული პრივილეგიები და იკისრა მათთვის მიყენებული ზარალის მთლიანად ანაზღაურება[3]. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფორმალური დაპირება[4], ნამდვილად კი არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ინგლისელი ვაჭრები ამის შემდეგაც მოკლებული იყვნენ სავაჭრო პრივილეგიებს და ჩიოდნენ, რომ მათ მიერ ინგლისიდან მოტა-

---

[1] ამიერკავკასიაში გაბატონების შემდეგ რუსეთის ვაჭრობა ფეხს იკიდებს აღმოსავლეთში და კონკურენციას უწევს იქ ინგლისის საქონელს: „რუსეთის საქონელი თვით ინდამდეც კი აღწევდა და ზოგჯერ ინგლისურ საქონელზე მეტი უპირატესობით სარგებლობდა" (К. Маркс. Ф. Энгельс, соч., т. IX, М., 1933, გვ. 12).

რუსეთის ინტერესების შესაბამისად 1831 წლიდან სწრაფად ვითარდება სავაჭრო სატრანზიტო გზები საქართველოზე გავლით, „რედუტ-ყალე-თბილისი, ამიერკავკ. სამხედრო გზა—თბილისი და ვოლგის გზა მთელი დატვირთვით იწყებენ მოქმედებას. შავი ზღვის ფლოტის უფროსს, ადმირალ გრეიგს წინადადება მიეცა — უზრუნველეყო გემების მოძრაობის უშიშროება ოდესიდან რედუტ-ყალეში, რედუტ-ყალეს ნაესადგური და გზები თბილისისაკენ წესრიგში მოჰყავდა. თბილისში დაიწყო დიდი მუშაობა სასტუმროსა და ქარვასლის ასაგებად". რუსეთთან ამიერკავკასიის მხარის სავაჭრო ცენტრი, თბილისი იზიდავდა აზიისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ვაჭრებს. თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა თბილისი, რომლითაც რუსეთი უკავშირდებოდა აღმოსავლეთს, ეს გარკვევით ჩანს საფრანგეთის კონსულის გამბას შემდეგი სიტყვებიდან: „ზოგჯერ თბილისში ერთსა და იმავე დღეს სავაჭროდ მოდიოდნენ ნეგოციანტები პარიზიდან, კურიერები პეტერბურგიდან, ვაჭრები კონსტანტინეპოლიდან, ინგლისელები კალკუტიდან და მადრასიდან, სომხები სმირნიდან და იეზდიდან, უზბეკები ბუხარიდან, ასე რომ ეს ქალაქი შეიძლება ჩაითვალოს მთავარ საკვანძო პუნქტად ევროპასა და აზიას შორის", (И. Е. Николопов, Грибоедов и Восток, Ереван, 1954, გვ. 37—38).

იმისათვის, რათა ფართო განვითარება მისცემოდა ვაჭრობას ირანთან (კერძოდ გილანთან) 1821 წლის 8 ოქტ. ბრძანებულებით თეირანში გაიხსნა რუსეთის საკონსულო, სადაც კონსულად გაიგზავნა ი. ვაცენკო.

[2] რიჩის განკარგულებით გაწყდა კავშირი ინდოეთსა და ერაყს შორის. ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის გემებს აეკრძალათ ბასრაში მისვლა, ერაყში ბრინჯის შეტანა და იქიდან თაფლისა და სხვა საქონლის გატანა, რის გამოც ეს პროვინცია სერიოზულ ზარალს განიცდიდა. (Донесение К. С. Мазаровича ген. Ермолову от 15-го мая 1821 г. № 87, «АКАК», т. VI, ч. II, გვ. 240).

[3] C. U. Aitchison. A collection of Treaties, Engagements and Sanads relating to India and neigbouring countries. Calcuta, 1892, Vol. XI, გვ. 3.

[4] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 416.

ნილი საქონელი, რომელიც შორი გზის გამოელის გამო ისედაც არ იყო იაფი, ერაყში დადებული ბაჟების წყალობით კიდევ უფრო ძვირდებოდა და ალარ საღდებოდა, ვაჭრობა წამგებიანი ხდებოდა[1].

## დაუდ-ფაშას მტრული დამოკიდებულება ირანის ჯვეშევრდომებისადმი და ირანელთა სამხედრო ინტერვენცია ერაყში (1821—1822 წწ.)

დაუდ-ფაშას საქციელით უკმაყოფილო იყვნენ არა მარტო ინგლისელები, არამედ ერაყში მცხოვრები შიიტები და გარდა ამისა, მექა-მედინასა და ნეჯეფ-ქერბელაში მიმავალი ყველა ირანელი მომლოცველი (პილიგრიმი), რომლებიც შაჰისადმი გაგზავნილ თავიანთ საჩივრის ბარათებში ერთხმირი აღშფოთებით წერდნენ იმ შევიწროებათა შესახებ, რასაც ისინი ოსმალეთის იმპერიის ამ პროვინციის ტერიტორიაზე განიცდიდნენ საფაშო ხელისუფლებისაგან[2]. ამას, აგრეთვე დაუდის მიერ შიიტთა წმინდა ქალაქების (ნეჯეფ-ქერბელას) სალოცავების დარბევას, მათ გაძარცვას და, რაც მთავარია, ფათალი-შაჰის მეუღლისადმი შეურაცხყოფის მიყენებას, ირანის მთავრობა, რა თქმა უნდა, გულგრილად ვერ შეხვდებოდა და, ჰყავდა რა ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილ-შეიარაღებული არმია[3], იგი ერაყის დასალაშქრავად მოემზადა. ირანის ხელისუფლებას საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავდა ერაყში შიიტებისა და ქურთების სახით, მაგრამ იგი ამით არ დაკმაყოფილდა და მომხრეთა რიცხვის გასაზრდელად, თავისი აგენტურის მეშვეობით, ფართო სააგიტაციო მუშაობა გააჩაღა ამ მეზობელი ქვეყნის სუნიტ მოსახლეობაშიც.

აგენტურის საქმიანობას ჰოვეიზიდან ხელმძღვანელობდნენ. აგენტებადაც უმთავრესად მისი მცხოვრებნი, ბენი ლამისა და მუნთაფიქის არაბები, იყვნენ

[1] ამიტომ იყო, რომ მე-19 საუკუნის 20-იან წლებში ინგლისელებმა დაიწყეს ძველთაგანვე ცნობილი ტრაპიზონ-ერზერუმ-თავრიზის საქარავნო გზის ათვისება, რადგან ეს გზა მოკლე იყო და იქიდან შემოტანილი საქონელი გაცილებით იაფი ჯდებოდა, რაც შესაძლებლობას აძლევდა უცხოელებს წარმატებით გაეწიათ კონკურენცია რუსეთის სავაჭრო საქონლისათვის როგორც მცირე აზიაში, ისე ამიერკავკასიაში.

[2] М. С. Иванов, Очерк истории Ирана. М., 1952, გვ. 138.

[3] ირანის შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციას 1807—1809 წწ.-ში ფრანგი სამხედრო სპეციალისტები ედგნენ სათავეში, ხოლო შემდეგ ეს საქმე ინგლისელმა ოფიცრებმა ითავეს და ჯარების წვრთნა-შეიარაღება მათი უშუალო, თანაც სისტემატური, მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. აი, როგორ აღწერს ინგლისელი ოფიცრების საქმიანობას ამბის მომსწრე გენ.-ლეიტ. ფ. ფ. ბარტოლომეი: „...ეუყურებდი მე აქაური გვარდიის ბატალიონის მეცადინეობას... თითოეულ ასეულში იმყოფებოდა ინგლისელი ფელდფებელი, რომელიც ამჩნევდა და ასწორებდა შეცდომებს. კაპიტანი გარტონი... იმყოფებოდა ყველგან, სადაც კი მისი დასწრება საჭირო იყო, და ჯოხით ხელში ხელმძღვანელობდა მეცადინეობას. მისი ძალაუფლება ფართოა. მას უფლება აქვს ფეხის ტერფზე ჯოხის ცემით დასაჯოს პოლკოვნიკები და ოფიცრები, რასაც ზოგჯერ აკეთებს კიდეც... მეცადინეობა ორ საათს გაგრძელდა. ყველაფერი კეთდებოდა ინგლისური წესდების მიხედვით“ (Ф. Ф. Бартоломей, Посольство князя Меншикова в Персию в 1826 году, «Русская старина», СПБ, 1904, т. 118, апрель, გვ. 83).

გამოყენებულნი. ისინი მდინარე ევფრატის ნაპირებიდან მოვიდნენ აქ[1] და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ოსმალური ერაყის ტერიტორიაზე დარჩენილ მრავალრიცხოვან თანამემამულეებთან, რომელთა ბელადებს ახლა ირანის ხელისუფლების დავალებით, ბაღდადის ფაშას წინააღმდეგ ამხედრებდნენ.

ერაყში ამბოხების მზადების პარალელურად ომისათვის მზადებას ირანშიც შეუდგნენ. შაჰის ბრძანებით, ქერმანშაჰისა და თავრიზის გამგებლებმა თავი მოუყარეს ლაშქარს, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს და ბაღდადის საფაშოში აჯანყების დაწყებისთანავე მის ტერიტორიაზე უნდა შეჭრილიყვნენ, მაგრამ დაუდ-ფაშამ ჩაშალა მტრის გეგმა, დროზე შეიტყო თავის სახელოში აჯანყების მზადების ამბავი, სწორად შეაფასა საშიშროება, რაც მას ირანთან ომის დროს, ჰოვეიზის არაბებთან მჭიდრო კავშირში მყოფი მუნთაფიკისა და ბენი ლამის ტომებისაგან მოელოდა და ამ საფრთხის თავიდან აშორებას მისთვის ჩვეული ხერხით და ენერგიით შეუდგა.

აჯანყების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, შუღლი ჩამოაგდო მუნთაფიკებს შორის და ეს ძლიერი ტომი ხელოვნურად გათიშა ორ ურთიერთისადმი მტრულ ბანაკად. ირანის აგენტებისაგან მოსყიდული შეიხი ჰამიდ ას-სამირი ფაშამ თანამდებობიდან გაათავისუფლა და მის ნაცვლად ტომის ბელადად გადაყენებული შეიხის ძმა—ჯალილი დასვა. მაგრამ მის ცნობაზე უარი განაცხადეს მუნთაფიქებმა, რომლებიც ჰამიდ ას-სამირს უჭერდნენ მხარს და იარაღით ხელში ახლად დანიშნული შეიხის წინააღმდეგ წამოიშალნენ. გაჩაღდა ძმათამკვლელური ბრძოლა, რაც მშვენივრად გამოიყენა დაუდმა. არეულობისათვის ორივე შეიხი შეიპყრო და თავები გააგდებინა[2]. მუნთაფიქების ტომი კი, შორჩილება-ერთგულებაზე დააფიცა.

მოაგვარა თუ არა საქმე მუნთაფიქებთან, დაუდი იგივე ხერხით ბენი ლამის დამორჩილებას შეუდგა. აქაც მან თანამდებობა ჩამოართვა შეიხ არრას, ირახისაკენ რომ ეჭირა თვალი[3], და ტომის უფროსობა მის ძმას, ჰკვიანს, მოხერხებულსა და საფაშო ხელისუფლებისადმი კეთილად განწყობილ შეიხ მაზკურ იბნ ჯანდილს მიანდო. ამ უკანასკნელმა სწრაფად შემოიკრიბა თავის გარშემო თანამეტომეთა დიდი უმრავლესობა, დაამარცხა მოწინააღმდეგის მომხრენი და ამით ერაყში დაბრუნების იმედი მოუსპო ირანში გაქცეულ არრას, რომელიც ქერმანშაჰის გამგებლისა და ფეილის ლურთა იმედით დაკარგული პოსტის დაბრუნებას ელოდა[4]. ამრიგად, დაუდ-ფაშამ დასაწყისშივე ჩაახშო ის

[1] ბენი ლამის ტომის არაბები (დაახლოებით 20 000 კაცის რაოდენობით) ჰუვეიზში საცხოვრებლად გადავიდნენ მე-18 საუკ. დასაწყისში, ხოლო მუნთაფიქებისა კი (იმდენივე კაცი, რამდენიც ბენილამისა) —1812 წელს (А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 416—417).

[2] K. Ritter, Die Erdkunde von Asien. Berlin, 1844, ტ. VII, ნაწ. II, გვ. 1002; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 417.

[3] Cl. James Rich, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 169.

[4] V. Fontanier, Voyage dans l'Jnde, et dans le Calfe Persique, Paris, 1844. t. I, გვ. 364.

აჯანყება, რომელსაც მის წინააღმდეგ ამზადებდა ორი ძლიერი არაბული ტომი და, რომლის დაწყებასაც მოუთმენლად ელოდა ერაყის საზღვარზე მომდგარი ირანის არმია.

მუნთეფიქისა და ბენი ლამის ტომების დამარცხებით დაუდმა დროებით შეაჩერა ერაყზე ირანელთა თავდასხმა, მაგრამ საბოლოოდ მისი თავიდან აცდენა ვეღარ შეძლო.

შაჰი, რომელსაც სხვათა შორის ევროპულად გაწვრთნილ-შეიარაღებული თავისი არმიის ძალისა და ბრძოლისუნარიანობის შემოწმებაც უნდოდა, ომის დაწყებაზე უარის თქმას არ აპირებდა. შეიარაღებული ძალები დასავლეთ საზღვართან ჰყავდა და ერაყზე თავდასხმისათვის ახლა სხვა საბაბს ეძებდა, რაც სულ მოკლე ხანში იპოვა კიდევაც. ეს იყო სასაზღვრო ინციდენტი, რომელიც ჯერ კიდევ 1820 წელს დაიწყო[1].

თავისებური ბუნებრივი პირობების შედეგად საუკუნეთა მანძილზე მთელ რიგ ადგილებში ირან-ოსმალეთს შორის საზღვრის ზუსტად დადგენა არ ხერხდებოდა[2], რის გამოც ზოგჯერ ერთი და იგივე ტერიტორიაზე პრეტენზიას აცხადებდა ორივე სახელმწიფოს მთავრობა და ამ ნიადაგზე იწყებოდა კონფლიქტი. მაგრამ კონფლიქტის წარმომშობი მიზეზი ტერიტორიის გარდა, სხვაც იყო. კერძოდ, ირან-ოსმალეთს შორის ზუსტი სასაზღვრო ხაზის არარსებობა საშუალებას აძლევდა ერთი სახელმწიფოს მიწა-წყალზე მყოფ მომთაბარე ტომებს გადასულიყვნენ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ჰქონდათ რა ასეთი შესაძლებლობა, ისინი ამას ხშირად ბოროტად, თავიანთი გამდიდრებისათვის იყენებდნენ. ერთი ან რამდენიმე მათგანი თავს ესხმოდა მეზობელ ტომებს, ძარცვავდა მათ და შემდეგ კი ნაალაფევით მეორე სახელმწიფოს ტერიტორიას მიაშურებდა ხოლმე, რათა დაუსჯელად გადარჩენილიყო.

ასე მოხდა ახლაც. ქურთების ორი ტომი ირანიდან ოსმალეთში გადავიდა და თავი ერზერუმის საფაშოს შეაფარა. ირანის აზერბაიჯანის გამგებელმა პრინცმა აბას მირზამ ფაშას მათი დაბრუნება მოსთხოვა და მოლაპარაკების გასამართავად თავისი რწმუნებული მიავლინა. მაგრამ ერზერუმის ვალიმ, რომელიც ირანისადმი მტრულად იყო განწყობილი და მდგომარეობის განმტკიცებისათვის ირან-ოსმალეთს შორის საქმის გართულებას ცდილობდა, უარი თქვა

---

[1] М. С. Иванов, Очерк истории Ирана, Москва. 1952. გვ. 138; სხვა ცნობის მიხედვით, ის 1821 წელს უნდა დაწყებულიყო (იხ. А. Адамов, Ирак арабский, СПБ, 1912. გვ. 417).

[2] ამ საკითხის მოსაგვარებლად 1849 წელს სპეციალურად შეიქმნა საერთაშორისო კომისია, რომელშიც შედიოდა ოთხი სახელმწიფოს (ირანის, ოსმალეთის, რუსეთისა და ინგლისის) წარმომადგენლები: ოსმალეთიდან—დერვიშ-ფაშა, რუსეთიდან—პოლკ. ე. ი. ჩირიკოვი. ხოლო ინგლისიდან—პოლკ. ვილიამსი. კომისიამ სამი წელი იმუშავა, მაგრამ მიუხედავად ყოველგვარი ცდისა. ირან-ოსმალეთს შორის ზუსტი საზღვარი მე-20 ს. 30-იან წლებამდე ვერ დაუდგინდა. არც ირანის წარმომადგენელი თმობდა სადაო ტერიტორიას და არც ოსმალეთისა. «Путевой журнал Е. И. Чирикова,» СПБ, 1875; ავრეთვე, Хушид-Эфенди, Снахет-наме и Худуд, СПБ, 1877).

აბას-მირზას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და მისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ციხეში გამოკეტა[1], რასაც შედეგად მოჰყვა ჯერ ურთიერთობის გაწყვეტა ირან-ოსმალეთს შორის, ხოლო შემდეგ კი — ომი[2].

1821 წლის 15 ნოემბერს[3] აბას-მირზა თავისი არმიით ერზერუმის საფაშოში შეიჭრა. პირველსავე ბრძოლებში სძლია მოწინააღმდეგეს, აიღო ყარსის, აკსარაისა და თოფრაკ ყალეს ციხეები[4], ერთმანეთზე მიყოლებით დაეუფლა საზღვრისპირა ოლქებს: აბშეჰრს, დიადინს, მუშს, ბიტლისს[5] და წარმატებით გაიწევდა წინ. ერზერუმის ფაშას ყოველგვარი ცდა, შეეჩერებინა ირანის არმიის წინსვლა მარცხით მთავრდებოდა. ამიტომ იმპერიის ცენტრალურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ბრძოლაში ჩაება ბაღდადის ფაშას შეიარაღებული ძალები და დაუდს უბრძანა დაუყოვნებლივ შეჭრილიყო ქერმანშაჰის პროვინციაში.

ოსმალეთის ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებდა ამ გეგმაზე. მისი ვარაუდით ქერმანშაჰის გამგებელი, პრინცი მუჰამედ'ალი მირზა, ვერ შეძლებდა მის სამფლობელოში შეჭრილი ბაღდადის არმიის იერიშების მოგერიებას საკუთარი ძალით, ამიტომ ირანის მთავრობა იძულებული იქნებოდა ერზერუმის საფაშოში მოქმედი თავისი არმიის გარკვეული ნაწილი მუჰამედ ალი მირზასათვის მიეშველებინა, რაც უსათუოდ გამოიწვევდა აბას მირზას რაზმების დასუსტებას და ერზერუმის გამგებლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, თავის საფაშოდან მოწინააღმდეგის გასაძევებლად. მაშასადამე, ბაღდადის არმიის ჩაბმას ბრძოლაში არსებითი ხასიათის გარდატეხა უნდა მოეხდინა ირან-ოსმალეთს შორის უკვე დაწყებულ ომში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ირანის მიწა-წყალზე შეჭრილი ბაღდადის არმია სასტიკად დამარცხდა და სულთნის გეგმაც ჩაიშალა. იგი საქმის გაუმჯობესებას მოელოდა, ნამდვილად კი გააუარესა. ერზერუმს ვერაფრით უშველა, ხოლო ბაღდადი სულ ტყუილად ომში გახვია და მისი გამგებელიც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.

---

[1] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 418.

[2] ამ საქმეში რუსეთის დიპლომატიასაც მიუძღვის ღვაწლი. როგორც ს. ი. მაზაროვიჩისადმი (1821 წ. 1 ივლისს) გაგზავნილი ერმოლოვის საიდუმლო წერილიდან ჩანს, ირანში აკრედიტებული რუსეთის წარმომადგენელთა საზრუნავს შეადგენდა როგორმე დაერწმუნებინათ შაჰის მთავრობა იმაში, რომ შინაური არეულობით მოცული ოსმალეთისათვის ომის გამოცხადებით იოლად შეძლებდა მისი ყოფილი ტერიტორიების დაბრუნებას დასაელეთში (ЦГИАГ, Ф № 2, оп. I, «Журнал секретный походный Генерала Ермолова», л. 52). ირანში რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლების: მაზაროვიჩისა და ამბურგერის ასეთი საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენია ინგლისის აგენტებს. ერთ-ერთი მათგანი, ჰენრი კილოკი (ინგ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი ირანში) ამასთან დაკავშირებით თავის მთავრობას აცნობებდა, რომ მაზაროვიჩმა 30.000 თუმანი მისცა აბას მირზას ოსმალეთთან ომის დასაწყებად („AKAK", т. VI, ч. II, გვ. 259 და შემდეგ).

[3] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 174, შენიშვნა I.

[4] R. Gr. Watson, A History of Persia from the begining of the XIX century to 1858, London, 1866, გვ. 198.

[5] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 418.

ირანის მიწა-წყლიდან ბაღდადის ლაშქრის უკუქცევის შემდეგ მუჰამედ 'ალი მირზა ერაყის ტერიტორიის დაპყრობას შეუდგა. თავისი არმიით იგი ქურთისტანში შევიდა და ბაზიანის[1] ბრძოლაში იოლად სძლია მოწინააღმდეგეს. ამ ბრძოლის დროს ბაღდადის არმიის დიდი ნაწილი და თვით სარდალი ქაჰია მუჰამედ-აღა მოწინააღმდეგეს ტყვედ დანებდა, ხოლო დანარჩენმა უწესრიგოდ იწყო უკან დახევა[2]. მათ მრავალრიცხოვანი და უფრო კარგად შეიარაღებული მოწინააღმდეგის შეჩერება აღარ შეეძლოთ. მოკლე დროის მანძილზე მტერმა საფაშოს დიდი ნაწილი დაიკავა, ბაღდადს მიუახლოვდა და ახლა მის ასაღებად ემზადებოდა. ომის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო. ქალაქიდან 15 კილომეტრით მოშორებულ სოფელ ბენი საიდში[3] დაბანაკებული ირანის არმია უკვე გამარჯვებას (ბაღდადის აღებას და ირანისათვის ერაყის დაბრუნებას) ზეიმობდა, მაგრამ ეს ნაადრევი გამოდგა.

სულთხისაგან განწირულ და უნუგეშოდ მიტოვებულ ბაღდადის ფაშას მხსნელად შავი ჭირი მოევლინა. ის 1821 წლის შემოდგომაზე გაჩნდა ერაყში და ნოემბერ-დეკემბერში, როცა 'ალი მირზა ბაღდადის ასაღებად ძალას იკრებდა, ირანის არმიასაც მიაგნო. სიკვდილს ყოველდღე ათასობით ირანელი მიჰყავდა. სულ მალე მან მუჰამედ 'ალი მირზაც შეიპყრო და დღე დაუღია. ასეთ ვითარებაში ბრძოლის გაგრძელება, რა თქმა უნდა, აღარ შეიძლებოდა. ამიტომ შაჰი იძულებული გახდა ერაყის დაპყრობა დროებით გადაედო და თავისი არმია ბაღდადიდან ქერმანშაჰში გაეწვია[4], რის გამოც წყალში ჩაიყარა 'ალი მირზას მთელი მონაპოვარი.

ირანის არმიის წასვლით ბაღდადი დანგრევასა და გაძარცვას გადარჩა, ხოლო ერაყის მიწა-წყლის ის ნაწილი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ ირანელებმა მიიტაცეს დაუდ-ფაშამ კვლავ თავის სახელოს შემოუერთა.

ერაყში შავი ჭირის გამძვინვარებისა, ხოლო ერზერუმის საფაშოში კი დაზამთრების გამო დროებით შეწყვეტილი ომი 1822 წ. აღრე გაზაფხულზე ისევ განახლდა. ირანის 40.000-იანმა არმიამ, ამჯერად უკვე მუჰამედ ჰუსეინის (გარდაცვლილი მუჰამედ 'ალი მირზას ვაჟის) სარდლობით, კვლავ გადალახა ერაყის აღმოსავლეთ საზღვარი და მენდელთან ახალი დამარცხება მიაყენა ბაღდადის 10 000-იან ლაშქარს[5], რომელსაც ქაჰია ჰაჯი თაბით აღა[6] მეთაურობდა.

---

[1] بازیان — დასახლებული ადგილი, ამავე სახელწოდების კაზის (قضاء —მაზრა) ადმინისტრაციული ცენტრი შეჰრიზორის ეიალეთში.

[2] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

[3] იქვე, გვ. 245; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 418; G. Keppel. Personale Narrative of Travels in Babilonia, Assiria, Medina and Scythia,—London, 1827, Vol. I. გვ. 267—268.

[4] R. Watson, დასახ. ნაშრომი, გვ. 201—202.

[5] იქვე, გვ. 202.

[6] ტომით ქართველი, სულეიმან-ფაშა ბუიუქის ყოფილი მონა, ცნობილი მამლუქი ისტორიკოსის, სულეიმან-ბეგის მამა.

მიუხედავად ამ გამარჯვებისა, ირანელებს აღარ ჰქონდათ ისეთი წარმატებები, როგორიც 1821 წელს, ომის დასაწყისში. ქაჰია ჰაჯი თაბითისათვის მაშველი რაზმების გაგზავნითა და მტრის მიერ დაკავებული ერაყის საზღვრისპირა ტერიტორიაზე პარტიზანული ბრძოლების გაჩაღებით ბაღდადის ფაშამ შეძლო ომის მსვლელობაში არსებითი ხასიათის გარდატეხის შეტანა—მოწინააღმდეგის წინსვლის შეჩერება[1], რის შედეგადაც ბრძოლამ ძირითადად პოზიციური ხასიათი მიიღო და ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. იგი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა აგრეთვე ერზერუმის ფრონტზეც, სადაც ირანელთა წინააღმდეგ ახლა თურქების ლაშქართან ერთად მთელი ძალით მოქმედებდა შავი ჭირი, რომელიც ერაყიდან გადმოვიდა 1822 წ. გაზაფხულზე და სერიოზულ ზარალს აყენებდა აბას მირზას არმიას[2].

მთელ ფრონტზე შექმნილი საქმის ასეთი ვითარება იმის მაუწყებელი იყო, რომ ომი დიდხანს გასტანდა ეს კი არც ირანს აწყობდა და არც ოსმალეთს. სულთანს ამ დროს (1821 წ.) ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (სერბიაში) მიმდინარე აჯანყებების, აგრეთვე მცირე აზიის თვითნება ფეოდალების დათრგუნვა ეჩქარებოდა[3], ხოლო ძაჰს ინგლისის მთავრობა არ ასვენებდა. ეშინოდა რა აღმოსავლეთში რუსეთის გაძლიერებისა და თავისი ჰეგემონობის დაკარგვის, ინგლისის ხელისუფლება ირანში აკრედიტებული დიპლომატების მეშვეობით ფათალი შაჰისაგან მოითხოვდა ოსმალეთთან ზავის შეკვრას და ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის დასაბრუნებლად ჩრდილოეთელი მეზობელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის დაწყებას[4], რისთვისაც ისედაც დიდი ხანია ემზადებოდა ირანის ხელისუფლება ინგლისთან 1814 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე[5]. ამიტომ აბას მირზამ თავისი მთავრობის დავალებით შე-

[1] ამ საქმეში მთავარი დამსახურება მიუძღვის მეჰმედ-ფაშას, რომლის შესახებაც გენ. ა. პ. ერმოლოვი ირან-ოსმალეთს შორის მიმდინარე საომარი მოქმედების მდგომარეობით დაინტერესებულ გრაფ ნესელროდეს 1822 წ. 8 ივლისს ატყობინებდა: „ბაღდადის" ფაშას ვაზირმა, მამედ-ფაშამ, რომელიც გასულ წელს დამარცხებულ იქნა მამედ 'ალი მირზას მიერ სულეიმანიეში (ქურთისტანში) მოიპოვა სრული გამარჯვება ქერმანშაჰის პრინცის სარდაზებზე (ჯარისკაცებზე)... სულეიმანიე დაუყოვნებლივ გადავიდა თურქების ხელში, საერთოდ ფიქრობენ, რომ მათ განზრახული აქვთ კიდევ უფრო იძიონ შური სპარსელებზე იმ თავდასხმებისათვის, რასაც ისინი არ წყვეტენ ამ მხარიდან" (Отношения ген. Ермолова К гр. Несельроде, от 8 июля 1822 года, «АКАК», т. VI, ч. II, გვ. 268).

[2] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 419.

[3] Новая история стран зарубежного Востока, М., 1952, т. I, გვ. 308—309.

[4] А. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в., М., 1960, გვ. 190.

[5] ამ შეთანხმების, რომელიც დადებულ იქნა გულისტანის 1813 წ. ხელშეკრ. დარღვევის მიზნით, ინგლისი შაჰს აღუთქვამდა დიდძალ სუფსიდიასა და სამხედრო დახმარებას, თუ ირანი ომს დაიწყებდა „ევროპის რომელიმე სახელმწიფოსთან". გარდა ამისა, ხელშეკრულების მე-3 პუნქტში პირდაპირ იყო მითითებული, რომ საზღვარი ირანსა და რუსეთს შორის უნდა დაწესებულიყო მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის თანხმობით (А. В. Фадеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 190).

წყვიტა საომარი მოქმედება[1] და ერზერუმის ფაშასთან დაიწყო საზავო მოლაპარაკება, რომელიც დამთავრდა 1238 წლის 19 ზულ-კა'დს ჰიჯრით ანუ 1823 წლის 28 ივლისს ჩ. წ. ა. ერზერუმის ხელშეკრულების დადებით.

მოლაპარაკება ირანისათვის მეტად ხელსაყრელ პირობებში დაიწყო. ოსმალეთში მიმდინარე შინაომები და თავრიზ-ქერმანშაჰის არმიების მიერ ბაღდად-ერზერუმის ფრონტებზე მიღწეული წარმატებები კარგ წინაპირობებს წარმოადგენდა იმისათვის, რათა ერზერუმში ირან-ოსმალეთს შორის გამართული საზავო მოლაპარაკება ირანის სასარგებლოდ დამთავრებულიყო, მაგრამ მოხდა პირიქით; იგი ოსმალეთის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ერზერუმის ტრაქტატის დადებით ომი შეწყდა. ირანის ჯარები გაყვანილ იქნენ ოსმალეთის მიწა-წყლიდან და ყველა ტერიტორია, რომელიც მათ დაიკავეს ომის წინ ან ომის დროს ერაყსა და ქურთისტანის თურქულ ნაწილში, ბაღდად-ერზერუმის საფაშოებს უბრუნდებოდა[2]. „ამიერიდან ხმალი მტრობისა ქარქაშში დარჩება... ყველა ქალაქი, ციხე-სიმაგრე, რაიონი, და სოფელი, რომლებიც ოსმალეთის იმპერიის ძველი საზღვრის აქეთაა და ომამდე ან ომის დროს სპარსელებმა დაიკავეს, მთლიანად დაბრუნებული იქნება იმ სახით, როგორც არის ზავის დადების მომენტში“—ნათქვამია ხელშეკრულების პრეამბულაში[3].

ეს ზავი ყველაზე ხელსაყრელი გამოდგა დაუდ-ფაშასათვის, რადგან მან ამ ხელშეკრულებით დაიბრუნა როგორც ომის დროს დაკარგული ტერიტორია (ბესდელის რაიონი), ისე ომის წინ ქერმანშაჰის გამგებლის მიერ მიტაცებული საფაშოს ჩრდილო ნაწილი—შეჰრიზორის (ივივე ქურთისტანის) მხარე. გარდა ამისა, ირანის ხელისუფლება ვალდებულებას კისრულობდა, რომ აღარ ჩაურეოდა საფაშოს საშინაო საქმეებში: „ამ წუთიდან არავითარ ჩარევას არ უნდა ჰქონდეს ადგილი არც ბაღდადში, არც ქურთისტანში და სპარსეთის მთავრობას არ ექნება უფლება ოსმალეთის საზღვრებში მოქცეული ქურთისტანის ნაწილებისა და უბნების საქმეებში ჩარევისა, არ დაუშვებენ რაიმე შევიწროებას,

---

[1] ამასთან დაკავშირებით გენ. ა. ერმოლოვი ნესელროდეს აცნობებდა: „ინგლისელთა ოქროს უძლიერესი გავლენა აქვს და თანაბრად სჭირდება: შაჰს სიძუნწის გამო, ხოლო მემკვიდრეს — სხვადასხვანაირი განზრახვისათვის. ინგლისელებს, თუ მათმა პოლიტიკამ ეს მოითხოვა, სპარსელებსა და თურქებს შორის არსებული მტრობის შეწყვეტა მარტო კი არა, მათი გაერთიანებაც კი შეუძლიათ საერთო ღონისძიებისათვის“. (отношение ген. Ермолова к гр. Несельроде, от 11-го января 1802 г. «АКАК», т. VI, часть II, გვ. 255).

[2] ირანის ასეთი ზომიერება და დათმობა ნაკარნახევი იყო იმ ახირებული პოლიტიკით, რასაც ფათალი-შაჰი ახორციელებდა რუსეთის წინააღმდეგ. ჩრდილოეთისაკენ სალაშქროდ გამზადებულ შაჰს უარი უნდა ეთქვა ირანის არმიის მიერ დაკავებულ ოსმალეთის ტერიტორიაზე, რომ მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა სულთანთან და ამით უზრუნველეყო თავისი დასავლეთ საზღვარი ოსმალთა ხელყოფისაგან.

[3] Мирный трактат между Портою Оттоманскою и Персиею, заключенный в Эрзеруме 19 зилькада 1238 (28 июля 1823 г.), «Путевой журнал Е. И. Чирикова». СПБ. 1875 год, გვ. 638.

არ მიითვისებენ ხელისუფლებას ამ ქვეყნის ახლანდელი ან ძველი მფლობელებისას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ამ საზღვარზე ორივე მხარის ტომები გასცდებიან მათთვის განკუთვნილ საზაფხულო და საზამთრო ადგილსამყოფელის ფარგლებს, მისი უმაღლესობის ტახტის მემკვიდრისა და ბაღდადის ფაშას აგენტები ერთად განსაზღვრავენ ჩვეულებრივი გადასახდელის ციფრს, გადასახადს საძოვრებისას და სხვა ბაჟებს იმისათვის, რათა ამის გამო არ მოხდეს არავითარი უთანხმოება ორ სახელმწიფოს შორის"[1].

## სულეიმანიეს კრიზისი

ირან-ოსმალეთს შორის დამყარებულმა მშვიდობამ ბაღდადის გამგებელს საშუალება მისცა საფაშოს სამინაო საქმეებისათვის მიეხედა. პირველ რიგში მან ყურადღება მიაპყრო ერაყში დაწყებულ აჯანყებებს და ქურთისტანში თავისი მდგომარეობის განმტკიცებას შეუდგა, რისთვისაც ერზერუმის ხელშეკრულების რატიფიკაციისთანავე ქერმანშაჰის გამგებელს თავისი ელჩი აბდი-ბეგ ოღლი მუჰამედ-აღა გაუგზავნა და საზავო პირობების შესრულება—შეჰრიზორის მხარის დაბრუნება მოსთხოვა. მაგრამ ქერმანშაჰის მფლობელი, პრინცი მუჰამედ ჰუსეინ-ხანი, რომელიც აბას მირზას მითითებით შეჰრიზორის შენარჩუნებას ცდილობდა, საქმეს აჭიანურებდა და დაუდ-ფაშას აცნობებდა, რომ სულეიმანიედან ჯარს არ გაიყვანდა, სანამ შეპირებულ თანხას 60.000 თუმანს არ მიიღებდა[2]— «Аббас Мирза хочет удержать Сулейманию до уплаты 60/т. туманы Дауд Пашею»—აღნიშნავს იმ დროს თავრიზში მყოფი რუსეთის საელჩოს მდივანი ამბურგერი 1823 წლის სექტემბერში გენ. ა. პ. ერმოლოვისადმი თბილისში გაგზავნილ მოხსენებით ბარათში[3]. ირანის აზერბაიჯანისა და ქერმანშაჰის გამგებელთა ასეთ საქციელს ბაღდადის ფაშამ ქურთისტანში ლაშქრის გაგზავნით უპასუხა. დაუდმა თავისი ძმის, აჰმედ-ბეგის[4] მეშვეობით წინადადება მისცა სულეიმანიეს გამგებელ მუჰამედ-ფაშას, დაეყოვნებლივ გაეწყვიტა კავშირი ირანთან, დაეფიცებინა ბაღდადის ფაშას ერთგულებაზე და ეხადა მისთვის ყოველწლიური სავალდებულო გადასახადი — ხარკი; ამავე დროს აფრთხილებდა, რომ აღნიშნულ მოთხოვნებზე უარის თქმის შემთხვევაში სასტიკად დასჯიდა.

---

[1] Мирный трактат между Портою Оттоманскою и Персиею, заключенный в Эрзеруме 19 зилькада 1238 (28 июля 1823 г.), («Путевой журнал Е. И. Чирикова», СПБ, 1875 г., გვ. 638).

[2] 1822 წელს, ვიდრე ერზერუმში მოლაპარაკება დაიწყებოდა, დაუდ-ფაშა ჰუსეინ-ხანს დაუკავშირდა და მართლაც ჰპირდებოდა ამ თანხის გადახდას, თუკი ირანის ჯარი გაყვანილი იქნებოდა ბაღდადის საფაშოს ტერიტორიიდან. მაგრამ ჰუსეინმა მაშინ უარი თქვა დაუდის ამ წინადადებაზე (ЦГИАГ, Ф. № 2. оп. 1, л. 22 «Дела о заграничных происшествиях»; «АКАК», т. VI, ч. II, გვ. 276).

[3] იქვე.

[4] იგივე დიმიტრი. ზოგჯერ ჰუსეინადაც მოიხსენიებენ. მის შესახებ უფრო ვრცლად საუბარი გვექნება ქვემოთ.

ამრიგად, მდგომარეობა კვლავ დაიძაბა. დაიწყო „სულეიმანიეს კრიზისი“, რომელიც ირან-ოსმალეთის ახალი ომის დაწყების მიზეზიც შეიძლება გამხდარიყო.

მუჰამედ-ფაშას, რომელსაც ხელისუფლების დაკარგვისა ეშინოდა, არ უნდოდა ბაღდადის ფაშას ქვეშევრდომობა. მას ირანის დახმარების იმედი ჰქონდა, მისკენ ეპირა თვალი და დაუდ-ფაშას წინადადებებზე პასუხს აყოვნებდა. მაგრამ ირანის მთავრობას ახლა მისთვის არ ეცალა. მან ხომ ერზერუმის სამარცხვინო ზავს ხელი იმისათვის მოაწერა, რომ რუსეთთან ომის დაწყება ეჩქარებოდა და ოსმალეთთან კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარება სურდა, ამიტომ, ცხადია, სულეიმანიეს გულისათვის ახლა ოსმალეთთან დამოკიდებულებას არ გაიფუჭებდა და როგორც აბას მირზას, ისე ჰუსეინ-ხანს დააჭალა ზუსტად დაეცვათ ერზერუმის საზავო პირობები. ამის შემდეგ სულეიმანიეს გამგებელს მხოლოდ ისღა დარჩა, რომ დაუდ-ფაშას წინადადებები მიიღო, თავისი სამფლობელო ბაღდადის საფაშოს დაუმორჩილა და ერთგულების ფიცი მისცა.

## აჯანყებულთა დათრგუნვა არაბულ ერაყში

სულეიმანიეს საკითხის მოგვარების შემდეგ, დაუდმა თავის სახელოს მენდელის რაიონიც დაუბრუნა და 1824 წელს ცენტრალურ და სამხრეთ ერაყში დაწყებული აჯანყებების ჩაქრობას შეუდგა.

ცენტრალურ ერაყში მაშინ საფაშო ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებდა შიიტთა წმინდა ქალაქებისა და ჰილეს მოსახლეობა, რომელსაც მხარს უჭერდნენ ომის დროს დაუდ-ფაშას მიერ გადიდებული გადასახადებით დავძიმებული სხვა არაბებიც. აჯანყებას ხელმძღვანელობდა დაუდ-ფაშას ყოფილი ჭაჭია—1821 წელს ბაზიანის ბრძოლაში სპარსელთა მიერ ძლეული და მათ მხარეზე გადასული მუჰამედ-აღა, რომელიც ერაყში ომის დამთავრებას შემდეგ დაბრუნდა. იგი საკმაოდ პოპულარული პიროვნება იყო ერაყში, განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მამლუქებში და ამდენად, მისი აჯანყება ფაშასათვის ყველაზე საშიშს წარმოადგენდა. ამიტომ დაუდმა სულეიმანიედან დაბრუნებული თავისი ლაშქრის ერთი ნაწილი ჭაჭია ჰაჯი თალიბის მეთაურობით სწორედ მის წინააღმდეგ დაძრა და ქ. ჰილესთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. დამარცხებული მუჰამედ-აღა ბრძოლის ველიდან გაიქცა, ხოლო აჯანყებულთა ლაშქარი დაიშალა და ცენტრალური ერაყის ტომებმა ფაშას სრული მორჩილება აღუთქვეს.

მაშინ, როცა ჰაჯი თალიბი ცენტრალური ერაყის აჯანყებულ ტომებს ამარცხებდა და მათ ფაშას ერთგულებაზე აფიცებდა, დაუდის მეორე სარდალი ამირახორი სულეიმან-აღა (ტომით ქართველი) თავისი ცხენოსანი ნაწილებით სამხრეთ ერაყში იბრძოდა მუნთაფიქების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთა ბელადმა, გონებასუსტმა ჰამიდ ას-სამირმა, ისჯაგებლა რა იმ რთული ვითარებით,

რომელშიც ბაღდადის გამგებელი აღმოჩნდა ირანთან ომის დროს, უარი განაცხადა ფაშასათვის სავალდებულო გადასახადის გაღებაზე, გადაუდგა მას და შექმნა ბაღდადის საფაშოსაგან დამოუკიდებელი სამხრეთ ერაყის, ანუ არაბული ერაყის, ცალკე სამთავრო. მაგრამ მის დაცვა-შენარჩუნებას ახლა, მიუხედავად მასკატის იმამის აქტიური მხარდაჭერისა, ვეღარ ახერხებდა. შეტევაზე გადასული ამირახორი სულეიმან-აღა სამხრეთისაკენ მიიწევდა. იგი სულ უფრო და უფრო ავიწროებდა მოწინააღმდეგეს და ბოლოს ბასრასთან გამართულ ბრძოლაში საბოლოო გამარჯვება მოიპოვა. დამარცხებულმა ას-სამირმა ამას შემდეგ წინააღმდეგობა შეწყვიტა. იგი გაიქცა, ხოლო სულეიმანმა კი ქალაქი დაიკავა, მუნთაფიქის ტომის ბელადად დაუდ-ფაშას კანდიდატი, შეიხი სადუნი დასვა და, როცა თავისი მისია მთლიანად შეასრულა, ბაღდადს დაბრუნდა.

## დაუდის რეფორმები

მუნთაფიქების აჯანყების ჩაქრობით ერაყში დამთავრდა სამოქალაქო ომების ციკლი და დაიწყო ამ ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების ხანა, ხანა იმ ეკონომიურ-პოლიტიკური, კულტურული და სამხედრო ხასიათის ღონისძიებათა გატარებისა, რის აუცილებლობაშიც დაუდ-ფაშა საბოლოოდ ირანთან ომის დროს (1821—1823 წწ-ში დარწმუნდა. ეს ომი, როგორც ყველა სხვა, იყო მეომარ სახელმწიფოთა არა მარტო შეიარაღებული ძალების გამოცდა, არამედ ამ ქვეყნების საერთო პოლიტიკურ-ეკონომიური და მორალური მდგომარეობის საუკეთესო შემოწმება. მან პირველი დღეებიდანვე ცხადყო ოსმალეთის იმპერიისა და მასში შემავალი საფაშოების, მათ შორის, ბაღდადის საფაშოს სისუსტე და აშკარა ჩამორჩენილობა. გრძნობდა რა ამას, დაუდ-ფაშა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, თუ ერაყი მომავალშიც ასეთ სუსტ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად დარჩებოდა, მაშინ მას იქ ძალაუფლების შენარჩუნება გაუძნელდებოდა; რომ აღარაფერი ვთქვათ, მის შორეულ მიზანზე —ოსმალეთისაგან დამოუკიდებელი, ე. წ. „ბაბილონის სამეფოს“ შექმნაზე, რომლის იდეა, რაც მეტი დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს მის შეგნებაში. ამიტომ დაუდმა ხელი მოჰკიდა ერაყის გაძლიერებას, ხოლო ეს კი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის მთავარი სასიცოცხლო არტერიის, სამელიორაციო სისტემის განვითარებით დაიწყო. დაუდის დროს სრულ წესრიგში იქნა მოყვანილი ძველი არხები (რომლებიც ადრე თითქმის უმოქმედოდ იყო). აიგო ახალი სარწყავი ნაგებობანი[1]. არხი ისა, რომელიც იწყებოდა ფელუჯის[2] ჩრდილოეთით მდინარე ევფრატიდან. წელიწადში ექვსი თვის მანძილზე რწყავ-

---

[1] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

[2] فلوجه — აღგილი ევფრატზე.

და 'აკრ-კუფისა' და სიტას (Silace) ვრცელ ადგილებს[2], მის გაგრძელებას წარმოადგენდა დაუდ-ფაშას სახელობის არხი „დაუდიე"[3], რომელიც ჰავრის[4] წყალს აერთებდა ხარკთან[5] და ქმნიდა ერთიან სარწყავ სისტემას[6]. ისეთ ადგილებში, სადაც არხების საშუალებით მდინარეების წყლის მიყვანა ჩვეულებრივ მოუხერხებელი იყო ამოიყვანეს არტეზიული ჭები, რისთვისაც საჭირო სპეციალურ მანქანა-დანადგარებს ბაღდადის ფაშა ინგლისიდან იწერდა[7].

სარწყავი სისტემის ასეთმა ინტენსიურმა მშენებლობამ ბიძგი მისცა ერაყის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებას. წყალმა სიცოცხლე დაუბრუნა „მკვდარ მიწებს", რომელთა ათვისებით საგრძნობლად გადიდდა სახნავ-სათესი ადგილების საერთო ფართობი, მისი ნაყოფიერება და მარცვლეულის მოსავლიანობა. მან აგრეთვე განვითარების ხელსაყრელი პირობები შეუქმნა მებაღეობა-მებოსტნეობას, მეთამბაქოებასა და ისეთ ტექნიკურ კულტურებს, როგორიცაა ინდიგო, ბამბა და შაქრის ლერწამი, რომელთა პირველი პლანტაციების გაშენებას ერაყში თანამედროვენი დაუდ-ფაშას მიაწერენ[8].

სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობის შედეგად, ერაყში შესაძლებელი გახდა ნედლეულის მტკიცე ბაზის შექმნა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის. დაუდ-ფაშას მმართველობის დროს მნიშვნელოვნად გადიდდა საფეიქრო საწარმოების, ე. წ. ესნაფეების ( اصناف —საამქრო) მშენებლობა[9]. მარტო ბაღდადში მე-19 ს-ის 20-იან წლებში მუშაობდა „...12000-მდე საფაბრიკო დაზგა, რომლებზედაც იქსოვებოდა: აბრეშუმის ჭრელი ქსოვილი (ალაჯა), აბრეშუმის ქსოვილი ყვავილებით (კუტნი), ხავერდის ქსოვილი, ნოხები (კელიმ), აბრეშუმის ქსოვილი (ჩარკადი და ჯანფესი),

---

[1] عقرقوف —რაიონი ბაღდადის ოლქში, დასახლებული იყო სხვადასხვა ტომის ანუ ტაიფეხ طايفه) ხალხისაგან, რომელიც შეადგენდა სულ 1830 კომლს.

[2] W. Ainsworth, Researches in Assyria, Babilonia, and Chaldea. London. MDCCC, XXXVIII, გვ. 119.

[3] Хуршид-Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

[4] هور — (არაბ.) ტბა.

[5] خرق — (არაბ.) არხი (ხერელი).

[6] Хуршид-Эфенди დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

[7] Aucher-E'loy, Relations de Voyags en Orient de 1830 a 1838, Paris, 1843, premiere partie, გვ. 325 .

[8] იქვე, გვ. 219; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 420; V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, გვ. 334.

[9] Хуршид-Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 67 და შემდეგ; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 175; მისიეე „Dā'ud Pasha", „Enziklopaedie des Islam". Leipzig. 1912, გვ. 968.

ატლასი, კისეია (ბიურიუნჯუკ), „ქალის სხვადასხვაგვარი საბურველები (ჩარშავი), „მელიუ-ფაშის“ სახელით ცნობილი ქსოვილი, რომლითაც მოსულისა და ურფის ქალები იკრავდნენ თავს; შემდეგ ქურთების ტანსაცმელი: ფუტა და სხვადასხვანაირი მაშლახები[1], აგაბანი[2], დუვეიჯი, ფულეიკი, ...აბრეშუმის თავსაფრები (დესტმალი)[3], ქალების პირბადე (ფეჩე) და სხვა ქსოვილი“[4]. ეროვნული მრეწველობის განვითარებაში ნედლეულის მტკიცე ბაზის შექმნასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე სხვა ღონისძიებებმაც. კერძოდ, აქტიური სავაჭრო ბალანსის ანუ მერკანტილისტურმა პოლიტიკამ, რომლის გატარებასაც დაუდი ერაყში შეუდგა მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან.

საფაშოს ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებით დაინტერესებულმა ბაღდადის გამგებელმა, იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების ნებართვის გარეშე, გააუქმა ერაყში ევროპელ ვაჭართა პრივილეგიები და დაადო მათ საქონელს მძიმე საბაჟო გადასახადი, რამაც იმპორტის მკვეთრი შეზღუდვა გამოიწვია. ხოლო, რაც უფრო მეტად მცირდებოდა ევროპაში დამზადებული ძვირფასი საქონლის შემოზიდვა ერაყში, მით უფრო იზრდებოდა მოთხოვნა ადგილობრივი წარმოების სამრეწველო, თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და ეს კი გზას უხსნიდა როგორც საკუთარ მრეწველობას, ისე სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობას. მე-19 ს-ის 20-იანი წლებისათვის ერაყის ადგილობრივმა სავაჭრო საქონელმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი საშინაო ბაზარზე და ფართო გასავალი პოვა ქვეყნის გარეთაც. როგორც იმდროინდელი სარწმუნო წერილობითი წყაროებიდან ვგებულობთ, „დაუდ-ფაშას ხელში აუღია ხორბლით, მარილითა და ინდისხურმით ვაჭრობის მონოპოლია“[5], „მონოპოლია არაბული ერაყის ძირითადი ნაწარმისა, რომლის გასაზიდად მან შეიძინა სამდინარო და საზღვაო გემები“[6] და გაიჩინა საკუთარი ფლოტი[7].

---

[1] მაშლიახი—უმეტეს შემთხვევაში თეთრი ფერის ფართოზოლებიანი, ძლიერ სქელი შალის ქსოვილის ზედა ტანსაცმელი, გაჭრილი ხელგასაყრელით, იცვამდნენ არაბები. თეთრ მაშლიახებს, რომლებსაც მხოლოდ ზურგზე და ცალ მხარზე ჰქონდათ ოქრომკედით ამოქარგული ზოლები, შეიხები ანუ ტომის ბელადები, ფეოდალები ატარებდნენ.

[2] აბრეშუმის ქსოვილი ოქროსფერი ფოთლებითა და ყვავილებით, იხმარება სარტყლებისა და ჩალმებისათვის.

[3] ფონი ამ თავსაფრებისა ბროწეულის ფერია, ორ მოპირდაპირე მხარეს აქვს ოქროსფერი აბრეშუმის ფართო ზოლები და წითელ-ყვითელი აბრეშუმის ძაფისაგან დაგრეხილი, წვრილი, გრძელი ყაითნები, როგორც ფოჩი.

[4] Хуршид-Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 67—68.

[5] V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, გვ. 335.

[6] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 419.

[7] Новая история стран зарубежной Азии и Африки, Л., 1955, გვ. 240.

თუ სოფლის მეურნეობის და მრეწველობის გამოცოცხლებამ, აგრეთვე უცხოელ ვაჭართა პრივილეგიების გაუქმებამ, გზა გაუხსნა ვაჭრობის განვითარებას, სამაგიეროდ ამ უკანასკნელმა (სხვადასხვა გადასახადებთან ერთად[1]) გამოიწვია საფაშო ხაზინის ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა[2], რამაც წელიწადში 5 მილიონი ფრანკი შეადგინა[3] (ფრანკი უდრიდა 50 კაპიკს ოქროთი).

ჰქონდა რა თავის განკარგულებაში ასეთი რაოდენობის თანხა, დაუდს ამიერიდან საშუალება ეძლეოდა ერაყში კულტურულ-საგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო და სამხედრო ხასიათის ღონისძიებების გატარებისათვის. მის დროს ბაღდადში, ბასრასა და სხვა ქალაქებში აიგო მრავალი ძვირფასი ხიდი[4].

---

[1] მე-19 ს-ის 20—30-იანი წლების ერაყში გადასახადები აიღებოდა როგორც ნატურით, ისე ფულით. მით იბეგრებოდა თითქმის ყველა და ყველაფერი: მიწა, წყალი, მოსავალი, ნაყოფის მომცემი მცენარეები, თვით ნაყოფი, ჯოგი, სახელოსნო-საწარმოები, ხიდები, პილიგრიმები, მიცვალებულები, რომელთა გვამები დიდი რაოდენობით მოჰქონდათ მუსლიმანური სამყაროს სხვადასხვა ქვეყნიდან ქერბელა-ნეჯეფში დასამარხად, საეკლესიო საქონელი, ებრაელები, ქრისტიანები და სხვ. ეს გადასახადები და მათი გადახდევინების წესი თითქმის უცვლელი დარჩა დაუდ-ფაშას დროსაც, ოღონდ გადიდდა საგადასახადო თანხა და დაწესდა მკაცრი სასჯელი ურჩ გადამხდელებზე, რაც საბაბს აძლევს ხურშიდ-ეფენდის (ასევე სხვებსაც) უწოდოს მას „დაუდის ტირანია“ (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 88, 90, 113). მაგრამ იგივე ავტორი აღიარებს, რომ „დაუდის ტირანიის“ დროს ცხოვრება ერაყში უფრო შესაძლებელი იყო, ვიდრე მის შემდეგ (იქვე, გვ. 70, 90, 196).

[2] საფაშოს ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაუდ-ფაშამ სულთნის ნებართვით, 1820 წლიდან იწყო ფულის მოჭრაც. ერაყის დედაქალაქის ზარაფხანაში ყოველწლიურად იჭრებოდა 50.000 კურუში (იხ. ალ'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 300. قرش =1 თურქულ პიასტრს ანუ 6 ვერცხლის კაპიკს) და დიდი რაოდენობის ჩარხი ( چرخی თურქ. ფულის ერთეული, უდრის 1/2 ბეშლიკს=2.5 პიასტრს ანუ 15 ვერცხლის კაპიკს. იხ. К у р ш и д-Э ф е н д и, დასახ. ნაშრომი, გვ. 107 და 433, შენიშვნა 166).

[3] V. F o n t a n i e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 335. ფონტანიესაგან განსხვავებით ა. ადამოვი აღნიშნავს, რომ „გამრჯე და ენერგიული დაუდ-ფაშას მმართველობის დროს ბაღდადის საფაშოს შემოსავალმა მიაღწია ოცდაჩვიდმეტ მილიონ პიასტრს ანუ ორ მილიონზე მეტ მანეთსო“ (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 420) და იქვე მიუთითებს წყაროს „Путевой журнал Е. И. Чирикова“ (СПБ, 1875, გვ. 284), სადაც მართლაც ნათქვამია: „ბაღდადის საფაშოს წლიური შემოსავალი იყო 37 მილიონი თურქული პიასტრი“. მაგრამ ჩირიკოვის ეს ცნობა, როგორც თვით ნაშრომიდან ჩანს (გვ. 183—4), გასული საუკ. 50-იანი წლების სინამდვილიდანაა აღებული და, ამდენად, ის დაუდისდროინდელი ერაყის ფინანსური მდგომარეობის დასახასიათებლად ვერ გამოდგება.

[4] A u c h e r-E ' l o y, დასახ. ნაშრომი, გვ. 326.

ბაზარი[1], მეჩეთი[2], აბანო[3] და საავადმყოფო[4]; მეჩეთებთან გახსნა ბიბლიოთეკები და სკოლები[5], სადაც მაღალკვალიფიციური მასწავლებლების ხელმძღვანელობით ყოველწლიურად განათლებას იღებდა დაახლოებით 2000-მდე სტუდენტი[6].

XIX საუკუნის მეორე მეოთხედის დასაწყისში (1828—1829 წწ.) დაუდის ინიციატივით ბაღდადში მოეწყო საბეჭდი სტამბა. ეს იყო პირველი სტამბა ერაყში. მის გამართვასა და მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ფაშას მიერ შორეული საქართველოდან მოწვეული სასტამბო საქმის ოსტატები, რომელთაგან ერთ-ერთი იყო მირზა მუჰამედ ბაკირ ულ-თბილისელი, ცნობილი რედაქტორ-გამომცემელი. მან „დარ ას-სალამის[7] სტამბაში ჰიჯრით 1246 წლის ჯუმად ავალის[8] დასაწყისში დაბეჭდა წიგნი[9]“ რასულ ჰავი-ეფენდისა — „დიდ ვაზირთა

---

[1] მათგან ყველაზე დიდი და ძვირფასი ნაგებობა იყო ბაღდადის დაუდის სახელობის დახურული გუმბათიანი ბაზარი, რომლის შესახებაც ინგლისელი პოლკოვნიკი რ. ა. ჩესნეი გადმოგვცემს, რომ „ეს ბაზარი, აშენებული დაუდ-ფაშას მიერ, არის ერთ-ერთი უმშვენიერესი რამ აღმოსავლეთში“ (R. A. Chesney, The Expedition for the Survey of the rivers Euphrates and Tigris, London, 1850, Vol. I, გვ. 31). ასეთივე ბაზარი ააშენა დაუდმა ჭ. ბასრაშიც («Путевой журнал Е. И. Чирикова», გვ. 49).

[2] ამათგან სამი მეჩეთი დიდი იყო, სხვები კი პატარები (ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 330). ახალი მეჩეთების შენების გარდა მიმდინარეობდა ძველი ტაძრების შეკეთებაც: ყველა სალოცავ ნაგებობათა შორის ყველაზე დიდი და საპატივცემულო იყო: ჯამი შეიხ-აბდ-ალ-კადირ-ი-გილანი (სადაც მსახურობდა და მასწავლებლობდა დაუდი—ბ. ს.),... დაუდ-ფაშას მიერ აშენებული ჯამი ჰაიდარ-ხანე და ჯამი-ი-ასიფიე ანუ, ე. წ. მეელევი ხანე, რომელიც აგრეთვე დაუდ-ფაშამ ააგო (Хуршид-Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 64). ბაზრებთან ერთად ეს მეჩეთებიც განსაცვიფრებელიაო—აღნიშნავს რ. ა. ჩესნეი (იხ. მის დასახ. ნაშრომი, გვ. 91).

[3] მარტო ბაღდადის ბაზრებს მომსახურებას უწევდა 14 აბანო (Хуршид-Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 67).

[4] მათში ექიმებად იყვნენ ფრანგები (S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 254).

[5] ასე მაგალითად, დაუდ-ფაშამ „1243 წლის რაჯიბს (1828 წ. იანვარი) „მაღალი ხანის“ სახელით ცნობილ მეჩეთში გახსნა ორი სასწავლებელი და დააწესა ხელფასი და რეესტრი. მანვე 1234 (1819—20 წწ.) წელს ააშენა ჰაიდარ-ხანის მეჩეთი და მოაწყო მასში სასწავლებელი ბიბლიოთეკით (აბას ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 299).

[6] Хуршид-Эфенди, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

[7] ისე როგორც مدينة السلام (მშვიდობის ქალაქი)— دار السلام — დარ ას-სალამიც (საძოთხე) ბაღდადის ეპითეტია.

[8] 1830 წლის ოქტომბერი (იხ. И. Орбели, Синхронические таблицы для перевода исторических дат по Хиджре на европейское летоисчисление, Ленинград, 1940, გვ. 254).

[9] في اوايل جمادى الاوّلى سنة ١٢٤٦ من الهجرة على يد محمد باقر التفليسى طبع الكتاب في طباعة دار السلام (ალ-აზზავი, დასახ. ნაშრ., გვ. 283). აზზავის ნაშრომის გვერდი სხვაგვარად აქვს გაგებული ისტ. მეცნ. კანდ. შ. ნ. კურდღელაშვილს. რომელიც ამ აღგილს ასე თარგმნის: „დარ ას-სალამის (ბაღდადის) სტამბაში ჰიჯრით 1246 წლის ჯუმად აევა-

ისტორია“ „ تاريخ دوحة الوزراء “[1], რომელსაც თან დაურთო თავისი შესავალი, კომენტარები და მურთაზა ნეჯმი ზადეს „خلفا كشف “-ის[2] გაგრძელება. მასვე განზრახული ჰქონდა აგრეთვე, ტომით ქართველის, სულეიმან-ბეგის „ბაღდადის ქულემენთა მმართველობის წარმოშობისა და დაცემის ისტორიის“ ( رساله دار انقراض تشكيلات حكومتنك من كولهء بغداد ) გამოცემაც, მაგრამ 1831 წელს ერაყის მმართველობაში მომხდარი ცვლილებების გამო ამის გაკეთება ვეღარ მოასწრო. ის გამოქვეყნდა მხოლოდ 1875 წელს ქ. სტამბოლში.

სტამბის, სკოლებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა ადგილობრივი წარმოების ქაღალდით მომარაგების მიზნით ბაღდადში, დაახლოებით 1830—1831 წლებში, მუშაობა დაიწყო პირველმა ქაღალდის ფაბრიკა-წისქვილმა[3], რომლის მიერ დამზადებული ქაღალდი ატარებდა ამ საქმის ინიციატორის დაუდის სახელს და ჰვირნიშნადაც ამ უკანასკნელის სახელი და გამგებლობის ხანგრძლიობის მაუწყებელი ერთგვარი არითმეტიკული განტო-

---

ლის დასაწყისში (1830 წ. მაისის დასაწყისი) მუჰამედ ბაქირ თბილისელის ხელით დაიბეჭდა ალ-ქითაბი—„ყურანი“ (შ. კ უ რ დ ღ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959, გვ. 84). ამ თარგმანში ორი უზუსტობაა. ერთი მდგომარეობს „ალ“ არტიკლით განსაზღვრული სახელის كتاب (წიგნი) არასწორ გაგებაში და მეორე, ჰიჯრით მოცემული თარიღის „1246, ჯუმად ავალის“ ქრისტ. წელთაღრიცხვაზე არაზუსტ გადაყვანაში. პირველ შემთხვევაში „ალ-ქითაბის“ ანუ „ყურანის“ ნაცვლად უნდა იყოს „ეს წიგნი“, ე. ი. دوحة الوزراء . რადგან ალ-'აზზავის ნაშრომის 84-ე გვერდზე მთლიანად ამ წიგნზეა საუბარი, ხოლო მეორე შემთხვევაში, სადაც საქმე ეხება თარიღის არაზუსტ გადაყვანას, იქ უნდა ეწეროს „1830 წლის ოქტომბერი“ და არა „1830 წ. მაისი“, რადგან ჰიჯრით 1246 წლის ჯუმად ავალი,—მუსლიმანური კალენდრის V თვე, დაიწყო 1830 წლის 18 ოქტომბერს, ორშაბათ დღეს (იხ. И. О р б е л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 254).

„დავჯათ ულ-ვუზარას“ დაბეჭდვის თარიღის გადმოცემაში შეცდომას უშვებს კლ. უარიც. იგი ამბობს, რომ „დავჯათ ულ-ვუზარა დაიბეჭდა ბაღდადში 1237 წელს“ (Histoire de Bagdad, გვ. V), ე. ი. 1822 წელს ქრისტიანული წელთაღრიცხვით. მაგრამ თვით „დავჯათ ულ-ვუზარაში“ ვკითხულობთ, რომ ის „დაიბეჭდა ბაღდადში, დარ ას-სალამის სტამბაში ათას ორას ორმოცდათექვსი წლის ჯუმად ავალის თვის დასაწყისში“.

[1] რასულ ჰავიმ ის დაწერა 1821—1828 წლებში დაუდ-ფაშას დავალებით.

[2] დაწერილია 1100 (1688) წელს თურქულად. პირველად დაიბეჭდა სტამბოლში 1730 წელს (H a m m e r, XIV, გვ. 107 და 494) უნგრელი იბრაჰიმ მუთაფარიქის ინიციატივით (H u a r t, გვ. 7.), მოიცავს ბაღდადის ისტორიას დაარსებიდან მე-17 ს.-ის 80-იან წლებამდე. მის გაგრძელებაში, რომელიც გაკეთებული უნდა იყოს გადამწერლების მიერ, თხრობა მიყვანილია 1130 (1718) წლამდე.

[3] აღსანიშნავია, რომ არაბულ აღმოსავლეთში ყველაზე მოწინავე და იმ დროის ძლიერ ქვეყანაში—ეგვიპტეში პირველი სტამბა და ქაღალდის ფაბრიკა გაიმართა 1834 წელს, ე. ი., გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე ერაყში (იხ. Ф. М. Ацамба, Состояние промышленности и положение наемных рабочих в Египте в XIX веке. «Очерки по истории арабских стран», М., 1959, გვ. 18; შ. კურდღელაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 48).

ლება — ( داود , 4+1+6+4=15) ჰქონდა[1]. მართალია ამ ფაბრიკის წარმადობა, განსაკუთრებით პირველ ხანებში, ისეთი ვერ იყო, რომ მის მიერ გამოშვებულ პროდუქციას მთლიანად დაეკმაყოფილებინა საფაშოს მოთხოვნილება ჭაღალდზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მნიშვნელოვნად ამცირებდა ძვირადღირებული ჭაღალდის შემოზიდვას როგორც სტამბოლიდან, ისე უცხოეთიდან.

არაბული ლიტერატურის ისტორიის თანამედროვე ერაყელი მკვლევარნი დაუდ-ფაშას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას დადებით შეფასებას აძლევენ, მის ეპოქას ერაყში ლიტერატურის განვითარების ბრწყინვალე ხანად მიიჩნევენ[2]. მუჰამედ ალ-ბასარის თქმით, ამ დროს მესოპოტამია (არ-რაფიდაინი) ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული აღორძინების მოწმე შეიქნა, როგორც საიფ ად-დავლას სასახლე ჰალაბაში ჰიჯრით მეოთხე (ქრ. წელთაღრიცხვით მეათე) საუკუნეში და ანდალუზია ატ-ტაფაიფთა მონარქიის ეპოქაში[3]. დაუდის ხანა ერაყში წარმოადგენდა არაბული ლიტერატურის განვითარების ახალ საფეხურს მეცნიერული, პოეტური შემოქმედების პროდუქტიულობისა და პოეზიის სტილის ამაღლების თვალსაზრისით. ამიტომ ეს ხანა ღირსია იმისა, რომ იგი ცალკე იქნას გამოყოფილი და შესწავლილიო,—აღნიშნავს 'იზ ად-დინ იუსუფი[4]. დაუდის ღვაწლი რომ ნამდვილად დიდი იყო მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში, ეს კარგად ჩანს იმავე ხანის თვალსაჩინო არაბი მგოსნის, შეიხ სალიჰ ათ-თამიმის სიტყვებიდანაც: „დაუდ-ფაშას... შემდეგ ბაღდადში (აზ-ზავრაში) ლიტერატურის ძენს აღარ დარჩათ იმედი“[5], ე. ი. მფარველი, მზრუნველი და პატრონი.

ერაყში დაუდ-ფაშას მიერ გატარებულ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამხედრო რეფორმას, საფაშოს შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციას, რომლის აუცილებლობაშიც, როგორც უკვე ვთქვით, ის საბოლოოდ დარწმუნდა 1821—1822 წლებში ირანთან ომის დროს. ამ ომმა ცხადყო ოსმალეთის შეიარაღებული ძალების, მათ შორის, ბაღდადის საფაშოს შეიარაღებული ჯარის, ყოველმხრივი ჩამორჩენილობა და მისი მოწინააღმდეგის — ირანის ევროპულად შედგენილ-გაწვრთნილ-შეიარაღებული არმიის აშკარა უპირატესობა. ამიტომ ერაყის გამგებელმაც ირანის შაჰის მსგავსად, თავისი არმიის ახლებურად გარდაქმნა განიზრახა და ამ საქმეში აქ-

---

[1] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 137. რაკი ზემოაღნიშნული ჟეირნიშანი — „داود , 4+1+6+4=15“,—ზუსტად მიუთითებს ერაყში დაუდის გამგებლობის პერიოდზე (1816—1831 წწ.), ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი ნიშნით (და შესაძლებელია სახელწოდებითაც) ჭაღალდმა გამოსვლა იწყო მისი გადაყენების (1831 წ.) შემდეგ.

[2] ნ. ფურცელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

[3] محمد البصير، العراق الادبية فى القرن تاسع عشر، ١٣٦٥، ص—١٠

[4] عزالدين يوسف، الادب العراقى فى القرن السابع عشر

[5] ნ. ფურცელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.



მამლუქთა მხედრული თამაში ჯარიდ (ჯირითი)

ტიურად ჩააბა ევროპელი სამხედრო სპეციალისტები[1]. ჯერ კიდევ 1824 წელს, მან ირანიდან ბაღდადს მოიწვია ნაპოლეონის ყოფილი ოფიცერი დევო და მას 10.000-კაციანი ქვეითი ჯარის გაწვრთვნა მიანდო[2]. ცხენოსანი ნაწილის შედგენა-გაწვრთვნა ოსტ-ინდოეთის კომპანიის ბასრელმა რეზიდენტმა, ინგლისელმა პოლკოვნიკმა ტეილორმა ითავა ფაშასთან დაახლოების მიზნით[3], ხოლო საარტილერიო საქმეს, არტილერისტთა ქვეგანაყოფების დაკომპლექტება-მომზადებას, არსენალის მოწყობასა და სხვას ხელმძღვანელობდნენ ფრანგი სპეციალისტები[4], რომლებსაც მეთვალყურეობდა რუსეთის ტყვეობიდან იმ ხანებში დაბრუნებული, რუსეთის არტილერიას გაცნობილი თურქი ოფიცერი, 'ალი აღა[5]. მათი დახმარებით ბაღდადის გამგებელმა სულ მცირე ხანში შექმნა საუცხოოდ

[1] A u c h e r - E ' l o y, დასახ. ნაშრომი, გვ. 326; S. H. L o n g r i g g, დასახ. ნაშრომი, გვ. 254; Новая история стран зарубежной Азии и Африки, Ленинградский Университет, 1959, გვ. 240.

[2] C l. H u a r t, დასახ. ნაშრომი, გვ. 175; Enziklopaedie des Islam, Leipzig, 1912, გვ. 968.

[3] B a i l l i e F r a s e r, Travels in Koordistan and Mesopotamia, London, 1840, Vol. I, გვ. 261; А. А д а м о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 420.

[4] V. F o n t a n i e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

[5] მას, როგორც საარტილერიო საქმის მცოდნეს 'აღი 'უსტას (أُسطى — ოსტატი) უწოდებდნენ.

გაწვრთვნილი და შეიარაღებული 30.000 კაცისაგან შემდგარი ახალი არმია, რომელშიც ხუთი თუ ექვსი ათასი კაცი არტილერისტი იყო, დანარჩენი კი ცხენოსანი და 'ქვეითი'.

ახალი არმიისა და მასში გაერთიანებული ქვეითი, ცხენოსანი და საარტილერიო ნაწილების ახლებურად დაკომპლექტება-გაწვრთვნა-შეიარაღებასთან ერთად დაუდ-ფაშა ყურადღებით ეკიდებოდა „ქართული გვარდიის" გაძლიერებასაც. ეს შეიარაღებული რაზმი დღიდან მისი ჩასახვისა (1703—1705 წწ.) ყოველთვის იყო ბაღდადის ფაშათა საიმედო საყრდენი ძალა, მათი მცველი და ერთგული მსახური. ამიტომ მის გაზრდა-გაძლიერებასა და სამხედრო სრულყოფას ცდილობდა ერაყის უველა გამგებელი (ჰასანი და მისი ვაჟი აჰმედი, სულეიმან-აღა „აბუ ლაილი" და მისი ყოფილი „მონა" სულეიმან-აღა „ბეიუქი", ჰაფიზ 'ალი და სულეიმან „ქუჩუქი"), მაგრამ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ არავის დროს იგი ისე მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული არ ყოფილა, როგორც დაუდის მბრძანებლობის დროს. ეს უკანასკნელი, ცდილობდა რა თავისი ძალაუფლების ყოველმხრივ განმტკიცებას, ისე როგორც ყისი წინამორბედი ქულემენი ფაშები, იძენდა საქართველოდან ბასრა-ბაღდადის თუ სხვა ქალაქების ტყვეთა ბაზრებზე გასაყიდად მიყვანილ ქართველ თანამემამულეებს, აძლევდა მათ საჭირო სწავლა-განათლებას და თავს უყრიდა პირადი გვარდიის რიგებში.

ძნელია ზუსტად იმის თქმა, თუ რამდენი ქართველი იყო გაერთიანებული დაუდის რჩეულ რაზმში, თ ა ბ ი თ ი (تابع —სულეიმან ბეგის ფსევდონიმია) 1800 კაცს ასახელებს[2], ბ. ფ რ ე ზ ე რ ი[3] ზოგჯერ 800-ს ამბობს, ზოგჯერ — 1000-ს, ხოლო ს. ჰ. ლ ო ნ გ რ ი გ ი კი 3000-ს: „მამლუქთა სამი ლეგიონი,— წერს იგი,—ყველა ფაშას ვაჟიშვილების (სახელების) მიხედვით იწოდებოდა და თითოეულში ათასი კაცი ირიცხებოდაო"[4]. ბ. ფ რ ე ზ ე რ ი ს გადმოცემით. „ეს ქართველები ჩინებულად ჩაცმულ-შეიარაღებულნი, ძლიერ ვაჟკაცური გამომეტყველებისანი იყვნენ და საუკეთესოდ მორთულ-შეკაზმულ, მშვენიერ არაბულ ბედაურებზე ისხდნენ[5]"; „ისინი მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო მხედრები იყვნენო"—დასძენს იმ დროს ბაღდადში მყოფი ფრანგი კონსული გ. ფ ო ნ ტ ა ნ ი[6].

ერთი სიტყვით, სამხედრო ხასიათის ღონისძიებათა გატარების შედეგად

---

[1] B a i l l i e F r a s e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 257.

[2] رسالة دائر انقراضه تشكيلية حكومتنك كوله‌من بغداد (დასახელებულია S. H. L o n g r i g g-ის მიხედვით, გვ. 251), გ. ბ ე ი-მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 734.

[3] B. F r a s e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 225, 245.

[4] S. H. L o n g r i g g, დასახ. ნაშრომი, გვ. 251.

[5] B. F r a s e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.

[6] V. F o n t a n i e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 323.

დაუდმა შექმნა და 1828 წლისათვის უკვე სრულ მზადყოფნაში ჰყავდა „მრისხანე ძალა“, შემდგარი ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილი 30000-იანი რეგულარული არმიის და კიდევ ირრეგულარული კავალერიისა თუ ქვეითი ჯარის 25000-იანი კორპუსისაგან, რომლის გაძლიერებაც, საჭირო შემთხვევაში, შეეძლო არაბ ტომთა გაერთიანებულ (ორჯერ მეტი რაოდენობის) ფეოდალურ ლაშქარს[1]. ასე რომ, ბაღდადის ფაშას შეეძლო სულ დაახლოებით 100 000-ძდე კაცის დაყენება თოფქვეშ. ასეთი ძალით „დაუდ-ფაშას უკვე შეეძლო შედავებოდა ყველა იმ არმიას, რომლის გაგზავნასაც მოიფიქრებდა პორტა ერაყში მის გადასაყენებლად. ამიტომ მან სრულიად დარწმუნებულმა თავის ძლიერებაში, იწყო ფიქრი თურქეთიდან მთლიანად გამოყოფაზე“[2]. ამ მიზნით მოხერხებულად გამოიყენა ის რთული საშინაო და საგარეო ვითარება, რომელშიაც მოქცეული იყო მაშინდელი ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება.

## ოსმალეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა XIX ს-ის 20-იან წლებში

ოსმალეთში ჯერ კიდევ XVI ს-ში დაწყებული სამხედრო ლენური სისტემის კრიზისი XIX საუკუნეშიაც გრძელდებოდა და რაც მეტი დრო გადიოდა, ის სულ უფრო ძლიერდებოდა. ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის საშინაო-საგარეო მდგომარეობაზე. მისი საზიანო მოქმედება საშინაო მდგომარეობაზე, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატებოდა, რომ არსებითად მოიშალა ქვეყნის ეკონომიური საფუძველი, გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა, დაეცა სოფლის მეურნეობა, მნიშვნელოვნად გაუარესდა მწარმოებელი ფენების მდგომარეობა, შემცირდა სახელმწიფო შემოსავალი, გაიხრწნა არმია, დაიწყო სახელმწიფო მიწების, როგორც ქვეყნის მთელი სამხედრო-ფეოდალური იერარქიის შესანახი ძირითადი მატერიალური ბაზის, დატაცება, დასუსტდა ცენტრალური ხელისუფლება და წარმოიშვა ფენა მსხვილი ფეოდალებისა, რომლებიც ფლობდნენ უზარმაზარ საკარგავებს[3]. ასე, მაგალითად, „ყარა-ოსმან ოღლუთა გვარი ფლობდა ტერიტორიებს იზმირის რაიონში; ჩაფან ოღლუს გვარი—ანკარის რაიონში, მდინარეების საქარიასა და კიზილ-ირმაკს შორის; ბათალ ფაშას გვარი—ლაზისტანში; ალი ფაშა თეფედელენლი—ეპირში; ბოს-

---

[1] J. R. Welsted, Travels to the Sityof the Caliphs, London, 1840, Vol. I, გვ. 251; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 421.

[2] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 421; J. Baillie Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 233—234.

[3] А. Д. Новичев, История Турции, Ленинград, 1963, т. I, стр. 209—225; А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар. М.-Л., 1947, გვ. 29—69; ვ. დონაძე, საზღვარგარეთული აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი ისტორია (ლექციების კურსი), თბილისი, 1963, ნაწ. 1, გვ. 298—320 და შემდეგ.

ნიელი ფეოდალი პაზვანდოღლუს გვარი—დუნაის ნაპირებზე, ქ. ვიდინის რაიონში; ფაშები ჯაყელთა გვარიდან — ახალციხის მიდამოებში"[1] და სხვ.

მსხვილი საფეოდალოების წარმოქმნასთან ერთად ოსმალეთში ფეხი მოიკიდა ცენტრალური ხელისუფლებისაგან ცალკეულ ფეოდალთა განდგომის ტენდენციამ, რამაც საბოლოოდ წარმოშვა სეპარატისტული მოძრაობა და ბიძგი მისცა ოსმალთა მიერ მიტაცებული ქვეყნების ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესს.

ოსმალეთის საშინაო მდგომარეობის გართულებასთან ერთად უარესდებოდა მისი საგარეო მდგომარეობაც. დასუსტებულ ქვეყანას აღარ შეეძლო ეწარმოებინა აქტიური საგარეო პოლიტიკა, დაპყრობითი ომები, ურომლისოდაც მას არსებობა უჭირდა, რადგან ხმლით იყო შექმნილი და ხმლითვე უნდა ეარსებნა[2].

ოსმალეთის იმპერიის საშინაო და საგარეო სირთულეებს თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ ევროპის სახელმწიფოები, რომლებსაც იგი მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ ცენტრად მიაჩნდათ აღმოსავლეთში მათი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობისათვის. ისინი ცდილობდნენ ფეხის მოკიდებას ამ ქვეყანაში, აქტიურად გამოდიოდნენ მის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამ ბრძოლაში საყრდენ ძალად იყენებდნენ თვით ოსმალეთის იმპერიის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს, კერძოდ, სეპარატიზმს და უთანხმოებას რელიგიურ სფეროში. ამიტომ ოსმალეთის იმპერიაში არსებული დამოუკიდებლობისათვის დაპყრობილ ხალხთა ბრძოლა და რელიგიური სხვაობის ნიადაგზე წარმოშობილი ანტაგონიზმი საერთაშორისო პრობლემად იქცნენ, საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხთა ორბიტში მოექცნენ. ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ აღმდგარი ყოველი დიდი ფეოდალის უკან რომელიმე უცხო სახელმწიფო იდგა[3] და ოსმალეთს ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს უპირისპირდებოდა.

ქვეყნის საშინაო-საგარეო მძიმე მდგომარეობით დაუძლურებულმა ხელისუფლებამ იმ მიზნით, რომ უკურნებელი სენით შეპყრობილი იმპერია განეკურნებინა და მისი ძველი დიდება აღედგინა, XVIII—XIX საუკ. მიჯნაზე რეფორმების გატარება სცადა, მაგრამ ამით სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. რეფორმებმა მარცხი განიცადა. მისი მესვეურები სულთანი სელიმ III (1789—1807) და მუსტაფა ფაშა ბაირაქტარი მას თან გადაჰყვნენ, ხოლო ქვეყნის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო სეპარატისტულმა მოძრაობამ, რომელმაც თითქმის მთელი იმპერია მოიცვა და ქვეყნის საშინაოსთან ერთად მისი საგარეო მდგომარეობაც გააუარესა.

---

[1] ო. გიგინეიშვილი, საქართველო ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში მე-18 ს. უკანასკნელ მეოთხედში. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბილისი, 1959, ტ. 73 (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია 1), გვ. 217.

[2] А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар, М.-Л., 1947, გვ. 31.

[3] ო. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 217.

იმპერიის შემადგენლობაში შემავალი სხვადასხვა ქვეყნების ხალხები შეუპოვარი და ხანგრძლივი ბრძოლებით, მართალია ნელა, მაგრამ მაინც ხელიდან აცლიდნენ სულთანს თავიანთ დამოუკიდებლობას. ეგვიპტის გამგებელმა მუჰამედ ალიმ, რომელმაც მოკლე დროის (1805—10 წწ.) მონაკვეთში შექმნა საფრანგეთის არმიის ტიპის ახალი ჯარი, 1811 წელს გადალახა მეწყმული ზღვა, დაამარცხა ვაჰაბიტები და 1818 წელს დაიკავა არაბეთის ნახევარკუნძულის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩრდილოეთ-დასავლეთით[1]. 1819—22 წლებში მან შეიერთა ნუბიის ნაწილი, ზემო ეგვიპტე, აღმოსავლეთ სუდანი[2] და ასე შექმნა რა ვეებერთელა სამფლობელო ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიის ხარჯზე, 1828 წლიდან თითქმის მთლიანად გამოვიდა სულთნის მორჩილებიდან[3].

არაბეთის ნახევარკუნძულზე—ნეჯდში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას განაგრძობდნენ ვაჰაბიტები. მართალია, ისინი 1818 წელს დამარცხდნენ ეგვიპტელების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფარხმალს არ ჰყრიდნენ და ნახევარკუნძულიდან ერეკებოდნენ დამპყრობლებს, როგორც ეგვიპტელებს, ისე ოსმალებს. 1824 წელს ისინი სასტიკად გაუსწორდნენ ეგვიპტელებს, ხოლო მომდევნო წელს ოსმალებს წაართვეს არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი ნაწილი, ალ-ჰასა და ომანი[4].

ცუდად ჰქონდათ საქმე ოსმალებს იმპერიის ევროპულ ნაწილში, ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და საბერძნეთში. მოლდავეთსა და ვალახეთში ანტიოსმალურ აჯანყებას სათავეში ედგა თავადი ალექსანდრე იპსილანტი[5], რომელიც თურქებისაგან ითხოვდა 1812 წელს ბუქარესტში რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრუ-

---

[1] Е. Беляев, Мусульманское сектантство, «Ислам», сборник статей по ред. проф. В. Дитякина, М., 1931, გვ. 75—76; А. Крымский, История Мусульманства, М., 1912, часть III, გვ. 4; I. G. Burckhardt, Voyage en Arabie, Paris, 1835, t. II, გვ. 346, 350, 390—392; Lady A. Blunt, A. Piligrimaje to Nejd, London, 1881, Vol II, 256—261.

[2] Д. Г. Розен, История Турции от победы реформы в 1826 года до парижского трактата в 1856 году. СПб, 1872, გვ. 146.

[3] ყველაზე აშკარად ეს შესამჩნევი გახდა რუსეთ-ოსმალეთის ომის დასაწყისში. მუჰამედ 'ალიმ—(უკმაყოფილომ, ჯერ ერთი, იმით, რომ სულთანმა მაჰმუდ II არ მისცა მას კანდია (კრეტა) და სირია, რომლებსაც მორეაში ბერძენთა აჯანყების ჩაქრობაში დახმარებისათვის შეჰპირდა 1824 წელს, ხოლო მეორე, არ ანდეს რუსეთთან მიმდინარე ომში ოსმალეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტი)—უარი თქვა ფრონტზე თავისი ძალების გაგზავნაზე და გარდა ამისა, ისე გააჩიანურა ალექსანდრიის ნავსადგურში მდგარი ოსმალეთის დაზიანებული ხომალდების შეკეთება, რომ სულთანს შესაძლებლობა არ მისცა ომში მათი გამოყენებისა (Д. Г. Розен, იქვე, გვ. 148—149; Новая история стран зарубежного Востока, М., 1952, т. I, გვ. 309, 313).

[4] Е. Юнг, Державы накануне арабского восстания (1906), «Аравия и европейские державы» (сборник), М., 1924, გვ. 32; А. Крымский, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

[5] Коллас, История Турции, СПб, 1882, გვ. 84.

ლებას, მოლდავია-ვალახეთიდან ოსმალეთის არმიის დაუყოვნებლივ გაყვანას[1]. ასეთივე ხასიათის აჯანყებები მზადდებოდა აგრეთვე ბულგარეთსა[2] და ალბანეთშიც, მაგრამ ოსმალთა ბატონობის საქმე ყველაზე უნუგეშოდ მაინც საბერძნეთსა და სერბიაში გამოიყურებოდა. როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნის მოსახლეობა თავგამოდებით იბრძოდა იარაღით ხელში ოსმალური უღლის მოცილებისა და დამოუკიდებლობისათვის. სერბიაში ეს ბრძოლა 1801 წელს დაიწყო ყარა გიორგის მეთაურობით და ბევრი უსიამოვნება მიაყენა სულთნის ხელისუფალთ. 1804 წელს ჩუპრთან გამართულ ორთა ბრძოლაში სერბებმა სერიოზული დამარცხება აგემეს სულთნის ჯარებს, გააძევეს თურქი მოხელეები სერბიიდან და 9 წლის მანძილზე თავიანთ ბედს თვითონვე განაგებდნენ. 1809 წ. მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა. ოსმალები კვლავ გამოჩნდნენ სერბიაში, მაგრამ დიდხანს ვეღარ იბოგინეს. 1810—1811 წლებში აჯანყებულმა სერბებმა რუსების აქტიური დახმარებით ისეთ წარმატებებს მიაღწიეს, რომ 1812 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ბუქარესტში საზავო ხელშეკრულების დადებისას სულთნის ხელისუფლება იძულებული გახდა სერბიისათვის მიენიჭებინა ვასალური დამოუკიდებლობა. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი, რის შესახებაც სერბი ისტორიკოსი მ. ვუკიჩევიჩი სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ „ყველა დანაკარგთან ერთად სერბებს დარჩათ ერთი შენაძენი. გამოიხატება იგი პორტას მიერ საზეიმოდ ცნობაში, რომელზეც საუბარია ბუქარესტის ზავის მერვე პარაგრაფში და, რომელიც სერბებს ანიჭებდა საშინაო ავტონომიას. ამის მოსპობა არც ქვემეხებით შეიძლებოდა და არც ცეცხლითო“—დაასკვნის ბოლოს ავტორი[3] და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ 1813 წელს (როცა რუსეთი ნაპოლეონთან ომით იყო დაკავებული) ოსმალებმა ფეხქვეშ გათელეს ბუქარესტის საზავო ხელშეკრულება, გააუქმეს სერბიის ავტონომია[4] და დაიწყეს იქ ოსმალური რეჟიმის აღდგენა, სერბი ხალხის საბოლოო დამორჩილება მაინც ვეღარ მოახერხეს. 1815 წელს სერბია საყოველთაო აჯანყებამ მოიცვა. აჯანყებულნი, ამჯერად მილოშ ობრენოვიჩის წინამძღოლობით (ყარა გიორგი ამ დროს ემიგრაციაში იმყოფებოდა საზღვარგარეთ, ხოლო იქიდან სამშობლოში დაბრუნებისას მოკლეს 1817 წელს ქ. სმედერევოში[5]) ზედიზედ ამარცხებდნენ ოსმალთა სამხედრო რაზმებს და მოითხოვდნენ სერბიისათვის ბუქარესტის საზავო ტრაქტატით დადგენილი

---

[1] იხ. Дипломатический словарь. М., 1948 (Бухарестский М. Д., 1812; Ясский М. Д., 1792; Кючук-Кайнарджийский М. Д., 1774. Статья 16).

[2] История Болгарии, М., 1954, т. I, გვ. 245—246.

[3] А. Л. Погодин, История Сербии, СПБ, 1909, გვ. 122; Россия и Сербия... М., 1869, ნაწ. I, გვ. 96.

[4] С. С. Татищев, Внешняя политика императора Николая первого. СПБ, 1887, გვ. 311 და შემდეგ.

[5] Эмиль Делавелэ, Балканский полуостров. М., 1889, ნაწ. II, გვ. 9.

სტატუსის აღდგენას[1], რაშიც, როგორც 1812 წელს, ფასდაუდებელ დახმარებას უწევდა პეტერბურგის მთავრობა.

ალექსანდრე I და მისმა შემცვლელმა ნიკოლოზ I, რომლებმაც ეკატერინესული — „დიდი საბერძნეთის" შექმნის გეგმის[2] ხორცშესხმისათვის ბალკანეთის სლავი ხალხის დაცვა-მფარველობა თავიანთი საგარეო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად გაიხადეს, „სერბიის საკითხი რუსეთის ღირსების" საქმედ გამოაცხადეს[3] და აშკარად გაილაშქრეს ოსმალების ძალადობის წინააღმდეგ[4]. 1815 წელს ალექსანდრე I სრული სოლიდარობა გამოუცხადა სერბიელ აჯანყებულთ, თურქეთის მთავრობას ურჩია ხელი აეღო ძალმომრეობაზე მათ მიმართ[5], ხოლო როცა ოსმალეთმა თავისი მაინც არ მოიშალა, რუსეთის მთავრობა სხვა გზას დაადგა. 1826 წლის 17 მარტს იმპერატორმა ნიკოლოზ I სტამბოლში თავისი რწმუნებულის მინციაკის მეშვეობით სულთან მაჰმუდ II გაუგზავნა ულტიმატუმი, რომელიც ითვალისწინებდა: 1) თურქეთის ჯარის გაყვანას მოლდავეთ-ვალახეთიდან; 2) იქ ისეთივე წესრიგის აღდგენას, რომელიც დაწესებული იყო რუსეთსა და თურქეთს შორის ადრე დადებული ხელშეკრულებებით და, რომელიც დაარღვიეს თურქებმა 1821 წლის შემდეგ; 3) კონსტანტინოპოლში დაკავებული სერბი დეპუტატების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას; 4) სერბიისათვის ყველა იმ უფლების დაბრუნებას, რომელიც მან მიიღო ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებით 1812 წელს და 5) 1816—1821 წლებში უშედეგოდ მიმდინარე რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკების განახლებას. ყველა ეს მოთხოვნა პორტას უნდა შეესრულებინა 6 კვირაში[6]. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთი მას ომს გამოუცხადებდა, რაზეც გარკვეული მიუთითებდა 25 აპრილს დამატებით გაგზავნილი იმპერატორის სამახსოვრო ბარათის შესავალი ნაწილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ „რუსეთს გააჩნია უფლება, ნებისყოფა და ძალა იმისათვის, რომ მან, ყოველგვარი უცხო ჩარევის გარეშე, მარტო გა-

[1] Леопольд Ранке, История Сербии по сербским источникам, М., 1876, გვ. 271—377; А. Л. Погодин, დასახ. ნაშრომი, გვ. 124; Нила Попова. Россия и Сербия, М., 1869, ნაწ. I (აქ მოცემულია დაწვრილებითი ცნობები სერბიის 1815 წ., აჯანყებისა და მისი მეთაურის შესახებ).

[2] ამ გეგმის შექმნის ისტორია მოცემულია ს. ეგარიოვის ნაშრომში „Русская политика в Восточном вопросе"; М., 1896, т. I.

[3] А. Л. Погодин, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

[4] ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე I ჯერ კიდევ 1813 წ. სწერდა ადმირალ პ. ვ. ჩიჩაგოვს, რომ, „როგორც კი ჩვენი საქმე ნაპოლეონის წინააღმდეგ კარგად წავა, მაშინვე შეგვეძლება დავუბრუნდეთ თქვენს გეგმას თურქების შესახებ და გამოვაცხადოთ ან სლავური, ანდა, ბერძნული იმპერია" (А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар, М.-Л., 1947, გვ. 349).

[5] ამავე დროს რუსეთის ელჩი სტამბოლში ბარონი სტროგანოვი მილოშ ობრენოვიჩს ატყობინებდა, არ წასულიყო დათმობაზე სულთანთან. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი 1819 წ. 1/13 დეკემბრის წერილი (იხ. С. С. Татищев, დასახ. ნაშრომი, გვ. 312).

[6] Д. Г. Розен, История Турции, СПб, 1872, ч. I გვ. 33—34; Дипломатический словарь, М., 1948, т. I, გვ. 31—32.

დაწყვიტოს მის სპეციალურ ტრაქტატებში არსებული სადავო საკითხები. უფლებაზე, თვით ტრაქტატის ძალით, ეჭვიც არ შეიძლება იყოს; ნებისყოფას, ჩვენი უფლების დასაცავად ადასტურებს ის 500 000 ხიშტი, მზად რომ არის მისცეს ძალას მნიშვნელობა"[1]. რუსეთის ასეთმა მუქარამ ერთობ ააფორიაქა როგორც ოსმალეთის ხელისუფლება, ისე მისდამი მეგობრულად განწყობილი საფრანგეთის, ავსტრიისა და პრუსიის მთავრობები. სულთანს, სხვათა შორის, ყველაზე მეტად მაინც ის აღონებდა, რომ იგი ახლახან შეუდგა არმიის რეორგანიზაციას (იენიჩრების, როგორც „იმპერიის ჭირის" თავიდან მოშორებას, ახალი ჯარის— „მუ'ალიმ იშქენჯის"[2] შედგენას და მზად არ იყო დიდი მასშტაბის ომის წარმოებისათვის. ხოლო, რაც შეეხება საფრანგეთ-ავსტრია-პრუსიის მთავრობებს, ისინი შიშობდნენ, ნაპოლეონ ბონაპარტეს იმპერიის შემმუსვრელს ახლა მაჰმუდ მეორის იმპერიაც არ დაემხო და კონსტანტინოპოლის ერთმფლობელი არ გამხდარიყო. ყოველ შემთხვევაში, ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ თუ ასეთ ვითარებაში ოსმალეთსა და რუსეთს შორის ომი დაიწყებოდა, ის უსაოუოდ რუსეთის გამარჯვებით (ბალკანეთში, შავ ზღვაზე, სრუტეებსა და მთელ აღმოსავლეთში მისი გაძლიერებით) დამთავრდებოდა. ამიტომ სტამბოლში აკრედიტებული წარმომადგენლების მეშვეობით ყოველნაირად ცდილობდნენ დაერწმუნებინათ სულთანი, რომ არავითარ შემთხვევაში უარი არ ეთქვა ულტიმატუმის მიღებაზე და მართლაც, მაჰმუდ II, სხვანაირად რომ ვეღარაფერს გახდა, ასე მოიქცა: 1826 წელს ხელი მოაწერა რუსეთ-ოსმალეთს შორის 7 ოქტომბერს დადებულ აკერმანის კონვენციას და უსიტყვოდ ცნო ულტიმატუმის ყველა მუხლი, მათ შორის ისიც, რომელიც უშუალოდ სერბიის სტატუსს შეეხებოდა.

ეს იყო სერბიის, მოლდავია-ვალახეთისა და მათი ქომაგი რუსეთის მნიშვნელოვანი მონაპოვარი. სერბიამ მიიღო ე. წ. „საშინაო ავტონომია" საკუთარი, ადგილობრივი მმართველობის უფლებით; მოლდავეთი და ვალახეთი ცხადდებოდა თავისუფალ სათავადოებად, საიდანაც ოსმალები უნდა წასულიყვნენ; ხოლო რუსეთს მიენიჭა ოსმალეთის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი, ყოველმხრივი შეუზღუდველი ვაჭრობისა და ზღვაოსნობის უფლება[3].

სერბია და მოლდავეთ-ვალახეთის ხალხთა ანტიოსმალურმა ბრძოლამ მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება-

---

[1] Д. Г. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

[2] اشكنجى معلم — სავ-ლდებულო სამსახურში მყოფი გაწვრთნილი ჯარისკაცი (А. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, СПБ, 1868), სხვანაირად „ეკზერსირებული ხელი". თავისი სტრუქტურითა და დანიშნულებით ისეთივე იყო, როგორიც სელიმ III „ნიზამი ჯედიდ და სეიმენი". ახალი ჯარისათვის ასეთი სახელის შერქმევით მაჰმუდ II ცდილობდა იენიჩრების მოტყუებას, მათ დარწმუნებას, რომ არაფერი აქვს საერთო სელიმის სამხედრო რეფორმასთან და ამიტომ იგი მათთვის საშიში არ იყო. მაგრამ ეს ცდა ამაო გამოდგა. 1826 წელს სტამბოლი იენიჩართა აჯანყებამ მოიცვა (Д. Г. Розен. დასახ. ნაშრომი, გვ 10).

[3] Т. Юзефович, Договоры России с Востоком, СПБ., 1869, გვ. 63—64.

გაღრმავებას საბერძნეთში. „სულთნის სატრაპებისა და ფაშებისაგან“ განაწამები, თავისუფალი ვაჭრობის მოსურნე მესამე კლასის ანუ საქალაქო-სავაჭრო ბურჟუაზიის თაოსნობით 1821 წელს მორეიაში დაწყებული აჯანყება[1] ლოზუნგით: „ოი ბერძნებო! ასწიეთ დახრილი თავები, აიღეთ თოფი, ხმალი, შურდული და ჩვენი მტანჯველები მალე გიწოდებენ თავიანთ მბრძანებლებს და ბატონებს“[2],—მალე მთელი ეგეოსის ზღვის კუნძულებს, აგრეთვე კონტინენტალურ საბერძნეთსაც მოედო[3] და საყოველთაო სახალხო-გამათავისუფლებელი ომის ხასიათი მიიღო.

1822 წლის დასაწყისში ქ. ეპიდარეში მოიწვიეს ბერძენთა ეროვნული კრება, რომელმაც შეიმუშავა საბერძნეთის დემოკრატიული კონსტიტუცია და აირჩია დროებითი მთავრობა მავროკორდატოს მეთაურობით. მარტში მავროკორდატოს კაბინეტმა გამოაცხადა საზღვაო ბლოკადა, რითაც უცხო ქვეყნების ყველა გემს აეკრძალა ეპირის, პელოპონესის, თესალიის, ევბეისა და სალონიკის ნავსადგომებში შესვლა, ხოლო აპრილში მანვე გამოაქვეყნა დეკლარაცია საბერძნეთის დამოუკიდებლობის შესახებ და თხოვნით მიმართა ევროპის სახელმწიფოებს ეცნოთ იგი[4].

სულთნის ხელისუფლების ცდა, საკუთარი ძალებით დასაწყისშივე ჩაეხშო აჯანყება, მარცხით დამთავრდა; სულთანი იძულებული გახდა მიემართა თავისი ვასალის; ეგვიპტის გამგებელ მუჰამედ ალისათვის და ეთხოვა დახმარება, რისთვისაც გასამრჯელოდ აღუთქვა სირია და კრეტა. ასეთი ძვირფასი სტრატეგიული მნიშვნელობის საჩუქრით, აგრეთვე თავისი პრესტიჟის ამაღლებით დაინტერესებულმა პატივმოყვარე მუჰამედ ‘ალიმ უყოყმანოდ მიიღო სულთნის თხოვნა და 1824 წელს მაჰმუდ მეორესთან ერთად საბერძნეთის დამორჩილებას შეუდგა[5]. მაგრამ სიუზერენსაც და ვასალსაც ეს ბრძოლა ერთობ ძვირად დაუჯდათ, რადგან ამ დროს ბერძნები მარტო აღარ იყვნენ. მათ მედგარ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის თანაგრძნობას უცხადებდა სხვადასხვა ქვეყნის

---

[1] აჯანყების მიზეზი გახდა ოსმალების მიერ ბერძენ ვაჭართა ყოველმხრივი დისკრიმინაცია, ის, რომ არაფრით არ იყო დაცული „ბურჟუაზიული მოხმარების ძირითადი პირობა—ვაჭრის პიროვნებისა და მისი საკუთრების უშიშროების უზრუნველყოფა“ (К. Маркс, Ф. Энгельс, соч., т. XVI, ч. II, გვ. 22). ჩვეულებრივ ამ აჯანყებას მიიჩნევენ „აღმოსავლეთის კრიზისის“ დასაწყისად, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. „აღმოსავლეთის კრიზისი“ გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე ეს აჯანყება. მისი დაწყება უშუალოდ დაკავშირებულია ოსმალეთის „იმპერიის რღვევის პროცესთან და ამის გამო აღმოსავლეთში გაბატონებისათვის ევროპის მთავარ სახელმწიფოთა შორის წარმოქმნილ კონფლიქტთან.

[2] Коллас, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

[3] Е. Феоктистов, Борьба Греции за независимость, СПб, 1863, გვ. 66; Новая история стран зарубежного Востока, 1952, т. I, გვ. 308.

[4] О. Шпаро, Внешняя политика Каннинга и греческий вопрос (1822—1827), «Вопросы истории», декабрь, 1947, № 12, გვ. 48.

[5] Е. Феоктистов. დასახ. ნაშრომი, გვ. 119; Новая история стран зарубежного Востока, М., 1952, т. I, გვ. 309.

ჯეჯილი გრძნობის ადამიანები და არა მარტო ისინი — ცალკეული ადამიანები და ორგანიზაციები[2], არამედ ევროპის დიდი სახელმწიფოებიც, კერძოდ, რუსეთი, ინგლისი, და საფრანგეთი[3].

1826 წლის 4 აპრილს, როცა თურქეთ-ეგვიპტის ჯარები საბერძნეთის დედაქალაქს ათენს უტევდნენ და აჯანყებულთა განადგურებას ამზადებდნენ, პე-

---

[1] „შატობრიანი და მანუელი, ბონალდი და ბენჯამინ-კონსტანი; ბერანჟე და აბატი ჟენუში „Journal de debats“ და „Gazette de France“-ს ფურცლებზე ერთად ირაზმებოდნენ ბერძენთა დასაცავად, როცა ევროპის სახელმწიფოების წინაშე დაისვა საკითხი საბერძნეთისადმი მათი დამოკიდებულების შესახებ“ (Е. Феокистов, დასახ. ნაშრომი, გვ. 121). ასეთივე პოზიცია ეკირათ ა. პუშკინს, ვ. ჰიუგოს, ბაირონს, ამ აჯანყებაში რომ დაეცა (А. Ф. Миллер, Краткая история Турции, М., 1948, გვ. 53; Новая история стран зарубежного Востока, М., 1952, т. I, გვ. 308), ჰ. ი. პესტელი (А. В. Фадеев, Россия и Восточный кризис 20-х годов XIX века, М., 1958, გვ. 73; Восстание декабристов, «Сборник документов». Л., 1927, გვ. 144) და სხვ. მრავალს.

[2] თავისუფლებისათვის მებრძოლი ბერძნებისათვის იარაღის, ფულის, მოხალისეებისა და სხვათა გასაგზავნად ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში იქმნებოდა ე. წ. „ფილელინური“ ორგანიზაციები. იტალიაში ამ საქმის ორგანიზატორები იყვნენ კარბონარები (Carbonaro)—„მენახშირე“—ასე უწოდებდნენ თავიანთ თავს მე-19 საუკ. დასაწყისში იტალიაში ჩამოყალიბებული არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციის წევრები, რომლებიც სამშობლოს გაერთიანებისათვის უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ იბრძოდნენ; ჟენევის ფილელინელთა კომიტეტს ხელმძღვანელობდა კაპოდისტრიოს ახლო მეგობარი ბანკირი ეინარი, ლონდონისას—ბანკირი რიკარდო და ბაირონის ერთგული ამხანაგი მწერალი სტენგოფი, პარიზისას—ეილესა და კარლოს X მთავრობის ოპოზიციონერთა ლიბერალური ჯგუფები და სხვ.

[3] თუმცა აქვე შენიშვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში მათ თავიანთი სახელმწიფოს ინტერესები უფრო ამოძრავებდათ, ვიდრე აჯანყებული ბერძნების დაცვის სურვილი. როგორც ცნობილია, 1815 წელს საღვთო კავშირმა მიიღო დადგენილება ევროპაში ნაპოლეონ ბონაპარტეს იმპერიის დამხობის შემდეგ დამყარებული „Status quo“-ს შესანარჩუნებლად. შორსმჭვრეტელი მეტერნიხის წინადადებით კავშირის მონაწილეებმა ეს დებულება გაავრცელეს ოსმალეთზეც. ამიტომ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I, საღვთო კავშირის ეს საიმედო დედაბოძი, რომელმაც ევროპის მთავარი ქანდარმის როლი იკისრა, საბერძნეთს 1821 წლის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, როგორც, „Status quo ante bellum“-ის (ომამდელი მდგომარეობის) უხეშ დარღვევას, ბუნტს“ უწოდებდა და თავიდან მტრულად იყო განწყობილი მისდამი. ბერძენთა მხარეზე გამოსვლა მან 1822 წლიდან დაიწყო და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ამით სურდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხელში ჩაგდება, ბოსფორ-დარდანელში გაბატონება და საბერძნეთ-ოსმალეთის ომის გამო გაუარესებული თავისი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის გაუმჯობესება, რაზედაც დიდად იყო დამოკიდებული რუსეთის საშინაო ვითარებაც. იმდროინდელი სტატისტიკური ხასიათის ცნობების მიხედვით, საბერძნეთის აჯანყებამდე ოდესის ნავსადგურებში ყოველწლიურად ღუზას უშვებდა 600-მდე სავაჭრო გემი. აქედან მხოლოდ ათი გემი იყო რუსეთის (Г. Небольсин, Статистическая записка о внешней торговле россии. СПб., 1835, ч. I გვ. 81—82), დანარჩენი 590 გემიდან დიდი უმეტესობა ეკუთვნოდა ბერძნებს, ხოლო სხვა ესპანელ, პორტუგალიელ და სიცილიელ ვაჭრებს (О. Шпаро, დასახ. ნაშრომი, გვ. 45—46). აჯანყების დაწყებისთანავე საბერძნეთის სავაჭრო გემებს, ვისი ალმითაც არ უნდა ყოფილიყვნენ, სულთნის სპეც. ფირმანით ეკრძალებოდათ შავ ზღვაში შესვლა. ეგეოსის ზღვაში გაჩაღებული ომის გამო შავ ზღვაში რეგულარულად შესულას ვეღარც სხვა გემები ახერხებდნენ და ამის გამო დაიწყო

ტერბურგში ინგლისისა და რუსეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს ბერძნთა ხსნის კონვენციას, რომლითაც ვალდებულება იკისრეს ეშუამდგომლათ ოსმალეთის ხელისუფლების წინაშე და ეთხოვათ ამ უკანასკნელისათვის შეეწყვიტა საომარი მოქმედება საბერძნეთთან, დაედო მასთან საზავო ხელშეკრულება და მიენიჭებინა თავისუფლება (ავტონომია). ხოლო იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი უარს იტყოდა „ევროპის სახელმწიფოთა კოლექტიურ შუამავლობაზე—საბერძ-

---

რუსეთის საგ. ვაჭრობის კედომა. 1820 წელს მარტო ოდესაში შემოზიდული უცხოეთის საქონლის საერთო ღირებულება უდრიდა 2 180 000 ვერცხლის მანეთს, ხოლო გატანილი საქონლისა —4 739 000 მანეთს. 1821 წელს იმპორტმა შეადგინა მხოლოდ 1 133 000 მანეთი და ექსპორტმა — 3 745 000 მანეთი (А. Фадеев, Россия и Восточный кризис 20-х годов XIX века, М., 1958, გვ. 55). მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა მომდევნო წლებში; კრიზისმა მოიცვა რუსეთის მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. „ოდესაში ვაჭრობის შეფერხებამო, — მოახსენებდა იმპერატორს ამის გამო ქანდარმთა შეფი გრაფი ბენკენდორფი,—ყოველგვარი შემოსავალი მოუსპო მეზობელ გუბერნიებს,... — აღარ საღდება მიწათმოქმედების პროდუქტები. სამიწათმოქმედო გუბერნიებში უკვე შეიმჩნევა საერთო გაღატაკება“ (Краткий обзор общественного мнения за 1827—1828 гг. «Красный архив» 1929. 6(37), გვ. 164—165), რამაც გამოიწვია თავად-აზნაურთა, ვაჭართა და მემამულეთა სერიოზული უკმაყოფილება (А. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в., გვ. 198). რუსეთის იმპერიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შექმნილი ასეთი ვითარება მეფის ხელისუფლებისაგან მოითხოვდა ენერგიულ მოქმედებას, აღმოსავლეთის კრიზისის სწრაფად გადაჭრას და ვაჭრობის აღდგენას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ამ მღელვარების შერწყმა „უკრაინისა და ნოვგოროდის გუბერნიებში მაშინ მძვინვარე გლეხთა აჯანყებისადმი“ (სსრ კავშირის ისტორია, თბ.,. 1954, ტ. II, გვ. 158) და ამგვარად, პოლიტიკური კრიზისის დაწყებაც. ამიტომ ალექსანდრე პირველმა გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, გადაწყვიტა, აქტიურად ჩარეულიყო ოსმალეთის. საშინაო საქმეებში და უკვე 1822 წელს კატეგორიულად მოითხოვა საბერძნეთისათვის ავტონომიის მინიჭება.

ასეთიეე აუცილებლობით იბრუნა პირი საბერძნეთისაკენ ინგლისმაც. მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სულთნის ფირმანი შავ ზღაში საბერძნეთის სავაჭრო გემებისათვის უარის თქმის შესახებ, ინგლისის ნავიგაცია თითქმის გაორკეცდა. ამასვე აღნიშნავდა ლორდი სტრანგფორდ კანინგი (ბრიტანეთის ელჩი სტამბოლში) 1822 წ. 5 ოქტომბერს, გ. კანინგისადმი მიწერილ წერილში (Prokesh Osten, Geschichte des Abfalls der Griechen Womtur-Kischen Reiche. Wien, 1867. b. IV, 10—11. ციტირებულია О. Шпаро-ს დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 46). ამიტომ ინგლისის მთავრობას არ სურდა ოსმალეთთან ურთიერთობის გაფუჭება და მან საბერძნეთის საკითხი ხანგრძლივი დროით მაუღქვეშ ამოდო, რითაც საშუალება მიეცა თურქეთ-ეგვიპტის არმიებს აღედგინათ ოსმალეთის იმპერიის მთლიანობა. მაგრამ, როდესაც 1824 წ. 9 იანვრის „მემუარებით“ ალექსანდრე პირველმა ევროპის სახელმწიფოებს განსახილველად წარუდგინა პროექტი საბერძნეთისათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ და მტკიცედ მოითხოვა პეტერბურგში სპეციალური კონფერენციის მოწვევა, რომელსაც მისთვის უნდა მიეცა უფლება ოსმალეთის წინააღმდეგ იარაღის გამოყენებისა ამ ავტონომიის დასამყარებლად, მაშინ კი ინგლისის პრემიერი გ. კანინგი იძულებული გახდა უარი ეთქვა ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე. მან, დარწმუნებულმა იმაში, რომ დღეს თუ ხვალ რუსეთის დახმარებით საბერძნეთი გახდებოდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, რომელზეც დიდად იქნებოდა დამოკიდებული ინგლისის მდგომარეობა ხმელთაშუა ზღვის აუზში და არა მარტო იქ, არამედ მთელ აღმოსავლეთში, თანდათან იწყო აჯანყებულებისაკენ მობრუნება, რათა მოეგო მათი გული და ავტონომიური საბერძნეთი გადაექცია თავის სტრატეგიულ ბაზად. სწორედ ამიტომ

ნეთთან შერიგების თაობაზე", მაშინ გამოეყენებინათ მის მიმართ იძულებითი ღონისძიება[1].

ამ ვალდებულებათა განხორციელების მიზნით, 1827 წ. ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა ჯერ საფრანგეთმა, ინგლის-ავსტრიამ, შემდეგ კი ინგლის-რუსეთმა და პრუსიამ პეტერბურგის კონვენციის შინაარსი ოსმალეთს გააცნეს და სთხოვეს, მიეღო მათი წინადადებანი, მაგრამ მაჰმუდ მეორეს ვერც ამან შეაცვლევინა თავისი გადაწყვეტილება. იგი კვლავ განაგრძობდა ბერძენთა სისხლის ღვრას და კატეგორიული, თანაც გამომწვევი ტონით აცხადებდა: „პორტა არასდროს არ დაუშვებს სხვის ჩარევას. ის საჭიროების შემთხვევაში ძალას ძალითვე მოიგერიებს. ჩვენ გვირჩევნია გმირულად დავიღუპოთ,—პასუხობდა ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პერტევ ეფენდი პრუსიის ელჩს სტამბოლში ბარონ მილნიცს,—ვიდრე წავებილწოთ სამარცხვინო შეთანხმებით ამდენი საუკუნის ბრწყინვალე ისტორია. ჩვენ თავს დავიცავთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე"[2]. ამის შემდეგ უკვე ყველასათვის აშკარა გახდა, რომ სულთნის ხელისუფლება საბერძნეთისათვის ავტონომიის მინიჭებას, თუ არა ძალით, ნებით არ აპირებდა და ამიტომ 1827 წლის 6 ივლისს ბრიტანეთის კაბინეტის თავმჯდომარის, გეორგ კანინგის ინიციატივით ლონდონში მოწვეულმა სამი სახელმწიფოს (ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის) კონფერენციამ მიიღო ინგლისში აკრედიტებული რუსეთის ელჩის ხ. ა. ლივენის წინადადება საბერძნეთის დასახმარებლად სამხედრო-საზღვაო ძალების გაგზავნის შესახებ. ამ შეთანხმების საფუძველზე ზაფხულში, იმავე წელს, ლონდონის შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა შეერთებულმა საზღვაო ესკადრამ, გაძლიერებულმა ხმელთაშუა ზღვაში მყოფი რუსეთის საზღვაო ნაწილების ერთი ქვეითი დივიზიით, ადმირალ ლორდ კოდრინგტონის საერთო

---

გადაწყვიტა ინგლისმა ემოქმედნა რუსეთთან ერთად საბერძნეთის საკითხის მოსაგვარებლად და თანხმობა განაცხადა პეტერბურგში კონფერენციის მოწვევაზე. აქედან ადვილი გასაგებია, თუ რაოდენ არასწორია საზღვარგარეთის ბურჟ. ისტორიოგრაფიაში გაბატ. აზრი იმის შესახებ, რომ გ. კანინგი იყო „თავისუფლების მებაირახტრე და საბერძნეთის განთავისუფლების ინიციატორი (Дебидур, Дипломатическая история Европы, М., 1947, Фаф. История Европы XIX века, СПБ, 1904), ან ის, რომ ალექსანდრე I თავიდანვე მხარს უჭერდა საბერძნეთის რევოლუციას.

1826 წლის 4 აპრილს პეტერბურგში რუსეთ-ინგლისმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც ითვალისწინებდა ერთობლივ მოქმედებას „საბერძნეთის საკითხის მოსაწესრიგებლად", მისთვის ავტონომიის მინიჭებას. რუსეთი სთხოვდა ინგლისს ეკისრა შუამდგომლობა და შეერიგებინა ოსმალეთ-საბერძნეთი.

ოქმის III §-ის თანახმად, თუ თურქეთი უარს იტყოდა შეთანხმებაზე, მაშინ ინგლისი და რუსეთი უფლებას იტოვებდნენ ემოქმედათ ძალით ამ მიზნის მისაღწევად. (იხ. Ф. Ф. Мартенс, «Сборник трактатов и конвенции заключенных Россиею с иностранными державами», СПБ., 1895, т. XI, გვ. 342—3; Н. В. Фадеев, Россия и Восточный Кризис 20-х годов XIX века, М., 1958, გვ. 140).

[1] А. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в., М, 1960, გვ. 216.

[2] Д. Г. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

სარდლობით კურსი აიღო საბერძნეთის ნაპირებისაკენ და 20 ოქტომბერს ნავარინთან, სულ რაღაც სამნახევარი საათის განმავლობაში, მთლიანად მოსპო ოსმალეთის ფლოტი[1].

მოსალოდნელი იყო, რომ ოსმალეთის ხელისუფლება ამის შემდეგ მაინც იტყოდა უარს თავის წინა ზრახვებზე და დათანხმდებოდა საბერძნეთთან ზავის შეკვრას, თუნდაც მარტო იმისათვის, რომ ხელი მოეთბო, ნავარინში მიღებული ჭრილობა მოეშუშებინა, ძალა მოეკრიბა და რევანშისათვის მომზადებულიყო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. მაჰმუდ II,—ნაწილობრივ პატივმოყვარეობისა და მუსლიმანური ფანატიზმის გამო, უფრო მეტად კი იმის შიშით, რომ ნავარინის კატასტროფა არ გამხდარიყო იმპერიის შიგნით, კერძოდ კი დედაქალაქის მცხოვრებთა ახალი მღელვარების დაწყების საბაბი,—ქედს არ იხრიდა, მაინც ძველ გზას გაჰყვა, რუსეთ-ინგლის-საფრანგეთთან შერიგების ნაცვლად, მათთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაუარესება არჩია და ამ სამ სახელმწიფოსთან დადებული ყველა ხელშეკრულება გაუქმებულად გამოაცხადა. გარდა ამისა, 1827 წლის 2 დეკემბრიდან ოსმალეთის მთელ ტერიტორიაზე გაიშალა საომარი პროპაგანდა მიმართული ინგლის-საფრანგეთსა და განსაკუთრებით კი რუსეთის წინააღმდეგ. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს დივანის მიერ ანატოლიისა და რუმელიის აჟანებისადმი (სოფლის მამასახლისები და ნოტაბლები) გაგზავნილი ფირმანი, სადაც ნათქვამია: „...რომ ურწმუნონი ისლამის მტრები არიან. ეს განსაკუთრებით ითქმის რუსეთის სამეფოზე, რომ-

---

[1] ნავარინის საზღვაო ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა: ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის 10 სახაზო გემი, 10 ფრეგატი, 1 კორვეტი, 2 ბრიგი და 2 შხუნა; ოსმალეთის 3 სახაზო გემი, 23 ფრეგატი, მათ შორის 4 დიდი, 24 კორვეტი, 16 ბრიგი, 6 ბრანდერი, და 40 ტრანსპორტი (Д. Г. Розен, იქვე, გვ. 54). აქედან მოკავშირეებს არ დაუკარგავთ არც ერთი ხომალდი, ხოლო მათ მოსპეს მოწინააღმდეგის სამიოე სახაზო გემი, 16 ფრეგატი ყველა (26) კორვეტი, 12 ბრიგი, 5 ბრანდერი და 6000 კაცი (Кольас, დასახ. ნაშრომი, გვ. 92). დანარჩენი ხომალდებიც ისე სერიოზულად დაზიანდნენ, რომ ძლივსღა იდგნენ ზღვაზე (Розен, იქვე).

ცნობა ნავარინთან ოსმალეთის ფლოტის სრული განადგურების შესახებ სწრაფად მოედო მთელ ევროპას. ბევრი მას აღტაცებით შეხვდა და გამარჯვებას ულოცავდნენ მოკავშირეთა საზღვაო ესკადრის სარდლობას, ხოლო ავსტრიის მთავრობა, სისტემატურ დახმარებას რომ უწევდა ოსმალეთს იარაღით (მარტო 1827 წელს მან 20.000 თოფი გაგზავნა კონსტანტინოპოლს) და ინგლისის კონსერვატორები მეფე გიორგი მე-6-ის მეთაურობით — თაეიანთ აღშფოთებას ვეღარ მალავდნენ, რადგან ნავარინში სულთნის ფლოტის განადგურებით მათ გააკეთეს ის, რასაც საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მთელი ძალით ებრძოდნენ.—დაასუსტეს ოსმალეთი და ხელი შეუწყვეს რუსეთის გაძლიერებას, გაუადვილეს მას ბრძოლა სულთნის თურქეთის წინააღმდეგ. ამიტომ 1828 წლის იანვარში პარლამენტის სესიის გახსნისას, სცერემონიალო სიტყვის წარმოთქმის დროს, ინგლისის მეფემ ნავარინის ბრძოლას „სამწუხარო შემთხვევა" (untoward event) უწოდა. ამასთან, როცა საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებითა და პოლიტიკური აუცილებლობით იგი ხელს აწერდა ბრძანებულებას ადმირალ კოდრინგტონის „აბანოს" ორდენით დაჯილდოების შესახებ, აშიაზე მიაწერა: „მე მას ვუგზავნი ლენტს, თუმცა იმსახურებს თოკსო" (О. Шпаро, დასახ. ნაშრომი, გვ. 60; Е. Феоктистов, დასახ. ნაშრომი, გვ. 168).

ლიც უკვე 50 თუ 60 წელია, რაც სარგებლობს შემთხვევით, ყოველგვარი წინადადებით, რათა თავს მოახვიოს ომი თურქეთს და ამიტომ შეიძლება მივიჩნიოთ ის მაღალი პორტას მთავარ მტრად... რუსეთმა დაიპყრო თურქეთის ბევრი პროვინცია,... მან პირი შეკრა თავის ერთმორწმუნე ბერძენ რაიებთან (გლეხებთან) იმ განზრახვით, რომ აღგავოს პირისაგან მიწისა მუსლიმანობა. და ბოლოს, რუსეთმა შთააგონა ლონდონისა და პარიზის სამეფო კარს დაედოთ ლონდონის კავშირი.... გაათავისუფლონ ბერძნები ოსმალთა მფლობელობისაგან (რისთვისაც) სამი სახელმწიფოს გაერთიანებული ესკადრები, როგორც მეგობრები, შევიდნენ ნავარინში და შემდეგ... მოღალატურად დაესხნენ თავს ოსმალეთის ფლოტს, რასაც შედეგად მოჰყვა მთელ მსოფლიოში ცნობილი სამწუხარო კატასტროფა"[1].

საბრალდებულო ნაწილის შემდეგ ფირმანი მოუწოდებდა ყველა მუსლიმანს საღვთო ომისაკენ: „ჩვენი წინაპრები, — ნათქვამია მასში, — ერთგულნი თავიანთი რელიგიისა, არასდროს ყურადღებას არ აქცევდნენ ომებსა და ხელჩართულ ბრძოლებში წარმართი მტრის რიცხვს. პირიქით, ისინი მოქმედებდნენ ერთსულოვნად თავიანთი სარწმუნოების საკეთილდღეოდ და ასიათასჯერ გააცამტვერეს ასი ათასი ურწმუნო; ...მაშასადამე, ჩვენც ყველანი აღვდგებით ძარღით ხელში ჩვენი წმინდა წინასწარმეტყველის სასოებით და მისი ალმით ვიბრძოლებთ რწმენისათვის[2].

მოწოდებამ ახალგაზრდული სული შთაბერა ძირმომპალი ოსმალეთის იმპერიის მომაკვდავ სხეულს და ერთბაშად საომრად განაწყო მისი ფანატიკური მოსახლეობის ყველა ფენისა და ასაკის წარმომადგენელი—მდიდრები და ღარიბები, დიდები და პატარები. აშკარად იგრძნობოდა, რომ შურისძიების ჟამი შორს არ იყო. მაგრამ ჯერ ზუსტად არავინ იცოდა ვისზე უნდა მიეტანათ იერიში; საბერძნეთზე, მის მფარველ რომელიმე ქვეყანაზე (რუსეთზე, ინგლისზე, საფრანგეთზე), თუ ყველაზე ერთად? ეს ცნობილი გახდა მხოლოდ 1828 წლის დასაწყისში, როცა რეის ეფენდი პერტევმა სტამბოლში პრუსიის ელჩს, ბარონ მილნიცს პირდაპირ განუცხადა: „...დიევანი მიდის ყოველნაირ რისკზე, რათა გავთავისუფლდეთ აკერმანის ხელშეკრულების მძიმე პირობებისაგან[3]— ამის შემდეგ თურქეთის ჯარი მოლდავეთ-ვალახეთში შეიჭრა[4]. ამიერიდან უკვე ნათელი გახდა, რომ ოსმალეთი რუსეთთან ომს აპირებდა და ამ უკანასკნელმაც საჭირო თადარიგი დროზე დაიჭირა. დეკემბერში რუსეთის მთავრობამ სტამბოლიდან გაიწვია თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა ბესარაბიაში დაბანაკებული მე-2 არმია, 1828 წ. 10 თებერვალს ირანთან დადო თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულება; კავკასიაში

---

[1] Д. Г. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 64.

[4] А. В. Фадеев, Россия и Восточный кризис 20-х годов XIX века, М., 1958, გვ. 54.

მყოფ ჯარებს, აქამდე ირანთან ომში რომ იყვნენ დაკავებულები, თავი მოუყარა ოსმალეთის საზღვართან და როცა ამ საქმეს მორჩა (26 აპრილს), მანიფესტი გამოაქვეყნა, რომლითაც ქვეყანას ამცნო: ვინაიდან სულთნის ხელისუფლება არ ცნობს ლონდონის 1827 წლის 6 ივლისის კონვენციის პირობებს, საბერძნეთს რომ შეეხებიან, აგრეთვე უარს ამბობს რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისთან დადებული ყველა ხელშეკრულების, მათ შორის ამ ერთი წლის წინათ ხელმოწერილი აკერმანის ხელშეკრულების შესრულებაზე, რუსეთის მთავრობა ინგლისის მთავრობასთან ერთად პეტერბურგში 1826 წლის 4 აპრილის ხელმოწერილი ოქმის მე-3 პარაგრაფის თანახმად[1], ომს უცხადებს ოსმალეთს, „რათა აიძულოს იგი დაიცვას მის მიერვე დარღვეული ტრაქტატი"[2].

მანიფესტის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ საომარი მოქმედებაც დაიწყო. მაისის თვეში ბესარაბიაში და კავკასიაში მყოფი რუსეთის არმიები შეტევაზე გადავიდნენ და ბრძოლის პირველ დღესვე ცხადყვეს თავიანთი უპირატესობა, ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა კავკასიის ფრონტზე. სადაც რუსის ჯართან ერთად გრაფ პასკევიჩის არმიაში იყვნენ და მშობლიურ მიწა-წყლის გასათავისუფლებლად მამაცურად იბრძოდნენ ქართული ქვეგანყოფებიც: გრენადერთა ქართული რეგულარული პოლკის, „ქართული მილიციისა" და „სახალხო ლაშქრის" შეომრები თავიანთი საჭურველით, ცხენებითა და ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილნი.

1828 წლის 23 ივნისს[3] (სხვა ცნობით კი, „5 ივლისს")[4] დილის 10 საათზე დაეცა ოსმალთა ციხე-სიმაგრე ყარსი[5], რის შემდეგ რუსეთის არმიამ იერიში

---

[1] როცა ინგლისის მთავრობა პერცოგ ველინგტონს პეტერბურგში მოსალაპარაკებლად გზავნიდა, ავალებდა საქმე ისე წარემართა, რომ რუსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ მარტო მოქმედების შესაძლებლობა არ მისცემოდა, მაგრამ ველინგტონმა ეს მისია ვერ შეასრულა. ვატერლოოს გმირი „ბრიგადის გენერალ" ნიკოლოზ პირველთან დიპლომატიურ „ორთა ბრძოლაში" დამარცხდა. მან ხელი მოაწერა ზემოაღნიშნულ ოქმს, რომლის მე-3 პარაგრაფში ნათქვამია: თუ ოსმალეთი უარს იტყვის ინგლისის შუამდგომლობაზე და არ შეწყვეტს ომს საბერძნეთის წინააღმდეგ, მაშინ რუსეთი უფლებას იტოვებს იმოქმედოს ძალით თავისი მიზნის მისაღწევად (Ф. Ф. Мартенс. Собрание трактатов, и Конвенции заключенных Россиею с иностранными державами. СПБ, 1895, т. XI, გვ. 342—43). ამასთან დაკავშირებით გ. კანინგმა რუსეთის ელჩის, ლივენის მეუღლესთან საუბრის დროს განაცხადა: „პერცოგი რომ უფრო ჭკვიანი ყოფილიყო, ის თავის პარტიას იმდენად უკეთ დაამთავრებდა, რომ გამასხრებული მაინც არ დარჩებოდა" (О. Шпаро, დასახ. ნაშრომი, გვ. 55).

[2] В. Потто. Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, Тифлис, 1887, вып. I, т. IV, გვ. 11, 23; История военных действий в Азиатской Турции в 1828 и 1829 годах, Варшава, 1843 г., ч. II, გვ. 102—107.

[3] В. Потто. დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

[4] А. В. Фадеев, Декабристы на Дону и на Кавказе, Ростов-на-Дону, 1950. გვ. 55—57.

[5] ყარსის აღებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა „ქართულმა მილიციამ" (ЦГИАГ. Ф. 4, оп. I, д. 448, л. 109. Расписание действующего Корпуса на 23 июня 1828 г.) და 1118 კაცისაგან შემდგარმა „ქართველ გრენადერთა პოლკმა" (В. Потто,

დაიწყო ახალციხის მიმართულებით. 24 ივლისს აღებულ იქნა ახალქალაქი[1]. იმავე ხანებში გენერალ ა. ჭავჭავაძემ დაიკავა ბაიაზეთი, გაიარა ალაშკერტის ველი და სექტემბერში განაგრძო შეტევა დასავლეთისაკენ[2]. 16 აგვისტოს რუსეთის დროშა აფრიალდა ახალციხის თავზე, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ აწყურსა და არდაგანში.

წარმატებით მოქმედებდა კავკასიის ფრონტის მარჯვენა ფრთაც. 1828 წლის 15 ივლისს აღებულ იქნა ქ. ფოთი და დაიწყო იერიში ქობულეთ-ბათუმის მიმართულებით. აქაც რუსეთის არმიის მოიერიშეთა მეწინავე ჯგუფში სხვათა შორის იყვნენ და წინაპართა სახელს არ არცხვენდნენ „სამეგრელოს ქვეითი პოლკის“, იმერეთის და გურიის მილიციის მეომრები. 4 აგვისტოს რუსებთან ერთად ისინი დაიძრნენ ოზურგეთიდან მუხა-ესტატესაკენ[3], დაიკავეს ის, კინტრიში და შესვენებას არ აცლიდნენ უკუქცეულ ოსმალთა ჯარის ნაწილებს.

განსაკუთრებით შედეგიანი გამოდგა კავკასიის ფრონტზე მოქმედი რუსეთის არმიისათვის 1829 წლის ზაფხული. კავკასიის კორპუსმა გადალახა სოღანლუღის ქედი, გაანადგურა ოსმალთა ჯარები კაინლისა და მილი დუზში, 27 ივნისს დაიკავა ერზერუმი, შემდეგ კი—ბაიბურთი, გიუმუშხანე (მარჯვენა ფრთაზე), მუში და ხინისი (მარცხენაზე)[4], გაიჭრა ტრაპიზონ-სივასის მისადგომებისაკენ[5] და ამით აშკარა საფრთხის წინაშე დააყენა სულთნის ხელისუფლე-

---

Карская торжества в 1910 году и четыре штурма Карса. Тифлис, 1911, გვ. 62—63), რომელსაც მეთაურობდა გრაფი სიმონოვიჩი. გამარჯვების აღსანიშნავად და ციხე-ქალაქში სახელდახელოდ გამართულ საზეიმო ცერემონიალის დროს, ციხის ყველაზე მაღალ კოშკზე მდგომმა პასკევიჩმა, ყარსის დამპყრობ ქართველ მეომართა პატივსაცემად ბრძანა: „...აღმართეთ თქვენთან ქართულ გრენადერთა პოლკის ...დროშა“ (В. Потто. Кавказская война в отдельных очерках, легендах и биографиях, Тифлис, 1887, вып. I. т. 4, გვ. 23, 52, 57, 66—67).

[1] მ. დუმბაძე, საქართველო XIX ს-ის I მესამედში (საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1958, გვ. 416).

[2] თანამედროვენი გრძნობდნენ, რომ ქართველი გენერლის ასეთი წარმატება პატივმოყვარე პასკევიჩს თავისი ავტორიტეტის დამცირებად მიაჩნდა (Н. Н. Муравьев, Записки, „Русский архив“, 1893., წიგნი 3, № 4, გვ. 18). ამიტომ „მადლობის მაგიერ პასკევიჩს უნდოდა ჭავჭავაძე გადაეცა სამხედრო სასამართლოზე თვითნებობისათვის“ (ЦГИАГ, Ф. 4. оп. 1, д. 448, л. 60). მერე განა მარტო ჭავჭავაძეს ეპყრობოდა იგი ასე? ის ასეთივე დამოკიდებულებას ამჟღავნებდა კავკასიაში გადმოსახლებულ და ამ ომში მონაწილე თითქმის ყველა ღეკაბრისტი ოფიცრების: ბურცოვის, პუშჩინის, განგებლოვის, სუხორუკოვის, ფოკის, რაევსკის ბესტუჟევის, ჩერნიშოვის, ვალხოვსკის, სემიჩევისა და სხვათა მიმართ. არ მოსწონდა მათი უბადლო გმირობა და მხედართმთავრული ნიჭი, რადგან თვითონ „სრულებით არ იყო დაჯილდოებული არც შორსმჭვრეტელობით, არც გამბედაობით, არც დამოუკიდებლობით... არც სულის განსაკუთრებული სიმტკიცით, არც მშვერმეტყველებითა და არც მეცნიერების რომელიმე დარგის ცოდნით“ (Денис Давидов, Военные записки, М., 1940, გვ. 397).

[3] История военных действий в Азиатской Турции в 1828 и 1829 годах, Варшава, 1843, ნაწ. II, გვ. 237.

[4] А. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в., М., 1960, გვ. 235.

[5] ЦГИАГ, ф. 4, оп. 1, д. № 448, лл. 76—77; ф. 1125, оп. 3, д. 99, лл. 302—303.

ბა. „გრაფ პასკევიჩის მოძრაობას ერზერუმიდან სივაშისა და ტრაპეზუნდისაკენ უნდა შეეძრწუნებინა კონსტანტინოპოლის სამეფო კარი იმ შედეგებით, რომელიც ამას მოჰყვებოდა, თუკი ჩვენი კორპუსი მოახერხებდა შეღწევას ანატოლიის სიღრმეში და ამით გადაჭრიდა ცარგრადის მთავარ კომუნიკაციას დიარბექირთან და ბაღდადთან“[1]. მართლაც, საშიშროება, რომელიც ასეთ შემთხვევაში ოსმალეთის იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას მოელოდა, მეტად ჩამაფიქრებელი იყო. ანატოლიის მნიშვნელოვანი ნაწილი მოწინააღმდეგის ხელში გადადიოდა და ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედებდა ოსმალეთის იმპერიის როგორც სამხედრო, ისე ეკონომიურ პოტენციალზე და მოსახლეობის საერთო განწყობილებაზე. კერძოდ, ამას შეეძლო გამოეწვია ქვეყნის დეზორგანიზაცია, მოშლილობა, ჯარისკაცთა სასოწარკვეთილება[2] და ცენტრიდანული ძალების მოქმედების გააქტიურება, ანუ მსხვილ ფეოდალთა სეპარატისტული მოძრაობის გაძლიერება[3], მაგრამ მთელი საფრთხე მარტო ამით როდი ამოიწურებოდა. უბედურება ისიც იყო, რომ სივაშ-ტრაპიზონის დაცემისა და სტამბოლ-დიარბექირ-ბაღდადს შორის მთავარი კომუნიკაციის მოშლის შედეგად იმპერიის ცენტრალური ნაწილისაგან თითქმის მთლიანად იზოლირებული ქურთისტანისა და ერაყის მიტაცების მიზნით, ოსმალეთის წინააღმდეგ ომს დაიწყებდა ირანი, რომლის გამგებელი (ფათალი შაჰი და პრინცი აბას მირზა) კარგა ხანია მოლაპარაკებას აწარმოებდა ამის შესახებ როგორც ერაყის ცალკეული ტომის შეიხებთან, რომლებსაც აჯანყება უნდა დაეწყოთ, ისე რუსეთთან და ელოდა, თუ როდის მიიღებდა ამ უკანასკნელისაგან სათანადო დასტურს[4].

ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება ჯეროვან შეფასებას აძლევდა კავკასიის ფრონტზე შექმნილ ვითარებას და ყოველ ღონეს ხმარობდა რუსეთის არმიის შესაკავებლად. ჯერ კიდევ 1828 წლის დეკემბერში, სულთნის ბრძანებით ანატოლიის სერასკერ ჰალიბ-ფაშას ადგილზე დაინიშნა მეიდანიის ფაშა ჰაჯი სალეჰი, კიოს მაჰმუდ-ფაშა შეიცვალა სივაშის გამგებელ ჰაკი-ფაშათი. მცირე აზიაში დაიწყო სახალხო ლაშქრის შეგროვება. ყალიბდებოდა „ნიზამის“ ახალი ნაწილები. ვანისა და მუშის ფაშებს დაევალათ 50.000 მეომრის გამოყვანა, ტრაპიზონისას—40.000, ხოლო ერზერუმის მიმართულებით მოქმედი ჯარის რაოდენობა უნდა აეყვანათ 80.000 კაცამდე[5]. ასე, რომ 1829 წლის გაზაფხულში

---

[1] История военных действий в Азиатской Турции. Варшава, 1843, ნაწ. II, გვ. 294—295.

[2] როგორც ეს მოხდა. მაგალითად, რუმელიაში 1829 წლის ზაფხულში, რუსების მიერ ბამბოლის დაკავების შედეგად.

[3] განსაკ. გააქტიურდნენ მაჰმუდ II რეფორმებით უკმაყოფილო ელემენტები, რომლებიც ამზადებდნენ შეთქმულებას სულთნის დასამხობად და იენიჩართა კორპუსის აღსადგენად.

[4] «АКАК», т. VII, გვ. 654, 663, 669.

[5] Рапорт гр. Паскевича от 3-го декабря 1828 года (ЦГИАГ, ф. 1025, оп. I, д. 99, лл. 46—48).

აღმოსავლეთის ფრონტზე უკვე მზადყოფნაში იყო სულ ცოტა 170.000 თურქი ჯარისკაცი, ე. ი., ქვეყნის მთელი შეიარაღებული ძალების თითქმის ნახევარი.

კავკასიის კორპუსის საბრძოლო წარმატებებმა საგრძნობლად შეასუსტეს სულთნის შეიარაღებული ძალების რაოდენობა და ბრძოლისუნარიანობა დასავლეთში—ბალკანეთის ფრონტზე, ხოლო ამან გავლენა იქონია, საერთოდ, როგორც ომის მსვლელობაზე, ისე ოსმალეთის მთავრობის პოლიტიკაზე—მოჰფინა სწრაფი შემობრუნება მშვიდობისაკენ.

1829 წლის გაზაფხულზე დასავლეთის ფრონტზე მოქმედმა რუსეთის არმიამ გენერალ დიბიჩის სარდლობით აიღო სილისტრია, ივნისში ბალკანეთის შთები გადალახა, ივლისში რუმელიის მიწა-წყალზე შევიდა, 20 აგვისტოს დაიკავა მისი მთავარი ციხე-სიმაგრე ქ. ადრიანოპოლი და შავი ზღვის ფლოტთან ერთად გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა უშუალოდ სტამბოლზე იერიშის მისატანად, მაგრამ საქმე აქამდე აღარ მისულა. მოწინააღმდეგის მარწუხში მოქცეულმა ოსმალეთის მთავრობამ, ევროპის მთავარ სახელმწიფოთა რჩევით, თავი დამარცხებულად ცნო და რუსეთთან დაიწყო მოლაპარაკება რომელიც 1829 წლის 14 სექტემბრის ოსმალეთისათვის სამარცხვინო ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების დადებით დამთავრდა.

ეს იყო მორიგი სერიოზული მარცხი, რომელმაც ოსმალეთი ფაქტიურად რუსეთის გავლენის ქვეშ მოაქცია. ადრიანოპოლის საზავო შეთანხმებით მოლდავია-ვალახეთს რჩებოდათ თავიანთი პრივილეგიები და შეღავათები, ხოლო სერბიას—აკერმანის ხელშეკრულებით დადგენილი ყველა უფლება; საბერძნეთმა საბოლოოდ დააღწია თავი ოსმალთა მუქარისაგან და 1830 წელს მიიღო სრული დამოუკიდებლობა (შეიქმნა საბერძნეთის სამეფო)[1]; რუსეთის ქვეშევრდომებს, ისე როგორც სხვა ქვეყნებისას, მიეცათ პრივილეგიები და თავისუფალი ვაჭრობის უფლება ოსმალეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე (ხმელეთზე და ზღვაშიც); სრუტეები ოსმალეთთან მეგობრულად განწყობილ ყველა სახელმწიფოთა სავაჭრო გემების თავისუფალი მიმოსვლის ზონად გამოცხადდა; ოსმალეთმა დაკარგა შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთ სანაპირო ყუბანიდან წმ. ნიკოლოზის ნავსადგომამდე და ცნო რუსეთის უფლება გურია-სამეგრელო-იმერეთ-ქართლზე, ასევე ახალციხე-ახალქალაქზე (ე. ი. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ძირითად ტერიტორიაზე) და თურქმენჩაის ხელშეკრულებით (1828 წელს) ირანიდან შემოერთებულ ერევან-ნახიჩევანის სახანოებზე ანუ აღმოსავლეთ სომხეთზე[2]. გარდა ამისა, ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა გადაეხდაა 11,5 მლნ ჰო-

[1] ამასთან დაკავშირებით კ. მარქსი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ საბერძნეთის ბედი გადაწყვიტეს „არა ალი-ფაშას შეთქმულებმა და აჯანყებამ იანინოსთან, არა ნავარინის ბრძოლამ და საფრანგეთის არმიამ მორეაში, ანდა ლონდონის კონფერენციამ და ოქმმა, არამედ დიბიჩმა, რომელიც რუსეთის არმიით ბალკანეთიდან მარიცის ხეობაში შეიჭრა“ (К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. IX, გვ. 394).

[2] Полное собрание законов Российской империи, II, т. VI, 1829, № 3128, გვ. 622.

ლანდიური ჩერვონეცი[1], რაც ყველაზე მძიმე ვალდებულებას წარმოადგენდა სულთნის ხელისუფლებისათვის. „სულთანს რომ ფული ჰქონოდა,—აღნიშნავდა მაჰმუდ II მინისტრი ამასთან დაკავშირებით,—ის არ დამარცხდებოდა.—ახლა ჩვენ განადგურებული ვართ, ჩვენი ხაზინა ცარიელია, ქვეყანა დაუძლურებულია ისე, როგორც არასდროს და საშინელი გადასახადი ზედ გვაწევს"[2].

მოტანილი ციტატა განმარტებას არ საჭიროებს. მასში მთელი სიზუსტითაა გადმოცემული არა მარტო ის, თუ რაოდენ მძიმე იყო ოსმალეთისათვის 11,5 მილიონი ჰოლანდიური ჩერვონეცის გადახდა, არამედ ისიც, თუ რარიგ რთულ ვითარებაში იმყოფებოდა საერთოდ მთელი იმპერია და მისივე ცენტრალური ხელისუფლება გასული საუკუნის მესამე ათწლედის ბოლო ხანებში.

## ერაყის მდგომარეობა რუსეთ-ოსმალეთის 1828—1829 წწ. ომის დროს და დაუდ-ფაშას პოლიტიკა

ოსმალეთის იმპერიის საერთო კრიზისის გაღრმავებამ და სულთნის ხელისუფლების დასუსტებამ ბიძგი მისცა სეპარატისტული მოძრაობის ახალ აღმავლობას. დამოუკიდებლობის მოსურნე ხალხები და ცალკეული პროვინციის გამგებლები ცდილობდნენ თავიანთი სანუკვარი მიზნის (დამოუკიდებლობის) მიღწევას. კანდიამ (კრეტა) და სამოსმა გადაჭრით მოითხოვეს ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობიდან გასვლა და ახლად შექმნილი საბერძნეთის სამეფოში გაერთიანება. აჯანყდა ალბანეთი და ბოსნია. გრძელდებოდა ვაჰაბიტების ანტიოსმალური მოძრაობა არაბეთის ნახევარკუნძულზე. კუნძულ კრეტას თაობაზე სულთანსა და ეგვიპტის მმართველ მუჰამედ 'ალის შორის დაწყებული უთანხმოება[3] სულ უფრო სერიოზულ ხასიათს ღებულობდა და ბოლოს ომ'ში გადაიზარდა (1831 წ.). ოსმალობიდან თავის დაღწევას ცდილობდნენ აკას გამგებელი აბდალაჰ-ფაშა და ლიბანის თავადი ბეშირ შიჰაბი. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამ საერთო ფერხულში ერაყის გამგებელი დაუდ-ფაშაც ჩაება. უკანასკნელმა სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედება და თავისი მიზნის განხორციელება იმით დაიწყო, რომ 1828 წლის შემოდგომაზე ცენტრალური ხელისუფლებისათვის კრიტიკულ მომენტში,—როცა კავკასიის ფრონტზე მოქმედმა რუსეთის ჯარმა უკან მოიტოვა სომხეთის ზეგანი და ანატოლიის შიდა რაიონებზე იერიშის მისატანად ემზადებოდა,—უარი თქვა კავკასიის ფრონტზე

---

[1] Т. Юзефович. Договоры России с Востоком, СПБ., 1869, გვ 71—84; Д. Г. Розен. История Турции, 1872, ნაწ. I, გვ. 118—120; М. А. Перепц, Адрианопольский мирный договор 1829 г. (Дипломатический словарь, М., 1948, т. I).

[2] Д. Г. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

[3] სულთანი უკმაყოფილო იყო იმით, რომ მუჰამედ 'ალიმ დახმარება არ გაუწია მას რუსეთის წინააღმდეგ ომში, ხოლო ეგვიპტის გამგებელი თავის ასეთ საქციელს იმით ამართლებდა, რომ მაჰმუდ II არ შეუსრულა მას პირობა, არ გადასცა ეგვიპტეს კუნძული კრეტა, რომელიც მორეიაში (1827 წ.) გაღებული მსხვერპლისათვის ეკუთვნოდა.

თავისი სამხედრო ნაწილების გაგზავნასა და საერთოდ რუსეთ-ოსმალეთის ამ ომში მონაწილეობაზე[1].

დაუდის ასეთი საქციელი, რა თქმა უნდა, სულთანს არ მოსწონდა და სხვა დროს ამას არავის აპატიებდა, მაგრამ ახლა თავს იკავებდა, რადგან ამისთვის არც ეცალა და ფაშას ურჩობაშიც ჯერ არ იყო საბოლოოდ დარწმუნებული. ბაღდადის ვალის ამგვარი მოქმედების მიზეზს ის სულ სხვა რამეში, კერძოდ კი ირანის მხრიდან ერაყზე მოსალოდნელი თავდასხმის საშიშროების მოახლოებაში ხედავდა. და მართლაც, დაუდის მდგომარეობა მაშინ სულთანისაზე უკეთესი როდი იყო. როგორც ირკვეოდა, კავკასიის ფრონტზე მოქმედი რუსეთის არმია შეტევის განვითარებას ძირითადად დასავლეთისაკენ— შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ გეგმავდა. მაგრამ არმიისათვის მტკიცე ზურგის, სურსათ-სანოვაგის საიმედო ბაზის შექმნის[2], სტრატეგიული ნედლეულის (ტყვია-სპილენძის) საბადოების ხელში ჩაგდების მიზნით, ფრონტის სარდლობას განზრახული ჰქონდა აგრეთვე ქურთისტანის დაკავება[3] და (გარდა ამისა) ერაყის გამგებელთან (პოლიტიკური მოსაზრებით) კავშირის დამყარება[4], რაც ერთნაირად აღელვებდა როგორც ოსმალეთს, ისე ირანისა და ინგლისის ხელისუფალთ.

საქმე იმაშია, რომ ქურთისტან-ერაყში, ე. ი. ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ რაიონებში ფეხის მოკიდებით რუსეთი ეუფლებოდა ისეთ სტრატეგიულ ადგილს, საიდანაც შეეძლო თავისი კონტროლის დაწესება როგორც ირანზე, ისე შორეულ ინდოეთზე და ამით კი ინგლისის მთლიანად გაძევება შუა აღმოსავლეთიდან, ან მისი გავლენის საგრძნობლად შესუსტება აზიის ამ რაიონში. ამიტომ ცნობამ, კავკასიის ფრონტზე რუსის ჯარის წარმატების შესახებ, გლოვა და შეშფოთება გამოიწვია ინგლისის მმართველი ფენის წარმომადგენლებში. განსაკუთრებული მოუსვენრობა დაეტყო ინგლისის ელჩს ირანში ჯონ მაკდონალდს. თეირანიდან სამშობლოში გაგზავნილ წერილში იგი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ ერზერუმის აღების შემდეგ პასკევიჩი უშუალოდ ინდოეთზე გალაშქრებას აპირებსო[5]. მაკდონალდს მალე თანამოაზრეები გაუჩნდა. მის ლოზუნგს „ინდოეთი საფრთხეშია" გამოეხმაურა ისეთი გავლენიანი პიროვნება, როგორიც იყო პოლკოვნიკი ჯორჯ დე ლასი-ევანსი,

---

[1] Cl. Huart, Histoire de Bagdad, Paris, 1901, გვ. 175.

[2] Депеша Грибоедова к гр. Несельроде от 23-го окт. 1828 г. («АКАК», т. VII, გვ. 654, № 629).

[3] Всеподданейши рапорт гр. Паскевича от 21-го окт. 1828 г. («АКАК,» т. VII, გვ. 77); Грибоедов — гр. Несельроде от 20-го октября 1828 года.

[4] ამის შესახებ 1828 წლის შემოდგომაზე გრაფი პასკევიჩი იმპერატორ ნიკოლოზ I ასე მოახსენებდა: „ვეცდები გადმოვიბირო ქურთები, რისთვისაც უკვე რამდენადმე დავუკავშირდი კიდეც... შეიძლება დავუკავშირდეთ ტრაპიზუნდისა და ბაღდადის საფაშოებსაც, თუკი ეს მისაღები იქნება ამ ქვეყნებისათვის პოლიტიკური მოსაზრებით" (Всеподданейши рапорт гр. Паскевича от 21-го октября 1828 года. «АКАК», т. VII, გვ. 171).

[5] А. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в., გვ. 226—227; „The Cambrige History of British Foreign Policy", vol. XI, ch. V, გვ. 199.

ჰერცოგ ველინგტონის უახლოესი მეგობარი და მრჩეველი, რომელმაც 1828 წელს გამოქვეყნებულ თავის წიგნში—„რუსეთის ზრახვები“ —ჩამოაყალიბა თავისი ქვეყნის ბურჟუაზიული საზოგადოების შეხედულება რუსეთის მიმართ და შეიმუშავა ინდოეთის ხსნის ვრცელი გეგმა. ეს გეგმა ინგლისის გავლენიან წრეებს მოუწოდებდა, დაუყოვნებლივ შედგომოდნენ ისეთი ანტირუსული კოალიციის შექმნას, რომლის ხელმძღვანელი იქნებოდა ინგლისი, ხოლო წევრები ოსმალეთი, ირანი, საფრანგეთი, ავსტრია, პრუსია და შვეცია. ევანსის აზრით, ამ კოალიციის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო რუსეთის დასუსტება, რისთვისაც საჭირო იქნებოდა მისი საზღვაო სანაპიროების ბლოკირება, კრონშტადტის, ოდესისა და სევასტოპოლის დანგრევა და თავდასხმა ხმელეთზე ყველაზე სუსტ რაიონებში. ერთ-ერთ ასეთ სუსტ რაიონად ევანსს მიაჩნდა ამიერკავკასია, სადაც შეჭრა უნდა მომხდარიყო ირანის მხრიდან, ირან-ინდოეთ-ინგლისის ჯარების მონაწილეობით[1].

ევანსის ამ გეგმის აგრესიული არსი საფუძვლად დაედო ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკას რუსეთის მიმართ მახლობელ და შუა აღმოსავლეთში 1828—1829 წლებში. პრემიერ-მინისტრ ველინგტონის (იგი პრემიერი გახდა 1828 წლის იანვარში) დავალებით ჯონ მაკდონალდი და მისი მრავალრიცხოვანი ჯგუფი აგენტებისა[2] გამალებულ მუშაობას ეწეოდნენ ირანში ევანსის გეგმის მიხედვით. ისინი სისტემატურად ურჩევდნენ ფათ'ალი-შაჰსა და მის მემკვიდრეს, თავრიზის გამგებელს აბას-მირზას გამოეყენებინათ ხელსაყრელი მომენტი და ვიდრე რუსეთი ოსმალეთთან ომით იყო დაკავებული, უარი ეთქვათ თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე; გამოეცხადებინათ ომი ჩრდილოეთელი მეზობლისათვის და ინგლის-ინდოეთის ჯარების დახმარებით[3] შედგომოდნენ ამიერკავკასიის ტერიტორიის მიტაცებას. ცხადია, ირან-რუსეთის ომის განახლებით ინგლისის მთავრობას, პირველ ყოვლისა, სურდა ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მოქმედი რუსი ჯარების შესუსტება და ამით თურქებისათვის კონტრშეტევაზე გადასვლის საშუალების მიცემა, —სწორედ ამას ჩასჩიჩინებდნენ თურქ ფაშებს ირანიდან ანატოლიაში შეპარული ინგლისელი აგენტები,—მაგრამ მათი ცდა სრული მარცხით დამთავრდა. რუსულმა ხიშტმა და ძლიერმა დიპლომატიამ საბოლოოდ ჩაფუშა შუა აღმოსავლეთში ანტირუსული კოალიციის შეკოწიწების გეგმა. პასკევიჩის კორპუსის წინსვლამ და ირანში გრიბოედოვის დიპლომატიური ნიჭის ძალამ, რომელიც ნ. ნ. მურავი-

---

[1] А. В. Фадеев. იქვე, გვ. 228; G. Evans de Lacy, The designs of Russia, London, 1828, გვ, 169—177.

[2] ამასთან დაკავშირებით რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი მალცოვი თავრიზიდან იტყობინებოდა, რომ „ინგლისელებს აქვთ ობსერვაციული კორდონი თავრიზიდან ბენდერ-ბუშირამდეო“ (Донесение тит. с. Мальцова гр. Паскевичу от 4-го июля 1829 года. «АКАК», т. VII. № 694, გვ. 702).

[3] ინგლისს სისტემატურად შეჰქონდა იარაღი („АКАК“, იქვე).

ოვის მართებული თქმისა არ იყოს „მარტო თავისი იქ ყოფნით ცვლიდა... 20 000-იან არმიას[1]“, შაჰის ხელისუფლება სულ სხვა გზაზე დააყენა.

თუ ინგლისის დიპლომატიური წარმომადგენლები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ იმისათვის, რომ ირანი რუსეთის წინააღმდეგ გამოეყენებინათ, პასკევიჩი და გრიბოედოვი ინგლისელთა ასეთი მოქმედების საპასუხოდ ცდილობდნენ შაჰის ყურადღება ერაყისაკენ მიეპყროთ და ამით ის ოსმალეთთან წაეჩხუბებინაო, ე. ი. რუსეთის მოკავშირედ გაეხადათ[2]. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რუსეთის სრულუფლებიანი ელჩის ა. ს. გრიბოედოვის აქტიური საქმიანობა. თვე-ნახევარი იჯდა იგი თავრიზში და მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების სრული გათვალისწინებით პრინც აბას-მირზას გულდასმით განუმარტავდა, რომ თანამედროვე პირობებში რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება, რასაც ინგლისელები დაჟინებით ურჩევდნენ შაჰს, ირანს კარგს არაფერს მოუტანდა, ხოლო თუ იგი (ე. ი. შაჰი) უკუაგდებდა ანტირუსულ პოლიტიკას, გონივრულად გამოიყენებდა რუსეთთან ბრძოლებით გამოწვეულ ოსმალეთის მძიმე მდგომარეობას და მოისურვებდა მის წინააღმდეგ ომის გამოცხადებას, ასეთ შემთხვევაში ირანი მოგებული დარჩებოდა. იგი, ჯერ ერთი, თავისუფლად შემოიერთებდა თავის ყოფილ ტერიტორიასა და (ამავე დროს) შიიტი მუსლიმანების სალოცავების ადგილსამყოფელ ქვეყანას—ერაყს; მეორე, ერაყიდან იოლად დაუკავშირდებოდა ნეჯდში ოსმალთა წინააღმდეგ მოქმედ ვაჰაბიტებს და მათი დახმარებით დაეუფლებოდა ჰიჯაზს—ყველა ქვეყნის მაჰმადიანთა წმინდა ქალაქების—მექა-მედინის მხარეს, და ბო-

[1] Н. Н. Муравьев, Записки («Русский архив», 1877, кн. I, გვ. 43). პასკევიჩის აზრით, მაშინ 15 000 რუსი ჯარისკაციც სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ შაჰს ხელი მოეწერა მისთვის ყველაზე არახელსაყრელ ზავზე („АКАК“, Т VII, გვ. 666).

[2] რუსეთის ამგვარი დიპლომატიური საქმიანობა ირანში რომ ნამდვილად ინგლისელების არაეთიწმობილური მოქმედების საპასუხოდ იყო მიმართული, გარკვევით ჩანს პასკევიჩის მიერ ნესელროდესადმი გაგზავნილ 1828 წლის 15 დეკემბრის № 90 ოფიციალური მიწერილობის ქაღალდში, სადაც ოსმალეთის წინააღმდეგ ირანის გამოყენების თაობაზე სხვათა შორის ნათქვამია:

„ამ მნიშვნელოვან საქმეში ღრმა ჩაკვირვება მარწმუნებს, რომ გადაწყვეტა საკითხისა—ხელსაყრელია ჩვენთვის თუ საზიანო სპარსეთის აქტიური მონაწილეობა ჩვენს ომში თურქეთის სულთნის წინააღმდეგ — დამოკიდებულია ევროპის სახელმწიფოებთან, კერძოდ კი ინგლისთან ჩვენს ურთიერთობაზე.

თუ ჩვენ შეგვიძლია მტკიცედ ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი წარმატებები თურქეთის წინააღმდეგ არ გააღვიძებენ სიძულვილს ჩვენდამი ლონდონის კაბინეტში და ინგლისი აშკარად არ შეუდგება ჩვენთან კავშირის გაწყვეტას თურქეთთან ომის მთელ მანძილზე, მაშინ აბას-მირზას ჩარევა ამ ომში არაფერი საჭიროა... მაგრამ თუკი დიდი ბრიტანეთის სამეფო კარის სულგრძელობაზე დაყრდნობა ჩვენ არ შეგვიძლია და... ეს სამეფო კარი მოისურვებს თურქეთში ჩვენს მოქმედებას სამხედრო პრეპონები დაუპირისპიროს, მაშინ აბას-მირზას ჩარევა თურქეთის წინააღმდეგ ომში არა მარტო სასარგებლოა, არამედ აუცილებელიც, რადგან მაშინ იგი ძალაუნებურად ჩვენი მოკავშირე იქნება და ინგლისელთა გაელენას გასაქანი აღარ მიეცემა“ (Отношение к гр. Нессельроде, от 15-го декабря 1828 года, № 90. «АКАК», т. VII, გვ. 666, № 643).

ლოს მესამე, იმის გამო, რომ ირანის მხრიდან უბრალო სამხედრო დემონსტრაციაც კი იძულებულს გახდიდა სულთანს თავისი შეიარაღებული ძალების გარკვეული ნაწილი აღმოსავლეთში დაესაქმებინა[1], რაც საგრძნობლად დააჩქარებდა რუსეთის ჯარების წინსვლას, როგორც კავკასიის, ისე ბალკანეთის ფრონტებზე—იმპერატორს ასეთი დახმარებისათვის შეეძლო შემცირება ან ვანვადება იმ გადასახდელი თანხისა[2], რომელიც ირანს უნდა მიეცა რუსეთისათვის თურქმენჩაის საზავო შეთანხმების მიხედვით, მაგრამ ფინანსებ.ს უქონლობის გამო ამის გადახდა ძალზე უჭირდა[3].

გრიბოედოვის ამგვარმა რჩევამ (იმპერატორის ფინანსურმა დაწოლამ) და კავკასიის ფრონტზე სულთნის ჯარების სრულმა წარუმატებლობამ გონს მოიყვანეს ირანის ხელისუფალნი. ფ ა თ-'ა ლ ი-შ ა ჰ მ ა და აბას-მირზამ, — დარწმუნებულმა იმაში, რომ კავკასიის მიწა-წყალს ისინი ნამდვილად ვეღარ დაიბრუნებდნენ,—უარი თქვეს ჯ ო ნ მ ა კ დ ო ნ ა ლ დ ი ს წინადადებაზე და რუსეთის წინააღმდეგ ომს ამ უკანასკნელთან სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობა ამჯობინეს[4]. ეს იყო ინგლისის მთავრობის ანტირუსული პოლიტიკის სერიოზული მარცხი ახლო აღმოსავლეთში და რუსეთის დიპლომატიის უდავოდ დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება[5]. ამ გამარჯვების მნიშვნელობა რუსეთი-

---

[1] ამასთან დაკავშირებით პასკევიჩი გრიბოედოვს პირდაპირ სწერდა: „მხედველობიდან არ გამოგრჩეთ არაფერი, რაც რუსეთს მოუტანს სარგებლობასა და დიდებას... არ იქნებოდა ურიგო თუ აბას-მირზა შეძლებს თუნდაც დემონსტრაციას ბაღდადზე და თვითონ შეაკავებს იქაურ საფაშოს ჯარებს, რათა არ მისცეს საშუალება სეკურსთა გაგზავნისა ჩვენი რაზმების წინააღმდეგ“ (Отношение гр. Паскевича с. с. Грибоедову от 5-го декабря 1828 года, № 84. «АКАК», т. VII, გვ. 163).

[2] თუ ჩვენი დამოკიდებულება ინგლისთან უიმედოა, მაშინ გთხოვთ ნებართვას მისი ამპერატორობის უმაღლესობისას მასზედ, რომ, თუ აბას-მირზა თურქეთის წინააღმდეგ მოქმედებას დაიწყებს შევპირდეთ მას: „a) ბაღდადის საფაშოს, ანდა ვანისა და მუშის გადაცემას სპარსეთის სარგებლობაში... c) ორი კურურის გადახდის განვადებას ორი ან სამი წლით“ (К гр. Несельроде от 15-го декабря 1828 года, № 90, «АКАК», т. VII, გვ. 666).

[3] ირანის ფინანსური მდგომარეობა იმდენად უნუგეშო იყო, რომ „აბას-მირზამ ბრძანა გადაეგდოთ ზოდებად ოქროს უშესანიშნავესი კანდელაბრი და პარამხანის სხვა ნივთები, რომელთა შესაქმნელად გაწეული შრომა იმდენივე ღირდა, რამდენიც თვითონ ლითონი“ (Александр Сергеевич Грибоедов, деятельность его как дипломата, «Русская старина». СПБ; 1874, т. XII, გვ. 755; М. С. И в а н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 145). იცოდა რა შაჰის ასეთი უმწეო ფინანსური მდგომარეობა იმპერატორი დაჟინებით მოითხოვდა კონტრიბუციის გადახდას, რათა ამით იძულებული გაეხადა ირანის მთავრობა მიეღო გრიბოედოვის წინადადება.

[4] Депеша Грибоедова к гр. Несельроде, от 23-го октября 1828 г. («АКАК», т. VII, გვ. 654, № 629); Отношение гр. Паскевича с. с. Грибоедову, от 5-го декабря 1828 года. № 84 («АКАК», т. VII, გვ. 163); Отношение к гр. Несельроде, от 15-го декабря 1828 года. № 90 («АКАК», т. VII, გვ. 666, № 643); Отношение гр. Несельроде к с. с. Грибоедову, от 18-го декабря 1828 года («АКАК», т. VII, გვ. 663).

[5] ამ გამარჯვებას გადაჰყვა გრიბოედოვი, დიდი ხნის მანძილზე არავინ იცოდა თეირანში 1829 წ. თებ. რუსეთის საელჩოზე თავდასხმის ნამდვილი მიზეზი. XIX საუკუნის მკვლევა-


სათვის მარტო იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ ამით თავიდან აიშორა ომის საფრთხე ირანის მხრიდან, არამედ იმაშიც, რომ ამის შედეგად ირანის სახით მან მოკავშირე შეიძინა და უშუალოდ ოსმალეთს დაუპირისპირა. აბას-მირზა უკვე თანახმა იყო ოსმალეთთან ომის დაწყებისა და იმ საბაბით, რომ სულთნის ხელისუფლება უხეშად არღვევდა ირანთან დადებულ ხელშეკრულებათა პირობებს (რაც სხვათა შორის, შიიტების დისკრიმინაციაში გამოიხატებოდა), რუსეთის მთავრობასთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ერაყის ტერიტორიაზე თავდასხმის სამზადისს შეუდგა.

ირანის მზადებამ ომისათვის თავისებური გამოხმაურება პოვა ერაყში. ფაშას პოლიტიკით უკმაყოფილო ადგილობრივი მოსახლეობის ჯგუფი (ჩანს ირანელთა ჩარევით) ცდილობდა შეთქმულება მოეწყო დაუდ-ფაშას ხელისუფლების დასამხობად და ირანთან ერაყის შესაერთებლად[1]. ასე რომ, 1828 წლის ბოლოსა და 1829 წლის დასაწყისში, ერაყი აშკარად იმყოფებოდა როგორც საგარეო, ისე საშინაო საშიშროების წინაშე. გარედან მას ირანი ემუქრებოდა, შიგნიდან კი—აჯანყება. ასეთ ვითარებაში დაუდ-ფაშას თავისი შეიარაღებული ძალები საკუთარი ხელისუფლებისა და საფაშოს დასაცავად სჭირდებოდა და ბუნებრივია, რომ იგი კავკასიის ფრონტზე ჯარის გაგზავნის ანდა, საერთოდ, რუსეთ-ოსმალეთის მიმდინარე ომში აქტიური მონაწილეობის მიღებას (ძალიანაც რომ მოენდომებინა მაინც) ვერ შეძლებდა. ამიტომ სულთანი მაჰმუდ II ბაღდადის ვალის ავგვარ საქციელში საეჭვოს ჯერ კიდევ მაინცდამაინც ვეღარაფერს ხედავდა. მის უარს ობიექტიური მიზეზებით ხსნიდა და რაიმე გადამჭრელი ღონისძიებების მიღებაზეც თავს იკავებდა. მაგრამ ასე გაგრძელდა მხოლოდ

---

რებს ეჭვი შეჰქონდათ, რომ ამ შავ საქმეში ევროპელების ხელი ერია (იხ. П. Ефремов. О смерти А. С. Грибоедова в Тегеране. «Русский вестник», 1872 г., № 7—8, გვ. 1495—1496). მაგრამ ამის დასაბუთება უჭირდათ. დღეს კი საბოლოოდ დადგენილია, რომ საელჩოს წარმომადგენელთა ფიზიკური მოსპობის ორგანიზატორები იყვნენ ინგლისის საელჩოს წარმომადგენლები (С. В. Шостакович, происхождение «реляции» о гибели Грибоедовской миссии. «Труды Иркутского гос. университета», М., 1956, т. XVI, вып. III. გვ. 158—159; მისივე, Дипломатическая деятельность А. С. Грибоедова. М., 1960; И. Ениколопов, Грибоедов и Восток, Ереван, 1954; В. Т. Пашуто, Дипломатическая деятельность А. С. Грибоедова, «Исторические записки АН СССР», вып. 24; Г. М. Петров, Новые материалы об убийстве А. С. Грибоедова. «Ученые записки института Востоковедения». М., 1953, т. VIII; გ. ს. ჯიბაშვილი, „ევრაგული მკელელობა“, გაზ. „კომუნისტი“, თბ. 1954, № 38.

[1] „სპარსეთის ტახტის მემკვიდრე... მზადაა გახსნას თურქეთის წინააღმდეგ უსიამოვნო მოქმედება, რომლის წარმატება უკვე მომზადებულია მისი კავშირით ქერბელის, მუნთაფიქის შეიხებთან და არაბული წარმოშობის (ნამდვილად უნდა იყოს „ტომების“—ბ. ს.) სხვა უფროსებთან; აგრეთვე ბაღდადის მცხოვრებთა მნიშვნელოვან რიცხვთან, რომლებიც მზად არიან ჩააბარონ აბას-მირზას ეს ქალაქი მთელი სამფლობელოთი“ (Отношение гр. Паскевича с. с. Грибоедову от 5-го декабря 1828 года, № 84. «АКАК», т. VII, გვ. 163; Грибоедов — гр. Несельроде от 20-го октября 1828 года; Депеша Грибоедова к гр. Несельроде, от 23-го октября 1828 года. «АКАК», т. VII, გვ 654).



დაუდ-ფაშა გასეირნების დროს

1829 წლის ბოლომდე, სანამ რუსეთ-ოსმალეთის ომი დამთავრდებოდა. შემდეგ მახლობელ და შუა აღმოსავლეთში ვითარება ისეთნაირად წარიმართა, რომ დაუდის ანტიოსმალური მოქმედება უკვე აშკარა გახდა და ამის შესაბამისად სულთნის დამოკიდებულებაც მის მიმართ მკვეთრად შეიცვალა. 1829 წელს კარგი არაფერი მოუტანია ოსმალეთისათვის. მან სრული მარცხი განიცადა რუსეთთან ომში, ხელი მოაწერა მისთვის დამამცირებელ ადრიანოპოლის ხელშეკრულებას და რუსეთის სასარგებლოდ იკისრა დიდძალი კონტრიბუციის გადახდა, რაც მძიმე ტვირთად დააწვა იმპერიის მოსახლეობის მშრომელ მასებს, გააჩანაგა ისინი და კიდევ უფრო დაასუსტა სახელმწიფო.

ეს წელი მეტად არახელსაყრელი გამოდგა აგრეთვე ირანისთვისაც. მკვეთრად გაუარესდა მისი საშინაო მდგომარეობა. ქვეყანა საერთო მღელვარებამ მოიცვა. ინგლისელთა პროვოკაციული მოქმედების შედეგად ხორასანის[1], ქერ-

[1] ირანის აღმოსაელეთ ნაწილში, განსაკუთრებით კი — ხორასანში, აჯანყების გაჩაღებით ინგლისელებს უნდოდათ: თვითონ გაბატონებულიყვნენ და გადაექციათ ეს ადგილი შუა აზიის რუსულ სამფლობელოებზე თავდასასხმელ პლაცდარმად; არ დაეშვათ შაჰის ხელისუფლების გავრცელება ჰერათზე, იმ ადგილზე, რომელიც ჩამკეტი პუნქტი იყო ჩრდილო-დასავლეთიდან ინდოეთისაკენ მიმავალ გზაზე და ძლიერი სახელმწიფოების ხელში შეიძლებოდა გამხდარიყო „საკამანდო პუნქტად როგორც ირანისა და თურქესტანის მიმართ, ისე სპარსეთისა და იმიერ-დარიინის მიწების მიმართაც (К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., М., 1933, т. XI, ч. გვ. 134).

მანისა და იეზდის ხანები (თავადები) შაჰის პოლიტიკის წინააღმდეგ წამოიშალნენ. მათ ბრძოლას მხარს უჭერდნენ თეირანის ფეოდალებიც, რომლებიც ყაჯართა ბატონობის დასამხობად უკვე შეთქმულებას ამზადებდნენ.

მაგრამ სულ სხვანაირი იყო 1829 წელი ერაყის და მისი გამგებლისათვის. ირანის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესება ხელსაყრელი აღმოჩნდა დაუდ-ფაშასათვის. ქვეყნის შიგნით მიმდინარე აჯანყებების ჩასაქრობად დასაქმებულ აბას-მირზას და მის არმიას, უკვე ერაყის დასაპყრობად აღარ ეცალათ და ამის გამო მოიხსნა ის საფრთხე, რომელიც ამ უკანასკნელს აქამდე აღმოსავლეთიდან ემუქრებოდა. ამავე დროს, რაკი აბას-მირზას დაპყრობითი ომის წარმოება აღარ შეეძლო, ამან ლახვარი ჩასცა იმ ოპოზიციას, რომელსაც გარედან დახმარების იმედით ფაშას ხელისუფლების დამხობა და ერაყში სპარსელთა გაბატონება გადაეწყვიტა. გარედან დახმარებით იმედგაცრუებული შეთქმულთა ჯგუფის საქმიანობა დასაწყისშივე იქნა ლიკვიდირებული და ამის შედეგად დაუდმა თავის სახელოში სრული სიწყნარე აღადგინა.

ამრიგად, დაუდ-ფაშამ თავი დააღწია როგორც საგარეო, ისე საშინაო სიძნელეებს და არა თუ შეინარჩუნა თავისი ძალაუფლება ერაყზე, არამედ კიდევ უფრო განამტკიცა იგი და ამით გზა გაიხსნა დამოუკიდებლობისაკენ.

## დაუდ-ფაშას სეპარატისტული ტენდენციის გამოაშკარავება და სულთნის ღონისძიება მის მიმართ

### ა) სადია ეფენდის მისია ბაღდადში და მისი მარცხი

1829 წელს, გვიან შემოდგომაზე, როცა რუსეთ-ოსმალეთის ომი უკვე დასრულებული იყო და ერაყის გამგებელსაც თავისი საშინაო და საგარეო საქმეები მოგვარებული ჰქონდა, ბაღდადში სულთნის ოფიციალური ქაღალდი მოვიდა. ფაშას სტამბოლიდან მოაგონებდნენ, რომ დაუყოვნებლივ გადაეხადა სულთნისათვის მისაცემი რამდენიმე წლის გადასახადი, რომელიც ვალად ირიცხებოდა მასზე და იმედოვნებდნენ, რომ ვინაიდან საფაშოში უკვე ნორმალური მდგომარეობა სუფევდა, ახლა მაინც აღარ ექნებოდა ადგილი ვალის დროზე გადაუხდელობის შემთხვევას. მაგრამ დაუდი, რომელიც მაშინ „ეკონომიური და სამხედრო თვალსაზრისით"[1] მუჰამედ ალი ეგვიპტელის შემდეგ ყველაზე ძლიერად გრძნობდა თავს და, როგორც ამბის მომსწრე ბ. ფ რ ე ზ ე რ ი აღნიშნავს,- „შეეძლო აბუჩად აგდება ყოველი შეიარაღებული ძალისა, რომლის გაგზავნასაც მის წინააღმდეგ სულთანი გადაწყვეტდა[2], თავის ძველ პოლიტიკას არ ღალატობდა. იგი კვლავ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზას ადგა და, რაკი ახლა იძპერია უღონოდ ეგულებოდა, აღარ დააყოვნა, თავისი ადრინდელი ოცნება სინამდვილედ აქცია. მან ერაყი ოსმალეთისგან თავისუფალ „ბედნიერი ბაბილოვა-

[1] Новая история стран зарубежного Востока, Л., 1959 გვ. 240.

[2] J. Baillie Fraser, Travels in Koordistan... London, 1840, Vol, I, გვ. 234.

ნის“ სამეფოდ[1] გამოაცხადა, ხოლო თავისი თავი ამ სამეფოს დამოუკიდებელ „ხელმწიფედ“[2] და 1830 წელს სულთან მაჰმუდ მეორეს პასუხად აუწყა, რომ ამიერიდან კატეგორიულ უარს ამბობს როგორც ვალის გადახდაზე[3], ისე მის ხელქვეითობაზე საერთოდ[4].

ბაღდადის ფაშას განდგომის ამბავი სტამბოლს მხოლოდ 1830 წლის ბოლოს შეიტყვეს და ამ ფაქტს სულთნის დივანში მაშინვე ცენტრალური ხელისუფლებისათვის სასურველი კვალიფიკაცია მისცეს. დაუდი გაბედული მოქმედებისათვის ურჩად გამოაცხადეს, თანამდებობიდანაც გადააყენეს და ამ ღონისძიების გასატარებლად ბაღდადში, დეკემბრის თვეში[5], დავთარდარი სადიკ ეფენდი მიავლინეს[6].

დივანის ეს გადაწყვეტილება ბაღდადის ფაშამ თავისი აგენტების მეშვეობით სტამბოლიდან სადიკ-ეფენდის გამომგზავრებამდე კარგა ხნით ადრე შეიტყო. მიუხედავად ამისა, იგი (რა თქმა უნდა, გარკვეული მოსაზრებით) თავს ისე იჭერდა, თითქოს ამის შესახებ სრულიად არაფერი იცოდა და საპატიო სტუმარს ისეთი შეხვედრა მოუწყო, როგორც ამას ოსმალეთში არსებული მიღების სპეციალური წესი ითვალისწინებდა. იმპერიის დედაქალაქიდან გამოსულ სულთნის საგანგებო კომისარს სოფელ ტუზ-კურმატში, რაც ბაღდადიდან მხედრისათვის 40 საათის სავალი მანძილითაა დაშორებული, თავისი მაღალი ჩინის მოხელე, მასრუფ მუჰამედი აახლა. თან საგანგებოდ მისთვის მორთულ-მოწყობილი ოთხცხენშებმული ძვირფასი ეტლი გაუგზავნა და სტუმარი რომ უფრო კმაყოფილი დარჩენილიყო, საჩუქრებიც ბლომად მიართვა. მაგრამ სადიკ-ეფენდიმ დიპლომატიური მოუქნელობის გამო, თუ იმიტომ, რომ მასზე

---

[1] ასე მოიხსენიებდა ერაყს დაუდ-ფაშა ჯერ კიდევ 1821 წელს თავის დედისადმი გაგზავნილ წერილში, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

[2] 1830 წელს ბაღდადში მყოფი ფრანგი მოგზაური ოშე ლუა ამის გამო ამბობს, რომ დაუდს „თავისი თავი მეფედ მოჰქონდაო“ და უცხოელების მიღებისას მისი მშვენიერი თვალტანადობითაც მეფეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბატონსაო“ (A u c h e r—E' l o y, Relations de Voyages en Orient 1830 a 1838, Paris, parte I, გვ. 326).

[3] А. А д а м о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 422; Новая история стран зарубежного Востока, Л., 1959, გვ. 240.

[4] Д. Г. Р о з е н, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

[5] იქვე.

[6] რუსი მკვლევარები ამ ამბავს რამდენადმე სხვანაირად გადმოსცემენ. დ. გ. რ ო ზ ე ნ ი ს აზრით, სადიკ ეფენდი ბაღდადში იმისათვის უნდა გაეგზავნათ, „რომ აეძულებინა ქაჯური ნაცვალი, დაუდ-ფაშა, გადაეხადა ნარჩენი გადასახადი“ (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 152). დაახლოებით ამასვე იმეორებენ ნ. ნ. მ უ რ ა ვ ი ო ვ ი (იხ. მისი „Турция и Египет, М., 1869, ტ. 1, გვ. 42) და ა. ა დ ა მ ო ვ ი (იხ. მისი დასახ. ნაშრომი გვ. 422). მაგრამ როგორც ევროპელ და არაბ ისტორიკოსთა ნაშრომებიდან ვგებულობთ, სადიკ ეფენდის მისიას გადასახადის აკრეფა კი არ შეადგენდა, არამედ „ერაყის პროვინციის რეორგანიზაცია, რეფორმა“ (Cl. H u a r t, Histoire de Bagdad. გვ. 176) და ამ მიზნის მისაღწევად დაუდის გადაყენება, მისი თავიდან მოშორება (ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 304—305).

დაკისრებული მისია მოითხოვდა მისგან ასეთ მოქცევას, არაფერს ანგარიში არ გაუწია. ფაშას სტუმართმოყვარეობას მადლობის მაგიერ, თავაზიანობის ნორმების უხეში დარღვევით უპასუხა. ჯერ იყო და მასრუფ მუჰამედის თავმოყვარეობა შეურაცხყო (გულცივად მიიღო, არ შესთავაზა მის გვერდით დამჯდარიყო და მთელი შეხვედრის განმავლობაში ფეხზე ამყოფა), მერე კი ეს არ იკმარა და პორტას მოხელეთათვის ბაღდადში შესვლისა და ფაშასთან გამოცხადების დადგენილი წესებიც აღარ შეასრულა.

ბაღდადში წესად იყო მიღებული, რომ სულთნისაგან მოვლენილ მოხელეს, პატარას თუ დიდს, პირველი ღამე საფაშოს დედაქალაქიდან ნახევარი საათის სავალი მანძილით მოცილებულ ალ-'აზამიეს ციხე-სიმაგრეში (სადაც დიდი იმამი აბუ-ხანიფა განისვენებს, უნდა გაეთია. ამის შემდეგ, მას შეეძლო შესულიყო ქალაქში და წარსდგომოდა ფაშას, რომელიც თავის მხრივ ვალდებული იყო წინასწარ შეერჩია მისთვის სათანადო რეზიდენცია.

ეს წესი „ჰამადანის დამპყრობელ ჰასან ფაშას დროს იქნა შემოღებული“[1] და სადიკ-ეფენდის მეტს მისი შეუსრულებლობა არავის უცდია. მხოლოდ მან ისურვა საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე დამკვიდრებული ამ ტრადიციის პირველად დარღვევა და ალ-'აზამიეში მისვლისთანავე პირდაპირ ქალაქში შესვლა მოითხოვა.

მიუხედავად იმისა, რომ დავთარდარის უცნაური მოქცევა ყველას აცვიფრებდა, უარი მაინც არავის უთქვამს, სურვილი შეუსრულეს და ბაღდადისაკენ გაუძღვნენ.

ქალაქში ამ დროს მის შესახვედრად საზეიმო სამზადისი მიმდინარეობდა. იმამ 'აზამიეს კარებიდან (რომლითაც უცხოელებს ღებულობენ ბაღდადში) დაწყებული ფაშას სასახლემდე, ქუჩის ორივე მხარეს, რეგულარული ჯარის ქვეითი ათასეული საპატიო ყარაულში იდგა, ხოლო თვით სასახლეში დაუდი იყო და „ბაბი 'ალის“ (მაღალი პორტას) წარმომადგენელს ელოდებოდა. მაგრამ სადიკ-ეფენდი გასცდა თუ არა ქალაქში შესასვლელ ალაყაფის კარებს, მაშინვე მისთვის განკუთვნილი ბინისაკენ გაემართა. ფაშასთან შეხვედრა კი მეორე დღისათვის გადადო[2].

ეს იყო პარასკევს. მეორე დღეს, შაბათს, როცა სადიკ-ეფენდიმ ვიზიტი გაუკეთა ფაშას, ყველაფერი ისეთნაირად იყო მოწყობილი, როგორც პირველ დღეს. არაფერი იყო დავიწყებული, რაც მიღების არსებულ წესებს შეეხებოდა, ოღონდ დაუდმა ფეხზე წამოდგომა და სულთნის საგანგებო კომისრისადმი მისალმება დააგვიანა, რითაც სტუმრის თავხედური მოქმედების გამო[3] თავისი გულისწყრომა გამოხატა.

---

[1] ალ-'აზზაუი, დასახ. ნაშრომი, გვ. 304.

[2] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 176—177.

[3] როგორც ცნობილია, სამეფო კარის დიპლომატიური ეთიკეტი (ქცევის ზუსტად დადგენილი წესები) მრავალი ნიშანდობლივი დეტალისაგან შედგება. თითოეული მათგანი სხვადასხვა

სადიკ-ეფენდი მაშინვე მიხვდა რაშიც იყო საქმე და, მდგომარეობა რომ მეტისმეტად არ გართულებულიყო, სიტყვა აღარ დასცდენია იმის შესახებ, თუ რა მიზანს ისახავდა ბაღდადში მისი მოსვლა. აღარც ფაშას უკითხავს მისთვის ეს და ამრიგად, პირველი შეხვედრა ისე დაამთავრეს, რომ ჩვეულებრივი მისალმებითი ფორმულების მეტი ერთმანეთისადმი არაფერი უთქვამთ.

მორიგი შეხვედრა, მეორე დღეს, კვირას იყო დანიშნული სადიკ-ეფენდის ბინაზე, მაგრამ, ვინაიდან მან პირველი შეხვედრის დროს თავისი მისიის მიზანი დამალა, ეს იმას ნიშნავდა, რომ კეთილი ზრახვებით არ უნდა ყოფილიყო მოსული. ამიტომაც დაუდმა თავი შეიკავა საპასუხო ვიზიტზე და ეს შეხვედრა სულ აღარ შემდგარა.

მესამე დღეს, ორშაბათს, მის შემდეგ, რაც მეორე შეხვედრა ჩაიშალა, სადიკ-ეფენდი იძულებული იყო კვლავ სწვეოდა ფაშას სასახლეში და „მივიდა თუ არა, მაშინვე აცნობა, რომ გადაყენებულია“. ამასთან, ისიც „უთხრა, რომ იგი მოსულია იმპერიის სახელით“ და მტკიცედ მოითხოვს საფაშო ხელისუფლების სათავეში დაშვებას[1].

დაუდმა ყურადღებით მოუსმინა სულთნის წარმომადგენელს და ბოლოს, ხანმოკლე დუმილის შემდეგ, მიუგო, რომ იგი იმპერიას აღარ ეკუთვნის და თავის „სამეფოს“ (მამლაქათ) ხელყოფის უფლებას არავის მისცემს.

ფაშას ამგვარი პასუხი სადიკ-ეფენდის ინტერესებს არ შეესაბამებოდა. ამიტომ მან დიალოგი გამართა მასთან, რათა აზრი შეეცვლევინებინა, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ დაუდი ძალაუფლების დატოვებას ნებით არ აპირებდა,—ხოლო ძალა მის გადასაყენებლად არ შესწევდა,—დატოვა სასახლე და მიზნის მისაღწევად, ე. ი. ფაშას თავიდან მოსაცილებლად და ერაყის ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, ტერორის გამოყენება სცადა. რეზიდენციაში დაბრუნებისთანავე იხმო სულეიმან-აღა ამირახორი (ტომით ქართველი) და უამბო რა იმ ინ-

---

შემთხვევაში სხვადასხვა აზრს გამოხატავს. ამიტომ იმის მიხედვით თუ ცერემონიალის დროს რა როდის და რანაირად სრულდება, ირკვევა შეხვედრის ან მოლაპარაკების მონაწილეთა (ხოლო მათი საჰით სახელმწიფოთა) შორის დამოკიდებულება. ერთ-ერთ ასეთ ნიშანდობლივ დეტალს, რომლითაც მისალმების დროს ზუსტად ირკვეოდა შეხვედრის მონაწილე მხარეთა ურთიერთდამოკიდებულება ოსმალეთში, წარმოადგენდა ფეხზე ადგომის წესი. იგი ყოველთვის ერთნაირად არ სრულდებოდა. მაგალითად, ბაღდადის ფაშა, თუ ვიზიტორს თავის თაგზე მაღლა აყენებდა მოწიწების ნიშნად მისაღები დარბაზის ზღურბლზე ეგებებოდა; თუ მას თავის ტოლად მიიჩნევდა—ფეხზე მხოლოდ მაშინ ადგებოდა, როდესაც სტუმარი კარში შემოვიდოდა, ხოლო თუ ეს უკანასკნელი რაიმე მიზეზის გამო არ იმსახურებდა სათანადო პატივისცემას, ფაშა წამოდგომას დააგვიანებდა ხოლმე. ასეთივე წესით ხდებოდა გაცილებაც. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ფაშა არც ფეხზე ადგებოდა, არც ჩაითა და ყალიონით გაუმასპინძლდებოდა სტუმარს და არც გააცილებდა მას. ასეთ შემთხვევაში სტუმრის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

[1] ა ლ-'ა ზ ზ ა ე ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 304.

ციდენტის შესახებ, რომელიც სასახლეში მოუვიდა, — უთხრა: „თუ ვაზირს მოკლავ, ბაღდადის საკაზირო შენი იქნებაო“[1].

სულეიმანი—დაუდის მიერ შეძენილ-აღზრდილ-დაწინაურებული ქულემენი, მეტად კეთილი ადამიანი იყო. თავისი მამაცური მოქმედებით არაერთხელ დაუმტკიცებია აღმზრდელისათვის ერთგულება და ახლაც შორს იყო იმ აზრისაგან, რომ ეღალატნა. მას სადიკ-ეფენდის სიტყვები არ მოეწონა. მიუხედავად ამისა, იგი უკმაყოფილებას მაინც არ იმჩნევდა და დავთარდარს თავს იპე აჩვენებდა თითქოს მარტო მისი წინადადების შესრულებაზეღა ფიქრობდა. დაძვიდობებისას სადიკი საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, თითქოს ის ამხანაგებთან სათათბიროდ და ფაშას დაღუპვის გეგმის შესამუშავებლად მიდიოდა. ნამდვილად კი იგი დაუდთან მიიჩქაროდა და მივიდა თუ არა, მაშინვე უამბო, რაც სულთნის საგანგებო კომისრისაგან მოისმინა[2].

დაუდს ჯერ ამირახორთან საუბარი არ ჰქონდა დამთავრებული, რომ უკვე მეორე მაღალი ჩინის მოხელე, წინასწარმეტყველის მემკვიდრეთა უფროსის მოადგილე, სა'იდ აბდ არ-რაზზაკი ეახლა და ხელის ცახცახით ქაღალდი მიართვა. ქაღალდი სადიკ-ეფენდის მიერ აბდ არ-რაზზაკისადმი გაგზავნილი წერილი იყო. სულთნის დავთარდარი ადრესატს აცნობებდა ვაზირის მოხსნის, სასიკვდილო ფირმანის გამოცემის შესახებ და ითხოვდა მისგან დახმარებას[3], ე. ი. ფაშას მკვლელობაში მონაწილეობის მიღებას.

ამ გარემოებამ დაუდი სერიოზულად დააფიქრა. როგორც ალ-'აზზავი ამბობს, ის „ფიქრების ზღვაში ჩაიძირა“[4]. იმისათვის უკვე აშკარა გახდა სადიკ-ეფენდის გამალებული ძირგამომთხრელი საქმიანობა და გადაწყვიტა მის წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღება. ამისათვის იხმო სულეიმან-აღა, მუჰამედ მასრუფი, ბაღდადის ზარაფთა არტელის უფროსი (წარმოშობით ებრაელი) ისააკი და სთხოვა გამოეთქვათ მოსაზრებანი, როგორ აეცდინა თავიდან კარს მომდგარი საშიშროება.

სულეიმან-აღას აზრით, ხსნის ერთადერთი საშუალება სადიკ-ეფენდის ფიზიკური განადგურება შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს მუჰამედ მასრუფმა და ისააკ ზარაფმა. ისინიც, როგორც სულეიმანი, იმას ამბობდნენ, რომ სანამ სადიკი ცოცხალი იქნება, ყოველი ჩვენგანის სიცოცხლეს მუდამ საფრთხე მოელის: იგი ააჯანყებს ხალხს, გააღვივებს უწესრიგობას და ვინ იცის, რამდენი სისხლი დაიღვრება, თუ ამ საქმეს დროზე არ მივხედეთ. ამიტომ უმჯობესია მისი ფიზიკურად მოსპობაო, რასაც პირადად მუჰამედ მასრუფ-ეფენდი თავობდა. ეს უკანასკნელი, რომელსაც სადიკ-ეფენდისადმი შურისძიების ბოღმა ახრჩობდა, მისგან მიყენებული შეურაცხყოფის

---

[1] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 304—305.

[2] Cl. Huart, დასახ. ნაშრ. გვ. 177—178.

[3] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 305.

[4] იქვე.

გამო, ფაშას ეუბნებოდა: „მეუფეო! მე მაინც მკვდარი ვარ. ამიტომ იმას მაინც მოვკლავ, ვინც ჩემი დაღუპვის პირველ მიზეზს წარმოადგენს და შემდეგ კი ხალისით შეგწირავთ თქვენ ჩემს საკუთარ თავსაო“[1]. დაუდ-ფაშა თავიდან წინააღმდეგი იყო დავთარდარის სიკვდილით დასჯისა და მრჩევლებს მოუწოდებდა შეეცვალათ მოსაზრება, მაგრამ, როცა უპასუხეს, რომ სხვა მოსაზრება არ აქვთ, ისიც დაეთანხმა[2].

ამრიგად, გადაწყდა, რომ სადიკ-ეფენდი უნდა მოეკლათ. შემუშავებულ იქნა მკვლელობის გეგმაც, რომლის მიხედვით 1830 წ. 29 ოქტომბერს, დილაადრიან, რეგულარული ჯარის ერთი კაპიტანი და ლეიტენანტი, რომლებსაც ვითომ რაღაც სერიოზული დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი ნაწილში და მკაცრ სასჯელს ელოდნენ, სადიკ-ეფენდის ეწვევიან და თავშესაფარი სთხოვეს. სადიკმა, რომელმაც არ იცოდა მათი მისვლის ნამდვილი მიზეზი, ფართოდ გაუღო კარები და ის იყო მფარველობა აღუთქვა, რომ ამ დროს გამოქცეულთა წასაყვანად (დასაპატიმრებლად) გამოცხადდნენ შედარებით უფრო მაღალი რანგის ოფიცრები. იცნობდნენ რა სადიკ-ეფენდის პირად თვისებებს, აგრეთვე მისი მისიის მიზანს, ისინი ელოდნენ, რომ პატივმოყვარეობითა და ზედმეტი თავმოყვარეობით გამოწვეული გადაჭარბებული სიამაყის გრძნობების გამო უარს იტყოდა თავშეფარებულების წასაყვანად მოსულთა მოთხოვნის შესრულებაზე, რითაც საბაბს მისცემდა მათ გამოეყენებინათ ძალა, შეჭრილიყვნენ მის რეზიდენციაში, დაეწყოთ ჩხრეკა-ძიება, ხმაური, მოთმინებიდან გამოეყვანათ სულთნის საგანგებო კომისარი, მოეკლათ იგი ამ აურზაურის დროს და სისრულეში მოეყვანათ თავიანთი წინასწარდასახულება.

როგორც ვხედავთ, სადიკ-ეფენდის მკვლელობის ეს გეგმა საკმაოდ ორიგინალური ჩანაფიქრი იყო. ის ისეთნაირად შეედგინათ, რომ მასში მოცემული მკვლელობის გამართლების ერთგვარი შესაძლებლობა ჩანდა, მართლაც, თუ ყოველივე ისე მოხდებოდა, როგორც მასში იყო გათვალისწინებული, ძაშინ შეთქმულების მონაწილეებს შეეძლოთ სულთნისათვის ეცნობებინათ, რომ მისი წარმომადგენლის მკვლელობა მოხდა სრულიად შემთხვევით, დაზარალებულის მიზეზით და არა წინასწარი განზრახვით.

მაგრამ შეთქმულთა მოლოდინი არ გამართლდა. მათი მოთხოვნა, თავშეფარებულ „დეზერტირთა“ დაბრუნებას რომ შეეხებოდა, სადიკ-ეფენდიმ უყოყმანოდ დააკმაყოფილა და ამით ყველაფერი ჩაიშალა. ისინი იძულებული გახდნენ ყველაფერი თავიდან დაეწყოთ და თავდასხმის ახალი გეგმა შეემუშავებინათ, რისთვისაც უკვე დიდი დრო აღარ დაუხარჯავთ. როგორც სულთნის დივანის ბაღდადელი წარმომადგენელი მუჰამედ ამინ აზ-ზანდ-ალ-ბაღდადი გადმოგვცემს, იმავ საღამოს, რა დღესაც პირველი თავდასხმა ჩაიფუშა, სადიკ-ეფენდის ბინას, სადაც უკვე იმ დროს სადიკთან ერთად ოთახში შეთქმუ-

[1] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

[2] იქვე.

ლების მეთაურები სულეიმან-აღა ამირახორი და მუჰამედ მასრუფი (სულთნის წარმომადგენელს თავის ერთგულ ადამიანებად რომ მიაჩნდა) იყვნენ, გარს შემოერტყა რეგულარული არმიის შეომრების რაზმი, რომელთაგან ორნი რამადან-აღა ჩოკდარი (ფაშას სასახლის ზედამხედველი, უფროსი) და სულეიმან-აღას ერთ-ერთი მსახური ხალედ-ეფენდი თანახმად წინასწარმიღებული ინსტრუქციისა დაუყოვნებლივ შეიპრნენ სახლში, კარებზე დააყენეს თავიანთი გუშაგები, მივიდნენ სადიკთან და აუწყეს სრულად ყოველივე, რისთვისაც იყვნენ მოსულნი[1]. შეშინებული სადიკი დიდხანს ესაუბრა მათ და როცა დარწმუნდა, რომ ისინი ნამდვილად მის მოსაკლავად იყვნენ მოსულნი, იძულებული გახდა ეღიარებინა თავისი შეცდომა და „შეწყალება ითხოვა“. იგი პირობას იძლეოდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რასაც მოისურვებდნენ, ოღონდ მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ[2] და ფაშასთან ერთხელ შეხვედრის საშუალება მაინც მიეცათ, რათა თავის მდგომარეობა მოეხსენებინა. მაგრამ ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა. მას უთხრეს: „საჭირო იყო, ამაზე ადრე გეფიქრათ“, ახლა უკვე გვიანღა არისო. ეს ითქვა თუ არა, „ხალედ-ეფეხდიმ მაშინვე ხმალი იშიშვლა და სადიკ-ეფენდი იქვე განგმირა“[3].

გადაცმული დაუდ-ფაშა თავის მსახურთა ჯგუფის თანხლებით ამ დროს იმამ აზამის ჭიშკართან იდგა და როცა მოახსენეს, რომ თავდასხმა სრული წარმატებით დაგვირგვინდა, მაშინვე შემთხვევის ადგილისაკენ გაემართა. იგი პირდაპირ იმ ოთახში შევიდა, სადაც მსხვერპლი ეგულებოდა; მივიდა სადიკის გვამთან, ჯიბიდან ამოიღო ცხვირსახოცი, დააფარა პირზე და, როდესაც დარწმუნდა, რომ ნამდვილად ცოცხალი აღარ იყო[4], ბრძანა: სასწრაფოდ დაეკრძალათ იქვე, იმავე

---

[1] ალ-ʿაზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 306; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 263; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 179—180.

[2] ასე გადმოგვცემს ამ ამბავს თურქული წყარო تاريخ الكولات, საიდანაც ვრცელი აღგილი მოაქვს ამბას ალ-ʿაზზავის დასახელებულ ნაშრომში (გვ. 306). ასეთნაირადვე მოგვითხრობენ მის შესახებ ოშე-ლუა (იხ. მისი დასახელებული ნაშრომი, გვ. 327 და შემდეგ), ჯ. ბ. ფრეზერი (იხ. მისი „Travels in Koordistan and Mesopotamia“. 1840, ტ. II, გვ. 260), კლ. უარი (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 180) და ს. ჰ. ლონგრიგი (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 264). მაგრამ იმ დროს ბასრაში მყოფი ინგლისელ ჟურნალისტ ჯ. ჰ. სტოქუელერის გადმოცემით, სადიკ-ეფენდის არც დანაშაული უღიარებია და არც მისი პატიება უთხოვია. მისი აზრით, ეს დაუდ-ფაშას უნდა მოეგონებინოს შემდეგ იმ მიზნით, რომ ტეილორი (ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის რეზიდენტი ბაღდადში) დაერწმუნებინა სადიკ-ეფენდის „აგრესიულ მოქმედებაში“ და თავის სამართლიანობაში (J. H. Stoqueler, Fifteen month's piligrimage through untrodden parts of Khuzistan and Persia, London, 1832, გვ. 51).

[3] ალ-ʿაზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 306. იგივე ფაქტს ს. ჰ. ლონგრიგი რამდენადმე სხვანაირად გადმოგვცემს. მისი აზრით, ხალედ-ეფენდის დავთარდარი სადიკ-ეფენდი ხმლით კი არა, ხმლის საკიდი თასმით მოუხრჩვია (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 264). ამასვე ამბობენ ოშე-ლუა (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 325) და კლ. უარი (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 180). ჩვენი დაკვირვებით ლონგრიგის მიერ მოცემული ცნობა უფრო ზუსტი ჩანს.

[4] სადიკ-ეფენდი რომ ნამდვილად ხმლით მოეკლათ, მაშინ ასეთი შემოწმების ჩატარება, რა თქმა უნდა, საჭირო აღარ იქნებოდა.

შენობის წინ, „საბუნიის“ (ანუ „საბუნჯიის“—მესაპნეთა) ბორცვის ძირში[1]. ასე დასრულდა სიცოცხლე იმ ადამიანისა, რომელსაც თავისი ბედნიერება სხვისი უბედურებით უნდა აეგო და აღარ აგონდებოდა ხალხური სიბრძნე, რომ „კაცის მკვლელი კაცის ხელითვე უნდა დაიღუპოს“[2].

სადიკ-ეფენდის დაღუპვა და მისი მისიის ჩაშლა ოსმალეთის იმპერიის ცენტრალური მთავრობის საშინაო პოლიტიკის მორიგი მარცხი იყო, რადგან ერაყის ადგილობრივი მმართველობის აპარატში ცვლილებების შეტანით, დაუდ-ფაშას გადაყენებითა და მოცილებით, რაც სადიკს ჰქონდა დაკისრებული, სულთან მაჰმუდ II ფაქტიურად ქართველ მამლუქთა ბატონობის დამხობა სურდა. ამიტომ ცხადია, ეს ამბავი (ამბავი სადიკის მკვლელობისა) მშვიდად არ ჩაივლიდა და ბაღდადის ფაშასაც მოწინააღმდეგის პასუხის გასაცემად, როგორც იტყვიან ხოლმე. საპირისწამლე (ფალია) მუდამ მშრალად ჰქონდა. ბაგრამ მას სურდა დაძაბულობა როგორმე შეენელებინა და გადაწყვიტა სულთნისათვის საქმე ისეთნაირად წარედგინა, თითქოს სადიკ-ეფენდი ავადმყოფობამ შეიწირა. ამისათვის, შეთქმულების ყველა მონაწილე გააფრთხილა ღრმა საიდუმლოდ შეენახათ ის, რაც მოხდა და ეთქვათ, რომ სულთნის საგანგებო კომისარი ავადმყოფობს. ამასთან, სადიკის ავადმყოფობა რომ საეჭვო არავისთვის ყოფილიყო დაუდმა საქმეში უცხოელები ჩარია. იტალიელ ექიმს ანტონაკის დავალება მისცა ყოველდღე ევლო რეზიდენტის ბინაზე[3], თითქოს ავადმყოფს მკურნალობდა[4]; ინგლისის ოსტ-ინდოეთის რეზიდენტს ბაღდადში პოლკოვნიკ ტეილორს სთხოვა ბრიტანეთის ელჩისათვის სტამბოლში შეეტყობინებინა, რომ მას მოლაპარაკება გაეშართა სულთანთან ფაშას ინტერესების დასაცავად[5]. ასეთივე მითითება მისცა მან აგრეთვე თავის წარმომადგენელს „ბაბი-'ალის“ საშეფო კარზე 'ალი ნაჯიბ-ბეგს (რომელიც შემდეგ სამხედრო მინისტრი გახდა და 'ალი ნაჯიბ-ფაშად იწოდებოდა[6]), ხოლო თვითონ როდესაც ყოველივე ამას მორჩა, სტამბოლს აცნობა: „კაპუჯი შავმა ჭირმა იმსხვერპლაო“[7].

დაუდის თანამოსაქმენი, ვინც საქმის ნამდვილ ვითარებას იცნობდნენ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ფაშას სიტყვებს სტამბოლში ჰეშმარიტებად მიიჩნევდნენ და ამით შეთქმულების მონაწილენი დაუსჯელნი გადარჩებოდნენ. ასე ეგონა ეს კაპი ქაჰიას (ფაშას წარმომადგენელი იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებაში) 'ალი ნაჯიბ-ბეგსაც. ფაშასადმი გაგზავნილ საიდუმლო წერილში (სადაც სიტყვებში ასოები განგებ იყო გადაადგილებული, რომ იგი სხვას ვერავის წაეკითხა) იგი იტყობინებოდა, რომ სტამბოლმა შეიწყალა ფაშა, დატოვა

[1] ა ლ-'ა ზ ზ ა ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 305.

[2] მისიის დანარჩენი წევრები დილეგში ჩასვეს.

[3] ა ლ-'ა ზ ზ ა ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 305.

[4] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 181; ალ-'აზზავი, იქვე.

[5] Aucher-E'loy, დასახ. ნაშრომი, გვ. 327; ალ-'აზზავი, იქვე, გვ. 308.

[6] ა ლ-'ა ზ ზ ა ვ ი, იქვე, გვ. 307.

[7] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

იგი თანამდებობაზე და ამიტომ საჭიროა შეწყვიტოს ჯარების გადაადგილება, თავი დაანებოს თავდაცვითი ხასიათის ღონისძიებების გატარებას და ამის ნაცვლად სულთანს გამოუგზავნოს საჩუქრად რამდენიმე არაბული ბედაური[1].

ამ წერილმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ბაღდადის საფაშო ხელისუფლებზე, რომ ფაშასაც და მის თანამზრახველებსაც თავი უკვე სამშვიდობოს ეგონათ გასული. მაგრამ ეს იმედი დაემსხვრათ, როგორც შემდეგ ცნობილი გახდა მაჰმუდ II თავისას არ იშლიდა[2] და ბაღდადზე ლაშქრობას აპირებდა.

### ბ) დამსჯელი ლაშქრის გაგზავნა ბაღდადის ფაშას წინააღმდეგ და დაუდის თავდაცვითი ღონისძიებანი

როგორც მოსალოდნელი იყო, ცნობამ სადიკ-ეფენდის დაღუპვისა და მისი მისიის წარუმატებლად დასრულების შესახებ, ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია[3]. სულთანი მაჰმუდ II და მისი

[1] ალ-'აზზაი, იქვე, გვ. 307; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

[2] ეს აშკარად ჩანდა სადიკ-ეფენდისადმი გაგზავნილ სულთნის ოფიციალურ მიწერილობაში, რომელიც შიკრიკმა ბაღდადში ჩაიტანა სადიკის სიკვდილის შემდეგ. ქალაქში შესულისთანავე შიკრიკი დააპატიმრეს და დილეგში ჩასვეს (სადიკის მისიის წევრებთან), ხოლო ქაღალდები ჩამოართვეს და ისინი ფაშას ჩაუვარდა ხელში.

[3] ამ საქმეში, სხვათა შორის, მეტად დიდი, მაგრამ არაკეთილშობილური როლი შეასრულა ჩვენს მიერ უკვე მოხსენებულმა უსტა'ალიმ. 'ალი დაიბადა კონსტანტინოპოლში. იქიდან იგი გადავიდა სირიაში და სამსახური დაიწყო აკრაში (Saint—Jean d'Acre), რუსეთ ოსმალეთის ერთ-ერთი ომის დროს ის ტყვედ ჩავარდა, რუსეთში დაჰყო რამდენიმე წელი და გაეცნო საარტილერიო საქმეს. ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, დაჰკრწინდა კონსტანტინოპოლელი მდიდარი კაცის ასულზე. რომელიც შემდეგ ჯერ გააღატაკა, ხოლო მერე სულ მიატოვა და თვითონ 1824 წელს ბაღდადს წავიდა საცხოვრებლად. ბაღდადში იგი, როგორც საარტილერიო საქმის კარგი მცოდნე—ოსტატი ანუ „უსტა" ფაშამ ჯერ ევროპიდან მოწვეულ სამხედრო სპეციალისტთა ზედამხედველად დანიშნა, ხოლო შემდეგ ბასრას კაბუდან-ფაშას თანამდებობაზე გადაიყვანა, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა. ქალაქის მუთასალიმთან (მუთასალიმად კი დაუდ-ფაშას ღვიძლი ძმა, დიმიტრი იყო) უთანხმოების გამო იგი ტოვებს ბასრას და მიდის ბუშირს. ბუშირიდან 'ალი უსტა თეირანში ჩავიდა და დაუდ-ფაშას წერილობით აცნობა, რომ თუ ეს უკანასკნელი მუთასალიმს არ გადააყენებდა და მას კაბუდან-ფაშობას არ დაუბრუნებდა, სულთანთან დაასმენდა. დაუდი მოერიდა საქმის გართულებას და 'ალის თხოვნა დააკმაყოფილა. იგი თანამდებობაზე დაბრუნა, ხოლო თავისი ძმა მუთასალიმის პოსტიდან გაათავისუფლა.

ბასრაში დაბრუნების შემდეგ 'ალი უსტამ დაიწყო მოსახლეობის შევიწროება. ფაშას სისტემატურად მოსდიოდა ცნობები კაბუდან-ფაშას აღვირახსნილი თვითნებობის შესახებ. იგი მოსახლეობისაგან კრეფდა უზომო გადასახადს, სულს ხდიდა მათ და ნაძარცვს თვითონ ითვისებდა. შეიტყო თუ არა ამის შესახებ, ფაშამ 'ალი უსტას შეუთვალა, ნაძარცვი საფაშო ხაზინაში შეეტანა. ამ ნიადაგზე დაიწყო უთანხმოება ფაშასა და კაბუდან-ფაშას შორის. 'ალი უსტამ უარი თქვა დაუდის ბრძანების შესრულებაზე. მთელი თავისი სიმდიდრე გემებზე დატვირთა, დატოვა ბასრა და მასკატს გაემგზავრა. აქ მან გემები მასკატის იმამს მიჰყიდა და თავისი სიმდიდრით (ოქრო-ვერცხლით) ჯერ მექაში ჩავიდა, შემდეგ კაიროში ეგვიპტის გამგებელს მუჰამედ 'ალის ეწვია, მაგრამ კინაღამ თავი წააგო მასთან შეკამათების გამო და ბოლოს იძულე-

დივანის შემადგენლობა ამ ამბის შემდეგ ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ ბაღდადის ფაშას სრულ განდგომასა და იმაშიც, რომ მისი დამორჩილება, ახ თავიდან მოცილება-მოსპობა უკვე ისე აღარ შეიძლებოდა, თუ არა შეიარაღებული ბრძოლით. ამიტომ გადაწყდა დაუყოვნებლივ გაეგზავნათ დამსჯელი ექსპედიცია ერაყში ამ მხარის კვლავ შემოსამტკიცებლად და დაუდ-ფაშას ძალაუფლების დასამხობად.

ეს მისია სულ პირველად იუსუფ-ფაშა რუმელიელისათვის უნდოდათ დაეკისრებინათ[1], მაგრამ იმის გამო, რომ მას ერაყში ან მის მეზობელ პროვინციებში არ იცნობდნენ და საჭირო ლაშქრის შეგროვება არ შეეძლო, ხოლო შორიდან ასეთი ძალების გადაყვანა ცენტრალურ ხელისუფლებას მეტად ძვირი უჯდებოდა, სულთანმა შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და არჩევანი საბოლოოდ ერაყის მოსაზღვრე ალეპოს საფაშოს გამგებელ მუჰამედ 'ალი რიზა[2]-ფაშაზე შეაჩერა. 1830 წლის გვიან შემოდგომაზე, ალი რიზამ ალეპოში მიიღო „ჰატი ჰუმაიუნი[3], რომელმაც აუწყა, რომ იგი დანიშნულია ბაღდადის საფაშოს გამგებლად, აგრეთვე ალეპო-დიარბაქირ-არზრუმის საფაშოთა გაერთიანებული ლაშქრის სერასკერად[4] (მთავარსარდლად) და დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ლა-

---

ბული გახდა ეგვიპტიდანაც გაპარულიყო. 1830 წელს 'ალი უსტა სტამბოლს მივიდა და ცოტა ხნის შემდეგ სულთანი მაჰმუდ II ინახულა. მასთან ვიზიტად ყოფნისას უსტა 'ალიმ მეტად მუქ ფერებში დახატა ეგვიპტისა და ერაყის გამგებლები, რომლებმაც მას აწყენინეს. დაუდის შესახებ მოახსენა, რომ ის დიდი ხანია აღარ ცნობს სულთნის ხელისუფლებას, ქვეყანას განაგებს სრულიად დამოუკიდებლად და ამიტომ საჭიროა მის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიების გატარებაო, რაშიც თავის სამსახურსაც სთავაზობდა (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, გვ. 129—135).

[1] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

[2] „წარმოშობით იგი იყო ლაზი, ჩერქეზეთიდან, როგორადაც იწოდება შაჲი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო"—აღნიშნავს ს. ჰ. ლონგრიგი (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 265, შენიშვნა 1). ჰაჯი მუჰამედ 'ალი რიზა რომ მართლა ლაზი იყო, ამას სხვა ცნობებიდანაც ვიგებთ და ამ მხრივ ლონგრიგი სრულიად სწორია. მაგრამ იგი ცდება, როცა ლაზებს ჩერქეზებად მიიჩნევს და ჰგონია, რომ თითქოს შაჲი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ჩერქეზული მოდგმის ხალხით იყო დასახლებული და ჩერქეზეთად იწოდებოდა. ნამდვილად „აქაური მკვიდრნი, იმერ-მეგრელნი, რომში (მერმე ბიზანტიაში) ადრითვე ცნობილნი იყვნენ, როგორც ლაზები და როგორც კოლხების შთამომავალნი; ხოლო მათი ქვეყანა და სახელწოდება, ქართულად ეგრისი, — როგორც ლაზიკა" (ვ. დონდუა, ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა საქართველოში, „საქართველოს ისტორია", თბ., 1958. ნაწ. I, გვ. 97).

[3] აბას ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 309.

[4] იქვე. იგივე ამბავი რამდენადმე სხვანაირად' არის გადმოცემული ნ. ნ. მურავიოვთან. მისი აზრით, სულთანს 'ალი რიზა მარტო ალეპო-დიარბექირ-არზრუმის საფაშოთა ერთიანი ლაშქრის სერასკერად და ბაღდადის მმართველად კი არ დაუნიშნავს, არამედ ბაღდადისა და დიარბექირის საფაშოები ალეპოს საფაშოსთან შეუერთებია, ის ამ ერთიანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის გამგებლად დაუსვამს და აჯანყებული დაუდის დასამორჩილებლად ბაღდადისაკენ გაუგზავნია: „სულთანმა ბაღდადისა და დიარბექირის ოლქები შეუერთა ალეპოსას, ხოლო მის უფროსს 'ალი-ფაშას უბრძანა, საჭაროდ შეადგინოს რაზმი სამი ცხენოსა-

შჭრობას აჯანყებული დაუდის დასამორჩილებლად. 'ალი რიზა, რომელიც კარგა ხანია ცდილობდა ამ პოსტის ხელში ჩაგდებას[1], და ამ მიზნით დაუდის დაბეზღებასაც არ თაკილობდა, კმაყოფილებით შეეგება სულთნის ბრძანებას და სალაშქრო მზადებაც მაშინვე დაიწყო. დაახლოებით ორთვიანი მზადების შემდეგ, 1831 წლის 23 მარტს (1246 წლის 8 შავვალს[2]) ის ალეპოს შეიარაღებული ძალებით, რეგულარული ჯარის 1 ბატალიონით (300 კაცი), ფეოდალური კავალერიის თიმარიოტების) 2 პოლკით, 10 000-იანი ბრბოთი (დაქირავებული ლაშქარი) და 9 ქვემეხით, რომელთაგან 7 საველე იყო, ხოლო 2—საალყო[3], ბაღდადისაკენ დაიძრა, მაგრამ „...პორტას დაყენებულმა კაცმა მშვენივრად იცოდა, რომ მას არ ჰქონდა ღონე მარტო გამკლავებოდა ერაყის ძლიერ გამგებელს. ამიტომ ქ. მოსულს იქეთ აღარ წასულა[4], რადგან უნდოდა დახმარება მიეღო იქაური ფაშასაგან (ჰაჯი კასიმ უმარისაგან—ბ. ს.) და თავის მხარეზე გადაეყვანა აგრეთვე სუფუკიც, ბაღდადის ჩრდილოეთით მომთაბარე შამარ ჯერბას ძლიერი ტომის შეიხი“[5] ანუ ბელადი.

'ალი რიზა არ შემცდარა ვარაუდში. დაუდის დაუძინებელმა მტერმა ჰაჯი კასიმმა ფართოდ გაუღო კარი მას და პირველი მოწოდებისთანავე ჩააბარა შეიარაღებული ძალები. ამასთან, ისიც მოახერხა, რომ გადმოიბირა შეიხი სუფუკი ლაშქრიანად, რისთვისაც სათანადო ჯილდო მიიღო. 'ალი რიზამ ის მოადგილედ (კაიმაკამად) დანიშნა და 6000 ქისა (დაახლოებით 180 000 ვერცხლის მანეთი) ფულადაც ასესხა. ფულითა და სხვა მრავალი დაპირებებით 'ალი რიზამ თავის გარშემო შემოიკრიბა აგრეთვე სხვა მრავალი ადამიანიც. კერძოდ, მასთან გამოცხადდა უგაილების ტომის ბელადი შეიხი სულეიმან აშ-შამარი (რომელმაც

---

ნი პოლკისა და დიდძალი ირრეგულარული ლაშქრისაგან, ამბოხებულის დასათრგუნავად“ (Н. Н. Муравьев, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 42).

'ალი რიზა-ფაშა რომ დიარბექირ-არზრუმ-ალეპოს გაერთიანებული ლაშქრის უფროსად დანიშნეს და დაუდ-ფაშას დამორჩილება უბრძანეს, ეს ფაქტი, როგორც ზემოთ დაინახეთ, არაერთგან არის დადასტურებული და მაშასადამე, აქ სადავო არაფერია. მაგრამ, რაც შეეხება იმას, რომ თითქოს სულთანს დიარბექირის, ბაღდადის და ალეპოს საფაშოები ერთ საფაშოდ გაეერთიანებინოს და მის გამგებლად 'ალი რიზა დაესვას, არ არის მართალი, ეს არსად არ არის დამოწმებული. ნამდვილად დიარბექირი, ალეპო და ბაღდადი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საფაშოებად რჩებოდნენ, რაც თუნდაც იქიდან ჩანს, რომ 'ალი რიზა (როგორც ამას ქვემოთ დაინახავთ) მარტო ბაღდადის ვალიდ იწოდებოდა.

[1] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 423.

[2] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 309; ალ-'აზზავისაგან განსხვავებით ს. ჰ. ლონგრიგი ალეპოდან ბაღდადისაკენ 'ალი რიზას გამგზავრების თარიღად 1831 წლის თებერვალს ასახელებს (S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 265).

[3] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 183; J. Baillie Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 261.

[4] მოსულში მისი შეჩერების მიზეზი, სხვათა შორის ისიც იყო, რომ ერაყში იმ დროს ეპიდემიამ იწყო გავრცელება, რაზეც უფრო ვრცლად საუბარი გვექნება ქვემოთ.

[5] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 423; J. Baillie Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 261.



ფაშას კორტეჟი

სტამბოლიდან ქ. მოსულს ჩამოსულ 'ალი უსტასთან ერთად ბაღდადის ახალი გამგებლის მეგზურობა იკისრა), სალიჰ ჩელები, ქურთი დიდებულები და დაუდის ბანაკიდან გამოქცეულნი სალიჰ და რუსთემ აღები, რომელთა აქტიური მოქმედებით მან კავშირი დაამყარა ერაყის სხვადასხვა ადგილების, კერძოდ ბაღდადის თავკაცების ერთ ნაწილთან[1] და მათგან (საფაშოს დედაქალაქში შიგნიდან გადატრიალების მოსახდენად) ფაშას მოწინააღმდეგე ჯგუფი შეადგინა.

ასეთი ღონისძიებების განხორციელების შედეგად 'ალი რიზამ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა პოზიცია. მიუხედავად ამისა, ჯერ მაინც ვერ გადაეწყვიტა ბაღდადზე პირდაპირ იერიშის დაწყება, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მისი შეიარაღებული რაზმები როგორც საომარი აღჭურვილობის თვალსაზრისით, ისე რიცხობრივადაც საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ დაუდისას, რომელსაც ამ დროისათვის თავისი სამწყსო უკვე ერთ მთლიან სამხედრო ბანაკად გადაექცია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუდი ადრიდანვე შეუდგა თავდაცვისათვის სამზადისს. მან სადიკ-ეფენდის მოკვლისთანავე შეიმუშავა სამოქმედო გეგმა[2], რომლის მიხედვით ახორციელებდა ჯარების მობილიზაციას და მათ გადაყვანას საფაშოს ჩრდილოეთ საზღვართან. 1830 წ. შემოდგომაზე, მუნთაფიქებისაგან შემდგარი დივიზია ამირახორის მეთაურობით მარდინისაკენ გაგზავნა, ხოლო არაბ ბედუინთაგან შემდგარი მეორე დიდი რაზმი მუნთაფიქების ტომის შეიხ

[1] C. I. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

[2] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 307.

'აჯილ სადუნის წინამძღოლობით დირიდან ურფაში გადაიყვანა'; საბრძოლო ბზადყოფნაში მოიყვანა, აგრეთვე, შეჰრიზორის ქურთების ლაშქარიც.

1830 წლის ბოლოს, როცა სტამბოლიდან მიღებულ წერილში კაპი ქაჰია ნაჯიბ-ბეგი ერაყის გამგებელს არწმუნებდა — კონფლიქტს მშვიდობიანი გზით მოვაგვარებ და საჭირო აღარ არის ჯარების გადაადგილებაო—დაუდმა შეწყვიტა სამხედრო რაზმების გაგზავნა ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ მხოლოდ დროებით. ორი თვის შემდეგ, 1831 წლის 21 თებერვალს[2], როცა დაუდმა შეიტყო, რომ სულთანმა მაჰმუდ II იგი შეაჩვენა, თანამდებობიდან გადააყენა და მის დასასჯელად ალეპოს, დიარბექირისა და ერზერუმის გაერთიანებული ლაშქრით 'ალი რიზა ბაღდადისაკენ დაძრა, კვლავ განაახლა მობილიზაცია და საომრად განაწყო მთელი თავისი შეიარაღებული ძალები. 30.000-კაციანი, ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილ-შეიარაღებული არმია ბაღდადგარეთ გაიყვანა და იმამ აზამის კარებთან, ე. წ. „საამო ველზე" დააბანაკა; რეგულარული ქვეითი არმიის ერთი ათასეული და 1500 მხედრისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი თავის მსახურთა უფროსის, იუსუფის მეთაურობით ქირქუქს გაგზავნა გარნიზონის გასაძლიერებლად, ხოლო რეგულარული არმიის 8 ათასეული ბაღდადში დაიტოვა და საფაშო საქმეებს განაგებდა. ასე რომ, 1831 წლის აპრილისათვის დაუდი სრულ ბზადყოფნაში იყო ომისათვის და ეჭვი არავის ეპარებოდა მის გამარჯვებაში. მაგრამ ამ დროს ერაყს ზედიზედ თავს დაატყდა მთელი რიგი უბედურებანი, რომლებმაც მთლიანად შეცვალეს ვითარება.

## შავი ჭირი, წყალდიდობა, ციებ-ცხელება, შიმშილი და მათი შედეგები

მრავალი უბედურების მომსწრეა ერაყი, მაგრამ ისეთი, როგორიც მის მოსახლეობას 1831 წელს დაატყდა თავს, ისტორიას არ ახსოვს. წარღვნაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს იყო. 1830 წელს ირანში მძვინვარე შავი ჭირი სექტემბერში თავრიზიდან ქირქუქში გავრცელდა, ხოლო 1831 წლის აპრილში, როცა ქ. მოსულში დაბანაკებული 'ალი რიზა-ფაშა ერაყზე თავდასასხმელად ემზადებოდა, ის ბაღდადში გადავიდა და იქიდან მთელ საფაშოს მოედო. როგორც სხვა დროს, ამჯერადაც ამ სნეულების სწრაფად გავრცელების ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობას ვაჭრობა და ვაჭარი მოგზაურები წარმოადგენდნენ. ამით აიხსნება, რომ ბაღდადში შავმა ჭირმა პირველად ებრაელთა კვარტალში იჩინა თავი.

ამბის მომსწრე თვითმხილველი იტალიელი ექიმის ანტონეტის (იგივე ანტონაკი) ცნობით, რომელიც ირან-ოსმალეთს შორის საზღვრის დამდგენი კომისიის წევრმა ე. ი. ჩირიკოვმა 1849 წელს ბასრაში ჩაიწერა, ის (ანტონეტი) ორ ინგლისელ ექიმთან ერთად მაშინვე ებრაელთა უბანს სწვევია და უნა-

[1] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 307. Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

[2] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 265.

ხავს, რომ ეპიდემია ქალაქის მთელ აღმოსავლეთ ნაწილს მოსდებოდა. ექიმებმა სახლების შემოწმება იწყეს და უკვე 500-მდე ავადმყოფი დათვალეს. ავადმყოფების უმრავლესობა ყელის ტკივილს უჩიოდა. ამიტომ ინგლისელი ექიმები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს უბრალო ანთება უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ანტონეტის, ის დარწმუნდა, რომ ეს უბრალო ანთება კი არა, ნამდვილად შავი ჭირი იყო და თავისი აზრი მეორე დღეს ერაყის გამგებელს მოახსენა. მაგრამ ამ უკანასკნელმაც, ისე როგორც ინგლისელმა ექიმებმა, განაცხადა: „ჟამი ყელს არ ეხება... ეს რომ ჟამი იყოს ყარყატები არ მოფრინდებოდნენ, ისინი კი აქ არიან; არც ტურები იჩხავლებდნენ, მაგრამ ისინიც ჩხავიან“[1]. რაც მეტი დრო გადიოდა, ავადმყოფობა სულ უფრო ძლიერდებოდა, ვრცელდებოდა და მსხვერპლთა რაოდენობაც მის შესაბამისად დღითიდღე მატულობდა. თუ 4 აპრილიდან დაწყებული ყოველდღე ქალაქში 50—100 კაცი კვდებოდა, 11 აპრილს 1200 კაცი გარდაიცვალა, 16-დან 21 აპრილამდე დღეში—2000 კაცი[2], ხოლო 27 აპრილიდან ყოველდღე 1500—3000 კაცამდე იღუპებოდა[3]. ქალაქში სიცოცხლე შეწყდა. სახლები და ქუჩები დახოცილთა გვამებით აივსო. ბოლოს ჭირმა სასახლესაც მიაგნო და 26 აპრილს ფაშას შეეყარა. აი როგორ გადმოგვცემს ჩირიკოვი ექიმ ანტონეტის ნაამბობს: „აი უკვე უხმობენ ექიმს შავი ჭირით შეპყრობილ დაუდ-ფაშასთან. ექიმს თავზარი დაეცა, როცა ქუჩაში გავიდა. ცოცხალი სული არსად იყო, ყველგან მხოლოდ დახოცილები ეყარნენ. გახრწნილ გვამებს მშიერი ძაღლები დასტრიალებდნენ თავს და ნაკუწ-ნაკუწ გლეჯდნენ. სასახლეც დაცარიელებულიყო. ფაშას ხუთ ჰარამხანაში, სადაც თითოში ოცი მოსამსახურე შავკანიანი მხევალი იყო, არც ერთი ქალი ცოცხალი აღარ გადარჩენილა. აღარავინ იყო ფაშას მომვლელი. მოვიდა მისი საისი (მეჯინიბე) და შოახსენა, რომ მრავალრიცხოვანი მსახურებიდან მარტოკა ის დარჩენილიყო და აღარ იცოდა რა ექნა ცხენებისათვის. მართლაც, სულ მალე შეგეძლოთ დაგენახათ, როგორ დაჰქროდნენ ჯგუფებად ოცი-ოცდაათი ცხენი ქუჩებში და ქალაქგარეთ. ფაშა იწვა მარტო, ბნელ საკუჭნაოში. მისი სასახლის დიდი ნაწილი ავსებული იყო... გვამებით, რომელთა გადამყრელი ფანჯრიდან ადიდებულ და ჩქარ ტიგროსში უკვე აღარავინ იყო. ექიმმა, ქრისტიანულ კვარტალში, იპოვა ერთი ქრისტიანი მოხუცი ქალი, რომელმაც თანხმობა განაცხადა ავადმყოფი გუბერნატორის მოვლა-პატრონობაზე... ჯერ კიდევ გუშინ დიდებული სატრაპი, ახლა იწვა როგორც გლახა, შიშველ ფიცარზე, ბნელ საკუჭნაოში, სრულიად მარტო“[4].

ასეთი იყო მდგომარეობა ბაღდადში და სხვა ქალაქებსა და სოფლებში, როცა ერაყს თავს დაატყდა ახალი უბედურება. აპრილის შუა რიცხვებიდან უჩვეუ-

[1] Путевой журнал Е. И. Чирикова, СПБ., 1875, გვ. 8

[2] J. Baillie Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 239.

[3] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 266.

[4] Путевой журнал Е. И. Чирикова, СПБ., 1875, გვ. 9—10.


ლო წყალდიდობა დაიწყო. ადიდებულმა მდინარეებმა ნაპირები გადალახა და დიდძალი ფართობი დაფარა. დათესილი ყანები წაილეკა, სოფლები და ქალაქები დაინგრა, მოსახლეობა განადგურდა. განსაკუთრებით დაზარალდა ბაღდადი, ჰილე, ბასრა და მათ ახლომდებარე რაიონები. 21 აპრილს მდინარე ტიგროსმა ბაღდადის ზემოთ ჯებირი გაგლიჯა და ქალაქში შევარდა. 26 აპრილს, ღამით, სწორედ მაშინ, როცა დაუდი ავადმყოფობამ საწოლს მიაკრა, წყალმა უკვე დაანგრია ქალაქის ჩრდილოეთი კედელი და სასახლის ნაწილი[1]. პირველ 5 საათში მან 200 სახლი წალეკა, 34 საათში კი — 7000[2].

28 აპრილიდან წყალდიდობამ თანდათან იკლო, მაგრამ დატბორილ ადგილებში, ორმოებსა და სარდაფებში ჩამდგარი წყალი დიდხანს არ დამშრალა. ის იქ ჩალპა, ამყრალდა და წარმოშვა ციებ-ცხელება, რომლის სახით ერაყს კიდევ ერთი საშინელება ეწვია. ის, ვინც ჟამსა და წყალდიდობას გადაურჩა, ახლა ამ სნეულებამ შეიპყრო და მისი მსხვერპლი გახადა[3]. თუმცა მოსახლეობას ახლა მარტო ეს როდი ანადგურებდა. წყალდიდობასა და ხანგრძლივ ეპიდემიებს შედეგად მოჰყვა მოუსავლიანობა, ხოლო ამას ძლიერი შიმშილობა. ყოველივე ამან ქვეყანა დასცა, გააუკაცრიელა, გააუდაბურა და ამით უდიდესი დახმარება გაუწია კარს მომდგარ 'ალი რიზა-ფაშას. მაშინდელი არასრული სტატისტიკური ცნობებით 1830 წლამდე ქ. ბაღდადში დაახლოებით 150.000 კაცი ცხოვრობდა. შემდეგ კი 20.000 კაციღა დარჩა; ბასრაში ადრე 80.000 მცხოვრები იყო, ხოლო ჟამიანობის შემდეგ 1849 წელსაც იქ 6000 კაცზე მეტი აღარ ცხოვრობდა. კიდევ უფრო მეტად დაზარალდა ძველი ბაბილონის ნანგრევებზე აღმოცენებული ქალაქი ჰილე. მისი 10.000 მცხოვრებიდან ჟამს, წყალდიდობას, ციებ-ცხელებას და შიმშილს მხოლოდ რამდენიმე კაცი გადაურჩა. წყალდიდობისაგან მარტო ბაღდადში დაინგრა 15.000 სახლი ანუ ქალაქის ორი მესამედი. სერიოზული ზარალი განიცადა საფაშოს შეიარაღებულმა ძალებმაც. ბაღდადში მყოფი რეგულარული არმიის 8 ათასეულიდან არც ერთი კაცი აღარ გადარჩენილა. 7000 კაცისაგან შემდგარი ფაშას ლეგიონიდან 5000 კაცი დაიღუპა; ქალაქ ჰილეში დაბანაკებული ათასეული დაიშალა. პოლკოვნიკ ტეილორის მიერ ინგლისურ ყაიდაზე შედგენილ და გაწვრთნილ ცხენოსანთა ათასეულიდან ცოცხალი მხოლოდ ერთი კაცი გადარჩა. ასეთივე ბედი ეწია 1000 ქართველისაგან შემდგარ დაუდის რჩეულ რაზმს—„გვარდიას“, სადაც 4 კაცის გარდა ყველა ჭირმა იმსხვერ-

[1] ფრეზერის გადმოცემით, ამ გარემოებას დაუდ-ფაშა ერთობ ჩაუფიქრებია, მას აღარ სცოდნია საით წასულიყო, რომ უშიშრად მოესვენებინა. სასახლეს თურმე ყოველ წუთში დანგრევა მოელოდა. ამიტომ მას ქალაქიდან გასვლა მოუნდომებია და ა. ნ. გროვესის (ინგლისელი მისიონერი ბაღდადში 1830—1831 წწ.) ერთ-ერთი მსახურისათვის უთხოვია ტეილორთან წასულიყო, რათა ამ უკანასკნელს მისთვის ნავი გაეგზავნა, მაგრამ მენაეეთა რაზმიდან იმდროისათვის უკვე ერთი კაცის მეტი ყველა დახოცილი ყოფილიყო და ფაშას წასვლა ვეღარ მოუხერხებია (J. B. Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 245).

[2] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 266.

[3] J. R. Wellsted, დასახ. ნაშრომი, გვ. 294.



დაუდ-ფაშას კარავი (ბანაკი)

პლა. უარესი ამბები მოდიოდა ერაყის სხვა მხარეებიდან: ქირქუქიდან, ხანკინიდან, შეჰრიზორიდან და სხვ., სადაც სოფლებისა და დასახლებული პუნქტების მოსახლეობა მთლიანად ამოწყდა[1]. ასეთ პირობებში მიწასთან გასწორებულ ქვეყანას მტრის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეეძლო. მიუხედავად ამისა დაუდ-ფაშა ქედს არ იხრიდა და კვლავ ცდილობდა მოწინააღმდეგის შეკავებას. მან ხელი მიჰყო მთელი რიგი აღდგენითი ხასიათის სამუშაოთა განხორციელებას, შეუდგა უდაბნოებიდან ბედუინების გადმოყვანას და დასახლებას სოფლად და ქალაქად[2], რათა ამით რეალური პირობები მოემზადებინა ქვეყნის განაშენიანების,

[1] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 428.

1831 წელს ერაყში მომხდარი სტიქიური უბედურებისა და მათი შედეგების შესახებ ვრცელ ცნობებს იძლევიან ავრეთვე მაშინ ბაღდადში მყოფნი: ჯ. რ. ველსტიდი (Travels to the City of the Caliphs, London, 1840, Vol. I, გვ. 280), ინგლისელი მისიონერი ა. ნ. გროვესი (Journal of a Residence in Baghdad. London, 1832), ჟურნალისტი ჯ. ვ. სტოქუელი Fifteen months' piligrimage through untrudden parts of Khuzistan and Persia. London, 1832, გვ. 57) და ფრანგი ბოტანიკი ო შე-ლუა (Relations de Voyage en Orient de 1830—1838, Paris, 1843, გვ. 328); Ჰორაციო საუდგატი (Narrative ofa tour though Armenia, Kurdistan, Persia and Mesopotamia by the rev. Horatio Soudgate Vol. II, გვ. 189) და აბას ალ-აზზავი, რომელიც გვაუწყებს, რომ ირანის მხრიდან მოსულმა ჭირმა, სულ მოკლე დროში ბაღდადს რომ მოედო, ყოველ 100 მცხოვრებიდან მოკლა 95 და გაანადგურა მთელი არმია (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 307).

[2] Путевой журнал Е. И. Чирикова, СПБ., 1875, გვ. 10.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების, ქალაქის მრეწველობის, ვაჭრობა-ხელოსნობის აღორძინებისა და, რაც მთავარია, არმიის შექმნისათვის, მაგრამ ამ ღონისძიებათა გატარება მტერმა აღარ დააცალა.

## საომარი მოქმედების დაწყება

ამბოხებული ბაღდადის ფაშას დასათრგუნავად იმაზე ხელსაყრელი მომენტი, როგორიც 1831 წლის გაზაფხული იყო, ალი რიზას არასდროს არ დაუდგებოდა. ამიტომ მანაც აღარ დააყოვნა საომარი მოქმედების დაწყება და შეწყდა თუ არა შავი ჭირი, მაშინვე შეტევაზე გადავიდა. თავის მოადგილე (ქაიმა-ქამი) ალ-ჰაჯ ქასიმ-ფაშა 'უმარი სანდო პირების: აბუ ბაქრ-აღას (ალის ყოფილი ქეთხუდა), ხალილ-ბეგის, სალიჰ ჩელებ აზ-ზაჰირის, შამარ ულ-ჯერბას ტომის შეიხ სუფუქ ულ-ფარისის, სულეიმან ულ-ღანამის და მათი რაზმების თანხლებით,—ქ. მოსულიდან უდაბნოს გზით სამხრეთისაკენ გაგზავნა, რათა მოულოდნელად თავს დასხმოდა ერაყის დედაქალაქს, დაუფლებოდა მას და დაეტყვევებინა მისი გამგებელი. ამასთან, იმაზეც იზრუნა, რომ ამ უკანასკნელისათვის სადმე გაქცევის შესაძლებლობა არ მიეცა. ცენტრალური მთავრობის ნებართვით მან ირანს მიავლინა თავისი სპეციალური წარმომადგენელი ჰაჯი აჰმედ-ეფენდი[1], რომელსაც ალ-'აზზავის ცნობით, დავალებული ჰქონდა შაჰისათვის მოეხსენებინა დაუდ-ფაშას საქციელისა და მის წინააღმდეგ სულთნის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და ეთხოვა: არ მიეცათ მისთვის თავშესაფარი, თუ იგი ამ მხარეში გაქცევას დააპირებდა[2].

ასრულებდა რა ქასიმ-ფაშა უმარი ალი რიზას ბრძანებას, 1831 წლის ივნისის თვის დამდეგს სამხრეთისაკენ დაიძრა. მის წინააღმდეგ ჩრდილოეთისაკენ

---

[1] Отношение гр. Несельроде к ген. адют. Панкратьеву от 27-го августа 1831 года, № 1850 (АКАК, т. VII, გვ. 740, № 741).

[2] ა ლ-'ა ზ ზ ა ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 307; ასეთსავე ცნობას ვხვდებით აგრეთვე ს. ჰ. ლონგრიგთანაც (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 268). მაგრამ დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ სულთანი შაჰს სამხედრო დახმარებასაც სთხოვდა. ამ მხრივ მნიშვნელოვან საბუთს წარმოადგენს „გრაფ ნესელროდეს 1831 წლის 27 აგვისტოს წერილი გენ. ადიუტანტ პანკრატოვისადმი", რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია: „თანახმად ცნობებისა, რომელთა უტყუარობაში ეჭვის მიტანა შეუძლებელია, სპარსეთში საომარი სამზადისი გამოწვეულია სულთნის თხოვნით, რომლითაც მიმართა შაჰს, რათა დაიყოლიოს იგი და გაგზავნოს თავისი ჯარი აჯანყებულ ფაშას წინააღმდეგ საბრძოლველად ბაღდადში. ასეთი იყო მიზანი, როგორც ამბობენ, ოსმალეთის წარმომადგენლის ჰაჯი აჰმედ-ეფენდისა. მის ასეთ ნაბიჯს კეთილგანწყობილად შეხვდნენ და ფიქრობენ, რომ სპარსეთის არმიის რაზმმა შემდგარმა 1000 ქვეითის, 1000 მხედრისა და 2 ზარბაზნისაგან მიიღო ბრძანება შეუერთდეს ალეპოს ფაშას მიერ თავმოყრილ ძალებს ამბოხებული ბაღდადის ფაშას დასამორჩილებლად.

ეს მონაცემები (ბეზაკისა—ბ. ს.) ჩვენ მიგვაჩნია სრულ ჭეშმარიტებად და იძლევა შესაძლებლობას ავხსნათ იმ რაზმების მოძრაობა, „რაც სპარსეთში შეიმჩნევა" (Отношение гр. Несельроде к ген. адют. Панкратьеву, от 27-го августа 1831 г., № 1850 (АКАК, т. VII, გვ. 740, № 74).

გაგზავნილმა ბაღდადის ერთმა მუჭა შეიარაღებულმა რაზმებმა, რომელთაც სათავეში ამირახორი მუჰამედ-ეფენდი და მუჰამედ-ფაშა ბაბანი ედგნენ, მტრის ჯარების შეჩერება ვერ შეძლეს. კასიმ-ფაშამ შამარ ტოგას ტომის შეიხ მუჰამედ ულ-ბერდის ლაშქრის დახმარებით ისინი ჯერ მენდელ-ხანეკინის გზაზე მდებარე ქალაქ ბეჰროუზთან სძლია, ხოლო შემდეგ ქ. დეტციილთან გამართულ ბრძოლებში დაამარცხა და უკუაქცია.

დეტციილთან გამარჯვების შემდეგ კასიმი პირდაპირ ბაღდადისაკენ გაემართა, ქაზიმიესთან[1] დაბანაკდა და სანამ საფაშოს დედაქალაქზე იერიშს მიიტანდა, რამდენიმე ხნით ადრე, თავის აგენტს ბაღდადის კადის ანუ მოსამართლეს, ტაჰირ ულ-სირუზს დაუდ-ფაშას გადაყენების შესახებ დაწერილი ვაზირის[2] „ბუიურულდუ"[3] გაუგზავნა და თან აცნობა: პირობა მიეცა მამლუქთა დიდკაცებისათვის, რომ (კასიმი და მისი რაზმი) ხელუხლებლად დატოვებდნენ მათ დინასტიას (მმართველობას) და იქნებოდნენ მისი თაყვანისმცემელნი[4]. ასეთი მოქმედებით კასიმი ორ მიზანს ისახავდა: ერთი მხრივ, მას ამით თავისი მოსვლის მიზეზის გამეყვანება სურდა, ხოლო მეორე მხრივ, დაუდის ბანაკში ერთგვარი განხეთქილების გამოწვევა და მოსახლეობის გავლენიანი ფენების წარმომადგენელთა გარკვეული ნაწილის გადაბირება, რასაც თითქმის მიაღწია კიდევაც. ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენის ერთმა ნაწილმა, დარწმუნებულმა იმაში, რომ სტიქიისაგან განადგურებული ერაყის უარმიო გამგებელს ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლის წარმოება უკვე აღარ ძალუძს, ტაჰირ-ულ-სირუზის აგიტაციას დაუჯერა, კასიმის დაპირებები სინამდვილედ მიიღო და დაუდს ზურგი შეაქცია. დიდკაცთა ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა დაუდთან

---

[1] ბაღდადიდან დაახლოებით 5—6 საათის სავალზე მდებარე პატარა ქალაქი და ციხე-სიმაგრე (Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 183, 185).

[2] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

[3] ბუიურულდუ — ეწოდება ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ განკარგულებებზე ან სხვა ოფიციალურ ქაღალდებზე წარწერილ რეზოლუციას, კერძო ხასიათის განკარგულებას, (Д. Магазаник, Турецко-Русский словарь, М., 1945. გვ. 91), „წერილობით ბრძანებას". ის „დიდი ვაზირების, მთავარსარდლების, ბეგლარბეგებისა და მათ მიერ უფლებამოსილებაში პირებისაგან (და არა სულთნისაგან) გაიცემოდა ხელქვეითების მისამართით. ასეთი სახუთაო საერთოდ დივანის (მდივანმწიგნობრული) ხელით იწერებოდა" (პროფ. ს. ჯიქია, „მე-18 საუკუნის ორი თურქული დოკუმენტი", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1962. ტ. 99, გვ. 167). ზუსტად ამ გაგებით ხმარობს სიტყვა „ბუიურულდუს" ა. ნოროვიც (იხ. მისი «Путешествие по Египту и Нубии», СПБ., 1840. გვ. 107). ტერმინი «ბუიურულდუ» ქართულში „ბუირუთის" ფორმით ყოფილა დამკვიდრებული მე-18 საუკუნეში (პროფ. ს. ჯიქია, იქვე, გვ. 168; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, I, გვ. 208—209; ვ. ბერძნიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, დანართი I, II და III, წიგნების ლექსიკონი და საძიებლები, თბ., 1957, გვ. 11).

[4] ალ-აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 311.

სამსახურს კასიმ-ფაშას ბანაკში გადაბარგება ამჯობინეს და სიტყვა მისცეს, რომ ისე მოიქცეოდნენ, როგორც ის უკარნახებდა[1].

ამრიგად, იმ დროს, როცა ქ. ბაღდადის კარიბჭესთან მომდგარი კასიმ-ფაშა 'უმარი გადამწყვეტი იერიშებისათვის ძალებს იკრებდა, ქალაქში მისი მომხრე ჯგუფი შეიქმნა და კადი ტაჰირ-ეფენდი სიროუზი ზადეს ხელმძღვანელობით შიგნიდან გადატრიალებას ამზადებდა. ამ ჯგუფის ამოცანა იყო დაუდ-ფაშას გადაყენება, დატყვევება და საფაშოს ხელისუფლების სათავეში კასიმ უმარის დასმა, რაც გარკვევით ჩანს ტაჰირ-ეფენდის მიმართვაში ჯგუფის წევრებისადმი: „...უკეთუ ახალი გუბერნატორის მოადგილე (ე. ი. კასიმ-ფაშა—ბ. ს.) ქალაქში მაშინვე შესვლას ვერ შეძლებს იგი თქვენ დეზერტირ-ამბოხებულებად ჩაგთვლით; ამიტომ ვიდრე ასეთ უსინდისობას დაგწამებდეთ, უმჯობესია ფაშა (დაუდი—ბ. ს.) სასახლეში გამოამწყვდიოთ, საიმედო დაცვის ქვეშ იყოლიოთ, მოადგილის შესახვედრად გასწიოთ და ის ხელისუფლების სათავეში დასვათ; ამით თქვენ დაუმტკიცებთ თქვენს ერთგულებას ოსმალეთის იმპერიის მთავრობას და იგი შეგიწყალებთ“[2]. აქ, როგორც ვხედავთ, მოცემულია არა მარტო ჯგუფის ამოცანა, არამედ ამ ამოცანის განხორციელების გზა და ხერხიც.

მართალია, ჰირისაგან შეპყრობილი დაუდი სიკვდილს გადარჩა, მაგრამ ჯერ მაინც ავადმყოფობდა, სიარული და საფაშოს საქმეების მოვლა წინანდებურად აღარ შეეძლო. სამ დღეში ერთხელ თუ გამოცხადდებოდა სასახლის მისაღებ დარბაზში ქვეყნის მდგომარეობის გასაგებად და სათანადო განკარგულებების გასაცემად. მასთან სათათბიროდ მოსული მოხელეები სხდომის დამთავრებისთანავე ტოვებდნენ სასახლეს იმის შიშით, რომ ჟამი არ შეყროდათ. სასახლეს სულ 5 თუ 10 მონა-მსახური იცავდა და მათაც უფლება ჰქონდათ, ღამე ყარაულობის შემდეგ, (დღისით) თავიანთ ბინებში დაბრუნებულიყვნენ. ასე, რომ ფაშა და მისი რეზიდენცია ფაქტიურად უმეთვალყურეოდ იყო მიტოვებული, რაც კარგად იცოდა კასიმ 'უმარის მოკავშირე ჯგუფის წევრებმა და მოხერხებულადაც გამოიყენეს თავიანთი მიზნის მისაღწევად. ერთხელ, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, მზის ჩასვლამდე ერთი საათით ადრე[3] (სხვა ცნობით კი ზუსტად 11 საათზე)[4], ბაღდადის მოქალაქეთაგან შემდგარი ორასკაციანი რაზმი თავს დაესხა სასახლეს აშ-შეიხის კვარტალიდან, ცეცხლი წაუკიდეს მას და მაშინვე უკუიქცნენ. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს იყო ნიშანი დაუდ-ფაშასადმი პროტესტისა, კასიმისადმი დამორჩილებისა და ამ უკანასკნელის შეტევაზე გადასვლის, რაც სულ მალე დაიწყო კიდეც.

ასეთ ვითარებაში სასახლეში ფაშას დარჩენა და იქიდან ხელმძღვანელობა უკვე აღარ შეიძლებოდა. იგი მიხვდა, რომ თუ ადგილსამყოფელს დროზე არ

[1] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 311.

[2] Cl Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

[3] იქვე, გვ. 186.

[4] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 313.

გამოიცვლიდა, მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე მოელოდა. ამიტომ დაუყოვნებლივ დატოვა სასახლე და ერთ-ერთი მსახურის, ეთიოპიელი ფირუზის[1] თანხლებით, თავისი ყოფილი მულთაზიმის[2], მუჰამედ-აღა ყარა ბიბერის[3] ქვრივ ჰაბიბე ხანუმის ბინაზე გადაბარგდა. მაგრამ აქ დიდხანს ყოფნა აღარ დააცალეს. მეორე დღეს, ქალაქის თავკაცებმა, დიდებულებმა და ულემებმა (მუსლიმანური სამართლის—შარიათის მცოდნენმა) ყოველგვარი თავაზიანური წესების დაცვით ის თანამემამულის, სალიჰ-ბეგის[4] ბინაზე (ტიგროსის ნაპირას, რომ იყო) გადაიყვანეს[5] და სახლის პატრონს შარიათით დადგენილი სპეციალური ხელწერილი ჩამოართვეს, რომ ტყვე ფაშა ალი რიზასათვის მიეყვანა, როცა ეს უკანასკნელი ბაღდადში მოვიდოდა[6]. თვითონ კი კასიმს მაშინვე ქალაქგარეთ ეახლნენ, კარები გაუღეს, სასახლემდე მიაცილეს და საფაშოს გამგებლის ტახტზე დასვეს.

ამრიგად, კასიმ-ფაშა 'უმარიმ და მის მხარეზე გადასულმა ქალაქის მოსახლეობის გავლენიანმა ზედაფენის ჯგუფმა დასახულ მიზანს მიაღწიეს. პირველმა მეორის აქტიური მხარდაჭერითა და მოქმედებით დაუდის ადგილი დაიჭირა, ხოლო მეორემ კი—პირველისათვის გაწეული სამსახურით, შიგნიდან გადატრია-

---

[1] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 311.

[2] ملتزمي — კონცესიონერი, მსყიდველი (Х. К. Баранов, Арабско-русский словарь. М., 1957); მოიჯარადრე, ვალდებულების მკისვრელი (Б. М. Миллер, Персидско-русский словарь, М., 1953); ის, ვინც ფლობს გარკვეულ ტერიტორიაზე გადასახადების აკრეფის ვალდებულების უფლებას—„ილთიზამს“ ( إلتزام ), რომელსაც ჩვეულებრივ ხელისუფლება ყიდის ხოლმე. ასეთი უფლებით აღჭურვილი მულთაზიმი კრეფდა ფელახებზე (გლეხებზე) გაწერილ რენტა-გადასახადს და ვალდებული იყო სახელმწიფო ხაზინაში შეეტანა მიწაზე დაწესებული გადასახდელის—„მირის“ გარკვეული ნაწილი. რენტა-გადასახადის დანარჩენი ნაწილი — „ფაიზი“ ( فائض —ნარჩენი, პროცენტი), რომლის ოდენობა ზუსტად დადგენილი არ იყო, მაგრამ საერთოდ აკრეფილი მთელი თანხის ნახევარს აღემატებოდა,— მულთაზიმს რჩებოდა. ამის გამო მულთაზიმები თანდათან მდიდრდებოდნენ და უკვე მე-16-19 საუკ. არაბულ ქვეყნებში—ეგვიპტეში, სირიასა და ერაყში ისინი მსხვილ ფეოდალებად იქცნენ. ამაში მათ ხელს ისიც უწყობდა, რომ მულთაზიმის უფლება ემკვიდრეობითი გახდა, მამიდან შვილზე გადადიოდა (ამის შესახებ იხ. Н. Иванов, Аграрная реформа Мухаммеда Али, «Очерки по истории Арабских стран», М., 1959, გვ. 37 და შემდეგ; Абдар-Рахман Ал-Джабарти, Египет в период экспедиции Бонапарта 1798—1801, М., 1962, გვ. 488, ი. მ. ფილშტინსკის შენიშვნები).

[3] قره بير — შავი წიწაკა, ასეთი მეტსახელი ჰქონდა შერქმეული მუჰამედ-აღას სიავის გამო.

[4] სალიჰ-ბეგი იყო სულეიმან-ფაშა ბუიუქის ერთ-ერთი ვაჟიშვილი და დაუდის მიერ სიკვდილით დასჯილი სა'იდ-ფაშას ძმა.

[5] J. B. Fraser, დასახ. ნაშრომი, ტ. 1, გვ. 261; ალ-'აზზავი, გვ. 313 და სხვანი.

[6] Cl. Huart, დასახ. ნაშრ. გვ. 186. მათი ამგვარი გადაწყვეტილების მიზანი—'აბას ალ-'აზზავის აზრით ის იყო, რომ ამით დაუდს ალისადმი „ოდნავი წინააღმდეგობის გაწევისა და რაიმე შეურაცხყოფის მიყენების შესაძლებლობაც კი წართმეოდა და დანებებოდა, რათა მას ('ალის) მისთვის ეერაგობა ეპატიებინა“ (ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი,

ლების მოხდენით, თავიდან აიცილა ომი, ნგრევა-განადგურებას გადაარჩინა საკუთარი ქონება, მოიმადლიერა სულთანი და ფიქრობდა ძალაუფლების შენარჩუნებას.

## კასიმ-ფაშა 'უმარის დალუპვა და მისი ლაშქრის განდევნა ბაღდადიდან

მას შემდეგ, რაც კასიმ-ფაშამ ბაღდადში შესვლა მოახერხა და ციხე-სიმაგრეს დაეუფლა, ბრძოლის ბედი დაუდსა და მის მოწინააღმდეგეს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ უკვე გადაწყვეტილი იყო. როგორც ქალაქს, ისე საფაშოს გარკვეულ ნაწილს ამიერიდან მისი რაზმები დაეპატრონენ და გამარჯვებას ზეიმობდნენ. ასეთ პირობებში ვერავინ (ვეღარც მტერი, ვეღარც მოყვარე) ვერ იფიქრებდა, რომ სალიჰ-ბეგის ბინაში ჩაკეტილი ტყვე დაუდი მოწინააღმდეგის დამარცხებასა და ძალაუფლების კვლავ დაბრუნებას შეძლებდა.

მაგრამ კასიმის მეტისმეტმა პატივმოყვარეობამ და ვერაგულმა ზრახვებმა, ვითარება სწორედ ისეთნაირად შეცვალა, რომ დამარცხებული დაუდ-ფაშა სულ მალე გამარჯვებულის როლში აღმოჩნდა.

იოლი გამარჯვებებით გათამამებული კასიმ-ფაშა 'უმარი თავს უძლეველად თვლიდა და რაკი ბაღდადის ვალის ტახტი დაიკავა, მის დათმობას აღარ აპირებდა[1]. იგი უკვე 'ალირიზას წინააღმდეგ ომს გეგმავდა, და ერთი მხრივ, თუ ლაშქარს აგროვებდა, მეორე მხრივ, მისთვის საშიში ძალისაგან ქალაქის გაწმენდას შეუდგა, რომ თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა. ასეთ საშიშ ძალად მას მამლუქები, მათი მომხრე-თანამზრახველები და ერაყის ყოფილი გამგებელი, ოსმალეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებული დაუდი მიაჩნდა[2], ვინაიდან მათი ავტორიტეტი და გავლენა მასებში ამ დამარცხების შემდეგაც უფრო დიდი იყო, ვიდრე ახალი გამგებლისა. ამიტომ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ფიზიკურად მოესპო ისინი და ამ მიზნით დივანს დაუდის მოყვანა მოსთხოვა. მაგრამ დივანის წევრებმა (სხვათა შორის იმანაც, ვინც კასიმ-ფაშას პურ-მარილით შეეგება, ქალაქის გასაღები ჩააბარა და ხელისუფლების სათავეში დასვა) შეიტყვეს თუ არა ტახტის მაძიებლის ამ ბოროტგანზრახულობათა შესახებ, კატეგორიული უარი თქვეს ბრძანების (ბუჲურულდუს) შესრულებაზე[3], რადგან უმრავლესობა ან დაუდ-ფაშას ყოფილი მოხელეები იყვნენ, ან თვით მამლუქები და მიხვდნენ თუ რა შეცდომა ჩაუდენიათ, რა საფრთხეში ჩაუგდიათ თავიანთი მოქმედებით საკუთარი სი-

---

გვ. 313). როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, ბაღდადის თავკაცებს, როცა ფაშა შინაპატიმრობაში ჰყავდათ, ის მოსაზრება ამოძრავებდათ, რომ ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა შეეწყვიტათ და ამ ბრძოლის მოთავე დაუდიც გადაერჩინათ.

[1] C l. H u a r t, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 187; ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 313.

[3] ი ქ ვ ე.

ცოცხლგ. მათი ეს ერთსულოვანი უარი იყო პირველი, თანაც სერიოზული პროტესტი, რომლითაც დაიწყო ახალი შემობრუნების ეტაპი კასიმ-ფაშა 'უმარსა და დაუდ-ფაშას შორის მიმდინარე ორთა ბრძოლაში. კასიმ-ფაშას მტრული პოლიტიკით უკმაყოფილო ქალაქის თავკაცების უმეტესობამ მორჩილ მოსახლეობასთან ერთად კვლავ დაუდის მხარეზე იწყო გადასვლა, რამაც მკვეთრად შეცვალა ძალთა თანაფარდობა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. შეიქმნა პერსპექტივა ჯერ ქალაქიდან, ხოლო შემდეგ მთელი საფაშოდან კასიმ-ფაშას გაძევებისა და მამლუქთა ერთმმართველობის აღდგენისა. ამას ახლა აშკარად გრძნობდნენ არა მარტო დაუდი და მისი მომხრეები, არამედ მოწინააღმდეგენიც. ამიტომ მოსალოდნელი საშიშროების თავიდან აშორების მიზნით, კასიმ-ფაშამ გადაწყვიტა დაესწრო ბაღდადის საფაშოს გამგებლისათვის და აჯანყების დაწყებამდე მოეკლა იგი, რისთვისაც, ღამით, მოულოდნელად გავიდა სასახლიდან, ჩაჯდა ნავში და მდ. ტიგროსით გაემართა იმ შენობისაკენ, სადაც დაუდი ეგულებოდა. მაგრამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. სალიჰ-ბეგმა, რომლის ბინაზე დაუდთან ამ დროს უკვე თავი მოეყარათ მის მომხრე ამირებსა და ქალაქის სხვა დიდებულებს, მეორე დღისათვის დანიშნული აჯანყების გეგმის დასაზუსტებლად'—კასიმის მუქარის პოლიტიკას აღმოსავლური დიპლომატიისათვის ნიშანდობლივი დაშოშმინების პოლიტიკა დაუპირისპირა. დროის გახანგრძლივების თვალსაზრისით და მოსალოდნელი უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით, მან ღამით (მოულოდნელად) კარზე მომდგარ კასიმს პირდაპირ უარი კი არ უთხრა, არამედ დაუწყო მტკიცება, რომ მისი ბრძანების შესრულება, ე. ი. დაუდის მოყვანა-გადაცემა, დღისით აჯობებდა. „თუ ეს კაცი თქვენთვის ჯერ არ ჩამიბარებია, — არწმუნებდა იგი ფაშას.—ეს იმიტომ, რომ ვიცი მოკვლა გსურთ. ამბობენ, მას ბევრი სიმდიდრე აქვს; მე რომ ახლა დაგითმოთ, დაიწყებენ ლაპარაკს, თითქოს მისი ქონება ჩვენ გავინაწილეთ და ანგარიშს მოგვთხოვენ, რაც მრავალ უსიამოვნებას მოგვაყენებს. რაკი თქვენ დაჟინებული გაქვთ, ხვალამდე მაინც დაიცადეთ, რომ ეს სიმდიდრე გადმოგცეთ დღისით, დივანისა და მოლების თანდასწრებით ისე, როგორც მე ჩამაბარეს; რომ მე დამიბრუნონ ის აქტი, რომელზეც ხელი მოვაწერე და პასუხისმგებელი ვარ"[2].

ეს სიტყვები ისეთი დამაჯერებელი ტონით იყო თქმული, რომ სალიჰ-ბეგის გულწრფელობაში კასიმ-ფაშას ეჭვიც არ შეჰპარვია. ამასთან, განსაკუთრებით ის მოეწონა, რომ სალიჰი დაუდ-ფაშასა და მთელი მისი სიმდიდრის გადაცემას დივანის წევრებისა და მოლების თანდასწრებით აპირებდა. ე. ი., იმათი თანდასწრებით, რომელთა თავიდან მოშორება კასიმს ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში ისევე უნდოდა, როგორც ყველა მამლუქისა. ამიტომ მიიღო სალიჰ-ბეგის თხოვნა და სასახლეში დაბრუნდა, რათა ყველაფერი ისე მოეწყო, რომ დაუდ-ფაშას გადაცემის ცერემონიალის დროს ყველა იქ მყოფი დიდებუ-

[1] C j. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 187—188.

[2] იქვე, გვ. 187; ამასვე აღნიშნავს აღ-'აზზავიც (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 313).

ლი ადგილზე გაეჭლიტა, მაგრამ მოტყუვდა მაშინ, როცა შინ დაბრუნებული კასიმი სხვისი განადგურების გეგმას აწყობდა და ამისათვის დამსჯელი რაზმების გადაადგილებას აწარმოებდა, სალიჰ-ბეგის ბინაზე თავმოყრილ დაუდის მომხრეთა თათბირმა უკვე მუშაობა დაამთავრა და კასიმს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა; საერთო ხსნის მიზნით, მეორე დღესა დაუდისა და მისი სიმდიდრის გადაცემის დროს, კასიმი უნდა მოეკლათ.

ამრიგად, 1831 წლის 12 ივნისს, ღამით, ერთდროულად, შემუშავებული იქნა ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ორი ბანაკის ორი შავბნელი გეგმა, რომელთა განსახორციელებლად თითოეული მათგანი მოუთმენლად ელოდა გათენებას.

დილით, 13 ივნისს, როგორც ეს დათქმული ჰქონდა სალიჰ-ბეგთან, კასიმ-ფაშამ დივანის შეკრება ბრძანა. რამდენიმე წევრი, ვინც კასიმ-ფაშას განზრახვა ჯერ არ იცოდა, დაძახებისთანავე გამოცხადდა სასახლეში. დანარჩენები, ვისი დასწრების გარეშეც დაუდის გადაცემა ვერ შედგებოდა, განგებ იგვიანებდნენ. ისინი აჯანყებულთ ელოდებოდნენ და ფაშასთან მხოლოდ მაშინ იწყეს სათითაოდ მისვლა, როცა უკვე დაუდის მომხრე (ქალაქის) მოსახლეობისაგან შემდგარმა შეიარაღებულმა ჯგუფებმა: მამლუქთა ჯარმა და უგაილებმა მოწინააღმდეგისაოვის სრულიად შეუმჩნეველად, სასახლის გარშემორტყმა დაამთავრეს[1] და იერიშზე გადასვლა დააპირეს.

დივანის წევრთა უმრავლესობის დროზე გამოუცხადებლობით კასიმ-ფაშას გეგმა (მათი ერთბაშად განადგურების შესახებ) ჩაიფუშა, რამაც მოთმინებიდან გამოიყვანა იგი და გადაწყვიტა, ვინც უკვე მოსული იყო, იმათ მაინც გასწორებოდა. მაგრამ ამ დროს აჯანყებულებმა სასახლეზე შეტევა დაიწყეს, კასიმი მათთან ბრძოლაში ჩაება და ამრიგად, მისი ეს ახალი განზრახვაც განუხორციელებელი დარჩა.

მორიგი, უფრო სერიოზული წარუმატებლობა კასიმ-ფაშამ აჯანყებულებთან ბრძოლაში განიცადა. ერთი დარტყმით მოწინააღმდეგის მოშლა ვერ მოახერხა. ბრძოლამ ხანგრძლივი ხასიათი მიიღო, რაც აჯანყებულთ უფრო აწყობდა. ვიდრე სიმაგრეში მყოფ მის გარნიზონს. აჯანყებულებმა პირველი იერიშით სასახლის აღება ვერ შეძლეს, მაგრამ ის მაინც გააკეთეს, რომ მტკიცე ალყა შემოარტყეს ციხე-ქალაქს, საიმედოდ ჩაკეტეს მასში შესასვლელი ყველა გზა და ამით მტერს მოუსპეს როგორც სურსათ-სანოვაგის, ისე სამხედრო საჭურველისა და მაშველი ძალების მიღების ყოველგვარი შესაძლებლობა, თვითონ კი ყოველდღე ახალ-ახალ ასეთ შევსებას ღებულობდნენ.

ყოველივე ამან თავიდანვე გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. როგორც კი ციხე-სიმაგრეში ჩაკეტილ რაზმებს საკვები და საომარი მასალა შემოაკლდათ, ბრძოლაზე გული აიყარეს, იარაღი დაყარეს და მოწინააღმდეგის ბანაკს მიაშურეს.

---

[1] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 269; ა ლ-ა ზ ზ ა ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 314.

ყველაზე ადრე ეს ბაღდადის დასავლეთ ნაწილში განლაგებულმა რვაასმა უგაილელმა და მათმა უფროსმა სერ ჩეჩმე მოლა ჰუსეინმა დაიწყო. შემდეგ მათ დერვიშ-აღას, 'ალი ჯენაბ-ეფენდისა და სადიკ-ბეგის რაზმებმა მიბაძეს. ხოლო ბოლოს ქალაქის ციხისთავიც ასე მოიქცა. ამ უკანასკნელის ღალატის შემდეგ აჯანყებულნი ციხე-სიმაგრეში შევიდნენ და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ სასახლეს დაეუფლნენ.

აჯანყებულთა მიერ სასახლის დაკავებით კასიმ-ფაშას გამგებლობის ხანა დასრულდა. კასიმი და მისი ლაშქრის მეომართა უმრავლესობა ბრძოლაში დაეცა[1], ხოლო სხვებმა, ვინც სიკვდილს და დატყვევებას გადაურჩა, სასახლე გაძარცვეს, ცეცხლი წაუკიდეს[2] და ისარგებლეს რა იმითი, რომ აჯანყებულებს ციხე-სიმაგრიდან გასასვლელი იმამ აზამის კარები ემეთვალყურეოდ ჰქონდათ მიტოვებული, სულეიმან ულ-ღანჰისა და ჰაჯი ბექირ-აღას წინამძღოლობით თავს გაქცევით უშველეს.

## აჯანყებულთა შემდგომი საქმიანობა მამლუქთა რეჟიმის გადასარჩენად ერაყში

კასიმ-ფაშა 'უმარის და მისი შეიარაღებული ძალების სრული განადგურება აჯანყებულთა ჰეშმარიტად სერიოზული წარმატება იყო. ამის შედეგად მათ თავიდან აიცილეს ფიზიკური მოსპობის საფრთხე, რასაც კასიმი უმზადებდა; დაპყრობას გადაარჩინეს არაბული ერაყი და ამასთანავე მნიშვნელოვნად გაზარდეს თავიანთი რიგები. ადგილობრივი მოსახლეობის ყველა რჯულისა და

[1] H. H. Муравьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

სულეიმან ბეგის გადმოცემით, კასიმ-ფაშა დაუტყვევებიათ და შემდეგ მოუკლავთ. ა. ნ. გროვესის თქმით, იგი მოუხერჩიათ, ხოლო „მოსულის კალენდარში“ მითითებულია, რომ ეს დაუდს უნდა ჩაედინოს (იხ. S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 269). მაგრამ „მოსულის კალენდრისაგან“ განსხვავებით 'აბას ალ-'აზზავი აღნიშნავს, რომ კასიმი დაუდის ხელით კი არ დაღუპულა, არამედ ამ უკანასკნელის დაჟინებითი მოთხოვნის საფუძველზე სხვას მოუკლავს ('აბას ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 315—316), რაც პროფესორ ანი-სინა ალ-ალვასის „კრებულის“ მიხედვით, მომხდარა 1247 წლის 3 მუჰარამს. ე. ი. 1831 წ. 15 იენისს ქრისტეს აქეთ (აბას ალ-'აზზავი. დასახ. ნაშრომი, გვ. 316). ჯ. ბ. ფრეზერის გადმოცემის თანახმად, კასიმ-ფაშას გვამი შემდეგ ჰაში ჩაუგდიათ (J. B. Fraser, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 262).

[2] ალ-'აზზავის დასახ. ნაშრ., გვ. 315. დაუდის ისტორიკოსის, თაბით-ეფენდის ცნობით, სასახლეში ინახებოდა მონეტების დიდძალი მარაგი, ოქროსა და ვერცხლის ლარნაკები, ძვირფასად მოჭედილი იარაღი: ხმლები, დამბაჩები და კავკასიური ხანჯლები, წასაღებად გამზადებული ბარგი-ბარხანა (ჩემოდნები, ჩანთები), რომელშიც ელაგა ოქროთი და ძვირფასი ქვებით მოოქვილი ნივთები, მარგალიტები, რუხი ამბრა, თოფები და სხვა ცეცხლმსროლი იარაღი. აგრეთვე, ბევრი იშვიათი და არაჩვეულებრივი საგნები და ძვირფასი ჭურჭლეული ჩაწყობილი სკივრებში (Cl. Huart, დასახ. ნაშრ., გვ. 189—190). დაუდის სასახლის სიმდიდრე-ბრწყინვალებაზე მოგვითხრობენ აგრეთვე იმ დროს ბაღდადში მყოფი ევროპელებიც. ოშე-ლუას გადმოცემით, ოქრო, მარგალიტები და ძვირფასი ქვები ბრწყინავდნენ ირგვლივ. მის მეუღლეებს,

სოციალური კატეგორიის წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი გამაჰმადიანებული ქრისტიანები ანუ „თურქები“[1], რომლებსაც აქამდე თავიანთი გამგებლის გამარჯვების იმედი აღარ ჰქონდათ და ნეიტრალური პოზიცია ეკავათ,—კასიმ-ფაშას დამარცხების შემდეგ ამბოხებულებს მიემხრნენ და საჯაროდ იფიცებოდნენ, რომ მათთან ერთად თავდადებით იბრძოლებდნენ დაუდ-ფაშას ხელისუფლების დასაცავად[2].

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, საგრძნობლად აუმჯობესებდა დაუდისა და მის თანამოსაქმეთა მდგომარეობას, მაგრამ ძალაუფლების შესანარჩუნებლად სრულიადაც არ კმაროდა. მთავარი მოწინააღმდეგენი ოსმალეთის იმპერიის ცენტრალური მთავრობა და ამ უკანასკნელის ნება-სურვილის აღსასრულებლად ერაყს მოვლენილი ‘ალი რიზა-ფაშა, რომელიც ბაღდადის საფაშოს უნდა დაპატრონებოდა, ჯერაც დასამარცხებელი იყვნენ. მათ დასამარცხებლად აჯანყებულთ ძალა არ შესწევდათ, ხოლო ისე, დაუდის ხელისუფლების განმტკიცებასა და გარედან მტრის ხელყოფისაგან ერაყის დაცვაზე ფიქრი შეუძლებელი იყო. მაშასადამე, აჯანყებულთა მდგომარეობა კასიმ-ფაშა ‘უმარის თავიდან მოშორების შემდეგაც მეტად უიმედო რჩებოდა. ამას კარგად გრძნობდნენ აჯანყების მოთავენი და რაკი მოძალებული მტრისაგან თავდაცვა საკუთარი ძალებით აღარ შეეძლოთ, ხოლო გარედან არავითარი დახმარების იმედი არ ჰქონდათ, იძულებული ხდებოდნენ შეეცვალათ როგორც პოლიტიკა (დამოუკიდებლობისა—დამოკიდებულით), ისე ტაქტიკა (შეიარაღებული ბრძოლისა—შეიდობიანით) და დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკება სულთანთან.

სწორედ ამ მიზნით, კასიმ-ფაშას დამარცხებისთანავე, დაუდმა „ხალხის სახელით“ შეადგინა სტამბოლს გასაგზავნი თხოვნის ქაღალდი—პეტიცია, შემდგარი სამი ძირითადი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში (შესავალი), რომელიც დაუდის და მის თანამოსაქმეთა თავის მართლების მიზნით შეიცავდა ახსნა-განმარტებას იმისას, თუ რატომ, რა ვითარებაში მოხდა კასიმის მკვლელობა, ნათქვამი იყო: „...თავიანთი ხელმწიფის ნების მორჩილ ბაღდადის ადგილობრივ მოსახლეობას დაუდ-ფაშა პატიმრობაში ჰყავს; რომ კასიმ-ფაშა ქალაქში შევიდა მათი მიწვევით, მაგრამ გახდა მსხვერპლი აღშფოთებისა, რამაც იფეთქა სულთნის ჯარების მიერ ჩადენილი ძალადობის გამო“[3]. მეორე ნაწილში უკვე ჩამოყალიბებული იყო ამბოხებულთა ძირითადი მოთხოვნები. კერძოდ, მასში აღ-

მონა-მსახურებს და მეომრებს თავიანთი ტანსაცმლის სიმდიდრით გაოცებაში მოჰყავდა ყველა (იხ. მისი ციტირებული ნაშრომი, გვ. 325). როგორც სასახლე, ისე მასში დაცული მთელი სიმდიდრე, რომლის წაღება მძარცველებმა ვერ მოასწრეს, ცეცხლმა შთანთქა.

[1] ევროპულ ლიტერატურაში ხშირად სიტყვა „გათურქება“ გამუსლიმანების, ხოლო „თურქი“ გამუსლიმანებული ქრისტიანის მნიშვნელობითაა ნახმარი. ასეთი მნიშვნელობით ხმარობენ ამ სიტყვებს, მაგალითად, კლ. უარი (იხ მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 190) და ვ. ფონტანიე (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 326).

[2] Cl. Huart. დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

[3] Н. Н. Муравьев, დასახ. ნაშრომი. გვ. 43—44.

ნიშნული იყო, რომ „ბაღდადის დროებითი გამგებლობა გადაეცა სალიმ-ბეგს[1] და დაბეჯითებითი თხოვნაა აღდგენილ იქნას ძველი მმართველი, ანდა უკიდურეს შემთხვევაში, დამტკიცდეს მის ადგილზე (უკვე) არჩეული სალიმი"[2].

მესამე ნაწილში ჩამოთვლილი იყო ვალდებულებანი, რასაც კისრულობდნენ დაუდი და მისი ხელქვეითი ბაღდადის მთელი საფაშოს მოსახლეობა. ისინი პირობას დებდნენ, რომ, თუ იმპერიის ცენტრალური მთავრობა მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა, ერთბაშად გაუგზავნიდნენ 20 000 ბურსს[3] ნაღდი ფულით; მთლიანად დაუფარავდნენ იმ ხარჯებსაც, რაც 'ალი რიზა-ფაშას სამხედრო ექსპედიციას დასჭირდა და ამას გარდა, გადაიხდიდნენ კონტრიბუციის სახით გადასახდელ 2 000 ბურსის ნაცვლად 10 000 ბურსს. მაგრამ კისრულობდნენ რა ამ ვალდებულებებს, იქვე შენიშნავდნენ, რომ უკეთუ სულთანი უარს იტყოდა მათ მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების შესრულებაზე, კერძოდ კი ბაღდადის საფაშოს გამგებლად დაუდის დატოვებაზე, ანდა მის ადგილზე სალიჰ-ბეგის დანიშვნაზე, ასეთ შემთხვევაში ეს ვალდებულებანი მექანიკურად დაკარგავდნენ ძალას და აჯანყებულნი მთელი შესაძლებლობით ეცდებოდნენ თავიანთი ინტერესების დაცვას[4].

როგორც ზემოთ მოტანილი პეტიციის შინაარსიდან ჩანს, ბაღდადის გამგებელი, დაუდი სერიოზულ დათმობაზე მიდის. ამიერიდან მის ამოცანას იმპერიისაგან დამოუკიდებელი ერაყის ანუ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბედნიერი ბაბილოვანის" სამეფოს შექმნა კი აღარ შეადგენს, არამედ მხოლოდ ის, რომ როგორმე შეინარჩუნოს ბაღდადის საფაშოს ერთიანობა და ამ საფაშოზე თავისი ან, თუ თავისი არა, სხვა რომელიმე მამლუქის გამგებლობა. ე. ი., სრულ დამხობას გადაარჩინოს მისი დიდი წინამორბედი ქულემენი ფაშების — სულეიმან აბუ ლაილის (1749—1762 წწ.) დაწყებული, ხოლო სულეიმან ბუიუქის (1780—1802 წწ.) მიერ მტკიცედ დამკვიდრებული მამლუქთა მმართველობა, მათი რეჟიმი.

მაგრამ ამ საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტა ახლა მარტო დაუდის ზრუნვის ობიექტს როდი შეადგენდა. ამაზე ფიქრობდნენ აგრეთვე მაჰმადის რჯულზე მოქცეული ყველა ქრისტიანი და ქალაქის დანარჩენი მოსახლეობა. ისინი, ვინც ქასიმ ფაშას ბოროტგანზრახულებათა გამოაშკარავების შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ სტამბოლიდან გამოგზავნილი ახალი მმართველის ხელში

[1] უნდა იყოს სალიჰ-ბეგი.

[2] Н. Н. Муравьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 44; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

[3] برسی (ლათ.)—ქისა, ფულის რაოდენობის აღმნიშვნელი ტერმინი ოსმალეთში. ერთი ბურსი ანუ ქისა უდრის 500 პიასტრს, პიასტრი —40 ფარას; ფარა კი სპარსულად წერილ ხურდა ფულს ჰქვია და დაახლოებით შეადგენს ვერცხლის კაპიკის 0,6 ნაწილს.

[4] 'აბას ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 317; Cl. Huart, დასახ. ნაშრ., გვ. 191. უარი სარგებლობს თაბით ეფენდით, რომელიც პირადად გაეცნო აღნიშნული პეტიციის ტექსტს სტამბოლში. რაც შეეხება აზზავის, მის პირველწყაროს წარმოადგენს مرآة الزوراء და حديقة الوزراء

მათი მდგომარეობა უფრო გაუარესდებოდა[1], ვიდრე მამლუქი ფაშების დროს იყო. ამიტომ მათ მხარი დაუჭირეს დაუდის ამ ახალ ინიციატივას, მიიღეს მის მიერ შემუშავებული პეტიცია და თავიანთი დასტურით (ხელის მოწერით), ის სულთან მაჰმუდ II გაუგზავნეს.

ამავე დროს ეს ამბავი 'ალი რიზასაც შეატყობინეს. სპეციალური კაცის ხელით გაგზავნილ წერილში მოახსენებდნენ კასიმის მარცხის მიზეზებსა და იმპერიის მპყრობელისადმი გაგზავნილი პეტიციის შესახებ. ამასთან სთხოვდნენ, რომ სტამბოლიდან პასუხის მიღებამდე, ხელი აეღო საომარი მოქმედების გაგრძელებაზე და ბაღდადის საფაშოს გამგებლის პოსტის დაკავებაზე, თორემ სულერთია, ქალაქში არ შეუშვებდნენ.

'ალი-ფაშასთან ეს წერილი მამლუქების ემისარს სუფიან ეფენდის მოუჭონდა. რაც შეეხება სულთანთან გაგზავნილ პეტიციას, მისი ერთი ცალი დამასკოს გზით მოჰქონდათ, ხოლო მეორე ცალი ინგლისის გენ. კონსულმა პოლკოვნიკმა ტეილორმა თეირანში გაგზავნა, რათა იქიდან ის სტამბოლის საელჩოში გადაეგზავნათ და სულთნისათვის ჩაებარებინათ.

ამ დოკუმენტებზე დიდ იმედს ამყარებდნენ აჯანყებულნი: დაუდ-ფაშა და მისი მომხრენი. მათი ღრმა რწმენით, ფინანსური კატასტროფის წინაშე მდგომი ოსმალეთის იმპერიის მებრძანებელი უარს არ იტყოდა პეტიციაში ჩამოყალიბებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ხოლო თუ ეს ასე მოხდებოდა, მაშინ თავიდან აიცდენდნენ საშიშ შედეგებს, ქვეყნის ნგრევა-აოხრებას, ძალაუფლების დაკარგვას და ფიზიკურ მოსპობას. რაკი სრულ მორჩილებას ვუცხადებთ, — ამბობდნენ ისინი, — იმედია შეგვიწყალებენ და „მარტო 'ალი რიზას გულისათვის [რომელსაც ბაღდადის საფაშოს ვალიდ გახდომა ეწადა] მთავრობა მთელი პროვინციის განადგურებას არ მოისურვებსო"[2]. მაგრამ სტამბოლში ასე როდი ფიქრობდნენ. მაჰმუდ II დიდი ხანია ქულებენების ბატონობის დამხობა სურდა[3] და რადგან ახლა ისინი ორივე მუხლზე წამოჩოქებული ნახა, უკან

---

[1] თუ რაოდენ მართალნი იყვნენ ისინი, ამას ქვემოთ დავინახავთ.

[2] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

[3] ეს იდეა მაჰმუდ II მემკვიდრეობით მიიღო სელიმ მესამისაგან. პირველად მან განიზრახა მამლუქთა სრული განადგურება და კავკასიიდან ტყვეების ყიდვის აღკვეთა, რადგან, როგორც მას, ისე მისი დივანის წევრებს ეგონათ. რომ იმპერიის დაუძლურების ერთადერთი მიზეზი ქართველი მამლუქების ბატონობა იყო. მისმა ასეთმა მოსაზრებამ მხატვრულ ნაწარმოებებშიაც პოვა ასახვა. აი როგორ მსჯელობს იასე რაჭველის მოთხრობის „მეექვსე ნომრის" ერთ-ერთი თურქი: „ცოტა ჩვენ ახლა ამ სულთანის ხელში იძულებული გავხდით ქართველებისათვის ბევრი რამის ნება მიგვეცა, თორემ ამ ორმოცდაათი წლის წინეთ... როგორ შეეძლო რომელიმე ქართველს... ან სიგარა მოეწია, ან აშკარად საჭმელი ეჭამა. ასეთები გახლდით ჩვენ და ახლაც ისეთი ღონივრები ვიქნებოდით, რომ სულთან სელიმის აზრი—ქართველების მთლად ამოწყვეტა — გაგვეხორციელებია" (იასე რაჭველი, „მეექვსე ნომერი", თბილისი, 1897 წ. გვ. 38).

დახევას აღარ აპირებდა. მან მათი მოსპობა ბრძანა და 'ალი რიზასაც აცნობა, რაც შეიძლება დაეჩქარებინა ეს საქმე.

## აჯანყებულების დამარცხება და 'ალის მიერ ბაღდადის აღება

როგორც კი ქ. მოსულში მყოფმა 'ალი რიზამ შეიტყო, რომ მის მოადგილეს კასიმს ბაღდადი უომრად დანებდა, მაშინვე კარვები აშალა და თვითონაც ამ ქალაქისაკენ გასწია. მაგრამ ის იყო მდინარე დიდი ზაბის სანაპირომდე მიაღწია და მასზე გადასასვლელად ემზადებოდა, რომ ამ დროს (დასახლებულ პუნქტ ჰარნუკში) სუფიან-ეფენდი ეწვია და დაუდის წერილი გადასცა. ამ წერილით, აგრეთვე მამლუქთა ემისრის ზეპირი განცხადებით, პირველად გაიგო როგორც კასიმ -ფაშას დამარცხება-დაღუპვის ამბავი, ისე ისიც, რომ ამბოხებულ დაუდს უკვე სულთნისათვის თხოვნის ქაღალდით მიუმართავს და მისგან (რაიმე) პასუხის მიღებამდე ძალაუფლების დათმობას ნებით არ აპირებდა.

დაუდ-ფაშას წერილის შინაარსმა 'ალი-რიზა სერიოზულად ჩააფიქრა. იოლი გამარჯვების იმედი საბოლოოდ გაუნელდა. იგი დარწმუნდა, ჯერ ერთი, იმაში, რომ კასიმ-ფაშას დამარცხების გამო ბაღდადი ხელახლა ასაღები იყო და ამის გამო სათანადოდ მომზადების გარეშე წინსვლა აღარ შეიძლებოდა და მეორე, თუკი მაჰმუდ II დაუდის თხოვნას დააკმაყოფილებდა, რაც 'ალის აზრით გამორიცხული არ უნდა ყოფილიყო, მაშინ ეს უკანასკნელი ბაღდადის ფაშად გახდომის შესაძლებლობას კარგავდა. ამიტომ, ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ე. ი. ბაღდადის ვალად გახდომის შესაძლებლობა რომ არ წართმეოდა, 'ალიმ გადაწყვიტა სასწრაფოდ შეეკრიბა ახალი ლაშქარი და დაეკავებინა ერაყი მისი დედაქალაქითურთ მანამდე, სანამ ის დაუდ-ფაშას პეტიციის პასუხად სტამბოლიდან განკარგულებას მიიღებდა.

ასეთი განზრახვით, სწრაფად გადაიყვანა თავისი ჯარი მდ. ზაბზე, დაიკავა ქ. ერბილი, გაიმრავლა იქ ლაშქარი და ამის შემდეგ, კურსი პირდაპირ ბაღდადისაკენ აიღო.

სტიქიისა და ეპიდემიისაგან გაუკაცრიელებულ ქვეყანაში მტრისათვის ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა და შეჩერება აღარავის შეეძლო. ამიტომ ლაშქრობა იმდენად შეუფერხებლად მიმდინარეობდა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ 'ალი რიზა უკვე არაბული ერაყის ტერიტორიაზე გამოჩნდა და მისი მიწა-წყლის დაპყრობას შეუდგა. 7 ივლისს[1], ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ, იმამ აზა-

[1] Н. Н. Муравьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 44. ს. ჰ. ლონგრიგის მოსაზრება, რომ 'ალი-ფაშამ ბაღდადს მიაღწია ივნისის დასაწყისში (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 270) არ არის სწორი.

მის ციხე-სიმაგრე აიღო. მერე უშუალოდ ბაღდადს მიადგა, და მასზე იერიშის მისატანად 15 000-იანი არმია[1] აზამიეს ველში განალაგა.

როგორც უკვე ვთქვით, ბაღდადში ამ დროს ყველა დარწმუნებული იყო, რომ სტამბოლის სულთნის სახელზე გაგზავნილი წერილის პასუხის მიღებამდე 'ალი რიზა საომარი მოქმედების გაგრძელებაზე თავს შეიკავებდა. ამდენად მისი ლაშქრობა მოულოდნელი იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, მტრის მოახლოება ქალაქში დროზე შეიტყვეს და შეძლებისდაგვარად თავდაცვისათვის მოემზადნენ. მცველმა რაზმებმა მოწინააღმდეგეს ქალაქში შესასვლელი კარები ჩაურაზეს, დაუდმა კი სასწრაფოდ თავკაცების — „ულემების (მუსლიმანური სამართლის მცოდნეები), ქვეყნის გამოჩენილ პირთა და ჯარის მეთაურთა თათბირი" მოიწვია და მათთან ერთად კარსმომდგარ 'ალი რიზას წინააღმდეგ სამოქმედო ერთიანი გეგმა შეიმუშავა.

იცავდნენ რა 'ალი რიზა ფაშასადმი სუფიან ეფენდის ხელით გაგზავნილ წერილში ჩამოყალიბებულ პირობებს, თათბირის მონაწილეებმა დაჰგმეს სულთნის წარმომადგენლის საქციელი, გადაწყვიტეს ერთად ბრძოლა მის წინააღმდეგ და შეთანხმდნენ, რომ ამ ბრძოლაში „არ მიატოვებდნენ ერთმანეთს, არ გამართავდნენ სეპარატულ მოლაპარაკებას 'ალი-ფაშასთან და არც ერთი მათგანი არ შეუთანხმდებოდა მას". ასეთი რწმენით შეუდგნენ არტილერიის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანას, ჯარის ნაწილების თავმოყრასა და ყოველივე იმის მომარაგებას, რაც საჭიროა ომში[2]. თუ რა რაოდენობის ლაშქრის შეგროვება შეძლეს მათ ჟამიანობისა და წყალდიდობისაგან დაქცეულ ქვეყანაში, ამის ზუსტად თქმა ძნელია. „მარათ აზ-ზავრა'-ში" არსებული ცნობების მიხედვით, „როცა 'ალი-ფაშამ ომის დაწყება გაბედა, დაუდს ჰყავდა დაახლოებით 800 ჯარისკაცისა და ოფიცრისაგან შემდგარი „ნიზამის" ქვეითი რაზმი, რომელიც სალიჰ-ბეგს ებარა, 600—700-კაციანი მსახურთა ცხენოსანი ლაშქარი და 500 ყუკაილელისაგან შემდგარი ქვეითი რაზმი"[3]. სულ 1700 ჯარისკაცი და მეთაური. მეტი ჯარი არ ჰყავდაო, დასძენს „მარ-ათ აზ-ზავრას" ავტორი ჰამდი-ბეგ ბაბანი[4]. მაგრამ შესაძლოა ეს შემცირებული ციფრია და ნამდვილად ბაღდადის ფაშას მეტი რაოდენობის ლაშქარი გააჩნდა. ამას გვაფიქრებინებს კლ. უარის „ბაღდადის ისტორიის" ის ადგილი, რომ იმ დროს დაუდს მარტო ბაღდადში თავმოყრილი ჰყოლია 500 კაცისაგან შემდგარი „ნიზამის" (ახალი რეგულარული არმიის) რაზმი, 1500-კაციანი რეზერვი, ქვეითების რაზმი, რომელიც მთლიანად შედგებოდა ბაღდადის გარეუბნის (მდ. ტიგროსის მარჯვენა ნაპი-

---

[1] ص — ٤٥ ،عراء الزور. (ვიმოწმებთ ალ-'აზზავის დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 319).

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

რზე მდებარე—კარშუ იაკიის[1]) მცხოვრებთაგან, უგაილთა ჯგუფი და არტილერია. სულ დაახლოებით 3000 კაცი, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ იმ 4—5 ათასს კაცს, რომელიც საფაშოს სამხრეთ რაიონებიდან უნდა მოსულიყო[2].

ფაშას ბრძანებით ეს რაზმები წყალდიდობისაგან დანგრეული ქალაქის დასავლეთ ნაწილში განალაგეს. ყუკაილის რაზმი ხაზინადარ სულეიმან-აღას მეთაურობით ქაზიმიეს კარებს დარაჯობდა; „ნიზამისა“, რომელსაც მუჰამედ-აღა წინამძღოლობდა ქარიმის კარს იცავდა; მსახურთა ცხენოსანი ჯარი მოლა ჰუსეინის განკარგულებაში იყო და ციხე-სიმაგრეში იდგა; ხოლო რჩეულ მამლუქთა ქვეგანაყოფი ბორცვებთან (ალ-რავაბი) ჩაასაფრეს. იქვე დააყენეს რამდენიმე ქვემეხიც და ამით ქალაქის ყველაზე სუსტი ადგილი, საიდანაც მტერი შემოსვლას დააპირებდა, თითქმის საიმედოდ იყო დაცული. ოღონდ, ახლა საჭირო იყო ისეთი კაცის მონახვა, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ამ შეიარაღებულ ძალებს და ვითარებისდა მიხედვით უნარიანად უხელმძღვანელებდა მათ. ასეთ კაცად ჩვეულებრივ ფაშა უნდა ყოფილიყო, რადგან ოსმალეთის იმპერიაში არსებული წესის მიხედვით პროვინციის გამგებელი—ვალი იმავე დროს მისი სამწყსო ვილაეთის ლაშქრის მთავარსარდალიც იყო[3], მაგრამ შავი ჭირის გადატანის შემდეგ დაუდი ხშირად ავადმყოფობდა და თავს ძალზე სუსტად გრძნობდა. როგორც უკვე ვთქვით, იგი თავის საცხოვრებელი ბინიდან სამუშაო კაბინეტში, სადაც საფაშოს საქმეების გაცნობა-მოგვარება ხდებოდა, ხელით შემოჰყავდათ, თანაც რამდენიმე საათით და ისიც კვირაში ორჯერ ან სამჯერ. ცხადია, ასეთი მუშაობით ავადმყოფი ფაშა თავს ვერ გაართმევდა იმ რთულ ამბებს, რომელიც საფაშოში და მის დედაქალაქ ბაღდადში შეიქმნა 'ალი რიზას ლაშქრობის გამო. ამიტომ მან დივანთან წინასწარი შეთანხმებით შეიარაღებული ძალების სარდლობა თავის ნათესავს, ბაღდადში იმ დროს ყველაზე ავტორიტეტულ ალ-ჰაჯ სალიჰ-ბეგს გადაულოცა და (ამავე დროს) თანაშემწედაც (კაიმაკამად) ის დანიშნა[4], რათა სხვა საქმეებისათვის თვალყური ედევნებინა და საფაშოს ზიანი არ მისცემოდა.

---

[1] قارشو بقي — მოპირდაპირე ნაპირი.

[2] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 192, 196.

[3] ფაშას უფლება-მოვალეობისა და პროვინციების მართვა-გამგებლობის სისტემის შესახებ იხ. მ. სვანიძის ნაშრომი, ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფა („მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, თბ., 1963, გვ. 105—107).

[4] ნ. ნ. მურავიოვი დაუდ-ფაშას ამ გადაწყვეტილებას იმითაც ხსნის, რომ ამბოხებულის ძალაუფლება „ხალზე უკვე თანდათან ეცემოდა“ და წინასწარ ხედავდა „თავის აუცილებელ დაღუპვას“ (Н. Н. Муравьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 44). ამასთან, მისი აზრით, ეს გადაწყვეტილება ფაშას უნდა მიეღო არა 1831 წლის ივლისში, არამედ უფრო ადრე, როცა ქალაქს კასიმ-ფაშა მოადგა (იხ. იქვე), მაგრამ არც ერთი არაბული წყარო სალიჰ-ბეგს ამ დროს მოადგილედ არ იხსენიებს. ამ თანამდებობაზე ის პირველად მხოლოდ 'ალი-რიზას მოსვლის დროიდანაა მოხსენებული (იხ. ٤٥—ص ،مرآة الزوراء ، რომელსაც ისე, როგორც ყველგან, აქაც ვეთითებთ ალ-'აზზავის დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 321).

სალიჰ-ბეგმა დანიშვნა მიიღო თუ არა, ქვეყნის თავდაცვას სათავეში ჩაუდგა და მინდობილი საქმის შესრულებას მაშინვე მონდომებით შეუდგა. იგი იმ რწმენით მოქმედებდა, რომ პირველი რიგის გადაუდებელი ამოცანა რაც შეიძლება მალე გადაეჭრა და მცირე მსხვერპლის გაღებით მტერზე გამარჯვება მიეღწია, მაგრამ ამისათვის სურვილის გარდა, საჭირო იყო აგრეთვე სათანადო ჰკუა-გონება და გამბედაობაც, რაც მას სამწუხაროდ საკმაო რაოდენობით არ აღმოაჩნდა. სამხედრო ხელოვნებაში გაუწაფავი სალიჰ-ბეგი ომის წარმოების სტრატეგიასა და ტაქტიკაში ჯეროვნად ვერ ერკვეოდა, მოვლენებისა და მათი განვითარების არსს ღრმად ვერ სწვდებოდა, სწორ დასკვნებს ვერ აკეთებდა და ყოველივე ამის გამო თავიდანვე მცდარ გზას დაადგა. ძალების მოკრების, მოწინააღმდეგეზე იერიშის მიტანისა და მისი დამარცხების ნაცვლად, სალიჰ-ბეგმა, საკუთარი ძალების შენარჩუნების მიზნით, თავდაცვითი ვარიანტი აირჩია, რითაც მისდა უნებლიედ მტერს ხელი შეუწყო და გააძლიერა. საქმე ისაა, რომ იმ დროს გზები, რომლებითაც ქალაქის გარნიზონსა და მოსახლეობას სურსათ-სანოვაგის, სამხედრო მასალისა და მაშველი ძალების მიღება შეეძლოთ 'ალი რიზას ხელში იყო. ბაბ აშ-შარკის (აღმოსავლეთის კარების) მისადგომებთან უკვე სა'დუნ-აღას რაზმი იდგა, ბაბ ულ-ჰილესთან (ჰილეს კარებთან) კი—სულეიმან ღანამისა[1]. ასე რომ, ბაღდადისაკენ მიმავალი გზები შეკრული აღმოჩნდა, ქალაქის კომუნიკაცია გარე სამყაროსთან დარღვეული და, რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში 'ალისათვის გადამწყვეტი იყო დროის ფაქტორი, რათა ქალაქში არსებული სურსათ-სანოვაგის და საომარი მასალების მარაგი ამოწურულიყო, ჯარის ნაწილებსა და მოსახლეობაში შიმშილი დაწყებულიყო, უპუროდ და უიარაღოდ დარჩენილ მეციხოვნეთა რაზმებს უარი ეთქვათ ბრძოლის გაგრძელებაზე და დანებებულიყვნენ. ამიტომ ისიც ერთ ადგილას იდგა და ხელსაყრელი მომენტის დადგომამდე შეტევის დაწყებას არ აპირებდა.

ასე იდგნენ მოწინააღმდეგეთა არმიები ერთმანეთის პირისპირ და რამდენიმე ხნის განმავლობაში თვალით ზომავდნენ ერთურთს. მაგრამ ბოლოს მყუდროება მეციხოვნეთა მხრიდან სწორედ იმის გამო დაირღვა, რომ შეწყდა ქალაქში სურსათ-სანოვაგის შეზიდვა, გათავდა იქ არსებული მარაგი, დაიწყო შიმშილობა და შემდეგ—მღელვარებაც. მოსახლეობის ფართო ფენები, რომლებიც სხვაზე ღარიბად ცხოვრობდნენ, ყველაზე მეტად გრძნობდნენ მოსალოდნელი უბედურების მოახლოებას და სურდათ, რომ ხელისუფლება საქმის კურსში ჩაეყენებინათ. მათი წარმომადგენლები სალიჰ-ბეგის ხშირი სტუმრები გახდნენ, მოახსენებდნენ ბაღდადში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ და ამავე დროს რჩევას აძლევდნენ მას, დაუყოვნებლივ დაეწყო შეტევა, რათა ქალაქი ალყისაგან განთავისუფლებულიყო და მოსახერხებელი გამხდარიყო მასში პროდუქტების შეუფერხებლივ შეტანა[2].

---

[1] ა ლ-'ა ზ ზ ა ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 320.

[2] ი ქ ვ ე.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ, სალიჰ-ბეგი თვითონაც დარწმუნდა, რომ რჩევა-დარიგების უყურადღებოდ დატოვება 'ალი-რიზა ფაშას გამარჯვების დაჩქარებას უდრიდა და ამიტომ იერიშზე გადასვლის თადარიგს შეუდგა. თავისი გარნიზონის 2500-კაციანი რაზმი, რომელშიც 1500 ქართველი[1] იყო, მოლა ჰუსეინს გადასცა და თან სულეიმან ალ-ღანამის მიერ დაკავებული ჰილეს კარების მისადგომების განთავისუფლება უბრძანა. მეორე ასეთი რაზმი ჰასან-აღას მეთაურობით საიდ-ფაშას ბაღში განლაგებული მოწინააღმდეგის საარტილერიო ბატარიების მოსასპობად დაძრა, ხოლო მეფრინველეთა უფროსის (რა'ის ულ-კავშაჯი) ვაჟს, გოლიათური მოყვანილობის იბრაჰიმ-აღას (რჩეული ცხენოსანთა ასეულით) ამოცანად იმამ აზამის გზაზე დაყენებული ქვემეხების მოშლა დაუსახა.

მეციხოვნეთა შეტევაზე გადასვლა მოლა ჰუსეინის რაზმის იერიშით დაიწყო და პირველ ხანებში წარმატებით მიმდინარეობდა. 'ალი-ფაშას სარდლები, მათ შორის სულეიმან ალ-ღანამი ამბოხებულთა ასეთ უეცარ თავდასხმას არ მოელოდა და მას მოუმზადებელი დახვდა, თავდამსხმელთა შეკავება ვეღარ შეძლო, დამარცხდა და დიდად დაზარალებული უკუიქცა[2].

სულეიმან ალ-ღანამზე მოპოვებული იოლი გამარჯვებით ფრთებშესხმული და ერთობ გათამამებული მოლა ჰუსეინი, ჰილეს კარების მისადგომთა გათავისუფლების შემდეგ, სოფელ იმამ მუსასთან დაბანაკებულ აბუ ბაქრ-აღას კორპუსის დასალაშქრავად გაემართა. მას დაგეგმილი ჰქონდა, რომ მტერზე თავდასხმა აქაც ღამით, თანაც მოულოდნელად, მოეწყო. მაგრამ წყალდიდობის დროიდან იქ გაჩენილი ჭაობების გადალახვა სიბნელეში ვერ მოასწრო. დღისით კი ის მოწინააღმდეგის ქვემეხების გაუვალი ცეცხლის რკალში მოექცა და იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

სამაგიეროდ, საიდ-ფაშას ბაღის მიმართულებით დაწყებული ჰასან-აღას რაზმის შეტევა წარმატებით მიმდინარეობდა. მიუხედავად მტრის რაზმების გააფთრებული წინააღმდეგობისა, მან ამ დროისათვის უკვე მოახერხა მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევა, მისი უკუქცევა, არტილერიის ხელში ჩაგდება და ტიგროსის მარჯვენა სანაპიროს მთლიანად გათავისუფლება. ასე რომ, იქმნებოდა კარგი პერსპექტივა მეციხოვნეთა ბრძოლის პირველი ეტაპიდან, ქალაქზე ალყის მოხსნას რომ ფულისსმობდა, მის მეორე ეტაპზე—მტრის საბოლოო განდევნაზე გადასასვლელად, თუკი იმამ აზამის გზის მიმართულებით მოქმედი იბრაჰიმ-აღას შეტევაც ასეთივე წარმატებით განვითარდებოდა. მაგრამ მოხდა ის, რაც სხვა დროსაც ხშირად მომხდარა ხოლმე. იბრაჰიმი, თავისი უვიცობის, ჯიუტობისა და ზედმეტი თავმოყვარეობის გამო, ამ გადამწყვეტ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა და ამრიგად, ის იმედები, რასაც, როგორც მასზე, ისე, საერ-

---

[1] ა ლ-'ა ზ ზ ა ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 321.

[2] ი ქ ვ ე.

თოდ, ამ შეტევით ოპერაციაზე ამყარებდნენ, გაქარწყლდა. კონტრშეტევაზე გადმოსულმა 'ალი რიზამ სწრაფად დაიბრუნა მეციხოვნე რაზმების მიერ გათავისუფლებული ტერიტორია, ბაღდადი კვლავ ალყაში მოაქცია და შემდეგ საფაშოს სამხრეთ რაიონების თანდათანობით დაპყრობა-შემომტკიცებას შეუდგა, რის მეოხებითაც გარემოცვაში მყოფთა მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი და უიმედო გახდა. 1831 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებისათვის ქალაქში სიღარიბემ, გაჭირვებამ და შიმშილმა ყოველგვარ ნორმას გადააჭარბა. ამასთან დაკავშირებით იმატა უკმაყოფილებამ მოსახლეობასა და არმიაში, სადაც უკვე გახშირდა დეზერტირობის შემთხვევები. რიგით ჯარისკაცებთან ერთად მოწინააღმდეგის ბანაკს უფროსებმაც მიაშურეს: ულემების კორპუსის მეთაურმა საიდ-ახმედმა, აბდ არ-რაჰმან არფალი ზადემ (ადრეარსებულ იენიჩართა კორპუსის ყოფილმა მდივანმა) და სხვებმა, რის გამოც იქმნებოდა არმიის დეზორგანიზაციის აშკარა საშიშროება. ასეთი რთული ვითარება, როცა დრო აჯანყებულთა საწინააღმდეგოდ მუშაობდა, საფაშოს ხელისუფლებისაგან მოითხოვდა დაუყოვნებლივ და ზუსტ მოქმედებას, ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მოვლენების განვითარებას სულ სხვა მიმართულებას მისცემდა და ალყაში მყოფთ საბოლოო გასაჭირისაგან იხსნიდა. მაგრამ მთავრობაც ამ დროს იმდენად დაბნეული და პარალიზებული იყო, რომ ამის უნარი აღარ ჰქონდა. ამიტომ, როცა 'ალი რიზა ერაყის სამხრეთ რაიონებს იპყრობდა, მაშინ სალიჰ-ბეგის დივანში გაუთავებელი მსჯელობა მიმდინარეობდა იმის შესახებ, თუ რა ექნათ. ნაპოლეონის ყოფილი ოფიცრის, დაუდ-ფაშას მიერ სამხედრო ინსპექტორად ბაღდადში მოწვეულ დევოს რჩევით, დამარცხების თავიდან აშორების ერთადერთი საშუალება მხოლოდ შეტევა შეიძლებოდა ყოფილიყო. „აღარ არის იმედი იმისა, — ამბობდა იგი დივანის სხდომაზე,—რომ საიდანმე ჩვენ დახმარება მოგვივიდეს. შიმშილობა გრძელდება და მატულობს მაშინ, როცა 'ალი რიზას ძალები ყოველდღე იზრდება. ამიტომ ბოლო უნდა მოეღოს ამას გადამწყვეტი ბრძოლით“[1]. — „თქვენ სწორს ბრძანებთ ბატონო,—შენიშნა მას სალიჰ-ბეგმა,—მაგრამ რას იზამ, ჩვენ ცოტანი ვართ, ისინი კი მრავალნი“[2].—„ეს არ არის მართალი, თქვენ საკმაო ჯარი გყავთ, ოღონდ მათი გამოყენება უნდა ვიცოდეთ“[3]— განაცხადა დევომ და შემდეგ იქვე ჩამოაყალიბა თავისი გეგმა. მისი აზრით, საქმე ასე უნდა დაწყებულიყო: დანიშნულ დროს მეციხოვნეთა ერთი რაზმი, დაახლოებით 400—500 ქვეითის რაოდენობით, შეტევას დაიწყებდა სა'იდ-ფაშას ბაღისაკენ. იმავე დროს მეორე რაზმი გამოჩნდებოდა იმამ აზამის კარებთან, ხოლო 1—2 საათის შემდეგ იმამ მუსას კარებთან ასეთსავე დემონსტრაციას მოაწყობდნენ დანარჩენი რაზმებიც. ამის დანახვაზე მტერი, რომელსაც თავისი ძალები თითქმის ორი საათის სავალ მანძილზე (იმამ აზამის ჭიშკრიდან ფარი-

[1] C l. H u a r t, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ჯეს ბაღამდე) უწესრიგოდ ჰყავდა გაფანტული, უსათუოდ იფიქრებდა, რომ აჯანყებულნი ამ მიმართულებით აპირებდნენ შეტევას და ჯარებსაც იქ მოუყრიდნენ თავს. ხოლო როგორც კი ეს ასე მოხდებოდა, დევო თავისი ლეგიონით (1 ქვეითი ბატალიონით, 800-მდე მხედრითა და 4 ქვემეხით) მაშინვე თეთრი კარებიდან (Porte-Blanche) გამოვიდოდა, გათენებისას, მეზარბაზნეების მხარდაჭერით, უეცრად თავს წამოადგებოდა სალიჰიეში დაბანაკებულ 'ალი რიზა-ფაშას და ერთი დაკვრით გაანადგურებდა.

დევოს სიტყვა სალიჰ-ბეგის მოადგილე დარვიშ-აღას მეტს ყველას მოეწონა. ეს უკანასკნელი დიდხანს არაფერს ამბობდა იმის შიშით, რომ მისთვის საერთო აზრის წინააღმდეგ გალაშქრება არავის დაებრალებინა. მაგრამ ბოლოს, როდესაც სალიჰ-ბეგმა მას დუმილის მიზეზის ახსნა-განმარტება მოსთხოვა, დარვიშმა ველარ მოითმინა და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ იქ დამსწრეთ მოახსენა, რომ ეს გეგმა მთლიანად ეწინააღმდეგება ამას წინათ სტამბოლს სულთნის სახელზე გაგზავნილ პეტიციაში აღნიშნულ პირობებს და ამდენად მისი მიღება მიზანშეუწონლად მიმაჩნიაო. ამბოხებულებმა,—განაცხადა მან,—თავიანთ თხოვნის ქაღალდში პორტას ერთგულება-მორჩილება აღუთქვეს და ამასთან აცნობეს, რომ სანამ მისგან პასუხს არ მიიღებდნენ, ქალაქში ახალ გუბერნატორს ფეხს არ შეადგმევინებდნენ. მაგრამ, თუ ჩვენ ახლა ქალაქგარეთ გავალთ და სულთნის ამ ერთ-ერთ მთავარ მინისტრს გავანადგურებთ, რასაც დევო გვთავაზობს, მაშინ, ჯერ ერთი, ამას აღარ ერქმევა თავდაცვა და, მეორეც, ასეთ შემთხვევაში ჩვენ მარტონი დავრჩებით და ვინ იცის, რას არ დაგვიპირებენ სპარსნი, რომლებიც აგერ ზედ ცხვირზე გვასხედან. ამიტომ „ნუ ვიქნებით ისედაც უკვე ნანგრევებად ქცეული ქალაქის სრული დაქცევის მიზეზი, დაველოდოთ ჩვენი მიმართვის პასუხს და ბატონ დევოს წინადადება ბოლოსათვის მოვიტოვოთ“[1].

მართლაც, ირკვევა, რომ იმ ხანად ირან-ოსმალეთს შორის დაძაბული მდგომარეობა ყოფილა. ირანს განზრახული ჰქონდა შეჰრილიყო თურქეთის სამფლობელოში მაშინვე, როგორც კი რუსეთი თავის ჯარს გაიყვანდა ოსმალეთის აზიური ნაწილიდან[2]. იმ დროს ერზერუმში მყოფ პანკრატოვის ცნობით კი, კირძანჩის (ალბათ უნდა იყოს ქერმანშაჰის—ბ. ს.) რაიონში დაბანაკებული ირანის ჯარები უფლისწულ ალი-ხანის მეთაურობით 1830 წლის ივნისში უკვე გამზადებული ყოფილან ბაღდადის საფაშოზე იერიშის მისატანად და მის დასაპყრობად. პანკრატოვისავე ცნობით, მოსალოდნელი თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით, დაუდ-ფაშას 1500 ქისა გაუგზავნია ალი-ხანისათვის, მაგრამ მას უარი უთქვამს ბაღდადის ფაშას წინადადებაზე და თურმე შაჰის განკარგულებას ელოდა, რომ შეტევა დაეწყო[3]. როგორც რუსეთის გენერალური კონსულის მო-

[1] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

[2] Рапорт ген. лейт. Панкратова... ген. фельдмаршалу и кавалеру графу Паскевичу Ериванскому, № 63, мая 21 дня, 1830 года (ЦГИАГ, ф. 11, д. 46-а, л. 1).

[3] Известия ген. лейт. Панкратова из Ерзингана, июня 11 дня, 1830 года (ЦГИАГ, ф. 11, д. 46-а, лл. 5—6).

ვალეობის შემსრულებელი ნ. ბეზაკი მაშინ თავრიზიდან იტყობინებოდა, ალიხანს ერაყზე თავდასასხმელად გამზადებული ჰყოლია 5 ბატალიონი: ერთი— მისი იმპერატორობის უკიდებულესობის თავრიზის გვარდიის, მეორე — მისი ბრწყინვალების სახელობის თავრიზის, მესამე — ყარაბაღის, მეოთხე — შაქის, მეხუთე — ჰაბადანის ბატალიონი, 20 ქვემეხი და 2000-კაციანი რაზმი ცხენოსნებისა, სულ 6000 კაცი[1].

მაშასადამე, იმ დროს, როცა ერაყში სულთნის მიერ გაგზავნილი 'ალი-რიზას ლაშქარი ბაღდადს ჩრდილოეთიდან მოადგა, აღმოსავლეთიდან მის დასაპყრობად ირანელები ემზადებოდნენ. ასეთ ვითარებაში დარვიშ-აღას სიტყვამ, რომელიც ამბოხებულთ აშკარა დამარცხებას უქადდა, იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თათბირის მონაწილეებზე, რომ მის წინააღმდეგ კრინტიც არავის დაუძრავს, ისე დაიშალნენ.

ამრიგად, თათბირმა დაასრულა მუშაობა. გონების ძალა ვერას გახდა უგნურობისა და ფანატიზმის წინააღმდეგ. სამხედრო საბჭომ თავს მოახვია აჯანყებულთ თავდაცვისა და ლოდინის ტაქტიკა და ამით საუკეთესო სამსახური გაუწია მოწინააღმდეგეს.

'ალი-ფაშამ ოსტატურად გამოიყენა აჯანყებულთა სარდლობის ეს სერიოზული შეცდომა. თავისი არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი სალიჰ-ჩელები 'ალი ზადეს მეთაურობით სამხრეთ ერაყში გადაისროლა და ბაღდადის გარნიზონის მოსაშველებლად ბასრადან წამოსული მუთასალიმ აზიზ-აღას 5-ათასიანი ლაშქარი გზაში გაანადგურა, რის შემდეგაც თითქმის უომრად დანებდა ჯერ ჰილე, ხოლო შემდეგ არაბული ერაყის დანარჩენი რაიონები. სექტემბრის პირველ რიცხვებში სალიჰ-ჩელები შევიდა ბასრაში და ამ ქალაქის დაკავებით საფაშოს მთელი ტერიტორიის დაპყრობა დაასრულა.

ამ გამარჯვებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დამპყრობლისათვის, თუმცა ფინანსური და საერთოდ ეკონომიური თვალსაზრისით 'ალი რიზასათვის მაინცდამაინც ბევრი არაფერი მიუცია. დაჭცეულ ქვეყანაში მან ვერც ფული მოაგროვა და ვერც საკმაო რაოდენობის სურსათი. ის მარაგი კი, რაც ალეპოდან წამოეღო, უკვე შემოელია და ჯარისკაცთა დაკმაყოფილებას ეეღარ ახერხებდა, რის გამოც ბანაკში უკმაყოფილება დაიწყო. უგასამრჯელოდ დარჩენილ და ხანგრძლივი ომებით მოქანცულ მეომრებს მობეზრდათ ამგვარი ყოფა და გადაწყვიტეს, რომ, თუ მათი მდგომარეობა მომავალშიც უნუგეშო იქნებოდა, უარი ეთქვათ ბრძოლაში მონაწილეობაზე, გაეძარცვათ მთავარსარდლის კარავი და დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში[2].

ამგვარად, 'ალი-ფაშას იმ გადამწყვეტ მომენტში, როცა თითქმის მთელი

---

[1] Исполняющий должность ген. консула в Тебризе его сиятельству... ген. фельдмаршалу... графу Ивану Феодоровичу Паскевичу... № 262, декабря 24 дня, 1830 года (ЦГИАГ, ф. 11, д. 50, л. 10).

[2] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

ერაყის მიწა-წყალი ხელთ ეპყრა და მხოლოდ ბაღდადის დაკავება-შემომტკიცებაღა უკლდა, უარმიოდ დარჩენის აშკარა საფრთხე დაემუქრა. ამასთან მოსალოდნელი იყო, რომ, თუ საომარი მოქმედება შემოდგომაზე არ გათავდებოდა, ეს საფრთხე რამდენადმე კიდევ უფრო გაიზრდებოდა, რადგან საზაფხულოდ ჩაცმულსა და დახურულ მეომრებს სხვა გაჭირვებასთან ერთად ზამთარში სიცივეც შეაწუხებდათ. ამ ვითარების შესაბამისად 'ალი-ფაშას ცვლილების შეტანა მოუხდა თავის ადრინდელ საბრძოლო მოქმედების ტაქტიკურ გეგმაში და ის ისეთნაირად ააგო, რომ საბოლოოდ გამარჯვების პერსპექტივას იძლეოდა. ამბოხებულ ჯარისკაცებს ბაღდადის სიმდიდრეს შეჰპირდა და ისინი ამით დაამშვიდა, ხოლო ქალაქი რომ ჩქარა აეღო და ომი აღარ გაჭიანურებულიყო, ამისათვის საალყო ბრძოლიდან, რასაც აქამდე მიმართავდა ხოლმე, შეტევაზე გადასვლის სამზადისს შეუდგა. მაგრამ საქმე ისე მოეწყო, რომ შეტევა აღარ დასჭირვებია.

იმ მომენტში, როცა 'ალი ჯარებს უყრიდა თავს და მტრის ზურგში ძირგამომთხრელი საქმიანობის გასაჩაღებლად ქალაქში თავისი აგენტების შეგზავნით იყო დაკავებული, სტამბოლიდან მაცნე ეწვია და სასიხარულო ამბავი ამცნო. სულთან მაჰმუდ მეორეს უარი ეთქვა დაუდ-ფაშას მიერ ამბოხებულთა სახელით გაგზავნილ პეტიციაში აღნიშნული პირობების მიღებაზე და 'ალი რიზას უბრძანებდა ეს ქაღალდი მათთვის დაებრუნებინა, ხოლო თვითონ ისე მოქცეულიყო, როგორც საჭიროდ მიაჩნდა[1].

ამ ამბავს არ შეიძლებოდა არ შეერყია ამბოხებულთა ხასიათი და რწმენა, არ შეესუსტებინა ბრძოლისუნარიანობა და არ მიეყვანა ისინი სრულ სასოწარკვეთილებამდე. ამიტომაც 'ალი ფაშამ აღარ დააყოვნა. ეს ამბავი მაშინვე სალიჰ-ბეგს შეატყობინა და თანაც წინადადება მისცა, რომ სულთნის ბრძანების გასაცნობად და მოლაპარაკების გასამართავად ერთმანეთს შეხვედროდნენ ორივე მეომარი მხარის წარმომადგენლები.

ამბოხებულთა უფროსმა მიიღო 'ალის წინადადება და მოლა ჰუსეინი ერთი ოფიცრის თანხლებით 'ალი-ფაშას წარმომადგენელთან შესახვედრად გაგზავნა. შეხვედრა მოეწყო ქალაქგარეთ, ნეიტრალურ ზონაში. სალიჰ-ბეგის დელეგაცია გულთბილად მიიღო 'ალი რიზას ხაზინადარმა, ჰამდი-ბეგმა (სა'იდ 'ალი-ფაშას ვაჟმა, რომელიც შემდეგ ვაზირი გახდა და რამდენიმე პროვინციას მართავდა), რომელმაც თავისი უფროსის სახელით მათ მოკლე სიტყვით მიმართა: „ფაშა მიესალმება ჰაჯი სალიჰ-ბეგს, მოგესალმებათ თქვენ და ბაღდადის მთელ მოსახლეობას. თუ თქვენ მას აქამდე არ ღებულობდით ქალაქში ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ელოდებოდით ბაბი 'ალიდან პასუხს, ახლა კი ეს პასუხი მოსულია. იმპერიის მბრძანებელი არ აკმაყოფილებს თქვენ თხოვნას და გიგზავნით მას ისეთი სახით, როგორც გაგზავნეთ. ამავე დროს, ჩემმა უფროსმა მიიღო ბრძანება ბაღდადის დაკავებისა და ალბათ, სულ მალე, მომცემს საკმაო

[1] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 199.

რაოდენობის ჯარს, ქვეშეხებსა და სხვას, ამ ბრძანების შესასრულებლად. ასე რომ, ამიერიდან თქვენი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევას შეიძლება ყველა ჰოჭალაქისათვის სავალალო შედეგი მოჰყვეს და პირიქით, თუ თქვენ მას ქალაქს ჩააბარებთ წინასწარ, თუნდაც ერთი საათით ადრე მაინც, თავიდან აიცდენთ იმ აუტანელ ტანჯვას, რაც დიდი ხანია გაწუხებთ და მომავალში კიდევ უფრო გაგაწამებთ. დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ არა გვაქვს სხვა მიზანი, თუ არა თქვენთვის სიკეთის გაკეთება"[1]. ეს თქვა და ამბოხებულთა დელეგაციას გადასცა სტამბოლიდან დაბრუნებული მათი თხოვნის ქაღალდი, რომელზეც უარის ნიშნად სულთანს არაფერი დაეწერა.

ქალაქში დაბრუნებისას დელეგაციის წევრებმა ეს ქაღალდი თან წაიღეს და სალიჰ-ბეგს გადასცეს. ამასთან, ისიც მოახსენეს, რაც ჰამდი-ბეგისაგან მოისმინეს. ამ ქაღალდის დანახვამ სალიჰ-ბეგს თავზარი დასცა. დელეგაციის წევრებს უბრძანა ეს ამბავი არავისთვის გაემხილათ[2]. თვითონ კი აღარ იცოდა რა ექნა და საგონებელში ჩავარდნილი ღრმა ფიქრებში ჩაიძირა[3]. მაგრამ ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან 'ალი რიზას ამ დროს საიდუმლო მიმოწერა ჰქონდა ქალაქში თავის აგენტებთან (ქეთხუდა რუსთემთან, სალიჰ ახუ შავქათთან, ლევენდის ასეულის უფროს სადუნ-აღასთან და სხვებთან), შეთქმულებას რომ ამზადებდნენ სალიჰ-ბეგის წინააღმდეგ და ატყობინებდა მათ, რომ სასწრაფოდ გაევრცელებინათ ეს ცნობა მოსახლეობაში. ასე რომ, სალიჰ-ბეგისა და მისი დელეგაციის წევრების დუმილი ამ ამბავის გავრცელებას ხელს ვეღარ შეუშლიდა და ის მეორე დღეს მთელ ქალაქს მოედო.

სტამბოლიდან მიღებულმა უარმა ყველა შეაკრთო. ამბოხებულებს საბოლოოდ წაერთვათ გამარჯვების იმედი. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აჯანყებას ჩამოსცილდა და მოწინააღმდეგის ბანაკში გადაბარგდა, რის შედეგადაც საგრძნობლად გაძლიერდა 'ალი-ფაშას მომხრე სა'იდ-ეფენდის პარტია, რომელმაც თავისი სრული კონტროლი დააწესა აშ-შეიხის კვარტალზე[4] და მკვეთრად დაუპირისპირდა სალიჰ-ბეგის ჯგუფს. ასეთი ვითარება ქალაქში იმის აშკარა მომასწავებელი იყო, რომ ციხე უკვე შიგნიდან ტყდებოდა და ქულემენთა ხელისუფლების გადარჩენა აღარაფრით შეიძლებოდა. ამიტომ სალიჰ-ბეგმა უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე და ქალაქი მტერს ჩააბარა. 'ალი რიზას წარმომადგენლებთან წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე ბაღდადის გავ-

---

[1] ა ლ-'ა ზ ზ ა ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 325; Cl. Huart, დასახ. ნაშრ., გვ. 199.

[2] ა ლ-'ა ზ ზ ა ვ ი, იქვე; Cl. Huart, იქვე, გვ. 200.

[3] Cl. Huart, იქვე.

[4] მაშინდელი ბაღდადი 9 ასეთ კვარტალად (მაჰალათუნ) იყოფოდა: «Мейда́н; Ряс-эль-Кыра́э; Мура́бба; Казы́-эль-Ходжат; Баб-и Шейх-эль Кадыр (შემოკლებით აშ-შეიხი). Сук-эль-газа́ль; Кумбар Али́; Баб-эль-ага́; Мухаммед-эль-фазы́ль» (Путевой журнал Е. И. Чирикова, გვ. 2).

ლენიან პირთა ერთმა ჯგუფმა ამ-შარკის (აღმოსავლეთის) კარებთან[1] მდგომი ცველი რაზმები მოხსნა და 1831 წლის 14[2] თუ 15[3] სექტემბერს, ღამით, მზის ჩასვლიდან ორი საათის შემდეგ, „თიმარების ლაშქარი ამ კარებით“ ქალაქში შევიდა[4] და ას-სა'იდ ნუ'მან ხაირ ად-დინ ალ-'ალვასი'ს ცნობით. კვირას, 16 სექტემბერს (ღამით), მას მთლიანად დაეუფლა[5]. აჯანყება საბოლოოდ დამარცხდა[6].

* * *

თავისი ხასიათით ეს აჯანყება ტიპიურ ფეოდალურ აჯანყებას წარმოადგენდა. მისი ინიციატორი და იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელი იყო ბაღდადის საფაშოს გამგებელი; ავანგარდი—საფაშოს სამხედრო, საერო და სასულიერო ფეოდალები, ხოლო ძირითადი ძალა, რომლითაც ფაშა ცდილობდა თავისი საქმის გაკეთებას—რეგულარული ჯარი, ცალკეულ ტომთა დაქირავებული ლაშქარი, ფელახები და ხელოსნები.

ამ აჯანყების მიზანს, როგორც უკვე ვთქვით, შეადგენდა ოსმალეთის იმპერიისაგან ერაყის გამოყოფა და ცალკე სუვერენული სახელმწიფოს, ე. წ. „ბედნიერი ბაბილონეთის სამეფოს“ შექმნა, რისთვისაც მთელი ძალით ის მიმართული იყო იმპერიის ცენტრალური მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომ გარდა ფეოდალურისა ის ანტიოსმალური და სეპარატისტული ხასიათის აჯანყებაც იყო.

ეს აჯანყება მომზადებულიც კარგად იყო და დაწყებითაც მეტად მოხერხე-

---

[1] ისე როგორც კვარტალი, კარებიც (ბაბუ) 9 პქონდა ბაღდადს იმ ხანად. აქედან: «Имам—Аазам; Орта (средняя); Караплык (темныя); Шаркы (восточная); Джисир-Капусу (мостовыя ворота) с севера; а с юга Имам Муса; Шейх-Маруф и Хилле» (Путевой журнал Е. И. Чирикова, გვ. 3).

[2] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 272—273.

[3] Н. Н. Муравьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

[4] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 326. მაგრამ ირკვევა, რომ არც სხვა გზა ყოფილა დაკეტილი ამ დროს. კლ. უარის ცნობით, 'ალი რიზას ჯარები ბაღდადში შესულან შავი (ყარა-სლე) კარებით (Cl Huart. დასახ. ნაშრომი, გვ. 273), ხოლო ჯ. ბ. ფრეზერის ცნობიდან იმასაც ვგებულობთ, რომ ერთ-ერთი ვაჭრის ჰაჯი ჰალილის მოღალატეობით მტრის ჯარები ქალაქში სამხრეთიდანაც შეუშვიათ (J. B. Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 262).

[5] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 327.

[6] ყოველივე ის, რაც ამ აჯანყების შესახებ ზემოთ ითქვა, შესაძლებლობას იძლევა რამდენადმე დავაზუსტოთ და ერთგვარი გარკვეულობა შევიტანოთ ე. ი. ჩირიკოვისეულ ცნობაში, სადაც ნათქვამია: „შავი ჯირის დროს, ალი-ფაშა ქურთისტანიდან ბაღდადს მიადგა და შეუდგა კედლების ნგრევას ქვემეხებით; ბაღდადი არ პასუხობდა. გარშემო მცხოვრებნი 'ალი-ფაშას მოახსენებდნენ, ბაღდადი ცარიელია, რომ მოსახლეობა და ჯარი სულ ამოწყდა. მაგრამ მას არ სჯეროდა. იგი მხოლოდ მაშინ დარწმუნდა (ნაამბობის) სინამდვილეში, როცა ერთმა ზანგმა.—რომელმაც 1849 წელს, ბასრაში თვითონ გვიამბო ამ მდგომარეობის შესახებ.—გაუღო ფაშას ქალაქის კარები“ (Путевой журнал Е. И. Чирикова, გვ. 10).

ბულ მომენტში დაიწყო. რუსეთ-ინგლის-საფრანგეთის მიერ ამ დროისათვის უკვე დამარცხებულსა და დასუსტებულ ოსმალეთს, რომელსაც თავისი იმპერიის შიგნით (რუმელიაში, ანატოლიაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, ეგვიპტესა და საბერძნეთში) გაჩაღებული უსასრულო ბრძოლები კიდევ უფრო აუძლურებდნენ,—ომის წარმოების თავი აღარ ჰქონდა. „კონსტანტინოპოლში დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ყოველგვარი ცდა იმპერიის ადრინდელი ძლიერების აღსადგენად ამაო იქნებოდა“[1]. ამიტომ ერაყში დაწყებული აჯანყების წარმატება ეჭვს აღარ იწვევდა. დაუდ-ფაშას გამარჯვება სავსებით უზრუნველყოფილი იყო[2]. მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდა და იგი მაინც დამარცხდა,ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა იმ მთელმა რიგმა სტიქიურმა და სხვა უბედურებებმა, რაც თავს დაატყდა ერაყს 1831 წელს ჟამიანობის, წყალდიდობის, ციებ-ცხელებისა და შიმშილობის სახით. სწორედ ამ უბედურებებმა განაპირობეს მამლუქთა ძალაუფლების დაცემა[3]. მათ შეარყიეს აჯანყებულთა განწყობილება და აიძულეს ისინი გადაეხედნათ თავიანთი პოლიტიკური კურსი, დასდგომოდნენ ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან შერიგების გზას და ამისდა კვალად, შესაბამისი ცვლილებები შეეტანათ საბრძოლო ტაქტიკაში. ამასთან დაკავშირებით, ამბოხების ხელმძღვანელ ბირთვში დაიწყო გათიშვა, რამაც მნიშვნელოვნად გაუადვილა მოქმედება მტერს და კიდევ უფრო დააჩქარა აჯანყებულთა სრული დამარცხება. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ 1830—1831 წწ. აჯანყების წარუმატებლობა ერაყში გამოწვეული იყო როგორც ობიექტური, ისე ამ უკანასკნელით შეპირობებული სუბიექტური მიზეზებითაც.

1830—1831 წწ. აჯანყება ფეოდალური ხასიათისა იყო და, ამიტომ პოლიტიკური თუ ეკონომიური წყობის თვალსაზრისით ქვეყანას ახალს ვერაფერს მისცემდა. გამარჯვების შემთხვევაშიც კი, ერაყში არსებული ფეოდალური წეს-წყობილება მისთვის დამახასიათებელი ტლანქი ექსპლოატაციით, ოსმალეთის უღლის გადაგდების შემდეგაც ძალაში უნდა დარჩენილიყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს აჯანყება თავისი მიზანდასახულობით მაინც პროგრესული იყო, ვინაიდან, ჯერ ერთი, იგი მიმართული იყო ყველაზე რეაქციული და დესპოტური ძალის—ოსმალეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ; მეორე ის, საბოლოო ამოცანად ისახავდა ერაყის დამოუკიდებელ სა-

---

[1] Д. Г. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

[2] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 423; J. Baillie Fraser, დასახელებული ნაშრომი, გვ. 234. ამ ავტორთა მისვლა ასეთ დასკვნამდე უსაფუძვლო არ უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ, სხვათა შორის, იმასაც, რომ ერაყის აჯანყებას, თუმცა, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც, ზურგს უმაგრებდა ანტიოსმალურ აჯანყებათა მთელი სერია: ვაჰაბიტებისა—არაბეთის ნახევარკუნძულზე, მუჰამედ 'ალისა—ეგვიპტეში, მუსტაფა-ფაშა სკოდრალისა—ალბანეთში და აჯი-ფაშა აბდალაჰისა—სირიაში, სადაც როზენის თქმით, „ცუდი მმართველობისა და სისუსტის გამო იმდენი საწვავი მასალა დაგროვდა, რომ საჭირო იყო მხოლოდ მამაცი და გამბედავი კაცი, რათა ისინიც ჩამოეცლებინა პორტასაგან“ (Д. Г. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 142).

[3] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 317; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 423.

ხელმწიფოდ გაფორმებას, ხოლო ეს—ქვეყნის ეროვნული, კულტურული, პოლიტიკურ-ეკონომიური თვითმყოფადობის აღდგენა-შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების გარანტიას იძლეოდა; მესამე, თუ აჯანყება დასახულ მიზანს მიაღწევდა, ამით ერაყის ხალხს მოაცილებდა ყველაზე დიდ ბატონს—სულთანს, რომლისგან გათავისუფლებას არ შეიძლება დადებითად არ ემოქმედნა მოსახლეობის მწარმოებელ ფენებზეც.

1830—1831 წწ. აჯანყება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ის ერაყის ისტორიაში მოასწავებს ახალი პერიოდის დასაწყისს, როცა ოსმალობა იმდენად მძიმე ხდება, რომ იმპერიაში შემავალი ქვეყნების მოსახლეობის გაბატონებული ფენებისთვისაც კი აუტანელია და ამის გამო, ამ უკანასკნელის თაოსნობით იწყება აშკარა შეიარაღებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

ამიტომ, ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ეს აჯანყება, რომელიც ჯერ თვით არაბი ისტორიკოსების მიერაც კი არ არის ჯეროვნად შესწავლილ-შეფასებული, წარმოადგენს დასაწყისს ან, თუ დასაწყისს არა, წინადღეს მაინც იმ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისას, რომელსაც ერაყელი ხალხი 1958 წლამდე აწარმოებდა.

## დაუდ-ფაშას დატყვევება

ბაღდადის აღების შემდეგ 'ალი რიზა ამბოხებულთა დასჯასა და ქალაქის დამშვიდება-შემომტკიცებას შეუდგა. 16 სექტემბერს, ერაყის ყოფილი გამგებლის შესაპყრობად გაგზავნილმა რამდენიმე მაღალი ჩინის ოფიცერმა დილის ლოცვის შემდეგ ჯევად-ბეგის სახლში დაბრუნებული დაუდ[1] ბინიდან გამოიყვანა და პატივისცემის ყოველგვარი წესების დაცვით, ქალაქგარეთ, 'ალი-რიზას კარავში წაიყვანა[2]. დაუდს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ისეთი დანაშაულისათვის, როგორიც მან ჩაიდინა იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, დამნაშავეს ოსმალური წესით თავის მოკვეთა მოელოდა. მიუხედავად ამისა, თავი მხნედ ეჭირა და საკუთარი ბედი იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც მისი 5 წლის ვაჟიშვილისა, რომელიც იმ დილით, არეულობის ჟამს, აღმზრდელებს ქუჩაში გაპარვოდა და გაუჩინარებულიყო[3]. ამასთან დაკავშირებით იგონებდა თავის ბავშვობასაც, იმ დღეს, როცა თვითონაც ასევე სახლიდან გაპარული მშობლებს აღარ დაბრუნებია. თვალს ავლებდა მის მიერ განვლილ ცხოვრების გზას, რომელიც ქართლში იწყებოდა და, მისი რწმენით, აგერ, აქ, შორეულ ბაღდადში, მდ. ტიგროსის მარჯვენა მხარეს გამართულ კარავში ტრაგიკულად უნდა დამთავრებულიყო; შემდეგ, ამბოხებული ფაშას თავი სტამბოლში უნდა ჩაეტანათ და სულთნის ბრძანებით ქალაქის მოედანზე აღმართულ სპეციალურ მარ-

[1] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

[2] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 326; S. H. Longrigg. დასახ. ნაშრომი, გვ. 273.

[3] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

გილზე ჩამოეცვათ. ეს იყო ყველაზე მძიმე განცდების მომენტი, რომელიც მალე ტყვე ფაშასათვის წარმოუდგენელი შედეგით დამთავრდა.

კარავს მიახლოებულ დაუდს გზაში ერაყის ახალი გამგებელი ფეხით შეეგება, გადაეხვია, თავის სადგომში მიიპატიჟა, ყალიონი მიართვა, ყავით გაუმასპინძლდა, რამდენიმეჯერ მოსვა და შემდეგ ფინჯანი გაუცვალა, რათა მისთვის თავისი გულწრფელობა დაემტკიცებინა. ამავე დროს დაუწყო მდგომარეობის გამოკითხვა და, როცა შეიტყო, რომ ამ დილით დაკარგული პატარა ჰასანის ჯავრი აწვა გულზე, თავის მსახურთ უბრძანა: ქალაქი შემოევლოთ და ბავშვი ეპოვნათ[2].

ამ ბრძანების შესრულებას დიდი დრო და ენერგია არ დასჭირვებია. ერაყის ახალ და ძველ გამგებლებს ურთიერთსაუბრის დამთავრება ვერც კი მოესწროთ, რომ ბავშვი უკვე კარავში იყო. მამის დანახვაზე ის მსახურთ ხელიდან დაუსხლტა და მშობელს ყელზე შემოეხვია.

ამბის მომსწრეთა გადმოცემით, ეს იყო ამაღელვებელი სცენა, რომელმაც იქ მყოფთ, მათ შორის 'ალი-ფაშასაც, თვალებზე ცრემლი მოჰგვარა და განუმტკიცა კეთილი გრძნობები მისი წინამორბედისადმი[3].

ამრიგად, დაუდის ვარაუდი არ გამართლდა. მისმა შემცველმა დაარღვია ოსმალეთში მიღებული წესი დამნაშავის მიმართ და თავის წინამორბედს ხმლითა და მახვილით კი არ გაუსწორდა, სიცოცხლე შეუნარჩუნა და გარკვეული ზომით თავისუფლებაც მიანიჭა; მოუხსნა ზედამხედველები[4] და უფლება მისცა ყველას ენახა იგი[5].

რით შეიძლება აიხსნას 'ალი რიზას ასეთი კეთილშობილური მოქმედება დაუდ-ფაშას მიმართ? სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. დ. გ. როზენის აზრით, „დაუდ-ფაშას სურდა თავისი განძი შესანახად მეზობელი ბედუინებისათვის (მომთაბარეებისათვის—ბ. ს.) გადაეცა, მაგრამ მისი ვაჟი, რომელიც მათ მიაცილებდა, გზაში დაიღუპა. ბედუინებმა კი, რომლებიც ფაშას თავის ერთგულებად ეგულებოდა, მოლაპარაკება გამართეს პორტას წარმომადგენელთან და მინდობილი ქონება მათ ჩააბარეს"[6]. ე. ი. დაუდი თავის ქონებას უნდა გადაერჩინოს. ამ მოსაზრებისაა ა. ადამოვიც.

---

[1] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 326. ზუსტად ამას ამბობს კლ. უარიც (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 201).

[2] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი. გვ. 201; ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 326.

[3] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 202.

[4] იქვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 202. 'აბბას ალ-'აზზავისთან კი პირიქით ეკითხულობთ: „შემდეგ დააბრუნა თავის კარავში და დაუყენა გუშაგებიო" (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 326).

[5] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრ., გვ. 326; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 273; Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 202.

[6] Д. Г. Розен. დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

ისიც ისევე, როგორც როზენი, დაუდ-ფაშას გადარჩენის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს დიდძალ სიმდიდრეს, რომელიც მას დაურიგებია და ამასთან ერთად აღნიშნავს ინგლისელთა დახმარებასაც: „სიცოცხლე დაუდ-ფაშას მთელი თავისი განძეულობის დარიგებისა და ინგლისელების მოსარჩლეობის წყალობით შეუნარჩუნესო“[1].

დ. როზენისა და ა. ადამოვისაგან განსხვავებით ჯ. ბ. ფრეზერს მიაჩნია, რომ დაუდი მისმა დიდმა დამსახურებამ იხსნა[2], ხოლო კლ. უარი ხაზს უსვამს, აგრეთვე, მის განსწავლულობას და ასაკს[3], მაგრამ იგივე კლ. უარის მიერ თავის ნაშრომში მოტანილი 'ალი რიზას წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ დაუდი მძიმე განსაცდელისაგან იხსნა არა მარტო მისმა სიმდიდრემ, ღრმა თეოლოგიურ-ფილოსოფიურმა განსწავლულობამა და ინგლისელთა თავდებობამ, არამედ ერაყის ახალი გამგებლის სხვა განზრახვამაც.

ბაღდადის აღებისთანავე სტამბოლს გაგზავნილ წერილში 'ალი რიზა სულთან მაჰმუდ II წერდა, რომ მიზეზი, რომლის გამოც აგერ უკვე რამდენი ხანია. ბაღდადის გამგებელი უარს აცხადებდა გადადგომაზე, ის არის, რომ ასეთების გადაყენებას ყოველთვის, როგორც წესი, თან სდევს სასტიკი ტანჯვა-წამება. ამიტომ, თუ დაუდი მთავრობის შეწყნარების საგანი გახდება, ეს იქნებოდა საუკეთესო მაგალითი დანარჩენი ვაზირებისთვისაც[4] და იძულებულს გახდიდა პათ. შეესრულებინათ ბრძანება უფროსებისა, რადგან თვალწინ სიკვდილის შიში აღარ ექნებოდათ[5]. მაშასადამე, 'ალი-ფაშას ამით სურდა ჩაეგონებინა სულთნისათვის, რომ მსგავსი დანაშაულისათვის ამიერიდან სიკვდილით არც ერთი პროვინციის გამგებელი აღარ დაესაჯათ და თანამდებობიდან გადაყენება ეკმარათ. ასეთი მოქნილი პოლიტიკის წყალობით, 'ალი რიზა თუ, ერთი მხრივ, დაუდს სიცოცხლეს უნარჩუნებდა, მეორე მხრივ, თავისთვისაც და სხვისთვისაც, ვინც ასეთ პოსტს დაიკავებდა, უკან დასახევი გზის დატოვებას ცდილობდა.

დაუდმა ერთი კვირა დაჰყო 'ალი რიზას კარზე. ამ ხნის მანძილზე მასთან გამოსამშვიდობებლად მოდიოდნენ ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები, სხვადასხვა პროფესიისა და კატეგორიის წარმომადგენლები, რომელთა გარკვეულ ჯგუფს, როგორც ირკვევა, მისი გათავისუფლებაც კი განეზრახათ. ერაყის ახალ გამგებელს მოსდიოდა ცნობები, რომ დაუდის სახსნელად აჯანყებას ამზადებდნენ ალ-'უბაიდის ტომის შეიხი სადუნი და ქირქუქის მოსახლეობა[6], რომლებიც, ალბათ, ბრძოლაში მარტონი არ იქნებოდნენ. ამიტომ დაუდის გაჩერე-

---

[1] А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 405.


[2] J. Baillie Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

[3] Cl. Huart. დასახ. ნაშრომი, გვ. 202.

[4] კერძოდ, მას მხედველობაში ჰყავდა ეგვიპტის გამგებელი მუჰამედ 'ალი-ფაშა, რომელიც ამ დროს ოსმალეთის იმპერიის ცენტრალურ მთავრობას ეურჩებოდა.

[5] Cl. Huart, დასახ. ნაშრ., გვ. 202.

[6] ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 328; Cl. Huart. დასახ. ნაშრომი, გვ. 203.



ნაეებიანი ხიდი მდინარე ტიგროსზე ბაღდადში (XIX ს. 20-იან წლებში)

ბა დიდხანს ბაღდადში აღარ შეიძლებოდა და 'ალი რიზამაც სულთანთან მისი გაგზავნა რამდენადმე დააჩქარა. დაახლოებით 24 სექტემბერს დაუდი და მისი ცოლ-შვილი გაძლიერებული დაცვის ქვეშ[1], ბაღდადიდან სტამბოლის გზას გაუყენეს[2].

## ქულემენების განადგურება

როგორც უკვე ითქვა, სულთნის ფირმანი, რომლის მიხედვითაც ბაღდადის საფაშოს დასაკავებლად გამოგზავნილი 'ალი რიზა მოქმედებდა. ამბოხებული დაუდის დასჯასთან ერთად ქულემენების მთლიანად განადგურებასაც ითვალის-

[1] დაუდს გზაში მიაცილებდნენ თიმარიოტების ცხენოსანთა პოლკი და ბაში—ბუზუკთა ირრეგულარული რაზმი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ მოეკლათ დატყვევებული ფაშა, თუკი ეს უკანასკნელი გაქცევას დააპირებდა ან მის გათავისუფლებას შეეცდებოდა ვინმე (C l. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 202—203; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 273).

[2] Horatio Southgate. Narrative of a tour through Armenia, Koordistan Persia and Mesopotamia (in two Wolumes), London. MD CCCXL, Vol. II, გვ. 189; А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 425; ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრ., გვ. 328; عبد الرزاق الحسنى، تاريخ العراق السياسى، الجزء الاوّل، ١٣٦٧ هـ—١٩٤٨ م، ص—٣٠

წინებდა, რადგან იმპერიის ცენტრალური მთავრობა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სანამ ისინი იარსებებდნენ, ერაყში მუდამ ანტიოსმალური გადატრიალების საფრთხე იქნებოდა. ასეთი საფრთხე კი განსაკუთრებით არ მოსწონდა ერაყის ახალ გამგებელს, ვინაიდან, ჯერ ერთი, მამლუქთა აჯანყების შემთხვევაში უშუალოდ მას მოუხდებოდა მათი მთავარი დარტყმის გადატანა და, მეორე, მამლუქთა გავლენა და ავტორიტეტი ჯერაც ისეთი დიდი იყო, რომ 'ალი-რიზას საკუთარი ავტორიტეტისა და ძალაუფლების განმტკიცება ისედაც გაუჭირდებოდა. ამიტომ მას აწყობდა ცენტრალური ხელისუფლების ასეთი გადაწყვეტილება და დაუდ-ფაშას სტამბოლს გამგზავრების შემდეგ მორიგი ღონისძიების გატარებას —ქულემენების ფიზიკურ მოსპობას შეუდგა.

გზა, ხერხი, საშუალება, რომლითაც 'ალი-ფაშამ დასახული მიზნის მიღწევა გადაწყვიტა მარტივი იყო, მაგრამ მეტად ვერაგული. 1831 წლის 31 სექტემბერს[1] ბრძანების გაცნობის საბაბით, რომ იგი ნამდვილად დანიშნული იყო ბაღდადის საფაშოს გამგებლად, სასახლეში მიიწვია ქალაქის გავლენიანი პირები, მათ შორის მამლუქებიც[2], ხოლო მათ თავმოყრამდე რამდენიმე საათით ადრე შეკრების ადგილას, მოწვეულთა გასაქელტად ჩუმად ჩაასაფრა არნაუტთა (ალბანთა) რაზმები[3].

დანიშნულ დროს ყველანი სასახლეში შეიკრიბნენ და ფირმანის წაკითხვის მოლოდინში ყავას შეექცეოდნენ. მაგრამ ცერემონიალის ოფიციალური ნაწილის დაწყებამდე, მათთვის სრულიად მოულოდნელად, მოხდა ზუსტად ისე, როგორც კაიროში 1811 წლის 1 მარტს[4]. ცბიერმა 'ალი რიზამ შეკრებილთ ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი და როცა დარწმუნდა, რომ თავისი ვერაგუ-

---

[1] ამ თარიღის დასახელებისას ჩვენ ვეყრდნობით ამბის მომსწრე მუჰამედ ამინ აზ-ზანდისა და ას-საიდ ნუშან ედ-დინ ალ-ალვასის ცნობებს (იხ. ალ-'აზზავი დასახ. ნაშრომი, გვ. 329). ისე კი, 1831 წლის 30 სექტემბრის გვერდით შეიძლება დავასახელოთ 28 სექტემბერიც, რადგან ქ ლ. უ ა რ ი ს, ს. ჰ. ლ ო ნ გ რ ი გ ი ს და ალ-'აზზავის აზრით, 'ალი-რიზამ აღნიშნული ღონისძიების განხორციელება ბაღდადში შესვლიდან მესამე დღეს დაიწყო (იხ. Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 203; ალ-'აზზავი—დასახ. ნაშრომი, გვ. 328; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 275). ხოლო როგორც ალვასი ამბობს, 'ალი რიზა ბაღდადში შევიდა 1247 წ. 17 რაბი' ულ-უხრას (ალ-'აზზავი დასახ. ნაშრომი, გვ. 327). ე. ი. 1831 წ. 25 სექტემბერს, სამშაბათ დღეს.

[2] დაუდ-ფაშას დატყვევების შემდეგ ისინი ყველანი ამნისტირებულები იყვნენ 'ალის მიერ (Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 203).

[3] J. Baillie Fraser, დასახ. ნაშრომი, გვ. 265; ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრ., გვ. 328; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 275.

[4] ა. ნოროვის ცნობით, „1811 წლის 1 მარტს" (იხ. მისი „Путешествие по Египту и Нубии в 1834—1835 г.", СПБ, 1840, ч. I, გვ. 107) მუჰამედ ალიმ, არაბეთის ნახევარკუნძულზე თავისი ლაშქრის გაგზავნასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო დარბაზობაზე მიწვეული მამლუქთა თავკაცები, დაახლოებით 480 კაცი, თავიანთი მსახურნით (საისებით) მუკატამის ბორცვზე აღმართულ სალადინის ციხე-სიმაგრეში და მასთან მისასვლელ კლდოვან გზაკვრილში მოამწყვდია. შემდეგ მათ წინასწარ გამზადებული არნაუტთა შეიარაღებული რაზმები მიუსია

ლი ჩახაფიქრის განხორციელება უკვე შეიძლებოდა, „ნამაზის“ (ლოცვა) მომიზეზებით დარბაზიდან საკუთარ კაბინეტში გავიდა. ნამდვილად ეს იყო ნიშანი სისხლის ღვრის დაწყებისა და არნაუტთა რაზმებიც მყისვე ამოქმედდნენ. ისინი ეკვეთნენ დარბაზში გამომწყვდეულ მამლუქებს, შეიპყრეს და თავები დააყრევინეს[1]. ამით დაიწყო მამლუქთა დევნა-განადგურება არა მარტო საფაშოს დედაქალაქში, არამედ მის გარეთაც, მთელ ერაყში. შეპყრობილ მამლუქებს დამსჯელი რაზმები ან ადგილზევე უსწორდებოდნენ, ანდა პატარ-პატარა ჯგუფებად, 10—12 კაცის რაოდენობით, სტამბოლს გზავნიდნენ. ამ საშინელებას მხოლოდ ერთეულები[2] გადაურჩნენ და მოელოდნენ, რომ მათი ბატონობის დრო ისევ დადგებოდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ოცნება, რომლის აღსრულებისათვის პირობები აღარ არსებობდა. მამლუქობამ თავისი დრო მოჭამა და ამიტომ „მბრუნავი მზე საბრალო ქულემენების ბედნიერებისა“, დაუდ-ფაშას ხელისუფლების დამხობით რომ გადაიხარა, რამდენიმე დღეში სამუდამოდ ჩაესვენა.

მამლუქთა თითქმის ასწლიანი ბატონობის ხანა ერაყში დასრულდა. ერაყი კვლავ „ჰაღალი პორტას“ უშუალო მმართველობის ქვეშ მოექცა[3] და თავი დაღწია მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც ოსმალეთის იმპერია დაიშალა.

## დაუდის ცხოვრება-მოღვაწეობის უკანასკნელი წლები

კლემენტ უარის აზრით, ბაღდადიდან წაყვანილი ტყვე დაუდი სტამბოლს უნდა ბიეყვანათ[4]. ჩირიკოვი აღნიშნავს, რომ იგი გაგზავნილ იქნა მექაში[5], ხოლო ამბის მომსწრე ნ. ნ. მურავიოვის ცნობიდან ირკვევა, რომ დაუდი არც სტამბოლში მიუყვანიათ და არც მექაში. მისი სარწმუნო ცნობებით გზაზე

და ეროპ-შად ამოაწყვეტინა (უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. „A Egypte in bild und Wort dargestellt von unseren ersten Künstlern beschriben von George Ebers“. Stuttgart und Leipzig, 1879. Band II, გვ. 8; „Путешествие по Египту, Аравии, Малой Азии и Персии. В Перри-Фогга,» СПБ., 1876. გვ. 29; Путешествие по Египту и Нубии в 1834—1835, СПБ, 1840. ч. I. გვ. 97, 108—109; А. Уманец, Поездка на Синай, СПБ, 1850, ч. II, გვ. 142—145; „ლტოლვილი მამლუქი“ (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1957, №96).

[1] დაღუპულთა შორის იყვნენ ის მამლუქებიც, რომლებმაც დაუდს ზურგი შეაქციეს, 'ალირიზას ბანაკში გაიქცნენ და მას ბაღდადისაკენ მოუძღვებოდნენ.

[2] სულ 10—15 კაცი. ესენი შემდეგ შეწყალებულ იქნენ, ცხოვრობდნენ მშვიდად და დამსახურების მიხედვით პენსიასაც ღებულობდნენ.

[3] تاريخ لطفي ; ტ. III, გვ. 142; ალ-'აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 329.

[4] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 203.

[5] „შავი ჰირის შემდეგ დაუდ-ფაშა პორტამ გადააყენა და გაგზავნა მექაში“ (Путевой журнал Е. И Чирикова, გვ. 11).

მყოფი ტყვე ფაშა დიარბექირიდან პირდაპირ ბურსას გაუგზავნიათ სპატიო გადასახლებაში და იქ მისთვის სათანადო პენსიაც კი დაუნიშნავთ[1].

1832 წლის ოქტომბერში, როცა ეგვიპტელებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ოსმალთა ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს კონიაში, სულთანმა მაჰმუდ მეორემ დაუდი ბურსიდან გამოიწვია და მუჰამედ 'ალის წინააღმდეგ გაგზავნა[2]. ბრძოლაში მისი მოქმედების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ჩანს, რომ თავი არ შეურცხვენია. ამის დამადასტურებელი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ 1834 წელს დაუდს ბოსნიის გამგებლად ნიშნავენ[3].

ბოსნიაში დაუდმა 2 წელი დაჰყო. 1838—1839 წლებში იგი მეშაობდა სტამბოლში ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თანაშემდებობაზე. იქიდან ის 1839 წ. გადაჰყავთ ანკარის ვილაეთის გამგებლად. 1841 წ. თავს ანებებს საერო სამსახურს და 1845 წ[4]. სულთან აბდ ალ-მაჯიდს (1839—1861 წწ.) სთხოვს ნებართვას მუსლიმანთა წმინდა ქალაქებში წასასვლელად, რათა იქ დაასრულოს თავისი სიცოცხლე. სულთანმა დაუდს თხოვნა შეუსრულა. 1846 წელს შეიხ ულ-ჰარამის[5] პოსტზე დანიშნა და ქ. მედინაში გაგზავნა[6]. მიუხედავად თავისი ხანდაზმულობისა დაუდი, რომელიც უკვე 70 წელს გადაცილებული იყო, მედინაში ენერგიულად მოღვაწეობდა. წინასწარმეტყველის სავანის ზედამხედველობასთან ერთად იგი დიდად ზრუნავდა ქალაქის კეთილმოწყობაზეც. მედინის ერთ-ერთ გარეუბანში, 'აინზერგას წყაროს ახლოს, მან საკუთარი ხელით გააშენა მშვენიერი ბაღი, რომელსაც შემდეგ „დაუდიე" ეწოდა[7]. ეს იყო მისი უკანასკნელი საქმიანობა. 1851 წელს[8] დაუდი გარდაიცვა-

---

[1] „სულთანმა შეიწყალა ამბოხი და ნება მისცა თავისი ოჯახით დასახლებულიყო ბურსაში, სადაც იგი გაგზავნეს დიარბექირიდან სპეციალური ბოქაულის ზედამხედველობის ქვეშ. შემდეგ, 1832 წელს, მას სახელმწიფო ხაზინიდან დაუნიშნეს საკმაო სარჩო" (Турция и Египет из записок Н. Н. Муравьева Карсского, М., 1869, т. I, გვ. 45).

[2] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 274.

[3] მეჰმედ სურეია, დასახ. ნაშრომი, გვ. 326; ოშე-ლუა ბოსნიის ნაცვლად „Scodra"-ს საფაშოს ამბობს („Relations de Voyages en Orient de 1830 a 1838 par Aucher— E'loy. Paris, 1843, გვ. 329).

[4] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 274. მეჰმედ სურეიას ცნობით, დაუდი ანკარის ვალის თანამდებობიდან გაუთავისუფლებიათ (1256) 1841 წელს (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 326).

[5] შეიხ ულ-ჰარამი — ასე იწოდებოდა მუჰამედ წინასწარმეტყველის მავზოლეუმის ზედამხედველი.

[6] Cl. Huart, დასახ. ნაშრომი, გვ. 203;

[7] იქვე; ٣—ص، مطالع السعود

[8] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 274; Cl. Huart, Dāūd Paşha, „Enziklopaedie des islam". Leipzig, 1912, გვ. 968; მეჰმედ სურეია დასახ. ნაშრომი, გვ. 326. მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში ზოგჯერ დაუდის გარდაცვალების თარიღად 1851 წლის ნაცვლად შეცდომით ასახელებენ 1850 წელს (იხ. А. Адамов, დასახ. ნაშრომი, გვ. 425; Новая история стран зарубежной Азии и Африки, Ленинград, 1959, გვ. 240;

ლა და დასაფლავებულია იქვე, მართლმორწმუნე ხალიფა ოსმანის საფლავის პირდაპირ. იგი შექებული ჰყავს არაბ პოეტს 'აბდ ალ-ღაფფარ ალ-ახრასს[1] ლექსში, რომელშიც კმაყოფილების გრძნობით იგონებს იმ დიდ ზრუნვას, რასაც მისდამი იჩენდა დაუდი და რომელმაც ის ინდოეთშიც კი გაგზავნა.

გარდაცვალების წინ დაუდმა თავის მედინელ თანამოსაქმეებს ანდერძი დაუტოვა, სიკვდილის შემდეგ მისთვის ძვირფასი ძეგლი არ აეგოთ. და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ის თავისი დროის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწეს წარმოადგენდა და მართლმორწმუნე ხალიფების გვერდით განისვენებს[2], საფლავს ძვირფასი ნაგებობის ნაცვლად, როგორიც დიდ პიროვნებას შეეფერება, უბრალო რკინის გალავანი აქვს შემოვლებული, სამაგიეროდ, დაუდის ძვირფასი ძეგლი დაიდგა თავისი ენერგიული და მრავალფეროვანი მოღვაწეობით. ის იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მოქნილი ჰკუა-გონებისა და უაღრესად კეთილშობილური გარეგნული აღნაგობის მქონე ადამიანი, ფრიად განსწავლულ-გაწაფული არაბულ-სპარსულ-თურქულ ენებსა და ფილოსოფიაში[3], კანონმდებელი, აღმაშენებელ-განმანათლებელი, მბეჭდავი, გამომცე-

---

T. M. Lucklama a Nigeholt, Voyage en Russie. en Caucase. en Perse etc. Paris, 1874. t. III. გვ. 14). ამასთან, ტ. მ. ლუკლამა ნიჯეჰოლტი და ა. ადამოვი იმასაც აღნიშნავენ, რომ დაუდი დაკრძალულია ქ. მექაში, სადაც ის თითქოს პილიგრიმობის დროს უნდა გარდაცვლილიყო.

[1] აბდ-ალ-ღაფფარ ბენ აბდ ალ-ვაჰიდ ბენ ვაჰბ ალ-ახრას ალ-მაუსილი დაიბადა 1805 (1200 ჰიჯრით) წელს ქ. მოსულში. სწავლობდა ბაღდადში ალ-ულუსისთან, იყო მუნჯი (არაბ. „ახრას"), დაჯილდოებული შესანიშნავი პოეტური ნიჭით, რამაც ის ცნობილ პოეტად აქცია არაბულ სამყაროში. 'აბდ ალ-ღაფფარ ალ-ახრასი გარდაიცვალა ქ. ბასრაში 1874 (1304 ჰიჯრით) წლის 29 იანვარს. მისი ლექსების კრებული „الطراز الأنفس في شعر الأخرس" („ალ-ახრასის პოეზიის ძვირფასი ნიმუშები") დაიბეჭდა სტამბოლში 1886—7 (1304) წწ. ამჟამად იზზეტ ულ-ფარუკის ინიციატივით. რამდენიმე ლექსი დაბეჭდილია აგრეთვე „მაშრიყში" (Masriq ,XXIV, 296—Diwan Bairut).

[2] დაუდისადმი ასეთი პატივისცემა, სხვათა შორის, იმითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ იგი თვითონვე ატარებდა ხალიფას ტიტულს. ჩვენ ხელთ არსებული ცნობების თანახმად ბაღდადის ფაშა, რომელიც 10 წელს მართავდა საფაშოს (დაუდმა კი 15 წელს დაჰყო ამ პოსტზე), როგორც წესი, ღებულობდა ხალიფას საპატიო წოდებას და თავისი მდგომარეობით ეგვიპტესა და დამასკოს ფაშების შემდეგ იდგა (Voyage dans l'Inde et dans le Galfe Persique par V. Fontanier, Paris, 1844, premiere parte, გვ. 322). ეს ტიტული მათ იმიტომ ეძლეოდათ, რომ იმყოფებოდნენ იმ ქალაქში, სადაც ოდესღაც ძველი არაბი პანტიფიკები (ლათ. Pantifices—უმაღლესი სასულიერო პირნი ძველ რომში), ე. ი. მუსლიმანური სამყაროს ამქვეყნიური თეოკრატი მბრძანებლები ისხდნენ (Rausseau.M** Discription du Pachalik de Bagdad, Paris, 1809, გვ. 21—22).

[3] „აღმოსავლეთის ამ ფილოსოფოს მეფეს ჰქონდა (ახასიათებდა) ყოველგვარი სიმშვენიერე, ზოგიერთი სიკეთე, მაგრამ რამდენადმე აკლდა ავრელიუსისებური ზეშთაგონება" (S. H. Longrigg, დასახ. ნაშრ., გვ. 250). ე. ი. ის როგორც ფილოსოფოსი ვერ ამაღლდა ავრელიუსის ფილოს. შეხედ. დონემდეო, რაც, ვფიქრობთ, კი არ ამცირებს დაუდს, არამედ პირიქით, ავრელიუსზე მაღლა აყენებს. მარკ ავრელიუსი (121—180), რომის იმპერატორი

ველი და დამოუკიდებლობისათვის აქტიური მებრძოლი კაცი; პიროვნება, კინც ბაღდადის საფაშოში გატარებული სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო. სავაჭრო, კულტურული და სამხედრო ხასიათის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების მეოხებით ერაყი აღმავლობის გზაზე დააყენა და ისიც მაშინ, როცა მთელი ისლამის სამყარო დაკნინებისაკენ მიექანებოდა. მხოლოდ ასეთ პიროვნებაზე შეიძლება ეთქვა თანამედროვეს, რომ „ის იყო უდიდესი ადამიანთაგანი, 'ულემთა მეთაური, რომელიც განირჩეოდა თავის თანამედროვეთაგან განსაკუთრებული იდეალებით. შესანიშნავად იცოდა სამი ენა, პოეზია და პროზა. მშვიდობის დროს იყო მხიარული და მკვერმეტყველი, ხოლო ბრძოლაში უმამაცესი. სიკეთესა და თავმდაბლობაში ბადალი არ ჰყავდა. თუ ყოველივე ამით შევადარებთ სხვას, მაშინ ის არის ნამდვილი ვაზირი"[1]. ამ შეფასებას ახლაც იზიარებენ თანამედროვე არაბი მეცნიერები ალ-აზზავი[2], 'იზ ად-დინ იუსუფი[3], მუჰამედ ბასირი[4] და სხვ.

ასეთი იყო დაუდის პიროვნება, ასეთი იყო მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის სფერო, მაგრამ მასზედ სრული წარმოდგენა არ გვექნებოდა, თუ არ შევეხებოდით მისი საქმიანობის კიდევ ერთ დეტალს — სამშობლოსთან დამოკიდებულების საკითხს.

## დაუდი და საქართველო

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუდი პატარაობიდანვე გამოათხოვეს საქართველოს მიწა-წყალს და ისე გარდაიცვალა შორეულ მედინაში, რომ სამშობ-

---

(161—180), ცნობილია, როგორც თვალსაჩინო ფილოსოფოსი სტოიკური მიმართულებისა. სტოიციზმი კი, ეს ელინისტური ხანის მოძღვრება (აღმოცენდა ათენში ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით IV საუკუნის ბოლოს და იარსება VI საუკუნემდე. ჩ. წ-ით), რომლის მამამთავარია ზენონი (დაახლ. 336—264 წწ.), იყოფა 3 ნაწილად: 1) ძველი, 2) საშუალო და 3) ახალი. სწორედ ამ უკანასკნელის (ე. ი. მესამე ნაწილის) ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია მ. ავრელიუსი, რომლის ნაშრომში „შენთან მარტოდ" („Наедине стабой"), სადაც დამუშავებულია ეთიკის პრობლემები, სტოიციზმი საბოლოოდ კარგავს მატერიალისტურ თვისებებს და ღებულობს აშკარად გამოკვეთილ რელიგიურ-იდეალისტურ ხასიათს. ავრელიუსის აზრით, სამყაროში ყველაფერი ემორჩილება აუცილებლობას. აუცილებლობა კი მისი გაგებით სხვა არა არის რა, თუ არა ბედი. აქედან გამომდინარე მისი ეთიკის მთავარ ნიშანს წარმოადგენს ქადაგება—„მორჩილება ბედისადმი" და „უარის თქმა კარგ ცხოვრებაზე". ეს კი აბსურდია. ამიტომ თუ ვიწამებთ, რომ ს. ჯ. ლონგრიგის ზემოთ მოტანილი მოსაზრება სანდო წყაროს ემყარება, მაშინ დაუდი ავრელიუსთან შედარებით უდავოდ პროგრესულ ფილოსოფიურ მოაზროვნედ უნდა მივიჩნიოთ, რადგან ის არ იზიარებს ავრელიუსის რეაქციულ-ფილოსოფიურ თვალსაზრისს.

[1] ალ-'აზზაუი, დასახ. ნაშრომი, გვ. 330.

[2] იქვე.

[3] იხ. მისი الادب العراقي في القرن السابع عشر

[4] იხ. მისი العراق الادبية في القرن تاسع عشر (١٣٦٥) გვ. 10 და შემდეგ.

ლოში დაბრუნება არ ღირსებია. მიუხედავად ამისა, ირკვევა, რომ ამ მხარისაკენ სიყვარულის ნაპერწკალი მის გულში არასდროს არ ჩამქრალა. სამშობლოდან გატაცებული დაუდი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ყოველივე იმას, რაც მაშინ ჩვენში ხდებოდა, სწყინდა მისი ცუდი, ხოლო მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ამ ქვეყნის კარგ ამბავს გაიგებდა. თუ რაოდენ აინტერესებდა მას საქართველოს ყოფა, ეს კარგად ჩანს თავის თანამედროვე რობერტ კერ პორტერის ცნობიდან, სადაც ნათქვამია: „როცა დაუდმა შეიტყო, რომ მე საქართველოში მოგზაურობისას მის დედაქალაქზე (თბილისზე—ბ. ს.) გავიარე, მისი გული ეროვნულმა გრძნობებმა შეიპყრო, მან რამდენიმეჯერ მკითხა ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ... და ერთობ კმაყოფილი დარჩა, როცა ავუწერე ის სიმშვიდე და აყვავება, რაც მან (საქართველომ—ბ. ს.) რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის შედეგად მიიღო“[1].

კაცს რომ სამშობლო უყვარდეს, გასაკვირი არაფერია, მაგრამ დაუდს საქართველოს მდგომარეობა და მისი ბედ-იღბალი სხვა მხრივაც აინტერესებდა. მისთვის, როგორც მისი წინამორბედი მამლუქი ფაშებისათვის საქართველო—სამშობლოს გარდა, იყო კიდევ ის ქვეყანა, საიდანაც თავისი ერთგული სამხედრო რაზმებისათვის (საფაშო ხელისუფლების კართან არსებული ქართული გვარდიისათვის) სისტემატურად ღებულობდა საიმედო შევსებას ტყვეთა სახით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერაყში მამლუქთა რეჟიმის დამყარების პირველსავე დღიდან ქართველების შეძენისა და ბაღდადში მათი მიყვანის ორგანიზაცია პირველხარისხოვანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ ითვლებოდა. მსგავსად ეგვიპტის მამლუქი სულთნებისა და ბეგებისა, ბაღდადის ქულემენი ფაშები ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას ძირითადად ტყვეებით მოვაჭრეთა მეშვეობით ახერხებდნენ. ხოლო ეს უკანასკნელნი თავის მხრივ კავშირში იყვნენ ყველა რჯულის იმ მარბიელებთან, რომლებიც ყოველნაირად გაწამებულ საქართველოს ტერიტორიაზე დაძრწოდნენ. ამ ავაზაკების „წყალობით“ ყოველწლობით ათასობით ბავშვი, მამაკაცი და ქალი ეთხოვებოდა სამშობლოს, მიერეკებოდნენ მათ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ, სადაც ისინი მაღალხარისხოვან საქონლად ითვლებოდნენ და ყველაზე ძვირად ფასობდნენ. არსად, ეგვიპტის გარდა, ქართველი ტყვეები ისე მრავლად არ მიჰყავდათ და ისე ძვირად არ ჰყიდდნენ, როგორც ერაყში[2].

---

[1] Robert Ker Porter, Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient. Babilonia during the years 1817, 1818, 1819, and 1820, London, 1822, Vol. II, გვ. 249.

[2] ეს გარემოება ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტად თავისებურადაა ახსნილი. ქართველ ტყვეებზე მოთხოვნილების ზრდა და ფასების გადიდება, თითქოს, მხოლოდ იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ ისინი „მებრძოლი ხალხის შვილები... მოქნილი გონებით დაჯილდოებულნი და... ფიზიკური ღირსებებით განთქმული იყვნენ“ (იხ. ბეი-მამიკონიანის ქართველ მამელუკთა ბრძანებლობა ერაყში XVIII და XIX საუკუნეებში, „საქ. სსრ მეც. აკად. „მოამბე“,

დაუდის ყურადღებას საქართველო, გარდა აღნიშნულისა, კიდევ იმიტომაც იპყრობდა, რომ აქ ჰყავდა მას მშობლები, ძმები, დები და ნათესავები. მახლობელ თუ შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში სავაჭროდ წასული ქართველი სოვდაგრები, როცა კი ერაყზე გაივლიდნენ, უსათუოდ ბაღდადში შეჩერდებოდნენ ხოლმე და დაუდს ეწვეოდნენ. ასეთებს შორის დაუდის ყველაზე ხშირი სტუმრები იყვნენ ძმები ზუბალაშვილები, კერძოდ კი, ანდრია ზუბალაშვილი, რომლის მეშვეობით მან შეიტყო თბილისში საცხოვრებლად გადმოსული თავისი მშობლების ზუსტი მისამართი და წერილობითი ურთიერთობა დაამყარა მათთან. იგი იყო აგრეთვე დაუდის ძმების, შიოსა და დიმიტრის, მეგზური 1818 წელს, როცა ძმის ფაშად გახდომის ამბავი შეიტყვეს და ამასთან დაკავშირებით სანახავად ბაღდადს გამგაზვრება გადაწყვიტეს.

დაუდმა დიდი პატივით მიიღო ბაღდადს ჩამოსული ძმები და შემდეგ სთხოვა კიდევაც, რომ სამუდამოდ დარჩენილიყვნენ მასთან. უმცროსმა ძმამ დიმიტრიმ კმაყოფილებით მიიღო დაუდის თხოვნა. მან თანხმობა განაცხადა ერაყში დარჩენაზე, რისთვისაც დაჰგმო თავისი რჯული, სახელი და ქრისტიანობის ნაცვლად მაჰმადიანობა მიიღო, ხოლო დიმიტრის მაგიერ ახალი სახელი

---

თბილისი, 1944, ტ. V, №7, გვ. 736). ნამდვილად კი ამის მთავარი მიზეზი უნდა ყოფილიყო არა იმდენად მათ ბრძოლისუნარიანობასა და ფიზიკურ აგებულებაში (თუმცა ამის გაუთვალისწინებლობაც შეცდომა იქნებოდა), რამდენადაც იმდროინდელი ფეოდ. საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობაში და იმ რეჟიმის თავისებურებაში, რაც თან ახლდა ქართველ მამლუქთა მბრძანებლობას როგორც ეგვიპტეში, ისევე ერაყში. საქმე იმაშია, რომ ძალაუფლების სათავეში მოქცეული მამლუქი სულთნები, ბეგები თუ ფაშები ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რათა თავიანთი ხელისუფლება განემტკიცებინათ. ამისათვის, საერთო ლაშქრის გარდა, ჰყავდათ ცალკე სამხედრო რაზმები ე. ი. პირადი გვარდია, დაკომპლექტებული თავიანთ თანამემამულეთაგან. თანამემამულეებისაგან იმიტომ, რომ ასეთი რაზმები მათთვის უველაზე საიმედო დასაყრდენი ძალა იყო, ხოლო ისინი დიდი რაოდენობით იმისათვის სჭირდებოდათ, რომ რაც უფრო მეტი იყო ამ რაზმების მებრძოლთა რიცხვი, მით უფრო უშიშრად გრძნობდა თავს ესა თუ ის ქართველი გამგებელი თავის პოსტზე. სწორედ ამიტომ გახდა ტყვეთა შეძენა პირველხარისხოვან სახელმწიფოებრივ საქმედ, ეგვიპტესა და ერაყში, ამიტომ იზრდებოდა მოთხოვნა ქართველ ტყვეზე. ამის შესაბამისად დიდდებოდა მათი ფასიც, რაზეც სხვათა შორის, დიდი გავლენა მოახდინა, აგრეთვე, სოლომონ I და ერეკლე II მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა საქართველოში ტყვის სყიდვის აკრძალვის შესახებ. თუ ეს არა, მაშინ რითღა უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მაგ., გერმანელები, რომლებიც თავიანთი მებრძოლი სულით, მოქნილობითა და ჭკუა-გონებით ქართველებს ოდნავადაც არ ჩამოუვარდებოდნენ,— როგორც ფ. ვ ო ლ ნ ე ი ამბობს,—ოსმალეთში უველაზე ნაკლებად ფასობდნენ და ბეგიათადაც თუ იყიდდნენ ხოლმე? (იხ. К. Ф. В о л ь н е и, Путешествие в Сирии и Египет, СПБ, 1791, т. I, გვ. 171).

აჰმედი[1] დაირქვა[2]. პირველ ხანებში მან ვაჭრობას მიჰყო ხელი, მაგრამ ამის ნიჭი არ აღმოაჩნდა, მალე გაღატაკდა და ამ საქმეს თავი დაანება. 1824 წელს ის დაუდს თავის მოადგილედ, ბაღდადის საფაშოს შეიარაღებული ძალების სარდლად დაუნიშნავს[3]. ვაგრამ ეტყობა, აქაც ვერ ივარგა და გადაუყენებიათ. შემდეგ მას ვხედავთ ბასრას მუთასალიმის პოსტზე[4]. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დიმიტრი იყო ლოთი, უქნარა და უუნარო ადამიანი, რომელმაც თავისი ზნედაცემულობით[5] ბევრი უსიამოვნება შეამთხვია თავის ძმას, დაუდს.

---

[1] ალ-აზზავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 286; S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 247.

ალ-აზზავისა და ლონგრიგისაგან განსხვავებით ვ. ფონტანიე დიმიტრის მუსლიმანურ სახელად ჰუსეინს ასახელებს (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 326). ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა, რომელია ამ ორი ერთიმეორისაგან განსხვავებული ცნობიდან სანდო და ნამდვილად რა ერქვა დაუდის ძმას გამაჰმადიანების შემდეგ, აჰმედი თუ ჰუსეინი?

ალ-აზზავისა და ლონგრიგის ცნობა არაბულ და თურქულ პირველწყაროებს ემყარება. ამდენად მისი სისწორე ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ფონტანიეს ცნობაც არ უნდა იყოს სინამდვილეს მოკლებული, რადგან ის დაუდ-ფაშას დროს ბაღდადში მოღვაწეობდა და როგორც ამბის მომსწრე თვითონ წარმოადგენს პირველ წყაროს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ დიმიტრის მაჰმადის რჯულზე მოქცევის შემდეგ აჰმედიც ერქვა და ჰუსეინიც, ოღონდ არა ერთი და იმავე, არამედ სხვადასხვა დროს. ამ დასკვნამდე მივყავართ ფონტანიეს თხზულების იმ ადგილს, სადაც წერია: „...ჰუსეინ ფაშა, ასეთი იყო სახელი მისი მას შემდეგ, რაც მირმირანის ჩინი უყიდეს“ გვ. 326). თუ ვიწამებთ, რომ ეს ცნობა სწორია და ჰასანი სახელად დაუდის ძმამ მირმირანად გახდომის შემდეგ მიიღო, ხოლო მირმირანად იგი გახდა არა საქართველოდან ბაღდადს ჩასელისთანავე, არამედ უფრო გვიან (დაახლოებით 1822—23 წლებში), მაშინ ცხადია, რომ მანამდე მას სხვა მაჰმადიანური სახელი უნდა რქმეოდა. სხვანაირად შეუძლებელია, რადგან მანამდე ის არც უსახელოდ შეიძლებოდა ყოფილიყო და არსებული წესების თანახმად, ვერც ქრისტიანულ სახელს შეინარჩუნებდა.

[2] ამდენად, გ. ლეონიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაუდი და დიმიტრი ერთი და იგივე პირის სახელები უნდა ყოფილიყო (იხ. მისი „დაუდ ფაშა“, ჟურნალი „დროშა“, თბილისი, 1954, № 3), ანდა თითქოს დიმიტრი 1780 წ. გაუტაცნიათ საქართველოდან, (იხ. მისი «Ценный памятник исторического прошлого». Унараго, «Мамелюк», Тб., 1959 г., გვ. 7) სინამდვილეს მოკლებულია. უმართებულოა, აგრეთვე შ. კურდღელაშვილის მსჯელობაც, როცა ის თავის ნაშრომში „ქართული სტამბის ისტორიიდან“ (თბ., 1959, გვ. 83) იზიარებს გ. ლეონიძის მოსაზრებას დაუდისა და დიმიტრის იგივეობის შესახებ და გ. ლეონიძის „დაუდ ფაშასთან“ ერთად არასწორად იმოწმებს წერილს „ზოგიერთი შენიშვნა გ. ლეონიძის ერთი წერილის გამო“, დაბეჭდილს 1954 წ. 25 სექტემბერს „გაზეთ ახალგაზრდა კომუნისტში“, სადაც სწორედ იმის საწინააღმდეგოა ნათქვამი, რასაც გ. ლეონიძე და შ. კურდღელაშვილი ვარაუდობენ.

[3] S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 247.

[4] V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, გვ. 327.

[5] ამბის მომსწრისა და თვითმხილველის ვ. ფონტანიეს გადმოცემით, ის ყოფილა ყველაზე უტეინო და ლოთი ადამიანი. დაუდ-ფაშას მისთვის აუშენებია სახლი. მიუჩენია მსახურიც, მაგრამ ჰუსეინ ფაშას (ასეთი იყო მისი ტიტული მას შემდეგ, რაც დაუდმა უყიდა მირმირანის ჩინი) გაუფლანგავს ქონება და ფულის სათხოვნელად ისევ ძმას მისდგომია ძარზე. მისი ასეთი მოქმედებით განაწყენებულ დაუდს ის უარით გაუსტუმრებია. თანაც უთქვამს: თუ შენ ჩემი ძმა ხარ, ფულის შოვნა უნდა შეგეძლოსო. დაუდის ეს სიტყვები ჰუსეინს სწყენია, წასულა და დამთვრალა, შემდეგ გზაში დაუპერია ერთი მდიდარი ებრაელი, ჩამოუ-

რაც შეეხება შიოს, ძმებს შორის ყველაზე უფროსს, მან უარი თქვა ბაღდადში დარჩენაზე და დაუდმა ის დიდძალი საჩუქრებითა და პატივით გამოისტუმრა სამშობლოში[1]. თვითონ დაიწყო იმაზე ზრუნვა, თუ როგორ გაეთავისუფლებინა მთელი მისი ოჯახი ყმობიდან. ამ საკითხზე, როგორც ირკვევა, მოწერა ჰქონია საქართველოს მთავარმმართებელ გენერალ ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვთან, რაც გარკვევით ჩანს ინგლისელი მოგზაურისა და მკვლევარის, რობერტ კერ პორტერის შემდეგი სიტყვებიდან: „როცა დაუდს ვუამბე თბილისში ჩემი ყოფნისა და საქართველოს საერთო მდგომარეობის შესახებ, მითხრა, რომ მისი მამა, დედა და ძმები თბილისში იმყოფებიან და თანაც მკითხა, თუ ის საქართველოს რუს გამგებელს მისწერდა მფარველობაზე გაეწია ამ ბრწყინვალე პიროვნების (დაუდის— ბ. ს.) ოჯახისათვის, როგორ ვფიქრობდი მე, შეუსრულებდა თუ არა (ერმოლოვი—ბ. ს.) ამას? მე, მივუგე— უეჭველად... დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ უარს არ იტყოდა ფაშას ოჯახისადმი ყურადღებაზე და ძალიან მოხარულიც იქნებოდა, თუ წერილს მიიღებდა ამ გამოჩენილი პიროვნებისგან. ყოველ მიმოწერას ამ ორ დიდ გამკეთებელს შორის თან ახლდა საჩუქრები. მისი უდიდებულესობა მე მავალებდა, რომ რუსი გენერლისათვის გასაგზავნად შემერჩია ყველაზე ძვირფასი შალი, ამასთანავე, რადგან ვიცოდი, რომ ეს მიმოწერა სამხედრო მნიშვნელობისაც იყო, თავს უფლებას ვაძლევდი და ვეუბნებოდი, მიერთმია ზმალი. ეს საჩუქრები და ფაშას წერილი მისი ნდობით აღჭურვილი მსახურის ხელით რამდენიმე დღის შემდეგ გაიგზავნა საქართველოში“[2].

ეს სტრიქონები 1818 წელს არის დაწერილი და მათში ბევრი რამაა ნათქვამი, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამგვარი მიმოწერების შედეგად დაუდ-ფაშას დედა (მამა ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო), ძმა, დები და მათი ოჯახის სხვა წევრები განთავისუფლებულ იქნენ ორბელიანთა ყმობიდან, რის იურიდიულ გაფორმებას წარმოადგენს ლუარსაბ, ჭაიხოსრო, დავით, ასპაზ, კონსტანტინე, იაკობ და სამარაღდან ორბელიან-ყაფლანიშვილების მიერ 1820 წლის 10 ნოემბერს გაცემული და თბილისის სამაზრო სასამართლოსაგან იმავე წლის 13 ნოემბერს დამტკიცებული „გიორგი ბოჩოლაშვილის ოჯახის ყმობიდან გათავისუფლების სიგელი“[3].

---

კიდია ფეხებით, მაგრად გაუროზგავს, გაუძარცვავს, დაუთვრია და ისე გაუშვია. მას თურმე სასაცილოდ მიაჩნდა, რომ გემის წყალქვეშა ნაწილი სპილენძით იყო დაფარული და ბასრას მუთასალიმად ყოფნისას ბრძანება გაუცია, ყველა გემისათვის სპილენძის ფურცლები მოეძროთ, რათა გაეყიდა და ფულად ექცია. მაგრამ დაუდს ეს დროზე შეუტყვია და თანამდებობიდან გაუძევებია (იხ. V. Fontanier, დასახ. ნაშრ., გვ. 326—327). 1831 წელს. როცა დაუდის ხელისუფლება ბაღდადში დაემხო და ის ბურსას გადაასახლეს, დიმიტრი (პუსეინი) სტამბოლს გადასახლებულა.

[1] V. Fontanier, დასახ. ნაშრომი, გვ. 326—327.

[2] Robert Ker Porter, დასახ. ნაშრომი, გვ. 249—250.

[3] იხ. ქვემოთ, საბ. №19580-ბ (ტაბულა I და II).

აღნიშნული სიგელის პირი[1] და მასთან ერთად მარიამის (დაუდის დედის) წერილი, რომელთა სრულ ტექსტებსაც ქვემოთ მოვიტანთ, 1821 წლის ზაფხულში გაეგზავნა დაუდ-ფაშას, რომელსაც თავისი ძმა—შიო სიხარულით ატყობინებდა: „ეს, მე რომ მომეცა სასამართლოსაგან დამტკიცებული წერილი იმის პირიაო"[2]. წერილი და სიგელის პირი ბაღდადში უნდა წაეღოს და დაუდ-ათვის გადაეცეს ანდრია ზუბალაშვილს, რაც თვით დაუდის შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: „დედავ მარიამ! თქვენი მოწერილი წიგნები... ზუბალაანთ კაცის ხელით გამოგზავნილი... მომაბარენ სრულადო"[3].

დაუდ-ფაშამ კმაყოფილებით მიიღო ცნობა საქართველოში მყოფი თავისიანების ყმობიდან განთავისუფლების შესახებ და თავის მდივანს უკარნახა, მიღებულ საბუთზე ასეთი შინაარსის რეზოლუცია გაეკეთებინა: „ესე სახსრის წერილი სასამართლოში დამტკიცებული წიგნის პირი... მომივიდა,... ვიყაბულე... და ჩემი ბეჭედი დავაჯდინეო"[4]. შემდეგ კი დედისა და „ბატონი მთავარმმართებლის სახელზე წიგნები" დაწერა და სიგელის პირთან ერთად ისინი ადრესატებისათვის გადასაცემად საქართველოში გამოატანა იუსუფ-აღას, რომლის ნამდვილი გვარი იოსეფოვი (იოსეფაშვილი) არის, ხოლო სახელი პეტრე. წარმოშობით იგი ქართველია, დაბადებულია ახალციხეში, იცოდა ქართული წერა-კითხვა და მოღვაწეობდა ერაყში. იუსუფ-აღამ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია დაუდს ბაღდადის საფაშო ხელისუფლების აღებისას, სა'იდ-ფაშას წინააღმდეგ ბრძოლის დროს. მას ინგლის-ოსტ-ინდოეთის ბაღდადელ რეზიდენტთან კლავდიუს ჯემს რიჩთან მიჰქონდა „დაუდის ფირმანები და ოფიციალური ცნობები"[5]. ერთგული სამსახურისათვის დაუდმა ფაშად გახდომის შემდეგ იუსუფ-აღა თავის ქათიბად[6], ანუ მდივნად დანიშნა. ამ პოსტზე ყოფნისას თავისი მბრძანებლის სპეციალური დავალებით არაერთხელ უმოგზაურია მეზობელ ქვეყნებში დიპლომატიურ საქმეთა მოსაგვარებლად. საქართველოში ჩამოსვლის მიზანიც ამჯერად სწორედ ის იყო, რომ მთავარმმართებლისათვის გადაეცა ბაღდადის ფაშას „წიგნი" და ანდრია ზუბალაშვილის დახმარებით მასთან მოლაპარაკებაც გამართა დაუდის დედისათვის აზნაურობის ბოძების თაობაზე. ამასთანავე, დავალებული ჰქონდა, აეღო ნებართვა ერმოლოვისგან და საქართველოდან უკან—ერაყში გაბრუნებისას თან წაეყვანა „ბაღდა-

---

[1] იხ. ქვემოთ საბ. № 19582-ხ, „გაზაეტების წიგნი ბოჩოლაანთ გიორგის შვილებისადმი", გვ. II, მინაწერი მე-4 (ტაბ. IV).

[2] იქვე, გვ. II, მინაწერი, IV (ტაბ. IV).

[3] იხ. ქვემოთ საბ. №19577-ხ, „ბედნიერი ბაბილოვანის ხელმწიფის დაუდ-ფაშას წერილი დედისადმი", ტაბ. VI.

[4] იქვე.

[5] Claudius James Rich, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

[6] ქათიბად უველაზე ახლობელს და საიდუმლოების შემნახველს ირჩევდნენ (იხ. ამის შესახებ იასე რაჭველის „მეექვსე ნომერი", თბ., 1897, გვ. 119).

დის ხელმწიფის“ დედა—მარიამი, თუკი ის შვილის სანახავად შორეულ ბაღდადში მგზავრობაზე თანხმობას განაცხადებდა.

ზუსტი თარიღი იუსუფ-აღას თბილისში მოსვლის შესახებ ჯერ ჩვენ არ ვიცით. ის აქ უნდა ყოფილიყო დაახლოებით 1821 წლის ბოლოს, შემოდგომაზე. უფრო ადრე თბილისში ვერ იქნებოდა, რადგან დაუდ-ფაშას წერილი, რომელიც მან მარიამს ჩამოუტანა, დაწერილია 15 აგვისტოს (2 მარიამობისთვეს), ხოლო თუ ვიგულისხმებთ, რომ ის წერილის დაწერის შემდეგ დიდხანს აღარ გაჩერდებოდა ბაღდადში და გზაშიც ალბათ სამ თვეზე მეტი არ დააგვიანდებოდა ,მაშინ ადგილზე უნდა მოსულიყო 1821 წ. დამლევს.

თბილისში ჩამოსულ იუსუფ-აღას საუბარი ჰქონია გამართული როგორც მთავარმმართებელ ერმოლოვთან, ასევე დაუდის დედა მარიამთან, მაგრამ ირკვევა, რომ მოლაპარაკება ბაღდადის ფაშას წარმომადგენლისათვის სასურველი შედეგით ვერ დამთავრებულა. მარიამისათვის აზნაურობა არ მიუციათ და არც ბაღდადში მისი წაყვანა მოხერხებულა. მისთვის რომ აზნაურობა არ უბოძებიათ, ეს ჩანს თბილისელი მოქალაქის ვინმე ა. ე. მ კ ე რ ვ ა ლ ი ს მიერ შიოსათვის 1827 წელს მიცემული ნასყიდობის წიგნიდან, რომელშიც აღნიშნულია: „1827 წელს თბილისელმა მოქალაქემ ა. ე. მკერვალმა მიჰყიდა თავისი საკუთარი სახლი თბილისელ სახელმწიფო გლეხს, შიო გიორგის შვილ მანველოვს ოთხას ოთხმოც ვერცხლის მანეთად“[1].

ცხადია, 1821 წელს რომ მარიამისათვის აზნაურობა მიენიჭებინათ, მაშინ მის ვაჟ, შიოს, 1827 წელს სახელმწიფო გლეხად აღარ მოიხსენიებდნენ.

რაც შეეხება იმას, მიიღო თუ არა ნებართვა იუსუფმა მარიამის ბაღდადში წაყვანის შესახებ, ამაზე გარკვეულ პასუხს იძლევა მოლაპარაკების მონაწილე, ა. პ. ე რ მ ო ლ ო ვ ი ს მდივანი (1821—1825 წწ.) საგარეო საქმეთა ნაწილში ა. ს. გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი, რომელიც 1824 წელს ერთ-ერთ თავის შენიშვნაში წერდა: „დაუდ-ფაშამ სამი წლის წინათ, თავისი რწმუნებული მოავლინა საქართველოში, რათა ნება მისცემოდა დედამისს წასულიყო მასთან ბაღდადში. მაგრამ მან... სასტიკი უარი თქვა მუსლიმანურ ქვეყანაში მოგზაურობაზე და მართლმადიდებლურ სამშობლოში ყოფნა ამჯობინა იმ ფუფუნებით ცხოვრებას, რაც ბაღდადში მოელოდა“[2]. აქედან გასაგები ხდება როგორც ის, რომ დაუდის დედის წაყვანა ბაღდადში იუსუფ-აღას ვერ მოუხერხებია, აგრეთვე ისიც, რომ წასვლაზე უარი უთქვამს თვითონ მარიამს.

---

[1] საბუთი ინახება ი ვ. ბ რ ო ძ ე ლ ი ს ე უ ლ არქივში, ლ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ს ბინაზე, თბილისში (არსენას ქ. № 11).

[2] Необыкновенныя похождения и путешествия русского крестьянина Дементия Ивановича Цикулина. Журн. «Северный архив». СПБ, 1825, ч. XV, № 9, გვ. 47. შენიშვნა მე-6; აგრეთვე «Полное собрание сочинений А. С. Грибоедова». Петроград, 1917, т. III, გვ.. 112.

## დაუდ-ფაშას წერილისა და ბოჭოლაანთ გიორგის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების საბუთების შემდგომი ბედი

გაწბილებული იუსუფ-აღა მოლაპარაკების შემდეგ ბაღდადს დაბრუნდა, ხოლო მის მიერ თბილისში ჩამოტანილი „წიგნები“, „ბედნიერი ბაბილოვანის ხელმწიფის დაუდ ფაშას წერილი დედისადმი“ და „გიორგი ბოჭოლაშვილის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელის“ პირი ორიგინალთან ერთად, ერთხანს მარიამის ბინაზე ინახებოდა, შემდეგ ისინი შიოს ნათესავს ექიმ ივანე ბროძელს წაუღია და თავის პირად არქივში მოუთავსებია. 1874 წლის 22 იანვარს, ივანე ბროძელის გარდაცვალების შემდეგ, აღნიშნული საბუთები მთელ არქივთან ერთად მის ვაჟს გიორგის გადაეცა, ხოლო მისგან მთაწმინდის მწერალთა მუზეუმს (ამჟამად საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი) შეუძენია. მაგრამ როდის მოხდა ეს? ამის შესახებ ზუსტი ცნობა არ მოიპოვება, მუზეუმის საინვენტარო წიგნში ეს აღნიშნული არ არის. გ. ბროძელი 1943 წელს გარდაიცვალა, ხოლო მისი დისშვილების ლევან, ელენე და ნინო კანდელაკების ზეპირი გადმოცემით ისინი აღნიშნულ მუზეუმს დაახლოებით 1934 წელს უნდა შეესყიდოს. ჩვენც ამ თარიღს ვასახელებდით 1954 წლის 25 სექტემბერს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“, №115 (5907) დაბეჭდილ სტატიაში—„ზოგიერთი შენიშვნა გიორგი ლეონიძის ერთი წერილის გამო“. მაგრამ დღეს მასში შეიძლება მცირე კორექტივის შეტანა. ყოველ შემთხვევაში ერთი საყურადღებო გარემოება გვიკარნახებს, რომ მუზეუმში ამ საბუთების ჩაბარების აღნიშნული თარიღის —1934 წლის გვერდით დავასახელოთ სხვა თარიღიც.

საქმე იმაშია, რომ 1955 წელს ლ. კანდელაკის ბინაზე საარქივო მასალების დათვალიერებისას აღმოჩნდა სია იმ ხელნაწერებისა, რომლებიც გ. ბროძელს მუზეუმისათვის მიუყიდია. სიაში, სხვათა შორის, შეტანილია „ვეფხვისტყაოსნის ხელნაწერი“, რომლის შესახებ 1937 წლის 31 ოქტომბერს გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ (№252, გვ. 3) ფურცლებზე გ. ლეონიძე იუწყებოდა: „საქართველოს მწერალთა მუზეუმმა ამ დღეებში ი. ბროძელისაგან[1] შეიძინა პოემა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი“. ამიტომ, თუ ამ ცნობის სისწორეს სადავოდ არ გავხდით და ვივარაუდებთ, რომ „ვეფხვისტყაოსნის ხელნაწერი“ აღნიშნულმა მუზეუმმა ნამდვილად 1937 წელს შეიძინა, მაშინ სხვა საბუთებიც, მათ შორის „გიორგი ბოჭოლაშვილის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელი“, მისი პირი და „ბედნიერი ბაბილოვანის ხელმწიფის დაუდ ფაშას წერილი დედისადმი“ იმავე დროს იქნებოდა მიტანილი იქ, რადგან, ჯერ ერთი, ერთ სიაშია შეტანილი და, მეორე, როგორც ლ. კანდელაკი

---

[1] უნდა იყოს გ. ბროძელი, რადგან ი. ბროძელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარდაიცვალა 1874 წ. 22 იანვარს. ასე რომ, 1937 წელს მისგან მუზეუმი ვერაფერს შეიძენდა. რაც შეეხება გ. ბროძელს, ის კი 1943 წ. 28 ივლისამდე ცოცხლობდა.

ამბობს, ერთად წაუღია მისი ბინიდან საქართველოს მწერალთა მუზეუმის რწმუნებულს ი. ენიკოლოპოვს[1] (იგივე ენიკოლოფაშვილს).

გ. ბეი-მამიკონიანის თქმით, ამ საბუთებს 1944 წელს დასაბეჭდად ამზადებდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი[2], მაგრამ ეს განცხადება მცდარი გამოდგა. როგორც შემდეგ გამოირკვა აღნიშნულ ინსტიტუტში ამ საბუთების გამოქვეყნებაზე იმ ხანად არათუ არავინ მუშაობდა, მათი ადგილსამყოფელიც კი არ იყო ცნობილი.

პირველი, ვინც ამ საბუთების ნაწილის გამოქვეყნება სცადა, აკადემიკოსი გიორგი ლეონიძეა. 1954 წლის მარტში ჟურნ. „დროშაში“ მოთავსებულ სტატიაში „დაუდ ფაშა“, მან გამოაქვეყნა მხოლოდ დაუდის წერილის ტექსტი დედნის რეპროდუქციით და მოკლე კომენტარები დაურთო, მაგრამ ეს კომენტარები თვითონ საჭიროებენ კომენტარებს, რადგან მათში მთელ რიგ შემთხვევაში დაშვებულია სერიოზული შეცდომები. ამ ხარვეზის რამდენადმე გასწორება ვცადეთ 1960 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში — „ერაყ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“[3], სადაც, სხვათა შორის, მოცემულია აღნიშნული საბუთების როგორც ტექსტები, რეპროდუქციები და მათი წაკითხვა, ასევე კომენტარები, თითოეული საბუთის დეტალური აღწერა და ადგილსამყოფელის ჩვენება[4].

ეს დოკუმენტები დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, № 298 მუყაოს ყუთში. ერთი მათგანი, კერძოდ, გიორგი ბოჩოლაშვილის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების საბუთი, მუზეუმის საინვენტარო წიგნსა და კატალოგში „გიორგი ბოჩოლაშვილის განთავისუფლების სიგელის“ სახელწოდებითაა შეტანილი[5] და ინახება № 19580—ბ-ით. იგი დაწერილია შავი ტუშით, 34,5×22 სმ ზომის უხაზო, თეთრ, ჭვირნიშნიან, ფასიან ქაღალდზე. ჭვირნიშანს წარმოადგენს „Гербовая бумага“ — ქაღალდის ზედა ნახევარში, თვით გერბი ორთავიანი არწივის გამოსახულებით მოთავსებულია ქაღალდის შუაგულში და „Цена

---

[1] მუზეუმის საინვენტარო წიგნშიც ასეა მითითებული.

[2] გ. ბეი-მამიკონიანი, „ქართველ მამელუკთა მბრძანებლობა ეგვიპტეში XVIII და XIX საუკუნეებში“ („საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, თბ., 1944, ტ. V, № 7, გვ. 736).

[3] იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბ., 1960, ტ. 91 (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია), გვ. 355.

[4] ვინაიდან ჩვენ აქ საუბარი გვაქვს დაუდ-ფაშას ცხოვრება-მოღვაწეობაზე, ხოლო აღნიშნული საბუთები მშობლებისა და ნათესავებისადმი მისი ზრუნვის შედეგად შეიქმნა, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ მათი ტექსტები და აღწერილობა აქაც მოვიტანოთ.

[5] აღნიშნული საბუთის ამგვარი დასათაურება მიზანშეუწონელია, რადგან, ჯერ ერთი, გაუგებარია რისგან გაათავისუფლეს გიორგი და მეორე, გიორგის გათავისუფლება შეუძლებელი იყო, ვინაიდან ის ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ იყო. ამიტომ ჩვენ ამ საბუთს უკეთესად ასე ვიხსენიებთ: „გიორგი ბოჩოლაშვილის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელი“.

3 рубли“ კი —- გერბის ქვეშ. ორთავიანი არწივის (რუსეთის იმპერიის სახელმწიფო გერბი) გამოსახულების ორთავე მხარეს, როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ, ზის რიცხვები „18“, რაც მიუთითებს ქაღალდის დამზადების თარიღზე (1818 წ.).

გარდა ჰვირნიშნისა საბუთის პირველ გვერდზე, ზემოთ, მარჯვენა კუთხეში დასმულია 6×4,5 სმ ზომის გერბიანი მარკა შავი ტუშით. მარკის ზედა ნაწილში მოთავსებულია სიტყვები „1818 года“, შუაში არის რუსეთის იმპ. სახელმწიფო გერბი ორთავიანი არწივის გამოსახულებით, მის ქვეშ «Три рубли лист», ხოლო ირგვლივ, მარკის აშიაში — «Под сигербом писать вснякия крепости от 501 и в 1000 рублей».

საბუთის ერთი გვერდი უჭირავს ბოჩოლაშვილების ყმობიდან გათავისუფლების სიგელის ქართულ ტექსტს. ის დაწერილია მხედრულით, გარკვევით, ზომით 75×17 სმ-ზე და შედგება სულ 22 სხვადასხვა სიგრძის სტრიქონისაგან.

საბუთის მეორე გვერდზე[1] მოთავსებულია რუსული ტექსტი, დაწერილი შავი ტუშით, ორი სხვადასხვანაირი ხელით, მაგრამ ორთავე ლამაზი კანცელარიულით. არე, რომელიც მას უკავია 14×17 სანტიმეტრია და შედგება 17 სტრიქონისაგან. ტექსტის მარცხენა, ქვემო კუთხეში დასმულია თბილისის სამაზრო სასამართლოს ბეჭედი.

გიორგი ბოჩოლაშვილის ოჯახის ყმობიდან გათავისუფლების სიგელი დაწერილა 1820 წლის 10 ნოემბერს. დამტკიცებულია ამავე წლის 13 ნოემბერს თბილისის სამაზრო სასამართლოს მიერ.

სიგელის ქართულ-რუსულ ტექსტებს ასე ვკითხულობთ:

## I გვერდი (ქართული ტექსტი)

1. „ჩყკ წელსა, ნოემბრის ი დღესა, მე ქვემო
2. ხელის მომწერელმა თავადმა ლუარსაბ იოანეს ძემ ორბელიანმა,
3. განგათავისუფლე ჩვენის[2] ყმობისაგან ჩემნი სამკვიდრონი ყმანი,
4. აწ აქ ტფილისში მცხოვრებელნი ბოჩოლაანთ გიორგის
5. შვილები ყოველნი, შიო და დიმიტრი, რომელნიც[3] ძველად[4] მან
6. ველაანთ იხსენებოდით შენის ცოლით ბარბარეთი და შენის ქალ
7. ებით ნინოთი, ანათი და სალომეთი და დედა შენი მარიამ და შენი ძმა
8. დიმიტრი, რომელიც აწ ბაღდადს იმყოფება. ასე რომ თქვენ ჩემი
9. გული, შეიჯერიეთ და დღეის შემდგომ, არც მე და არც სხვათა ნათ
10. ესავთა და ჩამომავლობათა ჩემთა საბატონყმოთ თქვენ შიოს

---

1 დანარჩენი ორი გვერდი საბუთისა დაუწერელია.

2 დედანშია: „ჩუენის“.

3 დედანშია: „რომელთაც“.

4 დედანშია: „ძულათ“.

11. და დიმიტრისთან და თქვენ ჩამომავლობასთან[1]... საქმე არა
12. გვქონდეს, რომ[2] თქვენ ამას წინათ არც ვისმეზედ ხართ მის
13. ყიდულნი, არც დაგირავებულნი, არც როგორმე დამტკიცებულ
14. ნი. თუ ვინმე წამოგედაოთ[3] პასუხის გამცემნი მე და
15. ჩემი მემკვიდრენი ვიყვნეთ. თქვენ და თქვენი[4] ჩამომავლობანი
16. არაფერზედ[5] გაგსარჯოთ და ზიანი არ[6] მოგაცემინოთ რა, რომლი
17. სათვისაც ხელს ვაწერთ[7] თავად ლუარსაბ[8] ორბელიანი, თა და
18. თა ქაიხსრო[9] ორბელიანი, დავით [10] ორბელიანი,
19. ასპან[11] ორბელიანი,
20. თა კოსტატილე[12] ორბელიანი,
21. თა იაკობ[13] ორბელიანი,
22. თა სამარაღდან[14] ორბელიანი.

## II გვერდი (რუსული ტექსტი)

1. 1829-го[15] года ноября 13-го дня на пропи
2. санных в сей отпускной крестьян запре
3. щения по алфавитам Тифлисского
4. уездного[16] суда не значится. Губернский
5. Секретарь Щерб атов?.
6. 1820-го года ноября 13-го дня сие отпускное
7. письмо в Тифлисском уездном суде
8. явлено и в книгу под № 393-й записано,
9. и что оное собственною рукою подпору
10. чика князя Луарсаба Орбелианова
11. подписано, в том сей суд подписом
12. присудствующих с приложением

---

[1] ამის შემდეგ დედანში მეორდება სიტყვა „თქვენთანანა“.
[2] დედანშია: „რომელ“.
[3] დედანშია: „წამოგედაოსთ“.
[4] დედანშია: „თქუნი“.
[5] დედანშია: „არათერზედ“.
[6] დედანშია: „არა“.
[7] დედანში ამ სიტყვის ბოლო ასო „თ“ წაშლილია.
[8] დავით რევაზის ძე ორბელიანის შვილის (ივანეს) შვილი.
[9] დავით რევაზის ძე ორბელიანის ძმის ნიკოლოზის შვილის (გიორგის) შვილი.
[10] ლუარსაბ ივანეს ძე ორბელიანის ძმა.
[11] ნიკოლოზ ორბელიანის შვილი.
[12] ნიკოლოზ ორბელიანის შვილის (იოსების) შვილი.
[13] იოსებ ორბელიანის ძმა.
[14] ნიკოლოზ ორბელიანის ვაჟი, იოსებისა და იაკობის ძმა, გრიგოლ ორბელიანის ბიძა.
[15] დედანში „го“ არც აქ და არც სხვაგან რიცხვის შემდეგ არ გეხვდება.
[16] დედანშია «Уездnаго».

13. Казенной печати свидетельствует.
14. Судья...[1]
15. Заседатель. К...[2]
16. В должности секретаря...[3]
17. Колежный секретарь Кандинов».

ამასთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში № 298 ფუყაოს ყუთში ინახება აგრეთვე მეორე საბუთი №19592-ხ, რომელიც საინვენტარო დავთარსა და კატალოგში შეტანილია სათაურით: „გააზატების წიგნი ბოჩოლაანთ გიორგის შვილებისადმი". ის წარმოადგენს „გიორგი ბოჩოლაშვილის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელის" პირს; დაწერილია ქართულად, მხედრულით, შავი ტუშით, ჭვირნიშნიან, ფასიან, გერბიან თეთრ ქაღალდზე; შედგება სულ 4 გვერდისაგან. აქედან თითოეული გვერდის ზომაა 34,5×22 სანტიმეტრი. ჭვირნიშნად ხმარებულია წარწერა „Гербовая бумага"—ქაღალდის ზემო ნაწილში, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო გერბი ორთავიანი არწივის გამოსახულებით—ქაღალდის შუაში, რიცხვი „1809" (ქაღალდის დამზადების თარიღი)—გერბის ქვეშ, და „цена 2 рубли"—ქაღალდის ბოლოში.

აქაც, ისევე როგორც „გიორგი ბოჩოლაშვილის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელში", საბუთის პირველ გვერდზე, ქაღალდის ზემო, მარჯვენა კუთხეში დასმულია გერბიანი მარკა 1819 წლის თარიღით („1819 года"), რომლის ქვეშ, შუაგულში, ჩანს ორთავიანი არწივის გამოსახულება და მის შემდეგ (ბოლოში) კი სიტყვები—„два рубли листь". მარკის ირგვლივ აშიაში მოთავსებულია სიტყვები: „Писать крепости до пяти сот рублей", რაც გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ ასეთ (მარკიან) ქაღალდზე იწერებოდა ხუთასი და ხუთას მანეთზე ნაკლები ღირებულების ნასყიდობები.

ბოჩოლაანთ გიორგის შვილების გააზატების „წიგნის" ტექსტს უკავია გვერდნახევარი (მოცულობით 26×16 სმ — პირველ გვერდზე, ხოლო 8×12,5 სმ — მეორეზე) და შედგება სულ 27 სტრიქონისაგან. აქედან 22 სტრიქონი პირველ გვერდზეა მოთავსებული. დანარჩენი 5 კი—მეორეზე. ტექსტი საბუთისა დათარიღებულია 1820 წლის10 ნოემბრით და იკითხება ასე:

I გვერდი

1. „ჩყკ" წელსა, ნოემბრის ი დღესა, მე ქვემო ამის
2. ხელის[4] მომწერელმან თავადმა ლუარსაბ იოვანეს
3. ძე ორბელიანოვმა, გაგანთავისუფლე ჩვენის ყმობი

[1] ხელის მომწერის გვარი, სახელი და მამის სახელი დედანში არ იკითხება.
[2] ასევე.
[3] ასევე.
[4] დედანშია: „ჴელის".

4. საგან ჩვენი სამკვიდრო ყმანი, აწ აქ ტფილისში
5. მცხოვრებელნი ბოჩოლაანთ[1] გიორგის შვილები
6. ყოველნი, შიო და დიმიტრი, რომელნიც ძველად
7. მანველაანთ[2] იხსენებოდით შენის ცოლითა და
8. შენის შვილებითა და დედაშენი[3] მარიამ და
9. შენი ძმა დიმიტრი, რომელიც აწ ბაღდადს იმყო
10. ფება. ასე რომ, თქვენ ჩემი გული შეიჯერიეთ და
11. დღეის შემდგომად, არც მე და არც ნათესავთა
12. და ჩამომავლობათა ჩვენთა საბატონყმოდ[4] თქვენ შიოს
13. თან და დიმიტრისთან და თქვენ ჩამომავლობასთან
14. საქმე არა გვქონდეს, და იყვნეთ ყმანი დიდებული
15. ხელმწიფისანი[5], რომ თქვენ ამას წინათ არც ვისმეზედ
16. ხართ[6] მისყიდულნი, არც დაგვირგვინებულნი, არც როგორმე
17. დამტკიცებულნი. თუ ვინმე წამოგედაოთ[7], პასუხის
18. გამცემნი მე და ჩემი მემკვიდრენი ვიყოთ, რომ თქვენ[8]
19. და თქვენი ჩამომავლობანი არაფერზედ[9] გაგსარჯოთ და
20. ზიანი არა მოვაცემინოთ რა[10], რომლისთვისაც[11] ხელს[12] ვაწე
21. რ თა ლუარსაბ ორბელიანი ყაფლანოვი[13]
22. თავადი დავითი ორბელიანი ყაფლანოვი.

## II გვერდი

23. თავადი ქაიხოსრო ორბელიანი ყაფლანოვი.
24. თავადი ასპან ორბელიანი ყაფლანოვი.
25. თავადი კოსტანტილე ორბელიანი ყაფლანოვი.
26. თავადი იაკობ ორბელიანი ყაფლანოვი.
27. თავადი სამარაღდან ორბელიანი ყაფლანოვი".

სამარაღდან ორბელიანის ხელმოწერის შემდეგ მიდის ორი სტრიქონი რუსული წარწერა, — «1820-го года ноября 10-го дня, справедливи в том свидетельств» —

[1] დედანშია: „ბოჩოლანთ".
[2] დედანშია: „მანველანთ".
[3] დედანშია: „დედა შენი".
[4] დედანშია: „საბატონყოთ".
[5] დედანშია: „ქელმწიფისანი".
[6] დედანშია: „ქართ".
[7] დედანშია: „წარმოგედაოსთ".
[8] დედანშია: „თქვენა".
[9] დედანშია: „არასფერზედ". ამ სიტყვაში „ს" ჩამატებულია შემდეგ.
[10] დედანშია: „მივაცემინოთრა".
[11] დედანშია: „რომლისათვს."
[12] დედანშია: „ქელს"..
[13] დედანშია: „ყაფლანოვ".

დამთავრებული გერბიანი რუსული ბეჭდით, რომელიც ზის ტექსტის ბოლოს, მარჯვენა კუთხეში.

საბუთის მეორე გვერდის ქვედა ნახევარი გაყოფილია ვერტიკალური ხაზით ორ თანაბარ ნაწილად და ორთავე უჭირავს სხვადასხვა ხელით შესრულებულ 5 მინაწერს. სამი მათგანი ხაზის მარცხნივ არის, ხოლო ორი—მის მარჯვნივ. ქვემოთ მოგვყავს ამ მინაწერთა ტექსტები სრულად, ისეთივე თანმიმდევრობით, როგორც ეს საბუთშია:

I მინაწერი: [illegible] მაჰუდ აღა...)[1].

II მინაწერი: 1. „ქ. მე, ახალციხელ[2] პეტრე ირსეფოვს[3] მომიწ
2. ერია და მოწამე ვარ[4], რომ ეს[5] სასამართ
3. ლოდან[6] გამოსული წიგნის პირი არის“.

III მინაწერი: 1. „მე მოურავ[7] გეოს მომიწერია რო
2. მ[ეს] ჰე შმარიტი პირია სასამარ
3. თლოდან[8] დამტკიცებული წი
4. გნისა“.

IV მინაწერი: 1. „მე შენი ძმა[9] შიო ვწერ, რომ ესა
2. ვე რომ მომეცა[10] სასამართლოს
3. გან დამტკიცებული[11] წერილის
4. პირი[12]. რადგანაც[13] შიომ[14]
5. წერა არ იცოდა შიოს სიტყვით
6. ვწერ და მოწამეც ვარ ნონია
7. შადინოვი“[15].

V მინაწერი: 1. „ეს განთავისუფლების წერილის პირია,
2. რომელიც სასამართლოში დამტკიც
3. და და მიეცა შიოს. ანდრია ზუბალაშვილი“.

---

[1] დანარჩენი სიტყვები გაუგებარია.
[2] დედანშია: „ახალციხელი“.
[3] დედანშია: „იოსეფოვის“.
[4] დედანშია: „ვართ“.
[5] დედანშია: „რომ ეს“—ის მაგივრად წერია „რომელიც“.
[6] დედანშია: „სასამართლოდგან“.
[7] დედანშია: „მოურავი“.
[8] დედანშია: „სასამართლოდამ“.
[9] დედანშია: „ძამა“.
[10] დედანშია: „მამეცა“.
[11] დედანშია: „დამატკიბეცული“.
[12] ამ სიტყვის შემდეგ დედანშია: „არის“.
[13] დედანშია: „რათგანაც“.
[14] დედანშია: „შიოამ“.
[15] ამ მინაწერში ყოველი სიტყვის შემდეგ ზის წერტილი.

მინაწერები საბუთის პირველ და მესამე გვერდებზეც გვხვდება. პირველ გვერდზე ის შესრულებულია შავი ტუშით, ბოჩოლაშვილის ყმობიდან გათავისუფლების სიგელის ტექსტის მარცხნივ დატოვებული ქაღალდის არეზე, ზემოდან ქვემოთ, და შედგება სამი სტრიქონისაგან.

1. „ეს სახსრის წერილი სასამართლოში დამტკიცებული წიგნის პირი მე მომივიდა და მეც ვიყ

2. აბულე და მეც ჩემი ბეჭედი დავაჯდინე. რადგან მე წერა[1] არ ვიცოდი[2] ჩემს მაგივრად[3]

3. ჩემს ქათიბს პეტრეს დავაწერინე[4] ჩემი სიტყვით“[5].

რაც შეეხება მესამე გვერდის მინაწერს, მას უჭირავს ქვედა ნახევარი, წარმოადგენს ბოჩოლაანთ (იგივე მანველაანთ) გიორგის ოჯახის შემადგენლობისა, და მისი ერთ-ერთი წევრის ნინოს და მისი მეუღლის ჩამომავალთა გენეალოგიურ სიას, შედგენილს გიორგი ივანეს ძე ბროძელის ხელით XX ს-ის 30-იან წლებში (იხილეთ ტაბულა V).

„გიორგი ბოჩოლაშვილის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელისა და მათი „გააზატების წიგნის“ გარდა, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების №298 მუყაოს ყუთში ინახება კიდევ ერთი საბუთი №19577-ხ, ე. წ. „ბედნიერი ბაბილოვანის ხელმწიფის დაუდ ფაშას წერილი დედისადმი“. ის დაწერილია ჭვირნიშნიან (ჭვირნიშანია სამი ნახევარმთვარის[6] გამოსახულება, პირით მარცხნივ), ზომით 31×32 სმ. თეთრი, უხაზო ქაღალდის ერთ გვერდზე[7], შავი ტუშით, ხელდრული ქართულით. ტექსტი შედგება 24 სტრიქონისაგან და უკავია მოცულობით 29×14,5 სანტიმეტრი.

ეტყობა წერილი თავიდანვე სამად ყოფილა დაკეცილი და ისე შენახული. ამიტომ ნაკეც ადგილებში ქაღალდი დროთა განმავლობაში გაცრეცილა. შემდეგ მოუხდენიათ მისი აღდგენა, მაგრამ რესტავრაციის დროს ის ადგილი, სადაც წერილის თარიღის აღმნიშვნელი ბოლო ციფრი ზის, დაფარულია. 1954 წელს ზემოხსენებული მუზეუმის თანამშრომელმა გ. ბერძენიშვილმა ჩვენი თხოვნით წერილის ეს ადგილი გახსნა, რის შედეგად აღმოჩნდა, რომ წერილი „1820 წელს“ კი არ ყოფილა დაწერილი, როგორც ეს მანამდე იყო მიჩნეული[8], არამედ ცოტა უფრო გვიან, 1821 წლის ორ მარიამობისთვეს[9].

---

[1] დედანშია: „წერვა“.

[2] ამ სიტყვის შემდეგ დედანში წერია „და“.

[3] დედანშია: „მაგირად“.

[4] დედანშია: „დავაწერიე“.

[5] ამ სიტყვის ბოლოს დასმულია დაუდ-ფაშას პატარა, ოვალური ფორმის, არაბული ბეჭედი.

[6] ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო ნიშანი.

[7] ფურცლის მეორე გვერდი დაუწერელია.

[8] იხ. გ. ლეონიძის წერილი „დაუდ ფაშა“ (ჟურნ. „დროშა“, თბ., 1954, № 3).

[9] მიუხედავად იმისა, რომ ცნობა ამ უკანასკნელის შესახებ გამოქვეყნებული იყო ჩვენს

წერილს დასაწყისში წამძღვარებული აქვს დაუდ-ფაშას თუღრა, ანუ მონოგრამა და შემდეგ მოდის ტექსტი, რომელსაც ჩვენ ვკითხულობთ ასე:

1. „ბედნიერი ბაბილოვანის ხელმწიფე[1]
2. თქვენი ძე დაუთ ფაშა, მრავალს[2] მოკითხვას
3. და ნახვის და ნახვის ნატვრას მოგიძღვნით[3] დედავ მარიამ! მერმეთ[4] თქ
4. ვენი მოწერილი წიგნები, თუ არზრუმზედ გამოგზავნილი[5] ანუ[6]
5. ზუბალაანთ[7] კაცის ხელით გამოგზავნილი[8] წიგნები მომა
6. ბარენ[9] სრულად. რაც, რომ მოგეწერათ ვისმინეთ და ახლა თქ
7. ვენი აზნაურობისათვის ბატონი მთავარმართებლისათვის[10] წიგნ
8 ი მომიწერია, უსუფა გამომიგზავნია[11], წიგნები გამომიტანებია[12].
9. წიგნების მირთმევაზე თქვენც მიჰყევით[13]. რაც, რომ გნებავდე
10. ს ყოველისფერი[14] მოახსენეთ. და ახლა ანდრია ზუბალაშვილი
11. სთვისაც მომიწერია, რომ ამ საქმეზე[15] მოგეხმაროთ[16] მერმეთ, თუ
12. შეიძლებოდეს ჩემს უნახავობას ნუ დაიშურვებთ, მოდი, შენი
13. ნახვა მსურს, სხვაფერ ფიქრი ნუ[17] გაქვს, რერთხანსაც გენებე
14. ბოდეს იყავი, როცა ინებებთ მაშინვე[18] კიდევ დიდის პა

---

მიერ. 1954 წ. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში", №115/5907, გ. ლეონიძე მაინც წერილის დაწერის თარიღად არასწორად 1820 წელს ასახელებს (იხ. მისი Цешный памятник исторического прошлого. Упараго, «Мамелюк», Тб., 1959, გვ. 9).

[1] დედანშია: „ჰელმწიფე".

[2] დედანშია: „მრვალს".

[3] დედანშია: „მოგიძღნით"

[4] სიტყვა „მერმეთ" (აგრეთვე „მერმე და მერე") ისე, როგორც მუსლიმანურ წერილობითი ძეგლების წინასიტყვაობაში ხმარებული ფორმულა „ﺑﻌﺪ ﺍﻣﺎ" (ამმა ბა'და, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „შემდეგ") ფართოდ გავრცელებული ფორმაა და აღნიშნავს შესავალი ნაწილიდან თხზულების საგანზე გადასელას. დაწვრ. ამის შესახებ იხ. „საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე" (თბ. 1935—36 წწ. ტ. IX), პროფ. გ. ლერეთლის „შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი" (გვ. 107, შენიშვნა მე-5).

[5] დედანშია: „გამოგზანვილი".

[6] დედანში სიტყვა „ანუ" ორჯერ არის განმეორებული.

[7] დედანშია: „ზუბალანთ".

[8] დედანშია: „გამოგზანვილი".

[9] დედანშია: „მომაგბარენ".

[10] დედანშია: „მთუარ მართებლისათვის".

[11] დედანშია: „გამამიგზავნია".

[12] დედანშია: „გამამიტანებია".

[13] დედანშია: „მიჩყევით".

[14] დედანშია: „ყოველის ფერი".

[15] დედანშია: „ამსაქმეზედ".

[16] დედანშია: „მოგეხმარებათ".

[17] დედანშია: „სხვაფერფიქრინუ".

[18] დედანშია: „მაშაინვე".

15. ტივით გაგიშვებთ. მერმეთ ჩემს ძმას შიოს მრავალს[1] მოკ
16. ითხვას მოუძღვნი[2] და შიოს ყმარწვილებს მრავალს[3] მოკითხ
17. ვას მოუძღვნი[4]. ჩემს დებს მრავალს[5] მოკითხვას მოუძღვნი[6]. მერმე
18. თ ვითხოვთ თქვენი მოწყალე გულისაგან, რომ ლოცვით ნუ დამი
19. ვიწყებთ[7]. კაცი[8] ქვეყანაზე მოვა[9] და ვენახს გააშენებს[10], რომ ნაყოფი მიიღოს[11]
20. თქვენ ვენახი გაგიშენებიათ და ნაყოფი არ მიგიღიათ, ვითხოვთ[12]
21. თქვენი მოწყალ დედობისაგან, თუ შეგეძლოს, წამოსვლას[13] ნუ
22. დაიზარებთ[14], ჩემთვის ილოცეთ[15] მოწყალე დედაო! თქვენი ძე ბაღდადის ხელმწიფე[16]
23. დაუდ ფაშა
24. დაიწერა წელსა 1821, მარიამობის ორს"[17].

• ■ •

ამრიგად, ჩვენს წინაა სამი საბუთი: „გიორგი ბოჩოლაშვილის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელი" (№19580—ხ), „გააზატების წიგნი ბოჩოლაანთ გიორგის შვილებისადმი" (№ 19582—ხ) და „ბედნიერი ბაბილოვანის ხელმწიფის დაუდ-ფაშას წერილი დედისადმი" (№ 19577—ხ). ამათგან მეორე საბუთი არის პირველის ასლი, რაც დასტურდება როგორც ტექსტების შინაარსითა და თარიღით, ასევე მეორე საბუთის (ტექსტის) ბოლოს გაკეთებული ნოტარიუსის რეზოლუციით: „ასლი სწორია" (Копия справедлива) და მე-2, მე-3, მე-4, მე-5 მინაწერებით. რაც შეეხება მესამე საბუთს, ის პირველი ორი საბუთისაგან განსხვავებით, დაწერილია 1821 წლის 15 აგვისტოს (ძვ. სტ. ორ

---

[1] დედანშია: „მრვალს".
[2] დედანშია: „მოუძღნით".
[3] დედანშია: „მრვალს".
[4] დედანშია: „მოუძღნით".
[5] დედანშია: „მრვალს".
[6] დედანშია: „მოუძღნი".
[7] დედანშია: „დამივიწყაბთ".
[8] დედანშია: „კაცინ".
[9] დედანშია: „ქვეყანაზედმოვა".
[10] დედანში: „გააშენებ".
[11] დედანშია: „მიღოს".
[12] დედანშია: „ვეთხოვით".
[13] დედანშია: „წამოსლას". გარდა ამისა „წა" ორჯერაა დაწერილი, მაგრამ ერთი „წა" წაშლილია.
[14] დედანშია: „დაიზარევებთ".
[15] დედანში სიტყვა შემდეგ არის ჩამატებული და წერია ასე: „ილოცთ"...
[16] დედანშია: „ქემწიფე".
[17] ამ სიტყვის ბოლოს დასმულია დაუდ-ფაშას (პატარა, ოვალური ფორმის) არაბული ბეჭედი.

მარიამობისთვეს) ახლანდელი ერაყის სახელმწიფოს დედაქალაქ ბაღდადში. ამის გარდა, პირველ ორ საბუთს ხელს აწერენ თავადი ორბელიანები, ხოლო მესამეს კი — „ბაღდადის ხელმწიფე" დაუდ-ფაშა. ამრიგად, აღნიშნული საბუთები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც თარიღით, ასევე მათი შემდგენლებისა და შედგენის ადგილების მიხედვითაც. მაგრამ ამ ერთგვარ სხვაობასთან ერთად შეიმჩნევა, რომ მათ შორის არსებობს გარკვეული კავშირიც, რაც, ერთი მხრივ, გამოიხატება იმაში, რომ ისინი დაწერილია ქართულად და, მეორე მხრივ, კი იმაში, რომ სამივე საბუთში მოხსენებულია ერთი და იგივე პირი. ესა და ზოგი სხვა გარემოებაც (რომელსაც ზემოთ შევეხეთ) ერთნაირად გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული საბუთების შექმნას საფუძვლად ედო „ბაღდადის ხელმწიფის" დაუდ-ფაშას გულისხმიერი დამოკიდებულება მშობლებისადმი და ამავე დროს, მისი მეგობრული განწყობილება საქართველოს მთავარმმართებელთან და ქართველ გავლენიან პირებთან.

მიუხედავად იმისა, რომ სწორედ დაუდის მეცადინეობით მისმა დედამ და ნათესავებმა თავი დაიხსნეს ორბელიანთა ყმობისაგან, ეტყობა, ის მაინც წუხს, რადგან მეტის გაკეთება ჯერჯერობით ვერ შეძლო და ისინი ამის შემდეგაც წოდებრივად მდაბიონი, უუფლებონი, ხოლო ქონებრივად უმწეონი დარჩნენ. ამის გამო დასტირის იგი დედის ბედს, რომ მან შვილი (თვითონ) შობილი მშობელთა დასახმარებლად, უცხოეთში გადაუკარგა და მისგან უნუგეშოდ დატოვა. მაგრამ იგი ასეთივე ზომით უჩივის თავის საკუთარ ბედსაც, რომელმაც, მართალია, ხელმწიფის ტოლი კი გახადა, მაგრამ სამაგიეროდ, სხვის სამსახურში ჩააყენა და სამშობლოს, მშობლებსა და სხვა თავისიანებს ვეღარ გამოადგა. ეს გულისტკივილი შესანიშნავად აქვს გადმოცემული დაუდ-ფაშას თავის წერილში, სადაც დედას სევდიანი ტონით სწერს: „კაცი ქვეყანაზე მოვა და ვენახს გააშენებს, რომ ნაყოფი მიიღოს. თქვენ ვენახი გააშენებიათ და ნაყოფი არ მიგიღიათ". დაუდი ისე განიცდის დედის ასეთ ხვედრს, თითქოს თვითონ მიუძღოდეს ყოველივე ამაში ბრალი და, ამიტომ მოწიწებით ხთხოვს მას მიუტევოს ცოდვა, არ დაივიწყოს დაკარგული შვილი: „გთხოვთ თქვენი მოწყალე გულისაგან, რომ ლოცვით ნუ დამივიწყებთ... ჩემთვის ილოცეთ მოწყალეო დედაო!".

საინტერესოა, თუ ვინ არის ამ წერილის დამწერი (ე. ი. ვისი ხელითაა იგი დაწერილი) თვითონ „ბაღდადის ხელმწიფე დაუდ ფაშა", თუ სხვა პიროვნება. ეს საკითხი, ჩვენი აზრით, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არ შეიძლება მასზე არ შევჩერდეთ. ის და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებსაც ქვემოთ შევეხებით, განსაკუთრებით აინტერესებთ ერაყის ქართველი მამლუქების ანუ ქულემენების ისტორიაზე მომუშავე მკვლევართ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მას სხვა საკითხების გადაჭრის საქმეში. მაგალითად, გ. ბ ე რ ი–მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ი ნაშრომში „ქართველ მამელუკთა მბრძანებლობა ერაყში XVIII და XIX საუკუნეებში" აღნიშნავს, რომ რამდენადმე სხვაფ-

რივ, მაგრამ, აგრეთვე, ძალიან დამახასიათებელია ის უაღრესად საინტერესო დოკუმენტები, რომლებსაც დასაბეჭდად ამზადებს აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტი, კერძოდ, უნდა აღინიშნოს დაუდის ქართული წერილი თავისი დედისადმი. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ საკითხავია, მოხერხდება თუ არა ოდესმე იმის დამტკიცება, რომ ეს წერილი ბაღდადის „ხელმწიფეს" საკუთარი ხელით დაუწერია, მაგრამ თუ ეს დამტკიცდა, ჩვენ საგრძნობლად მივუახლოვდებით მეორე, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას: შენარჩუნებული იყო თუ არა მამლუქთა წრეში ქართული წერითი მეტყველების ჩვევები? ხოლო ამ საკითხის გადაწყვეტის სიზუსტე თავის მხრივ დამოკიდებული იქნება კიდევ ერთი საკითხის პასუხზე: ეცოდინებოდა თუ არა წერა-კითხვა ბაღდადში ჩაყვანილ 12—13 წლის გლეხის ბიჭს, დაუდს? გვაძლევს თუ არა ამის დაშვების შესაძლებლობის საფუძველს იმდროინდელ საქართველოში სახალხო განათლების მდგომარეობა?"[1].

როგორც ვხედავთ, აქ სულ ცოტა 4 საკითხი მაინცაა დასმული.

1) დაუდის მიერაა თუ არა დაწერილი მისი წერილი დედისადმი; 2) იყო თუ არა ერაყში ქართული სკოლა, სადაც მამლუქებს შეასწავლიდნენ ქართული წერითი მეტყველების ჩვევებს; 3) ეცოდინებოდა თუ არა წერა-კითხვა საქართველოდან ბაღდადში წაყვანილ ყმა გლეხის შვილს, პატარა დავითს და 4) იძლევა თუ არა ამის დაშვების შესაძლებლობას მაშინდელი საქართველოს სახალხო განათლების დონე? აქ იგულისხმება, რა თქმა უნდა, XVIII ს-ის მეორე ნახევარი, ვინაიდან დაუდი, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, საქართველოდან უცხოეთში წაუყვანიათ დაახლოებით 1780 წელს.

ამ დროს საქართველო კრიზისს განიცდიდა. ქართველი ხალხი დაღუპვის კარამდე იყო მისული, ასეული წლების მანძილზე გარეშე მტრების გაუთავებელი, დამანგრეველ-გამანადგურებელი თავდასხმებითა და არანაკლებ მწვავე შინაური აშლილობით ნაიარევ ქვეყანას აღარ ეცალა იმისათვის, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცია სწავლა-განათლებისათვის და გატოლებოდა „ევროპის" სახელმწიფოებს, სადაც საქმე ამ მხრივ გაცილებით უფრო კარგად გამოიყურებოდა. ცნობილია, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევარში საქართველოში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო სკოლა-სემინარია არსებობდა (თბილისში 1755 წლიდან, ხოლო თელავში კი—1782 წლიდან[2]. მათ გვერდით მართალია მოქმედებდნენ ეკლესიებთან და სასულიერო პირთა ოჯახებში მანამდეც არსებული, ე. წ. კერძო სასწავლებლები, სადაც საღვთო სჯულის ზეპირების გარდა მოსწავლეებს დედა ენასაც ასწავლიდნენ, მაგრამ, ჯერ ერთი, აღნიშნულ სასწავლებელთა რიცხვი მეტად მცირე იყო და მეორე, ასედაც რომ არ ყოფილიყო, იქ სწავლა

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. მოამბე, თბილისი, 1944, ტ. V, №7, გვ. 736.

[2] საქართველოს ისტორია, თბ., 1958, ნაწ. I, გვ. 391—466. თუ საქართველოს ცხოვრებაში (თბ., 1913 წ.) მოცემული ცნობა სანდოა, მაშინ უნდა ვიწამოთ, რომ თელავის სემინარია 1782 წლიდან კი არა, უფრო ადრე, 1765 წელს გაუხსნია „რუსთა კვალად" ერეკლე მეორეს.

გლეხკაცის შვილებს მაინც არ შეეძლოთ, საამისოდ მათ არც სახსრები გააჩნდათ, არც დრო, და წოდებრივადაც ხომ შეზღუდულნი იყვნენ. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ ორბელიანების ყმის შვილს—6 წლის დავითს, ქართული წერა-კითხვა არ ეცოდინებოდა. ასეთი ვარაუდის ერთგვარ საფუძველს ისიც იძლევა, რომ გიორგის ოჯახის დანარჩენმა წევრებმაც, მათ შორის უფროსმა ვაჟმა შიომ, წერა არ იცოდნენ. ნონია შადინოვი ამის შესახებ ხომ პირდაპირ ამბობს გააზატების წიგნის მეორე გვერდზე საკუთარი ხელით მინაწერში: „რადგანაც შიომ წერა არ იცოდა შიოს სიტყვებით ვწერო“[1], მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, მარტო ის გარემოება, რომ XVIII საუკუნეში ჩვენში სკოლები ცოტა იყო, სწავლება შეზღუდული და გლეხის შვილებისათვის ხელმიუწვდომელი (ანდა ის ფაქტი, რომ დაუდის ძმამ შიომ წერა არ იცოდა), არ წარმოადგენენ ისეთ არგუმენტებს, რომლებიც უფლებას მოგვცემენ საბოლოოდ ვუპასუხოთ დასმულ კითხვას. იმის დასადგენად, ფლობდა თუ არა დაუდი ქართული წერითი მეტყველების ჩვევებს, საჭიროა უფრო დამაჯერებელი საბუთი. ასეთი უტყუარი საბუთი კი დიდი ხანია არსებობს. ეს არის ბაღდადში გაგზავნილი „გიორგი ბოჩოლაშვილის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელის“ პირის პირველ გვერდზე დაუდფაშას კარნახით, — მისი ქათიბის (მდივანი) ხელით გაკეთებული წანაწერი: „ესე სახსრის წერილი, სასამართლოში დამტკიცებული წიგნის პირი მე მომიეიდა და მეც ვიყაბულე და... ჩემი ბეჭედი დავაჯდინე. რადგანმე წერაარ ვიცოდი, ჩემს მაგივრად ჩემს ქათიბს პეტრეს დავაწერინე ჩემი სიტყვები[2]. აქედან ჩანს არა მარტო ის, რომ დაუდს საქართველოში ყოფნისას ქართული წერა-კითხვა არ სცოდნია, არამედ მტკიცდება ისიც, რომ მას ამის შესწავლის შესაძლებლობა ბაღდადში მისვლის შემდეგაც არ მისცემია. ამას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს მეორე საკითხის გასარკვევად: იყო თუ არა ბაღდადში ქართული სკოლა?

ეტყობა გ. ბეი-მამიკონიანმა არ იცოდა ზემოთ მოტანილი საბუთის არსებობა ამ საკითხის დაყენებისას. არ ეგონა, რომ ეს მინაწერი — ტექსტი დაუდფაშას კარნახით იყო დაწერილი. როგორც ჩანს, ის ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა მარტო იმ ცნობებით, რომ XVIII ს-ის 50-იან წლებში ერაყის ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა ქართველმა სულეიმან-ფაშა „აბუ ლაილაჰმა“ (1749—1762 წწ.) ბაღდადში შექმნა საკმაოდ რთული საგანმანათლებლო ორგანიზაცია, სადაც სხვადასხვა სპეციალობის მასწავლებელთა ხელმძღვანელობით სისტემატურ წვრთნას გადიოდა დაახლოებით 200-მდე ქართველი ბავშვი ჯომარდობაში, ცურვაში და სწავლობდა წერა-კითხვას. რომ ამ სკოლაგათავებული ქართველებისაგან სულეიმანი ადგენდა სამხედრო რაზმებსა და გარდა ამისა, ფართოდ იყენებდა მათ სხვა სამუშაოზე—მწერლებად, გადასახადების ამკრებ-

---

[1] ი ხ. საბ. № 19582-ხ. ტაბ. IV, მინაწერი მარჯვნივ ზემოდან I.

[2] იქვე, ტაბ. III, წარწერა გვერდზე. ხაზგასმა აქ და შემდეგაც ჩვენია—ბ. ს.

ლად, ქალაქის უფროსებად და სხვა[1]. თუმცა ამ ცნობებიდან ჩანს, რომ რაკი სკოლადამთავრებულნი სამუშაოდ იგზავნებოდნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყებებში,—ხოლო ყველაფერი ეს ხდებოდა ოსმალეთის იმპერიაში შემავალ არაბულ ქვეყანაში—ერაყში, სადაც ადგილობრივი საერთო სალაპარაკო არაბულის გვერდით გაბატონებულ სახელმწიფო ენას წარმოადგენდა თურქული,—ცხადია დასახელებულ სასწავლებელში (თუ სასწავლებლებში ეს ჯერ დადგენილი არ არის) შემსვლელებს შეასწავლიდნენ სწორედ ამ ენებს. მაგრამ თუ აქვე გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აღნიშნულ ხანაში (1749—1831 წწ.) ერაყს განაგებდნენ ქართველი მამლუქები, ანუ ქულემენები და სასწავლებელიც ძირითადად საქართველოდან ბავშვობისას ტყვედწაყვანილებით კომპლექტდებოდა, შეიძლება მართლაც გვევარაუდა, რომ აბუ ლაილაჰის დაარსებულ სასწავლებელში, სხვათა შორის, ქართულსაც ასწავლიდნენ.

მართლაც, თუ დამტკიცდებოდა, რომ დაუდმა საქართველოდან წასვლის მომენტში ქართული წერა არ იცოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა წერილი მაინც მისი ხელით დაწერილი აღმოჩნდებოდა, მაშინ მას ქართული წერა უსათუოდ ქალაქ ბაღდადში, იმ სასწავლებელში უნდა ესწავლა, სადაც სხვა ტყვე ქართველებთან ერთად თვითონ სწავლობდა. უეჭველად, ასეთნაირად ესახებოდა, ალბათ, ეს საკითხი გ. ბ ე ი-მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ს 1944 წელს, როცა წერდა: „თუ მოხერხდა... ოდესმე იმის დამტკიცება, რომ ეს წერილი (საუბარია დაუდ-ფაშას წერილზე—ბ. ს.) ბაღდადის ხელმწიფეს საკუთარი ხელით დაუწერია“, მაშინ „ჩვენ საგრძნობლად მივუახლოვდებით მეორე, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას: შენარჩუნებული იყო თუ არა მამლუქთა წრეში ქართული წერითი მეტყველების ჩვევები“, ე. ი. იყო თუ არა იქ ქართულის სწავლება? ამ კითხვაზე პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ 1954 წლის ჟურნალ „დროშაში“ (№ 3, გვ. 19—20) გამოქვეყნებულ სტატიაში „დაუდ ფაშა“ ასეთი პასუხი გასცა, რომ „ჯ ე რ კ ი დ ე ვ მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე ს ა უ კ უ ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ ნ ა ხ ე ვ ა რ შ ი ქ. ბ ა ღ დ ა დ შ ი, ა ნ უ ძ ვ ე ლ ბ ა ბ ი ლ ო ნ შ ი[2] ჰ ქ ო ნ ი ა თ ქ ა რ თ უ ლ ი ს კ ო ლ ა ო რ ა ს ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი პ ა ვ შ ვ ი ს ა თ ვ ი ს“. თუ მართლა XVIII საუკუნეში ბაღდადში ქართული სკოლა იყო, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ სწავლება ქართულად იქნებოდა და ასწავლიდნენ ქართულს, მაგრამ, სამწუხაროდ, ირკვევა სულ საწინააღმდეგო რამ.

1821 წელს, 47 წელს მიღწეული დაუდი, როგორც ზემოთ დავინახეთ, თვითონ გვეუბნება „...ვ ე წ ე რ ა ა რ ვ ი ც ი ო“. ხოლო, თუკი მან ის არ იცოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ბაღდადში მამლუქებს არც ქართული სკოლა ჰქონიათ და არც ქართული წერითი მეტყველების ჩვევები ყოფილა შენარჩუნებული. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია, რომ დაუდს, რომელიც მოწაფეობის

---

[1] S. H. L o n g r i g g, დასახ. შრომა, გვ. 170.

[2] ბაღდადი ძველი ბაბილონი არ არის. ბაღდადი მდ. ტიგროსზე მდებარეობს, ხოლო ბაბილონი კი მდ. ევფრატის ნაპირზე იყო გაშენებული.

წლებში შესანიშნავად დაეუფლა მანამდე მისთვის სრულიად უცნობ არაბულს, თურქულსა და სპარსულს, არ ესწავლა თავისი მშობლიური ქართული ენა იმდენად მაინც, რომ ხელის მოწერა შეძლებოდა.

დასასრულ, გვინდა შევეხოთ იმ საკითხს, თუ ვისი ხელით უნდა იყოს დაწერილი „ბედნიერი ბაბილოვანის ხელმწიფის დაუდ-ფაშას წერილი დედისადმი“. ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა არ ხერხდება. მაგრამ „გიორგი ბოჩოლაშვილის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელის“ პირის პირველ გვერდზე გაკეთებულ წარწერას, მეორე გვერდზე, მარცხნივ, ზემოდან მეორე მინაწერსა და თვით დაუდის ქართულ წერილზე პალეოგრაფიული დაკვირვება გვარწმუნებს იმაში, რომ წერილის დამწერი ბაღდადის ფაშას ქათიბი, ახალციხელი იუსუფ-აღა (იგივე პეტრე იოსეფოვი) უნდა იყოს.

(ტაბულა 1) საბუთი № 19580-ს, „ბოჩორლაანთ გიორგის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელი“ (გვ. 1).



(ტაბ. II) საბუთი № 19580-ბ, „ბოჩოლაანთ გიორგის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელი“ (გვ. 2).


19582-ბ





ტაბ. III) საბ. № 19582-ბ, „გაზაზატების წიგნი ბოჩოლაანთ გიორგის შვილებისადმი“ (გვ. 1).


(ტაბ. IV) საბ. № 19582-ბ, „გააზატების წიგნი ბოჩოლაანთ გიორგის შვილებისადმი“ (გვ. 2).



(ტაბ. V) საბ. 19582-ს, „გაახატების წიგნი ბოჩოლაანთ გიორგის შვილებისადმი“ (გვ. 3).

(ტაბ. VI) საბ. № 19577-ბ, „ბედნიერი ბაბილოვანის ხელმწიფის დაუდ-ფაშას წერილი დედისადმი".

**ბოჩოლაშვილი გიორგის და მისი ერთ-ერთი შვილიშვილის ნინოს ჩამომავალთა გენეალოგიური სია[1]:**




[1] ის, რაც ჩვენ დავუმატეთ საბუთიდან გადმოღებულ სიას აღნიშნულია პუნქტირითა და კვადრატული ფრჩხილით.

[2] 1952 წელს, როცა ზემოხსენებულ საბუთებზე ვმუშაობდით, ვეწვიეთ ლევანს ბინაზე (თბილისი, არსენას ქ. № 11), სადაც მასთან ერთად იყვნენ მაშინ მისი დები ელენე და ნინო. ზოგიერთი საინტერესო ცნობის მოწოდებისათვის მათ მადლობას მოვახსენებთ.

19583-ბ

(ტაბ. VIII) საბ. № 19583-ბ, ლევან კანდელაკის განმარტებითი ბარათი.

19982-б

[illegible] № 69

ПО УКАЗУ
ЕГО ВЕЛИЧЕСТВА ГОСУДАРЯ ИМПЕРАТОРА

# НИКОЛАЯ ПАВЛОВИЧА,

САМОДЕРЖЦА ВСЕРОССІЙСКАГО

и прочая, и прочая, и прочая.

№ 3010

ПРИМЕТЫ

Лѣтъ
Ростъ
Волосы
Лице
Лобъ
Брови
Глаза
Носъ
Ротъ
Подбородокъ
Особыя примѣты

Объявляется чрезъ сіе всѣмъ и каждому, кому о томъ вѣдать надлежитъ, что показатель [illegible] сего [illegible] — Того ради всѣ высокія Области приглашаются по состоянію и достоинству, кому сіе предъявится, Нашимъ же Воинскимъ и Гражданскимъ Управителямъ поставляется въ обязанность [illegible] какъ нынѣ изъ Россіи ѣдущ[illegible] такъ и потомъ въ Россію возвращающ[illegible] не только свободно и безъ задержанія вездѣ пропускать, но и всякое благоволеніе и вспомоществованіе оказывать. Во свидѣтельство того и для свободнаго проѣзда данъ сей паспортъ, отъ [illegible] съ приложеніемъ ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА печати. Въ [illegible] 24 дня 1839 года.

[illegible]

(ტაბ. IX) ხვთისავარ კიკნაძის საზღვარგარეთული პასპორტი (გვ. 1).

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა


1. Маркс, К. и Энгельс, Ф. — соч. т. IX.
2. Маркс, К. и Энгельс, Ф. — соч. т. XI.
3. Маркс, К. и Энгельс, Ф. — соч. т. XVI, ч. II.

* * *

4. Адамов, А. — Ирак арабский, СПб, 1912 г.
5. Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею (АКАК). Тифлис, 1869 г. т. VI, ч. II, т. VII.
6. Ainsworth. W.—Researches in Assyria, Babilonia, and Chaldea. London, МДССС XXXVIII.
7. Aitchison. C. U. — A Collection of Treaties, Engagements and Sanads relating to India and neighbouring countries. Calcutta, 1892, Vol. XI.
8. المحامى عباس العزاوى، تاريخ العراق، بغداد، سنة ١٣٧٣ هـ — ١٩٥٤—م، ج—٦ (حكومة المماليك)
9. امن بن حسن الحلوان المدينى، مطالع السعود (ბომბეის ლითოგრაფიული გამოცემა, 1885 წ.).
10. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თბ., 1938 წ.
11. Aucher—E'Loy. Relations de voyages en Orient de 1830 a 1838. Paris. 1843, part I.
12. Ацамба, Ф. М.—Состояние промышленности и положение наемных рабочих в Египте в XIX веке. «Очерки по истории арабских стран». М., 1959 г.
13. ბაგრატიონი იოანე. — კალმასობა (საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი № 2170).
14. Баранов, Х. К. — Арабско-русский словарь. М., 1957 г.
15. Бартоломей, Ф. Ф. — Посольство князя Меншикова в Персию в 1826 году. «Русская старина». СПб, 1904 г., т. 118 (апрель)
16. ბატონიშვილი იოანე, კალმასობა. თბ., 1895 წ. გამოც. II.
17. بغداد كولەمن حكومتنك تشكيلىله اقراضنه دائر رساله، استنبول، ١٨٧٥—م
18. ბეი-მამიკონიანი, გ.—ქართველ მამელუკთა მბრძანებლობა ერაყში XVIII და XIX საუკუნეებში, „საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", თბ., 1944 წ., ტ. V. № 7.
19. Беляев, Е. — Мусульманское сектантство. «Ислам, сборник статей под ред. проф. В. Дитякина». М., 1931 г.
20. ბერძენიშვილი ნ. — რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, ჟურნ. „მნათობი", თბ., 1954 წ., № 6.

21. ბერძნიშვილი, ზ. — მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. დანართი I, II, III, წიგნ. ლექსიკონი და საძიებლები, თბ. 1957 წ.
22. Blunt, A. Lady — A piligrimage to Nejd. London, 1881, Vol. II.
23. Будагов, А. З. — Сравнительный словарь турецко-татарских наречий. СПб, 1868 г.
24. Burckhardt, I. G — Voyage en Arabie. Paris. 1835, t. II.
25. გაბაშვილი, ვ. — ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958 წ.
26. გაბაშვილი, ვ. — ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასები და კლასთა ბრძოლა ირანისა და ოსმალეთის ბატონობის პერიოდში. „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიისათვის", თბ., 1957 წ.
27. გოთუა, ზ. — გურიის ლაშქარი. ჟურნ. „დროშა", თბ., 1958 წ., №9.
28. გიგინეიშვილი, ო. — საქართველო ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში მე-18 ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები", თბ., 1959 წ., ტ. 73 (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, I).
29. Грибоедов, А. С. — Полное собрание сочинений. Петроград, 1917 г., т. III.
30. Groves, A. N.—Journal of the Residence in Bagdad. London, 1832.
31. გუჩუა, ვ. — კლასობრივი ბრძოლა ხიზნებსა და მემამულეებს შორის გვიანფეოდალურ საქართველოში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", თბ., 1963 წ. ნაკვ. 35.
32. Давидов, Денис — Военные записки. М., 1940 г.
33 Дебидур, — Дипломатическая история Европы. М., 1947 г.
34. Дипломатический словарь. М., 1948 г., т. I.
35. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940 წ., ნაწ. I.
36. დონაძე, ვ.—საზღვარგარეთული აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი ისტორია, თბ., 1963, წიგნი I.
37. დონდუა, ვ. — ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა საქართველოში, „საქართველოს ისტორია" (დამხ. სახელმძღვანელო), თბ., 1958 წ., ნაწ. I.
38. დუმბაძე, ზ. — საქართველო XIX ს-ის I მესამედში. „საქართველოს ისტორია" (დამხ. სახელმძღვანელო), თბ., 1958 წ., ნაწ. I.
39. Ebers, G.—Aegupten in Bild und Wort dargestellt von unseren ersten Künstlern Stuttgart und Leipzig, 1879, Band II.
40. Evans de Lacy,—The designs of Russia. London, 1828.
41. Эмиль де Лавеле — Балканский полуостров. М., 1889 г., ч. II.
42. Ениколопов, И. — Грибоедов и Восток, Ереван, 1954 г.
43. Ефремов, П. — О смерти А. С. Грибоедова в Тегеране. «Русский вестник». 1872 г., № 7—8.
44. Enziklopaedie des Islam. Leipzig, 1912.
45. «Вечерний Тбилиси». 1937 г., № 252 (газ.).
46. Von Sax, C. R. Geschichte des Machtverfalls der Türkei. Wien, 1908.
47. Watson, R. Gr.—A History of Persia from the begining of XIX century to 1858. London, 1866.
48. Welsted, J. R. —Travels to the City of the Chalips. London, 1840, Vol. I.
49. Восстание декабристов. «Сборник документов». М.-Л., 1927 г.
50. Tarich. Istambul, 1933, k. III.
51. تاريخ لطفي (ტ. IV).

52. تاريخ دوحة الوزراء ذيل كلشن خلفاء، بغداد، ١٨٣٠—م
53. Иванов, Н. А. — Аграрная реформа Мухамеда Али. «Очерк по истории арабских стран». М. 1959 г.
54. Иванов, М. С. — Очерк истории Ирана. М., 1952 г.
55. История Болгарии. М., 1954 г., т. I.
56. История военных действий в Азиатской Турции в 1828 и 1829 годах. Варшава. 1843 г., ч. II.
57. Юзефович, Т. — Договоры России с Востоком. СПБ, 1869 г.
58. Юнг, Е. — Державы на кануне арабского восстания (1906), «Аравия и Европейские державы». Сборник, М. 1924 г.
59. ქაჯაბაძე, ს.—ბარათაანთ გაყრის წიგნი 1536 წლისა. „საისტორიო მოამბე", წიგნი I.
60. Keppel, G. —Personal Narrative of travels in Babilonia, Assiria, Medina and Scythia. London, 1827, Vol. I.
61. Ker Porter, R.—Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babilonia during the years 1817, 1818, 1819, and 1820. London, 1822, Vol. II.
62. Коллас, — История Турции. СПб, 1882 г.
63. Краткий обзор общественного мнения за 1827 и 1828 гг. «Красный архив». М. 1926 г., № 6 (37).
64. Крымский, А. — История мусульманства. М., 1912 г., ч. III.
65. კურდღელაშვილი, შ.—ქართული სტამბის ისტორიიდან. თბ., 1959 წ.
66. ლეონიძე, გ. — „დაუდ ფაშა". ეურნ. „დროშა", თბ., 1954 წ., № 3.
67. Леонидзе, Г. — Цепный памятник исторического прошлого. Унараго «Мамелюк», Тбилиси, 1959 г.
68. Lenorment, M. —Le Révolution de Grece, ses causes et ses conséquences. Paris 1862.
69. Longrigg, S. H. —Four Centuries of Modern Iraq. Oxford, 1925.
70. ლორთქიფანიძე, იასე—ქვემო ქართლი XVIII ს-ის პირველ მეოთხედში, თბ., 1935 წ., ნაწ. I, II.
71. Lucklama a Nijeholt, M.—Voyage en Russie, en Caucase, en Perse etc. Paris, 1874, t. III.
72. Магазаник, Д. — Турецко-русский словарь, М. 1945 г.
73. Mantran, R. — Bagdad a l' Epoque Ottoman. „Arabica" (volume spésial publié à l' occasion du mille deux centiéme anniversaire de fondation de Bagdad). Leiden, 1962.
74. Мартенс, Ф. Ф. — Собрание трактатов и конвенций заключенных Россией с иностранными державами. СПб, 1895 г., т. XI.
75. محمد ثريا، سجل عثماني، استنبول، ١٣١١، ج—٢
76. ჭეიშვილი, შ. — ფეოდალური საზოგადოების სოციალური აღნაგობა XVI—XVIII საუკუნეებში, „საქართველოს ისტორია" (დამხ. სახელმძღვანელო). თბ., 1958 წ.
77. Mignan, R. Travels in Chaldea, including a Journay from Bassorah to Bagdad, London, 1829.
78. Миллер, А. Ф. — Мустафа паша Байрактар, М.-Л., 1947 г.
79. Миллер, А. Ф. — Краткая история Турции, М., 1948 г.,
80. Миллер, Б. М. — Персидско-русский словарь, М., 1953 г.
81. Муравьев, Н. Н. — Турция и Египет, М., 1869 г.
82. Муравьев, Н. Н. — Записки. «Русский архив», 1893 г., кн. 3, № 4.
83. محمد البصير، العراق الادبية في القرن تاسع عشر، ١٣٦٥—م

84. Необыкновенныя похождения и путешествия русского крестьянина Дементия Иванова Цикулина. «Северный архив», СПб, 1825 г., ч. XV, № 9.
85. **Небольсин, Г.** — Статистическая записка о внешней торговле России. СПб, 1835 г., ч. 1.
86. Новая история стран зарубежного Востока. М., 1952 г., т. I.
87. Новая история стран зарубежной Азии и Африки, Л., 1959 г.
88. **Норов, А.** — Путешествие по Египту и Нубии, СПб, 1840 г.
89. **Орбели, И.** — Синхронические таблицы для перевода исторических дат по Хиджре на европейское летоисчисление. Л., 1940 г.
90. ორბელიანი, ს. — „საქართველოს ცხოვრება", სანკტპეტერბურგი, 1854 წ., თბ., 1913 წ.
91. **Пашуто, В. Т.** — Дипломатическая деятельность А. С. Грибоедова. «Исторические записки АН СССР», вып. 24.
92. **Петров, Г. М.** — Новые материалы об убийстве А. С. Грибоедова. «Ученные записки института Востоковедения». М., 1953 г., т. VIII.
93. **Погодин, А. Л.** — История Сербии. СПб, изд. «Брокгауза-Ефрон».
94. Полное собрание сочинений А. С. Грибоедова, Петроград, 1917 г., т. III.
95. Полное собрание законов Российской империи. П., т. IV, 1829 г.
96. **Потто, В.** — Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях. Тифлис, 1887 г., вып. 1, т. IV.
97. **Потто, В.** — Карсская торжества в 1910 году и четыре штурма Карса. Тифлис, 1911 г.
98. პოტტო, ვ. — საქართველო და მისი წარსული დრო (თარგმ. ი. ბაქრაძისა), ტფ., 1894 წ.
99. Prokesh-Osten, Geschichte des Abfalls der Griechen von türkischen Reiche. Wien, 1867, Band IV.
100. Путевой журнал Е. И. Чирикова. СПб, 1875 г.
101. Путешествие по Египту, Аравии, Малой Азии и Персии В. Перри-фога. СПб, 1876 г.
102. Путешествие Шардена по Закавказью в 1672—1673 гг., Тифлис, 1902 г.
103. **Жигарев, С.** — Русская политика в Восточном вопросе, М., 1896 г., т. I.
104. **Жузе, П.** — Грузия в 17 столетии по изображению Макария. Казань, 1905 г.
105. **Райнегс, —** «Сокращение истории о Георгии» — გამოქვეყნებული ვ. დუმბაძის მიერ სათაურით: „რუსი ანონიმი მე-18 ს-ის II ნახევრის საქართველოს შესახებ" („მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1963 წ. ნაკვ. 35).
106. **Ранке, Леопольд.** — История Сербии по сербским источникам. М., 1876 г.
107. რაჭველიშვილი იასე—„მეექვსე ნომერი" ანუ „ხალიფის წინააღმდეგი". ტფილისი, 1897 წ.
108. Ritter, K. — Die Erdkunde von Asien. Berlin, 1844. Band VII, teil II.
109. **Розен, Д. Г.** — История Турции от победы реформы в 1826 году до парижского трактата в 1856 году. СПб, 1872 г., ч. I, II.
110. Россия и Сербия (исторический очерк русского покровительства Сербии с 1806 по 1856 год). М., 1869 г., ч. I.
111. Rousseau, M.** — Discription du Pachalik de Bagdad. Paris, 1809.
112. «Русское слово». М., 1859 г., № 4.
113. საქართველოს ისტორია, თბ., 1958 წ., ნაწ. I.
114. სვანიძე, ვ. — ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინციულ მართვა-გამგეობა XVI საუკუნეში. „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", თბ., 1963 წ.
115. სილაგაძე, ბ.—ზოგიერთი შენიშვნა გ. ლეონიძის ერთი წერილის გამო. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი". თბ., 1954 წ., 25 სექტ.

116. ხილაგაძე, ბ.—ლტოლვილი მაჰლუჯი. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი". თბ., 1957 წ., № 96/6365.
117. ხილაგაძე, ბ.—ერაყ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები". თბ., 1960 წ., ტ. 91 (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია).
118. Собрание трактатов, конвенций и других актов, заключенных Россиею с Европейскими и Азиатскими державами, а также и Северо-Американскими Соединенными Штатами, СПБ, 1845 г.
119. Southgate Rev. H.—Narrative of a four through Armenia, Kurdistan, Persia and Mesopotamia. London, 1840, Vol. II.
120. Stoqueler, J. H.—Fifteen months piligrimage through untrodden parts of Khuzistan and Persia. London, 1832.
121. სსრკ ისტორია (სახელმძღვანელო). თბ., 1954 წ., ტ. II.
122. Татищев, С. С. — Внешняя политика императора Николая первого. СПб, 1887.
123. Умлавец, А. — Поездка на Синай. СПБ, 1850 г., ч. II.
124. Фадеев, А. В. — Россия и Кавказ первой трети XIX в., М., 1960 г.
125. Фадеев, А. В.—Россия и Восточный кризис 20-х годов XIX века, М., 1958 г.
126. Фадеев, А. В. — Декабристы на Дону и на Кавказе (ист. очерк). Ростов-на-Дону, 1950 г.
127. Файф — История Европы XIX века СПб, 1904 г.
128. Феофилактов, Е. — Бобьба Греции за независимость. СПб, 1863 г.
129. Finlay, G.—History of the Greek revolution. Edinburg and London. 1861, Vol. I.
130. Fontanier, V. — Voyage dans l' Inde et dans le Galfe Persique. Paris. 1844, Parte I.
131. Fraser, J. Baillie. — Travels in Koordistan and Mesopotamia. London, 1840, Vol. I, II.
132. ფერცელაძე, ნ.—ალახრასის დივანის ანალიზი, თბ., 1965 (ნაშრომი გამოუქვეყნებელია, ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში).
133. ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდე (გამოც. ჩუბინაშვილის მიერ). პეტერბურგი, 1854 წ., ნაწ. II.
134. 'Абд-ар-Рахман ал-Джабарти — Египет в период экспедиции Бонапарта 1798—1801. М., 1962 г.
135. عبد الرزاق الحسنى، تاريخ العراق السياسى، الحديث، مطبعة العرفان صيد لبنان بسنة ١٣٦٧ هـ—١٩٤٨—م، الجزء الاوّل
136. عزالدين يوسف، الادب العراقى فى القرن السابع عشر
137. شمس الدين سامى، قاموس الاعلام، استنبول، ١٣٠٨، ج—٣
138. Шостакович, С. В. — Дипломатическая деятельность А. С. Грибоедова. М., 1960 г.
139. Шостакович, С. В. — Происхождение «реляции» о гибели грибоедовской миссии. «Труды Иркутского гос. Университета». М., 1956 г., т. XVI, вып. III.
140. Шпаро, О. — Внешняя политика Каннинга и греческий вопрос (1822—1827 гг.), «Вопросы истории». М., 1947 г., № 12.
141. Chesney, K. A. —The Expedition for the Survey of the rivers Euphrates and Tigris, London, 1850, Vol. I.
142. ჩოჩიევი, ვ.—ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო. „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან". თბ., 1957 წ.

143. Центральный государственный исторический архив Грузинской ССР (ЦГИАГ) в Тбилиси, фонд № 2, № 4, № 11, № 46[а], № 50, № 1025.
144. წერეთელი, გ. — შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე", თბ., 1935—1936 წწ., ტ. IX.
145. ჯაბაშვილი, გ. — ვერაგული მკვლელობა (ა. ს. გრიბოედოვის ირანში დაღუპვის 125 წლის გამო). გაზეთი „კომუნისტი", 1954 წ., 14 თებერვალი.
146. Халфин Н. А. — Борьба за Курдистан, М., 1963.
147. Хуршид Эфенди — Сияхэт-намэ-и-худуд (Описание путешествия по Турецко-Персидской границе), СПб, 1877 г.
148. James Rich, Claudius, — Narrative of a Residence in Koordistan, and in the site of ancient Nineveh. London, 1836, Vol. II.
149. ჯაქია, ს. — XVIII საუკუნის ორი თურქული დოკუმენტი. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები". თბ., 1962 წ., ტ. 99 (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია).
150. Hammer, Joseph. — Geschichte des Osmanischen Reiches. Qrossentheils aus bischraubenützten Handschriften und Archiven. 1836, Band XIV.
151. Heude, W. — A voyage up the Persian Galfe and a journey overland from india to England in 1817. London, 1819.
152 Huart, Cl. — Histoire de Bagdad. Paris, 1901.

# საკუთარ სახელთა საძიებელი
(I ნაწილისათვის)


## ა

აზნაურაული, 98
აიბეკი, 10
ალავიძე, 162—164
ალან-ბეი, 31
ალი-ბეი, 46—49, 53—54, 55—57, 59—64, 67—70, 72, 74, 75, 77, 78, 80—85
აფრიდონიძე, კ. გ., 196
ალ-ჰაჯი, ამირ იზ ადინ აიდემური, 19
ანტიოქ VIII, 24
აშრაფ, მალიკ ალ, 25

## ბ

ბაიაზეთ I, 24
ბაიბარსი, 13—14, 15—17
ბაიდარა, 20
ბარავი, რაშიდ ალ, 9, 12
ბარკუკი, 23, 24
ბატონიშვილი იოანე, 90, 101—105
ბედიუზზემანი, 40
ბეი-მამიკონიანი, 10, 47, 50, 57, 59—63, — 65—66, 68—71, 75—76, 78, 94
ბერეზინი, 78
ბინო (აბატი), 97
ბულგაკოვი, 90—91, 99—105
ბურნაშოვი, ს., 107

## გ

გაბაშვილი, ვ. ნ., 160
გიგინეიშვილი, ო., 98
გრეიუ (ისტორიკოსი), 86—87

## დ

დამირა, 69
დელაპორტი, 11
დენიზლე, 70

## ე

ეზბეკი (ამირა), 26
ელჯინი (ელჩი), 179, 188
ენგელსი, ფრ., 47
ერეკლე II, 95—102, 107
ერნუ (ისტორიკოსი), 162

## ვ

ვალდვინი, 138—140
ვოლნეი, 9, 21, 41, 43, 47, 48, 51, 57—58, 60, 62, 63—65, 67—71, 73—74, 97
ვუდი, ალფრედი (ისტორიკოსი), 86

## ზ

ზაჰირი (ბელადი), 58—59, 62—63, 70—72, 79
ზია იუსუფ, ოსმალეთის პირველი ვაზირი, 163—165, 172—176, 183, 186—187

## თ

თათარაშვილი, კონდრატე, 7
თემურ-ლენგი, 24, 25, 32
თუმან-ბეი, 29, 30, 32, 33—38
თურან-შაჰი, 10

## ი

იბრაჰიმ დიდი (იხ. შინჯიკაშვილი)
იბრაჰიმ ქაჰია, 48, 53
იელბოლა ჰაჯი, 23
ინ ბაკარი, 40
ისიანი, სევერიანე, 162—164

ისმაილ-ბეი, 55
იუნის ფაშა, 31, 36

## კ

კაირ-ბეგი, 40
კაიტბეი, 26, 27, 30
კანსუჰ-ჰაური, 29
კანსუჰ ეზ-ზაჰირი, 11
კელაუნი, 18—20
კლაპროტი (ისტორიკოსი), 107
კლებერი (გენერალი), 163—171
კლოტბეი (ისტორიკოსი), 12, 193, 207
კოტუზი, 13
კოშკადამი, 26, 35
კოჯა იუსუფ (ოსმალეთის პირველი ვაჭირი), 79—106, 114—139, 161
კურდღელაშვილი, შ., 98
კურტბაი, 32—33

## ლ

ლავალე, თეოფილე (ისტორიკოსი), 86
ლამარტინი (ისტორიკოსი), 86
ლანკრე, 43, 44
ლარუსი, 15, 57, 111, 171, 176, 195, 204
ლეონ მესამე, 15
ლეონ მეხუთე, 22
ლეონ მეექვსე, 22
ლუიზინიანი, 11, 43, 44, 46, 47, 55, 63

## მ

მაკრიზი, ტაკი ედინ აჰმად ელ მაკრიზი (ისტორიკოსი), 12, 16, 18, 19, 20, 23
მალიკ ალ-ზაჰირი, 13
მალიკ ალ ნასირი, 12—13
მანგუ-თემური, 18—19
მარსელი (ისტორიკოსი), 49—50, 51—53, 58—60, 62—64, 65, 67, 70, 73—75, 87, 130—139
მარსერი, ე. (ისტორიკოსი), 107
მარქსი, კ., 9, 47
მასონი, პ. (ისტორიკოსი), 60, 67, 78, 84, 87, 90
მატეეევი (ისტორიკოსი), 51, 52, 67, 78
მენუ, აბდალაჰ (გენერალი), 170—172
მილერი (ისტორიკოსი), 107
მონტემიურლი, 56, 57, 76
მოსტანსირი, 13, 14
მურად-ბეი, 55, 75, 80—84, 89, 102—171
მურაჯა, დოსონი (დიპლომატი და ისტორიკოსი), 86—87
მუჰამედ აბუზ-ზაჰაბი, 55—58, 60, 62—68, 72—74, 76, 78
მუჰამედ ალ-ალფი ალ-მურადისი, 184—194
მუჰამედ-ალი, 192, 194—207
მუჰამედ ალ-მალიკ ენ ნასირი, 20—22
მუჰამედ ჰამზა ულეიში (ისტორიკოს-ეკონომისტი), 9

## ნ

ნადირ-შაჰი, 56
ნაპოლეონი (ბონაპარტე), 97, 142—165, 191—192
ნასირ იუსუფი, 10
ნიბური, კარსტენ (დანიელი ორიენტალისტა და მოგზაური), 46, 97

## ო

ოლივიე (მეცნიერი, ნატურალისტი, დიპლომატი, მოგზაური), 86—87, 108
ორლოვი (ადმირალი), 62
ოსმან-ფაშა, 45—69
ოტეტეა, ა. (ისტორიკოსი), 86

## პ

პეტროვსკი, (ისტორიკოსი), 52, 67, 79
პინო, ლ. (ისტორიკოსი), 89—90, 105—106, 112.
პუჟულატი, ბ. (ისტორიკოსი), 86

## ჟ

ჟონქიერი (ისტორიკოსი), 86—87, 90—140

## რ

რაგიბ მუჰამედ-ფაშა, 50
რაშიდ ალ-ბარავი (ისტორიკოს-ეკონომისტი), 9
რიდვან-ბეი, 51, 52
რიზკი, 64
როდუანი, 55
რუ, ფრანსუა შარლი (ისტორიკოსი), 86—87, 140—178, 180—207
რუსთამი, 162—163

## ს

სავარი. ნიკოლა (მოგზაური), 108
სალადინი, 9
სელიმ პირველი, 29—30, 32—33, 35—39, 41—42
სელიმ მესამე, 97
სენ პრი (დიპლომატი), 189
სიდამონიძე, ვ., 95
სილაგაძე, ბ., 204
სინან-ფაშა, 30—31
სიტი-ნეფისე, 108, 171
სოებეფი ფერიერ დე (გრაფი, მოგზაური და დიპლომატი), 97—99 , 100—105, 107—108, 130—139
სოლიმან ჰალებელი, 140—199
სოლომონ პირველი, 99
სონინი, 75

## ტ

ტამარა, ვ. (ელჩი), 23, 160—195
ტანტავი, ა., 55, 59, 70
ტარბაისიძე, გაბრიელ, 85, 89—97, 100—106
ტარბაისიძე, სოლეიმან, 85, 89—97, 100—106
ტიერი (ისტორიკოსი), 178
ტონუსი (კონსული), 89, 91, 101—105
ტორონტაი, 18

## უ

უზბეკ-ხანი, 21
უზუნ ჰასანი, 31
ულეიში, მუჰამედ ჰამზა (ისტორიკოს-ეკონომისტი), 9

## ფ

ფარაგი, ალ-მალიკ ენ ნასერ აბუსაადატი, 24
ფლასანი (ისტორიკოსი), 95
ფურმონი (მოგზაური), 41, 42, 43, 53, 54

## ღ

ღაზალი ბერდი, 31, 140
ღაზი ჰასანი (კაფუდან-ფაშა), 79—80, 104—106, 114—139

## შ

შადი-ბეგი, 34—35, 37
შადჯარ ადური (ეგვიპტის მამლუქი დედოფალი), 10
შარდენი, 98
შარლ VI, 22
შინჯიკაშვილი, გელია, 80—106
შინჯიკაშვილი, იბრაჰიმი, 55, 80—85, 91—97, 101—106, 109—111, 162, 166—169, 174, 183—185, 187, 191—207

## ჩ

ჩემერზინი (ისტორიკოსი), 29—34, 35—40

## ც

ცამციშვილი, ა., 45—65, 204
ცინცაძე, ი., 98

## ხ

ხოდაბენდე, ალგიაპტუ, 22
ხოსროშვილი (ოსმალეთის ფაშა და სერასკერი), 176, 190

## ჯ

ჯაბარტი, აბდარახმან ალ-ჯაბარტი (ისტორიკოსი), 75, 78, 85, 109—111, 156—158, 183, 204
ჯავახიშვილი, ივ., 28
ჯავახიშვილი, მ., 162—164
ჯანიმ-სეიფი, 34, 40
ჯარიხი, ებუზუუდე, ჯარიხი, შეიხი, 35—36
ჯაფარიძე, გ., 95
ჯელაირი, 24

## ჰ

ჰამამი, 60
ჰამერი, ი., (ისტორიკოსი თურჭოლოგი), 10, 16, 17, 24, 27, 28, 29, 37—38, 40, 47, 59, 62, 68, 73—75
ჰანოტო, გ., (ისტორიკოსი), 108
ჰასან-ბეი („ჯიდელი"), 55, 80—84, 166—169
ჰასან-მერი, 36
ჰასან-ფაშა, 70
ჰულაგუ, 13

# საკუთარ სახელთა საძიებელი[1]

**(II ნაწილისათვის)**

## ა


აბბას ალ-აზავი (|| 'აბბას ალ-'აზზავი), 222, 225, 226, 233, 234, 235, 238, 239, 243, 244, 259, 260, 289, 291, 292, 293, 294, 295, 297, 298, 299, 303, 304, 305, 306, 307, 308, 309, 310, 311, 313, 316, 317, 318, 319, 324, 325, 326, 327, 328, 329, 331, 332, 335, 338

აბას მირზა, ირანის უფლისწული, 249, 250, 252, 254, 279, 283, 284, 285, 286, 287

აბდალაჰი, 'აბდ არ-რაჰმან ბაბანის ვაჟი, 230

აბდალაჰ თუთუნჯი, ბაღდადის საფაშოს თურქი გამგებელი (1810—1813) 228

აბდალაჰ ფაშა ბაბანი, სულეიმანიეს გამგებელი, 240, 281, 326

აბდ-ალ-მაჯიდი, სულთანი, 333

აბდ-ალ-ღაფარ ალ-ახრასი (აბდ ალ-ღაფარ ბენ აბდ ალ-ვაჰიდ ბენ ვაჰბ ალ-ახრას ალ-მავსილი) არაბი პოეტი, 334

'აბდ არ-რაზზაკ ალ-ჰუსაინი, იხ. ალ-ჰუსაინი, 'აბდ არ-რაზზაკ

აბდ არ-რაჰმან არფალი ზადე, 320

აბდ არ-რაჰმან ალ-ჯაბარტი (Абд-ар-Рахман ал-Джабарти), არაბი ისტორიკოსი, 307

აბდ არ-რაჰმან ფაშა ბაბანი (სულეიმანიეს მმართველი), 230—231

აბდი ბეგ ოღლი მუჰამედ-აღა, 254

აბი სინა ალ-ალვასი, არაბი მეცნიერი, 310

აბუ ბაქრ-აღა, ბაღდადის საფაშოს გამგებელი 'ალი ფაშას ქეთხუდა, 303, 318

აბუ ლაილაჰი, იხ. სულეიმან ფაშა აბუ ლაილაჰი

აბუ ხანიფა, იმამი, 289

ადამოვი ა. (Адамов А.) რუსი მეცნიერი ორიენტალისტი 232, 239, 240, 241, 245, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 257, 258, 259, 262, 265, 288, 289, 297, 298, 302, 326, 328, 329, 330, 333, 334

ავრელიუსი მარკ, რომის იმპერატორი, ფილოსოფოსი 334, 335

აზიზ-აღა, მუთასალიმი 322

აზრა, ბაღდადელი ებრაელი, 231, 232

Ainsworth W., 256

Aitchison C. V., 254

ალ-აზავი, იხ. აბას ალ-აზავი

ალ-ახრასი, იხ. 'აბდ ალ-ღაფარ ალ-ახრასი

ალვასი, იხ. ას-საიდ სუ'მან ხაირ ად-დინ ალ-ალვასი

ალექსანდრე I, რუსეთის იმპერატორი, 269, 272, 273

ალი-აღა, 263

ალი-მირზა, ირანელი უფლისწული, ქერმანშაჰის ვამგებელი, 240, 250, 251, 252

ალი ნაჯიბ-ბეგი (შემდეგ ალი ნაჯიბ ფაშა, სამხედრო მინისტრი), 295

ალი რიზა (|| 'ალი ფაშა), იხ. 'ალი რიზა-ფაშა

ალი რიზა-ფაშა, 280, 297, 301, 302, 304, 307, 308, 312—325, 327—329, 331.

ალი უსტა (||'ალი 'უსტა) 296, 298

ალი ფაშა, იხ ალი რიზა-ფაშა

ალი ფაშა თეფედელენლი, 265

ალი-ხანი, ირანის უფლისწული 321

ალი ჯენაბ ეფენდი 311

ალ-მადინი 222, 225, 226, 233.

ალ-მუჰამი 'აბბას ალ-'აზზავი, იხ. აბას ალ-აზავი


[1] შეადგინა საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ლ. დაველიანიძემ.

ალ-'ულუსი 334
ალ-ჰაჯ კასიმ ფაშა 'უმარი 304
ალ-ჰაჯ სალიჰ ბეგი 317
ალ-ჰუსაინ 'აბდ არ-რაზზაკი 230
ამინ ბენ ჰასან ალ-ჰალვან ალ-მადინი, იხ. ალ-მადინი
ამინი, ხალიფა (809—813) 228
ანა, შიო მანველაშვილ-ბოჩოლაშვილის ასული 344
ანტონეტი (|| ანტონაკი) იტალიელი ექიმი 295, 300, 301
არრა, შეიხი 248
არსენა (ქუჩა) 226, 341
არქანჯელო ლამბერტი 220, 222
ასად-ფაშა, იხ. საიდ-ფაშა
ას-სა'იდ ნუ'მან ად-დინ ალ-ალუასი 325, 331
ას-სამარი 256
Aucher—E'loy,ფრანგი ბოტანიკოსი და მოგზაური 257, 259, 262, 288, 295, იხ. აგრეთვე ოშე-ლუა
Ацамба ф. М. 261
აჯილ საღუნი. შეიხი 299
აჰმედ-ბეგი (იგივე დიმიტრი), დაუდ ფაშას ძმა 254, 338
აჰმედ-ბეგი, სულეიმან ფაშა ქურუქის ძმა 234, 235
აჰმედი, ბაღდადის საფაშოს გამგებელი (1723—1747), „არნაუტთა" (ალბანთა) დინასტიის ფუძემდებელი ჰასან ფაშას ვაჟი 263
აჰმედ იზზეტ ალ-ფარუკი 333
აჰმედი, იხ. აჰმედ-ბეგი, დაუდ-ფაშას ძმა

## ბ

ბაგრატიონი იოანე 221
ბათალი ფაშა 265
Baillie Fraser. იხ. Fraser j. B.
Баранов Х. К. 307
ბარბარე, შიოს (დაუდ ფაშას ძმის) მეუღლე 344
ბარკერი, ინგლისის გენერალური კონსული ევვიპტეში 242
ბარონი ნიკოლაი 349
ბარტოლომეი (Бартоломей Ф. Ф.) 247
ბეზაკი ნ. 304. 321
ბეი-მამიკონიანი გ. 223, 225, 264, 336, 343, 352, 354, 355
Беляев Е. 266
ბენკენდორფი 272
ბენჯამინ-კონსტანი 271
ბერანჟე 271
ბერძენიშვილი გ. 349
ბერძენიშვილი ნ. 220
ბერძნიშვილი მ. 305
ბესტუჟევი, დეკაბრისტი 277
ბეშირ შიჰაბი 281
ბონალდი 271
Бонапарт, Н., 307
ბოჩოლაანთ დიმიტრი (|| მანველაანთ დიმიტრი || აჰმედ ბეგი || ჰუსეინი) 226, 296, 337, 338, 344, 346
ბოჩოლაშვილი (ბოჩოლაანთ) გიორგი 225, 226, 340, 342, 343, 344, 346, 347, 448, 349, 351, 354, 356
ბოჩოლაშვილი შიო 226, 337, 340, 341, 342, 344, 346, 348, 350
ბროჟელი გიორგი ივანეს ძე 341, 342, 349
Булгаков, А. З., 269
Buckingham j. S. 228
Burckhardt S. U. 266
ბურცოვი, დეკაბრისტი 277

## გ

გაბაშვილი ვ. 220
გამბა, საფრანგეთის კონსული 245
განგებლოვი, დეკაბრისტი 277
გეო, მოურავი 348
გიგინეიშვილი ო. 265, 266
გიორგი ბოჩოლაშვილი, იხ. ბოჩოლაშვილი გიორგი
გიორგი, ივანე ბროჟელის ვაჟი 342
გიორგი მანველაშვილი, იხ. ბოჩოლაშვილი გიორგი
გიორგი VI, ინგლისის მეფე 274
გრეიგი, ადმირალი 246
გრიბოედოვი ა. ს. (Грибоедов А. С.) 237, 238, 241, 247, 281, 282, 283, 284, 285, 286, 341
გროვესი ა. ნ., ინგლისელი მისიონერი ბაღდადში 222, 302, 303, 311
გუჩუა ვ. 220

## დ

Давидов Денис 278
დავითი, იხ. დაუდ-ფაშა

დაუდ-ფაშა (|| დავითი, დაუდი, დაუდ-ეფენდი) 222—229, 231—235, 237—240, 241, 243—248, 250, 251, 253—261, 263, 264, 281, 286—317, 320, 323, 327—343, 349—356
დაუდი, იხ. დაუდ-ფაშა
დარ ას-სალამი, ქ. ბაღდადი 260
Дебидур, 273
დევო, ნაპოლეონის ყოფილი ოფიცერი 320, 321
Делавелэ Э. 268
დერვიშ-აღა 311, 321, 322
დერვიშ-ფაშა, ირან-ოსმალეთს შორის საზღვრის დამდგენი კომისიის წევრი, ოსმალეთის წარმომადგენელი 249
დიბიჩი, რუსი გენერალი 279, 280
დიმიტრი, დაუდ-ფაშას ძმა, იხ. ბოჩოლა-ანთ დიმიტრი
Дитякин В. 266
დონაძე ვ. 265
დონდუა ვ. 297
დუმბაძე მ. 221, 277

## ე

ებერდინი, ჰერცოგი 242
ევანსი, ჯორჯ დე ლასი 282—283
ეინარი, ბანკირი 271
ეკატერინე II 268
ელენე კანდელაკი, იხ. კანდელაკი ელენე
Энгельс Ф. 245, 270, 280, 287
ენიკოლოპოვი ი. ე. (Энколопов И. Е.) 246, 286, 343
ერეკლე II 337
ერმოლოვი ა. პ., საქართველოს მთავარმმართებელი 240, 245, 246, 249, 252, 254, 340, 341
Ефремов П. 285

## ვ

ვაგინი 237, 238
ვალხოვსკი 277
Watson R. Cr. 250, 251
ვაცენკო ი. 246
ვილკი ჰენრი 250
ველინგტონი, ჰერცოგი 276, 282, 283
Wellsted J. R. (უელსტედი) 227, 239, 302
ვილე. ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე 271
ვილიამსი, პოლკოვნიკი 249
ვოლნეი კ. ფ. (Вольней К. Ф). 337
Won Sax C. 232
ვუკიჩევიჩი 267

## ზ

ზენონი 335
ზუბალაშვილი ანდრია 337, 340, 348, 350

## თ

თაბით-ეფენდი, დაუდ-ფაშას ისტორიკოსი 264, 311
თაბითი, იხ. თაბით-ეფენდი

## ი

იასე რაჭველი 314, 340
იაჰია აღა, ხაზინადარი 239
იბრაჰიმ აღა 319
ივანე ბროძელი, იხ. ბროძელი ივანე
Иванов М. С. 241, 248, 250, 285
Иванов Н. 307
'იზ ად-დინ იუსუფი 262, 335
იოანე ბატონიშვილი, იხ. ბაგრატიონი იოანე
იოთამი 225
იოსეფოვი პეტრე (|| პეტრე ახალციხელი) იოსეფაშვილი, იხ. იუსუფ-აღა,
იპსილანტი ალექსანდრე 267
ისააკი, ბაღდადის ზარაფთა არტელის უფროსი 292
Юзефович Т. 270, 280.
Юнг Е. 267
იუსუფ-აღა, დაუდ-ფაშას ქათიბი (მდივანი) 340, 341. 342, 356
იუსუფ-ფაშა რუმელიელი 297
იუსუფი, მსახურთუფროსი 300

## კ

კაკაბაძე ს. 225
კანდელაკი ლევან 226, 341, 342
კანდელაკი ელენე 342
კანდელაკი ნინო 342

Кандинов, колежный секретарь 346
კანინგი გეორგ, ინგლისის მთ. კაბინეტის თავმჯდომარე 273, 274, 275
კაპოდისტრიო 271
კარლოს X 271
კარტრაიტი, ინგლისის გენ. კონსული სტამბოლში 242
კასიმ-ფაშა უმარი (|| კასიმ უმარი,კასიმი) 298, 304—317
Keppel g. 250
კერ-პორტერი რ. 222, 242 იხ. აგრეთვე Robert Ker-Porter
Kinneir j. M. (კინნეირ ჯ.მ.) 242
კლაუდიუს ჯემს რიჩი (Claudius james Rich) 223, 240, 241—247, 248
კლემენტ უარი (Clement Huart), იხ. უარი კლემენტ
კოდრინგტონი, ადმირალი 273, 274
კოლკუჰინი 241
კოლლას 267, 270, 274
Крымский А. 266, 267
კურდღელაშვილი შ. 260, 261, 338

## ლ

Lady A. Blant 266
ლამბერტი არქანჯელო, იხ. არქანჯელო ლამბერტი
ლევან კანდელაკი, იხ. კანდელაკი ლევანი
ლენინი ვ. ი. 220
ლეონიძე გ. 223—226, 238, 342, 343, 350, 355
ლივენი ხ. ა. 274, 276
ლისტონი 240
ლონგრიგი ს. ჯ. (Longrigg S. H.) 222, 225, 226, 228, 231, 233, 234, 237, 238, 240, 245, 251, 259, 262, 264, 293—295, 297—299, 301—304, 310, 311, 315, 325, 327, 328, 330, 331, 333—335, 338
ლორთქიფანიძე იასე 225
ლუარსაბ ორბელიანი, იხ. ორბელიან-ყაფლანიშვილი ლუარსაბ იოანეს ძე
Lucklama a Rijeholt T. m. 334

## მ

Магазаник Д. 305
Мазарович К. С. (მაზაროვიჩი კ. ს.) 247, 250, 251
მაზკურ იბნ ჯანდილი, შეიხი 248
Макарий, ანტიოქიელი პატრიარქი 220
მაკდონალდ კინეი, იხ. Kinneir j. M.
მაკდონალდი ჯონ 282, 283, 285
მაკინტოში ჯემს 242
მალცოვი 283
მამედ ალი მირზა, იხ. მუჰამედ ალი მირზა
მამედ ფაშა, იხ. მაჰმუდ-ფაშა
მანუელიანი (|| მანუელაანთი) 344, 347 იხ. აგრეთვე ბოჩოლაშვილი გიორგი
მანუელაშვილი გიორგი, იხ. ბოჩოლაშვილი გიორგი
მანუელოვი შიო, გიორგის შვილი 341
მანუელი 271
მარიამი, გიორგი მანუელიშვილი-ბოჩოლაშვილის მეუღლე, დაუდის დედა 225, 340, 341, 342, 347, 350
Маркс К. (კ. მარქსი) 245. 270. 280, 287
Мартенс Ф. Ф. 273, 276
მასრუფ მუჰამედი 289
მაჰმადი 222
მაჰმუდ-აღა 348
მაჰმუდ-ბეგი 230, 231, 348
მაჰმუდ II, თურქთა სულთანი 232, 233, 235, 266, 269, 270, 273, 275, 279—281, 286, 288, 294, 296, 314, 315, 329
მაჰმუდ-ფაშა ბაბანი 233, 237, 252. 279
Меншиков 247
მესხია შ. 220
მეტერნიხი 272
მეჰმედ სურეია, თურქი ისტორიკოსი 232—234, 238
Mignan R. 244
Миллер А. Ф. 265, 268, 271
Миллер Б. М. 307
მილნიცი, ბარონი, პრუსიის ელჩი სტამბოლში 276
მილოშ ობრენოვიჩი 268
მინციაკი, რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი სტამბოლში 269
მირზა მუჰამედ ბაკირ ალ-თბილისელი 260
მკერვალი ა. ა. 341
Муравьев Н. Н. 226, 277, 283, 289, 297, 311, 312, 313, 315, 317, 325, 332, 333
მურთაზა ნეჯმი ზადე 260

მუსა-აღა, ქაჰია 239
მუსტაფა-ბეგი 226
მუსტაფა-ფაშა ბაირაქტარი (Мустафа паша Байрактар), 265, 266
მუსტაფა ფაშა სკოდრალი 326
მუჰამედ ალ-ბასირი, 261, 335
მუჰამედ ალ-ბარდი, შამპრ ტოგას ტომის შეიხი 304, 305
მუჰამედ ალი, ეგვიპტის გამგებელი 266, 271, 281, 288, 296, 307, 326, 329, 331, 333
მუჰამედ ალი მირზა, იხ. ალი მირზა
მუჰამედ ალი რიზა, იხ. ალი რიზა
მუჰამედ-აღა, დაუდ-ფაშას ქაჰია 239, 240, 250, 255, 317
მუჰამედ აღა ყარა ბიბერი 307
მუჰამედ ბაკირ ალ-თაფლისი, იხ. შირზა მუჰამედ ალ-თბილისელი
მუჰამედ ამინ აზ-ზანდი აღ-ბაღდადი 293, 331
მუჰამედ ეფენდი 304
მუჰამედ მასრუფი 292, 293
მუჰამედ საიდი, დავთარდარი 239
მუჰამედ საიდ-ბეგი 239
მუჰამედ ფაშა ბაბანი, სულეიმანიეს გამგებელი 233, 239, 240, 243, 244, 254, 304
მუჰამედ ჰუსეინი, მუჰამედ ალი შირზას ვაჟი 251
მუჰამედ ჰუსეინ ხანი, ქერმანშაჰის მფლობელი 254

## ნ

ნაბი ხანუმი, სა'იდ ფაშას დედა 229, 230
ნაპოლეონ ბონაპარტი 241, 262, 268, 269, 271, 320
ნაჯიბ-ბეგი 299
Небольсин Г. 272
ნესელროდე კ. ვ. 245, 252, 281—286, 307
ნიკოლოზ I, 268, 276, 282
ნინო, შიო მანველაშვილ-ბოჩოლაშვილის ასული 244, 249
ნინო კანდელაკი, იხ. კანდელაკი ნინო
Новичев Н. Д. 265
ნოროვი ა. 305, 331

## ო

ობრენოვიჩი მილოშ 268
ომარ-აღა 239
Орбели И. 260
ორბელიანები 225, 351, 352, 353
ორბელიანი ასპან უაფლანოვი 345, 347
ორბელიანი გიორგი 345
ორბელიანი დაეით რევაზის ძე 345, 347
ორბელიანი ივანე 345
ორბელიანი იაკობ 345
ორბელიანი იოსებ 345
ორბელიანი კონსტანტინე უაფლანოვი 345, 347
ორბელიანი (|| ორბელიან-უაფლანიშვილი) ლუარსაბ იოანეს ძე 226, 344—347
ორბელიანი ნიკოლოზ 345
ორბელიანი პაპუნა 220, 221
ორბელიანი სამარაღდან უაფლანოვი 345, 347
ორბელიანი ქაიხოსრო უაფლანოვი 345, 347,
ოსმანი, ხალიფა 334
ოშე-ლუა, ფრანგი მეცნიერი. მოგზაური 222, 288, 294, 303, 311, 333, იხ. აგრეთვე Aucher—E'loy

## პ

პაზვანდოღლუ, ბოსნიელი ფეოდალი 264
Понкратов იხ. პანკრატოვი
პანკრატოვი, გენერალ-ადიუტანტი 304, 321
პასკევიჩი, გრაფი, საქართველოს მთავარმმართებელი 277—279, 282—286, 321, 322
Пашуто В. Т. 286
Перенц М. А. 280
პერტევ ეფენდი, ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 274, 276
პესტელი პ. ი. 271
პეტრე იოსეფოვი (|| უსუფა, იოსეფაშვილი), დაუდ ფაშას ქათიბი 349, 354, 356
Петров Г. М. 286
პიკოკი, ინდოეთის საქმეთა პასუხისმგებელი მოხელე 242
Погодин А. А. 268
Попова Нина 268
პორტერი, იხ. კერ-პორტერი რ.

პოტო ვ. 217
Потто В. 277
პუშკინი ა. 271
პუშჩინი, დეკაბრისტი 277

## ჟ

ჟენუდი, აბატი 270
ჟუგარიოვი ს. 268
Жузе П. 220

## რ

რაევსკი, დეკაბრისტი 277
რაინეგსი ი. 221
რამადან-აღა ჩოკდარი, დაუდ ფაშას სასახლის ზედამხედველი 293
Ранке Леопольд 268
რასულ ჰავი-ეფენდი ქირქუქელი (|| რასულ ჰავი-ეფენდი, რასულ ჰავი) 222, 233, 234, 260
რიკარდო, ბაკნკირი 271
Riter K. 248
Rich Cl. იხ. კლაუდიუს ჯემს რიჩი
Robert Ker Porter 245, 336, 338, იხ. კერ პორტერი
Розен Д. Г. 266, 267, 269, 274—276, 280, 288, 289, 326, 328, 329
Roussean, M.** 334
რუსთემი, ქეთხუდა 324
რუსთემ-აღა 298

## ს

სადიკ-ბეგი 311
სადიკ-ეფენდი 288, 289, 299
სადიკ-ეფენდი, დავთარდარი 289, 290, 291—296
სადუნ-აღა 318
სადუნ-აღა, ლევენდის ასეულის უფროსი 323
სადუნი, ალ-'უბაიდის ტომის შეიხი 329
სადუნი, შეიხი 256
საიდ აბდ არ-რაზზაკი 292
სა'იდ 'ალი-აღა, იენიჩარების უფროსი 239
სა'იდი, იხ. სა'იდ-ფაშა
სა'იდ ალი-ფაშა 323
სა'იდ აჰმედი, ულებების კორპუსის მეთაური 320
სა'იდ ეფენდი 324
სა'იდ ფაშა (|| ასად-ფაშა || სა'იდი) ბაღდადის საფაშოს გამგებელი 229—230, 231,—235, 237—239, 307, 319, 320, 340,
სალიჰ ათ-თამიმი 262
სალიჰი, იხ. სალიჰ ბეგი
სალიჰ-ბეგი 298, 307—310, 312, 315—318, 320, 323, 324
სალიჰ ახუ შავქათი 324
სალიჰ ჩელები 298
სალიჰ ჩელები აზ-ზაჰირი 304
სალიჰ ჩელები ალი-ზადე, ალი-რიზას სარდალი 322
სალომე, შიო მანეელაშვილ-ბოჩორიშვილის ასული 344
სელიმ III, სულთანი 266. 269. 314
სემიჩევი, დეკაბრისტი 276
სერ ჩეჩმე მოლა ჰუსეინი 310
სვანიძე მ. 317
სიმონოვიჩი, გრაფი 277
სოლომონ II, იმერეთის მეფე 337
Southgate Horatio 330
სტალინი ი. ბ. 223, 268
სტენგოფი, მწერალი 271
სტეფან ჰემსლეი ლონგრიგი, იხ. ლონგრიგი ს. ჰ.
Stoqueler j. H. 294, 303
სტრანგფორდ კანინგი, ლორდი, იხგლისის მთავრობის კაბინეტის თავმჯდომარე 273
სტრანგფორდი, ლორდი 244
სტროგანოვი გ. ა. გრაფი, რუსეთის ელჩი სტამბოლში 240, 244
სულეიმან აბუ ლაილი, იხ. სულეიმან-აღა აბუ ლაილი
სულეიმან-აღა-აბუ ლაილი, იხ. სულეიმან-ფაშა აბუ ლაილი
სულეიმან-აღა ამირახორი 256, 291—292, 299
სულეიმან-აღა „ბუიუქი", იხ. სულეიმან-ფაშა „ბუიუქი"
სულეიმან აღა, ხაზინადარი 317
სულეიმან ალ-ღანამი 304, 311, 318, 319
სულეიმან-ბეგი, იხ. სულეიმან-ბეგ ჰაჯი თალიბ ქაჰია
სულეიმან-ბეგი ბენ ჰაჯი თალიბ ქაჰია (||თაბითი, || თაბით-ეფენდი), მამლუქი ისტორიკოსი 222, 251, 260, 261, 264, 311

სულეიმან-ფაშა აბუ ლაილი 263, 307, 313, 354, 355
სულეიმან-ფაშა „ბუიუქი" 226, 227, 228, 234, 237, 238, 251, 263
სულეიმან-ფაშა ქუჩუქი 228, 234, 263
სულეიმან „ქუჩუქი", იხ. სულეიმან ფაშა ქუჩუქი
სუფიან-ეფენდი 314, 315, 316
სუფუკი ალ-ფარისი, შამარი ჯერბას ტომის (|| სუფუკი) 298, 304
სუხორუკოვი, დეკაბრისტი 276

## ტ

ტაჰირ-ეფენდი სირუზი ზადე, ბაღდადის ყადი 305, 306
ტაჰირ ულ-სირუზი, იხ. ტაჰირ ეფენდი სირუზი ზადე
Татищев С. С. 268
ტეილორი, პოლკოვნიკი, ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის რეზიდენტი ქ. ბასრაში 263, 294, 295, 302, 314

## უ

უარი კლემენტი 223, 225, 228, 230—232, 233, 234, 238, 250, 256, 257, 260 261, 262, 281, 289—290, 292—294, 298, 299, 305, 306—309, 311, 312, 313, 314, 316, 317, 320—325, 327—333
უსმან ბენ სანად ალ-ბასრელი, არაბი ისტორიკოსი 225
უსუფა (|| იუსუფ-აღა) 250, 345
უსტა 'ალი (|| 'ალი უსტა) 296

## ფ

Фадеев А. В. 252, 271, 272, 273, 276, 277, 278, 282
ფაღლ ალაჰი 239
ფათალი შაჰი 241, 247, 252, 253, 279, 283, 285
Фаиф, 273
Феоктистов Е. 270, 271, 275
ფირუზი, დაუდ-ფაშას მსახური 305
ფოკი, დეკაბრისტი 276
ფონტანიე ვ. (Fontanier V.) 222, 242, 244, 248, 258, 259, 262, 264, 296, 312, 334, 338, 339
Fraser j. B. 223, 262, 263, 264, 271, 288, 294, 298, 301, 302, 307, 311, 325, 329, 331
ფურცელაძე ნ. 261, 262

## ქ

ქრისტე 222, 311

## ყ

ყარა გიორგი 267, 268

## შ

შადინოვი ნონია 254, 348
შამილი 350
Шарден Ж. 220, 221
შატობრიანი 271
შაჰფულაჰ ალ-ჰალილი, შეიხი 230
შიო, დაუდ-ფაშას ძმა, იხ. ბოჩოლაშვილი შიო
Шостакович С. В. 242, 285
Шпаро О. 271, 272, 273, 275, 277
Щербаков, губерн. секретарь 345

## ჩ

ჩაფან ოლლუ 265
ჩერნიშოვი, დეკაბრისტი 277
ჩესნეი რ. ა. (Chesney R. A.), ინგლისელი პოლკოვნიკი 259
ჩირიკოვი ე. ი. ირან-ოსმალეთის საზღვრის დამდგენი კომისიის წევრი, პოლკოვნიკი 249, 253, 259, 300, 301, 303 324, 325, 332
ჩიჩაგოვი პ. ე. 268
ჩოჩიევი ვ. 221
ჩუბინაშვილი 219, 220

## ც

Цикулин Д. И. 341
ციციანოვი პ. 237

## წ

წერეთელი გ. 350

## ე

ელეკაევაძე ა. 277
ენიკოშვილი გ. 293

## ნ

ნალედ-ეფენდი 293, 294
ნალილ-ბეგი 304
Халфин Н. А. 242, 243
Хуршид-Эфенди, ირან-ოსმალეთის საზღვრის დამდგენი კომისიის წევრის, დერვიშ-ფაშას მდივანი 249, 257, 258, 259, 260

## ჯ

ჯავახიშვილი ივ. 343, 352
ჯალილი, შეიხი 248
ჯაყელი 265
ჯევად-ბეგი 327
ჯემს მაკინტოში, იხ. მაკინტოში ჯემს
ჯემს რიჩი, იხ. Rich Cl.
ჯიქია ს. 305
ჯონ მაკდონალდი, იხ. მაკდონალდი ჯონ
ჯორჯ დე ლასი-ევანსი, იხ. ევანსი ჯორჯ დე ლასი

## ჰ

ჰაბიბე ხანუმი 307
ჰაინი, ჯემს რიჩის თანაშემწე 241
ჰაკი-ფაშა 279
ჰალეთ-ეფენდი 231, 232
ჰალიბ-ფაშა, სერასკერი 279
ჰამად-აღა 229, 239
ჰამდი-ბეგ ბაბანი 222, 316
ჰამდი-ბეგი, სა'იდ-ფაშას ვაჟი 323, 324
ჰამიდ ას-სამირი, მუნთაფიქის ტომის შეიხი 237, 248, 255
Hammer j. 261
ჰასაკილი, ბანკირი, აზრას ძმა 231, 232
ჰასან-ფაშა, ერაყის გამგებელი 263, 290
ჰასან-აღა 319
ჰასანი, იხ. ჰასან-ფაშა
ჰასანი, დაუდ-ფაშას ვაჟი 328
ჰაფიზ 'ალი, იხ. ჰაფიზ 'ალი-ფაშა
ჰაფიზ 'ალი-ფაშა, ქართველი, სულეიმან-ფაშა ბუიუქის სიძე 227,228, 263
ჰაჯი აჰმედ ეფენდი 304
ჰაჯი ბექირ-აღა 311
ჰაჯი თაბით-აღა, ჭაჰია 251
ჰაჯი-თალიბი- 255
ჰაჯი ქასიმ 'უმარი, იხ. ქასიმ-ფაშა 'უმარი
ჰაჯი მირზა მაჰმუდ აღვარი 237
ჰაჯი მუჰამედ 'ალი რიზა, იხ. მეჰამედ 'ალი-რიზა
ჰაჯი სალიჰ-ბეგი, იხ. სალიჰ-ბეგი
ჰაჯი სალეჰი, მეიდანიის ფაშა 279
ჰაჯი ჰალილი, ვაჯარი 325
ჰეიდი ვ. (Heude W) 242
ჰენრი ვილოკი, იხ. ვილოკი ჰენრი
ჰიუგო ვ. 271
ჰორაციო საუდგატი (Horatio Soudgate) 303
Huart Cl, იხ. უარი კლემენტი
ჰუსეინი, მოლა 317, 319, 323
ჰუსეინ-ფაშა 338, იხ. აგრეთვე აჰმედ ბეგი დაუდ-ფაშას ძმა
ჰუსეინ-ხანი 254, 255

# გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

## ა


აბ დ ალ-კადარის მეჩეთი 227
აბშეპრი 250
ადრიანოპოლი (Адрианополь) 279, 280, 286
ავსტრია 269, 273, 274, 282
აზია (Азия) 231, 233, 245, 246, 258, 262, 282
Asia minor 242
Азиатская Турция 277, 278
აზ-ზაერა, იხ. ბაღდადი
აზამიეს ველი 316
ათენი (ათინა) 272
აინზერგის წყარო მედინაში 333
აკა, იხ. აკრა
აკერმანი 270, 276, 280
აკრა (|| აკა || აკკა) 281, 296, 326
აკრ კუფი 256
აკსარაის ციხე 250
ალ-აზამიე 290
ალ-აზამიეს ციხე-სიმაგრე 289
ალაშეერტის ველი 277
ალბანეთი 267, 281, 326
ალეპო 234, 297, 298, 299, 304, 322
ალექსანდრია 267
ალ-ჰასა 267
ამასია 242
ამიერკავკასია 245, 246, 252, 283
ანატოლია 278, 279, 281, 283, 326
ანდალუზია 260
ანკარა 265, 333
ანკარის ვილაიეთი 333
არაბეთის ნახევარკუნძული 266, 267, 281, 326, 331
არაბული ერაყი, 230, 255, 256, 311, 315, 322
Аравия 332
არაქსი, მდ. 242
არდაგანი 278
არზრუმი (|| ერზერუმი) 295, 299, 350
Armenia 222, 226, 336
არ-რაფიდაინი, იხ. მესოპოტამია
Assiria 251, 256
Африка 258, 262, 333
აფხაზეთი 220
აღმოსავლეთ საქართველო 221
აღმოსავლეთ სომხეთი 280
აღმოსავლეთ სუდანი 266
აშ-შარკი 323
აშ-შეიხის კვარტალი 306
ახალქალაქი 277, 280
ახალციხე 265, 277, 278, 340, 348, 356
აწყური 278


## ბ


Баб-эль-ага, კვარტალი ბაღდადში 324
ბაბი-ალი 323
ბაბილოვანი 288, 313, 342, 349, 350, 351, 356
Баб-и-Шейх эль-Кадыр, კვარტალი ბაღდადში 324
ბაბ ულ-ჰილე 318
ბაბ უშ-შარკი 318
ბაზიანი 250, 255
ბათუმი 278
ბაიაზეთი 277
ბაიბურთი 278
ბალკანეთი 269, 279, 280, 284

ბალკანეთის მთები 279
ბალკანეთის ნახევარკუნძული 240, 252, 272
ბანა 243
ბასრა 232, 234, 235, 241, 245, 246, 256, 259, 294, 296, 300, 301, 302, 322, 325, 334, 338, 339
ბასრა-ბაღდადი 243, 244, 263
ბასრა-ბაღდად-შეპრიზორი 234, 235
ბაღდადი 222, 225, 226, 227—235, 237—244, 246, 247, 251—264, 278, 281—298, 300—325, 329—332 334—344, 347, 351—356
ბესარაბია 276, 277
ბენი სა'იდი, სოფელი 251
ბენი ლამი 247, 248
ბენდერ-ბუშირი 283
Ბერდერი 242
Berlin 248
ბეჰროუზი 305
ბიზანტია 297
ბითლისი 242, 250
ბომბეი 225
ბოსნია 281, 333
ბოსფორ-დარდანელი 272
ბრიტანეთი 273, 274, 295
ბულგარეთი 267
ბურსა 233, 239
ბუქარესტი 267, 268, 269
ბუშირი 242, 296
ბუხარა 246

## გ

Georgia 222, 226, 242, 245, 335
გილანი 246
გიუმუშხანე 278
გორი 221
Греция 270
Грузия 220
გულისტანი 252
გურია 278
გურია-სამეგრელო-იმერეთ-ქართლი 282

## დ

დამასკო 314, 334
დარ ას-სალამის სტამბა 260
დასავლეთ ერაყი 231
დაღესტანი 220
დეტაილი 305
დიადინი 350
დიარბექირი 242, 278, 297, 299, 333
დიდი ბრიტანეთი 241, 242, 284
დიდი ზაბი, მდ. 315
დირი 299
დმანისი 226
Дон 277
დუნაი 265

## ე

ეგეოსის ზღვა 272
ეგეოსის ზღვის კუნძულები 270
ეგვიპტე (მისრი) 221, 226, 242, 261, 266, 271, 281, 289, 296, 305, 307, 326, 329, 331, 337
ეგრისი 297
ევბეი 271
ევროპა 245, 246, 252, 258, 265, 270, 271—274, 279, 284, 289, 353
ევფრატი, მდ. 247, 255, 256
ევფრატ-ტიგროსი 245
ეთიოპია 306
ეპიდარე 270
ეპირი 265, 271
ერანი 219
ერაყი 222, 225, 226—229, 232, 234, 238, 239, 242—248, 251—264, 279, 281, 282, 283—289, 291, 294, 296—308, 211—313, 315, 320, 321, 322, 325—329, 331,332, 335, 336, 337, 340, 343, 351—355
ერაყ-საქართველო 223
ერაყ-ქურთისტანი 242
ერბილი 315
Ереван 286
ერეევან-ნახიჩევანი 280
ერზერუმი 242, 246, 252—255, 278, 279, 282
ერზერუმის საფაშო 249, 250, 251
Ерзинган 321

## ვ

ვალახეთი 267, 269, 270, 276, 280
ვანი 279, 284

ვიდინი 265
Wien 273
ვოლგა 245

## ზ

ზაბი, მდ. 315
Закавказье 220, 221
ზანგაბადი 233
ზემო ეგვიპტე 266

## თ

თავრიზი 242, 246, 247, 254, 283, 284, 300, 321, 322
თავრიზ-ქერმანშაჰი 252
თბილისი 217, 219—226, 237, 242, 245, 254, 265, 305, 335, 337, 338, 341—346, 353
თეთრი კარები ბაღდადში 320, 321
თეირანი 246, 271, 282, 285, 287, 296, 314, 353
თოფრაყყალე, ციხე 250
თურქეთი 220, 228, 268, 269, 274, 275, 276, 283, 284, 286, 321
თურქეთ-ეგვიპტე 272, 273
თურქესტანი 287
თურქმენჩაი 276, 280, 385

## ი

იანინო 280
იასი 267
იეზდი 246, 287
იზმირი 265
იმამ აზამი 293, 319, 320
იმამ აზამის კარები 311
იმამ აზამის ციხე-სიმაგრე 315
იმამ მუსა, სოფ. 319, 320
იმერეთი 220, 221, 278
ინგლისი 241—246, 250, 252, 257, 271—276, 282—285, 294, 295, 314, 325, 340
ინდი 245
ინდოეთი 242, 245, 246, 282, 283, 287, 334
ირანი (|| Персия || Persia) 220, 221, 225, 230, 233, 238—256, 262, 276, 279—287, 300, 303, 304, 321
ირანის აზერბაიჯანი 249, 254
ირბილი 243
ირკუტსკი 285
ისპაჰანი 242
იფნობი 225

## კ

კავკასია (Кавказ, Caucase) 252, 272, 273, 276, 277—279, 281—282, 284—286, 314, 334
Казань 220
Казы-эль-Хаджат, კვარტალი ბაღდადში 324
კაინლი 278
კაირო 296, 331
კალკუტა (Calcuta) 246
კანადა 271
კანდია (კრეტა) 266, 281
კაპუ 296
კარშუ იაკი 316
კახეთი 219, 220, 221
კიზილ ირმაკი, მდ. 265
კინტრიში 278
კირმანჩი (ქერმანშაჰი) 321
კონია 333
კონსტანტინოპოლი 222, 240, 245, 269, 274, 278, 296, 326
Koordistan 222, იხ. აგრეთვე ქურთისტანი
კრეტა 281
კრონშტადტი 282
Кумбар Ага, კვარტალი ბაღდადში 324
Кючук Каннарджи 267

## ლ

ლაზიკა 297
Leinzig 257, 262, 332, 333
Л. (Ленинград) 260, 265, 271, 288, 333
ლიბანი 281
ლონდონი (London) 222, 226, 227, 228, 239, 241—245, 250, 251, 256, 259, 262, 264, 266, 271, 274, 276, 280, 282, 284, 288, 303, 330, 336

## მ

მადინათ ას-სალამი (|| ქ. ბაღდადი) 260
მადრასი 246

Малая 332
მარაღა 242
მარდინი 242, 280, 299
მასკატი 256, 296
მახლობელი აღმოსავლეთი 286
მედინა 241, 246, 251, 279, 284, 333, 335
Мейдан, კვარტალი ბაღდადში 324
მენდელი 251
მენდელის რაიონი 253, 255
მენდელ-ხანეკინის გზა 305
მერივანი 243
მესოპოტამია (Mesopotamia) 222, 228, 232, 245, 261, 262, 294, 303, 330
მექა 241, 246, 284, 296, 332, 334
მეწამული ზღვა 266
მთაწმინდა (თბილისის) 342
მილი დუზი 278
მირტაშენი 225
მისრი (ეგვიპტე) 221
მოლდავეთი 267, 269, 270, 276, 280
მორეთა 266, 270, 280, 281
მოსული 242, 243, 257
Москва (М.) 226, 247, 249, 266—268, 271, 273, 278, 285, 286, 307, 333
მოსული ქ. 298, 300, 304, 315, 334
Мурабба, კვარტალი ბაღდადში 324
მუსაიბი 239
მუში 250, 278, 279, 384
მუხა ესტატე 278
Мухаммед-эль-Фазыль, კვარტალი ბაღდადში 324
მცირე აზია 241, 246, 252, 279

## ნ

ნავარინი 274, 275, 280
ნეჯდი 266, 284
ნეჯეფი ქ. 230, 241, 246, 247, 258
ნოვგოროდი 272
ნუბია (Нубия) 266, 305, 331, 332

## ო

ოდესა 245, 272, 282
ოზურგეთი 278
ომანი 267
ოსმალეთი 220, 221, 222, 226, 231, 235, 241, 242, 243, 247, 249, 250, 252, 253, 254, 256, 265, 266, 267, 269, 270, 272—276, 278—286, 288—290, 294, 296, 300, 306, 308, 312, 317, 321, 325, 326, 328, 329, 333, 337, 354
ოსტ-ინდოეთი 240, 241—244, 262, 294, 295, 340
Oxford 222, 225

## პ

პარიზი (Paris) 222, 225 233, 242, 245, 248, 257, 266, 271, 281, 288, 333, 334
პელოპონესი 271
Персия (Persia) 222, 226, 304, 331, 336
პეტერბურგი 245, 268, 272, 273, 276
Петроград 238, 341
პრუსია 269, 273, 274, 276, 282

## ჟ

ჟენევა 271

## რ

რედუტ-ყალე 245
Ряс-эль-Кираэ, კვარტალი ბაღდადში 324
რომი 297
Россия 252, 268, 270, 271, 272, 276, 278, 280
Ростов на Дону 277
რუმელია 275, 277, 278, 325
რუსეთი 220, 237, 240, 245, 246, 249, 250, 252—254, 262, 266—286, 288, 296, 321, 325, 344, 346
Russia 334

## ს

საამო ველი 300
საბერძნეთი 240, 267, 270—276, 280, 281, 326
საბუნიის ბორცვი 294
სათათრეთი 226
საიფ ად-დავლა 261
სალადინის ციხე-სიმაგრე 331
სალიბიე 321
სალონიკი 271

საშეგრელო 220, 221, 278
სამოსი 281
სამცხე-საათაბაგო 220
სამხრეთ ერაყი 321
სანკტპეტერბურგი (СПБ) 219, 220, 247, 249, 266, 267, 269, 270, 272, 273, 276, 280, 285, 301, 303, 305, 331, 332, 337, 341
საქართველო 217—224, 245, 260, 263, 265, 280, 297, 335—338, 340, 341, 343, 345, 349, 352—355
საქარია, მდ. 265
საფრანგეთი 245, 266, 269, 271, 273—276, 280, 282, 325
სევასტოპოლი 282
სენები 225
სენნე 242, 243
სენტ-ჯორჯი 242
სერბია 252, 267, 268, 270, 280
სივაში 278, 279
სილისტრია 279
Синай 332
სირია 256, 266, 271, 296, 307, 326, 337
Scythia 251
სმედეროვო 268
სმირნა 242, 246
სომხეთი 242, 245, 281
სოღანლუღი 278
სპარსეთი 233, 237, 242, 245, 253, 284, 286, 287, 304
СПБ, იხ. სანკტპეტერბურგი
სტამბოლი 232, 234, 242, 244, 260, 261, 268—270, 273, 274, 276, 279, 288, 289, 295, 296, 298, 299, 312—316, 321, 323, 324, 327, 329—334, 339
Сук-эль-газаль, კვარტალი ბაღდადში 324
სულეიმანიე 230, 232, 233, 239, 240, 243, 244, 252, 254
სურამი 221

## ტ

ტაკმაკლუ, სოფ. 234, 235
Тебриз 322
ტიგროსი, მდ. 301, 306, 309, 316, 319, 327, 355
Тифлис 220, 221, 277, იხ. აგრეთვე, თბილისი
ტრაპიზონი 246, 278, 279, 282
Турция 226, 265, 266, 267, 269, 271, 280, 289, 333
ტუზ-კურმატი, სოფ. 289
ტფილისი, იხ. თბილისი

## უ

უკრაინა 272
ურფა 257, 299

## ფ

ფარიჯას ბაღი 320
ფელუჯი 256
ფოთი 278

## ქ

ქაზიმიე 305, 317
ქართლი 219, 220, 221, 327
ქარიმის კარი 317
ქაშირი 242
ქერბალა 241, 246, 247, 258, 286
ქერმანი 240, 286, 287
ქერმან შაჰი 230, 233, 240, 244, 247, 250, 251—254
ქვემო ქართლი 219, 225, 226
ქირქუქი 232, 233, 234, 235, 300, 302, 329
ქობულეთი 278
ქოის სანჯაყი 233
ქურთისტანი 239—244, 250, 252—254, 279, 281, 325
ქციის ხეობა 225

## ყ

ყარაბაღი 324
ყარსი 277
ყარსის ციხე 250, 277
ყიზილ რობატი 240
ყუბანი 280

## შ

შავი ზღვა 245, 269, 272, 273, 279, 280, 281, 297
შატ ელ-არაბი 243, 244, 245

შაქი 322
შეჰრიზორი 232, 234, 235, 238, 240, 244, 250, 253, 254, 299, 302
შვეცია 282
შუა-აზია 286
შუა აღმოსავლეთი 283, 286

ჩ

ჩერქეზეთი 297
ჩუპრი 267

ც

ცარგრადი 237, 278

წ

წმ. ნიკოლოზის ნაესადგური 280

ხ

Chaldea 256
ხანიკინი 302
ხინისი 278
ხმელთაშუა ზღვა 274
ხორასანი 286

ჯ

ჯაზირე 242

ჰ

ჰამადანი 242, 290, 322
ჰალაბა 261
ჰარნუკი 315
ჰილე 255, 301, 302, 322
ჰილეს კარი 318, 319
ჰიჯაზი 284
ჰოვეიზი (ჰუვაიზი) 247

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## ქართველი მამლუქები ეგვიპტეში


შესავალი . . . . . 7

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ეგვიპტის მამლუქი სულთნების გამგებლობისა და დაცემის მოკლე ისტორია (1250—1517 წწ.) . . . . . 9

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

„ბულატ ქაფანის" აჯანყება . . . . . 46
1. საქართველოდან გატაცება და ნათლობა უდაბნოში . . . . . 46
2. რიდვან-ბეის სასახლის იერიში . . . . . 51
3. პოლიტიკური დუელი კაიროში . . . . . 52
4. ღალატი დამასკოს გალავანთან . . . . . 62
5. მოკავშირეთა ხანმოკლე ტრიუმფი . . . . . 70
6. სალიჰიეს ბრძოლა . . . . . 72
7. შეიხ ზაჰირის დაღუპვის ორი ვერსია . . . . . 79
8. მურად-ბეისა და იბრაჰიმ შინჯიკაშვილის მოქცევა ხელისუფლების სათავეში და ჰასან ჯიდელის ისტორია . . . . . 80

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ასიუტის ომი (მომზადება, მსვლელობა, შედეგები) . . . . . 86
1. ომისწინა ვითარება სტამბოლში . . . . . 86
2. იეენ მეჰმედ-ფაშას მუხანათობა და ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმის განმტკიცება კაიროში . . . . . 114
3. ასიუტის ომი . . . . . 129
4. მშვიდობის აღდგენა და დაზავების პირობები . . . . . 136

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

ბრძოლა პირამიდებთან . . . . . 142
ეგვიპტის საკითხი მსოფლიო პოლიტიკაში . . . . . 142

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

საბოლოო პაემანი მუკატამის მთაზე . . . . . 194

შესავალი . . . . . 217
დაუდის ბავშვობა და ყრმობა . . . . . 225
დაუდის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე . . . . . 227
დაუდის ბრძოლა ერაყში ინგლისელთა ბატონობის წინააღმდეგ . . . . . 241
დაუდ-ფაშას მტრული დამოკიდებულება ირანის ქვეშევრდომებისადმი და ირანელთა სამხედრო ინტერვენცია ერაყში (1821—1822 წწ.) . . . . . 247
სულეიმანიეს კრიზისი . . . . . 254
აჯანყებულთა დათრგუნვა არაბულ ერაყში . . . . . 255
დაუდის რეფორმები . . . . . 256
ოსმალეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა XIX ს-ის 20-იან წლებში . . . . 265
ერაყის მდგომარეობა რუსეთ-ოსმალეთის 1828—1829 წწ. ომის დროს და დაუდ-ფაშას პოლიტიკა . . . . . 281
დაუდ-ფაშას სეპარატისტული ტენდენციის გამოაშკარავება და სულთნის ღონისძიება მის მიმართ . . . . . 288
ა) სადიკ-ეფენდის მისია ბაღდადში და მისი მარცხი . . . . . 288
ბ) დამსჯელი ლაშქრის გაგზავნა ბაღდადის ფაშას წინააღმდეგ და დაუდის თავდაცვითი ღონისძიებანი . . . . . 296
შაჲი ჰირი. წყალდიდობა, ციებ-ცხელება, შიმშილი და მათი შედეგები . . . . . 300
საომარი მოქმედების დაწყება . . . . . 304
კასიმ-ფაშა უმარის დაღუპვა და მისი ლაშქრის განდევნა ბაღდადიდან . . . . 308
აჯანყებულთა შემდგომი საქმიანობა მამლუქთა რეჟიმის გადასარჩენად ერაყში . . 312
აჯანყებულთა დამარცხება და ალის მიერ ბაღდადის აღება . . . . . 315
დაუდ- ფაშას დატყვევება . . . . . 327
ჭულემენების განადგურება . . . . . 330
დაუდის ცხოვრება-მოღვაწეობის უკანასკნელი წლები . . . . . 332
დაუდი და საქართველო . . . . . 335
დაუდ-ფაშას წერილისა და ბოროლაანთ გიორგის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების საბუთების შემდგომი ბედი . . . . . 342

რედაქტორი მ. ქანთარია
მხატვარი დ. დუნდუა
მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე
ტექრედაქტორი ვ. ჰიჰინაძე
კორექტორი ნ. აფხაზავა

გადაეცა წარმოებას 17/V-66. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/XI-67 წ. ქაღალდის ზომა 70×90¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 28,66. სააღრ.-საგამომც. თაბახი 25,67.
უე 01764 ტირაჟი 30.000 შეკვ. № 8932

ფასი 91 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილი, 5.

გ. ტაბიძის სახელობის № 5 სტამბა,
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პრ., 11
Типография № 5. им. Г. Табидзе,
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.